Overall it is clear from initial (XRF and SEM) analytical work that most if not all the sites encountered were used for copper smelting, although, as is typical of copper smelting slags, iron formed a high proportion of much of the surviving slaggy waste encountered (Erb-Satullo *et al.* 2014). This may to some extent have misled the earlier researchers looking at this material. More unexpected was the large proportion of zinc in the slaggy residues recovered from some of the sites investigated although this and the high incidence of iron simply reflects the polymetallic (copper, iron and zinc rich) nature of the ores known to exist in this region. Zinc being present in the slag from some sites but not others, suggested that different ore bodies – with a greater or lesser presence of zinc (Erb-Satullo *et al.* 2014, pp. 153-156). Results from the earlier survey and excavation work, together with the more detailed recent work has shown the multiple use of furnaces which essentially consist of shafts sunk up to about 1.2m into the clayey subsoil of the lower hilly part of this region, these sunken shaft furnaces being supplied from above by an air blast via multi-part tuyère tubes.

It was clear that the slag was of two distinct types, the first of which was highly inhomogeneous, relatively dense, but still quite porous with many small gas bubble holes. This contrasted with the second form of slag which was homogeneous, very dense and heavy and either contained or bore the impressions of large gas bubbles. On most of the sites seen during 2010 and 2012 both these forms of slag tended to occur together on the waste tips encountered with some sites having more of one type than the other but overall the two forms of slag had become quite mixed although originally they may have been dumped separately, sometimes they may have begun as separate slag dumps which later became merged.

This is the strong indication from our more detailed study of Site 5/Askana V where two slag dumps showed up on the magnetometry, one on either side of the central furnace. Here the more complete dump to the south-west of the furnace was found to consist almost entirely of the very inhomogeneous, more porous slag which had evidently come out of the furnace during its use and some of which, together with other mixed burnt debris, had been dumped back into the furnace when it went out of use. By contrast, the slag scatter to the north-east of the central furnace consisted almost entirely of the homogeneous, very dense form of slag. Unfortunately this slag tip was much less well

preserved and much of it seems to have been lost to erosion down the steep gully to the north.

When both forms of slag are freshly broken open the occasional greenish patch can be seen, showing these slags to be the waste remnants of an early copper smelting process. Much of the slag from various sites has been subjected to routine X-ray fluorescence (XRF) analysis (using a portable Bruker device) which shows, as expected for copper smelting, the presence of a relatively small proportion of copper and a much larger proportion of iron which is also evident from the rusty appearance of some of the slag.

Initial chemical and micro-structural analysis strongly suggests that the main ore source used was a chalcopyrite ore, possibly with some weathering (Erb-Satullo *et al.* 2014, pp. 155-156) The copper present in the ore will reduce preferentially to metal at the final stage of smelting leaving the iron to combine with the rocky component of the ore to form slag. This process may have been done in two if not three stages in all. Firstly the ore will need to be partially oxidised so as to make it more friable or powdery – to allow the reducing gases of the smelting reactions to penetrate the ore – and to remove some of the sulphur present. Smelting may then have been a two-stage reduction process starting with the production of a solid mass of copper sulphide ‘matte’ which was then further reduced to form ingots of copper metal, with slag forming as the waste by-product. The possible way in which the reduction processes may have worked in this copper smelting industry is discussed in much more detail in a separate paper (Erb-Satullo *et al.* 2014).

Charcoal from stratified contexts – mostly from the dumps of burnt slaggy waste – was recovered for accelerator radiocarbon dating from as many sites as possible although it has so far only been possible to submit a relatively small proportion for dating this way.

## **Discussion and conclusions: results so far and future directions**

At present we are awaiting the results from 10 radiocarbon dating samples and we have only received the preliminary results from the few OSL dating samples submitted although these do suggest that the smelting at Site 5/AskanaV, the first smelting site subjected to more detailed study during this survey, was operating in the earlier half of the first millennium BC. This is in very broad agreement with the archaeo-magnetic date of 1092±100 BC obtained by David Khakhutaishvili for the nearby Site 1/Askana 1 which lay on the same

hill some 100m to the south-west, although the radiocarbon determinations for Site 5 should make this clearer.

As yet there seems no reason to doubt the overall reliability and general accuracy of David Khakhutaishvili's (radiocarbon and archaeo-magnetic) dating of the sites he investigated in the Guria region although we now know that these relate to a prehistoric copper smelting industry which in this area appears to have been operating from about the mid 2<sup>nd</sup> to the mid 1<sup>st</sup> millennium BC although it may have begun earlier and ended later.

It is still a puzzle as to why the earlier unfinished work on this region concluded that all the sites related to ironworking when, during our study of these sites, it soon became clear that they were associated with prehistoric metal copper smelting. It is possible the sites studied earlier on in the Choga village area of Samegrelo (Khakhutaishvili 1987/2009) did relate to iron smelting – although this has yet to be determined. If so the very high iron content of some of the Guria copper smelting slags, together with the close similarity of some (but not very much) of the Guria slags to the type of tap-slag associated with iron smelting sites, may have misled the earlier researchers. Our study of the Guria slags suggests that the very high iron content of these slags is partly the result of the smelting of chalcopyrite (mixed copper and iron sulphide) ores with a relatively high iron content, plus the addition of iron rich sand – perhaps more likely derived from local sandstone rather than iron sands from the Black Sea coast – as a flux to improve the copper yield, given that copper reduces preferentially to iron.

It seems most likely that by the first millennium BC copper smelting and iron smelting had already become separate specialised disciplines and would have been carried out in separate areas, where the combination of available ores, fuel in the form of charcoal – for both heat and reducing the ores – were readily available. We have a long way still to go before we understand how these prehistoric industries formed part of a system of landscape management and exploitation in the area (in this case the Supsa river region of Guria) under consideration here although this is one of the main overall questions for the present project.

The detailed mapping, recording, topographical contexts and descriptions of the sites are now mostly complete for our study area in the Supsa-Gubazeuli River region of Guria, although what is still needed is further detailed work in the form of the detailed geophysical study and archaeological excavation of one or more specific sites (or groups of sites) before we can assemble enough evidence or information to reconstruct exactly how this particular prehistoric smelting

industry worked, from the exploitation and preparation of the ores through to the production of the metal itself.

We are awaiting the results of the first set of dating results but we anticipate that many more will be required before we can get a more reliable idea of the chronology and longevity of this industry, as well as understanding how long each site may have remained in operation. Linked to this, we have yet to try and work out to what extent the smelting operations moved about or stayed in one place. We presume that the landscape at the time was much more wooded than it is now, and it seems likely that the woodland landscape would have been managed, or at least exploited, quite carefully to allow for the regeneration of the fuel source, much as has recently been realised for early smelting industries elsewhere (as in the UK for the Roman and later iron industry of the Weald; see Rackham 1986). If resources and time allow, we would like study the landscape here further – perhaps with the aid of techniques such as pollen analysis – to understand better how it was managed in various ways.

We do not know for instance whether or not the prehistoric Guria copper smelting industry was carried out as a seasonal activity by local inhabitants who were also farmers, or local crafts people of various kinds. The seemingly relatively small scale of the smelting operations here and their apparent longevity and lack of change (although this has yet to be fully determined by more detailed analytical study) might argue for this industry being a long term (ie one lasting a thousand years or more) seasonal activity. However, this said, the industry may also have been the main source of income for the people who operated it since the copper seems most likely to have been made for use elsewhere, at the very least by the local or regional elite centres. Aspects such as this, as well as the linking of the industry studied here, to the copper based objects found elsewhere in western Georgia.

A key question which we are working towards is how, when and where the smelting of copper in western Georgia may have led, or given way to the smelting of iron. The late 2<sup>nd</sup> and early 1<sup>st</sup> millennium BC – that is our period of interest – is the period where we might expect to see evidence for the transition from copper to iron as the main (elite?) metal in this wider region, and this is exactly what we do see in the form of skeuomorphic objects (in this case those made of iron which mimic the forms which are suited to the making of copper based objects, but are made of iron) often found together accompanying burials or in votive hoards.

We need to link the industries we are studying to (eventual) products of these industries. In the case of bronze objects we also need to at least be able to suggest where the copper might have been alloyed with tin, as well as where the

tin might have come from, and where the objects might have been made, and if processes such as recycling may have been an issue. In the case of iron artefacts, again we need to work out where the metal was being smelted, and what degree of specialisation there was on these smelting sites, as opposed to the smithing or artefact production operations carried out elsewhere. In the case of iron these considerations do not appear to relate to any of the Guria sites, although we have to be aware that this may be a possibility not far away. There may be areas of prehistoric iron smelting in Guria that have not yet been identified but are waiting to be found. In much the same way we have begun to study a small region in the mountainous region of southern Adjara, east of the town of Keda, near the border with Turkey, and we have found that this was exploited for iron smelting (although we are again waiting for the results of radiocarbon dating), although copper deposits have been elsewhere in this mountainous region (Ghambashidze 1919).

There are many issues relating both to the prehistoric Guria copper smelting industry that still need addressing, and these form part of our ongoing research in this area, but we are also beginning to study both the other areas looked at by David Khakhutaishvili during his long campaign of work between the 1960's and 1980's, as well as looking at new areas with the aim of putting together a more cohesive picture of this giant jigsaw puzzle.

## References

- Erb-Satullo, N., Gilmour, B. J. J., and Khakhutaishvili, N., 2014:** ‘Late Bronze Age and Early Iron Age copper smelting technologies in the South Caucasus: The view from ancient Colchis c. 1500-600 BC’, *Journal of Archaeological Science*, **49**, 147-159.
- Ghambashidze, D., 1919,** *Mineral resources of Georgia and Caucasia: Manganese industry of Georgia*, (London: George Allen).
- Gzelishvili, I. A., 1964:** *Zhelezoplavil'noe Proizvodstvo v Drevney Gruzii (Iron smelting production in ancient Georgia)*, (Tbilisi:Metsniereba).
- Inanishvili, G., 2007:** About the history of iron production in Georgia, *Metalla*, **14**, 1-62.
- Khakhutaishvili, D. A., 1987:** *Proizvodstvo zheleza v drevney Kolkhide (The production of iron in ancient Colchis)*, (Tbilisi: Metsniereba).
- Khakhutaishvili, D. A., 2009 [1987]:** *The manufacture of iron in ancient Colchis* (Oxford:Archaeopress).
- Khakhutaishvili, N. and Tavamaishvili, G., 2002:** ‘Udzvelesi rkinis metalurgiis akhali kera chakvistsqalis kheobashi (One more centre of ancient iron metallurgy in Chakvistsqali Basin), *Dzhebani: The Journal of the Centre for Archaeological Studies, Georgian Academy of Sciences*, 34-40.
- Kuparadze, D. M., 2008:** Ancient Georgian iron metallurgy and its ore base, in *Geoarchaeology and Archaeomineralogy* (eds. R. I. Kostov, G. B., and M. Gurova), St. Ivan Rilski, Sofia, Bulgaria.
- Mikeladze, T. K. and Khakhutaishvili, D. A., 1985:** *Drevnekolkhidckoye poseleniye Namcheduri I (Ancient Colchian Settlement Namcheduri I)*, Metsniereba, Tbilisi.
- Rackham, D. 1986:** *The History of the Countryside*. (London:Dent).
- Tavadze, T. N., Inanishvili, G. V., Sakvarelidze, T. N., and Zague, T. H., 1984:** Issledovaniye drevnikh shlakov zhelezhogo proizvodstva na territorii Gruzii (Investigation of Ancient Slags of Iron Production on Georgian Territory), *History of Science*, 21-28.
- Waldbaum, J. C., 1999:** The coming of iron in the eastern Mediterranean: Thirty years of archaeological and technological work., in *The Archaeometallurgy of the Asian Old World* (ed. V. C. Pigott), University of Pennsylvania Museum, Philadelphia.

**ნანა ხახუტაიშვილი** (ბათუმი, საქართველო)  
**ბრაიან გილმოური** (ოქსფორდის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი)  
**ნატანიელ ერბ-სატულლო** (პარვარდის უნივერსიტეტი, აშშ)

**ძველი კოლხეთი და რკინის წარმოშობის საკითხები:  
არქეოლოგიური და ზევერების შედეგები დასავლეთ საქართველოში  
(აჭარა, გურია)**

**რეზიუმე**

ნაშრომში წარმოდგენილია ქართულ-ბრიტანული ერთობლივი საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩატარებული მუშაობის შედეგები. საკვლევი პრობლემა ეხება უძველესი რკინის მეტალურგიის საკითხების შესწავლას ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია, რომ ძველადმოსავლური და, მოგვიანებით, ბერძნული წყაროები სწორედ ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალიბებს მიაწერდნენ რკინის გამოდნობის საიდუმლოს, რკინის „გამოგონებას“. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ოქროსთან ერთად, სწორედ რკინის სიმდიდრე იზიდავდა კოლხეთში ბერძენ მოახალშენეებს (ოთ. ლორთქიფანიძე და სხვ.). კოლხეთის ლითონებით (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, რკინა) სიმდიდრე, სხვადასხვა მონაცემების გარდა, არქეოლოგიური კვლევებითაც დასტურდება.

ერთობლივმა ექსპედიციამ აჭარისა და გურიის ტერიტორიაზე გამოავლინა უძველეს მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული საინტერესო მასალა, რომელიც ქიმიური და მინერალოგიური კვლევისთვის გადაიგზავნა ოქსფორდისა და პარვარდის უნივერსიტეტების ლაბორატორიებში. მიღებული შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ ჩვენ მიერ შესწავლილ რეგიონებში წარმოდგენილია ადრეული რკინის საკმაოდ მასშტაბური წარმოება. საინტერესო ფაქტია, რომ იმავე ადგილებში დასტურდება სპილენძ-ბრინჯაოს ინდუსტრიაც. ეს საშუალებას იძლევა განისაზღვროს, თუ როგორ ხდებოდა ბრინჯაოს მიღების ტექნოლოგიური პროცესებიდან რკინის მიღების საკმაოდ რთულ პროცესზე გადასვლა. მოსაზრებას, რომ ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებულ ფაზას, წარმოების რთული ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური პარამეტრების გათვალისწინებით, დიდი გავლენა უნდა მოეხდინა ბრინჯაოს წარმოებიდან რკინის მეტალურგიაზე გადასვლის პროცესებზე, აუცილებლად მყარი დასაბუთება სჭირდება, რაც ჩვენი პროექტის ფარგლებში სამომავლოდ არის გათვალისწინებული.

## ლაონიკე ხანკოკონდილა ბათუმისა და საქართველოს შესახებ

იოსიფა ბარბაროს, ამბროზიო კონტარინისა და იოჰან შილტბერგერის გარდა, ბათუმისა და აჭარის შესახებ ცნობები დაუცავს, აგრეთვე, XV საუკუნის კიდევ ერთ მოღვაწეს, ბერძენ ისტორიკოსს ლაონიკე ხანკოკონდილეს. იგი დაიბადა 1423 წელს ათენში, 1490 წლის ახლო ხანებში უნდა გარდაცვლილიყო. ხანკოკონდილეს თხზულება – „ისტორიარუმ დემონსტრაციონეს“ – შედგება 10 წიგნისაგან, რომელიც XV საუკუნის 80-იან წლებში უნდა დაეწერა.

ლაონიკე თავის IX წიგნში გადმოგვცემს ცნობებს საქართველოს შესახებ. მისი თხზულება ბათუმის გარდა შეიცავს ცნობებს საქართველოს სამეფო-სამთავროებისა და მათი ქალაქების შესახებ. ამავე თხზულებაშია დაცული ცნობები საქართველოს სამთავროების (სამცხე-საათაბაგო, სამეგრელო) და საერისთავოს (გურია) მმართველების საკუთარი სახელებიც. ასე რომ იმ პირობებში, როცა XV საუკუნის ბათუმის, აჭარისა და საქართველოს შესახებ მეტად მწირი ცნობებია შემონახული, ლაონიკეს მიერ მოწოდებულ ასევე მცირერიცხოვან ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს. მის მიერ გადმოცემული ამბები ქართულ წყაროებთან შედარებით, ვფიქრობთ, უფრო ზუსტი და სანდო უნდა იყოს, იმ ნაწილში, რომელიც ეძღვნება ბათუმს და რომელშიც ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია აჭარა მოიაზრება.

ხანკოკონდილეს გადმოცემით, „იბერია კოლხიდის ქვეყნის მეზობლად არის და ამათი მეფეები არ არიან უგვარონი. ეს ქვეყანა გადაჭიმულია ეგრეთ წოდებული ბათუმიდან და მდინარე ფაზისიდან ვიდრე ახალციხემდე [და იქ შედის] საბრძანებელი ყვარყვარესი, გორისა, კახეთისა და თბილისისა; ეს ქალაქები ემეზობლებიან შამახას, რომელშიც მოსახლეობენ თურქები; მათ ეკუთვნის კახეთის ქალაქის ქვემოთ ზღვის სანაპიროზე მდებარე სებასტოპოლისი მეგრელებისა, დადიანის მბრძანებლობის ქვეშ, მამია და სამადავლა და გურია და სხვა ზღვისპირა ქალაქები“ (ყაუხჩიშვილი, 1970:91).

ლაონიკეს თხზულებაში დაცულია ცნობები იბერიის მეზობელი ტომების შესახებაც. მისი განმარტებით, „ზემოთა იბერიის ქალაქების მოსაზღვრენი არიან ალანები, ჰუნები და ემბები. ხოლო ალანები, როგორც ჩანს კავკასიონამდე არიან გადაჭიმული. ესენი ითვლებიან ყველაზე უფრო მეტად ძლიერებად საომარ საქმეებში, საუკეთესო აბ-

ჯრებსაც აკეთებენ. ესენი მისდევან ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სარწმუნოებას, ღაპარაკობენ სრულიად თავისებურ ენაზე, და იარაღსაც ამზადებენ სპილენძისას, ეგრეთწოდებულ ალანურ იარაღს” (იქვე, 91-92).

აღნიშნულ თხზულებაში ბათუმი ვატიის ფორმითაა მოხსენიებული. იგი ამ და სხვა ფორმებითაა დაცული დაახლოებით ამავე პერიოდის ბერძნულ და ლათინურ რუკებსა და ტექსტებში, ასე მაგალითად: ვესკონტესთან – ვატი, პიციგანისთან – ვარუ, ბენიკაზასთან – ვატი, ანკონელისთან – ლოვარ, XV ს.-ის დასასრულის უცნობი ავტორის რუკაზე – ლოვატი, ლუკსოროსთან – ლოვატი, ფრანჩესკოსთან – ლოვარი და ლოვატი, შილტბერგერთან – ვატან, ლოათონ, კატან, ბოტან, ბარბაროსთან – ვატი, კონტარინთან – ვატი, ლიატი, ვარტი, 1561 წლის იტალიურ რუკაზე – ლოვარი (გოგიტიძე, 2013:100; გოგიტიძე, 1999:102; გოგიტიძე, 2002:219; Шильтбергер, 1867:123).

რომელ პოლიტიკურ ერთეულში შედიოდა ქალაქი ბათუმი?

ტექსტში ნათქვამია: იბერია „გადაჭიმულია ეგრეთწოდებული ბათუმიდან და მდინარე ფაზისიდან ვიდრე ახალციხემდე [და იქ შედის] საბრძანებელი ყვარყვარესი“. აქ ფაზისით შეიძლება მოხსენიებული იყოს მდინარე ჭოროხი, ბერძნულ-რომაული წყაროების ანალიზიდან გამომდინარე მას უძველეს ეპოქაში ერქვა ფაზისი, ქართული წყაროები ჭოროხს, ჭუროხსა და ჭერეხსაც ეძახიან, ანტიკურ ხანაში-ჰარპა-სი, აფსარი, აკამფსისი, სომხურშია დადასტურებული ჭანური სახელი კაკამარი, მასვე ქართველები უწოდებდნენ სპერის მდინარესაც. ტექსტის ანალიზიდან გამომდინარე ფაზისი ჭოროხი უნდა იყოს, რადგან აქვე მოხსენიებული სამეგრელო და გურია ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. მაშასადამე, ბათუმი და მისი მიდამოები, ე.ი აჭარის ზღვის სანაპირო ზოლიდან ახალციხემდე სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაა და შედის ყვარყვარეს საბრძანებელში, რომლის საჯდო-ში ქალაქი ახალციხე, ანუ ძველი ლომსიანთა იყო. ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ი. ბარბაროს მიხედვით, „ერთი მხრიდან სამეგრელოს აქვს მდინარე ფასო, რომელიც მას უფლის და ჩაედინება შავ ზღვაში.“ ამავე ნაშრომში დართულ კომენტარებში შენიშნულია ფასო, ფაზისი – თანამედროვე რიონი. იგი სამეგრელოს სამხრეთ საზღვარს წარმოადგენს” (მამისთვალიშვილი, 1981:55). ამ მონაცემების მიხედვით, თუ ვიმსჯელებთ, ნიშანდობლივია, რომ რომაელ ავტორს ერთმანეთში არეული უნდა ჰქონდეს ორი ზღვისპირა პუნქტი ვატი და ფასო (ფაზისი). სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ ის გარემოება, რომ სამეგრელოს, ბარბაროს ცნობით, აქვს ორი ციხე-სიმაგრე ვატი და სებასტოპოლი? სადღაა აქ ფოთი? მით უმეტეს რომ ფოთი სამეგრელოს დედაქალაქი იყო. თუმცა ასეთი აღრევები რომაელი ავტორის თხზულებაში სხვაც მოგვეპოება, მაგალი-

თად: თბილისის ჩამოუდის ტიგრი, საქართველოს ქალაქია გორი, რომელიც შავი ზღვის პირას მდებარეობს (იქვე, 59). ასე რომ ტექსტში უნდა იყოს ვატიის მაგიერ ფოთი. თუ ეს ასეა, მაშინ აჭარა ბათუმითურთ შედიოდა სამცხე-საათაბაგოში, ე. ი ყვარყვარეს სამთავროში. ეს რომ ასე იყო, ამას სხვა იმდროინდელი ევროპელი მწერლებიც აღნიშნავენ: მაგალითად კონტარინი, რომელმაც 1474 თუ 1475 წელს გაიარა ბათუმ-ახალციხის გზა, ამბობდა: გავიარეთ ახალციხე-ბათუმის მთავრის გორგორას ანუ ყვარყვარეს საბრძანებელი (გოგიტიძე, 2013:100). ბარბაროს გადმოცემით, ვატი (ბათუმი) და ქალტიხეა (ქაჯთა ციხე თუ ქობულეთი) ეკუთვნის სამეგრელოს მთავრს ქიურგურას. მაშასადამე, აჭარის ზღვის პირეთი ჰკუთვნებია გორგორა-ქიურგურას, ახალციხის სამთავროს რომლის შემადგენლობაში იმყოფება აჭარა-მარკო როსის თანამგზავრებმა ირანის შაჰის უზუნ-ჰასანის ელჩებს განუცხადეს, რომ გაემართებიან ხალციხანას (ახალციხეს) და ბატის (ბათუმის) ხელმწიფის გორგორას სამფლობელოში (ბექირიშვილი, 1998).

ბარბაროსა და კონტარინის თხზულების ტექსტის რუსი მთარგმნელი და გამომცემელი ე. კრუინსკოი აღნიშნავს რომ ბარბაროს გადმოცემით, სამეგრელოს მთავარი გიურგურა ფლობს ბათუმს (ნაბაო, 1971:240).

ე. მამისთვალიშვილის გამოკვლევით, ყვარყვარე ევროპაში ცნობილი იყო, როგორც მეფე. იგი თვავისი გავლენის გავრცელებას ცდილობდა საქართველოს სხვა ნაწილებზეც. XV საუკუნის მეორე ნახევარში ათაბაგების ძალაუფლება დასავლეთ შავი ზღვისპირეთის გარკვეულ ნაწილზეც ვრცელდებოდა. მარი ბროსეს აზრით, ბათუმი 1459 წელს უკვე ყვარყვარეს მფლობელობაში ყოფილა. იმავე ავტორის ვარაუდით, ყვარყვარეს მიერ ბურგუნდიის ჰერცოგისადმი მიწერილი წერილი უნდა ყოფილიყო ბათუმიდან, რაც იმის დასტურად მიაჩნდა, რომ ბათუმი ყვარყვარეს მფლობელობაში იყო, ამის გამო იგი წერდა – “sa letter ebt date de Bate, en la careche”. კონტარინი რომელმაც 1474 წლის ზაპხულში იმოგზაურა საქართველოში და ბათუმში ყოფნაც მოუხდა, აღნიშნავდა, რომ ყვარყვარეს ეკუთვნოდა ზღვის პირას ორი ქალაქი ბათუმი და ქალტიხეა (მამისთვალიშვილი, 1981:68-69). ე. მამისთვალიშვილის განცხადებით კონტარინი სხვაგანაც გვაწვდის ცნობას ბათუმის შესახებ, რომლითაც კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ იგი ათაბაგს ეკუთვნოდა (იქვე, 119).

ძველი წყაროების ცნობილი სპეციალისტი ტ.ბრუნი ბათუმის შესახებ აღნიშნავდა რომ ვარტი ანუ ვატი, (ბატა) ეკუთვნოდა გორგორას, ქალციხის ანუ ქალციხანის (Ахалчик) მფლობელს (Gorgora siniora Calcican e dele terre Vati). “Bata en careche” ის ადგილია საიდანაც გორგორამ ე. ი ყვარყვარე II ათაბაგმა 1459 წელს ბურგუნდიის ჰერცოგს მის-

წერა, რომ იბრძოლებდა თურქების წინააღმდეგ (**Брун, 1880:251**). თავის კომენტარებში თბრუნი მსჯელობს ტერმინ ბათუმის სემანტიკაზე. მისი აზრით, ბათუმი წარმოიშვა ანტიკური bathys limen – ღრმა ნავსადგურისგან. ასეთი აზრი სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია უარყოფილია. ბათუმის წარმომავლობაზე არსებობს რამდენიმე შეხედულება, მაგრამ ჩვენ პირადად მიგვაჩნია, რომ სახელწოდება უნდა წარმოშობილიყო მეგრული სიტყვებიდან ბატა, რაც ქართულად ნაზს ნიშნავს. ადამიანი სახელით ბატა (ნაზი) ქალაქის დამაარსებელი ან მისი ერთ-ერთი უძველესი მფლობელი უნდა ყოფილიყო, რასაც ერთ-ერთი ლეგენდის მონაცემებიც მოწმობს (**გოგიტიძე, 2012:68**).

ტექსტში მოხსენებულია ქალაქი სებასტოპოლისი, რომელიც ზღვასთან მდებარეობს იგივე ძველი, ანტიკური ქალაქი დიოსკურიაა, რომელსაც ხანაში მას სებასტოპოლისი ეწოდებოდა, საქართველოს თანამედროვე ქალაქი ცხუმი-სოხუმი, რომლის მიდამოები დღეს რუსეთის მიერაა ოკუპირებული. იტალიელი კარტოგრაფების მიერ XV-XVIII საუკუნეში შედგენილ რუკებზე, სოხუმი საქართველოშია, სამეგრელოს საზღვრებშია მოქცეული და არა მხოლოდ აფხაზეთი, არამედ ყუბანის აუზის ტერიტორიაც (**Гамахария, Гогия, 1997:5; Гасвиани 2000:295**). ხანკოკონდილეს თხზულებაში მოხსენიებულია „გურია (Gouria) და ზღვისპირა ქალაქები“. როგორც ვხედავთ, რთულია იმის გარკვევა გურია ქალაქია, ე.ი. გურიანთაა თუ გურიის საერისთავო, რომელიც უფრო ადრეულ ან თუნდაც ხანკოკონდილეს პერიოდში დამოუკიდებელ საერისთავოსაც არ წარმოადგენდა. XIV-XVI საუკუნის არაბი ისტორიკოსების აღ-შუჭიბბისა (გარდ. 1384წ.) და აღ-კალკაშანდის (გარდ. 1418წ.) გადმოცემებით, საქართველოში არის ორი მეფე თბილისისა და სამეგრელოს ქვეყნებისა. მათივე ცნობით ქართველებსაც ჰყავდათ ორი მეფე – დავით მეფე, რომელიც თბილისს განაგებდა, და დადიანი – მეფე, რომელიც განაგებდა სოხუმსა და აფხაზს (**გოჩოლაძე, 1988:53-56**). აქ არსად ჩანს გურია. 1480-იანი წლების საბუთებში გურიელი პირველად იწოდება ერისთავად. ამ დროს იგი სამეგრელოში შედიოდა და სამეგრელოს მთავარი დადიან-გურიელად ითვლებოდა (**Какабадзе, 1967:28**). დადიანი ერთ-ერთ ძველ საბუთში „დიდ ერისთავ-ერისთავის“ სახელითაა მოხსენიებული (**ჯავახიშვილი, 1982:330**). სხვათაშორის, 1460 წელს რომის პაპს წარუდგინეს ანტიოსმალური კოალიციის შემადგენლობაში მყოფი დადიანი, როგორც „ბენდას-სამეგრელოსა და აფხაზეთის მეფე“ (**მამისთვალიშვილი, 1981:47**).

საინტერესოა, იბერიის ისტორიის რომელი პერიოდს მიეკუთვნება ხანკოკონდილეს მონათხრობი?

ჩვენ მიერ მოტანილ ციტატაში მოხსენიებულია საქართველოს სამეფო-სამთავრო საერისთავოთა ზოგიერთი მმართველების საკუთა-

რი სახელები - გორგიურა, სამადავლა და მამია. აქედან პირველი, რათქმა უნდა, სხვა ევროპულ წყაროებში მოხსენიებული გორგოლა, გორგოლა, გორბოლა, ქიურგურა და ა.შ. არის, რომელიც სამცხე საათაბაგოს ანუ ახალციხის სამთავროს მთავარი, ქართული წყაროების ყვარყვარეა. იგი მოღვაწეობდა 1451-1498 წლებში. ამიტომ მისი მოღვაწეობის ჩარჩოების პერიოდის მიხედვით ძნელია კონკრეტული თარიღის დასახელება. სამადავლა იგივე შამანდავლა, ვახუშტის შამადავლა, სამეგრელოს მთავრია, მისი ცნობით, 1470 წელს გარდაცვლილა ლიპარიტ დადიანი და ტახტზე ასულა მისი შვილი შამანდავლა, რომელიც მოკლე ხანში, 4 წლის მმართველობის შემდეგ, 1474 წელს გარდაცვლილა (**ჯავახიშვილი, 1982:330**).

1460 წელს იხსენიება გურიის ერისთავი მამია (მანია მარკიზა), მაგრამ, ცხადია, ჩვენი ელჩები ანტიურქულ კოალიციაში მონაწილე ქვეყნებს შორის სიაში გურიის შეყვანით ცდილობდნენ ბურგუნდიის პერცოგი დაერწმუნებინათ კოალიციის შემადგენელ ქვეყანა და მოლაშქრეთა სიმრავლეში. წინა წელს საქართველოს მეფე გიორგისა და არც ყვარყვარეს მოკავშირეთა სიებში არ შეჰყავთ გურია, თუმცა ამის აუცილებლობა არ უნდა ყოფილიყო, რადგან ამ პერიოდში გურიის საერისთავო შედიოდა სამეგრელოს დადიანების ანუ ბედიანების სამფლობელოში (**ჯავახიშვილი, 1967:65-66**). ბარბაროს ცნობით, XV საუკუნის 30-40-იან წლებში ბედიანის ხელისუფლება ვრცელდებოდა ბათუმის მიდამოებიდან სოხუმამდე და იმის იქითაც, იგი აღნიშნულ ტერიტორიას სამეგრელოს უწოდებს. ე. მამისთვალისშვილის აზრით, ამ პერიოდში ბედიანის ძალაუფლება, ვრცელდება სამეგრელოზე, გურიასა და აჭარაზე. ა. ანჩაბაძე მიუთითებს, რომ მეფე გიორგი VIII-ს მიერ გურიელისა და სხვა კოალიციის წევრების ასეთი დაფასება და განდიდება გამოწვეულია იმით, რომ მნიშვნელოვანი შთაბეჭდილებები მოეხდინა ევროპის სახელმწიფოთა კარზე (**Анчабадзе, 1960:90-91**). დასანანია, რომ ჩვენი მკვლევარები ამ პერიოდის გურიას სამთავროდ, ხოლო გურიელს (სვან ვარდანიძეს) მთავრად ნათლავენ და თანაც შესაბამის რუკებზე გურია გადაჭიმულია უზარმაზარ ტერიტორიაზე (ზოგჯერ XIII-XVI საუკუნეების) რაც ცხადია, სრული სიცრუეა.

მაშასადამე, ხანკონკონდილეს ისტორიული თხზულების დაწერის დრო უნდა განისაზღვროს 1770-1473 წლებით (შამადავლე გარდ. 1474 წლის 5 ივლისს).

ბერძენი ისტორიკოსის თხზულებაში ასევე მოთხრობილია ქართველთა წარმომავლობის, წმინდა ნინოს მიერ იბერიის მოქცევის, კოლხეთის ანუ ტრაპიზონის სამეფოს, მისი მეფის დავითის სიძის მამიას (გურიის ერისთავი?), ტრაპიზონის გარშემო მცხოვრები ტომის მესახალდებისა და სხვათა შესახებ (**ყაუხიშვილი, 1970:92, 100, 111-114**).

ხანკონკოდილეს გადმოცემით, „თვითონ იბერები თუ საიდან მოვიდნენ ამ ქვეყანაში ან თუ დასავლეთის იბერთაგან წარმომავლობენ, დანამდვილებით ვერ ვიტყვი; როგორც ჩანს, იმათ მიაღწიეს დიდ ძალას, დოვლათიც შეიძინეს, სარწმუნოებაც კონსტანტინეპოლიდან მიიღეს ერთი დედაკაცის მეშვეობით, რომელიც უაღრესად სათნო ქალი იყო და ჭკუშმარიტი რწმენის გულისთვის ხშირად დადიოდა მათთან; მან თავისი სასწაულ მოქმედებით განცვიფრებაში მოიყვანა იბერები და მოაქცია ისინი მათი ურწმუნო რჯულისგან და ქრისტიანებად მოაგვლინა მათივე აღსარებით“ (იქვე, 92).

ხანკონკოდილეს თავის თხზულებაში ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ ნაგულისხმევი აქვს ძველ ბერძნულ და რომაულ წყაროებში (ჰეკატოს მილეტელი, ვარონი, აპიანე, მარაბას კატინა, პლინიუსი, იოსებ პლავიუსი, დიონისე პერიეგეტი ევსები კესარიელი, პრისციანი, ნიკიტა ქსანთოპულოსი, მიხეილ ატელიატე და სხვები) დაცული ცნობები იბერთა დასავლეთ ევროპიდან გადმოსახლების შესახებ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე და პირუკუ.

ეს თეორია ორი იბერიის (ესპანეთისა და კავკასიის) სახელთა იდენტიურობაზე უნდა იყოს აგებული, თუმცა ამ თეორიას გააჩნია გარკვეული საფუძვლები. ძველი იბერების ანუ ბასკებისა და ქართველების ნათესაობის თეორია მიღებულია საერთო ტოპონიმების, სიტყვების, გვარებისა და მათი დაბოლოების იდენტიურობის საფუძველზე. ჩვენი აზრით მცირე აზიიდან უნდა მომხდარიყო ხეთურ-ხათურ-ქაშქური და კავკასიური უძველესი მოსახლეობის მიგრაციული პროცესები ჯერ ბალკანეთის, შემდეგ აპენინის და ბოლოს პირენეის ნახევარკუნძულზე (ყაუხჩიშვილი, 1970:92, 100, 111-114).

რაც შეეხება ქართველთა (იბერთა) მოქცევას ქრისტეს რჯულზე. ცნობილია, რომ წმინდა ნინოს მეშვეობით 326 წლის მიწურულში ქრისტიანობა ოფიციალური სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, მეფე მეირანის (307-361 წწ.) თანხმობითა და ბრძანებულებით (გოგიტიძე, 1997:28-57). მანამდე წმინდა ნინომ მირიანს „არწმუნა“ 324 წლის 20 ივნისს, ერთი წლით ადრე კი მის მეუღლეს ნანა დედოფალს. 326 წლის დასაწყისში კონსტანტინე დიდთან კონსტანტინეპოლში გამოცხადნენ მირიანის მიერ წარგზავნილი მოციქულები (ე.ი იმ დროს, როცა ელენე დედოფალს ეპოვნა „ძელი ცხოვრებისა“ – 326წ. (გოგიტიძე, 1997:28-57; გოგიტიძე, 1992; გოგიტიძე, 1998:18-19, 98, 128, 149).

ლაონიკეს ისტორიაში კოლხეთი ეწოდებოდა ლაზეთს, ანუ ტრაპეზუნტის საკეისროს ანუ იმპერიას. აღნიშნული მიწა-წყალი უხსოვარი დროიდან ქართველი მოღვმის ტომებს – ხათებს, ქაშქებს, კოლხებს, მაკრონებს, ბეჭირებს, მოსინიკებს, ეკხირიელებს, მახელონებს, პენიოხებს, ჭანებს, ლაზებს და სხვებს ეკუთვნოდათ (გოგიტიძე, 2010:10-12, 16-33, 308; გოგიტიძე, 2011:3-5, 94, 101-135; გოგიტიძე, 2009:159-

**169; Гогитидзе, 2011:629-630).** ძვ.წ XII საუკუნედან, როგორც ასურული და ურარტული წყაროებიდან ჩანს, ეკავა დაიენსა (ლიაოხი) (გოგიტიძე, 2006: 169-178; Гогитидзе, 2010:403-404; 2002:53-60) და კულხახალს (კოლხას ხალხს), შემდეგ კოლხეთის სამეფოს (Ломоური, 1979:21 и сл., 117-140). რომლის საზღვრები ძვ.წ. VI-I საუკუნეებში კერასუნტ-თერმოდონტ-ორდუს მიდამოებამდე ვრცელდებოდა (გოგიტიძე, 2002:204-211; გოგიტიძე, 2001:61-68). ძვ.წ. II-I საუკუნეებში პონტოს ქართულ სამეფოს 6 ნაწილი ამ ტერიტორიებისა, საქართველოს ერთიანი მონარქიის საზღვრებში შემოდიოდა. თამარ მეფის (1184-1207წწ.) ინიციატივით აქ შეიქმნა ტრაპიზონის საკეისრო, რომელმაც 1461 წლამდე იარსება.

ხანკოკინდილესთან დაფიქსირებულია საკუთარი სახელი მამია, რომელიც ჩვენი აზრით, მამია გურიელი უნდა იყოს. იგი ანტითურქულ კოალიციაში მონაწილეთა შორის 1459 წელს მოიაზრება. ბიზანტიელი მწერლის გადმოცემით იგი ყოფილა ტრაპიზონის მეფის დავითის სიძე. ასევე საინტერესოა ტრაპიზონის მიდამოებში მცხოვრები ხალხის სახელწოდება – მესოხალები. ჩვენი აზრით, ეს ისეთი ტერმინია, როგორც პლინიუსის არმენო-ხალები, კლავდიოს პტოლემეის სუანო-კოლხები, პლუტარქეს ტავრო-სკვითები, სომხური წყაროების ეგერ-სვანები და სხვა. თავად ტერმინი კომპოზიტური უნდა იყოს – მესოხალდი უნდა აღნიშნავდეს ორი უძველესი ქართველური მოდემის ტომების – მესხისა და ხალდის – ნაერთს: მესხო-ხალდს.

ამრიგად, მესოხალდი უნდა წარმოადგენდეს ტრაპიზონის სამეფოსა და მის განაპირა მხარეში მოსახლე ტომების სინთეზს.

### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

**ბექირიშვილი, 1998:** – ბექირიშვილი ი., გერმანელი მოგზაური იოჰან შილტბერგერი 1420-1426 წლების ბათუმის შესახებ, გაზ. „აღორძინება“, 1998, 21 დეკემბერი.

**გოგიტიძე, 1992:** – გოგიტიძე ს., ერთხელ კიდევ ქართლის მოქცევის შესახებ, – კრ.: „ძღვეაი“, 1992, №4

**გოგიტიძე, 1997:** – გოგიტიძე ს., მირიან მეფე და ქართლის მოქცევა, ბათუმი.

**გოგიტიძე, 1998:** – გოგიტიძე ს., ძიებანი ვახტანგ გორგასლის დროინდელი ქართლის ისტორიიდან, ბათუმი.

**გოგიტიძე, 1999:** – გოგიტიძე ს., ბათუმი ძველ საისტორიო წყაროებში, – ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, №6

**გოგიტიძე, 2001:** – გოგიტიძე ს., აჭარა ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში, – ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 2001, №1.

- გოგიტიძე, 2002:** – გოგიტიძე ს., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო-გეოგრაფია (ძვ. წ. XII-IV სს.), ბათუმი.
- გოგიტიძე, 2006:** – გოგიტიძე ს., დაიენი-დიოხი, ბათუმი.
- გოგიტიძე, 2009:** – გოგიტიძე ს., ქაშქები და მათი ეთნიკური კუთვნილება, – კრ.: ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, VIII, ბათუმი.
- გოგიტიძე, 2010:** – გოგიტიძე ს., ქაშქა-აბეშლა: აფხაზურ (აფსუა)-ადიდური თუ ქართველური მოდგმა? ბათუმი.
- გოგიტიძე, 2011:** – გოგიტიძე ს., ფარნავაზი და არიან-ქართლის ლოკალიზაცია, ბათუმი.
- გოგიტიძე, 2012:** – გოგიტიძე ს., ბათუმის ისტორია, ჟურნ. „ჭოროხი“, 2012, №5.
- გოგიტიძე, 2013:** – გოგიტიძე ს., ბარბარო და კონტარინი ბათუმისა და აჭარის შესახებ, ჟურნ. „ჭოროხი“, 2013, №1.
- გონილეიშვილი, 1988:** – XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, თარგმანი დ. გონილეიშვილისა, თბილისი.
- მამისთვალიშვილი, 1981:** – მამისთვალიშვილი ე. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა ე. მამისთვალიშვილმა, თბილისი.
- მამისთვალიშვილი, 1986:** – მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბილისი.
- ყაუხნიშვილი, 1970:** – ყაუხნიშვილი ს., გეორგიკა, VIII, თბილისი.
- ჯავახიშვილი, 1967:** – ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი.
- ჯავახიშვილი, 1982:** – ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, VIII, თბილისი.
- Анчабадзе, 1960:** – Анчабадзе З., Очерк истории Абхазской АССР, Сухуми.
- Гогитидзе, 2011:** – Гогитидзе С., Кашка-абешла: апсуа-адыгейский или грузинский мир? Тбилиси
- Гогитидзе, 2010:** – Гогитидзе С., локализация и Этническая принадлежность стран Даиан-Диаоха. Тбилиси
- Гогитидзе, 2002:** – Гогитидзе С., локализация «стран» Даиан-Диаоха, – კრ.: მოამბე (კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზ. ინსტიტუტი), VI, მონრეალი- თბილისი.
- Барбаро, 1971:** – Барбаро и Контарин о России, перевод Е. Скрженской. Черноморье, Сборник исследованный по исторической географии южной России (1852-1877), част II, Одеса
- Гамахария, Гогия, 1997:** – Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия – историческая область Грузии, Тбилиси.
- Гасвиани, 2000:** – Гасвиани Г., Абхазия, древние и новые абхазы, Тбилиси.
- Какабадзе, 1967:** – Какабадзе С., Грузинские документы института народов Азии, Москва.

**Ломоури, 1979:** –Ломоури Н., К истории Понтийского царства, Тбилиси.

**Шильтбергер, 1867:** –Шильтбергер И., Путешествия Ивана шильтбергера по Европе, Азии и Африке с 1394 года по 1427 год, перевел Брун. – Записки имп. Новороссийский ун-та, т. I, вып. I и II, Одеса.

**Simon Gogitidze**  
(Batumi, Georgia)

### **Laonikos Chankondyles on Batumi and Georgia**

The most important work of Laonikos *Proofs of Histories* is consisted by 10 books and was wrote in 80s of the 15<sup>th</sup> century.

On his 9<sup>th</sup> book he spokes about the Georgian kingdoms, principalities and Cities. Among them Laonikos mentioned Batumi as well. According to this author Batumi is part of Samtskhe, respectively of Ajara.

**Murat Kasap (Kasaşvili)**  
(İstanbul, Türkiye)

## **19.Yüzyıl'da Batum Şehir Merkezinde İmar Faaliyetleri ve Nüfus Hareketleri**

Bu yazıda Osmanlı idaresinde 19. Yüzyılın başından 1877/1878 Osmanlı Rus Harbine kadar Batum şehir merkezindeki imar faaliyetleri ve nüfus hareketleri hakkında bilgi verilmiştir. Batum şehir merkezi 19. Yüzyılın başlarında daha çok gemilerin barındığı küçük bir liman kasabası görünümünde idi. Bu yüzyılın başından itibaren şehir merkezinde bir dizi imar faaliyetleri yapılmış, ayrıca yoğun bir nüfus artışı görülmüştür.

Sultan II. Mahmut döneminde 1831 yılından itibaren başlatılan nüfus sayımlarının Batum'da uygulanması 1834 yılında olmuştur. Batum şehir merkezi ile Gonio ve köyleri nüfus sayımının yapıldığı bu yılda Trabzon vilayetine bağlı bir sancaktır. Aynı yıl Yukarı Acara, Aşağı Acara, Çürüksu ve Macahel sancakları ise Çıldır vilayetine bağlıdır.

19. yüzyılın ilk yarısında şehir merkezinde görülen ilk değişim ve imar faaliyetleri Bejanidze Sefer Bey tarafından gerçekleştirilmiştir. Çıldır valisi Himşiaşvili Ahmet Paşa'nın kayınbiraderi olan Sefer Bey aynı zamanda vali yardımcısı görevi ile Batum'da yöneticilik yapmakta idi. Sefer Bey Batum limanın güney kısmında bir gemilerin barınması için bir liman yaptırmış ve burada Ahmediye adıyla bir cami yaptırarak yeni bir mahalle oluşturmuştur. Ahmet Paşa Mahallesi adı verilen bu mahalle Sefer Bey tarafından ayrıca yeni dükkanlar ve evler inşa edilerek genişletilmiştir.

1839 yılı Tanzimat fermanı ile Osmanlı yerel idare taksimatlarında değişiklikler Batum ve havalisi Lazistan Sancağı altında toplanmış ve Batum kasabasında Lazistan Sancağı'nın merkezi yapılmıştır. Tanzimat sonrasında şehrin büyümesi devam etmiştir. 1850 yılına gelindiğinde Batum şehir merkezinde 200 hane yaşamaktadır. Şehir merkezinde 400 dükkan, iki medrese, bir hamam ve iki cami bulunmaktadır. Ancak şehir merkezi havanın rutubetli olması ve iklimi nedeniyle yerleşim için çok tercih edilen bir yer değildir ve yazın havasının aşırı rutubetli olması nedeniyle devlet memurları birkaç ay Hopa kasabasında ikamet etmektedirler.

Batum şehrin stratejik önemi 1853/1856 yılları arasında Osmanlı devletinin müttefikleri İngiltere ve Fransa ile Ruslar'a karşı yapmış oldukları Kırım Savaşı sonrasında artmıştır. Kırım savaşı zamanında Batum'da bir Osmanlı askeri kıtası bulundurulduğu gibi Batum ve havalisinden oluşturulan

gönüllü Gürcü milis kuvvetleri de Osmanlı ordusunda Ruslar'a karşı savaşmıştır. Kırım harbinden sonra artan siyasi ve ticari olayların etkisi ile Batum şehrinde 12 konsolosluk ve 3 ticari temsilcilik açılmıştır. Osmanlı İmparatorluğu, Avusturya-Macaristan, Belçika, Büyük Britanya, Almanya, Yunanistan, Danimarka, İtalya, İran, Amerika Birleşik Devletleri, Hollanda ve Fransa konsolosluk, ayrıca Japonya, Norveç ve İsveç'in de ticari temsilcilik açmıştır.

Bu gelişmeler şehir merkezinin genişletilmesi ihtiyacını yeniden doğurmuş ve yeni imar faaliyetleri başlatılmıştır. Sultan Abdülaziz'in padişahlığı dönemine rastlayan bu imar faaliyetleri sonucunda Batum merkezi kasaba görüntüsünden çıkarak şehir hüviyetine girmiştir. Öncelikli olarak bataklıklar kurutulmuş limanın Burunbaşı adlı mevkiinde Aziziye adıyla yeni bir mahalle inşa edilmiştir. Bu mahalleye yeni bir liman, gümrük idaresi, karantina binası, telgrafhane, istihkam dairesi, liman fener dairesi, karakolhane, hapisane ve askeri kışla ve inşa edilmiştir. Şehir merkezine lezzetli bir su getirilmiştir. Yine bu mevkide Sultan Abdülaziz adına Trabzon valisi Emin Muhlis Paşa tarafından Aziziye Camii inşa edilmiş, şehir merkezinde iki sıbyan mektebi ve bir medrese açılmıştır. Ayrıca bu yıllarda Anadolu'dan Batum'a yerleşen Ortodoks Rumlar için de Aziziye adı verilen bir kilise inşa edilmiştir.

Kırım Harbi sonrasında Batum'da yaşanan en önemli ve dikkat geçici demografik hareket şehre yerleştirilen Abhaz muhacirlerdir. 1866 senesinde 988 hane 5219 nüfus Abhaz muhacir Batum şehrine yerleştirilmiştir. Çoğunluğu Kusba ve Marşan kabilelerinden olan Abhazların yerleştirilmesiyle oluşturulan köylere ise şu isimler verilmiştir. "Mahmudiye, Şerefiye, Bahariye, Rüştüye, Fuadiye, Nusretiye, Teşvikiye, Mahmudiye, Feridiye, Ragibiye, Adliye, Lütfiye, İrfaniye, Hamidiye, Fevziye, İcadiye, Avniye, Enamiye, Nuriye, Küşadiye, Aziziye, Şükriye, Feriye, Bedriye."

Aynı yıllarda şehir merkezinde yetiştirilmek üzere İstanbul'dan dut, Amasya elması ve fındık fidanları Batum'a gönderilmiştir.

### **Sonuç**

Küçük bir kasaba görünümünde olan Batum'un şehir hüviyetine geçişinde şehir merkezindeki nüfus artışı dikkat çekicidir. Nüfus artışı özellikle yeni oluşturulan Ahmet Paşa ve Aziziye mahallerinde gerçekleşmiştir. Şehir merkezinde Hacı Şahinzade Ali Bey ve Bejanoğlu Sefer Bey'in yaptırdığı iki cami dışında Sultan Abdülaziz adına Aziziye Cami de yaptırılmıştır. Aziziye caminin bir diğer adı Valide Sultan Camidir.

Batum'da yapılan imar faaliyetleri hukuki alanda da bir takım sıkıntılar doğurmuştur. Bejanidze ailesi yapılan askeri kışla, talimhane, karantina binası ve fener idare binasının yapıldığı arsaların kendi tapulu mülkleri olduğu ve

istimlak bedellerinin ödenmediğine dair dava açmıştır. Aile Aziziye camiye vakf edilen arazileri dışında kalan arsalarının geri verilmesi talep etmiş ve bu talepleri doğrultusunda arazilerinin kendilerine geri verilmesine karar verilmiştir. Ancak 1877/1878 Osmanlı/Rus savaşı sonrasında bölgenin Rusya'ya bırakılması nedeniyle bu karar hukuki olarak uygulanamamıştır.

Şehir merkezinin nüfusu muhacir iskanıyla nerdeyse iki katına çıkmıştır. Ancak Kırım harbi sonrasında yerleştirilen muhacirler ile yerli halk arasında zaman zaman uyum problemleri yaşanmıştır.

**მურათ კასაბი (ყასაშვილი)  
(სტამბული, თურქეთი)**

### **XIX საუკუნეში ბათუმის ცენტრში რეკონსტრუქციული საქმიანობა და მოსახლეობა**

#### **რეზიუმე**

სტატიაში მოცემულია ინფორმაცია ოსმალეთის მმართველობის პერიოდში, XIX საუკუნის დასაწყისიდან 1877/1878 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომამდე, ბათუმის ცენტრში არსებულ სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა და მოსახლეობის შესახებ. ქალაქ ბათუმის ცენტრი XIX საუკუნის დასაწყისში უფრო მეტად გემების თავშესაფარ პატარა პორტად და დაბად არის მოხსენიებული. ამ საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, ქალაქის ცენტრში აღინიშნება მთელი რიგი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები და ასევე შესამჩნევია მოსახლეობის მატება.

სულთან მაჰმუდ II-ის პერიოდში, ანუ 1831 წლიდან, მოსახლეობის აღწერა ბათუმში 1834 წელს განხორციელდა. ამ წელს, ანუ მოსახლეობის აღწერის პერიოდში, ბათუმის ცენტრი, გონიო და მისი სოფლები ტრაპიზონის ვილაიეთის სანჯაყშია. იმავე წელს ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, ჩურუქსუ და მაჭახელის სანჯაყები კი ჩილდირის ვილაიეთთანაა დაკავშირებული.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქალაქის ცენტრში მიმდინარე პირველი რეკონსტრუქციები სეფერ-ბეი ბეჟანიძის მიერ იქნა განხორციელებული. სეფერ ბეი ბეჟანიძე ჩილდირის ვილაიეთის მმართველის, აჰმედ-ფაშა ხიმშიაშვილის ცოლისძმა იყო და იგი ერთდროულად ბათუმის მმართველის და აჰმედ-ფაშას თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა. სეფერ-ბეის ბათუმის პორტის სამხრეთ ნაწილში გემების თავშესაფარი მოუწყვია. იქვე აჰმედის სახელობის მეჩეთი აუშენებია

და ამგვარად ახალი უბანი შეუქმნია, რომელსაც აჰმედ ფაშას სახელი უწოდა. შემდგომში კი სეფერ ბეის მიერ აშენებული სახლებითა და დუქნებით ეს უბანი უფრო და უფრო გაფართოვდა.

1839 წლის თანზიმათის რეფორმების შედეგად შეიცვალა ადგილობრივი ადმინისტრაციული დაყოფა. ბათუმი და მისი მიმდებარე ტერიტორია ლაზეთის სანჯაყის მფლობელობაში შევიდა და ბათუმი გამხდარა ლაზეთის ცენტრი. თანზიმათის შემდგომ პერიოდში ქალაქის ზრდა გაგრძელდა. 1850 წელს კი ქალაქ ბათუმის ცენტრში 200 კომლი ცხოვრობდა. ქალაქის ცენტრში 400 დუქანი, ორი მედრესე, ერთი აბანო და ორი მენეთი მდებარეობდა. მაგრამ ქალაქი, არსებული ნესტიანი კლიმატის გამო, არ წარმოადგენდა იმ ადგილს, რომელსაც საცხოვრებლად ანიჭებდნენ უპირატესობას. ზაფხულის პერიოდში კი, მოჭარბებული ნესტის გამო, სახელმწიფო მოხელეები რამდენიმე თვის განმავლობაში ხოფაში ცხოვრობდნენ.

ქალაქ ბათუმის სტრატეგიულმა მნიშვნელობამ, 1853/1856 წლებში ოსმალეთის სახელმწიფოს მოკავშირეების ინგლისისა და საფრანგეთის რუსეთთან ყირიმის ომის შემდეგ, საგრძნობლად იმატა. ყირიმის ომის დროს, ბათუმის მოხალისეთა სახალხო ლაშქარიც ოსმალეთის არმიაში რუსების წინააღმდეგ იბრძოდა. ყირიმის ომის შემდეგ, მზარდი პოლიტიკური და სავაჭრო მოვლენების შედეგად, ბათუმში გაიხსნა 12 საკონსულო და 3 სავაჭრო წარმომადგენლობა. ესენი იყო: ოსმალეთის იმპერიის, ავსტრია-უნგრეთის, ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საბერძნეთის, დანიის, იტალიის, ირანის, ამერიკის შეერთებული შტატების, პოლანდიის და საფრანგეთის საკონსულოები და ასევე, სამი ქვეყნის – იაპონიის, ნორვეგიის და შვეციის სავაჭრო წარმომადგენლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა გამოიწვია ქალაქის ცენტრის გაფართოების აუცილებლობა და კვლავ დაიწყო ახალი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელიც ემთხვევა სულთან აბდულ-აზიზის პერიოდს, რის შედეგადაც ბათუმმა დაკარგა დაბის მნიშვნელობა და მიიღო ქალაქის ხასიათი. თავდაპირველად აშენებულ იქნა აზიზიეს სახელობის ახალი უბანი, სადაც გაკეთდა ახალი პორტი, საბაჟო პუნქტი, საკარანტინო შენობა, ტელეგრაფის სადგური, თავდაცვითი ნაგებობანი, შუქურა, საპატომრო და სამხედრო ყაზარმები. ქალაქში მოყვანილ იქნა, ასევე, ძალიან გემრიელი წყალი. ამავე უბანში აშენდა სულთან აბდულ-აზიზის სახელთან დაკავშირებული აზიზიეს სახელობის მენეთი, რომელიც ააგო ტრაპიზონის მმართველმა ემინ მუჰლის ფაშამ. ქალაქის ცენტრში გაიხსნა ორი დაწყებითი სკოლა და ერთი მედრესე. გარდა ამისა, ამ წლებში ანატოლიიდან ბათუმში გადმოსახლებული მართლმადიდებელი ძველი ბერძნებისათვის აშენდა ასევე წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია.

ყირიმის ომის შემდგომ კი, ბათუმში მომხდარი ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო დემოგრაფიული მოძრაობა იყო აფხაზი მუჰაჯირების გადმოსახლება. ამავე წელს, ქალაქის ცენტრში მოსაშენებლად, სტამბოლიდან ბათუმში ჩამოიტანეს თუთის, ამასიის ვაშლის და თხილის ნერგები.

ქალაქში მიმდინარე ყველა ზემოაღნიშნულ ცვლილებასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მოსახლეობის მკვეთრი ზრდა, რომელიც აღინიშნება აჰმედ ფაშას და აზიზიეს ახლად აშენებულ უბნებში.

აღსანიშნავია, რომ ბათუმში არსებულმა სამშენებლო საქმიანობამ გამოიწვია არაერთი სირთულე იურიდიულ სფეროში. ბეჟანბის ოჯახმა სარჩელი შეიტანა იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მფლობელობაში არსებულ მიწაზე სამხედრო ყაზარმები, სასწავლებელი, საკარანტინო შენობა და შუქურა იდგა და მოითხოვა ყველა ნაკვეთის უკან დაბრუნება, გარდა აზიზიეს მეჩეთის ასაშენებლად გადაცემული მიწისა. მაგრამ 1877/1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, იმის გამო, რომ აღნიშნული რეგიონი გადაეცა რუსეთს, ოჯახის მოთხოვნა კანონიერად ვეღარ განხორციელდა.

ხოლო რაც შეეხება მოსახლეობას, ქალაქის ცენტრში მუჰაჯირების ჩამოსახლების შემდეგ თითქმის ორჯერ გაიზარდა. თუმცა ყირიმის ომის შემდეგ გადმოსახლებულ მუჰაჯირებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის დროდადრო იყო შეუთავსებლობის პრობლემებიც.

## ბათუმი ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში (XIX საუკუნის 60-იანი წლები)

XIX საუკუნის 60-იანი წლების აჭარისა და, კონკრეტულად, ქალაქ ბათუმის შესახებ ცნობები მწირია, ამიტომაც ნებისმიერი საარქივო დოკუმენტი, მით უმეტეს ოსმალური, ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს. 2012 წელს, მუშინ ილდიზტაშის ავტორობით, სტამბოლში გამოიცა წიგნი - საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში (მთარგმნელები: გელა გუნიავა, ირაკლი ართმელაძე). მასში, ბევრ სხვა საინტერესო დოკუმენტთან ერთად, შეტანილია რამდენიმე ცნობა ბათუმისა და აქ მიმდინარე პროცესების შესახებ.

ბათუმში ქალაქური ტიპის დასახლების ჩამოყალიბება და აქ საქალაქო ცხოვრების განვითარება პირდაპირპროპორციულად იყო დამოკიდებული ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძლიერეზე. შესაბამისად, ისტორიის ცალკეულ ეტაპზე თვალშისაცემია მისი მნიშვნელობისა და როლის გარკვეული ზრდა თუ შემცირება [სდსინ, II, 2009:573-580]. ცნობილია, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში ერთ-ერთ მიმზიდველ საპორტო ქალაქს, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის დროისათვის ქალაქი ძნელადღა ეწოდებოდა და შემოერთებისას მისი მოსახლეობა 3000 სულს თუ შეადგენდა [Френкель, 1879; სიჭინავა, 1958:111]. მართალია, XIX საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის კარლ კოხისა და რუსეთის არმიის პოლკოვნიკ იაკობ პროსკურიაკოვის ჩანაწერებში ბათუმი ქალაქად მოიხსენიებოდა, მაგრამ ისინი ძირითადად ხაზს უსვამდნენ აქაური ნავსადგურის საიმედოობასა და მოხერხებულობას და ქალაქის მნიშვნელობასაც ამის მიხედვით განსაზღვრავდნენ. ანუ განვითარებული საქალაქო ცხოვრებისაგან ბათუმი ჯერ კიდევ შორს იყო.

მომდევნო პერიოდში საქალაქო ცხოვრება ბათუმში კიდევ უფრო დაეცა. ეს განაპირობა, ერთის მხრივ, 1853-1856 წლების რუსეთ-ოსმალეთის ე.წ. ყირიმის ომმა, მეორეს მხრივ, ოსმალეთის მხრიდან რეფორმების (ე.წ. „თანზიმათი“) დაწყებამ, რასაც მოჰყვა ქალაქის ქართველი მოსახლეობის საგრძნობი შემცირება და არაქართული ელემენტების გამრავლება [უზუნაძე, 2001:72-73]. თუმცა 60-იანი წლებიდან შეინიშნება გარკვეული ძვრები, რაც დაკავშირებული იყო დასავლეთის სახელმწიფოთა და რუსეთის მხრიდან საზღვაო ნაოსნობის გამოცოცხლებასთან. საჭირო გახდა გადაუდებელი ზომების მიღება

და, პირველ რიგში, პორტის გაფართოება. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, ფინანსთა სამინისტროს დაუანგარიშებია ბათუმში ხის ნავმისადგომის მშენებლობის ხარჯები, თუმცა უმაღლესი მეჯლისის წევრთა 1861 წლის 29 ნოემბრის წერილით ირკვევა, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო მომხდარა ამ თანხის გადახარჯვა. მშენებლობის დასრულებისათვის საჭირო გახდა 2200 ყურუმის დამატება, რაზედაც გაიცა სულთნის შესაბამისი ბრძანება და ფირმანი **[ილდიზტაში, 2012:265]**.

თუმცა, ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის დიდ წინააღმდეგობად რჩებოდა აქაური კლიმატი და გაუვალი ჭაობი. ბათუმი ადმინისტრაციულად მაშინ ლაზისტანის სანჯაყში შედიოდა. აქაური სანჯაყბეგის 1864 წლის 17 ნოემბრის ცნობით, „ბათუმი, რომელიც შედგებოდა 200 სახლის, 400 დუქნის, 2 მეჩეთის, მედრესეს და აბანოსგან, ცნობილია თავისი ცუდი კლიმატით. ამ მიზეზით მოსახლეობა და მოხელეები ზაფხულობით დაბა ხოფაში მიდიან და სამი-ოთხი თვე იქ ცხოვრობენ, ზამთარში კი უკან ბათუმში ბრუნდებიან. ფართო პორტის მქონე ბათუმში ყოველთვის შეხვდებით რამდენიმე რუსულ გემს, მაშინ როცა არც ერთი ოსმალური ხომალდი აქ არ არის. არსებული ქალაქის ცენტრზე უკეთესი კლიმატი ბათუმის პორტის კონცხზეა, სადაც მართებული იქნება ახალი ქალაქის გაშენება, რომელშიც იქნება მეჩეთი, მთავრობის სახლი და საპყრობილე“ **[ილდიზტაში, 2012:269]**.

როგორც ჩანს, არსებულმა კლიმატმა მხარის მმართველი აიძულა ეფიქრა ახალი ქალაქის აშენებაზე, ალბათ, უფრო ქალაქის ახალი ცენტრის შექმნაზე. ანალოგიური საკითხი დაუსვამს ტრაპიზონის გუბერნატორსაც, რის გამოძახილიც იყო სულთნის 1863 წლის ფირმანი ბათუმის ნავსადგურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ამ მიზნისათვის დაახლოებით 42 ჰექტარის გამოყოფის შესახებ **[ავალიანი, 1960:98]**. ჩანს, საკითხი განუხილავს უმაღლეს მეჯლისსაც და დაუდგენია აღნიშნულ ტერიტორიაზე საქალაქო შენობების, მეჩეთისა და საპყრობილეს აგება, რისთვისაც აქ მოუვლენიათ ვინმე ჰაჯი დიმიტრი **[ილდიზტაში, 2012:269]**.

ოსმალეთის ხელისუფლება შეწუხებული იყო რუსული ხომალდების სიჭარბითაც ბათუმის პორტში, ამიტომაც საქალაქო ცხოვრებისათვის გარკვეული ტონის მისაცემად გადაუწყვეტიათ სადღესასწაულო დღეებში, ზარბაზნის გასროლის მიზნით, ბათუმის პორტში ორ-ზარბაზნიანი გემის განთავსება **[ილდიზტაში, 2012:269]**.


ბათუმის ახლად შექმნილ უბანში 1868 წელს, როგორც ამბობენ, სულთნის დედის ძალისხმევით, აშენდა სამხედრო მეჩეთი, რომელსაც სულთან აბდულ-აზიზის საპატივცემულოდ აზიზიეს მეჩეთი ეწოდა. შემდგომში ამ ახლად აშენებულ უბანსაც, აღნიშნული მეჩეთის გამო, აზიზიეს უბანი ეწოდა **[უზუნაძე, 2001:77]**. სულთნის ბრძანებით, ეს

უბანი მთლიანად ამ სამხედრო მეჩეთის სავაყუფო მფლობელობად გამოცხადდა [ბარამიძე, 1999:33]. მეჩეთის მშენებლობა, ჩანს რამდენიმე წელი გაგრძელდა. 1867 წლის ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მეჩეთის მშენებლობა თავიდან 80 ათას ყურუშად იყო შეფასებული, მაგრამ მშენებლობის დასაწყისშივე ხალხის მიერ შეგროვებული 6 ათასის გარდა კიდევ დახარჯულა 85 ათასი ყურუში, რამაც ხელისუფლება აიძულა ტრაპიზონიდან გამოეგზავნა სანდო მოხელე, რომელიც თვალყურს მიადევნებდა არსებული დაანგარიშების მიხედვით მშენებლობის დასრულებას და მოამზადებდა შესაბამის აქტებს ზემდგომ ინსტანციებში გასაგზავნად [ილდიზტაში, 2012:275].



სამხედრო მეჩეთის პარალელურად, აღნიშნულ პერიოდში ბათუმში, აზიზიეს უბნის შუაგულში, აშენდა ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია. რელიგიურ სფეროში გატარებულმა რეფორმებმა გაზარდა ოსმალეთის არამუსლიმი მოსახლეობის უფლებები და ისინი მუსლიმებს გაუთანაბრა, რასაც მოჰყვა ქრისტიანული მოსახლეობის გააქტიურება. კონსტანტინე მიზანჯი ოღლუს, ნიკოლა ეფრემიდის (უნდა იყოს ეფრემიდის), ილია მისოდლუსა და სხვათა ხელმოწერით, 1866 წლის 25 დეკემბერს ლაზისტანის სანჯაყბეგს გაეგზავნა წერილი, რომელშიც ბათუმის ბერძნული მოსახლეობა გამოხატავდა ეკლესიის და მასთან სასწავლებლის აშენების სურვილს. როგორც ირკვევა მთლიანობაში ამ საქმეს 65 ათასი ყურუში სჭირდებოდა, საიდანაც 30 ათასი მხარის შექმნებულმა პირებმა გაიღეს დარჩენილი ნაწილის გაღების პირობა კი ბათუმელმა ქრისტიანებმა დადეს [ილდიზტაში, 2012:273]. საინტერესოა, რომ ეკლესია, მეჩეთისგან განსხვავებით, ფაქტობრივად, ადგილობრივთა შემოწირულობების ხარჯზე აიგო, რაც ქალაქის ქრისტიანული მოსახლეობის დიდ რიცხვსა და მათ შესაბამისად

მის მოტივაციაზე მეტყველებს. თავდაპირველი პროექტით, ეკლესიის სიგრძე 21, სიგანე - 16, სიმაღლე კი 10 არშინით განისაზღვრა<sup>1</sup>. ეზოს ფართობი - 80 არშინი. კარების მარჯვენა მხარეს გუმბათიანი სამრეკლო და ეკლესიის შუა ადგილას ხის, კრამიტით გადახურული გუმბათი დაპროექტდა [ილიბტაში, 2012:273]. ფარნავაზ მეფის ქუჩის 26-ში მდებარე წმ. ნიკოლოზის ამ ტაძრის მშენებლობა დასრულდა 1871 წელს. შემდეგში, როგორც ჩანს, ტაძარმა ოდნავ იცვალა იერი, თუმცა იგი წარმოადგენს ჩვენამდე მოღწეულ ქალაქის ერთ-ერთ უძველეს არქიტექტურულ ძეგლს [უზუნაძე, 2013:61].



<sup>1</sup> თურქულ დოკუმენტში საზომ ერთეულად მითითებულია ზირა. 1 ზირა = 0,757738 მეტრს.

ოსმალური საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ამ პერიოდში ბათუმში ფუნქციონირებდა 2 დაწყებითი სკოლა, რომელიც მოსახლეობას თავისი ხარჯით შეუკეთებია, ხელისუფლებას კი უზრუნვია ამ სასწავლებლებისთვის 10500 ყურუმის გამოყოფაზე 7200 წიგნისა და 3200 ყურანის (!) დასაბეჭდად [ილდიზტაში, 2012:267]. როგორც ჩანს, ყურანი არა მხოლოდ სასწავლებლების, არამედ მთელი ქალაქისა თუ რეგიონის საჭიროებაზე იყო გათვლილი.

აღნიშნულ პერიოდში აშენდა ასევე ახალი საკარანტინო შენობა ძველ ქალაქსა და ახლად დაარსებულ აზიზიეს უბანს შორის [ილდიზტაში, 2012:277].

ასეთია ის მწირი ცნობები, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის 60-იანი წლების ბათუმის საქალაქო ცხოვრების შესახებ.

#### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**სღსინ, II, 2009:** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, II, ბათუმი.

**აგალიანი, 1960:** – აგალიანი ა., მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი.

**ბარამიძე, 1999:** – ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX საუკუნის 70-80-იანი წლები), ბათუმი.

**ილდიზტაში, 2012:** – მუმინ ილდიზტაში, საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, სტამბოლი.

**სიჭინავა, 1958:** – სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი.

**უზუნაძე, 2001:** – უზუნაძე რ., ნაოსნობა ბათუმის ოლქში (სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტები), ბათუმი.

**უზუნაძე, 2003:** – უზუნაძე რ., სურმანიძე რ., ზოსიძე ნ., ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა), ბათუმი.

**Френкель, 1879:** – Френкель, Очерки Чурук-су и Батума, Батуми.

**Irakli Baramidze**  
(Batumi, Georgia)

**Batumi in the Ottoman Archival Documents**  
**(60-s of XX century)**

**Summary**

The article studies the history of Batumi in the 60-s of the XIX century based on the documents given in the book – Georgia and Georgians in the Ottoman Archival Documents by Mumin Yildiztash (Istanbul, 2012; translators: Gela Guniava, Irakli Artmeladze). In this book by the way we learn the information about the building of the wooden dock, Orthodox Church and Azizie Mosque in Batumi; besides the book provides the information on Batumi climate, temporary migration of the residents and book supply of existed elementary schools, that helps us imagine what life was like in the town of Batumi in the period mentioned above.

## ბათუმის ნავიის სოფლაბი და მოსახლეობა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში (ალექსანდრე ფრენკელის ცნობების მიხედვით)

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, ანუ ოსმალთა ბატონობის ბოლო წლებში, ბათუმი ცალკე ყაზად, ანუ მაზრად იწოდებოდა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით შედიოდა ლაზისტანის სანჯაყში, ანუ ოლქში. ბათუმი კი ამ სანჯაყის დედაქალაქად იწოდებოდა. სანჯაყს მართავდა მუთასარიფი ანუ გუბერნატორი, რომელიც უშუალოდ ემორჩილებოდა პორტას, არაპირდაპირ კი – ტრაპიზონის გენერალ-გუბერნატორს (**ბაქრაძე, 1987:24**).

ლაზისტანის სანჯაყში 5 ყაზა და 11 ნაჰიე შედიოდა. ბათუმის გარდა, მასში გაერთიანებული იყო აჭარის ყაზა ზემო და ქვემო აჭარის ნაჰიებით, ლივანას ყაზა ლივანასა და მაჭახლის, ანუ ძველი ლივანისა და მიჭიხიანის ნაჰიებით, ხოფას ყაზა გონიოს, ხოფას, არქავეს ნაჰიებით და ათინას ყაზა ათინასა და ხემშინის ნაჰიებით (**ბაქრაძე, 1987:24**).

კვლევის თემის შესაბამისად, სტატიაში ჩვენ ბათუმის ნაჰიის სოფლებისა და მოსახლეობის აღწერა-დახასიათებას შევხებით იმ ცნობების საფუძველზე, რომლებიც დაცულია რუსი სამხედრო კორესპონდენტის ალექსანდრე ფრენკელის ჩანაწერებში. ეს ჩანაწერები პირველად 1879 წელს გამოქვეყნდა თბილისში რუსულ ენაზე სახელწოდებით „Очерки Чурук-Су и Батума“ და შემდეგ ითარგმნა ქართულ ენაზე (**ფრენკელი, 2012**).

ა. ფრენკელის „ნარკვევებს“ საფუძველად უდევს არა მარტო საკუთრივ მის მიერ მოძიებული მასალები ბათუმისა და ჩურუქ-სუს შესახებ, არამედ მანამდე გამოქვეყნებული ნაშრომები, რომელთა ავტორები არიან ქართველი (დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი) და უცხოელი (ნ. შაფროვი, გ. მალმუზი, ჯიუდიჩი) მკვლევრები, სხვადასხვა რუსული და თურქული მონაცემი. ა. ფრენკელმა თავისი ცნობებით კარგად წარმოაჩინა ოსმალთა ბატონობისა და ნაწილობრივ შემდგომი პერიოდის ბათუმისა და ჩურუქ-სუს მხარეთა ისტორია, მოსახლეობის შემადგენლობა და საქმიანობა. ა. ფრენკელი თავადაც იყო დარწმუნებული, რომ თავისი ნარკვევებით, თუმცა არასრულად, მაგრამ მაინც შეავსო „ახლადშემოერთებულ მხარეზე ცნობების უქონლობის ხარვეზი“ (**ფრენკელი, 2012:22**). ეს ქვემოთ განხილული მასალებითაც კარგად დასტურდება.

რუსული და თურქული (1878 წლის ტრაპიზონის კაღენდარი) წყაროების მიხედვით, რომლებიც ა.ფრენკელის წიგნშია მოტანილი, ირკვევა, რომ ბათუმის ნაპიე XIX საუკუნის 60-70-იან წლებში საკუთრივ ქალაქ ბათუმისა და მისი ახლო შემოგარენის გარდა, ტერიტორიულად მოიცავდა ჩაქვისწყლისა და ყოროლისწყლის ხეობებს, კახაბრისა და მის მოსაზღვრე სოფლებს. ჩრდილოეთით ბათუმის ნაპიეს ესაზღვრებოდა ჩურუქ-სუს ნაპიე, რომელიც ბათუმის ყაზაში შედიოდა, აღმოსავლეთით – ქვემო აჭარის ნაპიე პერანგას ქედითა და მდინარე აჭარისწყლით, სამხრეთით კი ხოფას ნაპიესთან გამყოფი სასაზღვრო ხაზი ჭოროხის გაყოლებით, დასავლეთით – შავი ზღვა ჭოროხის შესართავამდე (**ფრენკელი, 2012:28; ცინცაძე, 1980:78**).

რუსული მონაცემებით, ბათუმის ნაპიეში შედიოდა 6 მერქეზი (თემი) 20 სოფლით, რომელსაც 16 ჯამე (მეჩეთი) ემსახურებოდა. წიგნში მხოლოდ 9 სოფლის (დიდჯამე, სახალვაშო, გორგაძეები, აჭყვა, სოუქ-სუ, მახმუდიე, კიბე, ჯოჭო, თოფალოღლები) კომლობრივი და სულადობრივი მანვენებელია დასახელებული – 300-მდე კომლი, 1400-ზე მეტი სული (მამაკაცი). დიდჯამე შედიოდა ხალას მერქეზში, სახალვაშო, გორგაძეები და აჭყვა – ჩაქვის, სოუქ-სუ და მახმუდიე – ორთაბათუმის, კიბე – ერგეს, ჯოჭო და თოფალოღლები – ჯოჭოს მერქეზში (**ფრენკელი, 2012:173**).

სულთა რაოდენობაში მხოლოდ მამაკაცების მიწერა, როგორც ა. ფრენკელი შენიშნავდა, აღმოსავლეთში მიღებული წესი იყო, რამდენადაც ფულად გამოსაღებს მხოლოდ მამაკაცები იხდიდნენ და მთავრობას არ აინტერესებდა რამდენი ქალი აღირიცხებოდა სახელმწიფოში (**ფრენკელი, 2012:35-36**). აქვე ა.ფრენკელი იმოწმებს რუსეთის არმიის გენერალური შტაბის მონაცემებს, რომლებშიც ნაპიეში შემავალი 48 სოფელი და 8 განსახლება სახელდება (**ფრენკელი, 2012:172**). თუმცა, „ნარკვევებში“ ამ სოფლების სია მოტანილი არ არის.

თურქული ცნობების მიხედვით, ბათუმის ნაპიე 19 სოფელს მითვლიდა. რუსულ წყაროებში ზემოთ დასახელებული 9 სოფლის გარდა, აქ შედიოდა შემდეგი სოფლები: აზიზიე, ახმედ-ფაშა, მუფტიე, იზადინი, ნურიე, ანამია, შუქრიე, ატიე, ფეიზიე, ხუშალია, სადაც მუსლიმების (ქართველების) გარდა ცხოვრობდნენ კათოლიკეები, სომეხი გრიგორიანელები, ბერძნები, ჩერქეზები. ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ჩანს ნურიეს უბანი, სადაც ცხოვრობდა 151 ჩერქეზი, 337 ბერძენი. აზიზიეში, ახმედ-ფაშაში, მუფთიეში, იჯადიეში, ჯოჭოში, კიბეში, აჭყვაში, სახალვაშოში, გორგაძეების და სხვაგან მხოლოდ მუსლიმანი ქართველები ცხოვრობდნენ (**ფრენკელი, 2012:173**).

ბათუმის ნაპიეს აღნიშნული სტატისტიკური მონაცემებისგან ოდნავ განსხვავებულია ცნობები, რომლებიც ა. ფრენკელს მიაწოდა რუსეთის ყოფილმა ელჩმა გ. ჯიუდიჩმა. ეს ცნობები დაბეჭდილი ყო-

ფილა ფრანგულ ენაზე გამოცემულ სტატიაში (Notice sur Batoum), რომელიც 1873 წელს გამოქვეყნდა რუსულ ჟურნალში (**ИКОИРГО, II, №3, 1873**) და აღწერს 1871 წლის ვითარებას. ამ ცნობებით, 1870-იანი წლების დამდეგს ბათუმის ნაპიეში ყოფილა 1076 სახლი 3327 მცხოვრებით. ეთნიკურ-რელიგიური ნიშნით მათ შორის აღირიცხებოდა 3037 მუსლიმანი, 186 ბერძენი (მართლმადიდებელი), 104 სომეხი (93 გრიგორიანელი, 11 კათოლიკე), 651 კომლი ჩერქეზი ემიგრანტი 3324 სული მცხოვრებით (ფრენკელი, 2012:36). ე.ი. ბათუმის ნაპიეს მთელი მოსახლეობა შეადგენდა 6651 მცხოვრებს. ფრენკელი ასახელებს ქურთებსაც, რომლებიც ზამთრობით ჭოროხის ველზე, კახაბრის მახლობლად ცხოვრობდნენ. შედარებისათვის აქვე მოვიტანთ გ. ყაზბეგის ცნობებს ბათუმის ნაპიეს მოსახლეობის კომპლობრივ და სულადობრივ რაოდენობაზე, რომელიც 1874 წელს განეკუთვნება. ბათუმის ნაპიეში ამ დროისათვის ცხოვრობდა 1436 კომლი 8730 კაცით. მათ შორის უძრავლესობას – 1200 კომლი 7200 მცხოვრებით – ქმნიდნენ ქართველები, შემდეგ მოდიოდნენ ქურთები და ჩერქეზები (600-600 სული), ბერძენები (210 სული), სომეხები (120 სული) (**Казнер, 1876:86**). სხვაობა გ. ყაზბეგისა და ა. ფრენკელის ცნობებს შორის 4 წელია. თუ ა. ფრენკელის ცნობებს ვერწმუნებით, მაშინ გამოდის, რომ ამ ხნის მანძილზე ბათუმის ნაპიეში მცხოვრებთა საერთო რაოდენობა შემცირებულია, რაც გამოწვეულია მოსახლეობის თურქეთში გასახლებით (**ფრენკელი, 2012:175**). ჩერქეზების რაოდენობის გაზრდა კი შესაძლებელია იმითაც აიხსნას, რომ მოსალოდნელი იმის შემთხვევაში თურქები ცდილობდნენ ჩერქეზების ჩამოსახლებას მათი ერთგულების მიზნით.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია მიუუთითოთ მთლიანად ბათუმის ყაზაში შემავალი სოფლების მოსახლეობის შემადგენლობაც. ზემოთ აღინიშნა, რომ ფრანგული ჩანაწერების (Notic sur Batoum) მიხედვით, ბათუმის ნაპიეში 1871 წელს ცხოვრობდა 3327 სული მცხოვრები. ამას უნდა დაემატოს ჩურუქ-სუს ნაპიეში მცხოვრებთა რაოდენობა (3592 სული), რაც იმავე ფრანგულ ცნობებშია აღნიშნული. მივიღებთ, რომ მთლიანად ბათუმის ყაზაში, რომელიც ბათუმისა და ჩურუქ-სუს ნაპიეებისაგან შედგებოდა, სულ ცხოვრობდა 6919 სული. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ჯ.პალგრევის 1872 წლის ჩანაწერებში მოტანილი შესაბამისი სტატისტიკური ცნობები, რომლითაც 1870-იანი წლების დამდეგისათვის ბათუმის ყაზაში, რომელიც 52 სოფლისაგან შედგებოდა, სულ ცხოვრობდა 13.388 სული (**Пальгрев, 1882:56**). ფრანგული და პალგრევის ჩანაწერები დროში თითქმის ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ამ ჩანაწერებით განსხვავებულია ბათუმის ნაპიეს მცხოვრებთა რიცხოვნება. თუ რომელს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა ამ ცნობებიდან, ეს შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

ამდენად, ზუსტი და სრული სურათი აღნიშნულ პერიოდში ბათუმის ნაპიეს მოსახლეობის კომპლობრივი და სულადობრივი რაოდენობის შესახებ დღემდე არ მოგვეპოვება, რაც, როგორც ითქვა, დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ა.ფრენკელის „ნარკვევებში“ ასევე მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული საკუთრივ ბათუმის მოსახლეობის ეთნიკურ და რელიგიურ შემადგენლობაზე. ბათუმში იტალიელი კონსულის მალმუზის მონაცემებზე დაყრდნობით ა.ფრენკელი წერდა, რომ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდე ბათუმში ცხოვრობდა 4970 სული, მაგრამ ახლა, ომისა და გადასახლებების შედეგად, მოსახლეობა შემცირდა და 3000 მცხოვრებსაც ვერ აღწევდა (**ფრენკელი, 2012:95**). ა.ფრენკელი აქვე იშველიებს ნახევარი საუკუნის წინანდელი მოგზაურის დიუპრეს ცნობას, რომლის მიხედვით 1807 წელს ბათუმი მიიჩნეოდა დიდ სოფლად, ვიდრე ქალაქად, სადაც 2000-ზე მეტი სული ითვლებოდა. მოსახლეობა კი სხვადასხვა ადგილას ტყეში გაბნეულ სახლებში ცხოვრობდა (**ფრენკელი, 2012:94**). აქვე მკვლევარი მათ ეთნოგრაფიულ და ეთნიკურ შემადგენლობაზეც ამახვილებს ყურადღებას. მცხოვრებთა უმრავლესობად ქობულეთლებს თვლის. უმცირესობად აჭარლებს, ლაზებს, ბერძნებსა და სომხებს ასახელებს. თურქები კი ამ პერიოდისათვის თითქმის არ ცხოვრობდნენ. მოსამსახურე ჩინოვნიკებისა და სამხედროების გარდა. ქუჩებში უპირატესად ქართული ლაპარაკი ისმოდა (**ფრენკელი, 2012:95**).

ა.ფრენკელის მიხედვით სომხები და ბერძნები ამ დროისათვის ქალაქ ბათუმში ცხოვრობდნენ და ძირითადად ვაჭრობით იყვნენ დასაქმებული (**ფრენკელი, 2012:35**). ამასვე წერდა თავის 1874 წლის ჩანაწერებში გ.ყაზბეგი, რომლითაც ბათუმში მცხოვრებ ბერძენ და სომეხ მცხოვრებთა რიცხვი სულ 330 აღწევდა (ბერძენი – 210, სომეხი – 120) (**Казнер, 1876:86**).

ა. ფრენკელი შედარებით ვრცლად ჩერდება ბათუმში მცხოვრებ ომის შედეგად დაზარალებულ აფხაზებზე, რომლებიც ძალზე მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ. იგი წერდა; „აფხაზები – ეს ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია. საითაც არ უნდა წახვიდეთ, ყველგან შეხვდებით ამ უბედურთა გამხდარ და მშიერ ლანდებს, რომლებიც ჩვენი დაუდევრობის გამო, სოხუმიდან თურქებმა აქეთ წამოიყვანეს და ბედის ანაბარად მიატოვეს“. შემდეგ ამათ შემხედვარე ფრენკელი დასძენს, რომ მათი ასეთი მდგომარეობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ მათ არც პური გააჩნდათ, არც სამუშაო, არც ფული არც თავშესაფარი. რამდენიმე ასეულ კაცს შიმშილით სიკვდილი ელოდა (**ფრენკელი, 2012:123**).

ამ პერიოდის ბათუმელი აფხაზების გაუსაძლის მდგომარეობაზე წერდა მაჭახლის საპოლიციო უბნის უფროსი დავით წერეთელი, რო-

მელსაც ბათუმში ყოფნისას აფხაზები თავად მოუნახულებია. იგი წერდა: „აფხაზებზე უსაცოდავეს ბათუმში ვერას ნახავს კაცი. უსახლკაროთ, მშიერი, მწყურვალეყრიან ყრიან ცოლ-შვილით (წერეთელი, 1878).

ა. ფრენკელი ნარკვევებში არ მიუთითებს, თუ როდის ჩამოსახლდნენ აფხაზები ბათუმში. ამის შესახებ ერთ-ერთ ადრინდელ ცნობას პალგრევი გვაწვდის. მისი თქმით, აფხაზები აჭარაში ორ ნაკადად ჩამოსახლდნენ. პირველი ნაკადი 1864 წელს, მეორე – 1867 წელს, რომელთა საერთო რაოდენობა 10 ათასზე მეტი ყოფილა (**Пальгрев, 1882:50-51**). ჩვენი აზრით, ეს რაოდენობა გაზვიადებული ჩანს. ჩვენ ხელთ გვაქვს გაზეთ „დროების“ (1882 წლის 19 იანვარი) მონაცემი, რომლის მიხედვით, აფხაზთა ერთი ჯგუფი აჭარაში 1862 წელს დასახლებულა. გაზეთ „კვალის“ (1897, №12) ცნობით, XIX საუკუნის 60-იან წლებში აჭარაში აფხაზთა დასახლება მაშინ მოხდა, როცა აფხაზ მუჰაჯირთა ორი დიდი ნაკადი წამოვიდა და აფხაზეთი თითქმის დაიცალა.

აფხაზთა ბათუმში და საერთოდ, აჭარაში ჩამოსახლებისა და განსახლების შესახებ ბევრი გამოკვლევა მოგვეპოვება და მასზე ყურადღებას არ გავამახვილებთ.

აფხაზების შემდეგ, ა. ფრენკელი ქალაქ ბათუმსა და მის შემოგარენში ჩამოსახლებულ ჩერქეზ ემიგრანტებსაც ეხება და ადგილობრივ მოსახლეობასთან მათ ურთიერთობასაც გვაცნობს.

1878 წლის მონაცემებით ბათუმის ნაპიეს სოფლებიდან ჩერქეზები უმთავრესად სახლობდნენ სამებაში, ერგეში, ხელვაჩაურში. განსაკუთრებით მრავლად კი ერგეში ცხოვრობდნენ (76 მოსახლე, 213 მცხოვრები) და ძირითადად წვრილფეხა (ცხვარი, თხა) საქონლის მოშენებას მისდევდნენ.

ჩერქეზები ჯერ ბათუმში ჩამოსახლებულან და შემდეგ აქედან ჩამოთვლილ სოფლებში განსახლდნენ. სამხედრო კორესპონდენტი შენიშნავს, რომ თურქები ჩერქეზებს სიამოვნებით ღებულობდნენ და ჩვენს წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში ისინი საიმედო ძალად მიაჩნდათ (**ფრენკელი, 2012:124**).

ფრენკელი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ადგილობრივი მოსახლეობის უსიამოვნო ურთიერთობას ჩერქეზების მიმართ, რაც ამ უკანასკნელთა ისეთი ინსტიტუტებით აიხსნება, როგორიცაა: ყაჩაღობა, ძალადობა, ქურდობა. აქვე იგი იმოწმებს ჯიუდიჩის ცნობას იმის შესახებ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ კიდევ ომამდე მოითხოვდა მათ გასახლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თვითონ გაუსწორდებოდნენ მათ. რუსეთის მთავრობას არ სურდა მთლიანად ჩამოეშორებინა მისთვის სასურველი ჩერქეზები და მხოლოდ რამდენიმე მთავარი თავგასული ყაჩაღის გასახლებით დაკმაყოფილდა (**ფრენკელი,**

**2012:125).** ასეთივე დამოკიდებულება ჰქონია ჩერქეზების მიმართ ქობულეთის მოსახლეობასაც.

კიდევ ერთ ფაქტზე შევანერებთ ყურადღებას, რომელიც არც ფრენკელამდე და არც შემდეგ არცერთ ავტორს არ დაუფიქსირებია. ესაა ბათუმში რამდენიმე სლავური ოჯახის არსებობა, რომლებიც აქ ბედის საძიებლად ჩამოსულიყვნენ. თუმცა კონკრეტულად მათ შესახებ ცნობებს არ იძლევა, მხოლოდ ერთ ფაქტს აფიქსირებს: ბათუმში ხეტიალის დროს ერთ სახლს რომ გაუსწორდა, ვიდაცამ მას გამართული რუსულით გადმოსძახა: „გამარჯობა, ბატონო! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. ეს სერბი ქალი ყოფილა, რომელიც მრეცხავად მუშაობდა. იგი რუსეთშიც ყოფილა ნამყოფი და გახარებია ბათუმში რუსების მოსვლა. ამიტომაც გასაუბრებია იგი ფრენკელს.

აქვე საჭიროდ მიგვანჩნია ვთქვათ, რომ სულ მალე ქალაქი ბათუმში ევროპულ ქალაქად გადაიქცა, რასაც ხელი შეუწყო ბათუმში რკინიგზის შემოყვანამ, ქალაქ-ნავსადგურის რეკონსტრუქციამ და მის სავაჭრო-ეკონომიკურმა განვითარებამ (**მურიე, 1962:23**). შესაბამისად გაიზარდა ქალაქ ბათუმის მოსახლეობა. 1882 წელს ჩატარებული მოსახლეობის ერთდღიანი აღწერით მისი მოსახლეობის რაოდენობამ წინა წლის მაჩვენებელთან (3500 სული) შედარებით 8670 სულს მიაღწია (**სიჭინავა, 1958:11**). ვლისოვსკის ცნობით კი 1884 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა ისე სწრაფად გაიზარდა, რომ 1900 სულს მიაღწია (**Лисовский, 1887:131**).

ა. ფრენკელის ცნობები მეტად მნიშვნელოვანი და სანდო წყაროა ოსმალთა ბატონობის ბოლო წლების დროინდელი ქალაქ ბათუმისა და მისი შემოგარენის ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესწავლაში.

ა. ფრენკელი, როგორც მისი „ნარკვევებიდან“ ჩანს, მეტად დაკვირვებული ჟურნალისტი ყოფილა. მან ბევრი სხვა საინტერესო ცნობა დაგვიტოვა რუსების ჯარების ბათუმში შემოსვლაზე, ბათუმისა და ჩურუქ-სუს მხარეთა ისტორიაზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ნაწილობრივ იმ სიახლეებზე, რაც ყოფილი ბათუმის ოლქის და, კერძოდ, ქალაქ ბათუმის ცხოვრებაში მოხდა უმოკლეს პერიოდში მისი დედასამშობლო საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

**ბაქრაძე, 1987:** – ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი.

**მურიე, 1962:** – მურიე ჟან, ბათუმი და ჭორიხის აუზი. ბათუმი.

**სიჭინავა, 1958:** – სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან. ბათუმი.

**ფრენკელი, 2012:** – ფრენკელი ა., ნარკვევები ჩურუქ-სუ-ზე და ბათუმზე. თბილისი (1879 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის თარგმანი).

**ცინცაძე, 1980:** – ცინცაძე ზ., ჭოროხის აუზის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში. – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. IX, თბილისი.

**წერეთელი, 1878:** – წერეთელი დ., ბათუმი 25 სექტემბერს. – გაზ. „დროება“, 1878, №139, 31 დვინობისთვე.

**Казбег, 1876:** – Казбег Г., Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского Санджака. Тифлис,.

**ИКОИРГО, II, №3, 1873** – Известия Кавказского отдела императорского Русского географического общества, II, №3, 1873.

**Лисовский, 1887:** – Лисовский В. Я., Чорохский край, Тифлис.

**Пальгрев, 1882:** – Отчёт В.Джифорда Пальгрева о провинциях Анатолии за 1867-1868, 1869 и 1872 годы. – Приложение к VII тому ИКОИРГО, Тифлис, 1882.

**Nodar Kakhidze**  
(Batumi, Georgia)

### **The Villages and the population of Batumi community in 60-70-ies (according to the information by Aleksandre Frenkeli )**

#### **Summary**

Russian journalist, Aleksandre Frenkwli's work “Essays about Churuk-susa and Batumi” (published in Russian language, in Tbilisi, in 1879) characterizes the villages, ethnic and religious of the population included in the communities of Batumi and Lazistani region, their relationship, activities on the basis of protected material. The article emphasizes that in the mentioned period Batumi communities administratively included the city of Batumi, and new surroundings, Chakvistskhali and Khorolistskhali gorges, Kakhaveri and its adjacent villages.

## წმიდა ნიკოლოზის სახელობის ბარძნული იალესის დაჯგუფების სახითისათვის ბათუმში

ქართულ-ბერძნული ურთიერთობების ამსახველ ძეგლთა შორის ბათუმის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია. ბათუმში ბერძნული ეკლესიების არსებობა აქ შესაბამისი ეთნიკური ფენის ხანგრძლივ ცხოვრებაზე მიუთითებდა. ბათუმის ხანდაზმულთა მესხიერებაში თითქმის ბოლო დრომდე შემორჩა ნაწილობრივ ტოპონიმად ქცეული „ურუმთა უბანი“<sup>2</sup> – ბერძნული დასახლება. 1890 წლის მასალებით ქუჩის სახელწოდება – «Греческая улица»-ც დასტურდება. ეს ძველი ბათუმის ის უბანია, სადაც დღეს წმიდა ნიკოლოზის ეკლესია მდებარეობს.

დიდი ხნის მანძილზე მიჩნეული იყო, რომ ეკლესიის მშენებლობა 1965 წელს დაიწყო და 1871 წელს დასრულდა. ეს თარიღები, ძირითადად, თავად ეკლესიის კედელში ჩასმული ბარელიეფიდან – სამშენებლო წარწერიდან მომდინარეობს, სადაც ეკლესიის მშენებლობის თარიღებიც მითითებულია. ბოლო თარიღი – 1871 წელი არაა სადავო, რამდენადაც 1872 წლიდან ტაძრის ფუნქციონირებას არაერთი მოგზაურ-მკვლევარი ადასტურებდა. ბოლო დრომდე არც 1865 წელი ყოფილა სადავო, თუმცა ახალი წერილობითი მონაცემების ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ ეკლესიის მშენებლობა 1867 წლამდე ვერ იქნებოდა დაწყებული (დიასამიძე, 2013:74–79). მოცემულ შემთხვევაში, ბათუმის ე. წ. ბერძნული ეკლესიის სამშენებლო თარიღი თუ სხვა სახის ისტორიული ექსკურსი არ წარმოადგენს ჩვენს მიზანს, რამდენადაც ამ საკითხს არაერთი სტატია მიეძღვნა, რაც საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისთვისაც ცნობილია. ჩვენ შევეცადეთ, არსებულ წერილობით მონაცემებსა და სხვადასხვა მასალებზე დაყრდნობით, ეკლესიის მეტ-ნაკლებად თავდაპირველი დაგეგმარება აღგვედგინა.

როგორც წესი, ეკლესიის შემადგენლობაში არ შედის მხოლოდ ერთი შენობა – სამლოცველო ნაწილი. ეკლესია, მით უფრო, თუ იგი

<sup>2</sup> ტერმინი **ურუმი** აღმოსავლეთი რომის იმპერიის დაცემის შემდგომ გაჩნდა, როცა ოსმალეთის იმპერიამ ბიზანტიის ყოფილი პროვინციები დაიპყრო. ეს სიტყვა წარმოიქმნა ლათინური ძირიდან **-რომა**, რაც რომაელს, ანუ აღმოსავლეთ რომის იმპერიის ქვეშევრდომს ნიშნავდა. **ურუმი** თურქ-ოსმალების მიერ დაპყრობილი პროვინციების მოსახლეობას გულისხმობდა ისე, რომ არ ითვალისწინებდა მათ ეთნიკურ წარმომავლობას (ფაშაევა, 2008).

მოცულობითაც დიდია და მრავალრიცხოვან მრევლზეა გათვლილი, თავის თავში სხვადასხვა დანიშნულების დამხმარე შენობა-ნაგებობებს, მათ შორის სამლოცველოსაც აერთიანებდა. ანალოგიური ვითარება ბათუმის ბერძნული ეკლესიის შემთხვევაშიც დასტურდება.

თავდაპირველად, ეკლესია დღევანდელთან შედარებით მცირე ზომის იყო. როგორც ალექსანდრე ფრენკელი მიუთითებდა, „ეს ეკლესია კარგად არის აგებული. უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, თითქმის მთელი შენობა ქვისაა. ინტერიერი კი ღარიბია და მის შეკეთებას გარკვეული ხარჯები სჭირდება“ (Френкель, 1879). ტაძრის პირველი სარემონტო სამუშაოები 1894-1899 წლებში ჩატარდა. ამ პერიოდში ეკლესიას სამრეკლო მიაშენეს, ეზო და მიმდებარე ტერიტორიაც ეკლესიის საკუთრებაში გადავიდა, სადაც ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები გაიხსნა. ბათუმელი ხანდაზმულების გადმოცემით, ეკლესიას სხვა სახის დამხმარე სათავსები, მათ შორის, კელიები და მარანი ჰქონდა, რომელთა განთავსება ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, სავარაუდოდ, ასევე, XIX საუკუნის ბოლოს, ეკლესიის გაფართოების პარალელურად უნდა მომხდარიყო. ეს მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 1898 წელს ბათუმის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას ყოროლისთავში არსებული წმიდა პანტელეიმონის ეკლესია დაექვემდებარა. ყოველივე აღნიშნული მთლიანობაში იმის საფუძველს იძლევა, რომ უკვე XX საუკუნის დასაწყისისათვის ბათუმში, ბერძნული ეკლესიის სახით, სახეზე ძლიერი და გამართული მართლმადიდებლური ეკლესია გვექონდა.

ეკლესიის თავდაპირველი დაგეგმარების და შემდეგდროინდელი სამშენებლო არქიტექტურული ცვლილებების შესახებ საინტერესოა XIX საუკუნის 60-იან წლებში ბათუმში მცხოვრები მართლმადიდებელი ქრისტიანების მიერ ლაზისტანის სანჯაყის მფლობელისადმი მიწერილი წერილი, სადაც ეკლესიის პროექტზეა საუბარი, თუმცა ტექსტში მხოლოდ ეკლესიის ზომები და ფართობებია მოცემული. წერილში ასახული მონაცემების მიხედვით, ეკლესიის სიგრძე – 21, სიგანე – 16, სიმაღლე – 10, ეზოს ფართობი – 80, ხოლო საერთო ფართობი – 336 წყრთას შეადგენდა. აქვე ვკითხულობთ, რომ ტაძრის კარების მარჯვენა მხარეს გუმბათიანი სამრეკლო და ეკლესიის შუა ადგილას კრამიტით გადახურული ხის გუმბათი მდებარეობდა (დიასამიძე, 2013:77)<sup>3</sup>. ძველ ქართულში წყრთა – ესაა ზომა ხელის იდაყვიდან დიდი თითის წვერამდე, ხოლო ბიბლიის ლექსიკონის მიხედვით, „ისრაელიანებს ზომა-წონის საკუთარი სისტემა არ გააჩნდათ, საამისოდ ისინი წინა აზიაში გავრცელებული ტრადიციული სისტემებით სარგებლობდნენ“. იქვე მითითებულია წყრთის ორი სახეობის შესა-

<sup>3</sup> შდრ. ილდიზთაში, 2012.

ხებ: ერთია ჩვეულებრივი „წერთა“, რომელიც 43 სმ-ს უდრიდა, ხოლო მეორე – „დიდი წერთა“, რომელიც 52 სმ-ს ესადაგებოდა<sup>4</sup>. ამ მონაცემების მიხედვით, შესაძლებელია აღნიშნული პროექტის შესაბამისი ეკლესიის ზომების ცხრილი მეტრებში შევადგინოთ.

ზომის სახე და ერთეული პროექტის მიხ.	ზომის რაოდენობა მეტრებში, როცა 1 წერთა 43 სმ-ს უდრიდა	ზომის რაოდენობა მეტრებში, როცა 1 წერთა 52 სმ-ს უდრიდა	დღეს არსებული ეკლესიის და ეზოს ზომები მეტრებში
სიგრძე 21 წერთა	9,3	10,92	25,20
სიგანე 16 წერთა	6,88	8,32	11,60
სიმაღლე 10 წერთა	4,3	5,2	8,70
ეზოს ფართობი 80 წერთა	34,4	41,6	158 კვ.მ.
საერთო ფართობი 336 წერთა	144,48	174,72	450 კვ.მ.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ტაძრის პირველი სარემონტო სამუშაოები 1894-1899 წლებში ჩატარდა. ამ პერიოდში ეკლესიას სამრეკლო მიაშენეს. ტაძრის მრევლს დღესაც ახსოვს, თუ სად მთავრდებოდა ძველი ეკლესია და 1899 წელს მიშენებული სამრეკლო საიდან იწყებოდა.

ეკლესიის ინტერიერს თუ კარგად დავაკვირდებით, ეს ისედაც ცხადია. ძველი ტაძრის სვეტები და მოგვიანებით მიშენებული სამრეკლოს საყრდენი სვეტები ერთმანეთისაგან ფორმით განსხვავდებოდა. მეორე მხრივ, ტაძარში ძველი, თავდაპირველი სახით არსებული ეკლესიის შესასვლელი ღიობი დღემდეა შემორჩენილი. დღეისათვის იგი ამოშენებულია, მაგრამ მხოლოდ გარედან. ინტერიერში კი – ძველი შესასვლელი არაა ამოშენებული და იგი კვლავ ჩანს. ძველი ეკლესიის სიგრძე ძველ შესასვლელამდე 16,20 მეტრია. ძველი შესასვლელის განი კი – 1,3 მეტრია. შესაბამისად, ეკლესიის თავდაპირველი სიგრძე 19-20 მეტრს არ აღემატებოდა. რაც შეეხება ეკლესიის სიგანესა და სიმაღლეს, მართებული იქნება დაუშვათ, რომ ეკლესიას ამ მხრივ ცვლილება არ განუცდია.

ამდენად, აშკარაა, რომ ბათუმის მცხოვრებთა მიერ ლაზისტანის სანჯაყის მფლობელისადმი მიწერილ წერილში ასახული ეკლესიის პროექტი, კერძოდ, ზომები არსებულ რეალობას არ შეესაბამება. პრო-


<sup>4</sup> შდრ. [http://saxareba.blogspot.com/p/blog-page\\_30.html](http://saxareba.blogspot.com/p/blog-page_30.html)

ექტში ასახული ზომები უფრო მცირეა ეკლესიის რეალურ ზომებთან მიმართებაში. მოცემულ შემთხვევაში თუ ჩვენი მსჯელობა მართებულა, მაშინ გასაგებია, თუ რატომ მოეწინააღმდეგებოდა ბათუმის მოსახლეობის ერთ ნაწილს მშენებარე ეკლესია ციხესიმაგრედ და რატომ მიმართეს ოსმალეთის ხელისუფლებას ჩივილით. ეკლესიის ზომების ზემოთ მოცემული შედარებითი ცხრილი ამგვარი მოსაზრების გამოთქმის სრულ საშუალებას იძლევა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შესაძლოა ლაზისტანის სანჯაყის მფლობელისადმი მიწერილ წერილში ასახული ეკლესიის პროექტი საბოლოო არ იყო.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თბ., 1987.
2. ბერძნები საქართველოში (კოლექტიური მონოგრაფია, რედაქტორი რ. გორდეზიანი), თბილისი 1990.
3. დიასამიძე ბ., ახალი ოსმალური დოკუმენტები ბათუმის წმიდანის ნიკოლოზის ტაძრის მშენებლობის შესახებ. – კრ. ჩვენი სულიერების ბალავარი, V, ბათუმი, 2013.
4. შდრ. ილდიზთაში მ., საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, სტამბოლი, 2012.
5. ფაშაევა ლ., ბერძნები, ისტორიული ნარკვევი. – კრ.: ეთნოსები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბილისი, 2008.
6. ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა XVIII-XIX საუკუნეებში, თბილისი 1984.
7. ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა, თბილისი 1996.
8. Френкель А. Очерк Чурук-Су и Батума. Тф. 1879.

ტაბულა



მასშტაბი 1 = 200

სურ. 1. ბათუმის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიისა და მიმდებარე  
შენობების გეგმა



მასშტაბი 1 = 200

სურ. 2. ბათუმის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის გეგმა

**Nugzar Mgeladze, Temur Tunadze**  
(Batumi, Georgia)

**On the issue of planning  
of Saint Nicholas Greek Orthodox Church in Batumi**

**summary**

Georgian-Greek relations measured in millennia, though the Greeks living in Georgia, especially - "Pontus Greeks" settled in Georgia about XIX-XX centuries near the Black Sea. their Recollection had different direction and content, however among them was dominant city of Batumi. In old Batumi was „district of Urumta” settled by the Greeks. Sources of 1890-ies street name «Греческая улица» - the (Greek Street) is proved. This is the district in old Batumi where St. Nicholas Church is located.

St. Nicholas church has an interesting history. Its construction started in 1865/1867 and completed in the period when the Ottoman possessed . this is a border and at the same time important strategic place, not only to the Ottomans, but also was under the spotlight of the world's great countries. Against this background, it is interesting the construction of the Orthodox Church.

In the article is discussed the history of the church of St. Nicholas and among them the construction permit of Greek-Georgian Orthodox church under ottoman rule.

## აააი წერეთელი ბათუმის ოლქის შემოართაობის მნიშვნელობის შესახებ

აკაკი წერეთელი ის მოღვაწე გახლდათ, რომელიც შესანიშნავად აცნობიერებდა, რომ იმპერიის მარწუხებიდან თავის დასასხსნელად შესაფერისი მომენტის დადგომამდე საქართველოს იობის მოთმინება მართებდა, მაგრამ პოეტი „მედლის მეორე მხარესაც“ კარგად ხედავდა: რუსეთის დიდმპყრობლურ მისწრაფებებს ჩვენთვის კარგი სამსახურის გაწევა შეეძლო. თუ საქართველო რუსული დროშის ქვეშ კვლავ შემოიმტკიცებდა ისტორიული ბედუკუღმართობით დაკარგულ მხარეებს, იმპერიის დაშლის შემდეგ მათი შენარჩუნების ალბათობა გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე საკუთარი ძალებით მათი ხელში ჩაგდება. ამიტომაც იყო, რომ პოეტი გაფაციცებით აღევნებდა თვალს რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებას და თავის მხრივ ყველა ღონეს ხმარობდა, რომ საზოგადოება ამ საკითხით დაეინტერესებინა.

აკაკი წერეთელი თვლიდა, რომ ჭოროხის აუზი, ანუ ის რეგიონი, რომელშიც მრავალსაუკუნოვანი მონობით დაჩაგულ ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა ერთიანი საქართველოს იდეას, აუცილებლად უნდა დაგვებრუნებინა. ეს მამა-პაპათაგან გადმონაცემ ერთგვარ საკრალურ ანდერძად მიაჩნდა და ღრმად სწამდა, რომ მისი აღსრულების გარეშე საქართველოს აღდგენა-გათავისუფლებაზე ფიქრი უნიადაგო ოცნება იქნებოდა. 1871 წელს დაწერილ პუბლიცისტურ წერილში „ცხელ-ცხელი ამბები“ (წერეთელი, 1960: 27) ჩართულია ლექსი, რომელშიც პოეტმა იალბუზზე შემდგარ ქართლოსს ათქმევინა:

„ვეთ სპილო არ მწამს სპილოთა,  
თუ აღარა აქვს სორთუმი, –  
ისე კავკასი კავკასათ,  
თუ არ ექნება ბათუმი!

ჭოროხი ჩვენს ძველს დიდებას  
წაიღებს, შავს ზღვას შერთავსო,  
თუ დაგვეკარგა ის წყალი,  
ჩვენს „ვაის“ „უის“ შერთავსო“.

რუსეთთან ორ ომში დამარცხების მიუხედავად, ოსმალეთი მაინც ახერხებდა აჭარის შენარჩუნებას. როდესაც 1853 წლის ზაფხულში რუსეთმა, როგორც აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხების დამ-

ცველმა, ომი გამოუცხადა ოსმალეთს, კვლავ გაჩნდა ქართული მიწის შემოერთების იმედი, რომელიც სევასტოპოლის დაცემის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა გააქარწყლა.

1856 წ. ყირიმის ომის შემდეგ თავსმოხვეული ტრაქტატით უკმაყოფილო რუსეთი ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა, რომ დაკარგული პოზიციები დაებრუნებინა. ცხადია, იმპერიას აჭარის მხარის შემოერთება რეგიონში ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით გასაბატონებლად ესაჭიროებოდა. განსაკუთრებით სასურველი კი ბათუმის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული საპორტო ქალაქის, ხელში ჩაგდება იყო.

1870-1871 წწ. პრუსიასთან საფრანგეთის დამარცხებამ რუსეთს იმედი მისცა, რომ პარიზის ხელშეკრულების მისთვის მიუღებელ პუნქტებს გააუქმებდა. მართლაც, მალე სანკტ-პეტერბურგმა ოფიციალურად გამოაქვეყნა ცნობა, რომ ვალდებულად არ თვლიდა თავს, შავ ზღვაზე მისი სუვერენული უფლებების შემზღვეველი მუხლები შეესრულებინა.

1875-1876 წწ. ოსმალეთს ბალკანეთში სერიოზული პრობლემები შეექმნა: აჯანყდნენ ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, სერბეთი და ჩერნიგორია. სამხრეთ სლავების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას მტრულად შეხედნენ ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი, რომლებსაც რეგიონში რუსეთის გავლენის ზრდა აშინებდათ (**ვარშანიძე, 2006: 20**). სულთანს ჯარი არ ჰყოფნიდა, ამიტომ აჭარის მკვიდრთ სამხედრო ბეგარა დააკისრა, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. მალე მღელვარება აჭარა-ქობულეთის რაიონიდან მთელ ლაზისტანს მოედო. საქართველოს მხრიდან ამ გარემოების არგამოყენება დანაშაულებრივი ქმედების ტოლფასი იქნებოდა, თუმცა საქმე ასე მარტივად გადასაწყვეტი არ გახლდათ: აჭარლებს, მართალია, ომში მონაწილეობა არ სურდათ, მაგრამ არც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით არსებობდა მოსახლეობაში ერთგვაროვანი დამოკიდებულება. დაბალი ფენებისაგან განსხვავებით, ბეგები ძირითადად მომხრეები იყვნენ რეგიონის ოსმალეთის ქვეშევრდომობიდან გამოსხნისა. „ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი. მე მზად ვარ, რომ მაშინვე ჩემი ქვეყანა ქართველთ შვილებს შევუერთო და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგ ისე გახდეს“, – აღნიშნავდა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი 1870 წელს ივ. კერესელიძესთან საუბარში (**ჭიჭინაძე, 1911: 229-230**).

ქართველი ინტელიგენცია ძალისხმევას არ იშურებდა, რათა ადგილობრივ მკვიდრთა განწყობა შეესწავლა და მათი მხარდაჭერა მოეპოვებინა. „თქვენ, შესაძლებელია, არ იცოდეთ, რომ ოსმალოს საქართველოს თქვენზე აქვს სასოება და ცისქვეშეთში არავის შესცქერის თავის იმედით! გახსოვდეთ თქვენი ძმები!“ - მიმართავდა 1870 წელს

„დროება“ თავის მკითხველებს. გაზეთის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა აჭარის ისტორიის, კულტურის, ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების, ზეპირგადმოცემებისა და ა.შ. ამსახველი მასალა. „დროება“ განსაკუთრებით გააქტიურდა აჭარის წინააღმდეგობის მოძრაობის გაძლიერების კვალობაზე, რის გამოც ამ გაზეთისა და საერთოდ ქართული წიგნების შეტანა აიკრძალა რეგიონში. რასაკვირველია, ქართული მხარე არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ საგაზეთო პუბლიკაციების ბეჭდვით. 1870 წელს აჭარაში ჩავიდა ივ. კერესელიძე; 1873 წელს რეგიონში იმოგზაურა დიმ. ბაქრაძემ თითქოსდა არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის მიზნით; 1874 წელს გრ. გურიელმა და გ. ყაზბეგმა მოიარეს აჭარა-შავშეთი ხიმშიაშვილებთან სისხლისმიერი კავშირის საბაბით. სინამდვილეში, ცხადია, ეს იყო სამხედრო-სტრატეგიული დაზვერვა (სურმანიძე, 1969: 6). სხვათა შორის, ხიმშიაშვილებს აკაკი წერეთელიც ენათესავებოდა. გურიის მთავრის, სიმონ გურიელის ასული კესარია სელიმ ხიმშიაშვილის ვაჟის, აბდის მეუღლე იყო. კესარიას უფროსი და კი ივანე აბაშიძეს ჰყავდა ცოლად, ანუ აკაკის ბებია იყო დედის მხრიდან (სურმანიძე, 1969: 6). გ. ყაზბეგმა 1876 წელს ოფიციალური ანგარიში წარადგინა დაბრუნების შემდეგ – “Военно-статистический и стратегический очерк Лазистанского санджака”. სერგეი მესხი საგანგებოდ შეესო ამ ნაშრომს და ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე მიუთითა: „უმთავრესი ჰაზრი უფ. ყაზბეგისა ის არის, რომ ბათუმის და, საზოგადოთ, ოსმალის საქართველოს დაპყრობა რუსეთის ჯარს არასგზით არ შეუძლია, თუ ადგილობრივი მცხოვრებლები, ოსმალის ქართველები, ომიანობის დროს ჩვენი მოწინააღმდეგეები იქნებიანო. იმათ ან პირდაპირ ჩვენი მხარე უნდა დაიჭირონ და ან უნდა გაჩერდნენ თავისთვის, არც ჩვენი მხარე დაიჭირონ და არც ოსმალებს მიეხმარონ. თუ ადგილობრივი მცხოვრებლები ჩვენ წინააღმდეგ იქმნებიან, კიდევ რომ გავიმარჯვოთ და ავიღოთ ბათუმი, მაინც ვერ გავმაგრდებით; იძულებული ვიქნებით, მალე მივატოვოთ. ამის გამო უფალი ყაზბეგი ამბობდა, რომ ჩვენ ახლა, მშვიდობიანობის დროს უნდა ვსცდილობდეთ გავიცნოთ ისინი, მოვიგოთ იმათი გული, მხოლოდ მაშინ დაიჭერენ ისინი ოსმალებთან ბრძოლის დროს ჩვენს მხარეს და ჩვენც იმედი მოგვეცემა გამარჯვებისა“ (მესხი, 2000: 52-53).

აჭარის დაბრუნებისათვის გაჩაღებულ ამ „უსისხლო ომში“ აქტიურად იყო ჩართული აკაკი წერეთელი. ნიკო ნიკოლაძის არქივში დაცულია პოეტის სამი პირადი ბარათი, რომელთა შინაარსი ცხადყოფს, თუ რამდენად იყო იგი დაინტერესებული აჭარის მოვლენებით (წერეთელი, 1963: 61-64; 70-71). ბარათები დაუთარილებელია, თუმცა აშკარაა, რომ რუსეთ-თურქეთის ომი დაწყებული არ არის. ჩვენი ვარაუდით, ისინი 1875 წელს უნდა იყოს დაწერილი. აკაკი ამ დროს „დროების“ თანამშრომელია და წესით თბილისში უნდა იმყოფებო-

დეს, ტექსტის მიხედვით კი ის დასავლეთ საქართველოშია. ირკვევა, რომ აკაკი ერთ-ერთი თაოსანია მამულიშვილთა იმ ჯგუფისა, რომელიც ოსმალოს ქართველთა „გადმობრებისათვის“ იბრძოდა. წერილებიდან ირკვევა, რომ აკაკი დროდადრო ხვდება როგორც გრ. გურიელს, ისე ქობულეთიდან ჩამოსულ ვინმე ხასან გიორგაძეს, რომელიც ხელმძღვანელობს წინააღმდეგობის მოძრაობას. რამაზ სურმანიძის აზრით, პოეტი შეგნებულად ცვლის ამ ადამიანის გვარს. მკვლევარი მიიჩნევს, რომ საუბარი უნდა იყოს ხასან ბეჟანიშვილზე. საგულისხმოა წერილის შემდეგი ფრაგმენტი: „ნიკო, შენი წერილი რომ მივიღე, ხასანა აქ იყო, ჩემთან. იქ არეულობა არის და **ოფიციალურად გასვლა არ შეიძლება. ისე კი ჩემთვის საჭიროა. მე მინდა წავიდე კარდონზედ, სადაც გ.გ. (გრ. გურიელი – ნ. ფ.) და იქ ყოველ საათში და ყოველივე მეცოდინება, ხანდახან ჩემითაც გავალ ხოლმე, თუ საჭიროება მოითხოვს, მაგრამ წაუსვლელობა კი არ შეიძლება. მე მზათ ვარ ყოველი ჩემი საქმე დავაგდო და წავიდე**“ (წერეთელი, 1963: 70).

საგულისხმოა, რომ აკაკი უკიდურეს სიფრთხილეს იჩენს და მათივე უსაფრთხოების მიზნით, უახლოეს მეგობრებსაც არ უმხელს, სად და რატომ მიემგზავრება. ამ მოსაზრებას ადასტურებს „დროების“ რედაქტორის, ს. მესხის პირადი წერილი, რომელიც მან 1875 წლის 25 ივნისს გაუგზავნა საცოლეს, კეკე მელიქიშვილს შენევაში: „რა რომ აკაკი აქ არის და გაზეთისთვის შრომობს, ეს მგონი მეხუთედ არის, რომ რაღაცა უბრალო მიზეზს მონახავს და გამომიცხადებს, რომ ყველაფერს თავი უნდა დაფანტოვო, გაზეთშიაც არავითარ მონაწილეობას აღარ მივიღებო და საზოგადოთ ყველა საზოგადო საქმეებს და ლიტერატურას ვეთხოვებიო“ (მესხი, 1950: 188). შემდეგ სერგეი ცდილობს პირადი ოჯახური პრობლემების არსებობით ახსნას აკაკის საქციელი და იქვე დასძენს: „ახლა აკაკი თავის საქმეებისთვის იმერეთში წავიდა და იმიტომ ვერა სწერს ამდენი ხანი“ (მესხი, 1950: 195). აკაკი თბილისში რამდენიმე თვე აღარ დაბრუნებულა. 15 სექტემბერს ს. მესხი წერილს უგზავნის კირილე ლორთქიფანიძეს: „აკაკი ნახო, ჩემ მაგიერ უთხარი, რომ **რცხვენოდეს ასე ჩვენი დავიწყება. ერთი ფელეტონი მაინც რატომ ვერ გამოგზავნა ქუთაისიდან? ქუთაისიდან კარგი ცხელ-ცხელი ამბების გამოგზავნა იცოდა ხოლმე**“ (ჟურნ. „მნათობი“, 1932, №8-9). ძნელი მისახვედრი არ არის, რით არის აკაკი დაკავებული. რასაკვირველია, მას ფელეტონების დასაწერად არ სცალია, რადგან მთელი არსებითაა ჩართული აჭარელი ქართველობის დედა საქართველოს წიაღში დაბრუნების საქმეში. ამიტომაცაა, რომ როცა 1875 წლის დეკემბრის ბოლოს წერილს სწერს სერგეი მესხს, სრულებითაც არ თვლის თავს უხერხულად, რომ გაზეთი ამდენ ხანს მიატოვა და თავისი პირდაპირი მოვალეობა არ შეუსრულებია; პირიქით, გაკვირვებას გამოთქვამს, როგორ ვერ ხვდება სერ-

გეი, რა შეიძლება იყოს მისი თითქოსდა უმიზეზო გაუჩინარებისა და შემოქმედებითი პასიურობის მიზეზი: „გუშინ მანდელამ ჩამოსულმა კაცმა მიანბო, რომ შენ თურმე რაღაცაებსა გულნაკლებათ ჰბოდავ ჩემზედა და მიკვირს. მე არ შემიძლიან დავიჯერო, რომ შენ ჩემზედ უმართლოდა და ცუდათ იფიქრო რამ.“ (წერეთელი, 1963: 101).

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით პირდაპირი დამადასტურებელი ფაქტობრივი მასალის მოპოვება, მაგრამ ფაქტია, რომ აკაკიმ მართლაც გადადო ყველა საქმე, რათა ასეთ მნიშვნელოვან მომენტში თანამოაზრეთა გვერდით ყოფილიყო. ვფიქრობთ, სარდალ წერეთელთა შთამომავალი, რომელსაც სიყმაწვილეში კონრადობა ენატრებოდა, უკან არ დაიხევდა, რათა თანადგომა მხოლოდ სიტყვით არ გამოეხატა...

1877 წლის 12 აპრილს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს ოსმალეთთან ომის გამოცხადების შესახებ (История . . ., 1945: 36-40). ომის ოფიციალურად გამოცხადებიდან ორი კვირის შემდეგ პოეტი ამ მოვლენას გამოეხმაურა სტატიით „ომის მიზეზი“ („დროება“, 1877, 29 აპრილი). აკაკი წერეთელი მიუთითებდა: „რუსული გაზეთები ცხადათ აღგვიარებენ, რომ რუსეთი შექმენისთვის არ იბრძვის, იმას თავისი სივცრე და განი ეყოფაო. მაგრამ ისა ჰსურსო, რომ ქრისტიანები, როგორც სხვა ტომის ერი, თათრების მონობისაგან გაათავისუფლოს და მათგან ტანჯვას გადაარჩინოს საუკუნოდ, რადგან დღევანდელი მათი მმართველობა დესპოტიური და ხალხის მიძიმე უღელი რჩევით ვერ მოაშლევინა და დაპირებული ოსმალის მთავრობისაგან ხალხისადმი კონსტიტუცია სისრულეში ვერ მოყვანაო“ (წერეთელი, 1960: 433). ამ სიტყვებში კარგად იგრძნობა ავტორის შეფარული ირონია თავად რუსეთის დესპოტიზმისა და დიდძალკობლური შოვინიზმისადმი. ვის, თუ არა ქართველ ხალხს უნდა სცოდნოდა კარგად, თუ რამდენად „უანგარო და კეთილშობილური“ იყო ხოლმე რუსეთის მხრიდან დაჩაგულ ხალხთა დახმარების სურვილი, მაგრამ ვინაიდან საქმის ვითარება ასე ითხოვდა, პოეტი იმპერიის ამ ინიციატივას მიესალმა და სტატია აკაკურად, ორაზროვნად დაასრულა: „ღმერთმა გაუმარჯოს იმას, ვინც ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნავდეს“ (წერეთელი, 1960: 435).

როგორც ცნობილია, ოსმალეთი დამარცხდა. 1878 წლის 19 თებერვალს სან-სტეფანოს ხელშეკრულებით რუსეთს შეეძლო ან დიდძალი კონტრიბუცია მიეღო ფულად, ან არტაანი, ბაიაზეთი, ბათუმი, ყარსი და სხვა. იმპერატორ ალექსანდრე მეორეს უთქვამს: „მართო ბათუმი და ყარსი ღირს იმად, რომ მათთვის გაიწიროს რამდენიმე მილიონიო“ (Потто, 1908: 445). საქმე ისაა, რომ სწორედ ბათუმი და, განსაკუთრებით, ყარსი იყო ის პუნქტები, რომელთა ფლობაც რუსეთს თავისი აღმოსავლური პროექტების განსახორციელებლად ყველაზე

მეტად ესაჭიროებოდა. 1879 წლის 3 თებერვალს კავკასიის არმიის მთავარსარდალმა დაამტკიცა ბათუმის გუბერნიის ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობანი, ხოლო 9 თვის შემდეგ ქართველმა საზოგადოებამ უმასპინძლა ახლად შემოერთებული რეგიონის წარმომადგენლებს. აკაკის მეტად ამადელელებელი სიტყვა უთქვამს. სერგეი მესხის გადმოცემით, „ხანგრძლივი ბრავოს და ურას ძახილითა და ყვირილით დააჯილდოვა ჩვენი ჩინებული, ნიჭიერი პოეტი საზოგადოებამ ამ სიტყვის თქმისთვის, რომელშიაც მან ასე მარტივად და, ამავე დროს, ასე ღრმა გრძნობით გამოხატა ის, რაც თითოეულს ჰქონდა გულში. ყველანი მიდიოდნენ თ. აკაკი წერეთელთან და ულოცავდნენ ამ მშვენიერი სიტყვის წარმოთქმისათვის და თან მადლობას სწირავდნენ“ (მესხი, 2000: 143). სავარაუდოდ, აკაკისთან მარტო იმიტომ როდი მიდიოდნენ და პირადად ულოცავდნენ ამ ბედნიერ დღეს, რომ მან ღამაზად გამოთქვა დამსწრეთა გულისნადები, არამედ, ჩვენი აზრით, პოეტისადმი ამგვარი პერსონალური მადლიერების გამოხატვა სწორედ იმ დაუცხრომელი ძალისხმევით აიხსნება, რაც მან წლების მანძილზე გასწია ჩვენი „ერთტომი და ერთმოგვარე“ ძმების დასაბრუნებლად.

#### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

- ვარშანიძე, 2006:** – ვარშანიძე ნ., ბათუმის ოლქი XIX ს. ბოლო მეოთხედში, ბათუმი.
- მესხი, 1959:** – მესხი ს., წერილები, თბილისი.
- მესხი, 2000:** – მესხი ს., წერილები აჭარაზე, ბათუმი.
- ჟურნ. „მნათობი“, 1932, №8-9.**
- სურმანიძე, 1969:** – სურმანიძე რ., დაუეიწყარი სახეები, ბათუმი.
- წერეთელი, 1960:** – წერეთელი აკ., თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. XI, თბილისი.
- წერეთელი, 1963:** – წერეთელი აკ., თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. XV, თბილისი.
- ჭიჭინაძე, 1911:** – ჭიჭინაძე ზ., ისტორია ოსმალეთის ყოფილი მუსლიმანი ქართველებისა, ბათუმი.
- История . . . 1945:** – История дипломатии, т. 2, Москва.
- Потто, 1908:** – Потто В., Утверждение русского владычества на Кавказе, т. 4, Тифлис.

**Nana Pruidze**  
(Tbilisi, Georgia)

**Akaki Tsereteli about the significance of joining Batumi Region**

**Summary**

Akaki Tsereteli in publicistic letters produced in 70s of XIX century often talked about Adzharia issues and he always considered it as an indivisible part of Georgia. With his deep faith, losing of Batumi, as port city of strategic significance and Chorokhi Basin fully, meant the ending of dream about returning Georgia's past glory, therefore he was constantly striving for making his contribution into returning so-called Osmalo Georgia.

## ახალი საარქივო დოკუმენტები ილია ჭავჭავაძის აჭარასთან ურთიერთობის შესახებ

ილია ჭავჭავაძე – ერის უგვირგვინო მეფე და ქართული ეროვნული სულის გამოვლინება, სისხლხორცეულად დაკავშირებული იყო აჭარასთან. ილია დიდად გაახარა რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აჭარის დედა-სამშობლოსთან კვლავ დაბრუნებამ. იგი მოუწოდებდა ქართველ ახალგაზრდობას წასულიყვნენ ახლად შემოერთებულ აჭარაში და დახმარებოდნენ თავიანთ ძმებს. ამ მხრივ საინტერესოა ერთი შეტყობინება, რომელიც თბილისის პოლიცემისტერმა გაუგზავნა კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიას 1878 წლის 6 დეკემბერს: „...თავადი ილია ჭავჭავაძე ნაციონალისტია. იგი მის მიერ დაარსებულ გაზეთ „ივერიაში“ წერს სტატიებს, სადაც აკრიტიკებს ხელისუფლებას ახლადშემოერთებულ აჭარაში შექმნილი მდგომარეობის გამო. რუსეთის არმიამ სისხლი დაღვარა ამ ტერიტორიების იმპერიის შემადგენლობაში მოსაქცევად და ეს შემოერთებული მხარე უნდა გადაიქცეს რუსული ახლოაღმოსავლური პოლიტიკის უმთავრეს ადგილად და იქ უნდა გაძლიერდეს რუსული სული, უნდა მოხდეს მისი ათვისება რუსული მოახალშენეების მხრიდან და თუ ამ მხრიდან მუსლიმანური მოსახლეობა მასიურად აიყრება და თურქეთში წავა, ამას ხელი არ უნდა შევეშალოთ... „აი, ჭავჭავაძე კი ცდილობს ხელის შეშლას, წერს წერილებს, სიტყვით გამოდის შეკრებებზე, ახალგაზრდებს მოუწოდებს წავიდნენ ბათუმში და იქ განათლება შეიტანონ... ეს კაცი ძალიან სახიფათოა და მასზე უნდა დაწესდეს მუდმივი თვალთვალი“ (სცსსა, ფ.334, ან.2, ს.68, ფურც. 22). როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ილია ვერ შეაშინა ასეთმა დამოკიდებულებამ, მან კარგად იცოდა, რომ რუსეთის ხელისუფლებას დიახაც აწყობდა აჭარლების მუჰაჯირებად წასვლა, რადგან შემდეგ თავისი ვერაგული გეგმის განხორციელებაში ხელს ვერავინ შეუშლიდა და ამიტომაც თავდაუზოგავად იბრძოდა შოვინისტების წინააღმდეგ.

ილია ახლადშემოერთებული აჭარის აღორძინებისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა ბათუმში ქართული სკოლის დაარსებას. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმის მოხელეები წინ აღუდგნენ მის ამ ოცნებას, აჭარის მოსახლეობამ მაინც მიაღწია საწადელს. ქართული სკოლის გახსნასთან დაკავშირებით 1881 წლის მარტში, ბათუმს პირ-

ველად ეწვია ილია ჭავჭავაძე. აი, რას წერდა ბათუმის პოლიცემისტური როჟანოვი ქუთაისის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს იმავე 1881 წლის მარტში: „თქვენს უდიდებულესობას ვაცნობებ, რომ თბილისელმა ნაციონალისტებმა შეძლეს ბათუმში სკოლის გახსნა. ამისათვის ბათუმში ჩამოვიდა ქართველი ნაციონალისტების მეთაური ილია ჭავჭავაძე, რომელზედაც თვალთვალი არის დაწესებული მისი უმაღლესობის, კავკასიის მთავარმართებლის ბრძანებით. სკოლის გახსნის დღეს, თავი მოიყარა უამრავმა ხალხმა, რომელთა შორის ბევრი ქართველი მაჰმადიანი იყო. მაჰმადიანების მონაწილეობა ქართველი ნაციონალისტების ყრილობაში ჩვენთვის არასახარბიელოა. ილია ჭავჭავაძემ შეკრებილ ხალხს მოუწოდა ერთიანობისაკენ, სიმტკიცისაკენ, თავიანთი შეილები ქართულ სკოლაში შეყვანისაკენ, რათა, მისი აზრით კიდევ უფრო განმტკიცდეს ერთიანი ქართული სულიერება. ასეთი მოწოდებები ნამდვილად არ წაადგება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას. ამ ახალშემოერთებულ მხარეში ბევრია გასაკეთებელი სახელმწიფოს ინტერესების გაძლიერებისათვის. ბათუმის ოკრუგის ხელმძღვანელობა ცდილობს ეს მხარე გადააქციოს რუსული სახელმწიფო ძლიერების ქვაკუთხედად და ამისათვის შეიმუშავა მთელი რიგი პროგრამები. უნდა შევძლოთ, რათა ჭავჭავაძის მსგავსმა ნაციონალისტებმა ვერ შეძლონ თავიანთი სახიფათო იდეების გატარება და ქვეყნის წინსვლისათვის ხელის შეშლა“ (სცსსა, ფ.334, ან.2, ს.68, ფურც. 25-27).

ამ წერილიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ უფროსოდა რუსული ხელისუფლება ილიასა და მის თანამოაზრეებს. მიუხედავად ასეთი დასმენისა, ილიას პოზიცია ურყევი და კლდედავით ურყევი იყო. მან, თანამოაზრეებთან ერთად, შეძლო ბათუმში ქართული სულიერებისა და კულტურის გაძლიერება და ყველაფერი გააკეთა ქართული მაჰმადიანი და ქრისტიანი თანამომხმეების სიმტკიცისათვის.

**გამოყენებული წყარო:**

**სცსსა, ფ.334, ან.2, ს.68** – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 334, აღწერა 2, საქმე №68.

**Otar Gogolishvili**  
(Batumi, Georgia)

**New archival documents about Ilia Chavchavadze relationship with Adjara**

**Summary**

The article concerns the new archival documents, which tells us about the role and grate services of Ilia Chavchavadze in reinforcement of Georgian consciousness in Adjara. In the documents, Russian Officials describe Ilia Chavchavadze as a nationalist, who wants to reinforce and strengthen Georgian consciousness in Georgian Mohammedans, who live in Batumi. They want to prevent Ilia Chavchavadze from carrying out that patriotic job, working on which he spent all his life.

## ერთი ინგლისური დოკუმენტი ბათუმის შესახებ (1882 წელი)

დოკუმენტი წარმოადგენს მოხსენებას, რომელიც შედგენილი და გაგზავნილია ბრიტანეთის ვიცე-კონსულის – პიკოკის მიერ თავისი მთავრობისათვის 1883 წლის 12 მარტს ბათუმიდან. იგი დაცულია ქ. ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაში, უორდროპთა კოლექციის ფონდში (**Wardr. 15.5**).

ამჯერად ჩვენ შემოვთავაზებთ პიკოკის ინგლისური მოხსენების ჩვენეულ თარგმანს, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ბათუმისა და მისი შემოგარენის, ნავიგაციისა და კომერციის შესახებ 1881-1882 წლებში. ვფიქრობთ, იგი დაეხმარება საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს.

### ვიცე-კონსულ პიკოკის მოხსენება ბათუმის ვაჭრობისა და კომერციის შესახებ 1882 წელს:

ვაჭრობის ძირითადი მდგომარეობა ამ პორტში, რაც მე ჩემს 1881 წლის მოხსენებაში აღვწერე, თითქმის უცვლელი დარჩა 1882 წლის განმავლობაში კომერციული და სანაოსნო საქმიანობის თვალსაზრისით. როგორც მოცულობით, ისე ხასიათით ის ოდნავ განსხვავდება გასული წლისგან.

ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმ-სამტრედიის მონაკვეთი თუმცა არ იყო დასრულებული, მაინც ეს ნავსადგური აგრძელებდა კომერციულ ურთიერთობებს კავკასიის სხვადასხვა ბაზრებთან, უმთავრესად ზღვით ფოთის გავლით. მიუხედავად ამ უკანასკნელის ღია რეიდის ნაკლებლოვანებისა და ძნელად მისადგომი ხელოვნური ნავსადგურისა, მისი მთელი ნაოსნობა ამიერკავკასიის ვაჭრობასთან კავშირში გრძელდება. სანამ ბათუმი თავისი საუცხოო ბუნებრივი ნავსაყუდელით იძულებული იყო მეორადი პოზიცია დაეკავებინა, რადგან ასრულებდა დამხმარის როლს – ის წარმოადგენდა დროებით გზასაცდენილთა საზღვაო სადგურს და თავშესაფარს.

### საგარეო ვაჭრობა

საბაჟოს 1882 წლის მონაცემები, რაც ეხება საგარეო ვაჭრობას, არ გვიჩვენებს იმპორტული საქონლის არც რაოდენობას, არც ფასებს. რაც შეეხება უცხო ქვეყნებთან ექსპორტს, 1881 წელს მან შეადგინა

35.000 ფუნტი სტერლინგი, 1882 წელს –32.300 ფუნტი სტერლინგი. იმპორტის მთავარი საგნები იყო აგური, ცემენტი და სხვა სამშენებლო მასალები მარსელიდან; დაახლოებით 6.000 ტონა ნახშირი ინგლისიდან; ამერიკიდან სამანქანო მოწყობილობა ნავთობის ინდუსტრიასთან დაკავშირებული ქარხნებისთვის. სხვადასხვა გერმანული ნაწარმი, ლითონის ნაკეთობები, საკანცელარიო საქონელი და გალანტერეა (მოდური საქონელი), ენერგიულად შემოდის ამ ბაზარზე და წარმატებით უწევს კონკურენციას საფრანგეთისას. რაც შეეხება ინგლისურ საქონელს, ცნობილია, რომ ის თითქმის არ გვხვდება ამ ბაზარზე. საექსპორტო საქონლის დიდი ოდენობა მოდის აქ ამიერკავკასიიდან ფოთის გავლით, რათა ამ ნავსადგურში გადაიტვიროს; ეს არაა ამ მხარის (ბათუმის–გ.გ.) პროდუქცია.

**საკაბოტაჟო ვაჭრობა**

საკაბოტაჟო ვაჭრობა გვიჩვენებს –

1881 წელს	იმპორტი	275.300 ფუნტის
	ექსპორტი	66.000 ფუნტის
1882 წელს	იმპორტი	267.000 ფუნტის
	ექსპორტი	72.000 ფუნტის

ძირითადი საქონელი იმპორტირებული რუსეთის პორტებიდან აქეთკენ 1882 წელს არის შემდეგი –

ხორბალი	46.600 ფუნტის
ბაყალა	18.000 ფუნტის
მაგარი სპირტიანი სასმელები	11.850 ფუნტის
ხეტყის მასალა	11.400 ფუნტის
დაპრესილი თივა	4.800 ფუნტის

რაც შეეხება ექსპორტს, ერთადერთი ადგილობრივი პროდუქტი, რომელიც შეადგენს მის მნიშვნელოვან ნაწილს, იყო ხილი 13.000 ფუნტზე მეტი ღირებულების. დანარჩენი წარმოადგენს რკინიგზისა და ტელეგრაფის მოწყობილობებს. აგრეთვე სხვა საქონელიც გადაიტვირთება ამ (ბათუმის–გ.გ.) ნავსადგურში ფოთისა და ქვეყნის შიდა მხარეებისთვის.

**საგარეო ტვირთზიდვა**

საგარეო ტვირთზიდვა ამ პროტში შემდეგია –

შემოვიდა:

ნაციონალიზაცია (ქვეყანა)	1881 წელს		1882 წელს	
	ორთქლის გემების რაოდენობა	ტონაჟი	ორთქლის გემების რაოდენობა	ტონაჟი
ბრიტანული	7	7.960	9	8.334
ფრანგული	25	25.778	26	29.157
ავსტრიული	52	53.080	50	54.801
თურქული	12	13.166	9	7.007
რუსული	52	39.740	52	42.146

გადმოიტირეთ:

გემების თითქმის იგივე რაოდენობა, რამდენიც შემოვიდა.

### საკაბოტაჟო ნავიგაცია

1881 წელს საკაბოტაჟო ნავიგაცია წარმოადგენდა 527 შემოსვლას და ამდენივე გადმოტვირთვას რუსული ხომალდებიდან, რომელთა ტონაჟი შეადგენდა 222.696-ს, ხოლო 1882 წელს – 439 გემს 181.682 ტონაჟით. რაც შეეხება იალქნიან გემებს, დარეგისტრირდა მხოლოდ ცოტა თურქული, ბერძნული და იტალიური ბრიგები (ორანძიანი გემი-გ.გ.), მცირე იალქნიანი გემები რუსული დროშით, რომლებსაც ჰქონდათ 1.400-მდე შემოსვლა და ამდენივე გადმოცლა. მაინც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ გემების რაოდენობა და მათი ტონაჟი, როგორც ეს საბაჟოზე დარეგისტრირებული, არ გამოხატავს ნამდვილ რიცხვს ამ ნავსადგურში შემდგარი ტვირთბრუნვისა. გემების უმეტესობა, ტვირთით თუ ბალასტით, ფოთშიც ისევე შედის, როგორც ბათუმში და შესაბამისად აღირიცხება საბაჟოს პედანტურობით ორივე პუნქტში. თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, ტვირთის მოცულობა მოდის ან მიდის ფოთისკენ.

### მიწათმოქმედება და მრეწველობა

რაც შეეხება მოსახლეობის აქტიურობას სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში, ასევე ქვეყნის შიგნით ბუნებრივი რესურსების გაფართოებას, გზების გაყვანას, ხიდების აგებას და ა.შ., ყოველივე ბოლო 12 თვეში ძალზე მცირედ გაიზარდა. ფაქტია, რომ აგური, ხე-ტყე, თივა, სანოვაგე და სხვა, ჯერაც შემოაქვთ უცხოეთისა და რუსეთის პორტებიდან. ეს კი ნიშნავს, როგორც არასაკმაო და ჩამორჩენილი (უარესი) ადგილობრივი პროდუქცია. ვრცელი ვაკე მინდვრების არარსებობის გამო, ხორბლეული (თითქმის მხოლოდ სიმინდი) მოჰყავთ, მაგრამ საოჯახო მოხმარებისთვის. სამაგიეროდ, მრავალი მთის ხეობა, დაცული ზღვის ქარიშხლისგან, თავისი ფერდობებით, რომლებიც მზეს შეჰყურებენ, არაჩვეულებრივად იგუებენ ვაზს, ხეხილს, მებაღეობას, მეფუტკრეობას. ფაქტობრივად, ყველა კულტურა, რომელიც შე-

იძლება მოიყვანონ შეზღუდულ მიწის ნაკვეთზე, იძლევა საკმაო მოსავალს, რათა დაეხმაროს მესაკუთრეს და მის ოჯახს. მიწები მთიან მხარეებში შესაბამისად ძალზე დანაწევრებულია. გარკვეულ ხეობებში ოჯახს, რომელიც შედგება ხუთი ან ექვსი სულისგან, აქვს არა უმეტეს ორი აკრი მიწისა დასამუშავებლად.

### **მაღაროები**

სპილენძის ზოგიერთმა მდიდარმა საბადომ ჭოროხისა და სხვა ხეობებში, ბოლო დროს მიიქცია მთავრობის სამთო ინჟინრებისა და კერძო პირების საგანგებო ყურადღება. ასევე აღმოაჩინეს ტყვიისა და ვერცხლის საბადოები. თუ ვიმსჯელებთ ძალზე ძველი და პრიმიტიული სადნობი კერების ნარჩენებით და წიდის მრავალი ნაშთებით იმ ადგილებში, სადაც აღმოჩნდა სპილენძის ძარღვები, სარწმუნოა, რომ ამ ლითონს საკმაოდ იღებდნენ და ადნობდნენ უძველეს დროში.

### **ამჟამინდელი ნაკლოვანებები (დაბრკოლებები)**

დღევანდელ ვითარებაში უნდა დაეუშვათ, რომ კაპიტალისტებისთვის ნამდვილი სტიმულის მიცემა არ მიუთითებს სარგებლიან და უსაფრთხო ფულის ჩადებაზე ამ მხარეში. მოთხოვნილება გზებზე, მუშახელის ნაკლებობა, ადგილობრივი ბაზრების არარსებობა და ალბათ კიდევ უფრო მეტი სხვა რამ, მოუგვარებელი პირობები მიწათფლობისა, ყოველივე ეს არის მთავარი დაბრკოლებები, რათა შესრულდეს ღირებული ღონისძიებები დაკავშირებული ნიადაგის კულტივაციასთან და საბადოთა დამუშავებასთან. მიწები მხარის შიგნით არაა ამჟამად შემოწმებული რუსული მთავრობის მიერ, ხოლო თურქული მესაკუთრეობის საბუთები და დოკუმენტები გვამცნობენ, რომ საკუთრებაში მყოფი მიწები მეტწილად უნაყოფოა; ადგილობრივებს ამჟამად არ აქვთ უფლება თავიანთი მიწების გაყიდვისა. სანამ ამ მხარის მოსახლეობა მერყეობს მიწის მრავალი დასამუშავებელი ნაკვეთის თაობაზე და ტყეები და საბადოებიც ასევე დასამუშავებელია, მანამ ის იქნება გამოუყენებელი და უნაყოფო.

### **საზოგადო სამუშაოები**

კერძო მშენებლობისა და საზოგადო სამუშაოების შესრულების თვალსაზრისით, რაც ეხება ამ ნავსადგურს (პორტს) და მის უშუალო შემოგარენს, მოხდა ზოგი გაუმობესება. საკანალიზაციო სამუშაოები დაიწყო იმ მიზნით, რომ დაშრეს ჭაობები, რომლებიც გარს ერტყმიან ამ პორტს და ჰაერს წამლავენ ანაქროლით. ქალაქი რომ მომარაგდეს ახალი და სუფთა წყლით, დაიგეგმა თუჯის მიღების ჩაყრა დაახლოებით ერთ მილზე, რათა წყალი თავისი წნევით წამოვიდეს მთის ერთ-ერთი წყაროდან ამ პორტისკენ. მიღები, რომლებიც ამ მიზნით დაუ-

კვეთეს ინგლისში, უკვე ჩამოვიდა. რკინიგზა, რომელიც მთელი გასული წლის მანძილზე გაჰყავდათ და ამჟამად დასრულდა, რა თქმა უნდა, ესაა უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმე. მისი ოფიციალური გახსნა საზოგადო მიმოსვლისთვის (ვაჭრობისთვის) მალე მოხდება, რაც ამ პორტს ფაქტიურად დააწეობინებს კომერციულ არსებობას.

#### **კერძო მშენებლობა, ფაქტორიები და ა.შ.**

ვაჭრობის მომავალი განვითარების იმედით ძალზე ბევრი მაღაზია და საწყობი გაჩნდა. ნავთობის ვაჭრობასთან დაკავშირებით ამერიკული გეგმით აშენდა ბიდონების ფაბრიკა, რათა დღეში დაამზადონ 6.000 ბიდონი; ასევე სახერხი ქარხანა, რომელიც დაამზადებს თხელ ფიცრებს ხის ყუთებისთვის. დამზადდა რკინის სამი ცისტერნი ნავთის შესანახად; თითოეული იტევს 400.000 გალონს. სამანქანო მოწყობილობა ბიდონების ფაბრიკისა და სახერხი ქარხნისთვის არის ამერიკული წარმოების. რკინის ფურცლები ცისტერნებისთვის და ტყვიის ფირფიტები ბიდონების დასამზადებლად არის ინგლისიდან.

#### **მოკლე დასკვნები და ზოგადი შენიშვნები**

დასკვნა ჩემი ამჟამინდელი მოხსენებისა არის ის, რომ ვაჭრობა, ნავიგაცია და წარმოება ამ პორტში ძლიერს წაიწია წინ ბოლო წლის მანძილზე, მაგრამ ამასთან მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობდა უფრო მეტად კომერციული გამოცოცხლების იმედით რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით. ბათუმის მომავალი კომერციის მოსალოდნელი ხასიათი ვეცადე გამომეყო ჩემს 1881 წლის მოხსენებაში და გავრისკე მიმეთითებინა თანამედროვე ფოთის სანაოსნო ბიზნესზე, ანატოლიის ტრანზიტზე და ბაქოს ნავთობით ვაჭრობაზე, როგორც სამ მნიშვნელოვან საგანზე, რაც საბოლოოდ შეიძლება შთანთქას ამ პორტმა.

თუმცა, დაშვება, რომ ფოთის ნავსადგურის სრულყოფა კვლავ გახდა მთავრობის საგანგებო ყურადღების ობიექტი, და რომ უცხო ტვირთის ზიდვა ამ კურსით მალე სრულად გაუქმდებოდა, ამ პორტის მომავალი პერსპექტივა გარკვეულწილად შეიძლება საფრთხეს შეიცავდეს. ყოველ შემთხვევაში, მისი კომერციული საქმიანობა მატერიალურად შეიცვლება ფორმით და აზრით, თუ წაართმევ სარგებელს, ერთი მხრივ სპარსულ სავაჭრო გადაზიდვაზე და, მეორეს მხრივ, გაუარესდება ფოთის მხრივ კონკურენციით. ეს კი თანაბრად დაკავშირებულია ქვეყნის შიდა მხარეებთან რკინიგზით, რომელიც 25 მილით მოკლეა და ამიტომ, რაც ეხება ტრანსპორტირების ეკონომიას, კომერციულად უფრო მომგებიანია, ვიდრე ამ პორტთან დასრულებული ხაზი.

ბათუმი, 1883 წლის 12 მარტი.

**Gia Gelashvili**  
(Tbilisi, Georgia)

**One English Document about Batumi (1882)**

**Summary**

In our paper we offer a Georgian translation of an information given by Vice-Consul Peacock in his Report (1883) sent to British Government on the Trade and Commerce of Batumi for the year 1882.

In this report one can find valuable information about Foreign and Coasting Trade, Foreign and Coasting Navigation, Agriculture and Industries, Mines and Public Works, Private Constructions and Factories in Batumi and its suburbs.

## ვალერიან ლისოვსკი - ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობების მკვლევარი

ვალერიან იაკობის ძე ლისოვსკი (1852-1906) სამხედრო მაღალ-ჩინოსანთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა აღწერა ახლად გათავისუფლებული ისტორიული საქართველო და საკმაოდ ობიექტური ცნობები დაგვიტოვა.

ვ. ლისოვსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი, თუმცა იგი, როგორც მაღალი რანგის სამხედრო ჩინოსანი და ერთობ დაკვირვებული პუბლიცისტი, ფრიად საყურადღებო პიროვნებად წარმოგვიდგება.

ვ. ლისოვსკის ვრცელი ნაშრომი „ჭოროხის მხარე“ მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იმთავითვე მოექცა, რადგანაც მასში საკმაოდ ვრცლადაა დახასიათებული ჭოროხის და მისი შენაკადი ყველა ხეობის, მათ შორის აჭარის, შავშეთ-იმერხევის, ლაზეთის ეკონომიკურ-გეოგრაფიული, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება.

ვ. ლისოვსკის ამ მხარეში არ უმოგზაურია. ამიტომ ნაშრომის მომზადებისთვის ავტორი უპირველესად ეყრდნობა მის ხელთ არსებულ, ოფიციალურ დოკუმენტებს, კერძოდ, სამხედრო სტრატეგიული დაზვერვის უტყუარ საბუთებს, სამოქალაქო სტატისტიკურ მასალას, მანამდე რუსულ ენაზე გამოცემულ ვრცელ ნაშრომებს (დემიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი და სხვ.), აგრეთვე ცალკეული პიროვნების მონათხრობს, რამაც წიგნი მრავალფეროვანი და საინტერესო გახადა.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ვალერიან ლისოვსკი რუსეთის იმპერიის აპოლოგეტად გვევლინება, ყველგან, სადაც ის ახასიათებს „ჩამორჩენილ“, სუსტ ოსმალეთის ხელისუფლებას, ხოტბას ასხამს მხარის ახალ პატრონს, რუსეთის ხელისუფლებას, რომელმაც თითქოსდა მოსვლიდან 5-6 წლის მანძილზე ისეთი ცვლილებები განახორციელა, რომ დამყარდა მშვიდობიანობა, აღიკვეთა ყაჩაღობა, შემცირდა მუჰაჯირთა რიცხვი და ა. შ. ბუნებრივია, ეს ასე არ იყო არათუ იმ რამდენიმე წლის, არამედ რუსეთის იმპერიის ბატონობის მთელ პერიოდში.

თუ ნაშრომიდან ამოვიღებთ ამ დაუმსახურებელ ხოტბას, აგრეთვე, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ზოგიერთი სფეროს არასწორ შეფასებას, ხელთ შეგვრჩება ჭოროხის მხარის მრავალმხრივი შესწავლის შედეგად მიღებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული

ნაშრომი, კერძოდ სამხედრო სტრატეგიული და სამხედრო სტატისტიკური ცნობა, რომელსაც, როგორც ცალკე საგანს, XIX საუკუნის მეორე ნახევარში საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა რუსმა სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწემ დ.ა. მილიუტინმა (**Энциклопедический словарь...**, 1905: 1337).

ვ.ი. ლისოვსკის ამ საქმეში პრიორიტეტი არ ეკუთვნის. იგი ძალზე უხვად სარგებლობს ამ თემის ჭეშმარიტი პიონერების – დიმიტრი ბაქრაძისა (**Бакрадзе, 1878**) და გიორგი ყაზბეგის (**Казбек, 1875; Казбек, 1876**) შრომებით. ცალკეული დებულებების განმეორების გარდა, იგრძნობა, რომ ავტორი ნაშრომის მომზადებისას ძირითადად იყენებს გიორგი ყაზბეგისეულ მეთოდოლოგიას, ამიტომ წიგნის აღნაგობა და შინაარსი ძალზე გავს მას. კერძოდ: მხარის ოროგრაფია, საზღვრები, ტოპოგრაფია, მისი ცალკეული კუთხეები: აჭარა, შავშეთი, იმერხევი, მურღულის ხეობა, ლაზეთი, მაჭახელი და სხვა. მხარის კლიმატი, ეკონომიკური მანქანებლები, ტყეები, სავარგულები, საძოვრები, მინერალური სიმდიდრეები; მოსახლეობა, ცალკეული ტომის და ეროვნების დახასიათება; ქალაქები: ბათუმი, ართვინი, არტაანი; მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობა და ა.შ. გ. ყაზბეგის ნაშრომების მსგავსად, ვ. ლისოვსკის ჭოროხის მხარეც შეიძლება გაეყოს ორ ძირითად, ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ ნაწილებად, რომლებიც მოიცავს მხარის ცხოვრების ყველა სფეროს.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ვ. ლისოვსკის, როგორც ავტორის, შემოქმედების ერთი სერიოზული ხარვეზი. 141-გვერდიანი წიგნის შესადგენად, როგორც ზემოთ ვთქვი, ავტორი იყენებს მრავალნი წინამორბედი მეცნიერის ნაშრომს, ზოგჯერ თითქმის უცვლელად იმეორებს ტექსტსაც, მაგრამ არსად მიუთითებს წყაროებს, გამონაკლისია ორად ორი შემთხვევა (გვ. 135 და 140), სადაც მითითებულია 1884 წლის რუსული ჟურნალები (**«Русская медицина», 1884; «Морской сборник», 1884**). არაა მითითებული არც დიმიტრი ბაქრაძის და გიორგი ყაზბეგის ფუნდამენტური შრომები, რაც მკითხველში ერთგვარ ეჭვს აღძრავს. თუ უკეთესს ვიგულისხმებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ორივე ავტორი ე.წ. თურქეთის საქართველოში საგანგებოდ, დაზვერვის მიზნით ჩამოვიდა, გ. ყაზბეგი თავის ვინაობას არც ამხელდა და ვ. ლისოვსკი უფროთხილდება ცარიზმის სამხედრო მოხელის მუნდირის ღირსებას. თუ უარესს ვიგულისხმებთ, მაშინ ეჭვის ქვეშ უნდა დავაყენოთ ვ. ლისოვსკის მეცნიერული კეთილსინდისიერება და იგი კომპილატორთა რიგში დავაყენოთ.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, ისტორიული სამხრეთ საქართველოს ყოვლისმომცველი და მრავალი ორიგინალური მოსაზრების მქონე „ჭოროხის მხარე“ მაინც რჩება ჩვენი ქვეყნის მეც-

ნიერული კვლევის ერთ-ერთ საყურადღებო ნაშრომად. მეც სწორედ ამან ამაღებინა კალამი მის სათარგმნელად.

ნაწარმოების დადებით მხარეზე არ შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას და ამის შეფასებას მასვე მივანდობ. გამოვთქვამ მხოლოდ რამდენიმე შენიშვნას, რომლებიც თვალში საცემია და საჭიროებს განმარტება-შესწორებას და კრიტიკულ მიდგომას.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მხარეში გავრცელებულ ისეთ სოციალურ ბოროტებას, როგორც იყო ყაჩაღობა და ძარცვა-რბევა. ამ მოვლენას იგი იმთ ხსნის, რომ „მაჭახლელები ამზადებენ იარაღს და ეწევიან ძარცვას“. ბუნებრივია, ასეთი მოსაზრება ძალზე ზერელე და ცალმხრივია. მაჭახლელების იარაღი მართლაც განთქმული იყო, მაგრამ იგი მზადდებოდა არა მოსახლეობის რბევა-აწიოკების, არამედ შეიარაღების და მომხდურისგან თავდაცვის მიზნით. სწორედ ამიტომ გააღწია „მაჭახელამ“ საქართველოს სხვა კუთხეებშიც, როგორც იმ დროისთვის ერთ-ერთმა სანდო და მოხერხებულმა იარაღმა. ავტორის ამ მოსაზრებას ისიც აბათილებს, რომ ძარცვა-გლეჯას ადგილი ჰქონდა, შესაძლოა, უფრო მეტადაც, სხვა კუთხეებშიც, სადაც იარაღი საერთოდ არ მზადდებოდა.

ვ. ლისოვსკი ნაშრომის მომზადებისას იყო კავკასიის სამხედრო ოლქის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი და, ბუნებრივია, მის უშუალო საქმიანობაში შედიოდა როგორც მეზობელი ქვეყნის ტერიტორიების (რომელთა დაპყრობასაც რუსეთი გეგმადა), ასევე დაპყრობილი მხარეების დეტალური ტოპოგრაფიული აღწერა. ავტორისთვის საინტერესო იყო: მდინარეები, მათი კალაპოტების სიფართოე, ხიდების არქიტექტურა, გზები, მათი სიფართოე და დახრილობა, არა იმდენად ადგილობრივი მოსახლეობის სარგებლობის თვალსაზრისით, არამედ ჯარის, არმიის სამოძრაოდ, ტვირთის გადასატანად, განსაკუთრებით არტილერიის, ზარბაზნების, მოძრავი ჰოსპიტალების, სამზარეულოების და სხვათა გადასადგილებლად.

წიგნს მხოლოდ ოთხი სათაური აქვს: 1. მხარის ტოპოგრაფიული მიმოხილვა; 2. მხარის ტოპოგრაფიული ნარკვევი; 3. მხარის ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება და 4. ბათუმი. მაშინ, როცა ამ სათაურების ქვეშ დაწვრილებით არის აღწერილი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების უკლებლივ ყველა სფერო: საზღვრები, მთები, მდინარეები, გზები, მხარის ისტორია, ეთნოგრაფია, მუჰაჯირობა და მისი მიზეზები, ყაჩაღობა და მისი მიზეზები, მხარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, განსაკუთრებით საინტერესოდ სოფლის საზოგადოების ადმინისტრაციული მოწყობა, სასამართლოები, გადასახადების სისტემა, მოსახლეობა და მისი ეთნიკური შემადგენლობა, ცალკე გამოყოფილია აჭარლების, ლაზების (ყოფა-ცხოვრება, ოჯახი), სომხების,

ქურთების ტომები, მათი საკმაოდ ობიექტური დახასიათება და რიცხობრივი რაოდენობა.

მომდევნო თავში ავტორი განმეორებით აღწერს მხარის გეოგრაფიას (განსხვავებული შინაარსით), ეთნოგრაფიას, მცხოვრებთა საქმიანობას (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, მებაღეობა და ა.შ.) მეღიორაციის წესებს, სამიწათმოქმედო იარაღებს, გამწვევ ძაღვს, ხვნა-თესვის და მოსავლის აღება-შენახვის წესებს, პირუტყვის შენახვა-გამოკვებას. ყოველივე ეს მაღალპროფესიულად განხილულია შრომის ეკონომიკური უკუგების ჭრილში, რასაც, ჩემი აზრით, დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს; აქ ავტორის მთავარი დასკვნა ისაა, რომ მიწათმოქმედება და მეცხოველეობა საკმარისი არაა აქაური ოჯახის გამოსაკვებად. ამიტომ აუცილებლად მიიჩნევენ დამხმარე მეურნეობების, კერძოდ მებაღეობა-მეხოსტნეობის, მეფუტკრეობის, მეთამბაქოეობის, მეფრინველეობის განვითარებას და ბუნებრივი სიმდიდრეების: ტყეების, წყლების, საბადოების გამოვლენა-შესწავლა-ათვისებას. ეხება აგრეთვე ამ საქმეებთან დაკავშირებულ სიძნელეებს და მათი გადაჭრის გზებს.

ვ. ლისოვსკის მხედველობიდან არ გამორჩენია, მხარეში ოდითგანვე არსებული შიდა მრეწველობა, მატყლის და ტყავის შეგროვება, მისგან ოჯახისთვის აუცილებელი ტანსაცმელ-ფეხსაცმლის დამზადება, ადგილობრივი, საქსოვი დაზგები; სადურგლო სამუშაოები, მეთუნეობა, სპილენძის ჭურჭლის, სახნისების, სამუშაო იარაღების დამზადება, მოკალეა, უნაგირების და ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის დამზადება და ა.შ.

ცალკე თავად გამოყოფილია ვაჭრობა, სადაც სამართლიანად მიუთითებს, რომ ეს საქმე ქართველებისთვის უცხოა და დიდი სოფლის დუქნებში მხოლოდ სომხები და ბერძნები ვაჭრობენ. ისინი მევახშეობასაც ეწევიან და მოსახლეობისთვის პარაზიტებად ქცეულანო.

ავტორი საკმაოდ ვრცლად ეხება გადასახიდ საშუალებებს: ცხენს, ჯორს, სახედარს, ჭოროხზე და ზღვაზე ნაოსნობას.

საინტერესოა აჭარელთა საოჯახო ყოფის, ჩაცმულობის და კვების ხასიათის ლისოვსკისეული აღწერა. ავტორი ცხოვრების ამ მხარეებს საკმაოდ დაწვრილებით აგვიწერს, რაც მთავარია, იძლევა საკმაოდ რეალურ სურათს, რომელიც თანამედროვე მეცნიერ-ეთნოგრაფებისთვის დღესაც საინტერესო უნდა იყოს.

ავტორს ცალკე თავად გამოუყვია „ბათუმი“, აღწერს ქალაქის ისტორიას, მის სავაჭარო მდგომარეობას, დაჭაობებას და მოუვლელობას ოსმალთა ბატონობის პერიოდში, მოსახლეობის სიმცირეს და ქალაქის გათავისუფლების შემდეგ მის ინტენსიურ მატებას, ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას, ქალაქის განაშენიანების, რკინიგზის ხაზით თბილისთან შეერთებას. განსაკუთრებული ადგილი

უკავია ბათუმის საპორტო და საკურორტო მნიშვნელობას; პორტის შემდგომი განვითარების გეგმებს, ქალაქის საინტარული კეთილდღეობის დამყარებას, ჭაობების დაშრობას, რაც უნდა გამხდარიყო ბათუმის საკურორტო სადგურად გადაკეთების საწინდარი.

როგორც ზემოთ ვთქვით, ვ. ლისოვსკის მოცემული აქვს ჭოროხის მხარეში მცხოვრები ცალკეული ტომის მოსახლეობის რიცხვი. ყველა მათგანზე არ გავამახვილებ ყურადღებას, აქ მხოლოდ ლაზეზე ვიტყვი. მათი რიცხვი 2000-ს უდრისო, ამბობს ავტორი. ბუნებრივია, ეს ძალზე ცოტაა, მაგრამ აქ იგულისხმება არა მთლიანად ლაზეთის ლაზი მოსახლეობა, არამედ ჭოროხის ხეობაში მდებარე სოფლებში მცხოვრები ლაზები.

როგორც ვთქვით, ვ. ლისოვსკი ნიგალის ხეობის ლაზთა რაოდენობას მრგვალი რიცხვით (2000) წარმოგვიდგენს. ამ ხეობის სოფლების მოსახლეობის რაოდენობა ასევე მრგვალი რიცხვებით მოგვაწოდა ზაქარია ჭიჭინაძემაც (**WiWinaZe, 1927**). მისი შენაჯამი კი 2320-ს უდრის, რაც ვ. ლისოვსკის მონაცემს უახლოვდება.

ვ. ლისოვსკი ვრცლად ეხება მხარეში საყოველთაოდ გავრცელებულ ტრადიციას – სისხლის აღებას. მართალია, აქ იგი ამ ტერმინს (რუსულად - кровная месть) არ ხმარობს და მას შურისძიებად მოიხსენიებს, მაგრამ ამას აქ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. იგი ამბობს, რომ შურისმაძიებელი სოფელში აღარ გამოჩნდებაო. ბუნებრივია, რუსი ავტორისთვის უცნობია ქართველ მთიელთა ყოფაში დამკვიდრებული ტრადიცია და ლოზუნგი: „მტერსაც პატივით უნდა მოექცეო“. შურისმაძიებლის სოფლიდან გადაკარგვა, არა იმდენად შიშის, არამედ მტრის პატივისცემას ნიშნავდა.

ვ. ლისოვსკის აჭარელი პირქუშ პიროვნებად ყავს წარმოდგენილი და საინტერესოდაც განმარტავს აქაურთა ხასიათს, თუმცა ისინი რომ არ მღერიან და საკრავებიც კი არა აქვთო, ეს ძალზე გადაჭარბებულია. სხვათაშორის ერთგან გიორგი ყაზბეგმაც გამოთქვა ასეთი მოსაზრება. მიგვაჩნია, რომ ვ. ლისოვსკიც სწორედ მის გამონათქვამს ეყრდნობა. თუმცა სხვა ადგილას ვ. ყაზბეგი აღნიშნავს, როგორ ეცნობოდნენ ქვეყნის ყოფა-ცხოვრებას, სიმღერას და ცეკვას, თოვის სროლას და ჯირითს, რითაც თავის პირველ მოსაზრებას თვითონვე აბათილებს (**ყაზბეგი, 1995: 61**), მაგრამ ეს, როგორც ჩანს, ვ. ლისოვსკის არ შეუმჩნევია.

„ბათუმის ოკრუგის ზოგიერთ უბანში უფროსებად ადგილობრივები არიან“-ო, წერს ვ. ლისოვსკი. ეს სტრიქონები იწერებოდა მაშინ (1883 წ.), როცა თანამდებობიდან გაათავისუფლეს ყველა ადგილობრივი მკვიდრი, მათ შორის: გრიგოლ გურიელი, ნური ხიმშიშიაშვილი, თევფიყ ათაბაგი, მარჯან მარშანია, დურსუნ თავდგირიძე და სხვები. რუსეთის ხელისუფლებამ ისინი გამოიყენა მხარის დაპყრობის ოპერა-

ციებში, ხოლო აჭარაში დამკვიდრებისთანავე ყველა მათგანი დაითხოვა (სურმანიძე, 2007: 32) და მათი პირადი ინტერესები და თხოვნებიც კი აღარ დააკმაყოფილა (შერიფ ხიმშიაშვილი, ხუსეინ ბეჟანიძე, იბრაიმ აბაშიძე და სხვ.).

ვ. ლისოვსკი დეტალურად აღწერს აქაურ სახლებს. ჩვენებურ ლაზურ შენობებს, რომელთაც იგი ფახვერკის სახლებს უწოდებს და რატომღაც მიაჩნია, რომ ისინი ადვილად ინგრევა და სიცივისგან არ იცავს. სინამდვილეში ე.წ. ლაზური სახლები სწორედ თავისი სიმტკიცით და გამძლეობით გამოირჩევა, რაზეც მეტყველებს საუკუნეების წინ აშენებული და აჭარის სოფლებში შემორჩენილი რამდენიმე ნაგებობა (ფურტიო, მახუნცეთი, გონიო და სხვ.), რომელიც „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც“ შეიტანეს (БМЭ, 1949: 4-6).

ვ. ლისოვსკი ცდილობს მხარეში გავრცელებულ ყაჩაღობას რაღაც გამართლება მოუნახოს. მისი თქმით, „აქაური ყაჩაღები ბუნებით ბოროტები არ იყვნენ. ძარცვისკენ მათ უბიძგებდა მკაცრი მოთხოვნილება, რასაც აქეზებდა თურქეთის ადმინისტრაციის სისუსტე და უუფლებობა.“ შეიძლება ამაში ავტორს დავეთანხმოთ კიდევ. მართლაც, ქურდობა-ტაცობა სოციალური სიდუხჭირის ნაყოფი იყო. თუმცა, როცა ავტორი წერს, რომ რუსული წყობილების დამყარების, ე.ი. კანონების გამკაცრების შემდეგ, ყველაფერი მოგვარდაო, ეს ძირშივე მცდარია. რადგანაც რუსული მმართველობის დროს ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა არათუ შემცირდა, არამედ კიდევ უფრო გახშირდა და მასობრივი ხასიათი მიიღო.

ვ. ლისოვსკი განსაკუთრებული სიზუსტით აკვირდება მხარის სოფლის მეურნეობაში შრომის კულტურას და მისი დაბალი დონით ხსნის მცირე მოსავალს და ეკონომიკურ სიდუხჭირეს. აქაური გლეხი ხეს დაამყნის, მაგრამ შემდეგ მიატოვებს ბედის ანაბარა, აღარ უვლის, რის გამო მრავალი ნამყენი ნადგურდებაო. ეს მართლაც ასე იყო, რამაც უძველესი ისტორიული ჯიშების გადაგვარება და გაქრობა გამოიწვია.

ვ. ლისოვსკი ზოგჯერ ტერმინებსაც შეუსაბამოდ იყენებს. მაგ. ის ამბობს, რომ ლობიოს რგავენო, როცა მის დათესვასთან გვაქვს საქმე (თუმცა ჩვენში დარგვასაც უწოდებენ), ან კიდევ თამბაქოს თესავენო, დარგვის ნაცვლად და ა.შ.

ვ. ლისოვსკის ჩანაწერებს თუ მივხედობით, კერძოდ იმას, რომ „წიწიბურა რუსმა გადმოსახლებულებმა ცოტა ხნის წინ შემოიტანეს და თესავენ მხოლოდ კინტრიშის უბანში“, გასაგები გახდება ამ მარცვლოვანი კულტურის ჩვენს მხარეში შემოტანის თარიღი – 1879-1882 წლები, როცა კინტრიშის უბანში ჩამოსახლეს რუსი მოახალშენები.

სიმინდის კარგი ჯიში, წიწიბურასთან შედარებით, რამდენიმე წლით ადრე შემოსულა. ვ. ლისოვსკის აზრით, ათეული წლების წინ,

როცა ჭოროხის მხარეში შიმშილმა დაისადგურა, ოსმალეთის ხელი-სუფლებამ ბულგარეთიდან შემოიტანა მსხვილმარცვლოვანი სიმინდი და მოსახლეობას სესხად დაურიგა. დაუნარჯავი მარცვალი მოსახლეობამ შეინახა და თესვად გამოიყენა, რის შემდეგ მხარეში გავრცელდა მსხვილმარცვლოვანი სიმინდის ჯიში. ეს კი უნდა მომხდარიყო დაახლოებით 1840-იან წლებში.

ჩემი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ აჭარაში გავრცელებული თამბაქოს ჯიშები, რომლებიც „ტრაპიზონისა“ და „სამსონის“ ჯიშებად იყო ცნობილი, მაგრამ არავინ იცოდა, რატომ ერქვათ ასე.

ვალერიან ლისოვსკი პირდაპირ მიუთითებს, რომ „თამბაქოს თესლი პირველად შემოიტანეს ტრაპიზონიდან და სამსონიდან“, ალბათ, ამ ჯიშების სახელის წარმომავლობაც თესლის შემოტანას უკავშირდება. ადრე ჩვენში დაბალხარისხიანი თამბაქო (წეკო) გააშენეს. მისი თესლები XIX ს-ის პირველ ნახევარში შემოიტანეს (**ქსე, 1979: 582**).

ვ. ლისოვსკი მხარის მოსახლეობის კვების თავისებურებას რომ ეხება, აღნიშნავს: „აჭარაში, აგრეთვე, იმერხევის ხეობაში ზამთრისთვის ქათმებს მოიმარებენ შემოდგომაზე: გაპუტავენ, გამოშიგნიან, დაჭრიან, დაამარილებენ და აყოვნებენ სამ დღეს, შემდეგ შებოლავენ და შაშხის სახით ინახავენ გაზაფხულამდე.“ სამწუხაროდ, ავტორს არ უკარნახეს, რა ჰქვია ასეთი წესით მომზადებულ მარაგს. საქართველოს მთიანეთში ამას აპოსტს უწოდებენ.

ვ. ლისოვსკიმ ზოგი იშვიათი ტერმინიც შემოგვინახა. ამ რიგს მივაკუთვნებ მცენარე შიმშირ, რომელიც მსოფლიო მესხეთსა და აჭარაში იხმარება და ბზისა და ტაბლაყურის სინონიმია (**მაყაშვილი, 1991: 17, 65, 133**). ასევე საინტერესო ტერმინად მიმაჩნია მის მიერ მოხსენიებული ქერდიკა. იგი ქართულ ლექსიკონში არ გვხვდება. ტექსტის მიხედვით დასტურდება, რომ ამ სიტყვაში იგულისხმება ქერის და საგაზაფხულო ხორბლის, დიკას თესლების ნარევი.

ადგილობრივი მრეწველობის განხილვისას ავტორი ერთგან ამბობს: „თიხის ჭურჭლის აგურის და კრამიტის ქარხნები გვხვდება ყველა უბანში, გარდა კინტრიშისა და ქვემო აჭარისაო“. მისთვის ცნობილი არაა ქვემო აჭარაში მოქმედი ერთ-ერთი უძველესი ასამბაძეების კრამიტის ქარხანა, რომლის პროდუქცია რამდენიმე სახლს დღესაც ახურავს.

ვ. ლისოვსკის ცალკე გამოუყვია მოსახლეობის კვების თავისებურება და ხასიათი. იგი საკმაოდ დაკვირვებულებას იჩენს ამ თემაზე მუშაობისას, თუმცა მის მიერ შედგენილი რაციონი საკმაოდ ღარიბია, რაც ავტორის ნაკლები ინფორმირებულობით უნდა ავსხნათ. ამას მიეწერება ზოგი განთქმული კერძის სახელის უცოდინარობა. ასე მაგალითად, მას უკარნახეს კერძი „გურჯი თავუხი“, მოხარშული და დაჭ-

რილი ქათამი, შეზავებული დანაყილი ნიგვზით და ნიგვზის ზეთით“. აშკარაა, რომ აქ იგულისხმება „საცივი“, მაგრამ ვ. ლისოვსკისთვის ეს სიტყვა უცნობია.

ავტორმმა საკმაოდ საინტერესოდ და შინაარსიანად აღწერა ქალაქი ბათუმი და მისი ღირსშესანიშნობანი, პორტი, ბულვარი, საცხოვრებელი სახლები და ა.შ. წინა კონფერენციაზე პროფესორმა ნოდარ კახიძემ წარმოადგინა ვრცელი ნაშრომი „გლადიმერ ლისოვსკი ბათუმის შესახებ“ (კახიძე, 2013: 202-208). ამიტომ, ვალერიან ლისოვსკის შემოქმედების ამ ნაწილზე მხოლოდ ზემოთ ნათქვამი სქემატური განმარტებით შემოვიფარგლები და აღარ შევახერებ მკითხველის ყურადღებას.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**კახიძე, 2013:** – კახიძე ნ., ვ. ლისოვსკი ბათუმის შესახებ, – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა, III, ბათუმი.

**მაყაშვილი, 1991:** – მაყაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

**სურმანიძე, 2007:** – სურმანიძე რ., თავდაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში, თბილისი.

**ქსე, 1979:** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, IV, თბილისი.

**ჭიჭინაძე, 1927:** – ჭიჭინაძე ზ., ოსმალეთის ყოფილ საქართველოს და ქართულ მაჰმადიანთ ნაწილი. ლაზისტანი ისტორიულის და ეთნოგრაფიულის მხრით ტფილისი.

**ყაზბეგი, 1995:** – ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში. თარგმნა რამაზ სურმანიძემ, გამოსცა მამია ხარაზმა, ბათუმი.

**Бакрадзе, 1878:** – Бакрадзе Д., Археологические путешествия по Гурии и Аджаре, Санкт-Петербург.

**БМЭ, 1949:** – Большая медицинская энциклопедия, I, Москва.

**Казбек, 1875:** – Казбек Г., Три месяца в турецкой Грузии, Тифлис.

**Казбек, 1876:** – Казбек Г., Военно-статистический и стратегические очерки Лазистанского санджака, Тифлис.

**«Морской сборник», 1884:** – Журн. «Морской сборник», 1884, №2.

**«Русская медицина», 1884:** – Журн. «Русская медицина», 1884, №№ 20; 27.

**Чорохский край В.А. Лисовского, Тифлис, 1887.**

**Энциклопедический словарь..., 1905:** – Энциклопедический словарь Ф. Павленкова, Санкт-Петербург.

**Ramaz Surmanidze**  
(Batumi, Georgia)

**Valerian Lisovski –  
the Researcher of the Gorges of Chorokhi and Adjaristskali**

**Summary**

Valerian Lisovski (1852-1906), a senior official of the Caucasian Army, in 1887 published an extensive study of „Chorokhi side“, where described the newly liberated, so-called, Georgia of Turkey valleys, towns and provinces, socio-economic, cultural, educational, historical and geographical conditions. Preceded by richly enjoyed travel records, newspaper articles and official statistical data, which resulted in him an opportunity to create a profound, deep and meaningful, at the time of the military and civilian strategic scientific papers. V. Lisovski's some observations haven't lost theoretical and practical importance.

## ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომის ოქმები ბათუმის სკოლის შესახებ

1879 წელს ქართველი ინტელიგენციის მიერ დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენდა. ის იცავდა და კრებდა ქართველი ხალხის სულიერ და მატერიალურ ძეგლებს; ხსნიდა საგანმანათლებლო დაწესებულებებს: მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, სტამბას, წიგნის მაღაზიებს. საზოგადოებამ დაარსებისთანავე ყურადღება გაამახვილა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სკოლების მდგომარეობის შესახებ, აღრიცხა სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით, სკოლები დაარსდა არაერთ ქალაქსა თუ სოფელში.

1881 წელს სკოლა გაიხსნა ბათუმში, რომლითაც დაიწყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი ტრადიციების აღდგენა აჭარაში. ი. გოგუბაშვილის აზრით, სკოლის დაფუძნების მიზანი შემდეგი იყო: „ახლად შემოერთებულ მაჰმადიან ქართველთა შვილები მიეზიდნა, პირველდასწყებითი განათლება მიეცა მათთვის, გაემართნა ქართულის წერა-კითხვაში, მათის შუამავლობით შემდეგში გაეგრძელებინა აჭარა-ქობულეთში ქართული წიგნის ცოდნა და ამ გზით განეახლებინა კავშირი დვიდლ ძმათა შორის, რომელნიც უღმობელმა ბედმა ერთმანეთს გაჰყარა წარსულ საუკუნეებში“.

საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ოქმებში არაერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ფაქტთან ერთად, განხილულია ბათუმში დაარსებული სკოლის საკითხი, რომელიც წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა საზოგადოების დახმარებით, ის ყოველწლიურად 1700 მანეთს ხარჯავდა სკოლის კეთილმოწყობისთვის.

ცნობილია, რომ ბათუმის სკოლა ყოველთვის იყო ქართველი ინტელიგენციის ზრუნვის საგანი, მისი აუცილებელი პირობებით უზრუნველსაყოფად მრავალი პატრიოტი იღვწოდა, რომელთა შორის აღსანიშნავია გრიგოლ ვოლსკი, ივანე მესხი და სხვები. მათი ძალისხმევით, ყოველ წელს, 14 იანვარს, ტარდებოდა საღამოები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ქართველი პოეტები, საზოგადო მოღვაწეები. პირველ საღამოზე ბათუმს ეწვია აკაკი წერეთელი, რომლის დროსაც დიდძალი თანხა შემოვიდა და გადაეცა სკოლას საკუთარი შენობის

ასაშენებლად. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომის ოქმების მიხედვით, შემომწირველთა შორის არიან მომღერალი და ლოტბარი ფილიმონ ქორიძე, რომელმაც 1884 წელს რამდენიმე კონცერტი გამართა ბათუმის სკოლის სასარგებლოდ (საე, ფ.481, ს.66, გვ.13), ხოლო 1901 იაკობ გოგებაშვილმა 200 მან. გადასცა სკოლის ადმინისტრაციას (საე, ფ.481, ს.740, გვ.129).

საარქივო მასალიდან ჩანს, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ბათუმის სკოლას შორის ორმხრივი თანამშრომლობა არსებობდა. ბათუმის სკოლის ადმინისტრაცია ცდილობდა, რომ საზოგადოებაში ქველმოქმედი ადამიანები გაეწვევრებინა და ამ გზით მას ფინანსურად დახმარებოდა. 1883 წელს მოსე ნათაძემ საზოგადოებას გაუგზავნა ახალი წევრებისგან მიღებული 58 მან. და აცნობა, რომ დრამატული წრე შედგა, რომელიც წარმოდგენებს გამართავდა საზოგადოების სასარგებლოდ და ამ მიზნით პიესებს ითხოვდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარემ – ილია ჭავჭავაძემ კი პიესების შერჩევა პუბლიცისტსა და საზოგადოების აქტიურ წევრს – გიორგი თუმანიშვილს მიანდო (საე, ფ.481, ს.45, გვ.150). ბათუმში მ. ნათაძის ინიციატივით, ქართული წარმოდგენების დადგმაც დაიწყო. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევდნენ – ქეთევან ჟურული და ნინო გედევანიშვილი (ხუნდაძე, 1960: 30). თავის მხრივ კი, საზოგადოება ბათუმის სკოლის წვრილმან ხარჯებსაც კი კისრულობდა. კერძოდ, შეშის, სადუხინფექციო წამლების, რომლებიც საჭირო იყო ქოლერის გავრცელების გამო.

სხდომის ოქმებიდან ირკვევა, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება არა მხოლოდ ფინანსურად ეხმარებოდა ბათუმის სკოლას, არამედ სისტემატურად თვალყურს ადევნებდა მის შინაგანაწესს, სკოლის მდგომარეობას, მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის სტატისტიკას. ისინი განსაზღვრავდნენ სწავლის პროცესის დაწყებასა და არდადეგების თარიღს. სწავლის დასრულების თარიღად, ძირითადად, იღებდნენ ქართველ მუსლიმთა დღესასწაულს „რამაზანს“. მათ მიერ დაარსებული სკოლების შესამოწმებლად ხშირად აგზავნიდა რევიზორებს. ბათუმის სკოლაში რევიზორად იყო გაგზავნილი იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ სკოლა კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი სიტყვებით: „ბათუმის სკოლა წარმოადგენს ამჟამად ნამდვილ პედაგოგიურს სასწავლებელს, ჭეშმარიტ ლამპარს განათლებისას, რომელიც ქართველთა გაძლიერებას ამ მხარეში მეტად დაეხმარება“ (საე, ფ.481, ს.350).

დოკუმენტაციაში რიცხოვრივადაა დაკონკრეტებული და დაწვრილებითაა ჩამოთვლილი მოსწავლეების მიერ გაკვეთილების გაცდენის მიზეზები: მშობელთა უყურადღებობა, სიზარმაცე, ავღარი, სხვადასხვა სნეულება, ბაირამის უქმეები და სხვა.

ბუნებრივია, რომ განსაკუთრებით ფრთხილია და დელიკატური ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამოკიდებულება სარწმუნოებრივი საკითხების მიმართ. საზოგადოების წევრებს შორის დაისვა საკითხი ხოჯის ადგილის გაუქმების შესახებ, რასაც ხსნიდნენ ფინანსური სიძნელებით, ისინი ვარაუდობდნენ თანხის დაზოგვას ქობულეთში სკოლის გახსნის მიზნით. 1892 წლის 24 მარტის სხდომაზე ეს საკითხი კეთილგონიერულად გადაწყდა – ბათუმის სკოლაში მასწავლებლად ხოჯა დატოვეს, რადგან ამ ადგილის გაუქმებას საბოლოოდ არასასურველი შედეგები მოჰყვებოდა (საე, ფ.481, ს.198, გვ.187).

საარქივო მასალა გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას მოსწავლეების სოციალური, ეთნიკური და კონფესიური სტატუსის შესახებ. 1884 წლის მონაცემებით, სკოლაში სწავლობდნენ ქართველი მუსლიმები, მართლმადიდებლები და კათოლიკეები. ქართველ მუსლიმთა შორის იყვნენ ბეგები, ალები, ვაჭართა და ხელოსანთა შვილები. ქრისტიანთა შორის ბათუმის სკოლაში ცოდნას იღებდნენ აზნაურები და გლეხები. 1889 წლის საარქივო დოკუმენტების მიხედვით, სკოლაში ქართველ მუსლიმთა და ქრისტიანთა გვერდით, სწავლობდნენ ებრაელები და სომეხი გრიგორიანები.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომის ოქმებში ხშირად არის დასმული ბათუმის სკოლის დახურვის საკითხი, რადგან ამ სკოლაში დაწყებითი განათლება უნდა მიეღოთ ქართველ ქართველ მუსლიმებს და სკოლა უნდა გამხდარიყო მათ შორის ეროვნული ცნობიერების გამაღვივებელი და ქართული კულტურის განმამტკიცებელი. თუმცა პროცენტული მაჩვენებლებით, ბათუმის სკოლის მოსწავლეთა შორის, ძირითადად, ქართველი ქრისტიანები არიან. 1881 წელს სკოლაში სწავლობდა 11 მუსლიმი, 6 კათოლიკე და 11 მართლმადიდებელი.

1884 წლის საარქივო მონაცემებით, სკოლაში სწავლობდა 64 მოსწავლე, რომელთაგან 28 მუსლიმია, დანარჩენი კი მართლმადიდებლები და კათოლიკეები. ამა წლის 11 დეკემბრის სხდომის ოქმის თანახმად, სკოლაში ახალშემოსულ მოსწავლეთა შორის იყვნენ მეგრელები და აფხაზებიც (საე, ფ.481, ს.66, გვ.26).

1899 წელს ბათუმის სკოლაში სწავლობდა 118 ქრისტიანი, 29 მუსლიმი, 3 ებრაელი და 5 სომეხი-გრიგორიანი (საე, ფ.481, ს.350).

1887 წლის 24 მაისს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საერთო კრებაზე ბათუმის სკოლის დახურვის შესახებ ცხარე კამათი გაიმართა, რომელიც დასრულდა იმით, რომ კრებამ საჭიროდ სცნო ბათუმის სკოლის დატოვება. კრებაზე ივანე მანაბაღმა განაცხადა: „ბათუმის სკოლა მართლაც ძვირად უჯდება საზოგადოებას, მაგრამ მაინც უნდა იარსებოს, რადგან ეს სკოლა ისეთი დაწესებუ-

ლებაა, რომლის სარგებლობა ფულით არ იზომება”. იმავე წელს, ბათუმში დაარსდა სკოლის მზრუნველი კომიტეტი, რომელსაც დაეკისრა სკოლის შენახვა (**ხუნდაძე, 1960: 31**). უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტის პარალელურად, სკოლას შემწეობას კვლავ ყოველწლიურად საზოგადოება უწევდა, თუმცა ბათუმის სკოლის მზრუნველ კომიტეტს 5 წლის განმავლობაში დიდი ძალისხმევით შეუგროვებია 20000 მან. და სკოლის შენობა აუშენებიათ, სადაც მასწავლებლებისთვის გამოყოფილი ორი ოთახიც არსებობდა. აღნიშნული თანხა ადგილობრივი მოსახლეობისა და სრულიად ქართველი ერის დახმარებით შეგროვდა.

ამრიგად, საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულ წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ოქმების მიხედვით, შესაძლებელია ბათუმის სკოლის ისტორიის არაერთი მონაცემის რეკონსტრუქცია. დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა წიგნიერების გავრცელების თვალსაზრისით, ის პოპულარული იყო როგორც ქართველ ქრისტიან, ისე ქართველ მუსლიმთა შორის.

**გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

**საე, ფ481, ს.** – საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 481, საქმე №№45; 66; 198; 350; 740.

**ხუნდაძე, 1960:** – ხუნდაძე ტ., ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბილისი.

**Ketevan Khitarishvili**

(Tbilisi, Georgia)

**Society for the spreading of Literacy among Georgians Protocols  
about Batumi school**

**Summary**

At the National Archives of Georgia there are kept some records of the Society for the spreading of Literacy among Georgians, in which among other interesting and important facts there is a quite important issue on the opening a new school in Batumi 1881. The school had been functioning by the help and support of the Society over the years.

It is possible to reconstruct the history of the school based on these protocols. The documents show that Batumi school played an important role in spreading of Literacy in Achara. It was popular for both Christians and Muslims as well. It is worthy to mention that in those times among the prominent Georgians who were taking care of Batumi school, were Ilia Chavchavadze, Iakob Gogebashvili and Dimitri Kipiani as well.

## ბათუმის მებაბიანე ლევან მჭედლიშვილი (ხრუხანა)

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის ოცტომეულის მე-17 ტომში (მომზადდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, „ილიას ფონდი“, თბ., 2014) გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილი ლევან ლუკას ძე მჭედლიშვილისადმი: „1882 წლის 19 დეკემბერი. ბ. ლევანო! მმართველობას მოუვიდა ცნობა, რომ თქვენ გსურთ შეეწიოთ, რითაც კი შესაძლებელი იქნება თქვენთვის, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლას ბათუმში. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მოწყალეო ხელმწიფე, რომ მმართველობა დიდის მადლობით მიიღებს ყოველ შემწევობას, რითაც კი თქვენ აღმოუჩნთ მის სკოლას. **თავმჯდომარის ამხანაგი ილია ჭავჭავაძე**” (ჭავჭავაძე, 2012: 94).

ამ მადლობის წერილმა კიდევ უფრო გააცხოველა ჩემი ისედაც სუბიექტური ინტერესი ამ პიროვნების მიმართ და ამ კონფერენციამ კი მომცა სტიმული დამეწყო კვლევა ამ პიროვნების შესახებ (უფლებას ვიტოვებ, ჩემი ინტერესის მიზეზი ინტრიგად შემოვინახო).

ლევან ლუკას ძე მჭედლიშვილი იყო ბათუმის მკვიდრი, აღმსარებლობით კათოლიკე, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, საზოგადო მოღვაწე, ბათუმის საკრებულოს დეპუტატი. მამამისი სოფ. უდედან გადასახლებულა ბათუმში. მას ორი ძმა ჰყავდა: გრიგოლი და პეტრე. ზაქარია ჭიჭინაძის დახასიათებით, გრიგოლი იყო კაცი ცნობილი ვაჭრობით, მას უკისრია უმცროსი ძმების აღზრდა და დახმარებია მათ, რომ განათლება მიეღოთ მარსელში. უმცროსი ძმა პეტრე (1860-1925) ყოფილა ცნობილი ფინანსისტი, ქმწკ საზოგადოების წევრი, აგტორი წიგნისა „ლონდონელი მაწანწალები“, ცნობილი მოცეკვავე და ბათუმის ქართველ კათოლიკეთა წარმომადგენელი ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე („დროება“, 1877, №39). ძმებს შორის ყველაზე გამორჩეული იყო ლევანი. ისევ ზაქარია ჭიჭინაძეს დავიმოწმებთ: „ლევან მჭედლიშვილი თავისი დროის კვალად ითვლებოდა ერთს საუკეთესო მამულიშვილად, ერთს უწარჩინებულ ქართველ ადამიანად. იგი იყო განათლებული კაცი, ამასთანავე, კარგად მომზადებული, კარგის თვისებით დაჯილდოებული, ვისაც კი მისი ცნობა აქვდა, ყველა ის თამამად დამეთანხმება, რომ ბათუმის მიდამოებში უპირველეს პირად ითვლებოდა ლევან ლუკას ძე ქართველი ერის ცხოვრების ასპარეზზე” (ჭიჭინაძე, 1905:60). ის გატაცებული ყოფილა ქართული ხალხური

სიძველეების შეკრებითაც, იყო მეცენატი, ქართული მწერლობის მოამაგე, ქართველ კათოლიკეთა ქომაგი და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის იყო ბათუმის შემამატიანე.

ლევან მჭედლიშვილი წერდა „კრაზანას“, „ლას-ლას-მანი“-ს, „ჭიამიას“, „უდელის“ და, ჩვენი დაკვირვებით, „ბავრელის“ ფსევდონიმებით. ინტენსიურად აქვეყნებდა „ბათუმის ამბებს“ ჯერ გაზეთ „დროებაში“, შემდეგ გაზეთ „ივერიაში“. მისი კორესპონდენციები ბათუმისა და მისი შემოგარენის პოლიტიკურ-სოციალური და საგანმანათლებლო-კულტურული მოვლენების შესახებ აქტიურად ეხმიანებოდა იმდროინდელი ბათუმის ყველა დირსშესანიშნავ თუ უმნიშვნელო მოვლენას. თემატურად და შინაარსობრივად მეტად მრავალფეროვანი იყო მისი პუბლიკაციები: ახლად შემოერთებული ბათუმისა და აჭარელი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური შეჭირვება, მუჰაჯირობის თემა, სკოლის გახსნა და მოსახლეობის განათლების აუცილებლობა; ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობა, სასამართლო და ჯანმრთელობა; ქალაქის არქიტექტურა, ანტისანიტარია და ხანძარი ბათუმში; ქართველ სცენისმოყვარეთა დასის მიერ ჩატარებული საქველმოქმედო წარმოდგენები და ბათუმის სკოლისთვის შეგროვილი თანხის გაქრობა და მრავალი სხვა.

ცხადია, ერთ საკონფერენციო მოხსენებაში შეუძლებელია ასეთი დიპაზონის მქონე პიროვნების ცხოვრებისა და შემოქმედების სრული სურათის წარმოდგენა, ეს მონოგრაფიის თემაა. შევეცდებით, ამჯერად ფრაგმენტულად შევეხოთ ამ დიდებული პიროვნების შემოქმედების მხოლოდ რამდენიმე ასპექტს.

### **ლევან მჭედლიშვილი – პუბლიცისტი და კრიტიკოსი**

ქრონოლოგიურად რომ მივყვით მის კორესპონდენციებს, იმდროინდელი ბათუმის ისტორიის აღდგენასაც შევძლებთ. ჩვენ მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია რამდენიმე ათეულ პუბლიკაციას ითვლის. მისი პირველი წერილები 1878 წელს გამოჩნდა „დროებაში“. 1879 წლიდან ლ. მჭედლიშვილის წერილები ეხება ბათუმის შემოერთებული მაზრის პრობლემებს. აჭარელების გაჭირვებულ მდგომარეობას და მათ გადასახლებას, ადგილობრივი სასამართლოსა და ჯანმრთელობის საკითხებს. ქალაქის თავის დანიშვნას, კამათს ქართველთა კათოლიკობის შესახებ და სხვ.

საგულისხმოა, რომ ლევან მჭედლიშვილის კორესპონდენციები, ინფორმაციასთან ერთად, მოვლენის ვრცელ ანალიზსა და კრიტიკულ შენიშვნებსაც შეიცავდა, ალბათ, შემთხვევითი არაა მისი ფსევდონიმი – კრაზანა.

ბათუმში სკოლის გახსნის აუცილებლობა მეტად აქტუალური იყო. კორესპონდენტი „დროების მკითხველს“ 1880 წლის 16 თებერვალს ატყობინებს, რომ 28 იანვარს ვიღაც ბატონ მიხაილოვს სურს გახსნას კერძო სასწავლებელი, ჯერ მხოლოდ 30 მოსწავლისათვის, ფასი 5 მანეთი. კრაზანა (ლ. მჭედლიშვილი) იწონებს ამ ინიციატივას, ეს იქნება პირველი სკოლა ბათუმში და შემდეგ გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „საჭიროა ჩვენმა მთავრობამაც ყოველწლიურად დაეხმაროს და ქმშკვ საზ-ბამ თავისი მოწყალე თვალთ ჩვენი ახალი შემოერთებულ ადგილებზე გადმოხედვა ინებოს“ (სტილი დაცულია - ჯ. გ.). მისი შემდგომი კორესპონდენცია საზოგადოებას სასიამოვნო ამბავს ამცნობს, რომ 4 აპრილს ბათუმში დიდი ამბით უზემიათ იმპერატორის მშვიდობიანად გადარჩენა, გენერალ კამაროვს გამოუთქვამს სურვილი, რომ შეეგროვებინათ აქვე ფული ბათუმის სკოლისთვის, 500 მანეთამდე შეგროვილა, კორესპონდენტი გახარებული წერს: „დროა, დიდი ხანია დროა, რომ ამ ახლად შემოერთებულ მაზრაში და ქალაქში ერთი სკოლა მაინც დავაარსოთ, თუ მთავრობა ვერ იკისრებს ამას, ჩვენ მაინც მოვახერხოთ. წერა-კითხვის კომიტეტი რას შვრება ნეტავ? ეს იყო ჩვენი თავის ხეთქა? ჩვენი ღმერთთან დალადი, რომ დაკარგული ძმები გვიბრუნდებიანო? ასე გულგრილათ უნდა უყურებდეთ ამათ დაჩაგრულ ბედს და ამნაირი პატრონობა და დახმარება იყო ჩვენგან იმათთვის საჭირო?“ („დროება“, 1880, №84: 3).

„დროების“ შემდეგ ნომრებში გამოქვეყნდა შემომწირველთა სია, ვფიქრობთ, მისი ეს ინიციატივა თუ შენიშვნა უყურადღებოდ არ დაუტოვებია ქმშკვ გამავრცელებელ საზოგადოებას. როგორც ცნობილია, თავად ილიაც ძალიან დაინტერესებული იყო ამ საკითხის მოგვარებით, ქართული სკოლების დაარსებისათვის ზრუნვა ილიას მრავალმხრივი მოღვაწეობის მეტად მნიშვნელოვან სფეროს მოიცავდა. აღნიშნულ საკითხს მწერალი ხშირად იხილავდა სათავადაზნაურო ბანკის საანგარიშო კრებებზეც, რაც კარგად ჩანს სკოლებთან მიმოწერის დამადასტურებელი წყაროებიდანაც.

როგორც ჩანს, ლევან მჭედლიშვილის „ლალადი არ დარჩენილა უდაბნოსა შინა“ და 1881 წელს ქმშკვ საზოგადოებამ ბათუმში სკოლა გახსნა. ილიას რჩევით, სკოლის წინამძღვრად ალ. ნანეიშვილი დაინიშნა. ილია პირადად ხელმძღვანელობდა ამ საქმეს და საჭიროდ მიუჩნევია დასწრებოდა ბათუმში სკოლის გახსნას. ილიას თხზულებათა მე-17 ტომში ასევე პირველად იბეჭდება დეპეშა ალექსანდრე ნანეიშვილისადმი: „1880 წლის 21 დეკემბერს, მასწავლებელ ნანეიშვილს, ბათუმში. მაცნობეთ, როდის იქნება მზად სკოლა გასახსნელად, რომ ამ დროისათვის ჩამოვიდეთ. ილია ჭავჭავაძე“ (ჭავჭავაძე, 2012: 91).

ილია მართლაც ჩავიდა ბათუმში, ამ მოვლენას უმაღლესი გამოეხმაურა კრაზანა: „ძლივს, როგორც იქნა გვადირსა საქართველოში წკვ

საზ-ბამ პირველი სასწავლებლის გახსნა ბათუმში, რომლისთვისაც იყო გამოგზავნილი თ. ილია ჭავჭავაძე. მისი თხოვნით, პირველ დღეს ბათუმის ღუბერნატორმა ბ. კამაროვმა მოიხმო ადგილობრივი ხალხისგან რამდენიმე წარჩინებული პირი და მათ გამოუცხადა ხსენებული საზოგადოების მიერ სკოლის გახსნა და ის, რომ ხსენებულ სკოლაში მაჰმადის სარწმუნოების ყმაწვილებმა უნდა ისწავლონო. პხალხმა დიდი მადლობა გადაუხადა და დაჰპირდნენ, რომ ისინი დიდი სიამოვნებით მისცემენ თავიანთ შვილებს ხსენებულ სკოლაში. მეორე დღეს თ. ილია ჭავჭავაძეს მადლობა გადაუხადა კამაროვმა და გამოუცხადა, რომ ყველას შეუძლიან მიაბარონ შვილები და ასწავლებიონ ჭეშმარიტება და არა უსაფუძვლო რამეები, რადგანაც უსაფუძვლოდ ნასწავლები ჩვენ გიაურებს გვეძახიანო... თუმცა ამბობდნენ, რომ ოცდაათამდე შესრულდება ყმაწვილების რიცხვიო, ამაში რამოდენიმე ბეგების შვილები ყოფილან, მაგრამ იმ დღეს, მხოლოდ ხუთიოდ ყმაწვილი დაესწრნენ, ისიც ახალციხელები... უშოვნელობის მიზეზით ჯერ-ჯერობით მოუთავსებელია სკოლის შენობა, მაგრამ სამაგიეროთ თ. ჭავჭავაძემ შემოგვიპირდა, რომ უთუოდ აქ საზოგადოება თავისი ხარჯით სკოლისთვის შენობას ააშენებს, რომლისთვისაც ქალაქი მუქთად დაჰპირებია ადგილის მოცემას. უკანასკნელად დაგვრჩენია ხსენებულ საზოგადოებას ერჯერ კიდევ მადლობა უძღვნათ და ვისურვოთ მათი არსებობის დღეგრძელობა და ისა, რომ გამოსჩენოდეს ბათუმს ერთი იმისთანა საზოგადოება, რომ დიდრონი ბავშვებისთვისაც გაეხსნასთ სასწავლებელი” („დროება”, 1881, №60: 2-3). აღ. ნანეიშვილის შემდეგ სკოლის დირექტორად დანიშნულ იქნა მიხეილ შარაშიძე, რომელსაც ასე არიგებდა თურმე ილია: „...დიდი სიფრთხილით და მოხერხებით არის საჭირო ქართველ მუსულმანებს შორის მუშაობა, გახსოვდეს, რომ ქართველი მუსულმანები ჩვენი ძმები, მეტად ნიჭიერი, დინჯი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია, იხმარე ყოველი ღონე, რომ მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო” (შარაძე, 1987: 296).

ასევე აქტიურად გამოეხმაურა ლევან მჭედლიშვილი 1897 წელს 23 სექტემბრის „ივერიაში” ბათუმში გიმნაზიის დაარსებას. ბათუმის სკოლის საკითხი ერთობ ვრცელია და ამჯერად ჩვენი მოხსენების თემას სცილდება.

გამორჩეულად საინტერესო და მნიშვნელოვანია მისი წერილები, რომლებიც ეხება შემოერთებული მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური გაჭირვების გადმოცემას. ლ. მჭედლიშვილი შესანიშნავად ხვდებოდა, რომ განათლებასთან ერთად აუცილებელი იყო მოსახლეობისათვის ჯანმრთელობისა და სასამართლოს საკითხების მოგვარება. „დროების“ 1880 წლის 24 თებერვლის პუბლიკაციაში იგი წერს, რომ ბათუმში სასამართლო რუსულ ენაზე იწარმოება, რაც მეტად

ართულებს ადგილობრივი, განსაკუთრებით, შემოერთებული მოსახლეობის მდგომარეობას, საჭიროა კეთილსინდისიერი მოსამართლე, რომელსაც ან ქართული და ან თათრული მაინც ეცოდინება.

ამავე კორესპონდენციაში იგი ვრცლად ეხება ბათუმის მაზრაში ჯანმრთელობის პრობლემებს. როგორც მისი წერილებიდან ირკვევა, განსაკუთრებით თავი იჩინა ვენერიულმა დაავადებებმა, ჩამოსახლებული მოსახლეობა სამკურნალოდ ექიმთან მისვლას თაკილობდა, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობდა ამ დაავადების გავრცელებას. ისინი ენდობოდნენ მხოლოდ ერთ ცნობილ ექიმ ბენლის, რომელსაც სახელმწიფომ კერძო აფთიაქი გაუუქმა და სანაცვლოდ სხვა აფთიაქი გახსნა. კორესპონდენტის ცნობით, ეს მეტად მძიმე პრობლემაა და მისი მოუგვარებლობაც კიდევ ერთი ბიძგი იქნება მუსლიმი მოსახლეობის უკან წასასვლელად.

კორესპონდენტის აზრით, შემოერთებული მაზრის მოსახლეობას განსაკუთრებული დახმარება სჭირდება, მათ ამ ბოლო წლებში იმარჯვეს, დახნეს მიწები, მაგრამ თუ მთავრობა სესხად 10 000 მანეთს მაინც არ გამოუყოფს, სხვაგვარად გაუჭირდებათ ცხოვრება, „ჩვენ არაფრით დავეხმარეთ მათ და სამი წლის განმავლობაში ომისგან გადატარებული ხალხი დავტოვეთ ღვთის ანაბარად“ („დროება“, 1880, №150).

მეტად საყურადღებოა ერთი კორესპონდენცია, რომელიც ეხება მუჰაჯირების თემას. კორესპონდენტის აზრით, ეკონომიკურად გაჭირვებული ხალხი იძულებულია აიყაროს და წავიდეს ოსმალეთში, თუმცა მათ თვალი აქაურობაზე რჩებათ, მათ ოსმალეთის ხელისუფლება აშანტაუებს იმ მოტივით, რომ თუ არ დაბრუნდებიან, ალაჰი აღარ მიიღებს, მერე კი აღარ პატრონობს მათ და საზღვრების ნაპირებზე ასახლებენ. ამავე დროს, კრაზანა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ რუსეთსა და ევროპის ქვეყნებს ნამდვილად შესწევთ ძალა, რომ აუკრძალონ ოსმალეთს ამ ხალხის დაშანტაუება („დროება“, 1880, №114).

### **ბათუმის თვითმმართველობის შესახებ**

ლევან მჭედლიშვილი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი იდეის ინიციატორადაც გვევლინება. ბათუმისა და მისი შემოგარენის შემოერთების შემდეგ ბათუმის მმართველობა ძირითადად არაქართული მოსახლეობისაგან შედგებოდა, ქართველ მოღვაწეებს მეტად აწუხებდათ ეს საკითხი. ლევან მჭედლიშვილი ჯერ კიდევ 1881 წლის „დროების“ 19 აგვისტოს კორესპონდენციაში გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ახალმა გუბერნატორმა სმეკალოვმა უნდა იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობასთან, რათა ქალაქის თვითმმართველობის შექმნას მიაღწიონ. ამხელა ქალაქი ორ დეპუტატზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. როცა ბა-

თუმში ამდენი ხალხია მოსული ევროპის სხვადასხვა ადგილიდან, რუსეთიდან, აუცილებელია ქალაქის თვითმმართველობის შექმნა. უფრო მეტიც, დეპუტატებიც კი არ ჰყავთო. როგორც ჩანს, პრობლემის გადაჭრას კიდევ დიდი დრო დასჭირდა. მხოლოდ 14 წლის შემდეგ, ილიას ძალისხმევით, მოხერხდა ბათუმის თვითმმართველობის შემადგენლობის შეცვლა. სწორედ ამ მიზნით ილია მეორედაც ჩასულა ბათუმში 1895 წელს. მისი მასპინძელი იყო გრ. ვოლსკი (უმწიფარიძე). ილია ხან მის ბინაში ცხოვრობდა, ხან – სასტუმრო „საფრანგეთში“, ადგილობრივ ინტელიგენციას კი ხვდებოდა ბათუმის საკრებულოში. ილიას სტუმრობის ძირითადი მიზანი, როგორც ჩანს, იყო ის, რომ ბათუმის თვითმმართველობის არჩევნებში ხმოსნებად ქართველები გასულიყვნენ, იგი თავად ესწრებოდა არჩევნებს „საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას სავარძელზედ მოთავსებული იყო და არჩევნებს უყურებდა განგებ ამ შემთხვევისთვის ჩამოყვანილი თბილისიდან ილია ჭავჭავაძე. ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდი აღტაცება გამოიწვია ქართველობაში“ (მემუარები, 1935: 166). ბათუმის თავად, ილიას რეკომენდაციით, არჩეულ იქნა ლუკა ასათიანი. დიდი ცოდნისა და გამოცდილების პატრონი.

როგორც ცნობილია, თავად ლევან მჭედლიშვილიც რამდენიმე წლის განმავლობაში იყო ბათუმის თვითმმართველობის დეპუტატი და ისევე აქტიურად ეხმიანებოდა ყველა პრობლემას. „დროების“ 1901 წლის 29 ივნისს კრაზანა წერს ბათუმის თვითმმართველობის კრებაზე გრ. ვოლსკის არჩევის ამბავს, ამავე კრებაზე საბჭოს განუხილავს ბათუმისა და მის არემარეში ჭაობის ამოსაშრობად დახარჯული 150 000 მანეთის გარდა კიდევ 217,992 მ და 30 კაპ. მოთხოვნის საკითხი.

### **ქართველ კათოლიკეთა ქომაგი**

ლევან მჭედლიშვილი ქართველ კათოლიკეთა ქომაგი და პატრონიც ყოფილა. იგი აღმსარებლობით კათოლიკე იყო. აი, რას წერს მის შესახებ ზაქარია ჭიჭინაძე: „ბევრს საქმეებთა გარეშე ლევან ლუკას ძე მოყვარე იყო ქართველ კათოლიკეთა ისტორიის მასლების და ყოველს ცნობას ამ ერის შესახებ სიამოვნებით კითხულობდა, ხშირად მგზავრობდა ახალხციხეს, იქაურს კათოლიკეთა საქმეებს თვალ ყურს ადევნებდა და მასთანავე მასალების კრებასაც ყურადღებას აპყრობდა. სხვათა მრავალთა შორის მისგან მოპოვებული რამდენიმე ძვირფასი ისტორიული მასალა მეც მივიღე, რომელნიც აქა იქ ქართულს გამოცემებში მოვათავსეთ“ (ჭიჭინაძე, 1905: 61). საყურადღებო ცნობაა, ლევან მჭედლიშვილის ბიბლიოგრაფიის შესავსებად. სასურველია დაიძებნოს ეს მასალები.

იმდროინდელ გაზეთებს შემოუნახავთ მეტად საგულისხმო ცნობა იმის შესახებ, რომ ლევან მჭედლიშვილს ახალციხიდან ბათუმში

ჩამოუტანია ერთი ქართულად ხელნაწერი რვეული, სადაც ბევრი რამ საყურადღებო სწერია ქართველ კათოლიკეთა გვაროვნობის შესახებ („ივერია“, 1899, №49: 2).

**დროების 1880 წლის 25 ნოემბრის** ერთი პუბლიკაციაში, **ლას-ლას მანის** ფსევდონიმით, ლევან მჭედლიშვილი მკაცრად აკრიტიკებს გაზეთ „მშაქის“ კორესპონდენტს, რომელიც ცდილობს დაუსაბუთოს მკითხველს, რომ არ არსებობენ ქართველი კათოლიკეები და ყველა კათოლიკე სომეხია, ლ. მ. დამაჯერებელი არგუმენტებით აბათილებს სომეხი კორესპონდენტის მოსაზრებას. „სომეხი თუ ვეღარ ლაპარაკობს სომხურად, განა იგი აღარაა სომეხი? სამწუხაროა, რომ სომეხი კორესპონდენტი ერთმანეთში ურევს გვაროვნებასა და ეროვნებას“, – წერს ლ. მჭედლიშვილი.

მეტად საინტერესოა „დროების“ 1881 წლის 25 მარტის კორესპონდენცია, ლ. მჭედლიშვილი ესმიანება ოზურგეთის იღუმენის გერასიმე დარჩიას წერილს, რომლის მიხედვით, „ახლად შემოერთებულ ძველი ქართველებისთვის ეკლესიის აშენება ძლიერ საჭირო არისო“ კორესპონდენტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს დიდი წინდაუხედაობა იქნება, რადგან ეს ფაქტი მუსლიმმა მოსახლეობამ შესაძლოა თავს მოხვეუდ გაქრისტიანებად მიიჩნიოს და გადასახლებაზე იფიქროს. ახლა ძალიან საჭიროა სწავლა-განათლების შეტანა ხალხში და ამით გაცნობა ყოველივე მტკიცე ჭეშმარიტებისა და არა ის გზა, რომ მათი გაქრისტიანება ვეცადოთ, ამის დროც მოვა!“. დამეთანხმებით, მეტად საგულისხმო შენიშვნა და შეგონებაა. საზოგადოდ ცნობილია, როგორ პატრონობდა იგი ქართველ კათოლიკეებსა და მათ კულტურას.

### **ქართული კულტურისა და მწერლობის მოამაგე**

ლევან მჭედლიშვილს არაერთი პუბლიკაცია აქვს ქართული თეატრისა და მწერლობის შესახებ. მეტად საინტერესოა მისი კრიტიკული წერილები ქართული დრამატული ტრუპის შესახებ. მათ მიერ წარმოდგენილ სპექტაკლებს ბათუმში კორესპონდენტი საოცარი ცოდნით განიხილავს და აფასებს მსახიობთა თამაშს, მოურიდებლად აკრიტიკებს ზოგიერთ მსახიობს, მათ შორის, არ მოსწონს მოხვევის (ალ. ყაზბეგის) შესრულებული როლი. აღტაცებულია კოტე ყიფიანის ოსტატობით, გაბუნიასა და ავქსენტის ცაგარელის გამოსვლებით.

საგულისხმოა მისი მოგონება ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ, მას მწერლი გაუცვნია „დროების“ რედაქციაში. ყაზბეგს ძლიერ მოსწონდა თურმე მისი პუბლიკაციები და წაუქეზებია კიდევ, რომ უფრო თამამდ და მოურიდებლად ეწერა. შემდეგ კი გაუგებრობამ დააცილა ისინი, ლ. მჭედლიშვილმა პირუთვნელად გააკრიტიკა ყაზბეგის თამაში, მაგრამ მათი გზები კიდევ გადაიკვეთა. როდესაც ალ. ყაზბეგი ბა-

თუმში ცხოვრობდა მეტად შეჭირვებულ მდგომარეობაში, ლ. მჭედლიშვილს ნასიძის მეშვეობით შუთავაზებია მასპინძლობა და ამის შემდეგ ალ. ყაზბეგი მასთან ცხოვრობდა სამი თვის განმავლობაში. მოგონება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან შეიცავს რამდენიმე საყუარადღებო ცნობას დიდი მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ (**„ივერია“**, 1894, №65: 2-3).

გამორჩეულია ლევან მჭედლიშვილის როლი, როგორც მოგზაურისა და მწერლისა. მისი „წერილები არტანიდან“ იბეჭდებოდა 1878 წლის „დროებაში“ ჭია-შიას ფსევდონიმით. ეს საექსპედიციო ჩანაწერები იმავდროულად სამოგზაურო ჟანრის შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებებია.

სრულიად განსაკუთრებულია ლევან მჭედლიშვილის, როგორც ქართული ლიტერატურის მოამაგის დვაწლი. 1888 წლის სექტემბრის ყველა პერიოდული ორგანოს გვერდები სენსაციური ცნობით იყო აჭრელებული: „**ლევან მჭედლიშვილს ჩამოუტანია „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერი შავშეთიდან და ართვინის ეკლესიის შეწირულობის გუჯარი**“ (**„ივერია“**, 1888, №187: 1) ეს სიძველენი მას სანუქრად გადაუცია ქმწკ საზოგადოების ბათუმის სკოლის ბიბლიოთეკისთვის. როგორც ჩანს, სწორედ ამის გამო (და არა მხოლოდ) გაუგზავნია მადლობის წერილი ილია ჭავჭავაძეს. ჩვენ საგანგებოდ დაინტერესდით ამ ხელნაწერით. თუმცა ს. ცაიშვილის წიგნში „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია“ ამ წყაროს (შავშეთის) ვერ შევხვდით (**ცაიშვილი, 1984**). ლ. მჭედლიშვილს ხელნაწერი წერაკითხვის საზოგადოების სკოლის ბიბლიოთეკისთვის უჩუქებია, საინტერესოა, რატომ ვერ მოხვდა იგი პოემის ხელნაწერთა აღწერილობაში?

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ლევან მჭედლიშვილი ადრეულ ასაკში, 55 წლისა, გარდაიცვალა სწორედ თვითმმართველობის ერთ-ერთ სხდომაზე სიტყვით გამოსვლის შემდეგ. 1902 წლის 8 ოქტომბერს „ცნობის ფურცელი“ დიდი მწუხარებით აცნობებდა თავის მკითხველს, რომ ბათუმის ქალაქის საბჭოს 30 სექტემბრის სხდომაზე ლაპარაკის დროს უეცრად გარდაიცვალა ლ. მ., რომელიც გამოეხმაურა ერთ-ერთი ყოფილი დეპუტატის თხოვნას, რომ მისთვის მიეცათ ჯილდო ათი წლის ნამსახურების გამო. ლ. მჭედლიშვილს უთქვამს, რომ ხსენებული პირი არ დაგვემდურება, თუ უარს ვეცხვით, რადგან ბათუმის დღევანდელი მდგომარეობა ამის საშუალებას არ გვაძლევსო.”

იგივე გაზეთი ატყობინებს მკითხველს, რომ 14 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს სხდომაზე პატივი მიაგეს ლ. მჭედლიშვილის ხსოვნას ქალაქის მოურავის ი. ანდრონიკაშვილის წინადადებით. გამოითქვა

აზრი, რომ დახმარებოდნენ მის ოჯახსა და შვილს, რომელის იმჟამად მიუნხენში სწავლობდა.

როგორც ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „ლევან ლუკას ძე ქართველი ერის ცხოვრების ასპარეზზე ბათუმის მიდამოებში უპირველეს პირად ითვლებოდა . . . იგი მთელს საქართველოშიაც იმ სახითვე უნდა იქმნეს მიღებული და მნიშვნელობა მიცემული . . . საჭიროა მისი წერილები ქართული გაზეთებიდამ გამოიკრიბოს და ცალკეც დაიბეჭდოს“ (ჭიჭინაძე, 1905: 61).

ამჯერად, ჩვენი მოხსენების მიზანიც სწორედ ის იყო, რომ შეგვესწავლა და რამდენადმე სრულყოფილად წარმოგვეჩინა ღირსეული ქართველის, ბათუმის საამაყო შვილის ღვაწლი და დამსახურება ერის წინაშე. შევადგინეთ მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ბიბლიოგრაფია, რომელიც რამდენიმე ათეულ წერილსა და სტატიას მოიცავს. მასალა საკმაოდ ვრცელია და ბათუმელების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა თუ იქნება, შესაძლებელია შევეკრიბოთ და მომავალით ბათუმობისთვის წიგნად გამოვცეთ ლევან მჭედლიშვილის ნაწერები.

**P.S.** მოხსენებამ ბათუმის ინტელიგენციის დიდი ინტერესი გამოიწვია. ბატონმა რამაზ სურმანიძემ, რომელსაც თავის დროზე უმუშავია ამ საკითხზე, გამოგვიცხადა ნდობა და აღგვითქვა დახმარება, რომ მისი მეშვეობით ბათუმელები ლევან მჭედლიშვილის შესახებ არსებულ მასალებს მოგვაწვდიან. გამოითქვა სურვილი, რომ დაწყებული საქმე გაგრძელდეს და ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადდეს ამ დიდი ერისკაცის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორია.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902, 8 ოქტომბერი.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902, 14 ოქტომბერი.

„დროება“, 1877, №39 – გაზ. „დროება“, №39.

„დროება“, 1878 – ჭია-მაია, წერილები არტაანიდან, გაზ. „დროება“, 1878, №№ 214; 241; 243; 244.

„დროება“, 1880, №84 – კრაზანა, ბათუმის ამბები, გაზ. „დროება“, 1880, №84.

„დროება“, 1880, №114 – წერილები აჭარიდამ, გაზ. „დროება“, 1880, 31 მაისი, №114.

„დროება“, 1880, №150 – კრაზანა, აჭარა 30 ივნისს, გაზ. „დროება“, 1880, 16 ივლისი, №150.

„დროება“, 1881, №60 – ბათუმის სკოლა, გაზ. „დროება“, 1881, 20 მარტი, №60.

„დროება“, 1881, №64 – წერილი რედაქტორთან, გაზ. „დროება“, 1881, 25 მარტი, №64. „დროება“, 1881, 25 ნოემბერი – ლას-ლას-მანი, მშაკის უცნაური ამბები, გაზ. „დროება“, 1881, 25 ნოემბერი.

**თამარაშვილი, 1902:** – თამარაშვილი მ., „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, ტფილისი.

**თამარაშვილი, 1904:** – თამარაშვილი მ., პასუხად სომხის მწერლებს, ტფილისი.

„ივერია“, 1888, №187 – ახალი ამბავი, გაზ. „ივერია“, 7 სექტემბერი, №187.

„ივერია“, 1894, №65 – ა. მ. ყაზბეგი ბათუმში, გაზ. „ივერია“, 1894, 25 მარტი, №65.

„ივერია“, 1899, №49 – კორეპონდენცია ბათუმიდან, გაზ. „ივერია“, 1899, 6 მარტი, №49.

**მემუარები, 1935:** – მემუარები, თბილისი.

**შარაძე, 1987:** – შარაძე გ., ილია ჭავჭავაძე – ცხოვრება, შემოქმედება, მოღვაწეობა, ფოტომატიანე ორ წიგნად, გამომც. „ხელოვნება“, თბილისი.

**ცაიშივილი, 1984:** – ცაიშივილი ს., ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია, თბილისი.

**ჭავჭავაძე, 2014:** – ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის ოცტომეული, მე-17 ტომი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კომენტარები და შენიშვნები დაურთეს ნორა კოტინოვა, მანანა კვატაია და ჯულიეტა გაბოდზე, ლიტინსტიტუტი, „ილიას ფონდი“), თბილისი.

**ჭიჭინაძე, 1905:** – ჭიჭინაძე ზ., ქართველი კათოლიკენი ყველა ასპარეზზე, ზოგი რამ წერილები დასავლეთ საქართველოზე აღწერილი და დაბეჭდილი ზაქარია ჭიჭინაძისგან, ტფილისი.

**Julietta Gabodze**  
(Tbilisi, Georgia)

### **Chronicler of Batumi Levan Mchedlishvili (Krazana)**

#### **Summary**

Levan Mchedlishvili, patronymic Luka lived in Batumi, his piety was catholic, he was a publicist, folk-lover, public man, deputy of Batumi city hall. His father came from village Ude, but then he moved to Batumi. He was writing under the pseudonym of “Krazana”, “Las-las-man”, “Chiamaiia”. He has been permanently publishing the “News of Batumi” at first in newspaper “Droeba”, but then in “Iveria”. His correspondences, about political-social and educational-cultural events of Batumi and its suburbs were actively respond to the all notable or unimportant events

of that time of Batumi. His publications were various with their themes and contents:

Social-economical pressure of Adjarian or Batumi population, theme of Muhajiri, opening of new school and inevitability of education of the population; local self-government of city, judge and the health; architect of the city, insanitariness and fire in Batumi; charity performances, performed by the Georgian volunteers and disappearance of money, gathered for Batumi School and etc. He was defender of Georgian catholics.

Merit of Levan Mchedlishvili, as a defender of Georgian Literature – is special. The pages of newspaper of September of 1988 was covered by the sensational notifications: “Levan Mchedlishvili has brought over here the oldest manuscript of “Vepkhistaosani” from Shavsheti and deed charter of Artvini church”. He has given these charters to the school library of Batumi, that’s why he has received the thankful letter from Ilia Chavchavadze.

In case of financial supporting, it is possible to collect the writtens of Levan Mchedlishvili and then publish them.

## 1898 წლის საქალაქო თვითმმართველობის არჩევნები ბათუმში

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის პირველი არჩევნები 1888 წელს გაიმართა. ქართველთა რიცხვი თვითმმართველობის პირველ შემადგენლობაში 28%-ს აღწევდა [სურმანიძე, 2011: 86]. მაშინდელი მთავარმართებლის ბრძანებით, ქალაქისთავად კ.დ. გავრონსკი დაინიშნა, თვითმმართველობის წევრები არაქართველები იყვნენ, მხოლოდ მდივანი გახდა ქართველი (ი.ს.მესხი).

მომდევნო არჩევნებში, 1894 წელს, ილია ჭავჭავაძის რეკომენდაციით, ბათუმის ქალაქისთავად ლუკა ასათიანი გავიდა. როგორც დავით კლდიაშვილი იგონებს, ილია თავად ჩავიდა ბათუმში და პირადად დააკვირდა არჩევნების მიმდინარეობას. ბათუმელებმა დელეგაცია გაგზავნეს ქუთაისში, ლუკა ასათიანთან, რათა მას თანხმობა მიეცა ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. კლდიაშვილმა ილიას სურვილიც გაუმხილა და ასათიანი დათანხმდა ბათუმის ქალაქის თავობაზე. ამ მოვალეობას ის ხუთი წელი პირნათლად ასრულებდა [კლდიაშვილი, 1961: 35].

წინა ქალაქისთავი – გავრონსკი კავკასიის მთავარმართებელმა გააკრიტიკა ქალაქში ხოლერის ინფექციის (1893) გავრცელების გამო, რასაც საკმაოდ მომზადებული ვერ დაუხვდა ქალაქის ხელმძღვანელობა. ამის გამო ის გადადგა. ქართველებმა ახალ არჩევნებში ბერძნების მხარდაჭერით უმრავლესობა მოიპოვეს და ლუკა ასათიანიც გავრონსკის ადგილზე გაიყვანეს. ეს არც ისე ადვილი იყო, რადგან ბევრს მიაჩნდა ამ თანამდებობაზე რუსი ეროვნების მოხელის ყოფნის აუცილებლობა, რადგან მას მეტად შეეძლებოდა საერთო ენის გამოყენება რუსულ ხელისუფლებასთან. ასათიანმა მხოლოდ ერთი ხმით აჯობა მეტოქეს, მაგრამ მან ღირსეულად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა და ბათუმის საქალაქო ცხოვრების მატრიანეში წარმატებული როლი ითამაშა.

1897-1898 წლები ბათუმის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სიახლეებით აღინიშნა. ე. წ. „უამი“ და ქოლერა, რომელიც ინდოეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში მძვინვარებდა, ხშირად შემოჰქონდათ ბათუმში მოხვედრილ მეზღვაურებსა და სტუმრებს. ქალაქის თავი და გუბერნატორის აპარატი მუდმივად ამ საკითხის მოწესრიგებისათვის ზრუნავდა. ხშირად იგზავნებოდნენ ექიმები როგორც თბილისიდან და ქუთაისიდან, ასევე იმპერიის მთავარი ქალაქებიდან, ცხადდებოდა კა-

რანტინი. ქალაქში შექმნილ ვითარებას კარგად გადმოსცემდნენ თბილისის გაზეთები, მათ შორის „ივერია“, „დროება“ და „ცნობის ფურცელი“. „ივერია“ წერდა: „ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით, ბათუმში შედგა გუბერნატორის თანაშემწის – პოლკოვნიკ სამოილოვის თავმჯდომარეობით კომისია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ბათუმის ოლქში, შავი ზღვის ნაპირებთან და თვით ბათუმში მომავალს გემებს, რომ იმათ არ შემოიტანონ ჟამი, რომელიც ამჟამად ინდოეთში მივინვარებს. ხსენებული კომისიის წევრებად დანიშნულნი არიან: ბათუმის ქალაქის მოურავი, ოლქის უფროსი, პოლიციებისტერი, კარანტინის დირექტორი და ექიმები ოლქისა, ქალაქისა, სასანიტარო და სამხედრო საავადმყოფოს ექიმი. კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია ამ კომისიაში სხვებიც მოიწვიოს“ [„ივერია“, 1897, №41].

ამ საკითხზე ქალაქის თვითმმართველობის წევრთა კრება მრავალჯერ გაიმართა. ერთ-ერთი შეკრება თვით გუბერნატორის თანაშემწის საცხოვრებელ ბინაზეც მოეწყო, სადაც სამოილოვმა ექიმებიც მოიწვია და მსჯელობა გაიმართა იმაზე, თუ მოსახლეობის დასაცავად რა ღონისძიებები უნდა განხორციელებულიყო. ამგვარ კრებებს ხშირად იწვევდა თავად ლუკა ასათიანი, რაც შუქდებოდა საქართველოში გამომავალ რუსულ პრესაშიც, კერძოდ, „ნოვოე ობოზრენიესა“ და „ჩერნომორსკი ვესტნიკში“.

„ივერიის“ ცნობით, 1897 წლის გაზაფხულზე ბათუმის მუშებს შორის მოღებულ იყო შავი სახადი და ყვავილი, რაც ბევრი ადამიანის სიცოცხლეს იწირავდა [„ივერია“, 1897, №63]. გაზეთის მომდევნო ნომერი ბეჭდავდა ცნობას იმის თაობაზე, რომ ქალაქ ბათუმის განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, პეტერბურგმა დააკმაყოფილა ლუკა ასათიანის მოთხოვნა ქალაქში ახალი საავადმყოფოს აშენებაზე, ამასთანავე, მისცა 20 ათასი მანეთის დახარჯვის უფლება ქალაქის ბიუჯეტიდან, რაც შავი ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა გამოეყენებინათ [„ივერია“, 1897, №70]. ხშირად სამკურნალოდ გაგზავნილი ექიმები თავად ხდებოდნენ გადამდები ინფექციით ავად და მკურნალობას თავად საჭიროებდნენ. ასე მაგალითად, მკურნალი იოსებ ვაშაკიძე, რომელიც თბილისიდან გაიგზავნა ბათუმში სხადასხა გადამდებ ავადმყოფობათა სამკურნალოდ, თავად გამხდარა ავად და როგორც პაციენტი ბათუმის საავადმყოფოში დაუწვევიათ. ახლა სწამლობენ და იმედი აქვთ მალე გამოჯანმრთელდებოდნენ, – იუწყებოდა გაზეთი [„ივერია“, 1898, №46].

განსაკუთრებული სამკურნალო ზედამხედველობა და თვალყურის დევნება დაუწესდა იმ ბათუმელ და ბათუმის ოლქის მცხოვრებლებს, რომლებიც წმინდა ადგილებში მიდიოდნენ მოსალოცად [„ივერია“, 1898, №133].

გარდა გადამდები სენის გავრცელების ხშირი შემთხვევებისა, 1898 წელს ბათუმში გართულდა კრიმინოგენული სიტუაცია. გაზეთები აქვეყნებდნენ ქალაქის ცხოვრების ქრონიკას, სადაც ბევრი სასტიკი დანაშაული იყო აღნუსხული, განსაკუთრებით არაქართველებში. კერძოდ, თვალშისაცემი იყო ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხების მიმართ ჩადენილი ქურდობა, ძარცვა და მკვლელობები. მათი არც ქვეშევრდომობისა და არც ქონებრივი ცენზის საკითხები გარკვეული არ იყო.

1898 წელს დაიწყო შავ ზღვაზე სტიქია, რასაც რამდენიმე გემის დაზიანება და დაღუპვა მოჰყვა, ასევე, დიდთოვლობა, რამაც გამოიწვია ბათუმი-თბილისის მატარებლის მოძრაობის შეფერხება, ზოგ შემთხვევაში კი სრული შეწყვეტა. ამას მოჰყვა სხვა პრობლემებიც, თუმცა ქალაქის თავი და გამგეობის წევრები ჩაბმულნი იყვნენ ბათუმისა და მთლიანად აჭარის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის ბრძოლაში. იხსნებოდა ახალი სასწავლებლები, კულტურის კერები. ბათუმი თითქმის სისტემატურად მასპინძლობდა მეტროპოლიიდან კავკასიაში სხვადასხვა მისიით ჩამოსულ სტუმრებს. ამისთვის ქალაქი მუდმივად უნდა ყოფილიყო მზად, როგორც გარეგნული იერით, ასევე ცხოვრების ყველა სფეროს დონით.

ასეთ ვითარებაში ახალი თვითმმართველობის არჩევნები მოსახლეობის დიდ ყურადღებას იქცევდა და პრესის ორგანოებიც მას სისტემატიურად აშუქებდნენ. არჩევნების სირთულეს მოსახლეობის სოციალური, ეროვნული და კონფესიური მრავალფეროვნება, მათი ინტერესების განსხვავებულობაც განაპირობებდა. ბათუმსა და მის რეგიონს გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ცნობიერებაში, რის გამოც მთელი საზოგადოება იყო ჩაბმული აქაური არჩევნების წარმატებით ჩატარების კამპანიაში. ეროვნული სულის განმტკიცება, აქაური ქართული მოსახლეობის სულიერი ამაღლება და ინტეგრირება საქართველოს საერთო სხეულში ამ არჩევნების სწორად და ეროვნულ ინტერესთა შესაბამისად წარმართვაზე ბევრად იყო დამოკიდებული.

როგორც დავინახეთ, 1894 წლის თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებაში თვით ილია ჭავჭავაძე მონაწილეობდა, 1898 წელსაც საერთო-ქართული ინტერესი ბათუმის არჩევნებისადმი არ ჩამქრალა. საარჩევნო სამზადისს ბათუმში ასე გადმოსცემდა გაზეთ „ივერიის“ აქაური კორესპონდენტი: „მოახლოვდა საქალაქო არჩევნების დრო. ამომრჩეველთა საბოლოო სია დამტკიცებულია და გამოქვეყნებული. როგორც თვით ბათუმის მცხოვრებლები, ისე ეს სიაც ჭრელია ეროვნების მხრით. ამომრჩეველებს შეადგენენ ქართველები და სომხები (რიცხვით თითქმის თანასწორნი, ქართველთა რიცხვი ცოტა მეტია),

ბერძნები, მაჰმადიანი ქართველები და რუსები, ანუ უკეთ ვთქვათ, დანარჩენი ეროვნების ხალხი. სულ ამომრჩეველთა რიცხვი 442-ია. ამათგან 150-მდის მარტო ქართველებია (მარლმადიდებელნი და კათოლიკენი, მაჰმადიან ქართველებს გარდა, რომელთა რიცხვი 50-მდის იქნება). ძნელი სათქმელია, თუ რა საბჭო იქნება ეროვნების მხრივ ბათუმის მომავალი საბჭო. ქართველებისა და სომხობის ძალა, როგორც ვთქვი, თითქმის თანასწორია. ჩვენს მეთაურებს სრული იმედი აქვთ, რომ გაიმარჯვებენ. როგორც მეთაურებში, ისე საზოგადოდ ქართველებს შორის ჯერ საქმური სიფრთხილე, სიმშვიდე და ერთობაა. ზოგიერთის ვაჟბატონის უქმს მითქმა-მოთქმასა, ჭორს და ქვეშ-ქვეშობას თუ ყურადღებას არ მივაქცევთ, უფრო ჩუმი, დაწყნარებული, შეგნებული მზადება წარმოუდგენელია. სწორედ სასიამოვნოა, როცა ჰხედავ, რომ არაა საჭირო გადამეტებული სიტყვა და ყაყანი, ისეც ყველას კარგად ესმის თავის წმინდა მოვალეობა. მადლობა ღმერთს, ამ ოთხის წლის განმავლობაში ყველაფერი იმდენად გამოირკვა, იმდენად გაიგო საზოგადოებამ თავისი საგანი, იცნო მტერი და მოყვარე, იცნო, თუ ვინ არის საზოგადოების ნამდვილი მსახური და ვინ ცარიელი შურის გუდა, გულ-გონება გაღაღებული კუდაბზიკა, რომ ახლა ამოა ყოველი ცუდი ცდა და საზოგადოების გზა-კვალის არევა. ამ ოთხმა წელმა საკმაოდ იმუშავა, რომ გამოფხიზლებულიყო ბათუმის ქართველობა და გულ-დანდობით, იმედიანად გაჰყოლოდა გამოცდილ, გულგაუტყხელ, საქმის ერთგულ მეთაურებს. ახლა ისე ადვილათ ვეღარ გაიტაცებს იმას ცილის-წამება, ჭორი და შური, უდირსი ინტრიგა. სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მეთაურები, რომელთაც ასე ბევრი დამცირება გამოიარეს უანგარო სამსახურისათვის, ჩვეულებრივ არ შეუდრკებიან ლალახანა გაცვეთილს ყბედობას, განაგრძობენ თავის დიადს ეკლიანს და სასიქადულო გზას და გამარჯვებით გაიტანენ ლელოს, როგორც უწინაც გაიტანეს, მომავალ არჩევნებშიაც და სხვა ჩვენს საზოგადო საქმეშიაც.

ზოგი, ვითარცა ბრძენი, რაღა თქმა უნდა, არჩევს მედიდურათ შორით სეირის ცქერას, არ კადრულობს, არ ეხერხება ომის ცეცხლში ჩარევა! მერე კი, როცა საქმე გაჩარხული იქნება და ახლანდელ მუშაებს (ისევე იმათ, ვისაც მუდამ აწევს აქ კისერზედ ყოველი ჩვენი საზოგადო საქმე), ესენიც, ბრძნულად შორს გამდგარნი, ისარგებლებენ გარემოებით, რომ ბრძულადვე დასკუპდნენ თაროზედ და იმათვე უთხარონ ძირი, იმათვე უგღონ მამაცურად შავები, ვისის წყალობითაც ერგოთ ადგილი. ესეც მოსალოდნელია. ჯერ კი სუფევს სრული და მოსაწონი ერთობა, გამარჯვება თითქმის უეჭველია, რადგან აღარა აქვს გასავალი იმათს სიტყვასა და მოქმედებას, რომელთაგანაც მოსალოდნელია საქმის მხოლოდ არევა და შფოთი“ [„ივერია“, 1898, №218].

როგორც ამ პუბლიკაციიდან ჩანს, ბათუმის საზოგადოება ძველი საქალაქო თვითმმართველობის მუშაობით კმაყოფილი იყო. ქალაქში გაკეთებული საქმეები მოსახლეობას მომავლის იმედს უძლიერებდა. ამიტომ იყო, რომ მათ სურდათ ყოფილი ქალაქის თავი და დეპუტატები კვლავ მოსულიყვნენ მმართველობაში ამ ახალი არჩევნებითაც. ეს განსაკუთრებით ქართველ დეპუტატებს ეხებოდა. პრესა აქებდა მათ და ამით საზოგადოებას კვლავ მათი მხარდაჭერისკენ აქეზებდა **[„ცნობის ფურცელი“, 1898, №654]**. თუმცა მრავალგვარი განწყობა და თვალსაზრისი ვრცელდებოდა მოსახლეობაში, ისინი თავიანთ კანდიდატებს თანაუგრძნობდნენ.

18 ოქტომბერს არჩევნები გაიმართა. მისი შედეგები ვრცლად აისახა პრესაში. „ივერია“ არჩევნების შესახებ დეტალურ მონაცემებს აქვეყნებდა.

„ივერიაში“ გამოქვეყნებული პირველი მონაცემები მცირედ განსხვავდება მეორე სტატიის მონაცემებისგან. აქ ნათქვამია, რომ „არჩევნებს 323 ამომრჩეველი დაესწრო. ყუთი 104-მა კაცმა დაიდგა, საიდანაც არჩეული იქნენ შემდეგი დეპუტატები: ი. გ. მურომოვი (253 თეთრი), ტ. პ. ტრიანგაფილდესი (240), ა. პ. ვაკიე (234), თავ. მ. მ. ნაკაშიძე (199), ა. ა. ხოჯამიროვი (197), ი. მ. ხუდადოვი (196), ა. პ. სიმონოვი (196), გ. ე. ელიავა (193), პანაიოტი სიმეონიდი (189), გ. ა. პალმი (188), ლ. იუ. პოდოლეცკი (186), რ. გ. გუნდრიზერი (186), ვ. ფ. გრიელსკი (184), ნ. ა.საბაშვილი (184), მ. ტ. მიხაილიდი (181), თავ. დ. გ. მაჭუტაძე (181), ნ. ა. დუმბაძე (180), ე. ა. ბოგოსლოვსკი (180), ი. ზ. გედევანიშვილი (178), ფეხლი-ბეგ აბაშიძე (178), ი. ს. პარუნ-ბეგოვი (173), ა. დიმიტრიადი (170), კ. პ. სიმულოვი (169), ს. ს. ტარუმოვი ( 168), დ. ი. ბარათაშვილი (168), ზია ბეგ-აბაშიძე (167), კ. ა. სევერინი (165), სულ 27 კაცი.“ გაზეთი აზუსტებდა დეპუტატთა პროფესიულ საქმიანობასაც, წერდა, რომ არჩეული ხმოსნებიდან 4 მკურნალი ექიმი იყო, 3 ბანკის დირექტორი, 2 ხე-ტყის მწარმოებელი, 2 ნავთის მწარმოებელთა წარმომადგენელი, 1 ჟურნალისტი, 2 სამხედრო ოფიცერი, 1 პედაგოგი, 1 იურისტი, 1 ჩინოვნიკი, 6 ვაჭარი. ნათქვამი იყო, რომ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა („ყუთი არ დაიდგა“) ქალაქის თავმა ლუკა ასათიანმა. ხმები ვერ მიიღეს და საბჭოში ვერ გავიდნენ ისეთი ცნობილი მოღვაწეები და წინა თვითმმართველობის დეპუტატები, როგორებიც იყვნენ – გრიგოლ ვოლსკი და ივანოვი **[„ივერია“, 1898, №225]**.

გაზეთის მომდევნო ნომერში დაბეჭდილი სტატიის მონაცემით, არჩევნები ბათუმის კლუბის დიდ დარბაზში ჩატარდა. დილის 8 საათზე გაიხსნა დარბაზი და ამომრჩეველებმა შეკრება დაიწყეს. სულ 305 ამომრჩეველი შეიკრიბა. აქედან 28 ამომრჩეველს 2-2 კენჭი აღმოაჩნდა. ქალაქის მოურავმა ასათიანმა წაიკითხა საარჩევნო დებულება. არჩევ-

ნებისთვის ყუთი 104-მა კაცმა დაიდგა. ასათიანთან ერთად, ყუთის დადგმაზე უარი თქვეს წინა მოწვევის დეპუტატებმა: კ. კ. მგელაძემ, თავადმა ნ. ბ. ერისთავმა, ა. გ. მდივანმა, დ. ი. ჟურულმა და თავადმა ვ. გ. მანაბელმა.

გაზეთის ამ ინფორმაციაში ბათუმელი დეპუტატების ეროვნული მონაცემებიც დაზუსტდა. 27 დეპუტატიდან 8 ქართველი იყო. გამოქვეყნდა მათი გვარებიც. ესენი იყვნენ: მ. მ. ნაკაშიძე, გ. ლ. ელიავა, დ. გ. მაჭუტაძე, ნ. ა. დუმბაძე, ი. ზ. გედევანიშვილი, დ. ი. ბარათაშვილი, ფეხლი-ბეგ აბაშიძე და ზია-ბეგ აბაშიძე [„ივერია“, 1898, №226].

ხმოსანთა რიცხვს დააკლდა 14 კაცი, რომელთა არჩევა განმეორებით მოხდებოდა. გაზეთში სრულად გამოქვეყნდა მათი გვარები და მიცემული თეთრი და შავი ხმების რაოდენობა, ვინც ვერ გავიდა არჩევნებში. დამარცხებულთა შორის ბევრნი იყვნენ ქართველი დეპუტატობის კანდიდატებიც.

დამარცხებულთა ერთმა ნაწილმა არჩევნების უკანონობაზე საჩივარი შეიტანა ქუთაისის საგუბერნიო საქმეთა საკრებულოში, სადაც ამ საჩივარს უარი ეთქვა [„ივერია“, 1898, №240].

ლუკა ასათიანის უარი არჩევნებში მონაწილეობაზე ხალხმა სხვადასხვანაირად აღიქვა, გავრცელდა ჭორები, რომ ის აიძულეს ასე მოქცეულიყო, თუმცა ამ ჭორებს რეალური საფუძველი არ უჩანდა. ჭორების დიდი წილი გრიგოლ ვოლსკის ადანაშაულებდა, თუმცა ვოლსკი 18 ოქტომბრის არჩევნებში თავად დამარცხდა. მან 171 შავი კენჭი მიიღო 161 თეთრის წინააღმდეგ. ქართულ საზოგადოებაში ვოლსკის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, არაფერი რომ არ ეთქვათ ბათუმის მოსახლეობაზე, სადაც მას მართლაც დიდი სიყვარული ჰქონდა მოხევეჭილი. ვოლსკის ცილისწამებას გამოეხმაურა „ივერია“, სადაც გამოქვეყნდა მწერალ ანტონ ფურცელაძის სტატია ბათუმის არჩევნებსა და მის ირგვლივ აგორებულ ჭორებზე.

მოგვაქვს ნაწყვეტი ამ საკმაოდ ვრცელი სტატიიდან: „გავიგე, რომ გრიგოლ ვოლსკის სურდა ბათუმის ქალაქის თავობა და ამისთვის კრებდა პარტიებს ლუკა ასათიანის წინააღმდეგო. პირადად ნაკლებად ვიცნობ გრიგოლ ვოლსკის, რომელსაც დიდ პატივს სცემენ ბათუმელები, ქართველობა და მეტადრე მდაბიო ხალხი... ნახვით სამი წელიწადია, რაც არ მინახავს, მაგრამ ჭეშმარიტების აღსადგენად ვალად ვრაცხ ვთქვა, რისაც მნახველი, გამგონე და გამომკვლეველი ვარ მის შესახებ ამ საქმეზედ.

ჩემი სამსახურის გამო მე დავესწარი ბათუმში მოვლენებს სწორედ იმ დროს, როდესაც გაცხარებული მზადება იყო პარტიებისა ერთმანეთთან საბრძოლველად ბათუმის საბჭოს ხმოსნების ასარჩევად და თვით კენჭის დროსაც დავესწარი იქ, სადაც უყრიდნენ ხმოსნებს კენჭს. მე დიდათ მაინტერესებდა ეს, თუმცა არასანატრელი, მაგრამ

ძალაუნებურათ ძმათა შორის ატეხილი ბრძოლის ამბავი. ამხანებში მე ყურს ვუგდებდი ამ საქმეზედ ღაპარაკს ბულვარზედ, ყავახანებში, გზათ რკინისგზის ვაგონებში, სახლებში, კერძო და მოთავე პირებთან, რუსის და ქართველების საუკეთესო საზოგადოებაში და სხენება, კრინტი, თქმა იმაზედ, რომ ვოლსკის ჰნდომოდეს ბათუმის თავობა და ვითომც ყოფილიყვეს წინააღმდეგი დღევანდელი ბათუმის თავის პატივცემულ ასათიანისა, არსად არ დაძრულა. თქმულება ყოფილიყო ნიკოლაძეზედ, მაგრამ იმას უარი ეთქვა, ფოთის საქმეები ვიკისრე და რაც ვიკისრე, მანამ არ შევასრულებ, ფოთს თავს არ დავანებებო. სხვა წინააღმდეგი ასათიანისა არავის არავინ არ დაუსახელებია. რაც შეეხება მას, რომ ვოლსკის პარტიული მოღვაწეობა ყოფილიყოს გამოწვეული რამე პიროვნული ანგარიშებით, ამაზე თვით მისი პარტიული წინააღმდეგნი მოკრძალებით მდუმარებდნენ და მის მოღვაწეობას და მოქმედებას უყურებდნენ როგორც გულწრფელს და სრულიად უანგაროს. ქრისტიანი თუ მუსლიმი ქართველობა, რუსობა, ბერძნობა ხომ სწორედ თავყვანებით იხსენიებდნენ მას და მასში ჰხედავდნენ როგორც წმინდა და მართალი გრძნობებით აღსავსე საზოგადო საქმეების გულშემატკივარს, – გარდა ქართველების მცირე ნაწილისა, რომელიც, როგორც მეტი ხმა ისმოდა, პიროვნული ანგარიშების გამო იყო წინააღმდეგი ვოლსკისა და რომელიც აძლევდა ვოლსკის სამტროდ იმ პარტიას მხარს, რომელიც წინააღმდეგი იყო ვოლსკის პარტიის. ესე იგი, მეტი წილი ქართველობისა და საუკეთესო ქართველობა ხომ უყურებდნენ ამ თავის მცირე ნაწილს ისე, როგორც ტფილისში გიორგი წერეთელს ტფილისის ამორჩევების ბრძოლის დროს. აქაც იგივე გმობა და შეჩვენება გაისმოდა ამ პირთადმი გადადგომისათვის მეტი და საუკეთესო ქართველებისაგან.

ცხადია, ყველა ეს ხმები, რაც პირათ თუ გაზეთებით გავრცელდა ვოლსკიზედ, იყო ნაყოფი პირადი სიძულვილისა, რომელიც ასრე სენათ მოედო ჩვენს საზოგადოებას და მწერლობას და რომელიც ასრე ძირს უთხრის ჩვენს მომავალს, გულს უხდენს გულწრფელ საზოგადო მოღვაწეთ... დმერთმან ჰქნას, როგორც მესმის და საქმეებიდან დაგინახე ბათუმში ყოფნის დროს, ბევრი მისცეს ჩვენს ქვეყანას ასეთი გულწრფელი მოღვაწე, როგორიც ვოლსკი, „რამეთუ იგინი არიან მარილნი სოფლისა“. „მათი გულწრფელობა, გულიწმინდად სამსახური არის ღირსი სიყვარულისა და უსაზღვრო პატივისცემისა და არა ცილებისა და ჩირქის მოცხებისა.

ანტონ ფურცველაძე, 5 დეკემბერი, 1898 წელი“ [„ივერია“, 1898, №260].

ქართველი დეპუტატების გამარჯვება არჩევნებში არ მოსწონდათ ბათუმში მოღვაწე რუს შოვინისტებს, რომელთა შორის გამოირჩეოდა რეაქციული, ანტიქართული სულისკვეთების გაზეთის – „ჩერ-

ნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორი გ. ა. პალმი (არბენინი), რომელიც თბილისში იყო დაბადებული და გაზრდილი, მაგრამ ამან ვერ უშველა და ქართველებისა და საქართველოს სიყვარული ვერ ჩააგონა. ის ებრძოდა ბათუმის საუკეთესო, ეროვნებით ქართველ ქალაქისთვის – ლუკა ასათიანსა და მის შემდეგ მოსულ ივანე ანდრონიკაშვილს. 1898 წლის 18 ოქტომბრის არჩევნებშიც მკაფიოდ გამოჩნდა შოვინისტო ანტიქართული სულისკვეთება და ქართველ მამულიშვილთა შემართება – დაერაზმათ მრავალეროვნული და მრავალკონფესიური ბათუმის მოსახლეობა ამ უძველესი ქართული ქალაქის აღმშენებლობისა და კულტურული დაწინაურებისათვის.

#### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

„ივერია“, 1897 – გაზეთი „ივერია“, 1897 წელი, №41, №63, №70.

„ივერია“, 1898 – გაზეთი „ივერია“, 1898 წელი, №46, №133, №218, №225, №226, №240, №260.

კლდიაშვილი, 1961: – კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, თბილისი.

სურმანიძე, 2011: – სურმანიძე რ., ლუკა ასათიანი, თბილისი.

„ცნობის ფურცელი“, 1898 – გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1898 წელი, №654.

**Dodo Chumburidze**  
(Tbilisi, Georgia)

### **The 1898 Municipal Government Elections in Batumi**

#### **Summary**

Batumi and Batumi region deserved special interest to the general public, because it was recently liberated from the Turkish yoke, and new joined region. The first municipal government elections were here in 1888.

New elections of the city government were held on 18 October 1898. The difficulty of the elections were result of the social, ethnic and religious diversity of local population.

The article describes the situation in the pre-election period, the election results, and the confrontation between the nominated candidates the candidates. ,

## იოსებ ჯულაშვილი (სტალინი) და ბათუმი

*1938 წელს, სტალინის 60 წლისთავის საიუბილეოდ, ბულგაკოვს წინადადება მისცეს, დაეწერა პიესა სტალინის შესახებ. ბულგაკოვმა თემად აიღო სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები და სტალინი გამოიყვანა იდეისთვის და თავისუფლებისთვის მებრძოლ რომანტიკოს ახალგაზრდა რაინდად. თუმცა სტალინმა დაიწუნა პიესა და შესაბამისად, აღარ გამოცემულა და სცენაზეც აღარასდროს დადგმულა.*

**მ. ბულგაკოვი**  
(„ბათუმი“, წინასიტყვაობა)

*ქუჩის დემონსტრაციები საინტერესოა იმიტომ, რომ ისინი სწრაფად ითრევენ მოძრაობაში მოსახლეობის დიდ მასას, მაშინვე აცნობენ ჩვენს მოთხოვნებს და ქმნიან ნაყოფიერ ნიადაგს, რომელშიც ჩვენ თამამად შეგვიძლია დავთესოთ პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნები.*

**ი. ჯულაშვილი**  
(არალეგალური გაზეთი „ბრძოლა“, 1901, №2-23)

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის მზარდი სამრეწველო პოტენციალი დამყარებული იყო ბაქოს ნავთობის გადამამუშავებაზე და ექსპორტზე. აქ ნავთობის გადამამუშავებელი ცნობილი მეწარმეების – ნობელის, მანთაშევის, როტშილდის და სხვების მსხვილი ქარხნები მდებარეობდა. 1901 წლის ნოემბერში თბილისიდან ბათუმში ჩადის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტის ახლად არჩეული წევრი იოსებ ჯულაშვილი, რომელიც მუშაობას იწყებს როტშილდის ქარხანაში. თავის თანატოლებსა და თანამოაზრეებს შორის „სოსოდ“ ცნობილი ი. ჯულაშვილი, პარალელურად აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას ეწევა. სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, ი. ჯულაშვილის ხელმძღვანელობით, ბათუმში იქმნება ახალი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. უკვე 1901 წლის 31 დეკემბერს როტშილდის კუთვნილ ნავთობის ქარხანაში რამდენიმე ასეული მუშა ებმება მღელვარებაში, 1902 წლის 31 იანვარიდან და 18 თებერვლამდე გაფიცული იყვნენ მანთაშევის ქარხნის მუშები. ორივე შემთხვევაში მუშების მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნა, და არსებობს გარკვეუ-

ლი მოსაზრებები, რომ ამ მდელვარებებს და გაფიცვებს სწორედ ას-  
ლად ჩასული პროპაგანდისტი „სოსო“ ხელმძღვანელობდა.

ი. ჯუღაშვილის თანამედროვეები და საბჭოთა ისტორიკოსები  
ცდილობდნენ იგი წარმოეჩინათ უპირობო ლიდერად, რომლის  
„ბრძნული“ მითითებების თანახმად, შეძლეს ბათუმის ქარხნების მუ-  
შებმა მეწარმეებისგან დათმობების მიღება, ხელფასის გაზრდა და  
სხვა.

ჩვენ მიერ საერთაშორისო პროექტის „რუსეთის და საბჭოთა  
კავშირის საიდუმლო ისტორია“ ფარგლებში მოძიებულ იქნა სხვადას-  
ხვა, დღემდე გამოუქვეყნებელი მასალები იოსებ ჯუღაშვილის (სტა-  
ლინი) შესახებ. მათ შორის ყურადსაღებია შინაგან საქმეთა სამინის-  
ტროს პარტიული არქივის ფონდებში არსებული ორი მოგონება. პირ-  
ველი არის ივანე ჯეჯელავას, როგორც თვითონ წერს – „ძველი მუ-  
შა-ბოლშევიკი 1902 წლიდან“ მიერ 1933 და 1935 წელს დაწერილი მო-  
გონებები – 1. „მოგონებები ამხანაგ სტალინზე“; 2. „ჩემი მოგონებები  
რევოლუციური მონათვლის პერიოდის ამხანაგ სტალინზე 1902 წელს“  
[შსსა, ფ.8, აღ.2, საქ.14, გვ.176-190].

მასში ი. ჯეჯელავა იხსენებს ბათუმში პროპაგანდისტ „სოსო-  
თან“ თავის შეხვედრებს. აღწერს მის გარეგნობას, ჩაცმულობას, პრო-  
პაგანდისტულ საქმიანობას. თითქმის სიყვარულით და სინანულით  
აღწერს თავის განცდებს, როდესაც მან პროპაგანდისტი „სოსო“ ნახა  
ძველ ჩოხაში გამოწყობილი და სხვა.

ჩვენთვის საინტერესოა მისი მოგონებიდან ინფორმაცია, რომე-  
ლიც შეეხება 1902 წლის 9 მარტის მუშათა დემონსტრაციას. იგი ი.  
ჯუღაშვილს ერთპიროვნულად ასახელებს მუშების ამ დემონსტრაცი-  
ის ხელმძღვანელად: „ჩვენ მივედით ყაზარმებთან, სადაც იყვნენ დაპა-  
ტიმრებული მუშები და ხალხის მასამ ამხანაგ კობას ხელმძღვანელო-  
ბით მოითხოვა მათი განთავისუფლება, მაგრამ ოფიცერმა ანთაძემ  
გასცა ბრძანება უიარაღო მუშების წინააღმდეგ სროლის დაწყებაზე“  
[შსსა, ფ.8, აღ.2, საქ.14, გვ.179].

აღსანიშნავია, რომ ჯარისკაცების მიერ მუშების წინააღმდეგ  
სროლის დაწყების ამ ფაქტს ი. ჯეჯელავასაგან განსხვავებულად აღ-  
წერს ჩვენ მიერ მოძიებული, 1937 წელს დაწერილი მოგონების - „მო-  
გონებები დიდ სტალინზე“ ავტორი ვლადიმერ ჯიბუტი [შსსა, ფ.8,  
აღ.2, საქ.14, გვ.210-218]. მასში საკმაოდ საინტერესო მასალებია თავ-  
მოყრილი იოსებ ჯუღაშვილის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ.  
მისი სიტყვებით, „ამხანაგი სოსო საიდუმლო კრებებზე მუშებს მოუ-  
წოდებდა ერთად დგომისკენ“ და მეწარმეების და ხელისუფლების წი-  
ნააღმდეგ ბრძოლისკენ. იგი სწორედ „ამხანაგ სოსოს“ ასახელებს  
1902 წლის იანვარში მანთაშევის ქარხანაში პირველი გაფიცვის ორ-  
განიზატორად. ვ. ჯიბუტის სიტყვებით - „ჩვენ გავიფიცეთ და 10 დღის

შემდეგ ქარხნის ადმინისტრაცია წამოვიდა ჩვენთან მოლაპარაკებაზე და ამხანაგმა სოსომ გვიჩვენა ადრინდელ მოთხოვნებზე ახალი მოთხოვნები დაგვემატებინა - გაცდენის დღეების ანაზღაურება და ხელფასის 30% ზრდა. გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დამთავრდა“. აღსანიშნავია, რომ სხვა თანამედროვის მოგონებით, ი. ჯულაშვილს უთქვამს: „ისინი (ადმინისტრაცია) შეშინებული არიან და გადაიხდიან“ [Эдельман, 2013]. ფაქტობრივად, შესაძლებელია ითქვას, რომ ი. ჯულაშვილი ცდილობდა სიტუაციის გამწვავებას – ამასთან, როგორც ჩვენ მიერ დასახელებული მეორე მოგონების ავტორი აღნიშნავს – „სოსო ყველა ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდა პროპაგანდის საწარმოებლად, მათ შორის, სომეხი მუშის გარდაცვალებას“.

1902 წლის 26 თებერვალს როტშილდის ქარხნის 900 მუშიდან 389 მუშა სამუშაოდან გაათავისუფლეს, რასაც მოჰყვა მუშათა გამოსვლები და მათი ნაწილის დაპატიმრება. ამან გამოიწვია მუშათა გამოსვლები ახალი ტალღა. ვ. ჯიბუტი წერს, რომ ბათუმში 1902 წლის 9 მარტის მუშების დემონსტრაციის წინა მოვლენები სწორედ ი. ჯულაშვილის ხელმძღვანელობით იმართებოდა. მისი სიტყვებით, 1902 წლის 7 მარტს მუშების დაპატიმრების გამო, სწორედ „სოსომ“ მოიწვია კომიტეტის სხდომა და მისი წინადადებით გადაწყვიტეს მუშებმა როტშილდის ქარხნის დაპატიმრებული მუშების ძალით განთავისუფლება.

აღსანიშნავია, რომ მეორე დღეს, 1902 წლის 8 მარტს პოლიციის სამმართველოსთან შეკრებილი მუშების ნაწილი პოლიციელებმა არ დაარბიეს, დააპატიმრეს და ყაზარმებში წაიყვანეს. ფაქტობრივად, ხელისუფლებას არ სურდა სიტუაციის კიდევ უფრო მეტად დაძაბვა. ვ. ჯიბუტის სიტყვებით, გუბერნატორს თითქოსდა აღუთქვამს კიდევ სხვა დაპატიმრებული მუშების განთავისუფლება მეორე დღეს, მაგრამ – „8 მარტს საღამოს ამხანაგმა სოსომ მოიწვია კრება და გაგვაფრთხილა, რომ ჩვენ გვატყუებენ და ჩვენი დახმარების გარეშე მუშებს არ გაათავისუფლებენო“.

„სოსოს“ გამოსვლის შემდეგ მუშებმა გადაწყვიტეს ყაზარმებისაკენ წასვლა, სადაც მოთავსებული იყვნენ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოადგილის ბრძანებით დაპატიმრებული გაფიცვის მონაწილე 400-მდე ადამიანი. ყაზარმებთან მუშების მისვლას კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოჰყვა მუშების მხრიდან მსხვერპლი. ამ დღეს ადგილზე დაიღუპა შვიდი მუშა, ხუთიც მალევე გარდაიცვალა მიღებული ჭრილობებისაგან, დაიჭრა ცხრაამეტი.

ჩვენთვის ეს ფაქტი საინტერესოა, რადგან, ერთი მხრივ, ეს არის ჩვენთვის ცნობილი დიდი დემონსტრაცია, რომელსაც ი. ჯულაშვილმა, მომავალმა სტალინმა გაუწია ხელმძღვანელობა. მეორე მხრივ კი, ჩანს, სწორედ ი. ჯულაშვილის და მისი თანამოაზრეების პროპაგან-

დით გაბრუნებულმა მუშებმა, რომლებიც, მათდამი გაწეული პერიოდული დათმობების გამო, დარწმუნებული იყვნენ, რომ ხელისუფლება ძალას არ გამოიყენებდა, მოახდინეს ჯარისკაცების პროვოცირება. ი. ჯეჯელავა თავის მეორე მოგონებაში (დაწერილი 1935 წელს) წერს, რომ ოფიცერ ანთაძის მიერ ჯარისკაცებისათვის ბრძანების გაცემა მუშათა მიმართ სროლაზე სწორედ მუშების მიერ ქვების სროლის დაწყებას მოყვა. ანუ, მის ამ მოგონებაში უარყოფილია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრება, რომ პირველად ჯარისკაცებმა ესროლეს მუშებს და არა პირიქით. მისი სიტყვებით – „ყაზარმეთან ცნობილმა ოფიცერმა ანთაძემ განაღვა ქუჩის გადაკვეთაზე ჯარისკაცები. მუშები მიუახლოვდნენ მათ და მოითხოვეს მუშების განთავისუფლება. ამაზე ასეთი პასუხი იყო: დაიშალეთ, თორემ გესვრით. ასეთმა თავხედურმა პასუხმა აღაშფოთა მუშები და დაიწყეს ქვების სროლა, რაშიც მეც ვმონაწილეობდი. ანთაძემ ბრძანება გასცა და ჯარისკაცებმა დაიწყეს სროლა“.

1902 წლის 5 აპრილს ი. ჯუღაშვილი დააპატიმრეს და ბათუმის ციხეში ჩასვეს. დროთა განმავლობაში, ჩანს, მან გადაიაზრა თავისი „ბათუმური“ გამოცდილება – ის უკვე აღარ ხელმძღვანელობს დიდ დემონსტრაციებს და მუშათა გამოსვლებს. წლების შემდეგ იგი მუშების, გლეხების უფრო მეტი „გააქტიურების“ მომხრედ გვევლინება, თუმცა ამჯერად მისი ინტერესი სხვა იყო. ი. ჯუღაშვილზე ერთ-ერთი მოგონების ავტორი ნიკო ახმეტელი 1936 წელს წერდა – „სოსო ... მომხრე იყო შეიარაღებული აჯანყების. იგი მთელი ცხოვრება ოცნებობდა თბილისის აღებაზე. მე ეს კარგად მახსოვს, მან სადღაც იშოვა თბილისის რუკა და სურდა მისი აღება შეიარაღებული ძალებით“ [შსსა, ფ.8, აღ.2, საქ.2, გვ.310].

ჩვენ მიერ საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივის, ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ფონდებში ახლად მოძიებული სხვა დოკუმენტების მიხედვით, ი. ჯუღაშვილი 1906 წლის იანვარში არა მარტო ორგანიზებას უკეთებდა თბილისის გუბერნიაში მოქმედი „წითელი რაზმების“ საქმიანობას, არამედ ირიბად დასტურდება იოსებ ჯუღაშვილის (სტალინი) კავშირი ბოლშევიკების მიერ ჩადენილ ტერორისტულ და ექსპრორიაციულ აქტებთან, რაზეც საბჭოთა ისტორიოგრაფია დუმბილს ამჯობინებდა [სიმაშვილი, 2013; Вахтанგიшвили, Симашвили, 2014].

ამრიგად, შესაძლებელია, რომ სტალინის მიერ პიესა „ბათუმის“ აკრძალვა უკავშირდება სწორედ მის მიერ 1902 წლის 9 მარტის მუშათა გამოსვლების ხელმძღვანელობას, რაც უდანაშაულო მუშების მსხვერპლით დამთავრდა და რომელსაც რეალური შედეგები მუშებისათვის არ მოჰყოლია – გაფიცვის დაწყებიდან 4 თვის შემდეგ მუშებმა მუშაობა განაახლეს [Эдельман, 2013]. თავად პიესის დაწერის წე-

ლი - 1938 ხომ ის პერიოდია, როდესაც დიდი ბელადი სტალინი აქტიურად ცდილობდა თავისი ბიოგრაფიიდან მისი აზრით შეუფერებელი „ფურცლების“ წაშლას, რევოლუციური ბრძოლის გზის „კორექტირებას“.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**შსსა, ფ.8, აღ.2, საქ.2** – შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის II განყოფილება, (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი), ფონდი 8, აღწერა 2, ნაწილი I, საქმე №2.

**შსსა, ფ.8, აღ.2, საქ.14** შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის II განყოფილება, (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი), ფონდი 8, აღწერა 2, ნაწილი I, საქმე №14.

**სიმაშვილი, 2013:** – სიმაშვილი თ., „გიგლა ბერბიჭაშვილის და ილიკო იმერლიშვილის კავშირი სტალინთან“, შინაგან საქმეთა სამინისტროს „საარქივო მოამბე“, 2013, №14.

**Вахтангишвили, Симашвили, 2014:** \_ Вахтангишвили Т., Симашвили, Т. Иосиф Джугашвили (Сталин) и террор, «European Researcher» (Европейский исследователь), Sochi, 2014.

**Эдельман, 2013** \_ Эдельман О. «Сосо в Батуме», 1902, «Неприкосновенный запас», № 90, 2013, стр. 229-244.

**Tengiz Simashvili, Nino Sozashvili  
(Telavi, Georgia)**

### Joseph Dzhugashvili (Stalin) and Batumi

#### Summary

The article is about Iosef Djugashvili-Stalin's revolutionary activity in the 1901-1902. There are information from some of the still unpublished documents, which were created Stalin's contemporaries. The documents content are interesting not only to study Jugashvili (Stalin) biography, also to study history of Batumi.

## ნიქოლოზ დარჩავინი ბათუმის შესახებ

ქ. ბათუმის შესწავლისთვის ნ. დერჟავინი იყენებს და მიუთითებს მკვლევართა სპეციალურ შრომებს. განსაკუთრებით აღნიშნის ღირსია მის მიერ აღწერილი ქალაქის კულტურულ-გეოგრაფიული გარემო, კლიმატური პირობები და სამკურნალო დაწესებულებანი. იგი აღნიშნავს, რომ შედარებით მცირე დროში, თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, ბათუმი გახდა ევროპული ქალაქი, შესანიშნავი ფართო ქუჩებით და ელექტროგანათებით, ლამაზი ორსართულიანი შენობებით, დიდებული ბაღებით და სავაჭრო-საფირმო დაწესებულებებით. ნ. დერჟავინი ქალაქის განვითარების მიზნით იძლევა საჭირო რეკომენდაციებს და აღნიშნავს, რომ უეჭველია, ბათუმი დგას კულტურული პროგრესის გზაზე, მაგრამ ამის მისაღწევად აუცილებელია, რაც შეიძლება ჩქარა გადაწყდეს ქალაქის მეურნეობის სადავო საკითხები, რომელთა რიცხვს მიაკუთვნებს მიწის გამოყენების საკითხს, რაც აბრკოლებს ქალაქის მეურნეობის განვითარებას. 1888 წლამდე ქალაქის მეურნეობას განაგებდა პოლიციის სამმართველო. ჯერ კიდევ 1879 წლის 1 ივნისს ბათუმის ოლქის რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ, პოლკოვნიკმა ფრეიერმა კავკასიის არმიის ხელმძღვანელს წარუდგინა მოხსენება ბათუმში მიწათსაკუთრების წესების შესახებ, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობის მიწაზე საკუთრების უფლება-მოვალეობანი იზღუდებოდა. 1878 ბათუმში მოქმედი მიწათსაკუთრების თურქული კანონები შეიცვალა რუსეთში ჯერ კიდევ 1864 წლის მიწის რეფორმების დროს მიღებული კანონით.

1900 წელს ქალაქ ბათუმის არქიტექტორმა ა. ბენკლიანცმა შეადგინა მიწის გეგმა 1830,32 კვ. საჟ. განთავსებული ნავთობის ქუჩაზე (დღევანდელი გოგებაშვილი), რომელიც არენდით ჰქონდა აღებული კიევის სამრეწველო ბანკს. ბათუმის მიწაზე საკუთრების უფლება გააჩნდა, ასევე, რუსულ ამხანაგობას „ნავთობს“ და ბათუმში არსებულ ირანის საკონსულოს (მეგრელიშვილი, 2013: 20). ნ. დერჟავინს, ქალაქის განვითარების პარალელურად, აუცილებლად მიაჩნია მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა. მეცნიერი განსაკუთრებულ ამოცანებს უსახავს ბათუმის ექიმთა საზღადოებას. დასასრულს, ის დაასკვნის, რომ ჩვენ შევეჩვიეთ ბათუმის ევროპულ ქალაქ ნიცასთან შედარებას, მაგრამ თითქმის არაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ცოტათი მაინც მიუეახლოდეთ ნიცას. იგი ბათუმს დიდ მომავალს უწინასწარმეტყვე-

ლებს და დასძენს, რომ ყველაფერს დრო სჭირდება და თუ ბათუმი თავისი 24-წლიანი ცხოვრებიდან „ტყე და ჭაობიდან“ თავისი კეთილმოწყობით გადაიქცა საუკეთესო ქალაქად მთელს ამიერკავკასიაში, მაშინ არაფერი შეუშლის მას ხელს ორმოცდაათი წლის იუბილეს გახდეს ევროპული ქალაქი ნიცა. იგი ფლობს ამისთვის ყველა აუცილებელ საშუალებას და ამის მისაღწევად ქალაქის თვითმმართველობა არ უნდა შეუშინდეს არცერთ დანახარჯს.

ნ. დერჟავინი აქვეყნებს მონაცემებს 1889 წელს ქალაქის შემოსავალ-გასავალთან დაკავშირებით.

<b>შემოსავალი:</b>	<b>გასავალი:</b>
1889 წ. – 145,453,21	145,453,21
1890 წ. – 192,882,56	214,465,05

1888 წლიდან ქალაქის მეურნეობას განაგებდა ბათუმის თვითმმართველობა. ქვემოთ მოცემული ციფრები მიუთითებს წლების მიხედვით ქალაქის მეურნეობის ზრდა განვითარებას.

**შემოსავალი:**

წელი	ქალაქის მიწებიდან	ქონებიდან	ქალაქის განსაკუთრ. საწარმოებიდან	მოსაკრებელი საქონლიდან და სარეწიდან	ბაჟი სხვადასხვა დასახ.	ქალაქის ქონებიდან	შენიშნულებიდან	დახმარება ქალაქის გასავლის დაბრუნება
1891	20517	4765	13750	-----	-----	-----	1450	-----
1899	30314	96239	20995	31677	5202	58810	16570	500607
1900	28978	106678	22625	30459	5769	67060	15795	317753
1901	31014	109943	25514	33048	5941	62059	16925	193655

**გასავალი:**

წელი	სახალხო განათლებაზე	ქალაქის საწარმოებზე	ქალაქის კეთილმოწყობა	საექიმო ნაწილი	ქალაქის მზრუნველობა
1891	8110	7280	16100	8839	-----
1899	160438	12940	251738	112932	2500
1900	87104	6220	248334	22462	3100
1901	37260	6780	168377	24245	3620

მონაცემები აღებულია ბათუმის 1890 წლის 17 ივნისის ერთდღიანი აღწერიდან და ქალაქ ბათუმის 1899, 1900, 1901 წლების შემოსავლებისა და გასავლების ხარჯთაღრიცხვიდან.

ნ. დერჟავინი მიგვანიშნებს XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის უკიდურესად ჭრელ მოსახლეობაზე და აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში ბათუმში ცხოვრობდნენ: ქართველები, ბერძნები, სომხები, თურქები, სპარსნი, აფხაზები, ჩერქეზები, რუ-

სები, ებრაელები და უცხოეთის ქვეშევრდომნი: ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, იტალიელები, სლავები. ნ. დერჟავინი აღნიშნავს, რომ მოგზაურ ანდრიანე დიუპრეს თქმით, 1807 წელს ბათუმში წარმოადგენდა დიდ სოფელს, ვიდრე ქალაქს. მისი მოსახლეობა შეადგენდა 2.000 კაცს, რომლებიც ცხოვრობდნენ სანაპიროზე მიმობნეულ სახლებში და ტყიან ადგილებში. 1873 წელს ბათუმში 4970 მცხოვრები იყო, მაგრამ რუსების ჯარების მიერ მისი დაკავების შემდეგ რაოდენობა გაიზარდა 3.000 კაცამდე. 1882 წლის აღწერით ბათუმში ცხოვრობდა 8671 ადამიანი (6931 კაცი, 1740 ქალი). 1889 წელს ბათუმის მოსახლეობა გაიზარდა 12.000 კაცამდე, ხოლო 1890 წელს შეადგენდა 18,123 ადამიანს (14,180 კაცი და 3,943 ქალი) 1897 წელს ბათუმის მოსახლეობა დაახლოებით 30.000 ადამიანს ითვლის.

1890 წლის მონაცემებით, მოსახლეობის ჭარბ ელემენტს წარმოადგენს რუსები, შემდეგ მოდიან ქართველები, სომხები, ბერძნები, თურქები, ებრაელები და ა.შ.

დასაქმების მიხედვით, პირველი ადგილი რაოდენობრივად უკავია მუშებს, შემდეგ ხელოსნებს, ჯარისკაცებს, ვაჭრებს, მოსამსახურეებს, ჩინოვნიკებს და ა.შ.

ქალაქის მოსახლეობის განათლების დონე შეადგენს 52%-ს. ნ. დერჟავინის ნაშრომში მოცემულია 1900 წელს ქალაქში არსებული სასწავლო დაწესებულებები (ცხრ.1). ცხრილი შედგენილია 1900 წლის მაისში კავკასიის სამაზრო სასწავლო დაწესებულებების მიერ წარდგენილი ანგარიშის მიხედვით. მასში არ შესულა 1894 წელს დაარსებული სობოროს მართლმადიდებელი საეკლესიო სკოლის მონაცემები. მისი სახსრები შეადგენდა 880 მან. საეკლესიო და 300 მან. ქალაქიდან, მოსწავლეთა რაოდენობა 105 იყო.

ნ. დერჟავინი მიუთითებს ქ. ბათუმის გეოგრაფიულ საზღვრებს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით 41 გრ. 39,30 გრძედის და 41 გრ. 38,15 განედზე, 25 კილომეტრის დაშორებით, თურქეთის საზღვრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. მისი განმარტებით, ბათუმი მდებარეობს კახაბრის დაბლობზე, ბათუმის ნაესადგურის სამხრეთ და დასავლეთ სანაპიროზე. სამხრეთის მხრიდან მოზღვნილია გურია-აჭარის მთების შტო, სახელდებული კახაბრის სიმაღლე, რომელზეც ამადლებულია სამების მთა წმ. სამების ეკლესიის ნანგრევებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩნდება კავკასიის მთავარი ქედის თოვლიანი ჯაჭვი, ყაზბეგის და იალბუჯის მწვერვალები, ქალაქის ტერიტორიას დასავლეთის მხრიდან გადაკვეთს მდინარე ანგისა, რომელიც ზღვასთან მისვლამდე იყოფა რამდენიმე განშტოებად და წარმოქმნის ჭაობის მთელ რიგ მცენარეულ საფარს, მცირე ტბებს და ჩაედინება ზღვაში. კახაბრის სიმაღლის დაბლა გადის ინჟინერ ჟილინსკის არხი, რომელიც უერთდება მდინარე ბარცხანას და ქალაქის აღმოსავლეთის მხრიდან ჩადის

ზღვაში. ნ. დერჟავინის ეს მონაცემები ძირითადად ეყრდნობა ა. ფრენკელის გამოკვლევას „ნარკვევები ჩურუქ-სუს და ბათუმის შესახებ“.

*ცხრილი 1*

დასახელება	გახსნის დრო	სახსრები			მთლიანი	გასავალი	გადსახადი სწავლის უფლებებისთვის	კლას. რაოდ.	მოსწ. რაოდ.
		სახელმწიფო ხაზინიდან	ქალაქიდან	შემოსავალი მოსწ. უფლებებისთვის					
ვაჟთა გიმნაზია მისი იმპ. დიდი კნ.მ.ნ	1 ივლისი 1897	8597	18310	14830	55067	32328	60	პრ. 3+5	393142
ქალთა გიმნაზია ქ. კლ. სასწ.მართინის ქალთა სასწ.	26 სექტ.1900. წ. 1 ივლისი. 1881. 2 სექტ. 1890 წ.	2000	1300	4300	8725	5068	60	პრ.+4	151
		3557	3700	3670	11645	11506	20	7	235
		152	4910	1370	8477	6302	20	6	107
									140
									53
									77
სახელისნო 2.კლ. სასწ	8 სექ 1889	17798	500	2076	23513	20119	6	4	38
ბერძნული ქალთა სასწ.	1886	—	200	—	—	2200	—	—	105
ქალაქის ვაჟთა 1კლ. სასწ.	1899	—	1800	—	—	1800	—	—	64
ქალაქის ქალთა 1 კლ. სასწ.	1898	—	1800	—	—	1800	—	—	59
საეკ. კათოლ კერძო 3 საფ. აღებულების	1892 1898	—	—	—	—	1250	—	—	86
						2456			38
გან. გამაგრც. სახ. მოქ. პალიევის მ. წულუკიძის	1881				2000				180
	1888	300	—	—	1000	—	—	—	33
	1900				480				3

ნ. ა. ხუდაღვისა და ნ. ერიქსონის გამოკვლევების საფუძველზე, ნ. დერჟავინი ბათუმს მიაკუთვნებს ნაღველების უახლეს ფორმაციას, რომელიც შედგება შლამის, თიხისა და ხრეშისგან. თავისი სის-

ქით, პირველი ორი ფენა უმნიშვნელოა, არა უმეტეს 1-2 მმ. ეს სისქე უფრო დიდია მთის ძირას, ზღვასთან ახლოს კი თხელდება. ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქის მიწა შედგება მსხვილი ხრეშისგან. სანაპირო ზოლის ზედა ფენა ფხვიერია, ფენებს შორის კავშირი იმდენად უმნიშვნელოა, რომ ჭის კედლები ირღვევა და მოლიანად ავსებს ორმოს. პირველ რიგში სიფხვიერეს განაპირობებს ხრეშის შემადგენლობა და ჰავის სინესტე. ნიადაგის ეს ნაკლი აიხსნება იმ მიზეზითაც, რომ კოკისპირული წვიმები ბათუმში არ ტოვებენ გუბეს, რამდენადაც მთელ სინესტეს ნიადაგი მომენტალურად ისრუტავს და მიწა ნესტით იჟღენთება. ნიადაგის ასეთი შედგენილობა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მოცემული ზედაპირი უძველესი წარმოშობისაა. ბათუმის ზღვისპირა ზოლის ანალიზი ამტკიცებს, რომ ნიადაგის ფორმაცია ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ბათუმის გარეუბნის მკვლევარი ე.ვ. ერიქსონი მიუთითებს, რომ კავკასიის შავი ზღვის სანაპირო ჩოლოქის ვიწროებიდან სასაზღვრო სოფელ ლიმანამდე შეიცავს ხრეშს და სილას, მკვირვ სქელ ფენად დადებულს მთის ქანზე. მთელი სივრცე ბათუმის მთების გარშემო დაყოფილია ღრმა გამოქვაბულებით და დაფარულია ხშირი ტყით.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ნ. დერჟავინის მიერ დახასიათებული ბათუმის ბუნება. იგი აღნიშნავს, რომ კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობებით ღარიბი ბათუმის ოლქი მდიდარია თავისი ბუნებით, რომელიც მოუთმენლად ელის მარჯვე ადამიანის ხელს, რათა ფართო გასაქანი მიეცეს მის სიმდიდრეს. უძველესი დროიდან ბათუმის მხარე ცნობილია თავისი საოცარი სუბტროპიკული მცენარეებით და იმ სიმდიდრით, რაც დამალული სახით ძვეს მიწის წიაღში, მაგრამ ადრე თუ გვიან გახდება მისი მონაპოვარი და რეგიონის მოსახლეობისთვის დადგება ოქროს ხანა, როცა გლეხის მეურნეობა გამოვა პირველყოფილი მდგომარეობიდან, რომელშიც იგი იმყოფება და გახდება კულტურის და ცივილიზაციის ნაწილი. ნ. დერჟავინი აღნიშნავს, რომ იმდენად მდიდარი და მრავალფეროვანია მცენარეთა საფარი, რომ გიმნელდება დაასახელო თუ გინდ ზოგიერთი მცენარეთა სახე, რომელიც ბათუმის ოლქში არ გვხვდება. ფოთლოვანი ჯიშებიდან აღსანიშნავია: რცხილა, თელა, მინდვრის ნეკერჩხალი, ხვალა, მურყანი, წიფელი, ნიგოზი, წაბლი, წყავი, მუხა, მაგნოლია, შქერი, დეკა, ევკალიპტი და სხვა, წიწვოვანიდან: სოჭი, ალატი, აღმოსავლური ნაძვი, სხვადასხვა სახის ფიჭვი, კვიპაროზი, სარო, დარგული მაჩიტა დერთი, რომელიც ასზე მეტ ყვავილს ისხამს (აღბოვი, 1896: 77; ერიქსონი 1899: 53).

ნ. დერჟავინი ასახელებს რეგიონში ცნობილ და მოქმედ მინერალურ საბადოებს, ესენია: 1. ვერცხლი-ტყვიის, ცნობილია 25 პუნქტის ადგილ სამყოფელი. 2. ბრინჯაოს საბადო – 25-ზე მეტი პუნქტი. 3.

თუთიის – 8 პუნქტი. 4. მარგანეცის – 13-ზე მეტი 5. რკინის საბადოები განთავსებულია შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ბათუმიდან ქობულეთამდე. 6. ქვის საბადოები – ბათუმის მიდამოებში 7. ხანშის, ნატრიის მარილი. 8. კვარციტი, ქვიშა-ქვა, ანდეზიტის ნარევი, ანდეზიტის ლავის და ტუფის. 9. მინერალური წყლები ვარაუდობენ ოქროს ფენის არსებობას მდინარე ჭოროხში (**დერჟავინი, 1902: 51**).

ამრიგად, ნ. დერჟავინის მიერ შესწავლილი და წარმოდგენილი ისტორიული მასალა მნიშვნელოვან შთაბეჭდილებას გვიქმნის XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ბათუმის შესახებ.

### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

**დერჟავინი, 1902:** – დერჟავინი ნ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი (რუსულ ენაზე).

**ერიქსონი, 1899:** – ერიქსონი ე., მოგონებები ბათუმისა და მისი გარეუბნების შესახებ, – ჟურნ. „ბუნება და გეოგრაფია“, 1899, №6 (რუსულ ენაზე).

**ალბოვი, 1896:** – ალბოვი ნ.მ., ნარკვევები კოლხეთის მცენარეთა შესახებ, მოსკოვი (რუსულ ენაზე).

**მეგრელიშვილი, 2013:** – მეგრელიშვილი მ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი.

**Merab Megrelishvili**  
(Batumi, Georgia)

### **Nikoloz Derzhavin about Batumi (End of XIX Century and Beginning of XX Century)**

#### **Summary**

Article presents cultural-geographical environment, geographical boundaries, demographic condition, climate, soil, thrift and educational institutions of Batumi, which were studied and presented by Nikoloz Derzhavin.

## საარქივო სამართავლოს სათავეებთან

საარქივო საქმე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უმნიშვნელოვანესი დარგია. იგი ემსახურება ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო და კულტურულ ინტერესებს, წინაპრების დოკუმენტური მემკვიდრეობის დაცვას. ძველ საქართველოში დოკუმენტებს ინახავდნენ ეკლესიებში და სასახლის კარზე. XVIII საუკუნეში იქმნება სპეციალური დაწესებულება – დავთარხანა.

XVI-XIX სს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, საკუთრივ აჭარაში, საარქივო საგანძურს ისტორიული ბედუკუდმართობის გამო მიაღდა მნიშვნელოვანი ზარალი. დოკუმენტების ნაწილი დაზიანდა ან დაიტაცეს. 1878 წ. 20 აგვისტოს ქუთაისში, თურქეთის კომისრებთან დადებული პირობების მიხედვით, ბათუმისა და ბათუმის ოლქის შესახებ არსებული დოკუმენტები უნდა დარჩენილიყო ადგილზე და გადასცემოდა ახალ ხელისუფლებას, მაგრამ ეს პირობები დაირღვა. აჭარის საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ მათი დიდი ნაწილი თურქებმა გაიტაცეს, ნაწილი პეტერბურგში იგზავნებოდა, ადგილზე დარჩენილი დოკუმენტები კი ნადგურდებოდა და ნიავდებოდა, რადგან ვერ მოხერხდა დოკუმენტებისათვის შესაფერისი ფართის გამონახვა. ქალაქის თავის ანდრონიკაშვილის მცდელობის მიუხედავად პრობლემა კვლავ მოუგვარებელი დარჩა. ბათუმის სამხედრო კომისრის ქლენტის წერილიდან ირკვევა, რომ ბათუმის სამხედრო კომისარიატში შექმნილა დროებითი კომისია სამხედრო-ისტორიული მასალების შეგროვებისა და კლასიფიკაციისათვის. სამხედრო კომისარი ითხოვს მკაცრი ღონისძიებების გატარებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული დოკუმენტების „დატაცება და გაფუჭება“. ამ მიზნით აღრიცხვაზე უნდა აყვანათ არსებული დოკუმენტები, და საუწყებო არქივები გადასულიყო დროებითი კომისიის განკარგულებაში.

„საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს რევკომის 1921 წლის დეკრეტის საფუძველზე აჭარაში დაიწყო დოკუმენტების შეგროვება და დაცვა. მოგვიანებით, 1923 წ. 11 აპრილს მიღებული იქნა გადაწყვეტილება განათლების სახალხო კომისარიატთან შექმნილიყო საარქივო განყოფილება. ეს დღე უნდა ჩაითვალოს აჭარაში საარქივო დაწესებულების დაბადების დღედ. აჭარის ცსა ჩამოყალიბდა ქალაქის მმართველობის არქივის ბაზაზე. ამ დროიდან მოყოლებული სისტემატურად იკრიბებოდა სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების, წარმოება-დაწესებულებების, უწყებების დოკუმენ-

ტური მასალები. „საარქივო აპარატის შექმნის გეგმა“ ითვალისწინებდა საარქივო დოკუმენტების თავმოყრას ერთ დაწესებულებაში (ასს ცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 163). გააქტიურდა მანამდე არსებული დოკუმენტების მოძიების პროცესი. გადაწყდა „სხვადასხვა ადგილებში მყოფი არქივების ერთ არქივში მოგროვება“. დადგინდა, რომ „დაახლოებით ყველა ბათუმის დაწესებულებაში მყოფი არქივები იქნება წონით: ა) კომუნალურ მეურნეობაში – არანაკლებ 600 ფუთი; ბ) ცენტროსოიუზის სარდაფში – 500 ფუთი; გ) სახალხო ბანკის სარდაფში – 400 ფუთი; დ) მე-2 ქალ. საავადმყოფოში – 15 ფუთი; ე) ბათუმის საბაქოში – 400 ფუთი; ე) მუშათა და გლეხთა ინსპექციაში – 50 ფუთი; ჟ) ბურუნტაბის საწყობში – 100 ფუთი; სულ 2200 ფუთამდე. ამის გადატანას მოუწდება 40-45-მდე ყუთი, ერთი ცხენი, დროგი და ოთხი მუშა (7-8 დღე მუშაობა. დღეში 1 ლირა თითო მუშას), სულ არქივის გადატანას დაჭირდება 100 ლირამდე (ასს ცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 163). გეგმა ითვალისწინებდა არქივისათვის „ერთ დიდ ოთახს საწყობისათვის არანაკლებ 15X15 არშ., ერთ პატარა ოთახს 5X5 არშ. კანცელარიისა და სამუშაოებისათვის“, ასევე 4-იარუსიან თაროებს, რომელთა საერთო სიგრძე უნდა ყოფილიყო არანაკლებ 100 მეტრი (ასს ცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 163). საარქივო მმართველობის მთავარი გამგის ს. კაკაბაძის 109 წერილიდან (1923 წ. თებერვალი) ირკვევა, რომ აჭარაში საარქივო დოკუმენტების განთავსების საკითხი რწმუნებულ გიორგი ფურცელაძის უნგარო, უხელფასო მუშაობის მიუხედავად ჯერ კიდევ მოუგვარებელია, რომ „დოკუმენტებისათვის გამოყოფილი ერთი ოთახიც კი დააცლევინა კომუნალური მეურნეობის გამგემ“ და საარქივო საქმეები გადაიტანეს სარდაფში (აცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 166). მანამდე, 1921 წ. ქალაქის საბჭოს სარდაფში აღმოაჩინეს დოკუმენტების გროვა. ასეთივე გროვა აღმოჩნდა 1923 წელსაც (ასს ცსა, ფ. 89, ან. (7)1, ს. (72 Б) 253).



ქალაქის საბჭოს სარდაფში აღმოჩენილი დოკუმენტების გროვა (1921 და 1923 წწ.)

აუცილებელი გახდა მათი განთავსება ახალ შენობაში. საარქივო მმართველობის მთავარი გამგე აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს თხოვდა, რათა მიღებულიყო „ზომები, რომ საარქივო საქმეს ბათომსა და აჭარაში არ ეძლეოდეს ზიანი, რომლის გამოსწორება, თუ მას საქმეების დაღუპვა მოყვა, მომავალში შეუძლებელი იქნებოდა“. ს. კაკაბაძე აჭარის ასსრ-ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს თხოვდა დახმარებას, რათა საარქივო დოკუმენტებისათვის ბათუმში გამოყოფილიყო „შესაფერისი ბინა და თუ ეს ამ მოკლე ხანში შეუძლებელი იყო, საჩქაროდ დაბრუნებოდა მას ფართი წინანდელი კომუნალური მეურნეობის შენობაში, მომავალში კი მოპოვებულიყო უფრო ფართე ბინა” (ასს ცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 166). მთავარი საარქივო სამმართველოს რწმუნებულის გიორგი ფურცელაძის 1923 წ. 9 მარტის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ბათუმში საარქივო დოკუმენტები მიმობნეული იყო ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებებში, კერძოდ: „1: ბათომის სამხედრო გუბერნატორის, საპოლიციო, ქალაქ ბათომის თვითმმართველობის, ტრაპეზონის და ბაქოს სამხედრო რეინის გუბის – მოთავსებულია კომუნალური მეურნეობის შენობაში, ქვედა სარდაფში; 2: სასამართლოს პალატის და ოლქის სასამართლოსი, რომელნიც თბილისიდან აქ არის ჩამოტანილი, მოთავსებულია „ცენტროსოიუზის“ შენობაში, ქვედა სარდაფში. 3. დანარჩენი ამიერკავკასიის, რუსეთ-აზიის და კავკასიის ბანკების – მოთავსებულია ეხლანდელი სახალხო ბანკის შენობაში, ქვედა სარდაფში 4. ბათომის საბაჟოს არქივი მოთავსებულია ბათომის საბაჟოს საკუთარ შენობაში, პატარა ოთახში 5. ამის გარდა არის მცირე არქივი სასანიტარო დაწესებულებების, რომელიც მოთავსებულია მე-2 ქალ. საავადმყოფოში 6. ციხესიმაგრის საინჟინერო არქივი - ინახება ფოსტ. „ბურუნტაბის“ საწყობში” (ასს ცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 166). რწმუნებული შემფოთებულია იმის გამო, რომ ყველა ზემოთაღნიშნულ დაწესებულებაში დგება წყალი, „ქალაქდები დანოტვილი და გამწვანებულია” და თუ შესაფერისი ფართი არ გამოინახა დოკუმენტებისათვის, ისინი „სრულებით გამოუსადეგარი იქნება არქივის მასალათ” (ასს ცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 166). ასეთ შემთხვევაში გიორგი ფურცელაძე მიზანშეწონილად მიიჩნევდა „გადარჩეულიყო საქმეები და ცენტრში გადაგზავნილიყო”, რათა შესაძლებელი ყოფილიყო „დაღუპვის გზას მყოფი მთელი საარქივო მასალის“ გადარჩენა (ასს ცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 167).

მაღე, არქივისათვის გამოიყო სათავსო ქალაქის საბჭოს შენობაში, თუმცა იგი იყო ბნელი, ნესტიანი. წვიმის დროს დგებოდა წყალი, ნადგურდებოდა დოკუმენტები. ამიტომ აუცილებელი გახდა სხვა შენობის მოძიება, რასაც რამდენიმე წელი დაჭირდა. მოგვიანებით, საარქივო დოკუმენტების განთავსებისათვის ლიკვიდირებული ლომბარ-

დის შენობაში გამოყოფილი იქნა 3 ოთახი და ერთი დერეფანი, თუმცა, შემდეგში მხოლოდ ერთი ოთახი დაუტოვეს. ქალაქის არქიტექტორმა უფლება არ მისცა საცავში განეთავსებინათ ორ სტელაჟზე მეტი, რადგან შენობის იატაკი მეტ სიმძიმეს ვერ გაუძლებდა. ამიტომ დოკუმენტების ნაწილი ისევ სარდაფში განათავსეს. ცხადია, აღნიშნული შენობა ვერ აკმაყოფილებდა დოკუმენტსაცავისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. საკითხის მოსაგვარებლად განათლების სახ. კომისარიატოდან კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობის სახელზე გაიგზავნა წერილი. ავტორი ს. რეშიდი ითხოვდა არქივისათვის შენობის შედაგათიან პირობებში გადაცემას. პატრკომის წინაშე აღიძრა შუამდგომლობა, რათა არქივისათვის გადაეცათ ყოფილი „სამხედრო სობორის“ შენობა. ამ შუამდგომლობას ეთანხმება კომუნალური მეურნეობის მმართველიც.



ლიკვიდირებული ლომბარდი



სამხედრო ტაძარი

ეს პროექტი ვერ განხორციელდა, რადგან, ჯერ ერთი, როგორც ჩანს, მაშინვე მტკიცედ იყო გადაწყვეტილი მისი დანგრევა, ამასთან, იმუამად სამხედრო ტაძარში მუზეუმი იყო განთავსებული. არქივის მმართველის პროფესორ სპილიოტისადმი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის 1928 წ. 13 ოქტომბრის წერილში აღნიშნულია, რომ „სობორის გათავისუფლებამდე არქივი გადაეტანათ ოთახებში, სადაც ადრე მოთავსებული იყო განათლების სახალხო კომისარიატი“. მაღე დოკუმენტები დროებით განათავსეს ორჯონიკიძის და პიონერის ქუჩების კვეთაში მდებარე ახალ შენობაში.



17 წლის განმავლობაში არქივმა 10-ჯერ შეიცვალა ადგილი. სა-არქივო მასალების გადატანისას არაერთი დოკუმენტი განადგურდა. 1936 წლიდან არქივმა ბინა დაიღო ლიბკნეხტის 44-ში (ახლ. მაზნიაშვილის ქუჩა) მდებარე ბინიატ ოფლის ყოფილ სახლში, არქიტექტორთა კავშირის ყოფილ სასტუმროში (ე. წ. სოკოს სახლის შენობა), ხოლო 1938 წ. 14 დეკემბერს საარქივო დოკუმენტები გადაიტანეს კათოლიკური ეკლესიის შენობაში (შაუმიანის, ახლ. დიმიტრი თავდადებულის ქუჩა, №53).



სოკოს სახლი



კათოლიკური ეკლესია

1962 წ. გადაწვდა არქივისათვის სპეციალური შენობის აშენება. გამოიყო მიწა გორკის, ახლ. გორგილაძის ქუჩის ბოლოში, შემუშავდა შესაბამისი პროექტი, რომლის საფუძველზეც აშენებულ იქნა არქივის სამსართულიანი შენობა, მაგრამ ეს შენობა სრულიადაც ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს, არ იყო გათვალისწინებული სა-არქივო დაწესებულების სპეციფიკა, არ არსებობდა დოკუმენტების მოვლა-შენახვისათვის საჭირო პირობები, ამიტომ, 1968 წელს დაიწყო სამსართულიანი შენობის მშენებლობა, თუმცა იგი დროში გაიწვია და ექსპლოატაციაში შევიდა მხოლოდ 1992 წელს.



სახელმწიფო არქივი



დოკუმენტების მიღება



**სამშენებლო სამუშაოები**



**სახელმწიფო არქივი**

2011 წლის სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე, საარქივო სამმართველოს ადმინისტრაციული შენობა ქალაქის უსახურ ნაგებობათა რიცხვს განეკუთვნებოდა:



**საარქივო სამმართველო სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე**

2011 წ. ოქტომბერ-დეკემბერში ამ შენობას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, ფაქტობრივად, მწყობრში ჩადგა ახალი შენობა. საარქივო სამმართველო აღიჭურვა თანამედროვე საოფისე ავეჯით და კომპიუტერული ტექნიკით:



**საარქივო სამმართველო სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ**

შეკეთდა და კეთილმოეწყო სამუშაო ოთახები, კანცელარია და სამკითხველო დარბაზი:



**სამკითხველო დარბაზი**

დღეისათვის საარქივო სამმართველოს შენობა ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე, ლამაზი და კეთილმოეწობილი საარქივო დაწესებულებაა საქართველოში. მასში დაცულია 1648 ფონდის 564870 საქმეთა ერთეული. არქივის ფონდსაცავებში დაცული დოკუმენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

### გამოყენებული წყაროები:

ასს ცსა, ფ. რ-2, ს. 23 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-2, საქმე №23.

ასს ცსა, ფ. 89, ან. (7)1, ს. (72 Б) 253 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 89, ანაწერი (7)1, საქმე №(72 Б) 253; ბ. მ. თავაძის სადიპლომო ნაშრომი.

ასს ცსა, ფოტო-დოკუმენტები.

**Tamaz Putkaradze**  
(Batumi, Georgia)

### Origins of Archives Administration

#### Summary

Archival case is most important field of national importance. It serves political, economic, scientific and cultural interest of country and also protection of ancestors' documentary memory. In article based on archival data are discussed the major issues in the history of the archival institution from its inception (April 11, 1923) to present.

## სომეხთა გავრედი ბათუმისა და მისი შემოგარენის ხალში ჩასაგდებად XX საუკუნის დასაწყისში

ისტორიული რეალობის აღდგენა, სიმართლის თქმა დოკუმენტებზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, თანამედროვე პირობებში სულაც არ შეუძლის ხელს ჩვენს საუკუნოვან მეზობელთან მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობას. ამ იმედით მომზადდა ეს ნაშრომიც.

„სომეხ ნაციონალისტთა“ სეპარატისტული იდეოლოგია და აქედან გამომდინარე მათი ექსპანსიონისტური განწყობები არახალია – ძველია. ალბათ, იმდენად ძველი, რამდენადაც თავად სომხური ეთნოსი. ეს იდეოლოგია საუკუნეების მიღმა იღებს სათავეს და იგი სომეხთა „ეროვნული განუმეორებლობისა და განსაკუთრებულობის“ იდეაზე დაფუძნებული, რამაც XIX საუკუნის ბოლოსათვის თვისობრივად ახალ დონეებს მიაღწია“, – წერს მკვლევარი ჩაჩხიანი თავის დისერტაციაში (<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect:14>). ამას სამართლიანად შეიძლება დაუმატოს კაცმა ისიც, რომ სომეხებს ყოველთვის ეჭირათ თვალი ქართული მიწების მიტაცებაზე და ამისათვის ისინი ყოველ დონეს მიმართავდნენ. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ „ბროკპაუზის ენციკლოპედიაში „სომხეთზე“ მიძღვნილ მიმოხილვაში ვკითხულობთ, თურმე „არტაანისა და ბათუმის ოლქები სომხეთია“, ხოლო „ახალ ამერიკულ ენციკლოპედიაში „სომხეთისადმი“ მიძღვნილ სტატიაში მოკლედია ნათქვამი: „დედაქალაქი ერევანი, მთავარი პორტი – ბათუმი“ (<http://biblioteka.litklubi.ge/print.php?id>). დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ბოლო გამოცემაში კი დაბეჭდილია 1917-1921 წლების ყალბი ისტორიული რუკა, რომელზეც ისტორიული მესხეთი, სოფელ სარფის სამხრეთით და შავი ზღვის სანაპიროდან დაწყებული არტაანოლთისით დამთავრებული ტერიტორიები, სომხეთის კუთვნილებადაა გამოცხადებული (БСЭ, 1970: 224). სომეხების მიერ ქართული მიწების მიტაცების სურვილი განსაკუთრებით გამძაფრდა XX საუკუნის დასაწყისში. ეს, რამდენადმე, განპირობებულია ჩვენი ტოლერანტობით და გადამეტებული „რაინდობით“, როგორც აღნიშნავს გაზეთ „სახალხო ფურცელის“ კორესპოდენტი სანგანიძე. „ჩვენი უშნობა და „რაინდობა“ იმის მიზეზია, რომ სამშობლოს მიწა-წყლის ერთი მესამედი ხელიდან გამოგვეცალა“ (გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, №758). სწორედ ამით სარგებლობდნენ „სომეხი ნაციონალისტები“ და ცდილობ-

დნენ ისტორიული საქართველოს ტერიტორიების ხელყოფას, - წერს, იმავე გაზეთში, სანგინაძე. „ვნახე ორთაბათუმში ვიღაც გადამთიელ გაიდამაკიანის მშვენიერი ბაღი. ვგონებ 32 დღიურზე თუ მეტზეა გადაჭიმული“. მომდევნო ნომერში კი, საქართველოს ბედზე დანაღვლიანებული, წერდა: „ქართველი გუთანზეო, სომეხი დუქანზეო, - ვიღაცას უთქვამს... ქართველი მაჰმადიანი სტუმართმოყვარეა... ეს სომხებს და ბერძნებს ბოროტად გამოუყენებიათ: მოსულან ადლითა და ჩოთქით ხელში. მოსულან ჯიბე-ცარიელი, და მთელი სამაჰმადინო საქართველო დაუბეგრიათ, გაუფრცქენიათ, ვალებში ჩაუხსნიათ“ (**გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, №759**). სომეხთა „მოხერხებულობის“ კიდევ ერთხელ დასამტკიცებლად, ამავე გაზეთში ერთი ფრიად საინტერესო ფაქტი მოჰყავს კორესპოდენტს, რომ „ართვინის საავანდყოფოში ერთი ექიმი ხალხს უფასოდ სინჯავდა და წამალსაც უფასოდ აძლევდა. ეს გაიგეს სომხებმა და ართვინში ექიმთან ჩამოსულებს ხვდებოდნენ, ართმეღნენ ექიმის წამლის ფულს და პირდებოდნენ: „ნუ გეშინიათ, ყველაფერს მოგიხერხებთ“. ასე იყო 30 წლის განმავლობაში. ერთ დღესაც ექიმ ერისთავს თადლითი სომეხი, რომელიც ისევ აპირებდა ავადმყოფის მოტყუებას „კინწისკვრით“ გამოუგდია თავისი კაბინეტიდან. მართალია, ამ ექიმმა იხსნა თავისი ავადმყოფები სომეხთა მოტყუებისაგან, მაგრამ მთელ ქართველ ერს ძალიან გაგვიჭირდა თავი დაგვეხსნა სომეხთა მუხანათური გეგმებისაგან, რომელიც ასე მძაფრად გამოიკვეთა XX საუკუნის დასაწყისში.

ცარიტული რუსეთი ამიერკავკასიაში თავის საყრდენად ყოველთვის იყენებდა სომხებს, მაგრამ XIX საუკუნის 80-იან წლებში შეიცვალა სიტუაცია და მკვლევარ ქეთევან აფციაურის თქმით: „1885 წელს დაიხურა 500-მდე სომხური სკოლა, 30 ათასი მოსწავლე ქუჩაში დარჩა. ცარიზმის მოხელეებს გაახსენდათ, რომ ზოგიერთ სომხურ სკოლაში ეკიდა „დიდი სომხეთის“ ისტორიული რუკები, ლოცვა-წირვა სომხურად მიმდინარეობდა. რუსებმა დახურეს „კავკასიის სომხური საქველმოქმედო საზოგადოება“ და სხვა საზოგადოებები, მათ შორის წიგნის გამოცემის საზოგადოება, სომხური ჟურნალ-გაზეთები. 1903 წლის 12 ივნისის განკარგულებით, სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიას ჩამოერთვა საეკლესიო ქონება, შეზღუდეს მისი თვითმართველობა. სახელმწიფო სამსახურში სომხებს არ ღებულობდნენ. სომხები პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად იყო მიჩნეული.

ამის საპასუხოდ რუსეთსა და კავკასიაში შეიქმნა მთელი რიგი სომხური არადეგალური კომიტეტები, რომელთა ტერორისტულმა საქმიანობამ მძიმე ხასიათი მიიღო“ (<http://www.gruni.edu.ge/uploads/content>). საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სომეხ ტერორისტთა ასეთი ორგანიზაცია XX საუკუნის დასაწყისში ყოფილა ბათუმშიც. კერძოდ, 1903 წლის ივნისში, ართვინის პოლიციის უფროსი ქუთაისის

უანდარმერიას ატყობინებდა, რომ: „ართვინში მოქმედებს სომხური ეროვნული ორგანიზაცია. მისი ცენტრი ქალაქ ბათუმშია. ორგანიზაციის წევრები ავრცელებენ პროკლამაციებს სომხურ მოსახლეობაში. ისინი კარგად არიან შეიარაღებულნი. ხშირად ტარდება მათი შეკრებები, სადაც გაისმის მოწოდება სომხური მოძრაობის ერთიანობის შესახებ“ (ასს ცსა, ფონ. 1, საქ. 210).

სომხები გეგმავდნენ თავიანთი სახელმწიფოს აღდგენას საქართველოს შესუსტების ხარჯზე და ხშირად არც მაღავდნენ თავიანთ ზრახვებს. მაგალითად, სომხურ გაზეთში „კავკასკოე სლოვო“ 1915 წლის 23 იანვრს დაიბეჭდა წერილი სათაურით „გამოქცეულების საკითხი ფართოდება და ბევრს აწუხებს“, სადაც გულახდილად არის აღიარებული სომეხთა პოლიტიკური ზრახვები საქართველოში. კერძოდ, წერილში წერია: „ამბობენ, რომ სპარსეთსა და ოსმალეთიდან გამოქცეულნი (სომხები – ს.ა.), უცხოელნი არიან, ასეა თუ არა? ფორმალურად კი, მაგრამ არსებითად არა ... თავისი გავლენის დასამკვიდრებლად, მცირე აზიაში, რუსეთი ემყარებოდა ჯერ ქართველებს, შემდეგ სომხებს. ამიტომ არ შეიძლება მათ ისე ვუყუროთ, როგორც უცხოელებს. ისენი სულ ჩვენი მოკავშირენი არიანო“. XX საუკუნის 10-იან წლებში საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ანტიქართული იდეოლოგია კიდევ უფრო ძლიერდება და ისინი პირდაპირ ებრძვიან ქართულ ენას. ამ დროს აჭარის სამოსწავლო სკოლის უმცროსი აგენტი გახლდათ სომეხი ტერ გასპარიანცი, რომელიც ქართული სკოლიდან ქართველ მასწავლებლებს ათავისუფლებდა და მათ მაგივრად ქართულის მასწავლებლად ყარაბაღელ და ერევნელ სომხებს იწვევდა (ჟურნ. „კლდე“, 1912).

სომეხი ტერორისტები ისე გაკადნიერდნენ, რომ 1904 წელს მიმედ დაჭრეს კავკასიის მთავარმართებელი გენერალი გიორგი გოლიცინი ([www.bu.org.ge/](http://www.bu.org.ge/)). ხოლო, 1905 წლის ნოემბერში სომხებმა ამოხოცეს თბილისის გარშემო სოფლებში მცხოვრები მართლმადიდებელი გლეხები (გაზ. „Тифлисский листок“, 1915, №113). სომეხი ნაციონალისტები გეგმავდნენ სამუსლიმანო საქართველოში ქართული მაჰმადიანური მოსახლეობის „აყრას და იქ ოსმალეთისა და სპარსეთის სომეხების ჩასახლებას“ (<http://biblioteka.litklubi.ge/print.php?id>). 1916 წლის 5 მარტს ართვინის მხარის უფროსი ატყობინებდა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს, რომ: „ართვინის მხარის მოსახლეობა შედგება მხოლოდ მუსლიმანებისა და სომხებისაგან. მხარეში (რუსული – ს.ა.) ადმინისტრაციული დაწესებულებების აღდგენის შემდეგ, გასული წლის გაზაფხულზე, სომხების მტრობა მუსლიმანებისადმი სრულიად აშკარად გამოიკვეთა. იგი გამომჟღავნდა მათი თანაცხოვრების ყველა სფეროში. სომხებმა ისარგებლეს ამ დროს მუსლიმანი მოსახლეობის გაჭირვებული მდგომარეობით და ხელიდან შემთხვევას არ უშვებ-

დნენ, ამა თუ იმ საშუალებით, მათთვის ზიანის მისაყენებლად. სომეხთა თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა, ისინი ყველა საშუალებით სძალადნენ ფულს, ძალით ართმევდნენ ქონებას, ეჭვობდნენ სახლებში, შეურაცხყოფდნენ და ძალადობდნენ ქალებზე, მუსულმანთა წინააღმდეგ აქეზებდნენ აქ განლაგებულ სამხედრო ნაწილებს...“ (ასს ცსა, ფონ. 13 საქ. 741: 13-14).

ამის შემდეგ, კარდინალურად შეიცვალა ცარისტული რუსეთის დამოკიდებულება სომხებისადმი. დაიწვეს სომხების მასობრივი ჩამოსახლება საქართველოში. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ: „...მარტო ფიზიკურად გადარჩენის თვალსაზრისით არ აინტერესებდათ, არამედ გარკვეული პოლიტიკურ-ეროვნული გეგმის, გაბნეული სომხებისათვის ერთიანი მთლიანი ტერიტორიის შესაქმნელად იყო (საქართველოში) საახალშენო ადგილები არჩეული...“ (გაზ. „სახალხო განათლება“, 1990, №5). ოსმალეთიდან სომეხთა საქართველოში მასობრივი გადმოსახლება ამ პოლიტიკით უნდა აიხსნას.

როგორც ჩანს, ბათუმის ოლქის ქართულ საზოგადოებაში მთლად თბილი დამოკიდებულება არ იყო სომხებისადმი. ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტები. ერთი ყოფილი „სედაი მილეთელი“ წერს, რომ „სედაი მილეთელებს“ მოგვატყუეს, გვაძახებინეს: „არ გვინდა საქართველო, არ გვინდა ძმებო“ და ჩუმად კი სომხები გააბატონეს ჩვენზე აჭარაზე“ (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №362). გარდა ამისა, 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მეოთხე მუხლის მესამე აბზაცის თანახმად, საქართველოს ისტორიული ტერიტორიები არდაგანი (არტაანი), ყარსისა და ბათუმის ოკრუგები გადაეცა ოსმალეთს. ოსმალთა აგენტებმა ბათუმსა და მთელ ბათუმის ოლქში გაავრცელეს პროვოკაციული ხმები, რომ ვითომ მოდიან სომხები და ქართველებს გაანადგურებენო. „ხალხი შეშინდა და ქალ-ბავშვებით გაიქცნენ ტყეში. ხალხს მოუწოდეს იარაღით ხელში სომხების წინააღმდეგ საბრძოლველად. ორი საათის შემდეგ მოვიდა ამბავი, რომ არაფერია, ნუ გეშინიათ, გავნთავისუფლდითო, უკვე თურქები შემოვიდნენ ბათუმშიო და ამის სასიხარულოდ სროლა ატეხეს ხალხმა“ (იქვე).

სომხები მიზანმიმართულად მოქმედებდნენ ბათუმის ხელში ჩასაგდებად. გახეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1919 წლის იანვარში გაფრთხილების ტონით იუწყებოდა, რომ „ბათუმში ბევრმა სომეხმა მოიყარა თავი“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №17).

1920 წლის 7 მაისის საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ, მოსკოვმა დაიწყო ქართული გვარდიისა და ჯარის გასახრწნელი ღონისძიებების გატარება. რუსებმა თავიანთი აგენტები შეაგზავნეს ქართულ სამხედრო ნაწილებში „უკმაყოფილო ელემენტების შესაკავშირებლად“

და გარკვეული არეულობის შეიტანეს იქ. ირკვევა, რომ ასეთი აგენტები სომხებიც ყოფილან. კერძოდ, ვინმე კაზანჭიანცი და სხვები (ასს ცსა, ფონ. 50 საქ. 506: 4-5).

სომეხი დიპლომატები და მონოპოლისტები ყველა ღონეს მიმართავდნენ „დიდი არმენიის“ ასაღორძინებლად, მაგრამ მათ ინგლისმა, საფრანგეთმა და საბჭოთა რუსეთმა უღალატეს. მათ შორის 1915-1916 წლებში გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, „ოტომანთა იმპერიის სომხებით დასახლებული ტერიტორიებიდან საფრანგეთს უნდა გადაცემოდა ზეითუნი, ხაჯინი, დიარბექირი, მაიერფარკი, სივასი, ედესა და ქილიკია (ადანა, კაისერი, მარაში), ხოლო რუსეთს – ტრაპიზონი, არზრუმი, ბითლისი, ვანი და თურქეთის ქურთისტანი“ (<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect>: 28). ამის შემდეგ სომხებმა ამერიკაზე შეაჩერეს ყურადღება, რომელიც თავის მხრივ დაინტერესებული იყო ამიერკავკასიის გეოგრაფიული მდებარეობით, რომელიც ერთგვარ პლაცდარმად იქცეოდა მისთვის მახლობელ აღმოსავლეთსა და საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის დროს. ამერიკელებმა მოახერხეს და გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს პარიზის კონფერენციის მონაწილეებზე. 1919 წლის 14 მაისს ამერიკას მიაკუთვნეს მანდატი სომხეთსა და შავი ზღვის სრუტეებზე (დამბაშიძე, 1964: 148). იმავე წლის 5 ივლისს კი პოლკოვნიკი ჰასკელი დაინიშნა სომხეთში მოკავშირეთა უმაღლეს კომისრად (იქვე, 158). პროფესორ შოთა ვადაჭკორიას თქმით: „სომხეთისადმი აშშ ხელისუფალთა სიმპატია შემთხვევითობით არ იყო გამოწვეული. აქ გადამწყვეტ როლს „სომხეთის დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და მის ზურგს უკან მდგომი სომეხი მონოპოლისტები ასრულებდნენ“ (ვადაჭკორია, 2006: 430). თავის მხრივ ამერიკელებიც განსაკუთრებულად იყვნენ დაინტერესებულნი ბათუმის ხელში ჩაგდებათ. ისინი აცხადებდნენ, რომ „ბათუმი უნდა გადაიქცეს ამიერკავკასიაში ამერიკელთა ბაზად“ (ამსფ, ფონ. 4, საქ. 372: 74).

აშშ-ს მხარდაჭერით გათამამებულმა სომხებმა თავისი ტერიტორიების გაფართოება დაისახეს მიზნად საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მიტაცების ხარჯზე და ვერსალის საზავო კონფერენციაზე წარადგინეს თავისი ზრახვები. დაბეჭდეს რუკაც, სადაც მთელი ლაზისტანის სანჯაყი და ქალაქი ბათუმი სომხეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შეიყვანეს (<https://burusi.wordpress.com>).

სომხეთის სახელმწიფოს საზღვრების გამოსარკვევად პარიზიდან ლონდონში ჩავიდა სომხეთის დელეგაცია, სადაც ეს საკითხები განიხილებოდა 1920 წლის თებერვალ-მარტში. ამ საკითხს განიხილავდა ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და იაპონიის წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული სპეციალური კომისია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კომისიაზე ქართულმა დელეგაციამ საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთა ლაზისტანის ტერიტორიის ის-

ტორიულად საქართველოსადმი კუთვნილება, კომისიის თავჯდომარემ ბ. კამმერერმა აღნიშნა, რომ ყველა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ზღვაზე გასასვლელი. „როცა ვქმნით დამოუკიდებელ სომხეთს, ჩვენ იგი აუცილებლად უნდა უზრუნველყოთ გასავალი გზით; მეორეს მხრით, ანგარიში უნდა გავუწიოთ იმასაც, რომ ბათომს დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების სპარსეთთან სატრანზიტო ვაჭრობისათვის. ბათომი არის აგრეთვე ბაქოს ნავთის ნაწარმის გასაზიდი ნავთსადგური და სხვ. ამიტომ ბათომის კითხვა უნდა გადაწყდეს ყველა ჩამოთვლილ მრავალფერ ინტერესებთან შესაფერისად“ (ავალიშვილი, 2011: 299). აშკარა იყო, რომ ამ კომისიას უფრო მეტად აინტერესებდა თავისი პრაგმატული ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილება, ვინემ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა.

მართალია, საბოლოოდ, ვერ მოახერხეს სომხებმა ბათუმისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ხელში ჩაგდება, მათთვის არახელსაყრელი საერთაშორისო ვითარების, კერძოდ, ბოლშევიკური რუსეთის გაძლიერების გამო, მაგრამ აშკარა იყო, რომ თავისი ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის ისინი ყველაფერს აკეთებდნენ.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

- ასს ცსა, ფონ. 1, საქ. 210 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1, საქმე № 210.
- ასს ცსა, ფონ. 50, საქ. 506.
- ამხფ, ფონ. 4, საქ. 372 – აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწრთა ფონდი, ფონდი 4, საქმე № 372.
- გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, №758.
- გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, №759.
- გაზ. „სახალხო განათლება“, 1990, №5.
- გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №362.
- გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №17.
- ჟურნ. „კლდე“, 1912.
- ავალიშვილი, 2011: – ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისი.
- ვადაჭკორია, 2006: – ვადაჭკორია შ., საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი II, თბილისი.
- ღამბაშიძე, 1964: – ღამბაშიძე გ, ინგლისისა და აშშ-ს აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ (1919 წ.) თბილისი.
- გაზ. „Тифлисский листок“, 1915, №113.
- БСЭ, 1970 – Большая Советская Энциклопедия, III издание, т.2, Москва.
- <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect>

[http://www.gruni.edu.ge/uploads/content\\_file\\_1\\_33.pdf](http://www.gruni.edu.ge/uploads/content_file_1_33.pdf)  
<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect>  
<https://burusi.wordpress.com>  
<http://biblioteka.litklubi.ge/print.php?id=10863>  
[www.bu.org.ge/](http://www.bu.org.ge/)

**Sulkhan Aleqsaia  
(Batumi, Georgia)**

**Armenians' Treacherous Plans to Seize Batumi  
and its Surroundings at the Beginning of the XX Century**

**Summary**

The article considers the issue of Batumi from the point of view of Georgian-Armenian relationship at the beginning of the XX century. According to the archive documents and printing press of that period of time the Armenians intended to occupy the Sanjak of Lazistan and the city of Batumi. The Armenians were supported by the United States of America, which, in his turn, was interested in turning Batumi into their military basis in Transcaucasia.

However, the Armenians could not manage to capture Batumi because of unfavorable international conditions, but it was obvious that they did their best for the implementation of their intention.

## წერილები XX ს. 10-იანი წლების ბათუმიდან (საარქივო მასალების მიხედვით)

ამა თუ იმ მოღვაწის ჩანაწერები ყველაზე საიმედო და სანდო წყაროა ისტორიული ფაქტების რეკონსტრუქციისთვის. ეს კი სასიცოცხლოდ საჭიროა მომავლის ასაშენებლად, რადგან ამღვრეული აწმყოსგან განსხვავებით, წარსულში მოვლენები და ფაქტები დალაგებულია და შეფასებული ზოგადი ღირებულებების გათვალისწინებით.

ბათუმის ისტორიული რეალობის აღდგენა ერთი რიგითი ქვეყნის, ქალაქის, თუ სოფლის ისტორიის გაცოცხლება არ არის. მრავალტანჯული ქალაქი მთელი ქვეყნის წარსულს ასახავს. მტრისგან მრავალჯერ მიტაცებული, ქვეყნის ფორპოსტად ქცეული ბათუმი, როგორც ისტორიული ფაქტები გვიდასტურებს, ყოველთვის ინარჩუნებდა მძლავრ ქართულ ელემენტს.

პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ნიკო მარის ერთ-ერთ რჩეულ შეგირდს დავით ყიფშიძეს ჩანაწერების წარმოების მაღალი კულტურა ჰქონდა, რაც მისი დიდი მასწავლებლების ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილისა და სხვათა ძალისხმევის შედეგი იყო. სტუდენტები საზაფხულო სამუშაოსთვის სპეციალურ ინსტრუქციებს იღებდნენ. ეს შესწავლა-აღწერა ითვალისწინებდა მხარის არა მხოლოდ პოლიტიკური, სოციალური, კულტურული ყოფის სურათების ზედმიწევნით გადმოცემას, არამედ ყველა იმ სპეციფიკური რეაქციების საზგასმას, რომლებითაც ესა თუ ის მხარე ხასიათდებოდა. დავით ყიფშიძე ამომწურავად პასუხობდა ყველა ამ დასახულ მიზანს და გამოირჩეოდა მოვლენებისა და გარემოსადმი პირადი ემოციური დამოკიდებულებით. ეს მის დანატოვარ ჩანაწერებს მხატვრულ ღირებულებასაც სძენს.

დავით ყიფშიძე სტუდენტობიდანვე მრავალმხრივ ქართველოლოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, მუშაობდა საქართველოსა და სომხეთის ისტორიაში, ძველ ქართულ ფილოლოგიაში, ენათმეცნიერებაში, ითვლებოდა შუა საუკუნეთა მღვიმეების სპეციალისტად. იყო არქეოლოგი, ფოლკლორისტი, ანგარიშგასაწევი სწავლული. ამიტომ მისი მზერა ყოფის ყველა სფეროს სწვდებოდა.

ქართველოლოგიური კვლევის ცენტრად ქცეული პეტერბურგის უნივერსიტეტი ქართველ ბატონიშვილთა, ქართული კოლონიების მიერ წამოწყებულ ერის საკეთილდღეო კულტურულ საქმიანობას აგრძელებდა და ავითარებდა დროისა და გარემოების მოთხოვნათა შე-

საბამისად; როგორც მეცნიერი და მოღვაწე, დავით ყიფშიძე ამ სკოლის ღირსეული წარმომადგენელია. სავსე დღიურის ჩანაწერების მიხედვით, ბათუმში 1913 წელს დავით ყიფშიძე ორჯერ ყოფილა, მაისსა და სექტემბერ-ოქტომბერში (**ქავთარაძე, 1992:140**). ეს სულ რამდენიმე დღის ჩანაწერი გაჯერებულია ბათუმური ყოფის იმ პრობლემებით, რაც მას ზედაპირზე დახვდა საზღვრისპირა ქალაქში. ჩანაწერების ავტორის თვალი ყოველ დეტალს მისწვდა, რაც წარმოაჩენდა სამოქალაქო აქტივობებს ყოფის ყველა სფეროში, სასამართლოს წარმოების პროცესი იქნებოდა ეს, თუ მრავალმხრივი კულტურული, ასე თუ ისე ორგანიზებული, ღონისძიება. დამკვირვებლის პროფესიული თვალთაა აღწერილი ქალაქისა და მისი შემოგარენის ისტორიული ძეგლები და ღირსშესანიშნაობანი. მძაფრი, განუმეორებელი განცდის აღმძვრელია მისი შეხვედრა სპარსულ ქართველ ნარიმან-ხან ქავთარაძესთან, რომლისთვისაც ქართული ენის სწავლება განუზრახავს.

ამ ჩანაწერებში კარგად აისახა ბათუმის არა მხოლოდ ყოველდღიური პრობლემები, არამედ ზოგადად საზღვრისპირა რეგიონისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გეოპოლიტიკური და ფსიქოლოგიური საკითხები.

გარდა ამ ბათუმური ჩანაწერებისა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დავით ყიფშიძის პირად საარქივო ფონდში (**ხეც, დ. ყიფშიძის არქივი №24**) დაცულია ორი წერილი: „ბათუმის ავ-კარგი“ და „ბათუმის ქართველობა“. ორივე წერილი ინფორმაციული ხასიათისაა, სავარაუდოდ, რომელიმე გაზეთის „ქრონიკაში“ მოსათავსებლად გამიზნული. ორივე ხელნაწერი უთარილოა, ავტოგრაფია და შავ ვარიანტს წარმოადგენს.

„ბათუმის ავ-კარგი“ დასრულებულია, რასაც ხელმოწერა ადასტურებს. „ბათუმის ქართველობა“ ბოლონაკლებია, ბოლო წინადადება დაუსრულებელია. წერილი „ბათუმის ავ-კარგი“, როგორც მინაწერი მოწმობს, უნდა დაბეჭდილიყო რუბრიკით „წერილები ბათუმიდან. ქართველები“. მასალა დათარიღებული არ არის, მაგრამ მარტივად შეიძლება მისი თარიღის დადგენა. წერილის მიხედვით, იმ დროისათვის არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებიდან ექვსი თვეა გასული. არჩილ ჯორჯაძე 1913 წლის 21 მარტს, ბათუმში, გარდაიცვალა. 21 სექტემბერს იქნებოდა ექვსი თვე გარდაცვალებიდან. 1913 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, ჩანაწერების მიხედვით, დავით ყიფშიძე ბათუმშია. სწორედ მისი ამ სტუმრობის დროსაა ეს სტატია მომზადებული, შესაბამისად, აღწერილია ბათუმური ყოფის 1913 წლის შემოდგომის მოვლენები. ავტორი წერს: „ბათუმში ქართველობა კარგა ბლომათაა. არსებობს ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების განყოფილება, რომელსაც სკოლა აქვს. წელს დაარსდა ქართული დრამატული საზოგადოება, რომელმაც ჩინებული დასი შეადგინა და სეზონიც გააჩაღა. წ.კ.გ. საზოგადოების

ადგილობრივი განყოფილების მოღვაწეობა მხოლოდ შკოლის შენახვაში და დაყენებაში გამოიხატება, მაგრამ, სამწუხაროთ, მისი საქმეც მოუწესრიგებელი აქვს და წელს მესამე მასწავლებლის დათხოვნისა გამო აუარებელი პედაგოგი ბათუმში სკოლის გარეთ დარჩა”.

ავტორი გმობს გამგეობის წევრთა შორის „პარტიობას”. ამ აზრს იგი განაზოგადებს და საგანგებოდ მსჯელობს ამ მავნე, განვითარების შემაფერხებელ სენზე, რითაც კარგად იკვეთება მისი მოქალაქეობრივი პოზიცია: „დიდი მითქმა-მოთქმაა შესახებ იმისა, რომ საზოგადოების გამგეობის წევრთა შორის პარტიობაა. ყოველ პარტიას თავისი კანდიდატი ყავს. შეიძლება პარტიული ჟინიანობის გამო ღირსეულს მასწავლებელს უარი უთხრან და უღირსი მიიღონ. არ შეჰფერით საზოგადო მოღვაწეთ ერთმანეთში კინკლაობა და ამ კინკლაობის და ჟინის აყოლით ასეთი სერიოზული საკითხების გადაჭრა, როგორც მასწავლებლის მიწვევაა”.

ამავე წერილში იგი საუბრობს იმ ნაყოფიერ საქმიანობაზე, რასაც დრამატული საზოგადოება ეწევა. დავით ყიფშიძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოების აქტიურ ჩართულობას ყოველდღიურ ცხოვრებაში. იგი მიუთითებს საზოგადოების ინერტულობაზე, როცა წერს: „როგორც უნდა იყოს დასახელებულ ქართულ საზოგადოებათა ღირსება-ნაკლულოვანება, ერთი მათი ნაკლი ყოველ ეჭვს გარეშეა. ეს ნაკლი გახლავსთ ცოცხალი საზოგადოებრივი აღდგომა, ცოცხალი ეროვნული თვითშეგნების აზრი და გრძნობა. ეს უეჭველყო 26 სექტემბერს არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების ნახევარი წლისთავის ჩუმიდ ჩატარებამ. არც პანაშვიდი, არც მოგონება ადგილობრივი ქართული გაზეთის ფურცლებზედ ამ დიადი ქართველისა, ამ ჩვენი ეროვნული განახლებისა და აღორძინების მოციქულისა. ნუთუ ასე მალე დაავიწყდა ბათუმის ქართველ საზოგადოებას ჩვენი დიდი მოამაგე არჩილი, რომელმაც თავისი სიცოცხლე მის კალთაში დალია. ნუთუ ვერ მოახერხა მან ეს ფრიად მნიშვნელოვანი თარიღი აღენიშნა მხოლოდ პანაშვიდით მაინც”.

წერილში „ბათუმის ქართველობა” ავტორი გვიჩვენებს ქალაქის დემოგრაფიულ სურათს: „რაოდენობა ბათუმის ქართველ მცხოვრებლებისა დანამდვილებით არ ვიცი, მაგრამ რომ ქართველი ელემენტი აქ თითქმის უძლიერესია ყველა სხვა ეროვნების ელემენტთან შედარებით ეს კი ცხადია. ქართველებს ყავთ ქალაქის თვითმართველობაში წარმომადგენლების პროცენტი; აქედან შეგვიძლია დაახლოებით ქართველთა რიცხვი ვივარაუდოთ. ამდენივე პროცენტი მცხოვრებთა მთელი რიცხვისა”.

როგორც აღვნიშნეთ, წერილი შავია და დაუსრულებელი. ავტორს ქალაქის მცხოვრებთა საზოგადო რიცხვი და აქედან ქართველობაზე გამოთვლილი პროცენტი დადგენილი არა აქვს და კითხვის

ნიშანს სვამს. „თავისი რაოდენობის შესაფერათ – განაგრძობს ის – ქართველ ელემენტს საზოგადო ქართული დაწესებულებებიც შეუქმნია: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც აქვს თავისი სკოლა; დრამატული საზოგადოება, რომელსაც მუდმივი დასი, ყოფილი მოგზაური დასი, ყავს დაჭერილი. გარდა სკოლისა და თეატრისა, ქართველებს აქვს თავისი ეკლესია, ცოტა მოძველო; ახლა შენდება ფრიად მშვენიერი რიგის, ნამდვილი ქართული რიგის ეკლესია, ფართო მოედანზედ საქალებო გიმნაზიის წინ, ასათიანისა და ამაღლების ქუჩების ყურეში. ეს ტაძარი ძვირფასი ძეგლი იქნება ქართველთა კულტურული გამარჯვებისა აქ. ქართველ კათოლიკეთ აქვსთ ცნობილი, ზუბალაშვილების მიერ აგებული შენობა, ფრიად საჩინო, საუცხოო რიგისა, მაგრამ არა ქართულისა, არამედ რომაულისა. ესეც დიდი განძია აქაურ ქართველთათვის”.

შემდეგ დავით ყიფშიძე მსჯელობს ეროვნულ თვითშეგნებაზე და დიდი გულისტკივილით აღნიშნავს: „რაც შეეხება ადგილობრივი ქართველი საზოგადოების ეროვნულ თვითშეგნებას, მაინცა და მაინც სანუგეშოს ვერაფერს ვხედავთ. ყველა ზემოხსენებულ კულტურულ დაწესებულებათა და საქმეთა უძღვება წინ ერთი მუჭა ინტელიგენცია. ქართველობის ფართო წრეები კი საქმეებიდან განზე დგას და უმეტეს ნაწილად გულგრილობის გამო”.

მოსახლეობის სწავლა-განათლებისადმი დამოკიდებულება კარგად წარმოჩნდება სტატიის ბოლო ნაწილში, სადაც ნათქვამია, რომ: „სკოლას აუარებელი ხალხი აწყდება”. შემდეგ ავტორი მოგვითხრობს, თუ რა სიტუაცია ხვდება ამ სწავლას მოწყურებულ საზოგადოებას.

დავით ყიფშიძის პროფესიული, საქმის ყველა დეტალში წვდომის უნარი კარგად წარმოაჩენს 1913 წლის ბათუმური ყოფის ბევრ საინტერესო მხარეს.

### გამოყენებული წყარო და ლიტერატურა:

**ქავთარაძე, 1992:** – ქავთარაძე ე., დავით ყიფშიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**ხეც, დ. ყიფშიძის არქივი №24** – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დავით ყიფშიძის არქივი №24.

**Ether Kavtaradze**  
**(Tbilisi, Georgia)**

**Letters from the 10-ies of XX-th century from Batumi**  
**(according to archival materials)**

**Summary**

The records of public figures are one of the most reliable and trusted source for the reconstruction of historical facts. The recovery of Batumi historical realities will restore the entire history of the country. Batumi has become an outpost of the country, but has always maintained strong elements of Georgian life.

David Kipshidze's records are of high cultural caliber. In his personal archive of the National Center of Manuscripts there are protected two letters entitled "Georgian Batumi" and "Batumi and its adversity and joy".

These two letters due the professional vision of D. Kipshidze, going in all details represents many interesting sides of Batumi life 1913.

## აწარა

### 5. პაუსტოვსკისა და ს. გოროდნეცის თვალთ

1917-1923 წლები დაშლილი რუსეთის იმპერიაში შემაჯავლი სახელმწიფოებისათვის უცნაური კატაკლიზმებით აღინიშნა. ინტელიგენტთათვის აუტანელი აღმოჩნდა ერთ ადგილას დარჩენა. ამიტომ დაიწყო საოცარი „პილიგრიმოზა“ სამხრეთის ქვეყნებისაკენ. მშობლიური კუთხის მონატრება და ეგზოტიკურ გარემოსთან შეგუება ბაღებს ნოსტალგიასა და სიახლეს, რომანტიკულ-სენტიმენტალურ განწყობას შორს მყოფთათვის, რაც აისახება კიდევ აღნიშნულ პერიოდში შექმნილ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ორი ქალაქი იქცა ღტოლვით შემოქმედთათვის თითქოს შესაფერ ჭრელ გარემოდ. ეს ქალაქები იყო თბილისი და ბათუმი. „...ბათუმი ყველა ჩვენგანისათვის... „საფოსტო სადგური“ იყო ცხოვრების იმ უზარმაზარ გზაზე, რომელიც წინ გვედო. ის გზა თავისკენ გვეძახდა. მართალია ბუნდოვნად, მაგრამ მაინც გვეძახდა და ათასნაირ წარმტაც ამბავს გვპირდებოდა – ახალ შრომას, ახალ შეხვედრებს, ახალ სიხარულსა და ტკივილს“, – წერდა რუსი მწერალი კონსტანტინე პაუსტოვსკი (1892-1968) თავის მოგონებებში „ნახტომი სამხრეთისაკენ“ (1959-1960 წ.წ.) [პაუსტოვსკი, 1969:481] დიას, ბათუმში აღმოჩნდნენ ერთსა და იმავე დროს ი. ბაბელი, მ. სინიავსკი, ფრაერმანი, ა. ჩაჩიკოვი და სხვ.

ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები მკითხველში იწვევს რეალობის შეგრძნებას მასში აღწერილი ადგილების მიმართ. როგორც თურქი მწერალი ორჰან ფამუქი აღნიშნავს, „მეოცე საუკუნეში ევროპის დედაქალაქები, რომლებიც დასავლური რომანების მთავარი სამოქმედო არენა იყო, თავლივით იზიდავდა შთაგონებულ, არაევროპულ მწერლებს, ისინი იქ ჩადიოდნენ, რათა რომანებში აღწერილი სამყარო საკუთარი თვალთ ენახათ და დარწმუნებულიყვნენ, რომ იგი რეალური იყო და არა – გამოგონილი“ [ფამუქი, 2013:116-117]. ევროპის გარდა, სამხრეთის ქვეყნები, უფრო ზუსტად, ყოფილი რუსეთის იმპერიის რესპუბლიკები გახდა მათი თავშესაფარიც. მაგრამ რომელ ქანრს განეკუთვნება კონსტანტინე პაუსტოვსკის „ნახტომი სამხრეთისაკენ“? ესაა მოგზაური მწერლის შთაბეჭდილებანი, რომელიც თითქმის 30 წლის შემდეგ გამოვიდა. თუმცა მთლად სამოგზაურო ქანრს მას ვერ მივაკუთვნებთ, რადგანაც მოვლენები და ფაქტები მწერლის მიერ აღწერილია არა ზერელედ, არამედ ჩაკვირვებით, არა-იშვიათად - თემატურ ჭრილში. მაგ.: „ბათუმის ხმა და სუნი“, „სანაპირო თავშესაფარი“, „შუქურის ზედამხედველი“, „პირქუში ზამთარი“,

„კვლავ მომენატრა სამოვრის ბოლი“ და სხვ. ვფიქრობთ, აქ უფრო მე-  
მუარულ-ესეისტური ჩანაწერებია, რომლებიც ალაგ-ალაგ ჩანახატის,  
ნოველის იერს ატარებენ. მთავარი კი ერთია, აღწერაში არაა სიყალ-  
ბე, პეიზაჟი, პორტრეტი შექმნილია მხატვრული ოსტატობით და ფაქ-  
ტების აღწერა, არაიშვიათად, დეტალიზებით.

თავად ავტორი კი ნაწარმოების შესავალში, „მოკლე განმარტე-  
ბაში“, აღნიშნავს: „სათვალავეთ ეს მეხუთე ნაწილია ჩემი ავტობიოგ-  
რაფიული „ცხოვრების წიგნისა“. „პიესა“ ისე წარიმართა, რომ იძულებ-  
ული ვიყავი მიმეტოვებინა რუსეთი და მოქმედება უკიდურეს სამ-  
ხრეთში-კავკასიაში და ამიერკავკასიაში გადამეტანა.

კვლავ იმ მიწა-წყალზე აღმოვჩნდი, სადაც ის-ის იყო დაემყარე-  
ბინათ საბჭოთა ხელისუფლება. ისე მოხდა, რომ რევოლუციას თით-  
ქოს კვალდაკვალ მივდეგდი სამხრეთისაკენ. მართალია, ხანდაზმით,  
მაგრამ მაინც მივდეგდი. ამიტომ იყო, რომ რევოლუციის გზა მიხვე-  
ულ-მოხვეული, საოცრად დაკლაკნილი მეჩვენებოდა...

რუსეთს თითქმის ორი წელიწადი მოვწყდი, მაგრამ არ ვნანობ,  
ამ ხნის მანძილზე... ცოტა რამ როდი გავიგე ახალი... დრამატურგიას  
თავისი კანონები აქვს და პიესა ჩვეულებრივ რამდენიმე ნაწილად  
იყოფა.

ჯერ ექსპოზიცია, მოსინჯვა: ადამიანები, ამბები და პეიზაჟი უნ-  
და მოსინჯოს მკითხველმა ან მაყურებელმა, მერე მოქმედება ვითარ-  
დება, რასაც კულმინაცია მოსდევს – პიესის ყველაზე დაძაბული ნა-  
წილი, ფიალა ივსება და მაყურებელი ღელავს. შეიძლება წამოდგეს  
და შეჰყვიროს კიდევ **[პაუსტოვსკი, 1969:245]**.

ავტორისეული განმარტება – „ავტობიოგრაფიული“ ადვილად  
ხსნის ნაწარმოების ჟანრს, მაგრამ „პიესა“ – ეს უკვე მხატვრული  
ფორმაა, რომელიც შემდგომი კვლევის საგანია.

კ. პაუსტოვსკის ნაწარმოებში მაინც საქართველოს სხვადასხვა  
კუთხის აღწერაა, დანახული უცხოელი მწერლის თვალთ.

კ. პაუსტოვსკის „პილიგრიმობის“ გზა შავი ზღვის სანაპიროს  
მოჰყვება. ფოთიდან მისი განწყობილება კარგად გამოხატავს მის გან-  
ცდებს; თითოეული ჩაგლილი ქალაქიდან ოდესა და სოხუმი რატომ-  
ღაც მარტოობის განცდას აღძრავს: „აღბათ, იმიტომ, რომ იმ გარე-  
მოცვის გარეთ აღმოვჩნდი, – რასაც უკანასკნელ წლებში მივეჩვიე,  
ჟურნალისტებისა და მწერლების წრეს რომ უწოდებენ... შეიძლებოდა  
მისთვის გვეწოდებინა ჩვენი ცხოვრების ადრეული გაზაფხული, ახა-  
ლი ხელოვნებისა და ლიტერატურის პირველი და ჯერ კიდევ ბუნდო-  
ვანი შეხების განცდა. იქნება ეს შედარება ცოტა მაღალფარდოვანია,  
ან უგემოვნოც არის, მაგრამ სწორედ ასე კი ვგრძნობდი“ **[პაუსტოვ-  
სკი, 1969:305, 306]**.

ასე იწყება პაუსტოვსკის აჭარის პერიოდი, უფრო ზუსტად, ბათუმისა, როცა მწერალი აღარ გრძნობს მარტობას, ტრიალებს ჟურნალისტებისა და მწერლების წრეში, ენივთება ბუნებასა და ადამიანებს.

აღბათ, ამიტომ და იქნებ, ამიტომაც, აჭარის აღქმა კ. პაუსტოვსკისთან იწყება თვით „ბათუმის ხმითა და სუნით“: „არანეულებრივი, ეგზოტიკური, ზედგამოჭრილი აღმოსავლური ბათუმი გაუღვნილი იყო ყავის, ღვინისა და მანდარინის სუნით. მხოლოდ ორი-სამი თვის შემდეგ დავაღწიე თავი ეგზოტიკის ცხარე, სურნელოვან განცდას, მომაბეზრებელ მწკლარტე სუნს და დავინახე ნამდვილი სახე ქალაქისა. აქ არასოდეს ყუჩდებოდა სულაც არაპროვინციული კულტურული ცხოვრება, ხოლო ნავსადგური, როგორც უზარმაზარი კონდენსატორი, მთელი ბათუმის მუშა-მოსახლეობას იზიდავდა“ **[პაუსტოვსკი, 1969:309]**.

ბათუმის, როგორც საოცარი ქალაქის, პორტრეტს პაუსტოვსკი ყველა ასპექტში ხატავს: წელიწადის ოთხი დროის აღწერა იმდენად რეალისტურია, და, ამავედროულად, რომანტიკულიც, შეიძლება მარადიულ პეიზაჟად აღიქვას მასთან მიახლებულმა ყველა მნახველმა თუმისი ნახვით დაინტერესებულმა მკითხველმა.

„ნამდვილმა ბათუმურმა წვიმამ თუ ერთი პირი იჩინა, გადაღებას აღარ იღირებს. დასავლეთით წამოსული ღრუბელი ხელდახელ ჩააბნელებს ხოლმე ქალაქს და მხოლოდ წვიმის წკაპაწკუპილა ისმის“ **[პაუსტოვსკი, 1969:343]**.

„ზამთარი დადგა თუ არა, ბათუმში მწვანე ქარიშხალი ამოვარდა. პაერი კომბოსტოს მწნილის წვეს დაეღარა. ზღვაც აიძვრა, მხოლოდ ნაპირთანდა კამკამებდა წყალი, მაგრამ ღრუბლიან ამინდში ისიც ნაცრისფერი ჩანდა“ **[პაუსტოვსკი, 1969:359]**.

„ქალაქი ძალზე პატარა ჩანდა. ბურუსმა შთანთქა შემოვარენი. მხოლოდ ტროპიკული მცენარეულობისა და ნესტიანი მიწის სუნი აგრძნობინებდა ადამიანს, რომ იქვე სულ ახლოს მიმალულიყო სამხრეთის მცხუნვარე გული თავისი უჭკნობი ყვავილებით“ **[პაუსტოვსკი, 1969:359]**.

და აქ არ არის მოწყინება მწერლისა უცხო ქალაქით, ეს მარადიული განცდაა, რომელსაც ამ სტრიქონებით ძალზე პოეტურად გამოხატავს: „მაშინ ბათუმში პოეზია ყელში მწვდა, მაგრად შემბოჭა თავის კეთილისმყოფელ ტყვეობაში, უკვე აღარ შემეძლო და აღარც მსურდა ხელიდან დავსხლტომოდი და თუნდაც წამით დამევიწყებინა მისი ხმა“ **[პაუსტოვსკი, 1969:321]**.

ბათუმის მცხოვრებნი, ჩამოსული ყველა ჯურის ადამიანი, მოვლენებთან და მონოტონურ დღეებთან ერთად ქმნის საოცარ ჭრულ გორგალს, რომელსაც დიდი ოსტატობით უხსნის მკითხველს კონ-

სტანტინე პაუსტოვსკი. აქ პოლიტიკაცაა, დაჭერილი წამით, საკუთარი განწყობილება, ამა თუ იმ მიზეზით გაბრაზება, სიხარული, აღფრთოვანება, ადამიანები და მოვლენები „ბორდინსაუზის“ ფანჯრების მიღმა...

პაუსტოვსკი ბათუმში ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწევა გაზეთ „მაიაში“. შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ მწერალი სწორედ აქ ხვდება ლეიტენანტ შმიდტის მკვლელს, შუქურის ზედამხედველს – სტაკრაკს, რომლის ფსიქოლოგიურ პორტრეტს ორიგინალური შტრიხებით ხატავს.

გასაკვირია, როგორ იქმნებოდა მაშინდელი შთაბეჭდილებანი, მაგრამ ფაქტი ერთია, აღნიშნული პერიოდი მწერალთან ისეთი ცოცხალია, რომ მკითხველს აგრძნობინებს ეპოქის სუნსა და მისი მოვლენების თანაშემწეს ხდის.

პოეტურ-ჟურნალისტური სამყარო ბათუმში პოეტურიც არის და საინტერესოც: ულიანსკი, ბაბელი, სინიავსკი, ბათუმელი პოეტი ქალი ფლორა და ჩაჩიკოვი...

საინტერესოა კ. პაუსტოვსკის თვალთ აღწერილი ამ საინტერესო პოეტისა და მოქალაქის 1917-1923 წლების ლიტერატურული ცხოვრების აქტიური მონაწილის ჩაჩიკოვის პორტრეტი:

„დუქნის აბრის ამოხსნაში დაგვეხმარა ბათუმელი პოეტი ჩაჩიკოვი-ნატიფი, თუმცა საგრძნობლად ყავლგასული რაინდი და ყოფილი კორნეტი...“

ჩაჩიკოვი ფუტურისტულ ლექსებს სწერდა თავის კავალერისტულ წარსულზე.

საერთოდ, კეთილი და გაბედული ყმაწვილი იყო, თუმცა ბაქიბუქა, თავის ბავშვობაზე უყვარდა ლაპარაკი. ბავშვობა სპარსეთში გავატარე, ქალაქ მოსულშიო...“ **[პაუსტოვსკი, 1969:315].**

პაუსტოვსკი საინტერესოდ ხატავს რუბიმ ფრაერმაზსაც, რომელთანაც არაერთხელ უსაუბრია პოეზიაზე და წაუკითხავს მისთვის ლექსებიც. ამ დროს „წამით თვალნათლივ წარმოვიდგენდი ხოლმე ზღვა ღრუბელს, ბათუმის შორიახლო მცირე კავკასიონს მხრებით რომ შეეჩერებინა. სამყაროს ზღვარდაუდებელ სივრცეში კი კრონოსი ენთო და ფერფლისფერ შუქს აღვრიდა დაღლილ დედამიწას“ **[პაუსტოვსკი, 1969:344].**

პაუსტოვსკი აღწერს ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლის-თავს აჭარაში, კერძოდ, რევოლუციურ ბარცხანაში, მროზოვსკის ბინაში: „მროზოვსკის ქართული სუფრა გაეშალა, უხვად მოეტანათ ტარხუნა, ქინძი, პიტნა, ლავაში და დედას პური, ჩახოხბილი და საცივი, შემწვარი სულგუნი, ვაზის ფოთოლში გახვეული დაკეპილი ხორცი და წითელი კახური ღვინო. არც ცხელ-ცხელი მწვადი გვაკლდა“ **[პაუსტოვსკი, 1969:354].**

მაღარიის შემოტევამ და ნოსტალგიამ დაატოვებინა მწერალს ბათუმი. თუმცა შთაბეჭდილებებმა ისე ღრმად გაიდგა მის გულში ფესვი, „ნახტომი სამხრეთისაკენ“ ერთგვარ საგალობლად აქცია აჭარისა და, კერძოდ, XX საუკუნის 20-იანი წლების ბათუმისა.

როგორც მისი მოგონებებიდან ჩანს, ბათუმი ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობს, გამოდის სხვადასხვა სახის პრესა („მაიაკი“, „ტრუდოვოი ბატუმი“), რომანტიკულ საღამოებს აწყობენ რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან ბათუმში მოხვედრილი პოეტები, რომელთა შორის სერგეი გოროდეცკია.

პოეტი აკმეისტის, უცნაური ბედისწერის ადამიანის – სერგეი გოროდეცკის (1884-1967) ლექსებმა გამოჩენისთანავე გააოცა „პოეზიის ოლიმპი“, განსაკუთრებით, მისმა რუსული ფოლკლორიდან ამოსულმა „იარმა“. პირველი მსოფლიო ომის დროს გოროდეცკი კავკასიის ფრონტზე მიდის გაზეთ „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტად, თებერვლის რევოლუციამ მას სპარსეთში მოუსწრო, სადაც აღმოჩნდა უკანდასახევად გამზადებულ რუსულ არმიაში. და აი, მალე გოროდეცკი თბილისშია, სადაც მჭიდროდ უკავშირდება ქართულ და სომხურ ინტელიგენციას, განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენს „ცისფერყანწულებთან“, პოეტ ოვანეს თუმანიანთან ეწევა ლიტერატურულ ცხოვრებას, კითხულობს ლექციებს თბილისის კონსერვატორიაში, აარსებს პრესის სხვადასხვა ორგანოს, ასე გრძელდება 1920 წლამდე.

აღნიშნულ პერიოდში (1919 წელს) ბათუმში სომხურ გამომცემლობაში ისტამბება კრებული „ჯეირანი“ ს. გოროდეცკის რედაქციით. მასში შედის ოვანეს თუმანიანის, დანიელ ვარუჟანის, ალექსანდრე კოლუბიაკინისა და ილია გაცის ლექსები. ამავე პერიოდში დაიწერა მისი პოემა „მოფერი ვლადო“, რომელშიც მხატვრულადაა აღწერილი აჭარა.

აღნიშნული სტატია მეორე წერილია 1917-1922 წლების იმ უცხოელ მწერალთა და შემოქმედთა შესახებ, რომლებმაც, ეპოქის მოვლენების, რევოლუციების ქარიშხლებს გამოქცეულებმა, თავი შეაფარეს საქართველოს, კერძოდ, ბათუმსა და თბილისს, უძღვნეს რა ამ მშვენიერ ქალაქებს ღირსახსოვარი სტრიქონები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

პაუსტოვსკი, 1969: – პაუსტოვსკი კ. „ოქროს ვარდი“, თბილისი.

ფამუქი, 2013: – ფამუქი ორჰან. „გულუბრივეილო და სენტიმენტალური რომანისტი“, თბილისი.

**Tamar Gogoladze  
(Gori, Georgia)**

### **Adjaria, Percepted by K. Paistovski and S. Gorodzetski**

#### **Summary**

The period of 1917-1923 was the epoch of cataclysms for the states of Russian Empire. Educated people, art and literary workers could not stand living in new surroundings and some of them moved to Europe, some-to the south and former republics of Russian Empire. Tbilisi became the Mecca of creative people. Those who were interested in sea and exotic charter moved to Batumi where literary life was running together with political events. Here the escaped writers from Russia, K. Paustovski, I. Babel, M. Siniavski, A. Chachikov and others worked together.

K. Paustovski (1892-1968) found out interesting world in Batumi and later he dedicated “To Hot Heart of the South” and memories “A Leap to the South” to this place.

## ბათუმი ოსმალურ წყაროებში

ქალაქი ბათუმი მდინარე ჭოროხისა და მისი შენაკადების მიერ ათასწლეულების მანძილზე ტაო-კლარჯეთისა და აჭარის მთების მკერდიდან ჩამონახილი მიწით შექმნილ ნახევარკუნძულზე გაშენებული ქალაქია. იგი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უპირველესი ცენტრია, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ძლიერი კერაა. მისი ფასი დასაბამიდანვე კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული შინაურსაც და მეზობელსაც, მტერსაც და მოყვარესაც.

1918 წელს გაზეთ „საქართველოში“ (№ 46) დაბეჭდილია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ნოე ჟორდანიას წერილი „ბათუმის მნიშვნელობა“, სადაც კარგადაა შეფასებული ამიერკავკასიისათვის ბათუმის დანიშნულება. იგი წერს: „ბათუმი ჩვენთვის იგივეა, რაც რუსეთისათვის პეტროგრადია. ეს არის ერთადერთი მთავარი გასავალი შავ ზღვაში და მხოლოდ ამის წყალობით მიეცა შესაძლებლობა ამიერკავკასიას განვითარებულიყო კულტურულ-ეკონომიკურად და ევროპის ქვეყნებს დამსგავსებოდა. ბათუმი ევროპასთან შავი ზღვით არის შეერთებული. თუ ბათუმს დაგვარგავთ, ევროპისკენ გასახედი სარკმელი დაიხურება“ [1].

ბათუმი ბევრჯერ ყოფილა უცხოელ მკვლევარ-მოგზაურთა ყურადღების საგანი. მათ ნაშრომებში შემონახულია ძვირფასი ცნობები ბათუმსა და ბათუმელებზე. ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ოსმალურ წყაროებში შემონახულ ისტორიულ ცნობებზე, რომლებიც ბათუმის წარსულზე მოგვითხრობენ და გვაცნობენ, თუ როგორი შთამბეჭდავი სილამაზის მქონე დასახლება იყო ქალაქი ბათუმი.

ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან საქართველოში სამოგზაუროდ წამოსული სწავლულები თუ მოგზაურები აუცილებლად ეწვეოდნენ ხოლმე ბათუმს, რადგან ეს გეოგრაფიული ადგილი ერთ-ერთი მთავარი კარიბჭე იყო სრულიად საქართველოში შესასვლელად. ასე იყო ეს ისტორიულად და დღესაც იგივე როლს ასრულებს სარფის კარი, გონიო-ბათუმი.

ოსმალელი სწავლულებისა და მოგზაურების დღემდე მოღწეული ნაშრომების დიდი ნაწილი თარგმნილია ქართულად. მათ შორის აღსანიშნავია **იბრაჰიმ ფეჩევის, ევლია ჩელების, ქათიბ ჩელებისა და ქურუქ ჩელებიზადეს** (ისმაილ ასიმ ეფენდის) ნაწარმოებები [2, 3, 4, 5].

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ მათ ნაშრომებში შემონახული ისტორიული ცნობები ცალკე კვლევის საგანია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მწერალთა ნაშრომებში დაცული ბათუმისა და მისი შემოგარენის, საერთოდ, აჭარისა და ისტორიული ტაო-კლარჯეთის შესახებ არსებული ისტორიული ცნობების წარმოჩენა.

ამჯერად ვისაუბრებთ ისეთი სწავლულებისა და მკვლევარ-მოგზაურების შესახებ, რომელთა ისტორიული წყაროები ქართველი მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილად მიგვაჩნია. მათ შორის აღსანიშნავია: **აჰმედ ჯევედეთ ფაშის, შამსედინ სამის, აჰმედ რეფიკის, ჰალილ მენტეშეს, ჰილმი ურან ბეის, აჰმედ იზეთ ფაშის** ნაშრომები, რომლებიც ქართულად ჯერ კიდევ არ არის თარგმნილი და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მადლობას მოგახსენებთ თურქ ისტორიკოსს, მურათ ქასაბს – იმერხეველ ქართველს, რომელმაც ძვირფასი წიგნი შეუქმნა ქართველ ხალხს – „**ოსმალეთის ქართველები**“; ერთხელ კიდევ წარმოაჩინა ქართული გენის სიძლიერე და ნიჭიერება, ამასთანავე, გაგვაცნო ჩვენი მშობლიური ქალაქის – ბათუმის მეხოტბე ოსმალელი მოღვაწენი და შთაგვაგონა ამ კუთხით კვლევითი საქმიანობის დაწყება [6].

ოსმალეთის ცნობილ ისტორიკოსსა და იურისტს, **აჰმედ ჯევედეთ ფაშას** თავის ნაწარმოებში „ისტორია“ მოხსენიებული აქვს საქართველო. იგი კავკასიას ოთხ რეგიონად ჰყოფს და საქართველოს შესახებ ასე წერს: „კავკასიის მეოთხე რეგიონი საქართველოა, რომელიც კავკასიონის ქედის სამხრეთით მდებარეობს. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით ახალციხის სანჯაყები და **აჭარის მთიანეთია**. დასავლეთით შავი ზღვის სანაპირო მიუყვება“... ჯევედეთ ფაშა ყურადღებას ამახვილებს აჭარლებზე და აღნიშნავს: „**აჭარლები მამაცი, ძლიერი და ამტანი ხალხია**... საერთოდ, ქართველების უმრავლესობა კარგი მეზობელია და ქართველობა პატრიოტიზმის დამამტკიცებელ უტყუარ საბუთად ითვლება“ [7].

გამოჩენილი მწერალი **შამსედინ სამი** თავის ნაწარმოებში „**ქამუს უღ-აღამი**“ (მსოფლიო ატლასი) ქართველებსა და საქართველოს შესახებ ვრცელ ინფორმაციას იძლევა. იგი წერდა: „ქართველები კავკასიის ხალხია. თავის ქვეყანას მთლიანობაში **საქართველოს** უწოდებენ. ქართველები ძველთაგანვე განთქმულნი იყვნენ აღნაგობით და მოხდენილობით; ქალები გამოირჩევიან სინატიფით და სინაზით; მამაკაცები კი ვაჟკაცობით და სიმამაცით. ისინი ღირსნი არიან კაცობრიობის ყველაზე ღამაზ და საუკეთესო მოდგმად იქნან აღიარებულნი. აქვთ საკუთარი დამწერლობა; ისინი მარცხნიდან მარჯვნივ წერენ. მსოფლიო ისტორიაში ქართველთა სახელები აღექსნანდრე დიდის დროიდან მოყოლებული მოიხსენიება, თუმცა ისინი საკუთარ ისტორიას 2640 წლის წინანდელი მმართველის – **თარგამოსის** დროიდან იწყებენ“ [8].

იგი კარგად იცნობს ბათუმის წარსულსა და თანადროულობას. მოსწონს ქალაქის განაშენიანება: „ბათუმი ოსმალეთის მმართველობის პერიოდში ლაზისტანის სანჯაყის ცენტრი იყო და ბერლინის ხელშეკრულების ძალით გადაეცა რუსეთს. სულთან აბდულ აზიზის დროს ტრაპიზონის ვალის, ესათ მუჰლის ფაშას, ძალისხმევით, მოხდა ქალაქის კეთილმოწყობა, აშენდა აზიზიეს დიდი მეჩეთი. ბათუმს აქვს ბუნებრივი ნავსაყუდელი და აქ ოსმალეთის პერიოდში გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობდა“. ცხადია, ბათუმის დაკარგვის გამო, ერთგვარი სევდაც გამოსჭვივის მისი სიტყვებიდან [8].

1918 წელს ბათუმში ჩასულ ცნობილ თურქ მწერალს **აჰმედ რეფიკს** ნაწარმოებში „ჩემი თვალებით დანახული კავკასიის გზები“ აღწერილი აქვს ბათუმის ბუნების სილამაზე. იგი მოუხიბლავს მწვანეში ჩაფლულ ბათუმს.

აჰმედ რეფიკი არტანუჯის გავლით ჩადის ართვინში. იქიდან უკან, ბათუმისკენ მობრუნებული, გაოცებული შეჰყურებს აქაური ბუნების მშვენიერებას. აკვირდება მდინარეების ჭოროხისა და აჭარისწყლის შეერთებას. ამჩნევს, რომ ისინი გარკვეულ მანძილზე ერთმანეთს არ ერევიან. განსხვავებული ფერის წყალი ცალ-ცალკე მიედინება. მხოლოდ გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ უერთდებიან ხოლმე ერთმანეთს. იგი წერს: „დილით მწვანე მუხნარში აღმოვჩნდი. მოწესრიგებული გზები ჭოროხის ხეობაში ეშვება. ხრამის პირას კლდის წვერზე ძველი ციხის ცარიელი კედლები და ვიწრო სათოფურები ჩანს. ხრამის ნაპირებზე პატარ-პატარა ქართული სოფლებია. ბაღები, ვენახები და სიმწვანე სულს სიმშვიდის გრძნობას მატებს. ართვინს სანამ დავინახავდი, ორი დიდი მთა გადავიარეთ...“

ართვინ-ბათუმის გზა მსოფლიოს ყველაზე ლამაზი, გამორჩეული და მოხდენილი ადგილია. ყვავილებსა და სიმწვანეში ჩამჯდარი ჭოროხი, ჩამავალი მზის ფონზე ოქროებით, აღმასებით და ლალებით მორთული, გვირგვინით თავდამშვენებულ ქერა გოგონას ჰგავს. მწვანეთვალეა გოგოს მსგავსი პატარა მდინარეები ჭოროხს უერთდება. რაღაც მანძილზე მათი წყლები ერთმანეთში არ ირევა და გვერდიგვერდ მიედინება. გაივლის ლამაზ ხიდქვეშ სუფთა კლდეებს შორის და ისე მილივლივებს, რომ ვაშლის ტოტებსაც კი ეხება... ბათუმიდან ისე წასვლა, რომ გულში სინანული არ დაგრჩეს, შეუძლებელია. ბათუმიდან წასვლა საყვარელ ადამიანთან განშორების დარია“ [9].

მწერალი **აჰმეთ რეფიკი** აჭარასა და ბათუმს, მის მიდამოებს მშვენიერი ქართველი ქალებისა და მათ დასაცავად სისხლდაღვრილი ქართველი ვაჟკაცების საცხოვრისს უწოდებს. ქართულ მიწებს მარადიული სილამაზის განსახიერებად მიიჩნევს [10].

თურქი მოგზაური **ჰალილ მენტეშე** თავის მოგონებებში საქართველოს შესახებ დიდ ადგილს უთმობს ბათუმს. იგი ამ მწვანეში ჩახატულ

ქალაქს სამოთხეს ადარებს და ასე აღწერს ქალაქის სახეს: „ქალაქი ბათუმი მოწესრიგებული დიდი დაბაა. ფართო ქუჩები მსხვილი, ფერადი ქვებითაა მორთული, რაც თვალწარმტაც იერს აძლევს მას. ქალაქი კავკასიის იმპორტისა და ექსპორტის ნავსადგურია. აქ მიღებით მოედინება ბაქოს ნავთობი. თვალწარმტაცია ორი დიდი ბოტანიკური ბაღი. მოსახლეობა ძველი ტრადიციების ერთგული დამცველია, ღმერთის მსახურია და მოსიყვარულე“ [11].

ოსმალეთის სახელმწიფო მოხელე **ჰილმი ურან ბეი** 1918 წელს, როცა ბათუმი ოსმალეთის ჯარმა დაიკავა, მოაგვლინეს ბათუმში ადმინისტრაციული ინსპექციისათვის. იგი აქ ცოტა ხანს დარჩა, მაგრამ მარადსახსოვარი მოგონებები გაჰყვა აქედან. თავის მოგონებების წიგნში იგი აცოცხლებს ბათუმის სახეს: „ბათუმი შავი ზღვის სანაპიროს ევროპული ტიპის დაბაა. მას ამშვენებს ყვავილებით მოჩითული გამზირები, სუფთა გარეგნობის შენობები, ლამაზვიტრინიანი მაღაზიები, ლამაზი პარკები და საოცნებო ბუღვარი. ბათუმი გამოირჩევა ზომიერი კლიმატით. ადამიანი აქ წელიწადის ყველა დროს საამურად დაისვენებს“ [12].

ოსმალეთის იმპერიის ბოლო პერიოდის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე **აჰმედ იზეთ ფაშა** „ელვიე სელასედ“ (ოსმალეთში ამ სახელით მოიხსენიებდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადასულ ბათუმის, ყარსისა და არტანის სანჯაყებს) ცნობილი სამი ოსმალური ვილაიეთიდან (მხარიდან) ყველაზე საუკეთესოდ კავკასიის საპორტო ქალაქ ბათუმს მიიჩნევს და მას საქართველოსა და სრულიად კავკასიის გულს უწოდებს“ [13].

ოსმალეთის მკვლევარ-მოგზაურებისა და სწავლულების ნაწარმოებებიდან ამოღებული მცირე ამონარიდებიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა სტუმრებზე ჩვენი ლამაზი ბათუმი, სუფთა ფერადი ქვებით მოკირწყლული ქუჩებით, ყვავილებით სავსე გაზონებითა და ულამაზესი ქართული გენის მატარებელი ბათუმლებით.

ბათუმის დიდებული წარსულის წარმოჩენა ყველა ბათუმელის ვალია. ჩვენი სტატიაც ამ მიზანს ემსახურება. დვთის შეწევნით, ახლო მომავალში ქართულად ითარგმნება ბათუმის შესახებ არსებული ოსმალური წყაროები და მკითხველის წინაშე გადაიშლება ბათუმის წარსულის დიდებული სურათები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟორდანია ნ., ბათუმის მნიშვნელობა, გაზეთი „საქართველო“, №46, თბილისი, 1918;
2. **იბრაჰიმ ფეჩევის** ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ; თბილისი, 1964;
3. **ველია ჩელები**, მოგზაურობათა წიგნი, თარგმნა გ. ფუთურიძემ, თბილისი, 1971;
4. **ქათიბ ჩელების** ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ; თარგმნა გ. აღასანიამ, თბილისი, 2013 (გამოცემა მეორე);
5. შენგელია ნ., XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, გვ. 105-111; თბილისი, 1974;
6. **ქასაბი მურათ**, ოსმალეთის ქართველები, თურქულიდან თარგმნეს გელა გუნიავამ და ემინ შექერჯიმ, სტამბული, 2012;
7. Cevdet, Tarih, II, s. 776; III, s. 1285, 1516;
8. Şemsettin Sami, V, s. 3837; Şemsettin Sami, II, s. 1199;
9. Ahmet Refik, Kafkas Yollarında Hatıralar ve Tahassüsler, İstanbul, s. 10-11, 1919;
10. Ahmet Refik, Osmanlı, Kumandaları, hz. Dursun Gurlek, s. 82, İstanbul, 1996;
11. Halil Menteşe, Barış Görüşmeleri ve Mütareke; ix. Jurnalı `Hayat Tarih Mecmuası, c. 2, s.7, İstanbul, 1973`;
12. Hiilmi Uran, Hatıralarım, s. 89-90; Ankara, 1958;
13. Ahmet Izzet Paşa, Feryadım, hz. Süheyl Izzet Furgaç, s. 283-284, İstanbul, 1992.

**Шушана Путкарадзе, Мераб Ахвледиани**  
(Батуми, Грузия)

### Батуми в османских исторических источниках

#### Резюме

Батуми – главнейший центр Юго-Западной Грузии и мощный очаг культурно-просветительской жизни. Его значение издавна было оценено должным образом и друзьями, и врагами, как внутри, так и за пределами Грузии.

Первый президент независимой Грузии Ноэ Жордания писал, что «Батуми для нас то же самое, что Петроград для России».

Батуми неоднократно становился объектом внимания зарубежных исследователей. В их работах имеются интересные исторические сведения о самом городе и его жителях.

Приводимые в данной статье сведения о Батуми опираются на сохранившиеся до наших дней османские исторические источники, в частности: выписки из произведений и научных работ османских исследователей-путешественников Ахмеда Джевдет-паши, Шемседина Сами, Ахмеда Рефики, Халила Ментеше, Хилми Уран-бея, Ахмеда Изет-паши, которые ещё не переведены на грузинский язык и мало известны грузинскому читателю.

Долг каждого жителя Батуми – познакомить широкие слои общественности со славным прошлым родного города. И наша статья служит именно этой цели.

## ოსმალთა მიერ ბათუმის ოლქში ჩატარებული „რეფერენდუმის“ ზოგიერთი უცნობი დეტალი

ცნობილია, რომ 1918 წლის 3 მარტს გერმანიასა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის დადებული ბრესტის ზავით საქართველოს ისტორიული ტერიტორიები, მათ შორის ბათუმის ოლქიც, სადავო გახადეს და მისი ბედი, მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით, ე. წ. რეფერენდუმის მეშვეობით უნდა გადაწყვეტილიყო.

ოსმალებმა ისარგებლეს ბრესტის ზავში დეკლარირებული სათანადო მუხლით და 1918 წლის აპრილის დასაწყისში მოახდინეს საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად ბათუმის ოლქის ოკუპაცია და აქ მათი შეჩერება ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მხოლოდ მდინარე ჩოლოქსა და ოზურგეთის მისადგომებთან შეძლეს. ოსმალებმა სცადეს ესარგებლათ მათთვის ხელსაყრელი გარემოებებით და იმავე წლის ზაფხულში ბათუმის ოლქის მცხოვრებთ თავს მოახვიეს ე. წ. რეფერენდუმი მხარის მცხოვრებთა ორიენტაციის გარკვევის მიზნით; მაგრამ მათ უგულვებელჰყვეს ბრესტის ზავის ის დებულება, რომლის ძალითაც აღნიშნული რეფერენდუმი უნდა ჩატარებულიყო მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით და საერთოდ, ეს ე. წ. რეფერენდუმი ოსმალებმა ჩაატარეს ისეთი დარღვევებით, რომ მისი შედეგები თვით ოსმალთა მოკავშირე გერმანიამაც კი არ სცნო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული დღეს ისტორიოგრაფიაში აღიარებული უდავო ფაქტია. მაგრამ ამასთანავე მეტად საინტერესოა ამ მოვლენებთან დაკავშირებული ზოგიერთი უცნობი დეტალი, რომელიც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ბათუმის ოლქის მოსახლეობა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ აწარმოებდა პოლიტიკურად ორგანიზებულ, შეგნებულ და ამასთან შეურიგებელ ბრძოლას. სწორედ ასეთი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალის შესახებ იგონებს ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის მემედ გოგიბერიძის შვილი, ქობულეთის რაიონის სოფ. აღამბრის საშუალო სკოლის მასწავლებელი ბესირე გოგიბერიძე. მის მოგონებებში მამის, მემედ გოგიბერიძის მონათხრობი ასეა ასახული:

„რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ აჭარაში შემოსული თურქები (ბრესტის ზავის შემდეგ პერიოდს გულისხმობს – უ. ო.) ყველანაირად ცდილობდნენ აქ თავისი პოლიტიკური და რელიგიური გავლენის გაძლიერებას, რაშიც მათ მომხრეებიც ჰყავდათ. მაგრამ მათ საპირისპიროდ იზრდებოდა ქართული

ორიენტაციის მომხრეთა რაოდენობა. ამ კუთხის საუკეთესო შვილები დაირაზმნენ სამშობლოს ინტერესების დასაცავად. მათ შორის იყვნენ ძმები – მემედ, ხუსეინ და რიზა გოგობერიძეები, დურსუნ ჯაფარიძე (გოგობერიძეების სიძე), სეიდ ართმელაძე (მათი მამიდაშვილი), ქემალ ნოლაიდელი, ხასია თხილაიშვილი, სულეიმან ჭყონია და სხვები (მოგონებებში ძირითადად ქობულეთის რაიონის წარმომადგენლებია ჩამოთვლილი – უ. ო.)

თურქები ცდილობდნენ საზოგადოების დარწმუნებას, რომ მათ ხალხი მხარს უჭერს და ისინი აქედან წასვლას არ აპირებენ. იმ პერიოდში საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, მისი მითვისების მიზნით, თვალი ეჭირათ სხვადასხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს. თურქული ოკუპაციის პირობებში, 1918 წლის ზაფხულში უნდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი მხარის მოსახლეობის ორიენტაციის გასარკვევად. ქართული სახელმწიფოებრივი ორიენტაციის ინტერესების დასაცავად დიდი მუშაობა გასწია ზემოთ დასახელებულმა პატრიოტთა ჯგუფმა.

ქობულეთში 1918 წლის ივლისში, დღევანდელი მე-4 საჯარო სკოლის მიდამოებში (ფიჭვნარი) დაინიშნა რეფერენდუმი. რეფერენდუმამდე აღნიშნულ პატრიოტთა ჯგუფი შეიკრიბა სოფელ სამების ტყეში, სადაც წილისყრით გამოვლინდა ის პიროვნება, რომელიც რეფერენდუმის დროს აშკარად განაცხადებდა ქართული ორიენტაციისადმი მხარდაჭერას საქართველოსთან შეერთების სურვილის დაფიქსირებით. წილისყრის შედეგად ეს მისია ერგო ხასია (ხასან) თხილაიშვილს, რომელმაც მას თავი ბრწყინვალედ გაართვა.

ზღვის პირას მდებარე თეთრი შენობის ეზოში თავმოყრილი ხალხისა და რეფერენდუმის ორგანიზატორი შეიარაღებული თურქი ასკერების წინაშე წარსდგა წარმოსადეგი გარეგნობის, პატრიოტული მგზნებარებით აღსავსე ქართველი ვაჟკაცი ხასია თხილაიშვილი და უშიშრად განაცხადა: „ძმებო, აქ სარწმუნოების საკითხი არ წყდება. ჩვენ ქართველები ვართ და ქართველებად დავრჩებით ჩვენს მიწაზე. ამიტომაც ხმას ვაძლევ საქართველოს!”

მაშინ ოსმალთა კაიმაკამმა ბრძანა ხასია თხილაიშვილი ზარბაზნის ლულაზე გაეკრათ და ზღვაში გაესროლათ. იქ მყოფ ზოგიერთ თურქოფილს უყვირია – „ზღვაში არ გაისროლოთ, ზღვას დასვრის, ტყისკენ გაისროლეთ”. ამ დროს ერთ-ერთმა გერმანელმა მაღალჩინოსანმა ოფიცერმა გამოიჩინა კეთილგონიერება, შეაჩერა ოსმალო ასკერები და ხმამაღლა განაცხადა: „ჩვენ ეს ხალხი მოვიყვანეთ აქ, რათა გვეთქმევინებინა, თუ რა სურდათ მათ. გაათავისუფლეთ ეს კაცი!”

ხასია თხილაიშვილი ზარბაზნის ლულიდან ჩამოსხნეს და ეს აქცია უსისხლოდ, მშვიდობიანად დამთავრდა ქართული ორიენტაციის გამარჯვებით.

შემდგომში ეროვნული მოძრაობის ეს წარმომადგენლები მოსალოდნელი რეპრესიების გამო მაშინდელი ოზურგეთის მაზრაში გადავიდნენ” – იგონებს ქალბატონი ბესირე მამის, მემედ გოგიბერიძის მონათხრობის შესახებ.

აღნიშნული მოგონება კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ოსმალური ოკუპაციის პერიოდში მხარის ქართველი მოსახლეობა ეწეოდა პოლიტიკურად ორგანიზებულ, შეგნებულ ბრძოლას თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ, თუმცა არც ისაა გასაკვირი, რომ აქ ოსმალთა ხანგრძლივი ბატონობის შედეგად კვლავ შემორჩენილი ყოფილიყო თურქოფილური განწყობილების რამდენიმე პიროვნება.

მოგონება ახალი კუთხით წარმოგვიჩენს ხასან თხილაიშვილის მიერ ოსმალური რეფერენდუმის დროს ჩადენილ პატრიოტულ ქმედებას და გვაუწყებს, რომ ეს ქმედება არ ყოფილა მისი კერძო ინიციატივა, არამედ იგი იყო პოლიტიკურად გააზრებული, შეგნებული აქტი, რაც მის მიერ ჩადენილ გმირობას სრულებითაც არ აკნინებს, – პირიქით, მას წარმოაჩენს როგორც ჩვენი კუთხის საზოგადოებრივ შეგნებაში წინ გადადგმული ნაბიჯის უშუალო შედეგს.

## ბათუმი ღენიანიელთა გავრცელება (1919-1920 წწ.)

1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, პირველი შეთანხმება 28 მაისს გერმანიასთან დადო. გერმანიამ საქართველო დეფაქტო ცნო. თითქოს განხდა ტერიტორიული მთლიანობის გარანტიებიც, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველო-გერმანიის ურთიერთობები განსაზღვრა ბრესტის ზავის პირობებით, რომელსაც ორივე მხარე აღიარებდა.

ამ მოვლენების პარალელურად, სტამბულის პოლიტიკურ წრეებში ჩამოყალიბდა საქართველოსთან ურთიერთობის მოწესრიგების საში ვარიანტი, რომელიც, თავის მხრივ, ორ ქვეყნას შორის ახალ სასაზღვრო რეჟიმსაც შეეხებოდა. პირველი გეგმით მომავალი ურთიერთობები განსაზღვრული უნდა ყოფილიყო ბრესტის ზავის პირობებით; მეორე გეგმა ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულებისათვის სხვა ტერიტორიების ჩამორთმევას ითვალისწინებდა; ხოლო მესამე ვარიანტით ამიერკავკასია მთლიანად უნდა შეერთებოდა ოსმალეთს (**ზოსიძე, 1995: 50**).

1918 წლის შემოდგომაზე ოსმალეთის პოზიციები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საგრძნობლად შეირყა. მსოფლიო ომში დამარცხებული ოსმალეთის მთავრობამ გადაწყვიტა გარკვეულად მოეწესრიგებინა ურთიერთობა მეზობელ საქართველოს რესპუბლიკასთან; 1918 წლის ოქტომბრის დამლევს ოფიციალურად აცნობა თბილისს, რომ 4 ნოემბერს ოსმალეთის ჯარი დატოვებდა ბათუმს. ზავის თანახმად ოკუპირებულ სამცხე-ჯავახეთსა და ლორეს დაკავებას სთავაზობდა. ოსმალეთის ეს ნაბიჯი ნაკარნახევი იყო მაშინ არსებული საერთაშორისო მდგომარეობით. ანტანტასთან დამარცხებულმა ოსმალეთმა 1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის ნავსადგურში ინგლისთან ხელი მოაწერა დროებით ზავს, რომლის საფუძველზე ოსმალეთს უნდა დაეტოვებინა მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველომ ოსმალეთის მოკავშირე გერმანიის მხარდაჭერით არამარტო შეაჩერა ოსმალეთის ლაგამაწყვეტილი სურვილები საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაზე თავისი კონტროლის დაწესებისა, არამედ, ეჭვგარეშეა, გერმანიის მხარდაჭერამ შეუმსუბუქა საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი თვეები. მაგრამ ამ უკანასკნელის დამარცხებამ და ევროპაში შექმნილმა ახალმა

რეალობამ ე.წ. „გერმანულ ორიენტაციას“ ნიადაგი გამოაცალა (**ავალიშვილი, 1990: 186**).

1918 წლის 30 დეკემბერს 4 სატრანსპორტო საშუალებით ბათუმის პორტში ინგლისელებმა 15 000 ჯარისკაცი გადმოსხეს გენერალ ფორესტერ უოკერის ხელმძღვანელობით. ინგლისელებს ჰქონდათ თავიანთი გეგმა, რომელიც საერთოდ არ ითვალისწინებდა ქართულ ეროვნულ ინტერესებს. როგორც ცნობილია, იმუამინდელი თეთრგვარდიული ბრძოლა მიზნად ისახავდა არამარტო ბოლშევიკური „ჩუმის“ (ჭირის) დამარცხებას, არამედ მეფის რუსეთის იმპერიის ტერიტორიების აღდგენასაც. აქედან გამომდინარე, ინგლისელ გენერალთან შედგა გულთადი საუბარი რუსთა ნაციონალური საბჭოს წარმომადგენლების – მასლოვის, ანისიმოვის და სარანჩევის. მათ ინგლისელ გენერალს წარუდგინეს თავიანთი ხედვა ქალაქ ბათუმისა და ბათუმის ოლქის მომავალი განვითარებისა. ეს უაღრესად საინტერესო დოკუმენტი აგებული იყო რუსეთის იმპერიის დამსახურების ხატოვნად აღწერაზე, სადაც ხაზგასმული იყო რუსი ჯარისკაცების ღვაწლზე და XIX საუკუნის რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგებზე.

საინტერესოა ამ მხრივ ინგლისელი გენერლის პასუხი, სადაც აღნიშნული იყო, რომ რუსთა ნაციონალურ საბჭოს არ აქვს უფლება განაცხადოს ამ ოლქის მართვაზე პრეტენზიები (**ასს ცსა, ფ. ი-67, აღ. 1, ს. 15, გვ. 227**). შემდგომ განვითარებული მოვლენების ფონზე, როდესაც უოკერმა მიიღო დირექტივები დიდი ბრიტანეთის ჯარების ახლო აღმოსავლეთის მთავარსარდალ გენერალ მილნისაგან, გადაწყდა უპირატესი უფლებები მიენიჭებინათ ქალაქ ბათუმში არსებული რუსთა ეროვნული საბჭოსათვის. ამ საბჭოს ხელმძღვანელობდა კადეტი პრიდადიან მასლოვი (**იქვე, გვ. 228-229**). უოკერსა და მასლოვს შორის შემდგარი საუბრის ძირითადი შინაარსი გამოიხატებოდა იმაში, რომ რუსებს ეძლეოდათ უფლება შეექმნათ ბათუმის ოლქისა და ქალაქის მართველობის საბჭო სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებისაგან, ცხადია, რუსული ეთნიკური ელემენტის უპირატესობით. ამით, როგორც ინგლისელმა გენერალმა განაცხადა, ისინი მხარს უჭერდნენ გენერალ დენიკინს, რომლის საბოლოო წარმატებისა ჯეროდან. იმუამად ინგლისელთა დამოკიდებულება რუსეთში მიმდინარე თეთრგვარდიული მოძრაობის და პირადად გენერალ დენიკინისადმი არაერთგვაროვანი იყო. ეს კარგად აისახა ბათუმის რუსთა ეროვნული საბჭოს მიმდინარე სხდომის ოქმში, სადაც ერთ პუნქტში პირდაპირ ჩაიწერა, რომ თუ რუსეთში გაიმარჯვებდა „დობრო არმია“ (დენიკინური მოძრაობა), მაშინ ბათუმისა და მის ოლქში არსებული რუსთა ეროვნული საბჭო გაააქტიურებდა საქმიანობას ოლქისა და მთლიანად საქართველოს რუსეთთან შეერთების მიზნით (**იქვე, გვ. 231**).

ამ ფონზე ნიშანდობლივია ბათუმში ამერიკის შეერთებული შტატების მისიის წარმომადგენლის, საერთაშორისო სამართლის დოქტორის, ჯედსონის საუბარი საქართველოს მთავრობის წარმომადგენელ დიომიდე თოფურიძესთან. მათი განსჯის საგანი იყო საქართველოს საშინაო მდგომარეობა და საგარეო ურთიერთობები (**ზოსიძე, 1995: 66**). გაირკვა, რომ ამერიკელებიც აშკარა ინტერესს ამჟღავნებდნენ ბათუმისა და მთლიანად საქართველოს მიმართ და სურდათ, მათი აქ დამკვიდრება მომხდარიყო მხოლოდ საქართველოს თხოვნის შემდეგ (**სცსსა, ფ. 1864, აღ. 1, ს. 30, ფურც. 75-76**).

ბათუმში არსებულმა რუსთა ეროვნულმა საბჭომ, დენიკინის შტაბთან შეთანხმებით, ინგლისელებს წარუდგინა ბათუმის და მისი ოლქის მმართველი „კაბინეტი“ შემდეგი შემადგენლობით:

1. პრიდადიან მასლოვი – საერთო ხელმძღვანელი;
2. ზ. ს. ხითროვ-ბესტავაშვილი – განაგებდა მიწათმოქმედების საქმეს;
3. მგალობლიშვილი – განაგებდა სასკოლო საქმეს;
4. პ. ს. სიმეონიდი – განაგებდა სასამართლოს;
5. ომერ-აღა – განაგებდა უკულტურობის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებას (უპორთფელო);
6. ი. ი. გენდლერი – განაგებდა ფოსტას;
7. კ. ლ. ქორიბუდ-დმიკოვიჩი – განაგებდა ტექნიკურ ნაწილს;
8. ი. ი. პილოიანი – განაგებდა საზღვაო პორტსა და საბაჟოს;
9. ს. დ. კობიევი – ქალაქ ბათუმის პოლიციის უფროსი;
10. ს. გ. გინკული – საქმეთა მწარმოებელი;

პ. მასლოვის აზრით, ბათუმში წესრიგისა და მმართველობითი სტრუქტურების ჩამოყალიბების გარდა, უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა გენერალ დენიკინთან კავშირ-ურთიერთობების გააქტიურება. პ. მასლოვს ესმოდა, რომ რუსთა ეროვნულ საბჭოს მთელი ძალისხმევა უნდა მიემართა ეკატერინოდარში (ამჟამინდელი კრასნოდარი) განთავსებული დენიკინის თეთრგვარდიული მოძრაობის აქტიური მხარდაჭერისათვის. ამ მიზნით, პირველ რიგში, აღიწერა და სამხრეთ რუსეთში გასაგზავნად მომზადდა ბათუმში თურქეთის ოკუპაციის შემგომ ჯერ კიდევ შემორჩენილი სამხედრო აღჭურვილობა. კერძოდ, ნოვოროსიის-კში გაიგზავნა 20 000 საველე სატელეფონო აპარატი (ეს ციფრი საკმაოდ ეჭვს ბადებს – ნ.ზ.); 600 000 საბრძოლო ვაზნა; მრავალრიცხოვანი ცხენის აღკაზმულობა და სხვა სამხედრო დანიშნულების საქონელი (რაც შეეხება ნავთობპროდუქტების დიდძალ მარაგს, ის თურქებმა ოლქის ოკუპაციის დროს თითქმის გაზიდეს – ნ.ზ).

ცხადია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავისი პრეტენზიები განუცხადა დიდი ბრიტანეთის სამხედრო წარმომადგენლობას ბათუმის ოლქში შემორჩენილ სამხედრო აღჭურ-

ვილობაზე. კერძოდ, გენერალ კუკ-კოლისს, მაგრამ ამ უკანასკნელმა არავითარი რეაგირება არ მოახდინა (ასს ცსა, ფ. ი-67, აღ. 1, ს. 15, გვ. 238).

ეკატერინოლარში, სადაც გენერალ დენიკინის შტაბი იყო განთავსებული, ბათუმიდან რეგულარულად იგზავნებოდა სხვადასხვა სახის, უმეტესად, სამხედრო ინფორმაცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია გენერალ პ. ო. ტერმენის მიმოხილვითი მოხსენება, რომელშიც პროფესიონალი სამხედროს თვალთ აღწერილია ოლქში არსებული ვითარება (იქვე, გვ. 251). გენერალ ტერმენსა და მის თანამოაზრეებს აშინებდათ მოსახლეობის აშკარად გამოხატული ანტირუსული განწყობილება და ამას აფასებდნენ ქართულ შოვინისტურ გამოხდომად (Ментешашვილი, 1987: 148-149).

თავისთავად, არც დენიკინელები აკლებდნენ ყურადღებას ბათუმს. აქ ეკატერინოლარის შტაბიდან მოვლინებული იყო გენერალი პრორონსკი, რომელიც ითვლებოდა რუსეთის თეთრგვარდიული მთავრობის ოფიციალურ პირად.

თეთრგვარდიული მოძრაობა, რა თქმა უნდა, ცდილობდა ფრონტისათვის საჭირო ადამიანური რესურსებიც შეეკსო ამიერკავკასიიდან. ძირითადი ინტერესი ამ მხრივ საქართველოზე მოდიოდა. მოხალისეთა თავშეყრის ადგილად მონიშნეს ქალაქი ბათუმი. ამ მხრივ საინტერესოა ქართული წარმომადგენლის, მაგრამ ცნობიერებით გარუსებული მეფის რუსეთის მაღალჩინოსან ოფიცერთა აქტიურობაც. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა გენერალმა ნათიევმა (ნათიშვილი). დენიკინის შტაბის წინაშე წარდგენილ მოხსენებაში იგი საქართველოს მთავრობას მოიხსენიებს როგორც შოვინისტურს. მისი აზრით, აჭარაში 3000 მოხალისე მეომრის შეგროვება იყო შესაძლებელი ე.წ. „ტუზემნი პოლკისათვის“. იგი მოუწოდებდა ეკატერინოლარის სამხედრო ხელისუფლებას, არ დაეზოგათ თანხები აგიტაციისათვის. გენერალ ნათიევს განსაკუთრებით საშურ საქმედ მიაჩნდა ეფექტური ღონისძიებების გატარება ქართველ ოფიცერთა გადმოსაბირებლად. მისი აზრით, უნდა შექმნილიყო ქართული, სომხური და თათრული პოლკები. აჭარაში „ტუზემნი“ პოლკის ფორმირებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ გენერალმა ნათიევმა თავისი შეხედულებები ჩამოაყალიბა ეკატერინოლარის შტაბის წარმომადგენელ გენერალ-მაიორ ტრუხაჩევსადმი გაგზავნილ წერილში. პარალელურად, მან ფინანსური მოთხოვნა წარუდგინა დობროარმიასთან არსებულ იალტის ფინანსურ-ეკონომიკურ განყოფილებას. საბოლოოდ, ეს ინფორმაციები თავს იყრიდა სამხრეთ-რუსეთის მთავარსარდალ გენერალ-ლეიტენანტ ა. დენიკინთან. ეს უკანასკნელი კი რუსეთის უმაღლესი მმართველის მოადგილის რანგში იყო წარმოდგენილი.

ეკატერინოდარის მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა გენერალ ნათიევისადმი ფინანსური და მორალური მხარდაჭერა... გენერალ დრაგომიროვის რეზოლუციით არსებობს განკარგულება, რომლითაც პირველ ეტაპზე 1,5 მილიონი მანეთით განისაზღვრა ფინანსური მხარდაჭერა.

გენერალ ნათიევის ეს „ურა-პატრიოტული“ მცდელობები კრახით დასრულდა. იგი ქალაქ ბათუმის ბულვარში იქნა მოკლული 1919 წლის 28 ივნისს, თავის ადიუტანტ ფილიპოვთან ერთად (ზოსიძე, 1995: 81).

უადრესად საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს გენერალ რომანოვსკის მოხსენება ბათუმის შესახებ. მასში ჩამოთვლილია ის გადაუდებელი ღონისძიებები, რომლებიც დენიკინელებს ბათუმის ოლქში უნდა განეხორციელებინათ. უპირველესად უნდა ამუშავებულიყო მთავარსარდლობისადმი დაქვემდებარებული სასურსათო სამმართველო, რომელიც უზრუნველყოფდა სურსათისა და საქონლის გაცვლას. გათვალისწინებული იყო აგრეთვე საზღვაო-სატრანსპორტო საშუალებების რეგულარულად მიმოსვლა და ფოსტა-ტელეგრაფის ამუშავება. უნდა გააქტიურებულიყო საბანკო ოპერაციები ჩრდილო კავკასიასა და ბათუმს შორის. იდეოლოგიურ ფრონტზე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ბათუმში გამომავალი შოვინისტური გაზეთის „ნაშ კრასი“ დაფინანსების გაზრდა. გაზეთი რამდენიმე ენაზე უნდა გამოსულიყო. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა ბათუმის ოლქში მცხოვრებ მაჰმადიან ქართველთა შორის იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებას, ცხადია, ანტიქართული პროპაგანდის გაძლიერების ხარჯზე. დასახულ ღონისძიებებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ბათუმის ოლქში დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ხელისუფლებასთან ურთიერთობების დარეგულირებას. მათთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, ბათუმში საქმიანობის დროს დენიკინელთა წარმომადგენლებს არავითარი წინააღმდეგობა არ უნდა შექმნოდათ. რომანოვსკის მოხსენებაში ბათუმის ოლქის შესახებ მოთხოვნები 14 პუნქტად იყო ჩამოყალიბებული (**„საქართველო“**, 1919, №146).

აღნიშნული 14-პუნქტიანი ანგარიში გენერალმა რომანოვსკიმ წარუდგინა დენიკინს, რომელმაც ყველა მოთხოვნა გადაუდებელ აუცილებლობად და პირველ რიგში დასაკმაყოფილებლად ჩათვალა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო რეჟიმის ინტერესები მკვეთრად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს ბათუმის ოლქში. ხალხისა და ქართული ორიენტაციის პოლიტიკურ ძალთა ადექვატური განწყობილება ინგლისელთა მმართველობას აშკარად წარუმატებელს ხდიდა (**ცუხიშვილი**, 1995: 73).

1919 წლის 29 თებერვლის ბათუმის საქალაქო არჩევნებმა ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ ბათუმი საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და არა დენიკინელთა ჩანაფიქრებისა და მიზნების რეალიზაციის ათვისის წერტილს. ასარჩევ ხმოსანთა დიდი უმრავლესობა ქართველებმა გაიყვანეს – 36-დან 20 ხმოსანი. რუსებს მხოლოდ 2 ადგილი ერგოთ. მართებულად აღნიშნავს ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ვიქტორ ნოზაძე, რომ არჩევნების შედეგები „...ერთი მხრივ, აბათილებდა 14 ივლისს 1918 წელს ოსმალების მიერ უწესრიგოდ და უკანონოდ მოწყობილ პლებისციტს, და ამასთან, ინგლისის სარდლობასაც უმტკიცებდა, რომ ბათუმი საქართველოა და არა რუსეთი” (ნოზაძე, 1989: 61-62).

რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის ფრონტებზე დენიკინელებმა სერიოზული მარცხი იწვნეს, რამაც 1920 წლის მეორე ნახევარში პრაქტიკულად ჩაშალა მათი ამოცანების რეალიზაცია საქართველოში, კერძოდ, ბათუმში. საბოლოოდ, რუსული ეროვნული საბჭოსა და მასთან დაკავშირებული ანტიქართული ძალების საქმიანობა კრახით დასრულდა.

#### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**ავალიშვილი, 1990:** – ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, I, თბილისი.

**ასს ცსა, ფ. ი-67, აღ. 1, ს. 15,** – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-67, აღწერა 1, საქმე №15.

**ზოსიძე, 1995:** – ზოსიძე ნ., პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათუმი.

**ნოზაძე, 1989:** ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი.

**„საქართველო“, 1919, №146** – გაზ. „საქართველო“, 1919, №146.

**სცსსა, ფ. 1864, აღ. 1, ს. 30** – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 1, საქმე №30.

**ცუხიშვილი, 1995:** – ცუხიშვილი რ., ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ., თბილისი.

**Ментешавили, 1987:** – Ментешавили А. И., Октябрьская Революция и национально-освободительное движение в Грузии 1917-1921 гг., Тбилиси.

**Nugzar Zosidze**  
**(Batumi, Georgia)**

**Batumi in the Plans of Denikins**  
**(1919-1920)**

Summary

In December 1918, the occupying forces of the UK were landed in Batumi. The chairman of the National Council of Russian talking with the governor of Batumi district -Cooke Kohl confirmed its readiness to seize the control of district. Especially, The White Movement of Denikin were interested in Batumi. Senior officers of the staff of Anton Denikin's regularly came to Batumi and made different projects to strengthen their positions.

members of Denikin considered the whole Caucasus as integral part of the Russia. Batumi as the bridge-head was given the greatest meaning. Here the military stations were opened in order to attract volunteers of the white movement.

At the end of 1920, Denikins were defeated when they were fighting to Bolsheviks, resulting in the failure in their plans.

## ბრძოლა ბათუმისათვის ინგლისელთა ოკუპაციის პერიოდში 1919-1920 წლებში

საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის 1918 წლის 3 მარტს ხელი მოეწერა ბრესტ-ლიტოვსკის ზავს, რომლის თანახმადაც გერმანიასა და მის მოკავშირეებს გადაეცა პოლონეთი, ბალტიისპირეთი, ფინეთი, ბელორუსია და უკრაინა. ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მესამე აბზაცის თანახმად საქართველოს ისტორიული ტერიტორიები – არდაგანი (არტაანი), ყარსისა და ბათუმის ოკრუგები – უნდა გადაეცემოდა ოსმალეთს. ამას მოჰყვა ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციები, რაც გახლდათ ერთგვარი მცდელობა დაკარგული მიწები დაბრუნებოდა თავის კანონიერ მფლობელს, მაგრამ ამის მიღწევა ქართულმა დიპლომატიამ მაშინ ვერ შეძლო.

1918 წლის 4 ივნისს ბათუმში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ოსმალეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება (ბათუმის ხელშეკრულება), რომლის მეორე მუხლის თანახმად აღდგა 1877-1878 წლების ომამდე არსებული რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი და ოსმალეთის შემადგენლობაში დარჩა საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დიდი ნაწილი. დაიკარგა აჭარა და მთელი სამხრეთ საქართველო (სამცხე-საათაბაგო), რომელიც შეადგენდა 9 500 კვ. კმ. 350 000 მოსახლით (ამხფ, ფონ. 4, საქ. 372: 43). ეს ხელშეკრულება გაუქმდა 1918 წლის 30 ოქტომბერს, როდესაც ოსმალეთმა მუდროსის ნავსადგურში ინგლისთან ხელი მოაწერა დროებით ზავს, რომლითაც იგი თავს დამარცხებულად აცხადებდა.

ამიერიდან ოსმალეთს დიდი ბრიტანეთი ჩაენაცვლა. ინგლისელებმა 1918 წლის დეკემბერში დაიკავეს ბათუმი და მისი ოლქი, დააწესეს საოკუპაციო რეჟიმი. ისინი დენიკინელებთან უფრო თანამშრომლობდნენ, ვიდრე საქართველოს მთავრობასთან. თანაც, არ აძლევდნენ საშუალებას ფრანგებს და ოსმალეებს, კონკურენცია გაეწიათ საქართველოში პირველობისათვის ატეხილ ბრძოლაში.

1918 წლის 14 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგუჭკორი დეპეშით აცნობებდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს ბათუმში დ. თოფურიძეს, რომ ნ. ჟორდანიას აზრით, შესაძლოა, ინგლისელებმა საქართველოში დენიკინის მოხალისეთა ჯარის შემოყვანა გადაწყვიტონ, რაც ჩვენთვის მიუღებელიაო. თუ ისინი ამას მართლაც გააკეთებენ, ჩვენი საქმე წაგებულ იქნება. ამიტომ ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს არ მოხდესო (ამხფ, ფონ. 2, საქ. 87).

ინგლისელები პირველად გამოჩნდნენ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებთან 1918 წლის 29 ნოემბერს. ამ დღეს კრეისერი „ლივერპული“ და ორი ნაღმოსანი სოხუმში შევიდა, მეორე დღეს – ფოთში, ხოლო 1 დეკემბერს – ბათუმში. შემოსვლას სადაზვერვო ხასიათი ჰქონდა. მათ უნდა შეემოწმებინათ ნავსადგურებში არსებული მდგომარეობა და შეესწავლათ პირობები მათი სამხედრო ნაწილების განლაგებისათვის (**ცუხიშვილი, 1995: 18**). 1918 წლის 22 დეკემბერს ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა ინგლისის 5 გემი 15-20 ათასკაციანი ჯარით. მუდროსის ზავის თანახმად, მათ დაიკავეს ბათუმი და მისი ოლქი, დააწესეს საოკუპაციო რეჟიმი და გენერალ-საგუბერნატოროს სათავეში ჩაუყენეს გენერალი კუკ-კოლისი (**იქვე: 21**). ბათუმის მმართველობა ჩააბარეს კადეტ მასლოვს, რომელიც ერთგულად ასრულებდა ინგლისელთა განკარგულებასა და დენიკინის მითითებებს.

1919 წელს საქართველოს მთავრობის ინგლისურ ორიენტაციაზე დამყარებული იმედები არ გამართლდა. ის ხომ ინგლისისაგან ფართო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას მოელოდა, რაც ვერ განხორციელდა.

ქართული პრესის მწვავე რეაქცია გამოიწვია ბათუმში მომხდარმა ინციდენტმა. საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა ბათუმში პოლკოვნიკმა გედევანოვმა ორჯერ სთხოვა მიღება ბათუმის სამხედრო გუბერნატორს, ინგლისელ გენერალ კუკ-კოლისს, ამ უკანასკნელმა კი მოუცვლელობის საბაბით არ მიიღო ის. ქართველებმა ეს ფაქტი შეურაცხყოფად მიიღეს. ამის გამო ე. გეგეჭკორმა გენერალ ფორესტიუ-უოკერს პროტესტის წერილი გაუგზავნა, რაც გასარკვევად გენერალ კუკ-კოლისს გადაეგზავნა. ამ უკანასკნელმა კი მოითხოვა, საქართველოს მთავრობას ბოდიში მოეხადა ინგლისის სარდლობის წინაშე პრესის საშუალებით, რაც ქართველებმა არ დააკმაყოფილეს. საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი პოლკოვნიკი შარდინი ასკენის, რომ „ინგლისის პრესტიჟი შეირყა საქართველოში“ (**ტაბაღუა, 1989**). მეტად საყურადღებოა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის მიერ ო. უორდროპისათვის გაგზავნილი 1920 წლის 6 იანვრით დათარიღებული ნოტა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ინგლისი არ დაეხმარა მას და ბევრ რამეში ავიწროებდა. ასე, ბათუმში ინგლისის სამხედრო ხელისუფლების წყალობით საქართველოს არ მიეცა საშუალება, გაემარტებინა ბათუმის ოლქის საზღვარი მასზე თურქების შესაძლო თავდასხმისათვის. ამას გარდა, – აღნიშნული იყო ნოტაში, – საქართველოს დამოუკიდებლობის არცნობა სახელმწიფო წყობილების განმტკიცებისათვის მუშაობას აფერხებდა. ინგლისმა არ გამოავლინა აუცილებელი ძალისხმევა ფაქტობრივი ბლოკადის მოხსნისათვის, რომლისგანაც ძლიერ ზარალდებოდა საქართველო (**ცუხიშვილი, 1995: 93**).

შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი მიუთითებდა, რომ საქართველო აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა კავკასიის საზღვრებთან წითელი არმიის გამოჩენის გამო. ჩრდილოეთიდან ბოლშევიკების და სამხრეთიდან თურქების მოსალოდნელი შემოტევებისაგან თავდაცვის მიზნით, ე. გეგეჭკორი მთავრობის სახელით ბრიტანეთის მხარდაჭერას მოითხოვდა შემდეგ საკითხებში:

1. „ინგლისის მიერ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივი ცნობა;

2. საქართველოსათვის ბათუმის ოლქის დაბრუნება რესპუბლიკის საზღვრების გამაგრების მიზნით;

3. ფართო დახმარების აღმოჩენა იარაღით, სურსათით, ვალუტით“ (იქვე: 94), წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ინგლისური ორიენტაციის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგებოდა. ინგლისმა ახალ ვითარებაში ამიერკავკასიაში თავისი დამოკიდებულება ჩამოაყალიბა 1920 წლის 12 იანვრის სპეციალურ მემორანდუმში, რომელიც პარიზის კონფერენციას წარედგინა და რომელიც შემდეგ პუნქტებს მოიცავდა:

1. „მოკავშირეთა მიერ საქართველოს მენშევიკური მთავრობის და აზერბაიჯანის მუსავატური მთავრობის დამოუკიდებლობის დეფაქტოდ აღიარება.

2. ყველა იმ მარაგის გადაგზავნა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელზე, რომელიც დენიკინისათვის იყო გამიზნული და გზაში იმყოფება.

3. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის დამატებითი დახმარების აღმოჩენა ფინანსების, საბრძოლო საჭურვლის, განსაკუთრებით ვაზნების, ფეხსაცმლის, სურსათის, განსაკუთრებით პურის მიწოდების საქმეში. სათანადო დახმარება ბათუმისა და ბაქოს დაცვის საქმეში, ბოლშევიკების დაუშვებლობა კასპიის ზღვაზე ფლოტთან“ (სურგულაძე, 1972: 645).

1920 წლის იანვარ-აპრილში ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებმა დაიწყეს ამიერკავკასიის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის სათანადო მოსამზადებელი სამუშაოების კონკრეტული გეგმის შემუშავება, მაგრამ ლონდონმა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმისაგან თავი შეიკავა.

მოკავშირეთა სან-რემოს კონფერენციის 1920 წლის 18-23 აპრილის სხდომებზე დიდმა ბრიტანეთმა საფრანგეთისა და იტალიის სათანადო მხარდაჭერა ვერ მიიღო. მათ თავი შეიკავეს ბათუმში თითო ბატალიონის გაგზავნაზე იმ მოტივით, რომ ეს რუსეთთან ომის ტოლფასი იქნებოდა (История дипломатии..., 1945: 89), რითაც ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილება უგულვებელყვეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბრიტანეთს მოკავშირეთა იმედი არ უნდა ჰქონოდა.

ბათუმის ოლქში მცხოვრები ქართველები საკმაოდ სკეპტიკურად უყურებდნენ ინგლისელ ოკუპანტებს და საქართველოს მთავრობას. აქ არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულება კარგადაა გამოხატული სოფელ მუხაისტატეში ჩაწერილ ლექსში:

„გეგეჭკორი კარტს თამაშობს,  
ჟორდანი ნარდსო,  
ანგლიეის მოხერხებით,  
ატყავებენ ხალხსო“

(გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №362)

ასეთი დამოკიდებულება იმით იყო ნაკარნახევი, რომ ბათუმში ძალიან მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები იყო. 1919 წელს გაზეთი „ერთობა“ წერდა, რომ: „ბათუმში ყველაფერი გადასხვაფერებულია, საზოგადოებრივი ცხოვრება გაყინულია, გადამწვარი, აოსრებული, განაპირა ბათუმი ცრემლებს მოგვგრის, დაგამწუხარებს, სამხედრო ბანაკად ქცეული... ძარცვა-გლეჯა, მკვლელობა, ლოთობა, ქალებისა და ბავშვების დახრჩობაც ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულია და ბოროტება იმალება ბათუმის საიდუმლოებით მოცულ სიღრმეში. ქართველების წინააღმდეგ ითესება გესლი და შხამი. მმართველობის აპარატი ინგლისელების ხელშია. მთელი ფინანსები ინგლისელების ხელშია. მაგალითად, 20 მანეთის ასიგნოვკაზედაც, რომელიც უნდა მიეღო ქალაქის სკოლის მასწავლებელს, ხელი უწერია ინგლისელ მაიორ გენდომს“ (გაზ. „ერთობა“, 1919, №96).

ბათუმის მოსახლეობის მძიმე მდგომარეობაზე მიუთითებდა ფრანგული ოფიცოზი „ტანი“, რომელიც ხაზს უსვამდა ბათუმის სტრატეგიულ მდებარეობას მსოფლიო ბაზრებთან და ამ მდებარეობასთან შეუთავსებელ ცხოვრების გაძვირებას (ამხფ, ფონ. 4, საქ. 372: 62). ხოლო გაზეთი „საქართველო“ იუწყებოდა, რომ: „შავი ზღვის სანაპიროზე თავისი მდებარეობით ბათუმი წარმოადგენს ჭიშკარს არა მარტო ამიერკავკასიაში შესასვლელად, არამედ სპარსეთსა და ცენტრალურ აზიაში. საქართველოსათვის ბათუმი კი „სახლის გასადგობია“... კურიოზულია ის გარემოება, რომ ბათუმში ცხოვრება უფრო ძვირია ვიდრე თბილისში. თუმცა პირველი თავისი მდებარეობით მსოფლიო ვაჭრობა-მრეწველობასთან უფრო ახლოს არის“ (გაზ. „საქართველო“, 1919, №7). იგივე გაზეთი ბათუმის მუშების შესახებ წერდა, რომ: „მშვიერ-მწყურვალნი არიან დარჩენილნი და დახმარებას ითხოვენ“. ინგლისელმა ოკუპანტებმა აუკრძალა გლეხებს ბათუმის ბაზარზე სურსათის გატანა, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა სიტუაცია. გაზეთი „საქართველო“ გულისტკივილით აღნიშნავდა „ამ ბოლო დროს ბათუმის ქუჩებში ხშირათ შეხედებით შიმშილისაგან გულმეწუხებულ ხალხს. ქალაქის საავადმყოფოში ამგვარ ავადმყოფთა რიცხვი მატულობს“ (გაზ. „საქართველო“, 1919, №19). მძიმე ეკონომი-

კური მდგომარეობით და ინგლისელთა საოკუპაციო რეჟიმით შეწუხებული ბათუმის მოსახლეობა საბრძოლველად განეწყო მათ წინააღმდეგ. ამას ისიც დაემატა, რომ 1919 წლის 5 სექტემბერს ინგლისელებმა ბათუმში გამოაცხადეს საალყო მდგომარეობა (**ამხფ, ფონ. 4, საქ. 372: 72**). ამის საპასუხოდ, ბათუმში არალეგალურ კომიტეტთან არსებულმა მებრძოლმა რაზმმა „სოხუმში გაგზავნეს – გუბელი, ბელენკი და ჩაკალოზიანი „ჯოჯოხეთური“ მანქანისა და ფეთქებადი ნივთიერების შესაძენად. ეს მანქანა ბათუმში ანასტასიადის ბინაზე ინახებოდა. ამფეთქებელთა ჯგუფმა კ. ბერძენიშვილის, ვ. ჩანგისშვილის, პ. ნოდისა და ა. დუმბადის და (სხვათა ხელმძღვანელობით) ააფეთქეს (ინგლისელთა – გ.კ.) გემი, რომელსაც თეთრგვარდიელებისათვის საომარი და საწვავი მასალა უნდა მიეწოდებინა“ (**იქვე: 72**). ეს, 1919 წლის აჯანყება, შეთქმულთათვის ბოლომდე სასურველი შედეგით არ დასრულდა იმის გამო, რომ ამ შეთქმულების ორგანიზატორები წინა დღით იქნა დაპატიმრებული.

საერთაშორისო ვითარება არც ინგლისელთათვის იყო სახარბიელო, აშკარა იყო, რომ რუსეთში სამოქალაქო ომიდან გამარჯვებული გამოვიდოდნენ ბოლშევიკები, რომელთაც თვალი ეჭირათ ამიერკავკასიაზე. ამიტომაც, ინგლისელები შიშობდნენ ბათუმის დაკარგვას. 1920 წლის 29 თებერვალს, ბათუმის კრიზისის გადასაწყვეტად, გადაწყვიტეს ქალაქი პორტოფრანკოდ (თავისუფალ ქალაქად) გამოეცხადებინათ (**იქვე: 74**). ამ ქმედებით ინგლისი ცდილობდა ბათუმის ექსპლუატაციაში შეხედულება არ ჰქონოდა. ბათუმის პორტოფრანკოდ გამოცხადების გადაწყვეტილებამ მთელ საქართველოში დიდი აღშფოთება გამოიწვია. მარტის თვეში საქართველოს თითქმის ყველა სოფელსა და ქალაქში მოეწყო საპროტესტო მიტინგები. საქართველოს მთავრობამ დაგმო ინგლისელთა ეს ქმედება პრესის ფურცლებიდან და საპროტესტო ნოტებით მიმართა ანტანტის სახელმწიფოების და და ვეროპის სხვა ქვეყნების პარლამენტებს (**სცსსა, ფონ. 1833, საქ. 772**).

1920 წლის დასაწყისში რუსეთში სამოქალაქო ომი დასასრულს მიუახლოვდა. იმავე წლის აპრილში კი საბჭოთა რუსეთმა ახერბაიჯანი დაიპყრო. ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ინგლისელებმა გააძლიერეს ბათუმიდან კონსტანტინეპოლსა და ყირიმში ფასეულობების, ნავთის პროდუქტებისა და სურსათის გატანა. ამან კიდევ უფრო დაამძიმა ბათუმის სოციალური და ეკონომიკური სურათი. სპეკულაციამ და სიძვირემ ქალაქელთა მდგომარეობა საერთოდ გააუარესა. სწორედ ამის შემდეგ ბრძოლა ბათუმისათვის ინგლისელი ოკუპანტების წინააღმდეგ ახალ ფაზაში შევიდა. ვრანგელი-სათვის იარაღისა და საომარი მასალის მიწოდებისათვის ინგლისელთა ხელის შესაშლელად ამფეთქებელთა ჯგუფმა გააძლიერა მუშაობა და თვით ბათუმში მოაწყო სახელოსნო, სადაც ამზადებდნენ „ჯოჯო-

ხეთურ“ მანქანასა და ასაფეთქებელ ნივთიერებებს. პირველად ააფეთქეს გემი „ვოზრაჟდენიე“, მაგრამ მასში მოთავსებული ფეთქებადი ნივთიერებების აფეთქება ვერ მოახერხეს (იქვე: 78). 1920 წლის 23 აპრილს კი მათ ააფეთქეს კინტრიშის რკინიგზის ხიდი, რამაც შეუძლებელი გახადა რამდენიმე დღით მატარებელთა მოძრაობა და ნავთსადენის მოქმედება. 28 აპრილს კი ბაქო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო და ინგლისელებმა სამუდამოდ დაკარგეს ბაქოს ნავთობი.

1920 წლის 30 აპრილს ბათუმში ერისთავის ქუჩაზე ვინმე სერგო გუბელის ხელმძღვანელობით მოკლეს გენერალი ლიახოვი, რომელიც ვრანგელისათვის ბათუმის ოლქში სამხედრო ნაწილებს ქმნიდა და ყირიმში აგზავნიდა. გუბელი ინგლისელებმა დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. მას უსათუოდ ელოდა დახვერტა, მაგრამ, ბათუმში, აზიზიეს მოედანზე გაიმართა დიდი მიტინგი, რამაც აიძულა სამხედრო გენერალ-გუბერნატორი გუბელი თავდებით გამოეშვა, რომელმაც აზიზიეს მოედანზე მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა. ხალხმა გუბელი ბათუმიდან გააპარა (იქვე: 79).

საბოლოოდ, 1920 წლის 7 ივლისს, ინგლისის ჯარმა დატოვა ბათუმის ოლქი (სდსინ, III, 2008: 498). ეს, პირველ რიგში, განპირობებული იყო საერთაშორისო ვითარებით, საბჭოთა რუსეთის გაძლიერებით. ინგლისელები მიხედნენ, რომ მოსკოვი ამიერკავკასიას და მის „მარგალიტს“ – ბათუმს არავის დაუთმობდა და მოერიდნენ მასთან ურთიერთობის გაფუჭებას. თუმცა, ინგლისელი ოკუპანტების წინააღმდეგ ბათუმისათვის ბრძოლაში თავისი წვლილი შეიტანეს საკუთრივ ქალაქელებმაც. ამრიგად, საქართველოს ისტორიის ფურცლებს მიემატა დამოუკიდებლობისათვის თავდაუზოგავ მებრძოლთა და გმირთა კიდევ ერთი თავდადების მაგალითი.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

სცსსა, ფონ. 1833, საქ. 772 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, საქმე 772.

ამხფ, ფონ. 2, საქ. 87 – აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწრთა ფონდი, ფონდი 2, საქმე 87.

ამხფ, ფონ. 4, საქ. 372.

გაზ. „ერთობა“, 1919, №96.

გაზ. „საქართველო“, 1919, №7.

გაზ. „საქართველო“, 1919, №19.

ტაბაღუა, 1989: – ტაბაღუა ი., საქართველო და ევროპის სახელმწიფოები (1918-1921), – გაზ. „თბილისი“, 1989, 12 ივლისი.

სდსინ, III, 2008: – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი.

**სურგულაძე, 1972:** – სურგულაძე ა., საქართველოს მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა – კრ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, თბილისი.

**ცუხიშვილი, 1995:** – ცუხიშვილი რ., ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921წწ., თბილისი.

**История дипломатии, 1945:** – История дипломатии, т. 3, Москва.

**Guguli Kukuladze  
(Batumi, Georgia)**

### **The Struggle for Batumi Against English Occupants in 1919-1920**

#### **Summary**

This article deals with the years 1919-1920, after the Treaty of Mudrosi, in the current situation. The complexity of the occupation regime of England and dedicated fight of townsmans against them.

Archival materials show that the illegal militant detachment existed in illegal committee sent a group to buy „infernall” cars and explosives. Later, they arranged the storing workshop of explosives in Batumi. Firat They blew the English ship, which supply combustibile materials for white guards for the war. And then blew up -„, Vozrazhdenie ship ", and then - Kintrishi railway bridge, which made it impossible trains movement for a few of days.

Finally, on July 7, 1920, British troops left the Batumi. It is primarily resulting from the international situation, but in the fight for Batumi against the British occupiers townsmans brought in their mite.

## ბათუმი რუსული ოჯახის პირველი წლები (1921-1922 წწ.)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა 1921 წლის 17 მარტს ბათუმიდან იძულებით გაემგზავრა ემიგრაციაში, რათა ევროპის სახელმწიფოები ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინა და უცხოეთიდან განეგრძო ბრძოლა დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად [მანველიშვილი, 1984:326]. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა ნოე ჟორდანიამ ბათუმიდან გააკეთა მიმართვა და მოუწოდა ქართველ ხალხს – არ შეესრულებინათ ძალადობრივი გზით მოსული ბოლშევიკური მთავრობის განკარგულებები, რადგან ის „ერთადერთი კანონიერი მთავრობაა, რომელიც მიდის საზღვარგარეთ და მას უნდა დამორჩილებოდნენ“ [შსს არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 196, ფურც. 22].

ბოლშევიკური ხელისუფლებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმს, როგორც სატრანზიტო დერეფანს. რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია, გარკვეულწილად ბათუმის ხელში ჩაგდების სურვილით მოხდა, რადგან იგი ბაქოს ნავთობკომპანიებთან დამაკავშირებელი ხიდი იყო. 1922 წლის 2-5 აპრილს, ბერლინში, სოციალისტური ინტერნაციონალის გაერთიანებულ სხდომაზე, ბოლშევიკების წარმომადგენელმა რადეკმა, მოურიდებლად განაცხადა, რომ საქართველოს დაპყრობა ნავთის გამო მოხდა, რადგან „საქართველო არის გზა და კარები ნავთისაკენ და ჩვენ ეს გვჭირდებოდა“ [ნოზაძე, 1928:5]. ბათუმის ბაქოსთან დამაკავშირებელ გზას, ასევე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ევროპელი პოლიტიკოსები [Afanasyan, 1981: 93].

ემიგრაციაში წასვლის წინ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა ნოე ჟორდანიამ ბათუმში ხელისუფლება ქალაქის თვითმმართველობას გადასცა. 1921 წლის 17-18 მარტს, ქალაქ ბათუმის და მისი ოლქის დროებითი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი შეიქმნა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: სერგო ქავთარაძე, მაღაქია ტორღშელიძე, დავით მახარაძე [თურმანიძე, 2012:38].

1921 წლის 18 მარტს, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტის საფუძველზე, აჭარა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ, აჭარის ასსრ საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევამდე, აჭარის მეჯ-

ლისი გამოაცხადეს [თოიბე, 1999:85]. 1921 წლის 20 მარტს ბოლშევიკ სერგო ქავთარაძის თავმჯდომარეობით ბათუმის რეველომი ჩამოყალიბდა (1921 წლის 2 მაისს რეველომის გადაწყვეტილებით, ს. ქავთარაძე ბათუმიდან თბილისში გადაიყვანეს და მისი ადგილი ამხანაგმა კანდელაკმა დაიკავა [შსს არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 17, ფურც. 18]).

1921 წლის მარტის ბოლოს, სერგო ორჯონიკიძის რეკომენდაციით, შეიქმნა „ბანდიტიზმის, საბოტაჟის და სხვა კონტრრევოლუციურ გამოვლინებათა წინააღმდეგ მებრძოლი ბათუმის საგანგებო კომისია“, რომლის ხელმძღვანელად გიორგი ქავთარაძე დაინიშნა.

საქართველოს საგანგებო კომისიის („ჩეკა“) საიდუმლო მოხსენებების თანახმად, რომელშიც აღწერილია ბათუმში არსებული ვითარება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ერთი წლის თავზე, აღნიშნულია, რომ თებერვლის პირველ რიცხვებში თურქული ლირის კურსის მკვეთრი ნახტომისებური ზრდის და რუსული ფულის კურსის დაცემის გამო, ბათუმის მოსახლეობის განწყობა უაღრესად დაძაბული იყო. ყველაფერმა ამან უკმაყოფილება გამოიწვია არა მარტო წითელარმიელებს, არამედ მუშებსა და მოსამსახურეებს შორის. ანგარიშსწორება მხოლოდ თურქული ლირებით ხდებოდა, რომლის კურსითი თქმის საათობრივად იზრდებოდა, შესაბამისად, ფასები მატულობდა პირველადი მოხმარების საგნებზეც. ლირის კურსის ზრდა ძირითადად იმით აიხსნებოდა, რომ კოოპერატორები პროდუქტებს ოსმალეთში ლირებზე ყიდულობდნენ. ბათუმში არსებულ სიტუაციაზე ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია: „ბოლო პერიოდში ლირის კურსი დაეცა, მაგრამ კვლავ არ წყდება ბაზარზე ოქროს შესყიდვა, გაყიდვა და საზღვარგარეთ გატანა, თუმცა უკვე მცირე რაოდენობით, მიღებული ზომების შედეგად... მილიცია აგრძელებს თავის სამარცხვინო მოქმედებას, რაზეც თვალს ხუჭავს ბათუმის მილიციის უფროსი, რომელიც თავის მხრივ, განუწყვეტლივ ლოთობს. გარდა ამისა ანტისაბჭოთა ელემენტები, იყენებენ რა რუსული ფულის კურსის დაცემის ფაქტს და არსებულ სიძვირეს, ბათუმში გამუდმებით აგრძელებენ პროვოკაციული ჭორების გაერცელებას. მსგავსი ჭორები, რაღა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის განწყობაზე, რომელიც ძირითადად მუშებისგან შედგება... მუშებისა და მოსამსახურეების განწყობა მშვიდია. მათი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიისადმი კვლავ უნდობლობაში გამოიხატება. ამის მიზეზია სიძვირე და პირვალადი მოთხოვნების საგნებზე მაღალი ფასები, ასევე, შტატების შემცირების გამო, სამუშაო ადგილების დაკარგვის შიში, რაც ბათუმის მუშებსა და მოსამსახურეებს აიძულებს იმუშაონ, არა სინდისის მიხედვით, არამედ შიშის გამო, რაც ძალიან უარყოფითად აისახება შრომის ნაყოფიერებაზე. არმიაში მოსახლეობის მობილიზაციის გამო, უკმაყოფილება და ჯარში სამსახურ-

რის სურვილის არქონა შეინიშნება. ბათუმში თურქული სადაზვერვო ქსელი ძალიან კარგადაა განვითარებული, რომლის ცენტრსაც ბათუმში თურქეთის საკონსულო წარმომადგენს. ქალაქში, ასევე, არსებობს თეთრგვარდიელ ოფიცერთა ორგანიზაცია, რომელსაც კავშირი აქვს კონსტანტინოპოლთან, პარიზთან, ყუბანთან და დონის ოლქთან. ოქროსა და სხვა ძვირფაეულობის საზღვარგარეთ გატანამ ფართო მასშტაბებს მიაღწია. ბაზარზე ფასები მკვეთრ ცვლილებებს განიცდის. ხდება იარაღის საკმაოდ თავისუფალი გატანა ოსმალეთში. ეს ხორციელდება გარკვეულად ჩამოყალიბებული წესით: ოსმალეთიდან ნაგებობით შემოაქვთ კონტრაბანდა, რომელსაც შემდეგში იარაღზე ცვლიან. ამ პროცესს ხშირად ხელს უწყობს მილიცია, სისხლისსამართლებრივი ორგანოები და საბაჟო, რომელთა თანამშრომლები უაღრესად არასანდონი არიან. ქურდობა და ბანდიტიზმი გრძელდება, როგორც ბათუმში, ისე მის შემოგარენში. მისი აღკვეთა შესაძლებელია, მხოლოდ, მილიციასა და სამართალდამცავ ორგანოებში დაუნდობელი წმენდის ჩატარების შედეგად, რომლებიც ხშირად ბანდიტების თანამზრახველები არიან [შსს არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 212, ფურც. 1].

ცენტრალური სადაზვერვო კომისია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ბათუმის მოსახლეობის განწყობას და სასტიკად ახშობდა ანტისაბჭოთა გამოსვლებს. ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი თავმოყრილი იყო ბათუმიდან 250 კმ-ით დაშორებულ ქალაქ ტრაპიზონში. ოსმალეთში მყოფ სოციალ-დემოკრატებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ბათუმელ თანაპარტიელებთან და აქტიურად ეხმარებოდნენ მათ ანტისაბჭოთა მუშაობის წარმართვაში. უცხოეთში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საზღვარგარეთიდან განაგრძობდა ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. მათი მოქმედების გეგმები იოლად აღწევდა საზღვრისპირა ბათუმშიც, რაც საბჭოთა ხელისუფლების შემფოთებას იწვევდა. ერთ-ერთ საიდუმლო დოკუმენტში ვკითხულობთ: „გენუის კონფერენციის გახსნის წინ, ბათუმში ვრცელდებოდა ჭორები. თავი წამოყო ანტისაბჭოთა ელემენტებმა, გავრცელდა უაზრო ჭორები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, შავი ზღვის ნაპირებზე ვრანგელის დესანტის გადმოსხმის, რომანოვების დაბრუნების და სხვათა შესახებ... ბათუმის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დაკავებულია კომერციით, სპეკულაციით, კაფე-რესტორნებში მუშაობით. მოსახლეობის ამ ნაწილს (ბურჟუაზია, სპეკულიანტები, შუამავლები) საერთოდ არ აინტერესებს პოლიტიკა და მხოლოდ ვიწრო ინტერესებით ცხოვრობს. გაფიცვებსა და დემონსტრაციებს ბოლო პერიოდში ადგილი არ ჰქონია, თუ არ ჩავთვლით გარკვეულ მოძრაობას მუშათა შორის, რაც დაკავშირებული იყო ხელფასის დროულად არგაცემას-

თან. ქალაქში ქურდობა მძვინვარებს. ეკონომიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია“ **[შსს არქივი, ფ. 14, აღ.1, ს. 212, ფურც. 115]**.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ანტისაბჭოთა პარტიებმა აქტიური ბრძოლა გააჩაღეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმმა არაერთი სხდომა ჩაატარა, სადაც შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებები კონტრრევოლუციონერთა გასანადგურებლად. ანტისაბჭოთა ორგანიზაციების მოღვაწეობა აიკრძალა ფაბრიკა-ქარხნებში, სამხედრო ნაწილებში, დაწესებულებებში, ასევე, სამაზრო ცენტრებში. მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატებმა 1922 წლის 11 თებერვალს ბათუმის მოსწავლეთა დემონსტრაცია მოაწვეეს.

საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან არსებული საშინელი ტერორის მიუხედავად, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ოკუპაციიდან ერთი წლის თავზე, საქართველოს ყველა კუთხეში აღნიშნეს. ღონისძიების ჩაშლის მიზნით, საბჭოთა ხელისუფლებამ საგანგებო ზომები მიიღო. 20 მაისიდან ბათუმში მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო. მიუხედავად ამისა, 24 მაისს, დილიდან, ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის წინ ხალხი შეიკრიბა. ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტის მიხედვით: „...გაიშალა ეროვნული და შავი დროშები. გაისმა „დიდების“ მწყობრი გალობა. „საქართველო არ მომკვდარა. ქართველი ხალხი დაამტკრევეს მონობის უღელს“, გაისმის ორატორის მოწოდება. მიტინგის წინააღმდეგ მიმართეს კომუნისტებმა მთელი თავისი ძალა. ესროლეთ, ესროლეთ, – ყვირის ჩეკისტი ასათიანი და ორატორზე უთითებს, მაგრამ სროლას ვერავინ ბედავს. ხალხი დაიძრა ძმათა სასაფლაოსკენ, მოიყვანეს მეზღვაურთა რაზმიც. მთელი ბათუმის შეიარაღებული რაზმი აქ არის. გაისმის სროლა. ისერიან ჰაერში. ხალხი მაინც მიდის. ქუჩებს კრავენ, გზა აღარ არის. დაერივნენ დემონსტრანტებს. ბევრია ნაცემი, მათ შორის ქალებიც. ხალხი გაფანტეს. იქვე დაატყვევეს 350 კაცი, მათ შორის ბევრი ქალია. დუქნები დაკეტილი იყო. დაწესებულებებში არც ერთი ქართველი არ გამოცხადებულა. ფოსტაში ჯარი იდგა. მთელი 3 დღის განმავლობაში გაფიცვა გაგრძელდა“ **[შსს არქივი, (1), ფონდი №6, ს. 22254]**.

რუსული ოკუპაციის პერიოდში, ბათუმში 2560 სული ბერძენი ცხოვრობდა. მათ განცხადებით მიმართეს საბჭოთა ხელისუფლებას, რომ ისინი იყვნენ ანატოლიელი ბერძნები, ძირითადად გლეხები, რომლებმაც 1918 წელს მიატოვეს უძრავ-მოძრავი ქონება და ფიზიკური გადარჩენის მიზნით, ყარსის ოლქიდან გაქცევით უშველეს თავს, დროებით ჩრდილო კავკასიის ოლქში ჩასახლდნენ, სადაც თავიანთ არსებობას მიწისა და მუდმივი საცხოვრებლის გარეშე აგრძელებდნენ უკეთესი დროების მოლოდინში. მათ განცხადებით მიმართეს საბჭოთა ხელისუფლებას და ბათუმში ითხოვდნენ მიწების გამოყოფას, რათა

სრულფასოვან მოქალაქეებად ეგრძნოთ თავი **[შსს არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 192, ფურც. 276].**

1921 წლის დეკემბერში, ბათუმის რეგკომის გადაწყვეტილებით, უცხოეთის პასპორტების გაცემა შეწყდა, რამაც სავაჭრო ცხოვრების პარალიზება გამოიწვია საქართველოს ისეთ მსხვილ სამრეწველო საპორტო ქალაქში, როგორც ბათუმი. საჭირო გახდა ადგილობრივი ბიუროს ორგანიზება. ამის გამო, ბათუმში არსებული უცხოეთის საკონსულოების წარმომადგენლებმა ოფიციალური წერილით მიმართეს საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს, რათა ბათუმში მყოფ უცხოელებს შეფერხება არ ჰქონოდათ საზღვარგარეთის პასპორტებთან დაკავშირებით, რადგან ზამთრის ცივ დღეებში, მათთვის რთული იყო თბილისში გამგზავრება. წერილს ხელს აწერდნენ: ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების კონსული იბრაჰიმ ალი ბეი, სპარსეთის კონსული ისახან ბახრამი, იტალიის საკონსულოს აგენტი ტუბი, გერმანიის საკონსულოს აგენტი კორნელსონი, ასევე, დანიის, ესპანეთის, ლიტვის, ნიდერლანდების, შვეციის, შვეიცარიის და ესტონეთის საკონსულოს კოლეგიის წევრები **[შსს არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 192, ფურც. 76-82].** უცხოელი კონსულების წერილის გამო, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა, 1922 წლის 4 იანვარს, თბილისიდან შემდეგი ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს ბათუმის რეგკომის სამმართველოს: „ბათუმის უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა გასული წლის 6 დეკემბერის დეკრეტით აღძრეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის წინაშე შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქ ბათუმში დაარსებული იქნას საქართველოდან წამსვლელთათვის მოწმობების და პასპორტების გამცემი განყოფილება იმ მოსაზრებით, რომ ბათუმში სავაჭროდ ჩამოსულ უცხოელთ, საქმის დამთავრების შემდეგ, საზღვარგარეთ დაბრუნებისთვის, თბილისში უხდებოდა ჩამოსვლა ნებართვის მისაღებად, რაც დროის დაკარგვის გარდა, ბინის და ტრანსპორტის დიდს უხერხულობას იწვევს. ვინაიდან ცენტრალური კომიტეტიდან, რომელსაც გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა წარსული ნოემბრის 26-ის №10217 დეკრეტით მიმართა ამ საკითხის თაობაზე, დღემდის კომისარიატს პასუხი არ მიუცია და ბათუმის უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები კი დაბეჯითებით ითხოვენ ზემოხსენებული განყოფილების დაარსებას ქალაქ ბათუმში; ამიტომ კომისარიატი, კომისრის დავალებით, გიგზავნით რა ამასთან ერთად ბათუმიდან მიღებულს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების დეკრეტების ასლებს და კომისარიატის ცენტრალური კომიტეტისადმი მიმართვის პირებს, გთხოვთ, ეს საქმე მოახსენოთ რეგკომის პრეზიდიუმს და გადაწყვეტილების შედეგი გვაცნობოთ“. წერილს ხელს აწერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის

დიპლომატიური განყოფილების გამგე ი. თუმანიშვილი [შსს არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 192, ფურც. 78].

საბჭოთა ხელისუფლება თვალყურს ადევნებდა ბათუმში ოსმალური ელემენტების გაძლიერებას და ცდილობდა ხელი შეეშალა მათთვის. ერთ-ერთ საიდუმლო დოკუმენტში აღნიშნულია: „ჩვენ გვემუქრება საშიშროება, ჩვენს გარშემო მყოფი პატარა სახელმწიფოებისგან, კერძოდ, ოსმალეთისგან. უნდა ვაღიაროთ, რომ ბათუმის ორგანიზაციამ ბევრი გააკეთა აღმოსავლეთზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით, როგორც ამას მრავალი დოკუმენტი ადასტურებს, ოსმალეთი ვერაფრით ვერ ურიგდება ბათუმთან განშორებას. ძველი მეჯლისის წევრები აქ ქემალისტების აგენტები იყვნენ. მეჯლისი სხვადასხვა ხერხებით ცდილობდა მოსახლეობის ყურადღების მიქცევას” [შსს არქივი, ფ. 14, აღ., 1, ს. 254, ფურც. 1].

ანტისაბჭოთა პარტიები, აჭარაში, ნახევრად ლეგალურ პირობებში იმყოფებოდნენ. მათი ძირითადი ნაწილი ბათუმის წარმოება-დაწესებულებებსა და ჯარის ნაწილებში იყვნენ თავმოყრილი, ეწეოდნენ ანტისაბჭოთა პროპაგანდას, გამოდიოდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის და სსრ კავშირის შექმნის, ასევე, აჭარის ავტონომიის წინააღმდეგ. ბათუმში, ასევე, იყო ცენტრი ქემალისტური პარტიის, რომელშიც ოსმალეთის მომხრე ალაბეგები და მუსლიმანური სამღვდლოების წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებული. ქემალისტური ორგანიზაცია განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში. ისინი გლეხებს მოუწოდებდნენ საბჭოთა ხელისუფლებისთვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ, რადგან ბოლშევიკები მათ ყველაფერს წაართმევდნენ, ასევე, დახურავდნენ მეჩეთებს. მათი ვარაუდით, აჭარაში მოსალოდნელი იყო ქემალის ჯარის შემოსვლა, რომელიც მოსახლეობას ბოლშევიკების უღლისგან დაიხსნიდა. მათ სურდათ აჭარისთვის ავტონომიის მიცემა, მხოლოდ ოსმალეთის ფარგლებში. 1922 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ქემალისტების წინააღმდეგ საგანგებო ზომები მიიღო: დააპატიმრა მეთაურები და პარტიის აქტივისტები. 1924 წელს მათი არსებობა, ფაქტობრივად, შეწყდა [სუიცა, ფ. 14, აღ. 1, ს. 976, ფურც. 548].

საარქივო დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებს მეტად რთულ პირობებში უხდებოდა ხელისუფლების მიერ მიღებული დადგენილებების განხორციელება. აღნიშნულმა რეჟიმმა მხოლოდ ტერორით და ძალისმიერი მეთოდებით შეძლო საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნება.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**თოიძე, 1999:** – თოიძე ლ., საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები), თბილისი.

**თურმანიძე, 2012:** – თურმანიძე ო., საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოება და პოლიტიკური ვითარება აჭარაში 1921 წელს, – წიგნში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა“, IV, ბათუმი.

**მანველიშვილი, 1984:** – მანველიშვილი ა., რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან ფრანცისკო.

**ნოზაძე, 1928:** – ნოზაძე ვ., სანავთო პოლიტიკა და კავკასია, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, №34, პარიზი.

**სუიცა, ფ. 14, აღ. 1, ს. 976** – საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 14, აღწერა 1, საქმე №97.

**შსს არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. –** შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა 1. საქმე №№ 17; 196; 212.

**შსს არქივი, (1), ფონდი №6, ს. 22254** – შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (1), ფონდი №6, საქმე №22254.

**Afanasyan, 1981:** – Afanasyan S., L' Arménie, L' Azerbaïdjan et la Géorgie de l' indépendance à l' instauration du pouvoir Soviétique 1917-1923“, éd., l' Harmattan, Paris.

**Lela Saralidze  
(Tbilisi, Georgia)**

### **Batumi in the first years of the Russian occupation (1921-1922)**

#### **Summary**

On the basis of the scientific analysis of the archive materials the life of Batumi, from the period of the Russian occupation, is shown in the work. It is underscored that the Soviet historiography deliberately was concealing the mood of the population in the occupied Georgia. Based of secret reports of the Soviet Extraordinary commission, which prohibited from the Soviet Government deliberately, is shown the real situation in the occupied Batumi. Also is discussed the economical and political crisis in Batumi from the period of the Russian occupation. Decisions taken by the Soviet government posed a threat to the existence of the Georgian state. Also is discussed the Soviet government's resolution, which hampered the work of foreign consulates in the occupied Batumi.

The Soviet authorities were exceptional cruelty against anti-soviet demonstrations. It is clear from the documents, that the representatives of the Soviet government, observe the mood of Batumi's population Genoa international conference period. In the conference informally participated one part of immigration policy from the Georgia's Democratic Republic. The immigration policy demanded the withdrawal of russian troops from Georgia. The population of Batumi had an expectation of restoration independence of Georgia. Batumi's population mood did not unnoticed for the Soviet leaderships.

The secret documents of the Soviet Extraordinary commission clearly show, it was difficult for the Soviet government to establish occupation regime in Batumi. The regime has only been able to maintain its own power by force and terror.

## ბათუმის ტრანსფორმაციის ქარხნის ისტორია

ბათუმის ტრანსფორმაციის ქარხანა დაარსდა 1958 წელს, რომელიც თავდაპირველად განთავსდა ტორფის ქარხნის ტერიტორიაზე, ბაგრატიონისა და ოძელაშვილის ქუჩების კვეთაში (ოძელაშვილის ქუჩა №20). მას გადაეცა ტორფის ქარხნის ორი პატარა შენობა. 1958-1974 წლებში საწარმოს ეწოდებოდა ელექტროხელსაწყო, ხოლო 1975 წლიდან ცნობილია ტრანსფორმაციის ქარხნის სახელწოდებით.

ქარხანა ნაჩქარევად გაიხსნა და პირველ წლებში სერიოზული სიძნელეები და პრობლემები არსებობდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებაში, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ათვისებაში. ბათუმის ტრანსპორტირების ქარხანა საბჭოთა კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს ექვემდებარებოდა. საკავშირო პროგრამის მიხედვით მას უნდა დაემზადებინა მცირე სიმძლავრისა და ძალური ტრანსფორმატორები, რომლებიც ფართოდ გამოიყენებოდა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში.

ბათუმში ტრანსფორმაციის ქარხნის დაარსების მიზანი იყო რეგიონში არსებული ჭარბი მუშახელის დასაქმება და შრომითი რესურსების გამოყენებით ქვეყნის ფინანსების საშემოსავლო ნაწილის გაზრდა. ქარხნის მშენებლობის პირველ წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული, საკადრო, ტექნიკური და ტექნოლოგიური სამუშაოები. ამ ამოცანების განხორციელებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ქარხნის ხელმძღვანელობის წვლილი.

ბათუმის ტრანსფორმაციის ქარხნის პირველ დირექტორად დაინიშნა გამოცდილი სამეურნეო მუშაკი შალვა სამსონის ძე ჭილაია. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა საწარმოს სტრუქტურული ერთეულები, ჩამოყალიბდა სამრეწველო-საწარმოო პერსონალი. 1976 წელს შ. ჭილაია შეცვალა აკაკი ჯიჯავაძემ, რომელიც ტრანსფორმაციის ქარხნის დირექტორი იყო 1988 წლის მარტამდე. 1988 წლის 14 მარტიდან 2010 წლამდე ბათუმის ტრანსფორმაციის ქარხნის დირექტორად მუშაობდა ომარ ჯიქიძე, რომელსაც რთულ პირობებში მოუხდა საწარმოს ხელმძღვანელობა.

ბათუმის ტრანსფორმაციის ქარხნის მშენებლობა, განვითარება და მოდერნიზება 1958 წლიდან მოყოლებული 1990 წლამდე გაგრძელდა. პირველი რიგის ორგანიზაციული, საკადრო და ტექნიკური

პრობლემები 1958-1960 წლებში გადაწყდა. თუ 1958 წელს ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის საერთო პერსონალი 14 კაცს ითვლიდა, 1959 წლის პირველი დეკემბრისათვის 191 ერთეული შეადგინა. მათ შორის იყო 145 მუშა, 24 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, 16 მოსამსახურე და სხვა. პირველ წლებში ქარხანაში, ფართის სივიწროვისა და მომუშავეთა სიმცირის გამო, მხოლოდ საწარმოო უბნები შეიქმნა. პირველი დაზგა-მოწყობილობანი და სხვა ინსტრუმენტები საბჭოთა კავშირის საწარმოებიდან მიიღეს და ადგილზე დაამონტაჟეს. 1959 წელს ქარხანაში ითვლებოდა 44 ლითონსაჭრელი ჩარხი და 12 ცალი სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობა, რაც არასაკმარისი იყო წარმოების გეგმის შესრულებისათვის. ქარხანას აკლდა ავტომატიზებული ჩარხები და მოწყობილობანი. საკავშირო გეგმის მიხედვით ქარხანას 1959 წელს უნდა დაემზადებინა 26000 ცალი სამრეწველო ტრანსფორმატორი („ლატრ 1“) და 20000 ცალი საყოფაცხოვრებო მოხმარებისა („ლატრ 2“). მაგრამ მასალების არასაკმარისი მოწოდებისა და დაზგა-მოწყობილობათა უკმარისობის გამო გეგმა ვერ შეასრულა. საყოფაცხოვრებო მომსახურების ტრანსფორმატორი საერთოდ ვერ აწარმოა, ხოლო სამრეწველო დანიშნულებისა („ლატრ 1“) მხოლოდ 7005 ცალი დამზადდა. საერთო პროდუქცია 116,4 ათას მანეთს უდრიდა (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს.8, ფურც. 1, 93, 99, 108; ს.15, ფურც. 1-2, 7; ს. 48, ფურც. 8ა).

ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის განვითარებაში ახალი ეტაპი 1960 წლიდან დაიწყო. მოთხოვნილება სამრეწველო და საყოფაცხოვრებო სახის ტრანსფორმატორებზე საკმაოდ მაღალი იყო. ამის გათვალისწინებით ელექტექნიკური მრეწველობის საკავშირო სამინისტრომ გააძლიერა ხელმძღვანელობა ქარხნისადმი. გაიზარდა წარმოების პროგრამა, დაფინანსება, ნედლეულითა და მაკომპლექტებელი მასალებით მომარაგება. განსაკუთრებული ყურადღების არეალში მოექცა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სამრეწველო ინტეგრირებისა და საკადრო საკითხები. საგულისხმოა, რომ ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანა ინტეგრირებული იყო საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რეგიონთან. ტექნოლოგიურ მოწყობილობას, მათ შორის აგრეგატებს, დეტალებს, ლითონის ხვეულს და სხვა სახის მასალას საკავშირო გეგმიანი განაწილებით აწვდიდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ურალის, უკრაინის, მოლდოვას, სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ბალტიისპირეთის და სხვა რეგიონების სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოები.

ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების ათვისებაში, სრულყოფასა და განახლებაში აქტიურად მონაწილეობდნენ საკავშირო და რესპუბლიკური ინსტიტუტები. მათ შორის აღსანიშნავია ზაპოროჟიეს ტრან-

სფორმატორმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლენინგრადის ელექტროტექნიკური წარმოების საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი, თბილისის, კიშინიოვისა და სხვა შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები. ქარხანაში სპეციალური ჯგუფი შეიქმნა, რომელიც დარგის სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებთან ნაყოფიერად მუშაობდა. ცხადია, შედეგიც თვალსაჩინო იყო.

საერთო და საწარმოო ფართის სიეწროვის გამო 1959-1960 წლებში ქარხანაში წარმოების პროცესი ნორმალურად არ მიმდინარეობდა. გამოყოფილი თანხები ძირითადად შენობათა კაპიტალურ რემონტსა და ინსტრუმენტების შექმნას მოხმარდა. ქარხანაში ამ დროისათვის 5 საწარმოო უბანი შეიქმნა: მექანიკურ-საწნეხი, საამწყობო, გაღვანური, ინსტრუმენტალური, პლასტმასის-საჩამომსხმელო. ქარხანაში შექმნილი იყო სარემონტო-სამშენებლო უბანიც

ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის საწარმო კორპუსებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობა 1960 წლიდან დაიწყო და 1990 წლამდე გაგრძელდა. ამ მიზნისათვის 1960-1970 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა ერთი მილიონ 26 ათასი მანეთი. 1965-1970 წლებში ქარხნის საწარმოო ფართი 4600 კვმ-დან 6139 კვმ-მდე გაიზარდა, სადაც განთავსდა ახალი დანადგარები და სხვა მოწყობილობანი. ამ წლებში ექსპლოატაციაში შევიდა ქარხნის ადმინისტრაციული შენობა, სასადილო, ბიბლიოთეკა მუშა-მოსამსახურეთა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ამ მიმართულებით მუშაობა მომდევნო წლებში კიდევ უფრო დიდი მასშტაბით გაგრძელდა. 1977 წლის 3 აპრილის ცნობით, ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის საერთო ფართი 12000 კვმ-დე გაიზარდა, სადაც შედარებით ნორმალურად განთავსებული იყო საამქროები, საწარმოო უბნები, კულტურის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის პუნქტები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებები.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამუშაო ადგილების საწარმოო და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები. ამ მიმართულებით არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სამედიცინო-სანიტარიული და ჯანდაცვის პუნქტების როლი, რომლებიც XX საუკუნის 70-იან წლებში გაიხსნა. 1985 წელს ექსპლოატაციაში შევიდა საბავშვო ბაღი, რომელიც მუშა-მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებლის პირველ სართულზე განთავსდა, კლუბის ახალი შენობა, გაფართოვდა ბიბლიოთეკა, სადაც წიგნების რაოდენობა 1973-1985 წლებში 13000 ეგზემპლარიდან 54069-მდე (4-ჯერ და მეტად) გაიზარდა (ანს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 857, ფურც. 18; ს. 1718, ფურც. 19).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის მშენებლობა და რეკონსტრუქცია დიდხანს გაიწელა. ამ საქმეს არაერთი თაობის შრომა მოხმარდა. ცხადია, წარმატებები მნიშვნელოვანი იყო. ამის მიუხედავად, მთელი რიგი პრობლემები მოწვევრიგებული არ იყო. 1980 წლის 2 ივნისს ქარხნის დირექტორი ა. ჯიჯავაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს ა.ბორიკს მოახსენებდა: საწარმოს ფართი არ პასუხობს მოთხოვნებს. არ არის ცენტრალური გათბობა, სანიაღვრო და ფეკალური წყლების კანალიზაცია, არასაკმარისია მუშა-მოსამსახურეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები. ამ პრობლემების გადასაჭრელად ელექტროტექნიკური მრეწველობის საკავშირო სამინისტრომ ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის რეკონსტრუქციისათვის 1983-1984 წლებში 3 მილიონიანი მანეთი გამოყო, რომლის ათვისების შედეგად პრობლემების ნაწილი გადაიჭრა. ქარხნის საერთო ფართი 5,2 ჰექტრამდე გაიზარდა. ექსპლოატაციაში შევიდა ძალური ტრანსფორმატორების კორპუსის, კლუბისა და მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლების შენობები (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 1289, ფურც. 3-4; ს. 1716, ფურც. 19).

ამავე დროს რესტრუქტურისაცია განიცადა ქარხნის საამქროებმა, უბნებმა, სამმართველო აპარატმა და სხვა დანაყოფებმა. გაფართოების შედეგად ზოგიერთი საწარმო უბანი საამქროდ გარდაიქმნა, განახლდა დაზგა-მოწყობილობანი და სხვა. XX საუკუნის 80-იან წლებში ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანაში ითვლებოდა 4 საამქრო: სატვიფრო-დამამზადებელი, 3 საამწყობო (№ 1, 2 და 3). სამი საამწყობო საამქრო იმიტომ შეიქმნა, რომ თითოეული მათგანი განსხვავებული პროგრამით მუშაობდა და სხვადასხვა სახის ტრანსფორმატორებს ამზადებდა. ამასთან, ქარხანაში 5 საწარმოო უბანი არსებობდა: გალვანური, მექანიკური, პლასტმასების, მაგნიტოსადენისა და სატარო.

ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განვითარების პარალელურად გაიზარდა წარმოება, საერთო და სამრეწველო-საწარმოო პერსონალი. 1975 წელს ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანასთან გაერთიანდა გელათის ანალოგიური საწარმო. ამ გაერთიანების პირობებში ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანა სათავო საწარმოდ ითვლებოდა, რომელსაც სათავეში ედგა გენერალური დირექტორი. მას ჰყავდა მოადგილეები. ჯერ კიდევ 1959-1960 წლებში შეიქმნა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებები. ელექტრო-ტექნიკური მრეწველობის საკავშირო სამინისტროს 1986 წლის 4 ივლისის ბრძანებით ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანა გაერთიან-

და თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანასთან, მაგრამ ფინანსური დამოუკიდებლობა შენარჩუნებული ჰქონდა.

ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რეგიონის შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების, ტრანსფორმატორებზე საშინაო და საგარეო მოთხოვნილების დაკმაყოფილების, სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაზრდაში. ამ მიმართულებით ქარხნის წვლილი განუწყვეტელი იზრდებოდა. ქარხნის ამოქმედების მეორე წელს (1960) საწარმოში დასაქმებული საერთო პერსონალი 246 კაცს, 1970 წელს-803, 1980 წელს-982, 1985 წელს – 1184-მდე გაიზარდა. ქარხანაში მომუშავეთა ძირითადი ბირთვი იყო სამრეწველო-საწარმოო პერსონალი, რომელთა რიცხვში შედიოდა: მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები, და მოსწავლეები (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 48, ფურც. 34; ს. 708, ფურც. 28; ს. 1346, ფურც. 18; ს. 1665, ფურც. 35).

ცხადია, მომუშავეთა აბსოლუტურ უმრავლესობას მუშები შეადგენდნენ, რომელთა ხვედრითი წილი 1960-1987 წლებში 72,8%-დან 79,5%-მდე აღწევდა. ქარხანაში მუშების სამი კატეგორია იყო: სანარდოდ მომუშავენი, დროებითი ანაზღაურებისა და დამხმარე. მათ შორის ძირითადი იყო სანარდოდ მომუშავენი. მუშების ამ კატეგორიაში შედიოდა ზეინკლები, ხარატები, ინსტრუმენტალისტები, ელექტროშემდუღებლები, ამწყობნი, მტვიფრავები და სხვები. ისინი იყვნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთა მომზადებასა და დაოსტატებას წლები დასჭირდა. ამისათვის ქარხანაში მოქმედებდა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, გამოიყენებოდა ბრიგადული და ინდივიდუალური სწავლების ფორმაც. მუშების ნაწილმა კვალიფიკაცია აიმაღლა საბჭოთა კავშირის შესაბამის სამრეწველო ცენტრებში. მაგალითად, 1958 წელს, მოსკოვში კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაიგზავნა 12 კაცი (10 ახალგაზრდა მუშა და 2 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი). 50 კაცი ადგილზე მოამზადეს ინდივიდუალური სწავლების ფორმით. 1960 წელს მოამზადეს 250 სპეციალისტი (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 15, ფურც. 5; ს. 96, ფურც. 69).

მუშათა ახალი კადრების მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება განუწყვეტლივ მიმდინარეობდა, რაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ კადრების მაღალი დენადობით, ხოლო მეორეს მხრივ, ახალი პროდუქციის, ტექნიკისა და ტექნოლოგიების ათვისებით. მაგალითად, 1970 წელს მოამზადეს 161 მუშა, ხოლო კვალიფიკაცია აიმაღლა 153 კაცმა (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 708, ფურც. 77). 1980 წელს ამ მახასიათებელმა შესაბამისი თანმიმდევრობით შეადგინა 255 და 259, ხოლო 1985 წელს – 142 და 118 ერთეული (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 708, ფურც. 77; ს. 1346, ფურც. 18; ს. 1716, ფურც. 21). ქარხანაში ნაყოფიერად მუშაობდა მეორე პროფესიის შემსწავლელი სკოლა. მუშე-

ბის დიდი ნაწილი თანრიგოსანი იყო. 1980 წლისათვის მაღალი კვალიფიკაცია (IV-VI თანრიგი) მინიჭებული ჰქონდა ნარდად მომუშავე მუშების თითქმის ნახევარს (47%) (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 1293, ფურც. 17). ასევე ქარხანას ემსახურებოდა მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რომელთა რაოდენობა 1960 წელს 27-დან 1970 წელს 104, 1980 წელს – 152, 1985 წელს – 200-მდე (199) გაიზარდა (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 930, ფურც. 15; ს. 1662, ფურც. 2). ისინი დასაქმებული იყვნენ ქარხნის განყოფილებებში, საამქროებში, საწარმოო უბნებსა და სამმართველო აპარატში.

ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის (1975 წლიდან გაერთიანების) კოლექტივმა დაარსებიდან მოკიდებული წარმატებით აითვისა სახელმწიფო პროგრამის – ტრანსფორმატორების, სხვა სახის პროდუქციის წარმოება. მართალია, ქარხნის ძირითადი ამოცანა ტრანსფორმატორების გამოშვება იყო, მაგრამ საყოფაცხოვრებო საქონლის წარმოებაც დაიგეგმა. ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის 1960 წლის საწარმოო პროგრამა ითვალისწინებდა ოთხი სახის პროდუქციის გამოშვებას: მცირე სიმძლავრის ტრანსფორმატორების („ლატრ 1“ და „ლატრ 2“), მტვერსასრუტისა და ვენტილატორის. მცირე სიმძლავრის ტრანსფორმატორების წარმოების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. დაამზადა 75407 ცალი, ხოლო მტვერსასრუტი და ვენტილატორი საერთოდ ვერ აწარმოა, რადგან თბილისის შესაბამისმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა და ქარხანა „მიკროძრავამ“ დროულად არ მიაწოდეს ტექნიკური დოკუმენტაცია და ტექნიკური აღჭურვილობა (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 48, ფურც. 8<sup>ა</sup>); ს. 96, ფურც. 69-70).

მომდევნო წლებში განხორციელდა ორგანიზაციული, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის ღონისძიებები ქარხნის წარმადობის გაზრდის, პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების, ხარისხის გაუმჯობესებისათვის. 1962 წლის ბოლოს ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანაში 189 ტექნიკური მოწყობილობა ითვლებოდა, რომელიც აკმაყოფილებდა მაშინდელ მოთხოვნებს. პროგრამით გათვალისწინებული 10 დასახლების პროდუქტიდან დაამზადა 9. ქარხანამ აწარმოა 8 სახის ტრანსფორმატორი, სულ 162025 ცალი. მათ შორის მცირე სიმძლავრის – 152 372 (87,7%). ამასთან, აწარმოა ორი სახის 34603 ცალი ვენტილატორი. მტვერსასრუტი ამჯერად ვერ გამოუშვა იმავე მიზეზის გამო (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 196, ფურც. 1-3).

ქარხანაში დაზგა-მოწყობილობათა, პროდუქციის განახლება და ახალი ნაწარმის ათვისება სისტემატურად მიმდინარეობდა. გასული საუკუნის 60-იან წლებში ათვისეს მტვერსასრუტების, ელექტრონათურებისა და ელექტრომოწყობილობათა წარმოება. 1967 წლისათვის ქარხანა 23 დასახლების პროდუქციას ამზადებდა. მათ შორის მცირე სიმძლავრის რამდენიმე სახის ტრანსფორმატორს (ასს ცსა, ფ. რ-535,

ან. 1, ს. 507, ფურც. 45). 1970 წლისათვის ქარხანამ დაამზადა 141, 5 ათასი ცალი მცირე სიმძლავრის ტრანსფორმატორი, 1940 ათასი მანეთის კულტსაყოფაცხოვრებო საქონელი და 4695 ათასი მანეთის ელექტრონათურების მოწყობილობა (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 708, ფურც. 72). 1973 წელს დაიწყო ძალური და სამფაზიანი ტრანსფორმატორების წარმოება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 29 მარტის დადგენილებით ქარხანა შეუდგა ბავშვის თვითმოვლის სერიულ წარმოებას. მაგრამ ქარხნისათვის იგი წამგებიანი გამოდგა, რადგან თვითღირებულება 19 მანეთს უდრიდა, ხოლო საბითუმო ფასი 9 მანეთამდე აღწევდა (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 1047, ფურც. 72). ქარხანამ 1980 წელს გამოუშვა 17 სახის პროდუქცია. პირველად აითვისეს მაღალი ძაბვის აპარატურის წარმოება. 1985 წლისათვის ქარხანა ამზადებდა 27 დასახელების პროდუქციას, მათ შორის 24 სახის ტრანსფორმატორს (11 მცირე სიმძლავრის, 9 ძალური, 3 ინსტრუმენტალური, ერთი დაზვის), მაღალი ძაბვის აპარატურას, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელს, მაგრამ ეს უკანასკნელი ქარხნის საწარმოო პროგრამის 0,9%-ს შეადგენდა (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს.1346, ფურც. 56, 64-65).

ამრიგად, ქარხნის ძირითადი პროდუქცია ტრანსფორმატორი იყო. 1980 წელს დაამზადეს 352218 ცალი მცირე სიმძლავრის და 28943 ცალი ძალური ტრანსფორმატორი. 105730 მანეთის საყოფაცხოვრებო მოხმარების საქონელი. 1985 წელს – მცირე სიმძლავრის ტრანსფორმატორი 417213 ცალი, ინსტრუმენტალური – 172 880, დაზვის-27 823, ძალური ტრანსფორმატორი 13 266 ცალი. გამოუშვა 1461 ათასი მანეთის მაღალი ძაბვის აპარატურა და 132 ათასი მანეთის კულტსაყოფაცხოვრებო საქონელი (ასს ცსა, ფ. 515, ან. 1, ს. 1662, ფურც. 2-3; ს. 1745, ფურც. 3-4).

ბათუმური წარმოების ტრანსფორმატორები საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რეგიონში იგზავნებოდა. იგი საზღვარგარეთის ქვეყნებშიც კარგად საღებოდა. მაღალი კონკურენტუნარიანობის გამო რეალიზაცია არ ჭირდა. 1965 წელს ბათუმური წარმოების ტრანსფორმატორი საზღვარგარეთის 29 ქვეყანაში, ხოლო 80-იან წლებში ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის 54 ქვეყანაში გაიგზავნა. მათ შორის გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, იტალიაში, ესპანეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, მაროკოში, თურქეთში, ეგვიპტეში, პაკისტანში, ჩილეში და სხვა ქვეყნებში (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 1662, ფურც. 17). საბჭოთა კავშირში ერთი ცალი მცირე სიმძლავრის ტრანსფორმატორის საბითუმო ფასი 5 მანეთი იყო, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყნებში 50 დოლარი ღირდა.

ქარხანა მაღალი ხარისხის პროდუქციას ამზადებდა. 1982-1984 წლებში პირველი ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წილი 83%-ს აღემატებოდა (ასს ცსა, ფ.რ-535, ან. 1, ს. 300ბ ფურც. 16; БП, 3, 1993:1). პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს მინიჭებული ჰქონდა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

მართალია, ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის პროდუქციის ნიმუშებს მოსკოვის, ლენინგრადის, ზაპოროჟიეს, თბილისის სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტებში ამუშავებდნენ. მაგრამ ბათუმის ქარხანაში მიმდინარეობდა მათი ტექნიკური სრულყოფა, ახალი აგრეგატების, კვანძების დეტალების შექმნა-გაუმჯობესება. ამ მიმართულებით ნაყოფიერი იყო ქარხნის საკონსტრუქტორო განყოფილების, სამეცნიერო-ტექნიკური, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საზოგადოებების საქმიანობა. მაგალითად, 1959-1960 წლებში ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანაში 27 რაციონალიზატორი და გამომგონებელი ითვლებოდა. მათ მიერ შემუშავებული რაციონალიზატორული წინადადებათა დანერგვის შედეგად მიიღეს 56 ათასი მანეთის მოგება (ასს ცსა, ფ. რ-394, ან. 1, ს. 12, ფურც. 179; ს. 37; ფურც. 36). მომდევნო წლებში ნოვატორთა შემოქმედებითი საქმიანობა გაიზარდა და ეკონომიკური ეფექტიანობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო. ასე, მაგალითად, 1967 წელს ქარხანაში 38 რაციონალიზატორი და გამომგონებელი მუშაობდა, რომლებმაც 63 რაციონალიზატორული წინადადება შეიმუშავეს. აქედან მიიღეს 62, ხოლო წარმოებაში დაინერგა 59. ეკონომიკურმა ეფექტიანობამ 453 ათასი მანეთი შეადგინა (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 507, ფურც. 52).

1966-1969 წლებში (სექტემბრამდე) რაციონალიზატორების შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტიანობა 1333,5 ათას მანეთს უდრიდა, ხოლო 1971-1973 წლებში – 269 ათასი მანეთი შეადგინა (ასს ცსა, ფ. რ-394, , ან. 1, ს. 81, ფურც.21-23; ს. 125, ფურც. 11-12). მეტნაკლებად ასე იყო მომდევნო წლებშიც. 1985 წელს 18 რაციონალიზატორული წინადადებაებიდან დაინერგა 13. ეკონომიკური ეფექტიანობა 204,2 ათას მანეთს უდრიდა (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს.1716, ფურც. 8).

XX საუკუნის 80-იან წლებში ქარხანაში რაციონალიზატორთა საქმიანობა შემცირდა. ტრანსფორმატორების ქარხნის პროფკავშირთა კონფერენციაზე (1985 წლის ივლისი) აღინიშნა: დაბალ დონეზე მიმდინარეობს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების მუშაობა. ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც ბოლო წლებში მიიღეს წარმოებაში, არ გამოირჩევიან შემოქმედებითი აქტიურობით (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 1718, ფურც. 18).

ქარხნის რაციონალიზატორთა შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დაზგა-მოწყობილობანი, პროდუქციის წარმოების ტექნოლოგია, შეიქმნა ნაკეთობათა ტექნიკური

კვანძები და დეტალები, შემცირდა ნედლეულის დანახარჯები და სხვა. თვალსაჩინო რაციონალიზატორები იყვნენ შ. ჭილაია, ა.ჯიჯავაძე, ვ. ვოდოლაუსკი, ნ. ფეოდორიდი, ა. სიმონიდი, შ. გოგინაიშვილი, ნ. ავალიანი, გ. ნეკიპელოვი, ს. შუბინი, ო. ვარშანიძე, ლ. გაბელაია, ვ. მანცი, ა. მილიუგინი და სხვები. ქარხნის რაციონალიზატორთა კომპლექსურმა ბრიგადამ (შ. ჭილაია, გ. ნეკიპელოვი, ს. შუბინი, ნ. ავალიანი) შექმნეს შექმნათი არმატურის ახალი მოწყობილობა, რითაც მნიშვნელოვნად შემცირდა ფერადი ლითონის (სპილენძის) დანახარჯი, გამარტივდა ნაკეთობა. წლიურმა ეკონომიამ 410 ათასი მანეთი შეადგინა (ასს ცსა, ფ. რ-394, ან. 1, ს. 86, ფურც. 57).

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ა. ჯიჯავაძის, ვ. ვოდოლაუსკის, ნ. ფეოდორიდის, ა. სიმონიდის ნოვატორული საქმიანობის შედეგები. 1963-1967 წლებში ა.ჯიჯავაძის წინადადებით შეიცვალა ტრანსფორმატორის აგრეგატის დამუხტვის, სახვევი კოჭის და მტვერსასრუტის კარკასის წარმოების ტექნოლოგია. ამ სიახლეთა ყოველწლიური ეკონომიკური სარგებელი 128730 მანეთს უდრიდა. ა. ჯიჯავაძეს მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება. ვ. ვოდოლაუსკის წინადადებით შეიცვალა ავტოტრანსფორმატორის კონსტრუქცია, გასაჟღენთი თხევადი მასალის დამზადების ტექნოლოგია. მან გამოიგონა მცირე გაბარიტის ნახევრადავტომატური სახვევი დაზგა, გაზარდა მისი სიჩქარე კინემატიკური სქემის გამოყენებით. მანვე შეიმუშავა შუქტექნიკის წარმოების მაღალეფექტიანი ხერხები და ა.შ. ვ. ვოდოლაუსკის მიერ 1964-1968 წლებში გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობა 180,5 ათას მანეთს შეადგენდა. ნ. ფეოდორიდის მიერ 1963-1969 წლებში ჩატარებული ნოვატორული საქმიანობით გაუმჯობესდა ტრანსფორმატორების კვანძები და დეტალები, შექმნათისა და მტვერსასრუტის წარმოების ტექნოლოგია. მტვერსასრუტზე ფოლადის მასალის კაპრონით შეცვლით შემცირდა ლითონის დანახარჯი და გაუმჯობესდა ნაკეთობა. წლიურმა ეკონომიკურმა მოგებამ 135,5 ათასი მანეთი შეადგინა. ნოვატორულ საქმიანობაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ა. სიმონიძმა. თვალსაჩინო მიღწევებისათვის ვ. ვოდოლაუსკის, ნ. ფეოდორიდს მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება, ხოლო ა. სიმონიდს – აჭარისა (ასს ცსა, ფ. რ-394, ან. 1, ს.88, ფურც. 35, 42-46).

ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანა რენტაბელური საწარმო იყო. 1960-1965 წლებში ქარხნის ძირითადი სამეურნეო-ფინანსური მახასიათებელი – საერთო პროდუქცია 673,5 ათასი მანეთიდან 3971 ათას მანეთამდე (6,2-ჯერ ) გაიზარდა (ასს ცსა, ფ.რ-535, ან. 1, ს. 48, ფურც. 8; ს. 300, ფურც. 8). სკკპ ცკ-ის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ქარხანაში დაიწყო ეკონომი-

კური რეფორმები. 1967 წლის პირველი სექტემბრიდან ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანა გადავიდა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულების ახალ სისტემაზე, რომლის დროსაც ძირითად სამეურნეო-ფინანსურ მახასიათებლად ითვლებოდა სასაქონლო პროდუქცია, რეალიზაცია, რენტაბელობა, მატერიალური დაინტერესება და სხვა ატრიბუტები. მაგრამ რეფორმა ბოლომდე თანმიმდევრულად ვერ განხორციელდა.

ქარხანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სასაქონლო პროდუქცია, რენტაბელობა. 1970 წელს ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანამ დაამზადა 7533 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია (ასს ცსა, ფ.რ-535, ან. 1, ს.708, ფურც. 24). იგი 11,5-ჯერ და მეტად აღემატებოდა 1960 წლის მაჩვენებელს, ხოლო ორჯერ – 1965 წლისას. 1980 წელს სასაქონლო პროდუქცია 11499 თას მანეთს, 1985 წელს – 15121 ათას, 1987 წელს – 18147 ათას, ხოლო 1988 წელს – 18773 მანეთს შეადგენდა (ასს ცსა, ფ.რ-535, ან. 1, ს. 1346, ფურც. 18; ს. 1745, ფურც. 2; ს. 1889, ფურც. 55; ს. 1971, ფურც. 1). ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანას ამ მახასიათებლის მიხედვით აჭარის სამრეწველო საწარმოებს შორის 1987 წელს მე-7 ადგილი ეკავა. მას უსწრებდა ბათუმის ნავთობ-გადამამუშავებელი, საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი, მანქანათსაშენი ქარხნები, ჩაის გადამწონი ფაბრიკა, სამკერვალო საწარმოო გაერთიანება და თამბაქოს საფერმენტაციო კომბინატი.

ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის მოგება 1965 წელს 750 ათასი მანეთიდან 1975 წელს 1185 ათას, 1985 წელს 1957 ათას, ხოლო 1987 წელს 2997 ათას მანეთამდე გაიზარდა. ერთი საწარმოს მაგალითზე ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. პროდუქციის დანახარჯი ერთ მანეთზე 81 კაპიკიდან 84 კაპიკამდე აღწევდა (ასს ცსა, ფ.რ-535, ან. 1, ს. 300, ფურც. 1; ს. 930, ფურც. 16; ს. 1745, ფურც. 2; ს. 1889, ფურც. 55). ქარხანაში დაცული იყო კანონი – პროდუქციის პირველი მოთხოვნისთანავე მიწოდების შესახებ და რეალიზაცია დამაკმაყოფილებელი იყო. ცხადია შეფერხებებიც არსებობდა, მაგრამ იგი არ იყო გამოწვეული ქარხნის კოლექტივის მიზეზით.

ქარხნის კოლექტივის ორგანიზაციაში, გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლაში თავის საქმეს აკეთებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებები: კომუნისტური პარტიის პირველადი ორგანიზაცია, კომკავშირის კომიტეტი, რომელთაც განთავისუფლებული (შტატისანი) აპარატი ხელმძღვანელობდა. აღსანიშნავია, რომ 1985 წლის ცნობით, ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანაში 452 მომუშავე 30 წლამდე ახლგაზრდა იყო და უმრავლესობა კომკავშირის რიგებში ირიცხებოდა (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 1655, ფურც. 32). პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო ხელისუფლების დასაყრდენ ძალას წარმოად-

გენდენ. მათი მეშვეობით ქარხანაში მიმდინარე პროცესებს მართავენ. დღევანდელი გადასახედიდან ქარხანაში პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ზედმეტი რგოლები იყო.

ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პროფესიული კავშირის საქარხნო კომიტეტი, რომელშიც გაერთიანებული იყო მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა. მაგალითად, 1972 წლის ოქტომბრისათვის პროფკავშირის წევრი იყო 608 მუშა მოსამსახურე (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 792, ფურც. 1). მომდევნო წლებში ქარხნის ყველა მუშა-მოსამსახურე პროფკავშირის წევრი იყო.

პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის დასაყრდენი ძალა იყო სამქროებისა და საწარმოო უბნების პირველადი ორგანიზაციები. პროფკავშირების საქარხნო კომიტეტი და ქარხნის ადმინისტრაცია ყოველწლიურად აფორმებდნენ კოლექტიურ ხელშეკრულებებს, რომელშიც მოცემული იყო ორმხრივი ვალდებულებები და მის შესრულებაზე მკაცრი კონტროლი ტარდებოდა.

პროფკავშირის საქარხნო კომიტეტი შეძლებისდაგვარად ასრულებდა თავის ფუნქციას: იცავდა მუშა-მოსამსახურეთა უფლებებს, ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-ტექნიკურ, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ორგანიზაციებს, კულტსაყოფაცხოვრებო და სოციალური დაცვის საკითხებს, ორგანიზაციას უწევდა შრომით მეტოქეობას და სხვა. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პროფკავშირის საქარხნო კომიტეტთან მოქმედებდა კომისიები: შრომის ნორმებისა და ხელფასის, საყოფაცხოვრებო, კულტმასობრივი მუშაობის, შრომის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, სოციალური დაზღვევის, იურიდიული და სხვა. ქარხნის პროფკავშირის კომიტეტთან არსებობდა ამხანაგური სასამართლო და ურთიერთდამხმარე სალარო. ამ უკანასკნელში გაერთიანებული იყო 121 კაცი და სალარო ეხმარებოდა მუშა-მოსამსახურეებს აუცილებლობის შემთხვევაში (ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. 972, ფურც. 10-18; 81-118; ს. 857, ფურც. 2-29; ს. 1716, ფურც. 13-25).

ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანა პერსპექტიული საწარმო იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოება ჯერ შემცირდა, ხოლო მოგვიანებით მთლიანად გაჩერდა. XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ქარხანა მთლიანად დაშალეს და დაზგა-მოწყობილობანი ჯართად გაყიდეს. ქარხნის ტერიტორიაზე ახალი შენობა-ნაგებობანი ააგეს. ამრიგად, ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანა ისტორიის კუთვნილება გახდა და მხოლოდ ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობა შემორჩა.

### გამოყენებული წყაროები:

ასს ცსა, ფ. რ-535, ან. 1, ს. – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-535, ანაწერი 1, საქმეები №№ 8, 15, 48, 96, 196, 300, 507, 708, 857, 930, 1047, 1289, 1293, 1346, 1655, 1662, 1716, 1718, 1745, 1889, 1971.

ასს ცსა, ფ. რ-394, ან. 1, ს. – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-394, ანაწერი 1, საქმეები №№ 12, 37, 81, 86, 88, 125.

**Otar Turmanidze**  
**(Batumi, Georgia)**

### **History of Batumi Transformer Plant**

#### **Summary**

Batumi Transformer plant was established in 1958. The plant would have to produce small capacity and power transformers. The article studies the history of establishment and development of the plant, its technical characteristics, production technology, qualitative and quantitative data of industrial staff, dynamic of production growth, financial-economic condition of the enterprise.

After the establishment of Batumi transformer plant employment of the city population increased significantly. However, after the collapse of USSR the plant ceased functioning. Now it is the property of the history.

## ექვთიმე თაყაიშვილის 100 წლის იუბილე ბათუმში (1963 წელი)

1963 წელს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა.

„1963 წლის 4 ივნისს, საღამოს 6 საათზე, პოლიტიკური განათლების საოქლო სახლში (ლენინის ქუჩა №37) ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდიუმი, ამავე საზოგადოების აჭარის განყოფილება და საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამავე საზოგადოების აჭარის განყოფილებასთან ერთად აწყოვენ გამსვლელ საიუბილეო სესიას, მიძღვნილს დიდი ქართველი მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი“ (ხეც, გ. ლომთათიძის არქ. №935) – ეკითხულობთ ღონისძიების პროგრამაში.

იმ პერიოდის ანგარიშგასაწევი საბჭოთა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციები, წყაროთმცოდნეობა-ისტორიოგრაფიის წამყვანი სპეციალისტები, და ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მეტად აქტუალური თემატიკა (ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ეპიგრაფიკა, ექვთიმე თაყაიშვილი და „ქართლის ცხოვრება“, ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც წყაროთმცოდნე და პუბლიკატორი, ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ფოლკლორი, ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ეთნოგრაფია...) ამ პროგრამას, შესაბამისად, ღონისძიებას, მაღალ სამეცნიერო და საზოგადოებრივ ღირებულებას ანიჭებს. ამ დროს მოღვაწის გარდაცვალებიდან მხოლოდ 10 წელია გასული.

1963 წელს ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც მოღვაწე, შეუძლებელია, განხილულიყო ერთმნიშვნელოვნად დადებით პოლიტიკურ და კულტურულ-საზოგადოებრივ კონტექსტში, თუმცა მასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი თარიღის უგულვებელყოფაც საბჭოთა იდეოლოგიზებული პოლიტიკის დამაზარალებელი შტრიხი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ არსებობდა რაღაც ტიპის „ალიბები“, რომელთა ხელსაყრელად გამოყენება სასურველი უნდა ყოფილიყო და რითაც მოღვაწის სრული რეაბილიტაცია თუ არა, ნაწილობრივი მაინც იყო შესაძლებელი. ყოველ შემთხვევაში, 1963 წელს ექვთიმე თაყაიშვილის 100 წლისთავის იუბილეს აღნიშვნას გვერდი ვერ აუარა საზოგადოებამ. იუბილე შედგა იანვარში. ამ პერიოდის რესპუბლიკურ პერიოდულ

პრესაში დაეძებნეთ ამ თარიღთან დაკავშირებული აქტივობები. მსოფლიოდ ორმა გამოცემამ დაუთმო ადგილი იუბილეს: 1963 წლის „ლიტერატურული გაზეთის“ 18 იანვრის ნომერში მესამე გვერდზე გამოქვეყნდა შალვა გოხალიშვილის სტატია „ექვთიმე თაყაიშვილის 100 წლის იუბილე“ და გაზეთ „კომუნისტი“ 30 იანვარს გიორგი ლომთათიძის სტატია – „დიდი მოჭირნახულე“, ასევე, მესამე გვერდზე. ორივე სტატია ბიოგრაფიული ხასიათისაა და იდეოლოგიზებული შაბლონებითაც დატვირთული, რაც განსაკუთრებით ეხება მოღვაწის საქართველოში დაბრუნების შემდგომ პერიოდს. შალვა გოხალიშვილის სტატიაში ექვთიმე თაყაიშვილისთვის ასეთი ფრაზაა მიწერილი: „დიახ, სნეული დავბრუნდი, მაგრამ ხომ მაინც დავბრუნდი და შევქედი ჩვენს ძვირფას სამშობლოსათვის დამებრუნებინა გატანილი სამუხეუმო ქონება და ეს ქონება კიდევ მეტად გამემრავლებია... ვინ არის ამის მიზეზი, ვის უნდა უმაღლოდეთ ამ საქმეს? ისტორიაში ჯერ არნახულის საბჭოთა არმიის გამოუთქმელი გამარჯვება რომ არ ყოფილიყო ჰიტლერისა და იაპონიის არმიებზე, მას რომ არ ეხსნა მსოფლიოდ დემოკრატია ტყვეობისაგან, ჩვენ ეს განძი არ დავგიბრუნდებოდა. ეს უნდა აშკარად ვაღიაროთ!“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1963). ბუნებრივია, გაზეთში ამ ამონარიდის წყარო არ არის მითითებული. მეორე გამოცემაში ვხვდებით ასეთ ფრაზას: „[საქართველოში დაბრუნებულმა] 82 წლის მოხუცმა აღორძინებული სამშობლოს წარმატებითა და ყოველმხრივი ზრუნვა-ხელშეწყობით აღფრთოვანებულმა მალევე განაახლა დაუღლეელი მუშაობა“ („კომუნისტი“, 1963). ამ ფრაზების უტყუარობის ხარისხი რეალურად არსებული ვითარების ადეკვატური, რასაკვირველია, არ არის.

მოვლენათა სწორედ ამგვარად ასახვის გამო, XX საუკუნის 60-იანი წლების ნარატივების ტიპები კარდინალურად განსხვავება ერთმანეთისაგან. პერიოდული გამოცემების ენა და სტილი თვალშისაცემად პათეტიკური პათოსით, სიტყვა-ბლოკებით, სტანდარტიზაციის მაღალი ხარისხით არის ნიშანდებული, შესაბამისად, სააზროვნო სისტემა აცდენილია რეალურ ვითარებებს. სადაც ნათქვამი არ ეხმიანება სათქმელს, იქ ღრმა შინაგანი კონფლიქტი და დისჰარმონია იჩენს თავს, გაორებული ცნობიერების პარალელურად, სახეზეა სრულიად განსხვავებული სააზროვნო სისტემები, შესაბამისად, განსხვავებული ნარატივები: ერთი – ფორმალური, საზოგადოებრივი დირექტივებითა და ვექტორებით გაპირობებული, სახელმწიფო პოლიტიკის მთავრ ინსტრუმენტად ქცეული ხელოვნური პათეტიკით და მეორე – შინაარსისგან დაცლილი, პროფანიკური, ხშირად ცინიკური მიდგომებით, სადაც გასტრონომიული და დროის ტარების კულტურის პრიმატული ხაზი იჩენს თავს. საინტერესოა, რომ გიორგი ლომთათიძე გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნებული სტატიით პირველი ტიპის ნარატივის

ავტორია, ხოლო ჩვენი მოხსენების წყაროს მიხედვით კი – მეორე ტიპისა.

ხანგრძლივი ემიგრაციიდან დაბრუნებულ ექვთიმე თაყაიშვილს ფიზიკური უძღურება ხელს უშლიდა შემოქმედებითი საქმიანობის აქტიურად გაგრძელებაში. „მტკივანი ფეხი და ბოლო დროს შემოჩვეული ავადმყოფობა – წერს გიორგი ლომთათიძე – ძალზე უზღუდავდა ბერიკაცს შინიდან გამოსვლის საშუალებას. ორ-სამ წელიწადს თუ კიდევ დადიოდა ავტომანქანით თბილისის მიდამოებშიც და გაისეირნებდა ხოლმე, მერე და მერე თითქმის სულ სახლში გამოიკეტა და ზოგჯერ ლოგინში მწოლიარეც კი მუშაობდა; უნივერსიტეტში, აკადემიაში, მუზეუმ-ბიბლიოთეკებში ათასში ერთხელდა თუ შეიძლება ხოლმე გავლას. გარდა ამისა, მას სმენა-მხედველობაც შესუსტებული ჰქონდა, ხელებიც საგრძნობლად უკანკალებდა და წერა უჭირდა“ (ხეც, გ. ლომთათიძის არქ. №927).

თავიდან ექვთიმე თაყაიშვილს ერთგულად ეხმარებოდა ხელოვნებათმცოდნე იროდიონ სონღულაშვილი (1880-1958), მაგრამ მოუცვლელობის გამო, მან ეს საპატიო საქმე ვერ განაგრძო. სწორედ მისი ინიციატივით, მკვლევარს 1948 წლიდან დაუნიშნეს თანაშემწე. ეს იყო გიორგი ლომთათიძე. ქართველ მწერალთა შესახებ მოგონებებთან ერთად, 1948-1952 წლებში სწორედ გიორგი ლომთათიძემ ჩაიწერა ექვთიმე თაყაიშვილისაგან ავტობიოგრაფიული ხასიათის მოგონებებიც. შესაბამისად, ემიგრაციიდან დაბრუნებულ მეცნიერთან ყველაზე მეტად დაახლოებული პირი სწორედ გიორგი ლომთათიძე იყო.

არქეოლოგ გიორგი ლომთათიძის (1914-1971) ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ პირად საარქივო ფონდში ინახება ერთი უცნობი მოგონება – „საექვთიმო მოგზაურობა კოლხეთში“, რომელიც ეძღვნება საისტორიო და ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებების მიერ ექვთიმე თაყაიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გასვლით საიუბილეო სესიას ქუთაისსა და ბათუმში. აქვე ინახება მოსაწვევი ბარათები სესიის პროგრამით. როგორც ჩანს, ეს ღონისძიება დაგეგმა გიორგი ლომთათიძემ. სწორედ ეს ტექსტი ვახსენეთ მეორე ტიპის ნარატივად.

საარქივო ერთეული შეიცავს 5-ის ფორმატის 10 შავ ხელნაწერ გვერდს და ორ მოსაწვევ ბარათს პროგრამით – ერთი ქუთაისის და მეორე ბათუმის სესიებისათვის. როგორც ავტორი მიუთითებს, ექვთიმე თაყაიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სესიების გამართვისთვის ქუთაისსა და ბათუმში თბილისიდან ჩასულ მომხსენებელთა მოგზაურობა შემდგარა 31 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით. მოგონება კი დათარიღებულია 1-5 ივნისით. როგორც ჩანს, ავტორს ის იქვე, მოგზაურობაშივე დაუწერია. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში თითოეული დღე ცალ-ცალკეა გამოყოფილი, ხელნაწერის გრაფოლოგიური

ერთიანობა გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ავტორს ის ბოლო დღეს, ერთიანად დაუწერია. მოგზაურობის ბოლო დღეს კი გიორგი ლომთათიძე ბათუმში იმყოფებოდა. ალბათ ამითაც არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ სამეცნიერო კონფერენციის ბათუმური ნაწილი უფრო დეტალურად და შთამბეჭდავად არის აღწერილი, ვიდრე ქუთაისის. ქუთაისის სესიას ეძღვნება პირველი 4, ხოლო ბათუმის სესიას – ბოლო ექვსი გვერდი.

ავტორი წერს, „საისტორიო საზოგადოებამ გადაწყვიტა, ის სესია, რომელიც თბილისს 24 აპრილს ჩატარდა, გაგვემეორებინა (შერჩეული მოხსენებებით) ქუთაისსა, ბათუმსა და ოზურგეთში“ (**ხეც, გ. ლომთათიძის არქ. №935**). სხვათა შორის, „კომუნისტის“ სტატიაში გიორგი ლომთათიძე იანვარში აანონსებს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ თარიღს საგანგებო სესიას მიუძღვნიან.

საიუბილეო სესიებს ჯერ ქუთაისში, შემდეგ ბათუმში ესწრებოდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები: ნ. ბერძენიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. დონდუა, მ. ჩიქოვანი, კ. ჩოლოყაშვილი, შ. ამირანაშვილი, ი. ცინცაძე, კ. გრიგოლია და მოგონების ავტორი გ. ლომთათიძე. ისინი ქუთაისის სესიის შემდეგ 3 ივნისს ჩასულან ბათუმში. ტექსტის დიდი ნაწილი სამოგზაურო და სტუმარმასპინძლურ რეაქციებს ეხება.

„დიდას 10 საათზე გადაფერინდით ბათუმს ყველანი „ილ-14“-ით. ნახევარ საათზე ცოტა მეტი დაგვჭირდა. გადავუფრინეთ ფართო მღვრიე ჭოროხსა და დავეშვიტეთ კახაბერის ველზე. აეროპორტში დაგვხვდა რამდენიმე კაცი – მათ შორის, საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ასლან ინაიშვილი, მუზეუმის დირექტორი ხარიტონ ახვლედიანი და სხვ. მანქანებით მიგვიყვანეს და მოგვათავსეს „ინტურისტში“, რომელიც მართლაც შესანიშნავი სასტუმრო ყოფილა (ალბათ, საუკეთესოა საქართველოში), ოღონდ თითქმის თავით ფეხამდე რუსული დაწესებულება (ერთი-ორი ოფიციანტისა და დროგამოშვებით მორიგე ზოგი ადმინისტრატორის გარდა).

ცოტა რომ მოვისვენეთ, ინაიშვილმა, ახვლედიანმა, ცოდნის იქაური საზოგადოების თავმჯდომარემ ალ. ბაუჟაძემ და ორიოდე მანქანის პატრონმა ინჟინრებმა მოგვაკითხეს, რესტორნის აივანზე საკმაოდ ხანგრძლივ გუასაუზმეს და „დაგველოცეს“ (აჭარლები ასე ამბობენ „დღეგრძელობის“ მაგიერ). ხოლო შემდეგ მსუბუქი მანქანებით გაგვასეირნეს „საზღვრიდან საზღვრამდე“: ჯერ ჭოროხს გაღმა სარფში (რომელმაც ყოველმხრივ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე). მერე აქეთობას გონიოს ციხე და განათხარი დავათვალიერეთ საკმაოდ გულდასმით (მართლა დიდი, რთული და საყურადღებო ძეგლი ყოფილა), მერე თამარის ციხე ბათუმში, სადაც აგრეთვე უთხრიათ. მერე დაწვრილებით – ციხისძირი და ზედ საკმაოდ ფართო განათხა-

რი, ბოლოს კი ღელვა-ქაქუთის მიჯნაზე გათხრილი ორი მეტალურგიული ჭურის ნაშთი. ინაიშვილი გვიმარტავდა ყველა განათხარს კარგად, კვალიფიციურად. ასე ავადწიეთ აჭარის მეორე „სახელმწიფო საზღვრამდე“ – მდ. ჩოლოქამდე“ (ხეც, გ. ღომთათიძის არქ. №935).

მეორე დღეს მუზეუმის დირექტორის ხარიტონ-ხუსეინ ახვლედიანის მეგზურობით თბილისიდან ჩამოსულ მეცნიერებს დაუთვალაიერებიათ მუზეუმის გამოფენა.

ათგვერდიან ხელნაწერ ტექტში მოგზაურობის მთავარ საკითხს – საიუბილეო კონფერენციას მხოლოდ ერთი გვერდი ეძღვნება. ექვთიმე თაყაიშვილიც მხოლოდ ოთხჯერ არის ნახსენები (მათ შორის ერთხელ სათაურში).

საიუბილეო სესია, როგორც პროგრამაშია მითითებული, საღამოს 18 საათზე ჩაუტარებიათ აჭარის საოლქო კომიტეტის პოლიტგანათლების სახლში, ღენინის ქუჩაზე. „კარგა დიდი დარბაზი იყო, საესე, – წერს გიორგი ღომთათიძე – დარბაზში გასვლამდე ჩამოსულებს სურათი გადაგვიღეს. ქუთაისისგან განსხვავებით ხელისუფლებამაც დაგვდო პატივი და დაგვეწინა: საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი (ეულტპროპი) თებიძე, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე რევაზ კომახიძე, განათლების მინისტრი წულუკიძე და სხვები. მსმენელთა გულისყურიც აქ მეტი ჩანდა. ორი შეკითხვაც კი შემოვიდა წერილობით (მე: ექვთიმეს ოჯახური მდგომარეობა, შვილები თუ ყავდაო; ნიკოს: ექვთიმე რომ მოგონებებში კრიტიკულად ახსენებს კირიონის «Культурная роль» ნამდვილად თუა კარგი ნაშრომიო?)“ (ხეც, გ. ღომთათიძის არქ. №935).

გიორგი ღომთათიძე კმაყოფილებით საუბრობს სესიაზე: „ძალიან კარგი რამ გაკეთდა დამხვედურებისთვისაც და ექვთიმეს ხსოვნისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით გვამოკლებინებდნენ, მგონი, შევძელით არსებითი რამეების თქმა და თან ჯეროვანი გულთბილობით თქმა“ (ხეც, გ. ღომთათიძის არქ. №935).

საგულსხმოა, რომ გიორგი ღომთათიძის დადებითი შეფასება სესიისა, სადაც ორად ორი კითხვა დაისვა ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ ასეთი წარმომადგენლობითი მომხსენებლების წინაშე, ასეთი ფართო სამეცნიერო თემატიკის ფარგლებში, საზოგადოების ამ პროფილით დაინტერესებულობის შესაბამის ხარისხს უსვამს ხაზს, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ბათუმური ინტელიგენცია ავტორს უფრო „გულისყურიანად“ მიაჩნია, ვიდრე ქუთაისის, რასაც, თავის მხრივ, კიდევ ერთი ფაქტი ადასტურებს: ბათუმის სესიაზე მოსაწვევი ბარათი და პროგრამა 500-ცალიანი ტირაჟით დაბეჭდილა, ქუთაისისაზე კი – 300-იანით.

ამ თარიღთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა ანონსმა პერიოდულ პრესაში მათი ამსახ-

ველი სტატიების, ანგარიშების ძებნა გადაგვაწყვეტინა. ეს სესიები რესპუბლიკურ პრესაში არ ასახულა, მიუხედავად იმისა, რომ „ლიტერატურული საქართველოს“ ივნისის ნომრებში შემდეგ ღონისძიებებზე გამახვილდა ყურადღება: 7 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაციული შენიშვნა გიორგი ლეონიძის საიუბილეო საღამოს შესახებ ქუთაისში, 14 ივნისს – ლადო ასათიანის საღამოს შესახებ თბილისში, 21 ივნისს კი – ალიო მორცხულავას შემოქმედებითი საღამოს შესახებ ქუთაისში. ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების მიმართ პრესის გულგრილი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საზოგადოებრივ ტენდენციებსა და განწყობებს.

მიზანდასახულობისა და დანიშნულების მიხედვით, არსებობს მოგონებათა განსხვავებული სახეები. გიორგი ლომთათიძის არქივში დაცულ ამ დოკუმენტს მხოლოდ ჩანაწერს ვერ ვუწოდებთ. ის დღიურის ტიპის მოგონებაა. ტექსტის სტრუქტურას ამოსავლად აქვს ფაქტების მომდინარეობის ქრონოლოგია. ტექსტის ბუნება, ერთი მხრივ, გვაფიქრებინებს, ხომ არ იყო ის პერიოდულ პრასაში დასაბეჭდად გამიზნული: თხრობა აგებულია დეტალურ ფაქტოლოგიაზე – ტოპონიმთა, პერსონალიათა, სხვადასხვა რეალიათა არაერთგზის დაზუსტება-შესწორებებზე, გააჩნია სათაური: „საექვთიმო“ მოგზაურობა კოლხეთში“, მეორე მხრივ, მისი არაოფიციალური დეტალები გვაფიქრებინებს, რომ ის პედანტური ბუნების ავტორის მხოლოდ პირადი ჩანაწერია თხრობის ფამილარული, ბუღუარული სტილით, სადაც 6 გვერდზე აღწერილია 4 სუფრა რესტორნების აივნებზე, ჩოლოქთან ნესტიან სივრილეში, ერთხელაც ცოტა „შემძარული“ ადესით. სხვათა შორის, გიორგი ლომთათიძეს აქ მათემატიკის მასწავლებლის ქეთევან შეროზია-ჭანუყვაძისგან ჩაუწერია, როგორც თვითონ წერს, „სახუმარო აჭარული სიმღერა“ „განდაგანა“, რომელშიც ხაზგასმული აქვს აჭარული ფრაზები: ჩამოვბლაყუნდი, გიყურბანე ყიაში, ვაბლაყუნეთ ბაბოის დანა და ა. შ. უკითხავს კიდევ, ნამდვილად აჭარული ხალხური ცეკვაა თუ არა, პასუხად მიუღია, აჭარულია, თუმცა თურქობისას ცოტა შერყვნილა და „ყოლსამაც“ დარქმევიაო. საერთოდ, სუფრისა და ქეიფის ვითარებების აღწერა ამ პერიოდისათვის უცხო არ არის ობიექტური რეალობის ასახვის არც ერთი სფეროსათვის, მათ შორის პოეზიისთვისაც კი. სხვათა შორის, საქართველოში სწორედ 1963 წელსაა გადაღებული ნიკიტა ხრუშჩოვისა და ფედელ კასტროს ფოტო ქართულ სუფრასთან ყანწებით ხელში.

გიორგი ლომთათიძის მოგონებაში, მისი „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატიის პათოსისგან განსხვავებით, თვალშისაცემია ერთი ტენდენცია – ფასეულობების დევალვაცია, ფამილარული, ყოფითი ასპექტების პრიმატი, რაც, რასაკვირველია, არ არის შემთხვევითი. ერთი მხრივ, თითქმის რეპრესირებული საზოგადო მოღვაწის გარდაცვალე-

ბიდან მხოლოდ 10 წლის გასვლის შემდეგ მისადმი მიძღვნილი სესიის ასეთი ფართო სამეცნიერო თემატიკა და წარმომადგენლობითი შემადგენლობა და, მეორე მხრივ, პროფანირებული დისკურსი საბჭოთა სინამდვილისთვის ნიშნულ წინააღმდეგობრივ, ფორმალურ, ხელოვნურ რეალობას გვიხატავს.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

„კომუნისტი“, 1963 – გაზ. „კომუნისტი“, 1963, 30 იანვარი.

„ლიტერატურული გაზეთი“, 1963: – „ლიტერატურული გაზეთი“, 1963, 18 იანვარი.

ხეც, გ. ლომთათიძის არქ. №927 – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გიორგი ლომთათიძის არქივი №927.

ხეც, გ. ლომთათიძის არქ. №935 – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გიორგი ლომთათიძის არქივი №935.

**Esma Mania**  
**(Tbilisi, Georgia)**

### **Celebration of Ekvtime Takaishvili-s hundredth anniversary in Batumi (1963)**

#### **Summary**

In Giorgi Lomtadze`s (1914-1971) private archive kept at the National Centre of Manuscripts there is for the broad masses unknown – `Trip to Kolkheti dedicated to Ekvtime`. This trip and the scientific session was organized by the organization for the spreading literacy and history (in Georgia) in order to celebrate Ekvtime Takaishvili`s hundredth anniversary in Kutaisi and Batumi. Here are kept also invitations cards with the program of the session. It seems that major organizer of the event was Giorgi Lomtadze.

At the session dedicated to the anniversary attended prominent Georgian scientists: N. Berdzenishvili, S. Kaukhchishvili, V. Dondua, M. Chikovani, K. Cholokashvili, S. AmiranaSvili, I. Tsintsadze, etc. Here is worthy to mention Giorgi Lomtadze`s important notes about every little, but not insignificant details

of the session and the trip. For instance, he writes about the theme of the session, activity and interest of the intelligence living in Baumi and Kutaisi, host organizations in Batumi, activity and mood of the specific public officials in those days, monuments of cultural heritage and museums, local landscape, daily rounds and gastronomic surroundings, political and social tendencies of Achara (region in Georgia) in that time, even the clichés in every day speech and etc.

There is a significant tendency in Giorgi Lomtadze`s remembrances – profanation of the values, supremacy of spurious and aspects from everyday life, that`s what, of course, is not accidental. From one side, there was only ten years gone since Ekvtime Takaishvili, the almost suppressive public person died and people organized the session with such a broad scientific theme, where attended representable stuff; from the other side, the situation that was in those times in Georgia outlines formal reality that was typical for Soviet reality.

## ენის დღის ღირსილი გაგრძელება ბათუმში

ახალი ამბავი არაა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობისა და მშობლიური ენის შესანარჩუნებლად დღემდე ხმაელჩაუგებელი ბრძოლით მოაღწია. ქართველს ვერაინ დააყვედრის, რომ მომხდურს ოდესმე ბოლომდე დამორჩილებოდეს. მტრის მთავარი სამიზნე კი ყოველთვის ქართული ენა გახლდათ. აკი მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში „მამათა და შვილთა“ სახელწოდებით გამართული თაობათა ბრძოლა ენის სიწმინდის დაცვას ისახავდა მიზნად. განსაკუთრებულს ვერაფერს აღვნიშნავ, თუ ვიტყვი, რომ „მამებიც“ და „შვილებიც“ დიდი ქართველები იყვნენ. „ენით ცოცხალ ვარ, მით მიყვარს ლხენა, მიყვარს სამშობლოს მე დედა ენა“, საუკუნენახევარზე მეტია რ. ერისთავის ეს ტაეპი ლაიტმოტივად მოჰყვება ქართულ ცნობიერებას. დამპყრობელიც კი ეკრძაღვოდა ჩვენს ენასთან პირდარი ბრძოლას და შეფარვით ცდილობდა მის განდევნას ქართველთა გონებიდან, ამ ჭიდილში საუკუნეებმა გაიარა.

მეოცე საუკუნე კოსმოპოლიტიზმისა და ბოლოს გლობალიზაციის საუკუნედ მოგვევლინა. საბჭოურმა პოლიტიკამ ყოველგვარ ეროვნულს ბრძოლა გამოუცხადა. უნდა შექმნილიყო ახალი, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანი, ერთიანი ენით, აზროვნებით, ერთიანი კულტურით და ა. შ. სწორედ ამ გეგმის მიხედვით იხსნებოდა რუსული სკოლები, რომელთა კურსდამთავრებულს მეტი ასპარეზი ჰქონდა იმპერიის მასშტაბით. ესკი ნელ-ნელა ზღუდავდა მშობლიურ ენას. უცხო ენების დაუფლების წინააღმდეგი არც წინათ იყი ვინმე და არც ახლაა, მაგრამ ეს არ უნდა მომხდარიყო მშობლიურის დაკნინების ხარჯზე. მაგრამ ენის მშობლიურობას რომ მნიშვნელობა არ ჰქონოდა, სტალინი ბიოგრაფიულ ანკეტაში არ ჩაწერდა: ეროვნება - ქართველი, მშობლიური ენა - რუსული.

გასული საუკუნის 60-70-იანი წლებიდან საბჭოთა იმპერიის გულიდან ხშირად გაისმოდა სუსლოვისა და სხვათა მოწოდებები სკოლებში რუსული ენის სწავლების გაძლიერების შესახებ. გვასოს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიგანოვის გამოსვლა, რომელმაც პირდაპირ მოითხოვა საქართველოს სკოლებში რუსულ ენაზე სწავლების წარმართვა.

1921 წლის თებერვლიდან, საბჭოთა რუსეთის მიერ თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს სრულად დაპყრობის შემდეგ, 1921 წელს მივიღეთ საბჭოთა კავშირის პირველი კონსტიტუცია. 1936 წელს

კი სტალინური გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია. მასში ენის საკითხი არ დასმულა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც ენასთან მიმართებაში ფარული პროცესი, რა თქმა უნდა, მიმდინარეობდა, მაგრამ ამ კუთხით კონსტიტუციაში ღიად ცვლილების შეტანა რამდენადაც ვიცი, არავის უცდია. სამაგიეროდ ან ინგრეოდა, ან რესტავრაციის საბაბით გრძელდებოდა მეფისდროინდელი ტრადიცია ეკლესიათა შეეთეთრება-შეღესვისა. ნადგურდებოდა ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი-წარწერები, ფრესკები და სხვა ნაგებობანი. ეს მათგან შემკვიდრებით მიღებული პროცესი დღესაც გრძელდება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში

აქვე უნდა ითქვას, რომ ქართველთაგან ე. წ. სრუშნოვმა და მისმა დამქაშებმა ფართო მასშტაბიანი შეტევა დაიწვეს ყოველგვარ ქართულზე, დაშალეს ქართული დივიზიები, რომლებმაც თავის დროზე სისხლით დაიცვეს საბჭოეთი. სტალინის ეპოქაში თუ რამ ნეგატიური იყო და, მოგეხსენებათ, ძალზე ბევრი იყო, ყველაფერი ქართველებს დაბრალდა. 1956 წლის მარტშიც სტალინის დაცვა სამშობლოს ღირსების დაცვაში აირია და ამ გაუგებრობას ათეულობით ქართველი შეეწირა. მთავარი ამ მომენტისათვის ის იყო, რომ აჯანყდა ქართული სული. არავითარი იარაღი იქ არ იყო, რუსულმა ტანკებმა უიარაღო ხალხი გადათელა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა კავშირის მაშინდელმა ლიდერმა გვაუწყა, რომ ჰორიზონტზე გამოჩნდა კომუნიზმი (როგორც ჩანს, არ იცოდა, რომ რამდენს მიუახლოვდები, გადაიწვეს). ერთ-ერთი სასაფლაოს შესასვლელთან გაჩნდა დიდი ლოზუნგი: „გზა კომუნიზმისაკენ“.

70-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა იდეოლოგიების თავში გაჩნდა აზრი, რომ კომუნიზმის რა მოგახსენოთ, მაგრამ რაღაც ახალი ფაზა ნამდვილადაა საჭირო. გამარჯვებული სოციალიზმი უკვე იყო, ამიტომ ტერმინი მომწიფებული სოციალიზმი შეარჩიეს (შემდეგში იგივე იდეოლოგიები ამ პერიოდს უძრაობის ხანას დაარქმევენ).

ახალ ფაზას ახალი კონსტიტუცია სჭირდებოდა. შემუშავდა კიდევ. დაიწყო ვითომ სახალხო განხილვები. ფაქტიურად კი ეს ვითომდა ახალი, ძველის გადამღერება გახლდათ. დასამალი არაა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების უმეტესობა უდრტვინველად შეხვდა ამ ძალადობას. მათ თავიანთ კონსტიტუციებში უცვლელად გაიმეორეს 75-ე მუხლი. საქართველო კი, კერძოდ, თბილისი, ფეხზე დადგა. სტუდენტი ახალგაზრდობის თაოსნობით დაიწყო მანიფესტაციები. 1978 წლის 14 აპრილი ეროვნული მოძრაობის განახლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა. ლუსტრაციაც გამოვიდა ნამდვილ პატრიოტებსა და ფსევდოპატრიოტებს შორის. ზოგიერთმა საბჭოთა მოხელემ აჯობა ბევრ გულზე მჯილის მცემელ ვითომ ერისკაცს. დასტურად მარტო მაშინ-

დელი ფუნაგორიებიც კმარა, ხეებზე რომ იყო გაკრული. ამჯერად ამ თემას აღარ ჩავუღრმავდებით, რადგან ბევრი ზემოთქმული თქვენთვის კარგადაა ცნობილი. ერთს კი ვიტყვი, ამ საპროტესტო გამოსვლების მონაწილეებს თავი განწირული ჰქონდათ, რადგან ყველამ იცოდა, რომ რუსთაველის პროსპექტის შემოგარენი სავსე იყო ჯარითა და სამხედრო ტექნიკით, მაგრამ გადავრჩით. გადავრჩით იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა არა სტალინს, არამედ ქართულ ენას.

1978 წლის 14 აპრილის შემდეგ, თითქოსდა ბევრი რამ თავის ადგილზე დადგა. ერს ღირსების გრძნობა დაეუფლა, იმპერატორთა მიერ დათმობა ცოტას არ ნიშნავს, მაგრამ თვენახევრის შემდეგ მოვლენები მოულოდნელად კვლავ დაიძაბა ავტონომიურ რესპუბლიკებში, განსაკუთრებით აჭარაში. როგორც ჩანს, ხელისუფლება არ ელოდა რეგიონში ასეთ მკაცრ რეაქციას იგივე პრობლემების გამო, რაც თბილისში იყო. ჩვეულებრივად, მოიწვიეს უმაღლესი საბჭოს სესია 26 მაისს, მაინცადამაინც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. ამ დროისათვის წინასწარ იყო გაზეთები აწყობილი, სადაც ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტი უცვლელად იყო დაბეჭდილი.

26 მაისს, საღამოს, დამიკავშირდა აწ გარდაცვლილი პროფ. აბელ სურგულაძე. მერე გაირკვა, რომ მან ფაქტობრივად გადაამოწმა, ვიცოდი თუ არა ქუთაისში რა ხდებოდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მაშინდელ ჩვენს ინსტიტუტში და ჩემს ირგვლივ არავინ არაფერი იცოდა. მე და აბელმა ჩვეულებრივად მოვიკითხეთ ერთმანეთი და სხვათა შორის მითხრა, იქნებ მოახერხო და ჩამოხვიდეთ. ვიგრძენი, ეს უბრალო მიპატიჟება არ იყო, არც მიკითხავს, რა ხდებოდა. დილით აღრიანად წამოვედი. დაახლოებით ცხრა საათისათვის უკვე ბათუმში ვიყავი. უკვე ბარცხანიდან შეიმჩნეოდა, რომ რაღაც უჩვეულო ხდებოდა. ხალხი მცირე ჯგუფებად შეკრებილიყო და ხმადაბლა უზიარებდა ერთმანეთს შთაბეჭდილებებს. ნავსადგურთან და შემდეგ მოედნისაკენ გაზონები გადათელილი იყო. მე სასწრაფოდ აბელთან გავეშურე, შევხვდით და მთელი დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. იმ დროს ჩვენს ინსტიტუტებს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა და წელიწადში ორჯერ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ვსტუმრობდით ურთიერთს. ჩამოსვლისას ისტორიო-ფილოლოგიის ფაკულტეტი და რექტორატი გემასპინძლობდა. ქუთაისში ჩამოსულ სტუდენტთა დელეგაციებს უმეტესწილად ბატონები – აბელ სურგულაძე, იური ჩხარტიშვილი, დიმიტრი ჩავლეიშვილი ხელმძღვანელობდნენ. წლების განმავლობაში ამ ადამიანებთან ჩვეულებრივი ურთიერთობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა.

დღემდე კარგად მახსოვს იმ დღეებში სტუდენტთა ჩახლენილი ხმა, თითქმის ვეღარ ლაპარაკობდნენ, განსაკუთრებით, ლილი ჭყონია

და რუსუდან მეგრელაძე. მათი ცნობით, სესია დაამტკიცებდა კონსტიტუციას ქართული ენის გარეშე.

26 მაისს დილიდანვე დაიწყო უკმაყოფილება. ინსტიტუტიდან გამოიტანეს ი. გოგებაშვილის პორტრეტი, მიკროფონები და დაიწყო საპროტესტო მიტინგი. მაშინ მომეჩვენა, რომ რომ ყოველივე ამას არ ჰყავდა მეთაურები, მაგრამ შემდეგ, როცა დავრწმუნდი, რა კარგად იყო ორგანიზებული ყველაფერი, მივხვდი, რომ წინამძღოლები იყვნენ, მაგრამ ოსტატურად იმალებოდნენ; ალბათ, ასე იყო საჭირო, ხელი-სუფლება ვერავის გამოარჩევდა ხელის შესაწმენდად, ხალხის კი არა, ამ პიროვნების ბრალიაო.

აქციის ორგანიზებულობასა და პოლიტიკურ მომწიფებულობას მოასწავებდა მრავალთა შორის ერთი კონკრეტული ფაქტი. იმ დღეს ბათუმის ნავსადგურში იდგა, თუ სწორად მახსოვს, დანიის გემი, რომლის ეკიპაჟი ქალაქში დასეირნობდა. ბუნებრივია, მათ გააკვირვებდა ასეთი საპროტესტო მანიფესტაცია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და ისიც სასაზღვრო ქალაქში. გააკვირვებულებმა და შეშფოთებულებმა იკითხეს, რა ხდებოდა. ბათუმელმა სტუდენტებმა გამართული ინგლისურით უპასუხეს, რომ ელოდებიან საქართველოს პირველ პირს და საზეიმო შეხვედრისათვის ემზადებიან. სხვაგვარ პასუხს, შესაძლოა, გარკვეული გართულებები მოჰყოლოდა.

აღნიშნული აქცია რომ კარგად ორგანიზებული იყო, იქიდანაც ჩანს, რომ ზემო აჭარიდან ჩამოსული იყვნენ უხუცესები, რომლებიც დროდადრო სკანდირებდნენ: 300 წელი ოსმალთა ყრუობაში ვერ დავაგვიწყა ქართული ენა და ახლა ვინ ბედავს ამასო. ხალხის ერთ ნაწილს რუსი ბავშვები შეესვა მხრებზე, რომლებიც ბავშვური ხმით გაჰყვიროდნენ: გაუმარჯოს ქართულ ენასო.

დროდადრო სხდომის დარბაზიდან გამოდიოდნენ თურმე დეპუტატები და ხალხის დაწყნარებას ცდილობდნენ, მაგრამ ამოდ. როგორც ჩანდა, მანიფესტანტები მხოლოდ ფრიდონ ხალვაშს ენდობოდნენ და გამუდმებით მისგან მოითხოვდნენ საიმედო სიტყვის თქმას.

დრო გადიოდა. შეკრებილთ ყოველ წამს უერთდებოდნენ წარმომადგენლები წარმოება-დაწესებულებებიდან. გამოჩნდნენ პორტის მუშა-მოსამსახურენი, რამაც განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია. მინდა აღვნიშნო, რომ პორტის უფროსის მოადგილე მაშინ იყო ჩემი ბიძაშვილი ჯემალ ჭიდვარია, რომელიც შემდეგ მიყვებოდა, როგორ ორგანიზებულად გაუშვეს თანამშრომლები, არავის მათი შეჩერება არ უცდია, თანაც ისე, რომ პორტი საერთოდ არ გაჩერებულყო და უცხოური გემები არ დაყოვნებულყო.

მალე ბათუმს ესტუმრა იმდროინდელი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე და შეკრებილთ ვრცელი სიტყვით მიმართა. აღნიშნა, რომ აფხაზეთში მიფრინავდა, გზიდან დაბ-

რუნდა და აქეთ გამოემგზავრა. მან ფიცი დადო, რომ ეს გაუგებრობა თუ შეცდომა გასწორდებოდა. ბოლოს, მეტი დამაჯერებლობისათვის დასძინა, რომ ხვალ გაზეთები საერთოდ არ გამოვიდოდა (ისინი სესიის მასალებს წინასწარ აშუქებდნენ). ეს იქნებოდა იმის დასტური, რომ აჭარელთა სამართლიანი მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა.

27 მაისს ადგილობრივი პრესა მართლაც დაიბლოკა. გაეროცვლდა ხმები, რომ ხალხის შეუვალი სურვილი დაკმაყოფილდა და სესია შეცვლილ კონსტიტუციას დაამტკიცებდა.

იმის აღწერა, რაც მეორე დღეს ხდებოდა და რისი მოწმეც თავად გახლავართ, დიდოსტატსაც გაუჭირდებოდა. მთელი ქალაქი ზეიმობდა. სადამოს და მთელი დამე აღფრთოვანებული ხალხის პატრიოტული შეძახილებით მთელ ქალაქს მოეფინა.

ჩვენი პატარა, ჯგუფი აბელ სურგულაძის თაოსნობით, ასევე, სტუდენტების – ლილი ჭყონიას, ნატო გოთოშისა, ლალი ღლონტის, თინიკო ნემსაძის მონაწილეობით, რესტორან „სალხინოში“ წავედით გამარჯვების აღსანიშნავად. მცირე სუფრა გაიშალა. გასაგები მიზეზების გამო, რესტორანს პროდუქტებიც არ ჰქონდა მომარაგებული. კლიენტთა ერთ ნაწილს კი უარს ეუბნებოდნენ. კვლავ ვიმეორებ, თუ 26 მაისი ბათუმში მშვიდობიანი, ცივილიზებული, ნამდვილი სახალხო ბრძოლა იყო, 27 და 28 მაისი ნამდვილი სახალხო ზეიმი გახლდათ.

ბუნებრივია, სუფრასთან საუბარი შეეხებოდა საქართველოსა და ქართულ ენას. უცებ მიმტანი მოგვიახლოვდა და გვიჩურჩულა, ფრთხილად, მილიციისა და უშიშროების ალყაში ხართო. ამის თქმა იყო და, ბ-ნი აბელი (ძალიან მიჭირს მასზე წარსულ დროში ლაპარაკი) წამოდგა და მისთვის დამახასიათებელი რიხიანი ინტონაციით ამბობს: ძმებო, ჩვენთან ცენტრმა განსაკუთრებული მითითებებითა და სამომავლო გეგმებით მოაგვლინა ტარიელ ჭიღვარია. იგი სპეციალურ შეკრებებზე აგვიხსნის და გაგვაცნობს ცენტრის მოთხოვნებს. ახლა კი ამ სამშობლოსათვის თავგადადებული კაცის სადღეგრძელო მინდა შევსვათ. აბელს ყურში ჩავჩურჩულე, ამას ქუთაისურად ჩაშვება ჰქვია-მეთქი. არ ვიცი, ჩემი პიროვნების გამოსარკვევად თუ ამ ხუმრობის მიხედრისა გამო, ნაწილი მოალყეებისა ადგა და დარბაზე დატოვა. იქვე მოგვართვეს ერთი ყუთი შამპანიური. როდესაც ძღვენის წარმომავლობით დავინტერესდით, სამკაცციან ჯგუფზე მიგვითითეს, რომლებიც უკვე ეზოდან გადიოდნენ, იმათ გამოგიგზვნესო. აბელმა შორიდან ვერ იცნო მიმავალნი და დაედევნა. ცოტა ხანში სახევაბადრული დაბრუნდა უკან, კომისარიატის თანამშრომლები აღმოჩნდნენ და მადლობა აქეთ შემოგიტოვალეს კარგი ქართველობისთვისო. თან მომიბოდიშეს, თქვენთან ლხინის უფლება არა გვაქვს, ისე კი ჩვენი ადგილი აქ არისო.

ნადიმის დასასრულს, აბელმა აიღო ხელსახოცი, მისთვის ჩვეუ-  
ლი გამორჩეული ხელწერით რაღაც ჩაინიშნა და გადმოძცა. ეს იყო  
მოწოდება: „აწ კი თქვენ, მამაცო ქუთაისლებო“.

სუფრიდან გვიან ღამით ავიშალეთ. დილაზე დაგვიოდიოთ ბათუ-  
მის ქუჩებში ათასგვარი შეძახილებით, უცნობი გამველელებიც კი ერ-  
თმანეთს ულოცავდნენ ამ დიდ გამარჯვებას.

**Tariel Tchighvaria**  
**(Kutaisi, Georgia)**

### **Meritorious Continuation of the Georgian Language Day in Batumi**

#### **Summary**

In order to maintain the independence and native language Georgia has been constantly struggling. "I'm alive due to native language, I adore my mother tongue"- this words of famous Georgian poet R. Eristavi accompanies Georgian consciousness as a leitmotif. Conquerors always got rid of straight struggle with our language and implicitly tried to oust it from the minds of Georgians. And the centuries passed by.

The so-called Brezhnev "Ripe Socialism" constitution intended not to include Georgian in the list of the State Languages. This led to large student protest in Tbilisi, in order to return Georgian its status. (April 14, 1978 - the day of Georgian Language since that day)

This problem was thought to be waived, although autonomous republics confronted with the same dilemma.

On May 26, 1978 my friend Prof. A Surguladze rang me up and asked to visit Batumi the next day. In the morning of the following day I was already there. It turned out that in the Article 70<sup>th</sup> of the Constitution of the Autonomous Republic of Adjara Georgian language was not considered as the national language. On May 26, the Supreme Council session started, followed by the youth protest in Batumi. I remember their tired faces, hoarse voices; they seemed to be reported back to A. Surguladze, paid regards to the supportive lecturers, including Prof. Bichiko Diasamidze, Sergo Dumbadze and others.

In the evening we gathered for supper: A. Surguladze, I Chkhartishvili and former students \_ Nato Tchkonია, Nato Gotoshia, Nino Glonti and Tiniko Nemsadze. If the May 26 was peaceful, civilized, genuine people's struggle, the May 27 and 28 was a true celebration and festival.

In this brief review one decision can be made. The April 14 in Tbilisi and May 26, 1978 was another rebel among many others of Georgian Spirit for the wickedness of the invaders.

## ქალაქ ბათუმის ერთი ჰეროიკული დღე

ბათუმს ბევრი ამაღელვებელი და ნათელი დღე ახსოვს (1878 წლის 25 აგვისტო, 1920 წლის 7-9 ივლისი, 1956 წლის 5-9 მარტი, 1978 წლის 26 მაისი, 2004 წლის 6 მაისი და სხვ.), მაგრამ გამორჩეულია 1978 წლის 26 მაისი, რადგან მან აჩვენა, როგორი ერთსულოვანი და თავდადებულია ხალხი, როცა საკითხი მის თავმოყვარეობას, ეროვნულ ინტერესებსა და ყველაზე ძვირფასს – ეროვნულ ენას ეხება. ამ დღის გახსენება საჭიროა განსაკუთრებით ახლა, როცა გლობალიზაციის პროცესმა განსაკუთრებულად შეავიწროვა ეროვნული ენების მოქმედების არე და დააკლდა მას სახელმწიფოებრივი ყურადღება და ზრუნვა. არადა, ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას სწორედ ეროვნული ენის დაცვა უნდა ედოს საფუძვლად. სხვადასხვა მიზეზთა გამო ეს ცოტა ვინმეს თუ ახსოვს და მისი სწავლებაც სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში იმგვარად არ ხორციელდება, რასაც ის იმსახურებს.

1978 წლის 26 მაისის მოვლენები ბათუმში ჯერ მოგონებების სახით გამოქვეყნდა (დლონტი, 1989; ფირცხალაიშვილი, 1990; მეგრელაძე, 1997, 3-17; ფაღავა, 1998; ბერიძე, 2008), შემდეგ, მან ასახვა ჰპოვა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების (აჭარა) IV ტომშიც (გვ. 401-403). თუმცა ამ მოვლენის არსი, სრულყოფილი ანალიზი და შეფასება ჯერაც არ გაკეთებულა. წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ ამის მცდელობაა.

1978 წლის 26 მაისის მოვლენები ბათუმში განხილული უნდა იქნას აჭარის ისტორიის ბოლო 3-4 საუკუნის მოვლენების გათვალისწინებით, რადგან მას ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსიც ამის მიხედვით მიეცა.

ოსმალთა სამასწლოვანმა ბატონობამ აჭარაში მძიმე შედეგები დატოვა: მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების უაღრესად დაბალი დონე და მუსლიმანური აღმსარებლობა, რაც საქართველოს ამ მხარისადმი ავტონომიური მმართველობის მინიჭების საფუძვლად იქცა, საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა ავტონომიური ფორმირებებისაგან განსხვავებით, რომლებსთვისაც ამ სტატუსის მინიჭების საფუძველი ეთნიკური განსხვავებულობა იყო.

ავტონომიურმა მმართველობამ, მართალია, ხელი შეუწყო აჭარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დაჩქარებას.

რებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ერთგვარ ბარიერად იქცა დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრირებაში. აჭარა, განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის გამო, კარგა ხანს უცხო სხეულად აღიქმებოდა საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში, რასაც მტკივნეულად განიცდიდა აქაური მოსახლეობა. საქმე იმაშია, რომ ოსმალთა ბატონობიდან განთავისუფლების შემდეგ, აჭარაში განვითარებულმა მოვლენებმა (ოსმალების, გერმანელების, ინგლისელების მხრივ ოკუპაცია, აქაურთა განმთავისუფლებელ ბრძოლებში მონაწილეობა), აქაურ მოსახლეობაში გაამძაფრა მშობლიური ქვეყნისადმი სიყვარული და განსაკუთრებული დატვირთვა შესძინა ქართულ ენას, რომელიც ახლა მისთვის ეროვნული იდენტობის ნიშნად იქცა.

აჭარის მოსახლეობამ, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, გადაიტანა მძიმე გასული საუკუნის 20-30-იანი წლების სიდუხჭირე და რეპრესიები, მეორე მსოფლიო ომის ტკივილები და სიმძიმე, დედაქალაქ თბილისის შემდეგ ყველაზე მძაფრად გამოხატა პროტესტი სკკპ XX ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ ნათქვამი სიტყვებით («Вот ваш «великий сын» великого народа») სტალინის პიროვნებისა და საქართველოს შეურაცხყოფის გამო 1956 წლის 5-9 მარტს (**ბიბლიეიშივილი, 2011:19**), განსაკუთრებულად რეაგირებდა მშობლიური ენისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისითაც. იმდროისთვის უჩვეულო ამ პოლიტიკურ აქციებში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები. მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების გონივრული მოქმედებით (**მამულაძე, 1997:95**), თბილისისაგან განსხვავებით, აქ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა (**დუმბაძე, 1912:389**).

60-იანი წლების დასაწყისში განსაკუთრებით გააქტიურდა საზოგადოება ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის. პრესაში იბეჭდებოდა წერილები და მოწოდებები ქართული ენის სიმდიდრისა და სიწმინდის დაცვის მიზნით და სხვადასხვა ფორმით ცდილობდნენ ამის განხორციელებას. მაგალითად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტში, ახალგაზრდა ლექტორთა მშრომელთა ერთი ჯგუფი შეთანხმდა, რომ მეტყველებისას არ გამოეყენებინათ უცხო სიტყვები, მით უფრო რუსული, რომელიც განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენებოდა მაშინ. თუ ვინმეს წამოსცდებოდა, ჯარიმდებოდა და დაგროვებული თანხით ერთად ატარებდნენ დროს, სადაც ისევ ენის, ისტორიის, ტრადიციების და საერთოდ, საქვეყნო საკითხებზე მსჯელობდნენ. შეხვედრებმა თანდათანობით ორგანიზებული ხასიათი მიიღო. მასში მონაწილეობდნენ ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებების წარმომადგენლები და იგი „საქართველოს მექართულეთა საზოგადოებად“ (სმს) ჩამოყალიბდა (1962 წ.). როგორც ამ საზოგადოების წევრთა (გიორგაძე, 1991; კუჭავა, 1989, 1992; ბაუაშ-

ვილი, 1992) მოგონებებიდან ჩანს, მასში გაერთიანებული იყვნენ პედინსტიტუტიდან: მერი გორდელაძე, ლამარა თადუმაძე, ლუბა კორიფაძე, მამუკა ქემხაძე, პეტრე ბაჟაშვილი, ლეილა რურუა, მასწავლებლები: ეთერ მგელაძე, ამირან მელუა, ვარდო თადუმაძე, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვიქტორ ლორთქიფანიძე, ჟურნალისტი დანიელ კუჭავა, ინჟინრები: შოთა კიკანიშვილი, ცოტნე ყენია, ნოდარ პატარაია, მეღვინე ტექნოლოგი არჩილ მელუა, ეკონომისტი ციალა ჯიბლაძე, მხატვარი როლანდ ჩხიკვიშვილი და სხვები. საზოგადოების წევრები იხდიდნენ საწევრო თანხას, შემოიღეს წევრობის ბილეთები, ატარებდნენ ენის სიწმინდის დაცვის მიზნით ღონისძიებებს. ასეთი ეროვნული ხასიათის ღონისძიებები მაშინდელმა ხელისუფლებამ საზოგადოების აქტივისტებს დანაშაულად, „ნაციონალისტურ საქმიანობად“ ჩაუთვალა და ზოგი სამუშაოდან გაათავისუფლა და ზოგიც სკკპ რიგებიდან გარიცხა (დუმბაძე, 2012: 400), რაც მაშინ მძიმე სასჯელად ითვლებოდა. პ. ბაჟაშვილი მოგონებაში გულისტკივილით წერს: „მაინც ყველაზე დიდი ბოროტება ის გახლდათ, რომ დედასამშობლოს, დედაენის სიყვარულისთვის, მისი სიწმინდის მცდელობისთვის ადამიანები სასტიკად დასაჯო, აწამო, ნაციონალისტებად მონათლო“ (ბაჟაშვილი, 1992).

ადგილობრივი ხელისუფლების ასეთი რეაქცია არ იყო შემთხვევითი. იგი უმაღლესი ხელისუფლების ნების მიხედვით გადადგმული ნაბიჯი იყო. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ემზადებოდა საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ხალხების ერთიან საბჭოთა ხალხად და ყველა ამათთვის რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისათვის. ეს გაცხადდა 1977 წელს მიღებული კონსტიტუციითაც. ახლა მთავარი იყო სსრ კავშირში შემავალი რესპუბლიკების კონსტიტუციებშიც იგივე შინაარსი გატარებულიყო. ამიტომ მოკავშირე რესპუბლიკათა ხელმძღვანელებს მიეცათ დირექტივა-კონსტიტუციებში აღარ შეეტანათ დებულება ეროვნული ენების სახელმწიფო ენებად გამოცხადების შესახებ. თითქოს ყველაფერი ცენტრალური ხელისუფლების ჩანაფიქრის მიხედვით მიმდინარეობდა, თითქოს საზოგადოება, სამეცნიერო წრეები ვერ ამჩნევდნენ ახალი კონსტიტუციის პროექტში ქართული ენის სახელმწიფო ენის სტატუსის ამოღებას, მაგრამ საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიის წინა დღეებში გაჩნდა მოთხოვნა კონსტიტუციის 75-ე მუხლში ჩაწერილიყო, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სტუდენტები. შემდეგ გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, ეს მოხდა რესპუბლიკის უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობის (ე. შვეარდნაძე) არაპირდაპირი მინიშნებით.

14 აპრილს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის ჩატარების დღეს, ათი ათასობით ადამიანი შეიკრიბა მთავრობის სასახლის წინ

მოთხოვნით, რომ კონსტიტუციის 75-ე მუხლში აღდგენილიყო ქართული ენის სახელმწიფო ენის სტატუსი. ქართველი ხალხის ურყევმა ნებამ, საზოგადოების ყველა თაობის ერთიანობამ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პრინციპულობამ და ხალხის ნებისადმი მხარდაჭერამ, საკავშირო ხელმძღვანელობას უკან დაახევინა, კონსტიტუციის 75-ე მუხლში ჩაიწერა: „საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის“ (კონსტიტუცია, 1978:24).

ამით საფუძველი ეცლებოდა ცენტრალური ხელისუფლების მცდელობას, საბჭოთა კავშირში შემაგალი ერებისათვის წაერთვათ და დაევიწყებინათ ეროვნული იდენტობის მთავარი ნიშანი – ეროვნული ენები.

ამიტომაც, რომ ქართველი ხალხი 14 აპრილს ზეიმით აღნიშნავს დედაენის დღეს.

ახალი კონსტიტუციები უნდა მიეღოთ საბჭოთა კავშირის ავტონომიურ ერთეულებსაც, მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასაც. აჭარის არ კონსტიტუციის პროექტი 16 მაისს გამოქვეყნდა. მოკლე დროში, 26 მაისამდე უნდა განხილულიყო იგი ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებში. პედაგოგიურ ინსტიტუტში განხილვა საფაკულტეტო პარტიული ორგანიზაციების მიხედვით იყო გათვალისწინებული. პირველად ინსტიტუტში 20 მაისს, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტიულ კრებაზე იქნა განხილული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი. ამ კრების შესახებ შედარებით ვრცლად მოგვიწევს საუბარი, რადგან სწორედ აქ გაუღერდა პირველად ინსტიტუტში და ვფიქრობ, ქალაქშიც, კონსტიტუციის პროექტის იმ შესწორებების შეტანის აუცილებლობის შესახებ, რაც 26 მაისის ბათუმის მიტინგის მონაწილეთა ძირითად მოთხოვნად იქცა. პროექტის 70-ე მუხლში, რომელიც ენის საკითხს ეხებოდა, არაფერი იყო ნათქვამი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსზე.

კრების თითოეულ მონაწილეში, და მათ შორის ჩემშიც, ცოცხლობდა თბილისის 14 აპრილის ექო და განცდები, მაგრამ ჩემში ამას ემატებოდა ისეთიც, რომელიც ალბათ, საქართველოს სხვა კუთხის შვილებს არ განუცდიათ. იმ ხანებში მოსკოვში გამოსულ გაზეთში წერდნენ „თარგმნილი აჭარულიდან“, რაც იმას გულისხმობდა, რომ არის აჭარული ენა, რომელსაც აჭარლები იყენებენ. ხოლო 1977 წელს დაბეჭდილ სტატისტიკურ კრებულში «Население СССР» ეწერა: საქართველოში ცხოვრობენ – ქართველები, აფხაზები, ოსები, აჭარლები, რუსები და ა.შ.; ჩვეულებრივ საუბარშიც, განსაკუთრებით, საქართვე-

ლოს საზღვრებს გარეთ, საკმაოდ ხშირად, საჭირო ხდებოდა იმის მტკიცება, რომ აჭარის არ-ში მცხოვრები აჭარლები ქართველები არიან. ამიტომ, კრების დასაწყისშივე, როცა პროექტის ძირითადი დებულებები მოხსენდა დამსწრებს, სიტყვაში გამოსვლა მოვითხოვე. დამსწრებს მოვახსენე ყველა ზემოთქმული უხერხულობები და გაუგებრობები, რაც ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის სპეციფიკურიობიდან გამომდინარეობდა და დავსვი საკითხი, პროექტის 70-ე მუხლში შეტანილიყო დებულება, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის მშობლიური ქართული ენა“. სიტყვით „მშობლიური“ ვფიქრობდი, რომ განსაკუთრებით გაესმებოდა ხაზი აჭარლების ეთნიკურ ქართველობას. მე მაშინ ვთვლიდი და ახლაც მიმაჩნია, რომ აჭარის არ კონსტიტუციაში ქართული ენისათვის სახელმწიფო სტატუსის ჩაწერას სწორედ ეს ფუნქცია უნდა შეესრულებინა. სხვა შემთხვევაში, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლში 14 აპრილს დაფიქსირებული დებულება, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული, ისედაც ვრცელდებოდა აჭარაზეც, როგორც საქართველოს სსრ-ში შემავალ ავტონომიურ ერთეულზე.

შემდეგ, კრებაზე სიტყვით გამოსულმა სერგო დუმბაძემაც იგივე მოთხოვნა დააყენა იმის დამატებით, რომ პროექტის პრეამბულაში დაიწუნა გამოთქმა „აჭარელი ხალხი“ და უფრო დეტალურად ახსნა აჭარის ავტონომიის სპეციფიკურობა.

აქ მოტანილი მასალის მეტი დამაჯერებლობისათვის გვინდოდა 20 მაისის კრების ოქმის დამოწმება, მაგრამ არქივში იგი არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ვნახეთ 29 მაისს ჩატარებული ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის კრების ოქმი, სადაც უფროსი მასწავლებელი ნაზი მიქელაძე ამბობს: „20 მაისს ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტიულ კრებაზე სერგო დუმბაძის და ბიჭიკო დიასამიძის მიერ დაყენებული საკითხები რომ გაეთვალისწინებინათ, 26 მაისის ამბები არ მოხდებოდაო“ (ასს ცსა, ფ.75, ან.1, ს.214, გვ. 26).

კონსტიტუციის პროექტები განიხილეს ინსტიტუტის სხვა საფაკულტეტო (ფიზიკა-მათემატიკის, ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის) პარტიულმა ორგანიზაციებმაც და შენიშვნები და წინადადებები გაეგზავნა საკონსტიტუციო კომისიას. წინადადებები და შენიშვნები შესულა საკონსტიტუციო კომისიაში სხვა დაწესებულებებიდანაც (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან, ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმიდან, 76-ე პროფტექნიკური სასწავლებლიდან, საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის საინსპექციო პუნქტიდან და სხვა (ფაღავა, 1978).

პედაგოგიური ინსტიტუტის მსგავსად, პროექტის განხილვას მწვავე ხასიათი მიუღია აჭარის მწერალთა ორგანიზაციაშიც, მაგრამ ყველა წერილი, მიმართვა და მოთხოვნა საკონსტიტუციო კომისიის

მხრიდან უპასუხოდ დარჩა (დუმბაძე, 2012, 401). არადა, მოსახლეობაში, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში, სტუდენტებში – კონსტიტუციის პროექტის 70-ე მუხლი, ქართული ენის სტატუსის საკითხი კითხვებსა და უკმაყოფილებას იწვევდა. მასსოვს, ფაკულტეტის პარტიული კრების ჩატარებიდან 2-3 დღის შემდეგ, ჩემთან ბინაზე მეწვივნენ სტუდენტები: რუსუდან მეგრელაძე, ლილი ჭყონია და ნოდარ ქედელიძე თხოვნით, მომეთხრო მათთვის 20 მაისს პარტიულ კრებაზე ჩემი გამოსვლის შინაარსი, თან წამაკითხეს მათ მიერ შედგენილი საკონსტიტუციო კომისიისათვის გასაგზავნი წერილის შინაარსი. ახრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ წავიდნენ იმ გადაწყვეტილებით, რომ შეხვედროდნენ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს. როგორც ლილი ჭყონიამ მომითხრო და რ. მეგრელაძის მოგონებაშიც ჩანს (მეგრელაძე, 1997:5), ლილი, რუსუდანი და მალხაზ სიორიძე შეხვედრიან დოც. აბელ სურგულაძეს და ერთად უმუშავიათ მთავრობაში წარსადგენი მოთხოვნების ტექსტზე. სტუდენტებთან აქტიური ურთიერთობა ჰქონდა იმ დროს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეს, პროფესორ შოთა ნიუარაძესაც.

სტუდენტებს შორის ამ პრობლემებზე ფიქრსა და კამათზე, კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებაზე და მაშინდელი ქალაქის ცენტრალურ (ლენინის) მოედანზე მიტინგის ორგანიზებაზე საკმაოდ სრულყოფილადაა მოთხრობილი რუსუდან მეგრელაძის, ვახტანგ დლონტის, ზურაბ ფირცხალაიშვილის, მამია ფაღავას და ნუგზარ ბერიძის ადრე გამოქვეყნებულ მოგონებებში, რომელთა გაცნობა და ინტერესებულ მკითხველს არ გაუჭირდება: ვფიქრობ, ჩვენი ნაშრომისათვის უფრო საინტერესოა ჩვენი თვალთ დანახულისა და მოსმენილის ანალიზი და შეფასება.

24 მაისს, დილით, გამზადებულ წერილზე, რომელშიც ძირითადად 20 მაისს პარტიულ კრებაზე გამოთქმული მოთხოვნები იყო ჩამოყალიბებული, ლილი ჭყონია, რუსუდან მეგრელაძე, თინათინ ნემსაძე და ნატო გოთოშია ინსტიტუტის შესასვლელში სტუდენტებს ხელს აწერინებდნენ საკონსტიტუციო კომისიაში წარსადგენად. ყველა ერთსულოვანი იყო და სწრაფად შეგროვდა 300 ხელწერა. სტუდენტებმა განცხადების წარდგენა დაანდეს ლ. ქამადაძეს, ნ. ქედელიძეს, ნ. გოთოშიას, ლ. ჭყონიას, მ. სიორიძეს, თ. ნემსაძეს, რ. მეგრელაძეს და მაშინ ახალგაზრდა პოეტს – ვ. დლონტს. პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ვ. პაპუნძიძე ქ. ქუთაისში წასული აღმოჩნდა. ამიტომ შეხვედრა მხოლოდ მეორე დღეს შედგა. უმაღლეს პარტიულ პირსა და საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს ვ. პაპუნძიძეს სასუბროდ მიუღია ვ. დლონტი, მ. სიორიძე და ნ. ქედელიძე. სტუდენტთა წერილის გაცნობისა და ორსაა-

თიანი კამათის შემდეგ, სტუდენტებს პასუხად მიუღიათ: „დამშვიდდნენ, დაწყნარდნენ და სწავლაზე იფიქრონ“ (მეგრელიძე, 1997:3).

სტუდენტები კი არ დამშვიდებულან, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში შეკრებილები მეორე დღის სამოქმედო გეგმაზე ბჭობდნენ და კამათობდნენ. ყველა ერთსულოვანი იყო, რომ ებრძოლათ ბოლომდე, ვიდრე მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდნენ. ამ მოთხოვნათაგან მთავარი იყო, რომ აჭარის კონსტიტუციის 70-ე მუხლში ჩაწერილიყო „აჭარის არ სახელმწიფო ენა ქართულია“. ამ თითქოსდა უბოროტო და ჩვეულებრივი მოთხოვნის განხორციელებას ბრძოლა სჭირდებოდა, რადგან იგი დიდი საბჭოეთის მესვეურთა გეგმებში არ ჯდებოდა!

26 მაისს, 10 საათზე აჭარის არ უმაღლესი საბჭოს სესია იწყებოდა, რომელსაც აჭარის არ კონსტიტუცია უნდა დაემტკიცებინა. მაშინდელი პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის შენობის წინ, ქალაქის მთავარ მოედანზე 500-დე სტუდენტი იყო შეკრებილი, თუმცა მათი რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა სხვა სასწავლებლებიდან (სამხატვრო, მუსიკალური) და სკოლებიდან მოსული მოსწავლეებით. მრავლად მოვიდა ქალაქის მოსახლეობაც. ითხოვდნენ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის გამოსვლას. ხელისუფლების წარმომადგენლები კი მოედნის გათავისუფლებას და თეატრში გადაადგილებას ურჩევდნენ მომიტინგეებს. სესიამ მუშაობა დაიწყო. მოედანი ხალხით ივსებოდა და რაც უფრო დრო გადიოდა, ხალხის ახალ-ახალი ნაკადები ავსებდა მოედანს. შეძახილები – „დედა ენა“, „სახელმწიფო ენა“ – ექოსავით ისმოდა. გამოჩნდა რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას პორტრეტები, გამოფინეს საიუბილეოდ კოხტად შესრულებული „დედა ენის“ ბანერი, ისმოდა პატრიოტული ლექსები და სიმღერები, პატარების წკრიალა ხმები, სოფლებიდან ჩამოსული ჭარმაგი მოხუცების გულში ჩამწვდომი სიტყვები. უწყვეტად მოდიოდა ხალხი ქალაქის მიმდებარე სოფლებიდან, მოედანი ხალხით გაივსო. ვითარება იძაბებოდა, მცხუნვარე მზეც თავისას შვრებოდა. მიტინგის ორგანიზატორი სტუდენტი გოგონები და ვაჟები ცდილობდნენ მიტინგის მართვის სადავეები ხელიდან არ გაეშვათ, იგი უმართავი არ გამხდარიყო. სტუდენტთა თანამგრძნობი და მხარდამჭერი უფროსი თაობის ვალი ახლა ის იყო, რომ ახალგაზრდები დაგვეცვა პროვოკაციებისაგან, რადგან ასეთ დროს ეს მოსალოდნელი იყო. მახსოვს, ერთმა მილიციელმა გამაფრთხილა: „ფრთხილად, თქვენ დაგდევენ, გისმენენ“. არც ის დამაფიქვლება, მშიერ მომიტინგე სტუდენტებს, რამდენიმე მილიციელმა რა ალაღად მიართვა პური და წყალი, ხოლო მოედნის მოსაზღვრედ მცხოვრებთა დამოკიდებულება მომიტინგეებისადმი ხომ განსაკუთრებული იყო: დასვენების შეთავაზება, წყალი, მედიკამენტუ-

ბი... ერთი სიტყვით, ამ დღემ ყველა გააერთიანა, ერთ შეკრულ მუშტად აქცია.

სესიაზე შესვენება გამოცხადდა, აჭარის ხელისუფალნი ბჭობდნენ, რა ღონისძიება მიეღოთ მომიტინგეთა დასაშოშმინებლად. ნუგზარ ბერიძე, იმ დროს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე, იგონებს: თათბირის დროს, ბათუმის სამხედრო გარნიზონის უფროსმა ვლადიმერ ტუტარინოვმა გადმომიჩურჩულა – „ნახევარი საათი მეყოფაო“ (ბერიძე, 2008). უნდა ვიგულისხმოდ, რომ გამორიცხული არ იყო ძალის გამოყენებაც, მაგრამ, მადლობა უფალს, ეს არ მოხდა.

მოსაღამოვდა, მიტინგის მონაწილეთა შორის ხმა გაერცვლდა: „შევარდნაძე ჩამოვიდაო!“ როგორც გაირკვა, ამ დღეს დაძაბული ვითარება შექმნილა სოხუმში. იქ კონსტიტუციაში აფხაზური ენის სახელმწიფო სტატუსის შეტანას ითხოვდნენ და ეღუარდ შევარდნაძე მიემგზავრებოდა ვითარების მოსაგვარებლად, მაგრამ თბილისის აეროპორტში ბათუმის ამბების გაგების შემდეგ, ბათუმისკენ აუღია გეზი.

მოედანზე შევარდნაძის გამოჩენას ახალი ძალით მოჰყვა შეძახილები: „დედაენა“, „ქართული – სახელმწიფო ენა“, „საქართველო“... შევარდნაძემ „დინამოს“ სტადიონზე მიიწვია მიტინგის მონაწილენი, მაგრამ არავინ წასულა, რამდენიმეს გარდა (ფადავა, 1998). შევარდნაძემ სცადა აეხსნა ხალხისთვის, რომ ქართულ ენას საფრთხე აღარ ემუქრებოდა, მაგრამ არ ცხრებოდა შეძახილები: ქართული ენა – სახელმწიფო ენა, ქართული ენა – სახელმწიფო ენა...

სესია დამთავრდა, კონსტიტუცია მიღებულია, მთავრობის წევრები და დეპუტატები გაიკრიფენ, შევარდნაძე მიტინგის მონაწილეებისაკენ დაეშვა, ხალხმა ფართო დერეფანი შექმნა მის გასატარებლად. ისიც მთავრობის სასახლეში გადავიდა. მიტინგის მონაწილეთა რაოდენობა იზრდებოდა, შეძახილები და მოთხოვნები უფრო რადიკალური გახდა... კარგა ხნის შემდეგ, გამოჩნდა ეღუარდ შევარდნაძე კვლავ შეძახილები, მაგრამ ხელის აწევით ყველას აგრძნობინა, რომ რაღაც განსაკუთრებულის თქმას აპირებდა. – ახლახან მოსკოვიდან, ცენტრალური კომიტეტისაგან მივიღე თანხმობა, რომ ივნისის შუა რიცხვებში ჩატარდება აჭარის უმაღლესი საბჭოს სესია, სადაც ცვლილებები შევა კონსტიტუციის 70-ე მუხლში და დაკმაყოფილდება თქვენ მოთხოვნა, – განაცხადა შევარდნაძემ და ყველას თხოვა დაშლილიყვნენ. ხალხი არ იშლებოდა, ნათქვამი არ სჯეროდა... მას რამდენჯერმე დასჭირდა ფიცის დადება, რომ გამარჯვებით აღფრთოვანებული ხალხისგან მოედანი დაცლილიყო.

გრძელი და დამღლევი იყო 26 მაისის მომდევნო დღეები, რადგან იყო ეჭვი, შიში, რომ ხალხი მოტყუებული არ დარჩენილიყო. იყო

პროვოკატორთა მიერ გაღიზიანებული ახალგაზრდების შეკავების აუცილებლობა, რომ სტამბის აღების გადაწყვეტილების შესრულება არ ეცადათ. ასე მივიდა აჭარის საზოგადოება 15 ივნისამდე, როცა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის საკითხი, ხოლო აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 22 ივნისს გამოსცა ბრძანებულება აჭარის ასსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) „70-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ. ბრძანებულება გამოქვეყნდა 1978 წლის 24 ივნისის გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“.

1978 წლის 14 აპრილისა და 26 მაისის მოვლენებიდან 36 წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ ამ დღეების ბრწყინვალეობა არ ქრება, რადგან მათ აჩვენებს, რომ თუ ერი, მისი ყველა თაობა და ხელისუფლება ერთი მიზნისთვის იბრძოლებს, გამარჯვებასაც მიაღწევს. ამ დღეებმა აჩვენა, რომ ყველა დროს თავისი გმირები ჰყავს. ის სტუდენტი გოგონები და ვაჟები, რომლებიც არ შეუშინდნენ იმდროის რეჟიმის მოსალოდნელ რეპრესიებს და გადაწყვიტეს უფროსი თაობის მიერ დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანათ და შესძლეს კიდევ, ჩვენი დროის გმირები არიან. ამის თქმა იმიტომაც არის საჭირო, რომ ჩვენს რთულ დღევანდელობას სწორედ ისეთი, მიზანმიმართული და პატივით სული ახალგაზრდობა სჭირდება.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ასს ცსა, ფ.75, ან.1, ს.214 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 75, ანაწერი 1, საქმე №214.

ბაუაშვილი, 1992: – პ. ბაუაშვილი, გაზ. „აჭარა“, 1992, 24 ივლისი.

ბერიძე, 2008: – ნ. ბერიძე, 1978 წლის 26 მაისი ბათუმის ცენტრალურ მოედანზე, გაზ. „აჭარა“, 2008, 24 მაისი.

გიორგაძე, 1989: – ო. გიორგაძე, გაზ. „კარიბჭე“, 1989, 31 აგვისტო.

დუმბაძე, 2012: – ს. დუმბაძე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა XX საუკუნის 50-70-იან წლებსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, IV, ბათუმი.

კონსტიტუცია, 1978: – საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), თბილისი, 1978.

კუჭავა, 1989: – დ. კუჭავა, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989, 24 ოქტომბერი.

კუჭავა, 1992: – დ. კუჭავა, გაზ. „აჭარა“, 1992, 24 ივნისი.

მეგრელაძე, 1997: – რ. მეგრელაძე, 1978 წლის 26 მაისი ბათუმში, – კრ.: საისტორიო მაცნე, 1997, №6.

**ფაღავეა, 1998:** – მ. ფაღავეა, 14 აპრილის გამოცხადებული ბათუმში, გაზ. „აჭარა“, 1998, 14 აპრილი.

**ფირცხალაიშვილი, 1990:** – ზ. ფირცხალაიშვილი, გაზ. „თეთროსანი“, 1990, №1.

**ღლონტი, 1989:** – ვ. ღლონტი, გაზ. „კარიბჭე“, 1989, №4.

**Bichiko Diasamidze  
(Batumi, Georgia)**

### **One Heroic Day of Batumi**

#### **Summary**

The thesis argues the necessity of indication of national status of the Georgian language in the constitution against a background of specification of the hard past of Adjara and giving it the status of autonomous republic. Besides, the author illustrates the role of the professors and students in realization it and participation of every group of society in the protest meeting organized by the students unusual for that period.

## საქართველოს ევროპული ორიენტაცია (1991-1995)

საქართველოს სწრაფვა ევროპული ღირებულებებისაკენ დასაბამს უძველესი პერიოდიდან იღებს. ამ მიმართულებით სპეციალური გამოკვლევები არსებობს ქართულ ისტორიოგრაფიაში. მუდმივად დასავლური და აღმოსავლური ფენომენის გადაკვეთა ქართულ სინამდვილეში თავისებურ ასახვას პოულობდა და შეიძლება ითქვას, თანამედროვე ქართული ნაციის ფორმირებაში სწორედ საუკუნეების მანძილზე არსებულმა ამ ჭიდილმა იქონია გავლენა და გამოაწრო ქართველი ერის ცნობიერება. მართალია, XX საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული მოვლენები, მათი ცალკეული მხარეები არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა შესწავლის ობიექტი, მაგრამ ჩემი მიზანია ყურადღება გაგამახვილო როგორ გამოიხატებოდა ევროპული ფასეულობებისკენ ქართველების სწრაფვა.

საქართველო უძველესი პერიოდიდან მოყოლებული პრეტენზიას აცხადებდა და ჰქონდა მცდელობა ევროპულ ოჯახში გაწევრიანებისა. ამ მიმართულებით, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანაში, თუმცა საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობამ შეაფერხა ეს პროცესი. მას შემდეგ რაც აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, 1991 წელს დღის წესრიგში კვლავ დადგა ევროპაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება. ბუნებრივია, იმ ვითარებიდან გამომდინარე რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო.

XX საუკუნის 90-იანი წლები ერთ-ერთი რთული და მრავალმხრივი ეტაპია საქართველოს ისტორიაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ, დღის წესრიგში მრავალი კარდინალური მნიშვნელობის საკითხის მოგვარება დააყენა. პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქართველო გახდა საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყანა და სახელმწიფოს პირველი პირი გახდა – პრეზიდენტი. შეიცვალა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართული სახელმწიფოებრიობის მოდელი. საქართველო ახალი ნაბიჯების გადადგმას იწყებდა და ახალ გამოწვევებს პასუხობდა. ფაქტობრივად, საქართველოს ისტორიაში ახალი ეპოქა დადგა. თუმცა დამოუკიდებლობის აღდგენას პრობლემები უცებ არ გადაუწვევტია, პირიქით, საქართველო ახალ გარემოში, განსხვავებული ფორმით უნდა დამკვიდ-

რებულიყო. ბუნებრივია, ის ისტორიული სირთულეები, რაც მუდმივად თან სდევდა საქართველოს, არც ამ დროის მონაკვეთში იყო უცხო და ალბათ, უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, კიდევ მეტად გამოკვეთილი და ქაოსური. ისტორიისთვის არა მარტო წლები, არამედ საუკუნეებიც კი არაფერს ნიშნავს და მით უფრო რთული იყო დროის მცირე მონაკვეთში ცხოვრების თავიდან დაწყება, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული მენტალიტეტის, ცნობიერების შეცვლა და ახლის ფორმირება, რასაც თან ერთვოდა გაუთავებელი ბრძოლები.

ეს არის წლები, რომლებიც სრული ანარქიით, ურთიერთდაპირისპირებით, დაძაბულობით და ახალი ქართული ნაციის ფორმირებისთვის ბრძოლით გამოირჩევა. აქ გამოიყოფა შემდეგი საკითხები: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, პირველი პრეზიდენტის არჩევა, სამოქალაქო ომი, ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლა და მისი მმართველობა. ფაქტობრივად, ათი წლის მანძილზე საქართველოში საუკუნის მნიშვნელობის მოვლენები ხდება და ეს ყოველივე ქართველი ერის ცნობიერების განვითარებაზე და ზოგადად, საქართველოს ცხოვრებაში თავისებურ ასახვას პოულობდა.

საქართველოს პირველი პრეზიდენტი დასავლეთთან მიმართებაში შემდეგნაირ შეფასებას აკეთებდა: „დასავლეთის წყრომას ჩვენს მიმართ, კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ მას გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპულ ხალხს... ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა სწორედ საერთო ევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი (მხედველობაში მაქვს ხელისუფლება და არა ხალხები) ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია გაანადგურონ ერის ცნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი სათავეში მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთაერობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგი. ახალი მსოფლიო წესრიგის არსია: განადგურება სახელმწიფოს (ქრისტიანული იქნება ის თუ მუსულმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას) დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა“ (ცხრა ინტერვიუ., 1995: 17).

დასავლეთთან მიმართებაში სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება არსებობდა. ზვიად გამსახურდიას აზრით „ახლა კარგად გავერკვეთ თუ რას ნიშნავს დასავლური ორიენტაცია. ზოგიერთს დასავლური ორიენტაცია ჰგონია დასავლეთის პორნოგრაფიული და სადისტური ფილმების კულტი, განგსტერების „ჰეროიკა“, დასავლური მოდეების

წამხედურობა, დასავლეთის წინაშე ხელგაშვერილი დგომა უცხოური კრედიტების მოლოდინში, საექვო პოლიტიკური გარიგებები ზგოერთ პოლიტიკურ ავანტიურისტებთან, მათი მოწვევა საქართველოში, საქართველოს ბუნებრივ და წიაღისეულ სიმდიდრეთა, კურორტების, პორტების და საწარმოო ობიექტების მიყიდვა დასავლეთისათვის და სხვა. ასეთ დასავლურ ორიენტაციას ვგმობთ... დასავლეთის კულტურა, ცივილიზაცია, ხელოვნება, პოლიტიკური ნააზრევი, ფილოსოფია, სოციალური და სამართლებრივი სისტემები უადრესად ახლოა ჩვენთვის, რომ ჩვენის თვალსაზრისით, ამის ათვისება და გათავისება დასავლური, ღია დემოკრატიული საზოგადოების აშენება არის დასავლური ორიენტაცია და არა სხვა რამ“ (საქართველოს პრეზიდენტი., 1995: 12).

1991 წლის 18 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას: „საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც ესწრაფვის მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებს შორის ადგილის დამკვიდრებას, ცნობს საერთაშორისო სამართლის პრინციპს, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში და მზად არის უმოკლეს ვადაში შეუერთდეს საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანეს კონვენციებს, დეკლარაციებს, პაქტებს, მოახდინოს მათი რატიფიკაცია. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მოგმართავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რათა მხარი დაუჭიროთ საქართველოს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და ამით ხელი შეუწყოთ ქვეყანაში დემოკრატიის და სტაბილური სიტუაციის დამკვიდრებას. თქვენი მხარდაჭერის მკაფიო გამოვლინება იქნება საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელთა მოწვევა გაერთიანებული ორგანიზაციის მრავალმხრივ საქმიანობაში მონაწილეობისათვის“ (საქართველოს უახლესი... 2011: 297).

საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მიმართავდა აშშ პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს: „ვიმედოვნებთ, რომ ამერიკელი ხალხი და აშშ-ის მთავრობა მიესალმებიან ქართველი ხალხის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, რაც გამოიხატა მის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებაში. იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ საქართველო მალე მიაღწევს სრულ დამოუკიდებლობას მსოფლიოს ერთა თანამეგობრობის დემოკრატიული წრეების, პირველ რიგში აშშ-სა და პირადად თქვენი მხარდაჭერით ბ-ნო პრეზიდენტო“ (გამსახურდია, 1997: 53).

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს სწრაფვა დასავლური სამყაროსადმი ნათლად გამოკვეთილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პირველ პრეზიდენტს ხშირ შემთხვევაში მიიჩნევენ როგორც დასავლური სამყაროსადმი უარყოფითად განწყობილ პირად, თუმცა არსებული მონაცემები, როგორც არის მისი მიწერილობანი ევროპის, აშშ-ს და გაეროს წარმომადგენლობებისადმი

ადასტურებს ზვიად გამსახურდიას სწრაფვას დასავლეთისკენ. მაგრამ მისმა ხანმოკლე მოღვაწეობამ პრეზიდენტის პოსტზე საშუალება არ მისცა განეხორციელებინა ჩანაფიქრი.

დასავლეთისკენ აღებული გეზი გაგრძელდა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც. აღნიშნულის გამოხატულება იყო 1992 წელს გაეროში გაწევრიანება. არაერთი ევროპელი ლიდერის საქართველოში ჩამოსვლა და მხარდაჭერის გამოხატულება მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდა. მათ შორის იყვნენ: აშშ სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, გერმანიის ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს დიქტრის გენშერი. „1995 წლისთვის საქართველოს ორმხრივი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული 90 სახელმწიფოსთან. 22 ქვეყანასთან შექმნილი იყო სამართლებრივი ბაზა, ორმხრივ სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა სხვადასხვა დარგში განვითარებისათვის“ (მჭედლიძე, 1999: 478).

1992 წელს საქართველო-აშშ-ის ურთიერთობის ისტორიაში მნიშვნელოვანი იყო ჩვენს ქვეყანაში აშშ-ის საელჩოს გახსნა. ამ ფაქტს შემდეგნაირად ეხმაურება გაზეთი „თიანეთი“: „24 აპრილს სასტუმრო „მეტეხის“ ფლაგშტოკზე აფრიალდა ამერიკის დროშა, რომელმაც გვაუწყა, რომ თბილისში გაიხსნა აშშ საელჩო. ამიერიდან საქართველო და აშშ გამართავენ უშუალო დიალოგს, თვითონ გადაწყვეტენ თავიანთ სახელმწიფო ურთიერთობის საქმეებს, დასახავენ თანამშრომლობის სფეროებს, გაცვლიან სხვადასხვა დონის დელეგაციებს, დადებენ ხელშეკრულებებს, გადაწყვეტენ ამ სახელმწიფოებისათვის საინტერესო პრობლემებს“ („თიანეთი“, 1992: 1).

აღნიშნული ფაქტის შემდეგ საქართველო-აშშ ურთიერთობა განვითარების ახალ ფაზაში გადავიდა, რაც პირველ რიგში გამოიხატა ეკონომიკური კავშირების გაძლიერების თვალსაზრისით, რაც ბუნებრივია ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. კერძოდ, 1993 წლის 1 მარტს აშშ-ის ელჩმა საქართველოში, კენტ ბრაუნმა და საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას სავაჭრო ურთიერთობის შესახებ. „ხელშეკრულების ძირითად მიზანს წარმოადგენს აშშ-ის მოქალაქეებს, კომპანიებსა და ქართულ მხარეს შორის უშუალო კომერციული კავშირების გადრმავება ხელისმომწერ ქვეყანათა ტერიტორიებზე, რაც თავისთავად გააღწევენას იქონიებს ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვის ზრდაზე. აღსანიშნავია, რომ აშშ ამგვარი ხელშეკრულების დადებას დიდი სიფრთხილით ეკიდება, ხელს არ აწერს ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც, მისი აზრით, არაღემოკრატული ორიენტაციისა“ („მომომხილველი“, 1993: 3).

1993 წელს აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ედუარდ შევარდნაძეს წერილი გამოუგზავნა, რასაც შემდეგნაირად აფასებს გაზეთი „ეთერშია საქართველო“: „რადიო „ამერიკის ხმა“ იმოწმებს ამერიკულ პრესას და ამბობს, რომ საქართველოსათვის კრიტიკულ პერიოდში აშშ ყოველგვარი ეჭვები გაფანტა იმის თაობაზე, თუ ვის ემხრობა ვაშინგტონის ადმინისტრაცია“. ამერიკა მხარს უჭერს ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო უწყების ხელმძღვანელად ყოფნისას აშკარად პროდასავლურ ორიენტაციას გამოხატავდა“ (**„ეთერშია საქართველო“**, 1993: 1).

„დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სერ როდრიკ ბრეთვეითმა რწმუნების სიგელები გადასცა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს. ელჩმა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გადასცა პრემიერ-მინისტრის ჯონ მეიჯორის წერილი, რომელშიც, კერძოდ ნათქვამია: „განსაკუთრებით მახარებს შესაძლებლობა, რომ მომავალში შემძღვრულია განვაგრძო ერთობლივი მუშაობა და განვაითაროთ საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობა“ (**„თიანეთი“**, 1992: 1).

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლის საქართველოში სტუმრობა და ფინანსური დახმარების აღმოჩენისთვის მხადყოფნის გამოთქმა. „1995 წლის 5 მაისს თბილისს ეწვია საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორი მიშელ კამდესიუ. იგი შეხვდა ე. შევარდნაძეს და ო. ფაცაციას. მისი დაპირების მიხედვით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შემუშავებული სამწლიანი პროგრამის მიხედვით, კვლავ განაგრძობს საქართველოსადმი ფინანსურ დახმარებას“ (**მჭედლიძე**, 1999: 479-480).

ამდენად, XX საუკუნის 90-იანი წლები საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი რთული და წინააღმდეგობებით სავსე ეტაპია. ერთი მხრივ, საქართველო ხდება დამოუკიდებელი სახელმწიფო და მეორე მხრივ, მის წინაშე დგება მთელი რიგი პრობლემები, რაც დაკავშირებულია ქვეყნის პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან.

მართალია, საბჭოთა სისტემამ შეწყვიტა არსებობა და მის შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფოები დამოუკიდებლობას აღწევნა და მათ შორის საქართველო, თუმცა ჩვენი ქვეყნისთვის არცთუ ისე მარტივი იყო ახალი ცხოვრების დაწყება ახალი სტატუსით. ეს ყოველივე კი, ბუნებრივია, თავისებურ ასახვას პოულობდა საქართველოზე. იმ ეტაპზე, როდესაც ქვეყანაში რთული ვითარება სუფევდა და მრავალი პრობლემა გადაუჭრელი რჩებოდა, რთული იყო საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის წარმართვა. ამიტომ, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები დადებითი კუთხით შეგვიძლია განვიხილოთ.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**გამსახურდია, 1997:** – კონსტანტინე ზ. გამსახურდია, დინების საწინააღმდეგოდ, თბილისი.

**„ეთერშია საქართველო“, 1993:** – გაზ. „ეთერშია საქართველო“, 1993, №34.

**„თიანეთი“, 1992:** – გაზ. „თიანეთი“, 1992, №31-32.

**„მიმომხილველი“, 1993:** – გაზ. „მიმომხილველი“, 1993, №11.

**მჭედლიძე, 1999:** – მჭედლიძე გ., ისტორია უდისტანციოდ, ქუთაისი.

**საქართველოს პრეზიდენტი.., 1995:** – საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია 1992-1993, სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“, თბილისი.

**საქართველოს უახლესი... 2011:** – საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. II, მასალები მოიძიეს, ქრონოლოგიურად დაალაგეს და გამოსაცემად მოამზადეს ედიშერ გვენეტაძემ და ზაზა კალანდიამ, თბილისი.

**ცხრა ინტერვიუ.., 1995:** – ცხრა ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის ზვიად გამსახურდიასთან, სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“, თბილისი.

**Nato Songulashvili**  
(Tbilisi, Georgia)

## European Orientation of Georgia (1991-1995)

### Summary

Aspiration of Georgia to European values dates back to the ancient period. In this regard, there is a special study in Georgian historiography, but another issue is revealing and study of European values in Georgian, national identity. Constantly, crossing of Western and Eastern phenomenon in Georgian reality seemed peculiarly and, it can be said, this struggle have an influence in the formation of the modern Georgian nation and tempered the nation's consciousness.

In 90th of XX century, the issue, how to develop a way of Georgian governmental thinking and as a subject, was acute. It was necessary to outline the importance of those values, on which would be built the future of Georgia. After the collapse of the Soviet Union, the idea of Georgian society and statehood needed some revision and it was natural. With the development of traditional Georgian values, in this period, Georgian-Western relations were actual. Georgia claimed to join the family of the western states. This process was going with changes and transformation.

## „აჭარათა ტალახის“ ფალსიფიცირებული საქმე და სომეხთა ინტერესები

პირველ მსოფლიო ომში გერმანიასა და მის მოკავშირეებს საკმაოდ სერიოზული გეგმები გააჩნდათ ამიერკავკასიის მიმართ. განსაკუთრებით ოსმალეთის რევანშისტული მისწრაფებები გამოირჩეოდა: იგი სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული ამ რეგიონიდან რუსეთის განდევნითა და საკუთარი ჰეგემონიის დამყარებით. ოსმალეთის რევანშისტულ სულისკვეთებას გერმანია კვებავდა. ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დაწყებამდე ოსმალეთში მივლინებული იქნა გერმანიის სამხედრო მისია, რომელმაც აქ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა. მისიის წევრებმა წამყვანი თანამდებობები დაიკავეს ოსმალეთის არმიასა და ფლოტში.

საკუთარი გეგმების შენიღბის მიზნით, 3 აგვისტოს, ოსმალეთმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, თავად კი გამალებით შეუდგა საომარ მზადებას და ამიერკავკასიის მიმართულებით 200 000-მდე მეტროქოლს მოუყარა თავი. რეგულარული ჯარის ნაწილებთან ერთად მობილიზებული იყო მოხალისეთა რაზმები, ე. წ. „ჩეთნიკები“ (სიორიძე, 2002: 65-66).

ამიერკავკასიის ფრონტზე უპირატესი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა საზღვრისპირა ჭოროხის ხეობას, განსაკუთრებით კი ბათუმ-აჭარას. 30 ოქტომბერს ოსმალური სამხედრო ნაწილები ბათუმის მიმართულებით შეტევაზე გადმოვიდნენ, ხოლო ნოემბრის დასაწყისში ოსმალეთი ოფიციალურად ჩაება მსოფლიო ომში. ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომის საბრძოლო მოქმედებები გაიშალა.

ბათუმის პარალელურად, თურქები არტაან-ყარსის მიმართულებით უტევენ. სამაჰმადიანო საქართველოს დაკავების შემდეგ, ამიერკავკასიის სიღრმეში შესვლა, ბაქოსა და მთელი კავკასიის დაპყრობა და აქედან ვოლგისპირეთსა და შუააზიაში გაჭრა იგეგმებოდა. ოსმალები „დიდი თურანის“ შექმნაზე ოცნებობდნენ (სდსინ, 2008: 360).

ჭარბი ძალებით შემოტევამ ოსმალებს ომის დასაწყისში წარმატება მოუტანა, რასაც ზედ დაერთო რეგიონში რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენელთა უნიათობაც. თურქებმა დაიკავეს მდ. ჭოროხის და აჭარისწყლის ხეობები, მაგრამ ბათუმის აღება და ქუთაისისკენ გზის გაგრძელება ვეღარ შესძლეს.

ოსმალთა რეგულარული ჯარის ნაწილები და „ჩეთნიკები“ აჭარის სოფლებს მოედვნენ. ისინი რელიგიურ-იდეოლოგიური დარწმუნების მეთოდებითა და იძულების სხვადასხვა ფორმებით ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობა თავის მხარეზე გადაებირებინათ, თუმცა სასურველი შედეგი ვერ მიიღეს.

ოსმალთა ოკუპაცია ხანმოკლე აღმოჩნდა (1914 წ. ნოემბერი - 1915 წ. მარტი). რუსეთის მრავალეროვნულმა არმიამ, რომლის თვალსაჩინო ნაწილს ქართველები შეადგენდნენ, 1915 წლის თებერვალ-მარტში გაათავისუფლა ჭოროხის ხეობა, 1915 წლის მეორე ნახევარში – ე.წ. „ოსმალეთის ღაზეთი,“ ხოლო 1916 წლის აპრილში იგი ქ. ტრაპიზონში შევიდა (სიორიძე, 2002: 81-85), რითაც შეიქმნა საქართველოს ისტორიულ საზღვრებში აღდგენის პირობები (თუნდაც, რუსეთის იმპერიის ფარგლებში). თუმცა, 1917 წლის რუსეთის რევოლუციების შედეგად წარმოქმნილმა საერთო ანარქიამ და ქაოსმა, არმიის პოლიტიზირებამ, მხედრული დისციპლინის მოშლამ და კავკასიის ფრონტის რღვევამ ეს უდიდესი ზოგადქართული საქმე ჩაშალა.

ბათუმის ოლქის დიდი ნაწილის ომის არენად გადაქცევამ მნიშვნელოვნად დააზარალა ეს მხარე. ამასთან, საომარ მოქმედებათა ადგილებიდან მრავალი ადამიანი აიყარა. ოსმალთა შემოსევით შეშინებული მოსახლეობის ერთმა ნაწილმა საქართველოს სხვა რაიონს შეაფარა თავი, ხოლო ადგილზე დარჩენილთაგან ბევრი 1915 წელს თებერვალ-მარტში უკანდასახვევისას მოწინააღმდეგემ ძალდატანებით წაიყვანა ოსმალეთში. ცარიზმის მოხელეებმა, ლტოლვილთა უკან დაბრუნებისათვის ხელშეწყობისა და ომით დაზარალებულთათვის დახმარების ორგანიზების ნაცვლად, აჭარის მოსახლეობა „საერთო სახელმწიფო ღალატში“ დაადანაშაულეს. დაიწყეს დაუსაბუთებელ ბრალდებებში ეჭვმიტანილ პირთა სიების შედგენა და დაპატიმრება; ბათუმში გახმაურებული სასამართლო პროცესები გაიმართა. ამ ცრუ ბრალდების ინიციატორები იყვნენ რუსეთის მაღალჩინოსანი სამხედროები, რომლებიც ამით ფიქრობდნენ უმადლესი მთავრობის წინაშე გაემართლებინათ მათ მიერ ომის დასაწყისში კავკასიის ფრონტზე დაშვებული სტარატეგიული შეცდომები, პირველი წარუმატებლობები და პანიკური უკან დახევა. ამგვარი ბრალდებით, აგრეთვე, იქმნებოდა იურიდიული საფუძველი ოსმალეთში გახიზნული და „მოღალატედ“ შერაცხული ადგილობრივი მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის და უძრავ-მოძრავი ქონების ჩამოსართმევად, მათ მიწა-წყალზე იმპერიისათვის სასურველი ელემენტების ჩამოსახლებისა და ამ საზღვრო მხარის კოლონიზაციის დასრულებისათვის. ოსმალთა თარეშისა და დარბევების შემდეგ, მაჰმადიან ქართველებს ახლა რუსი კაზაკ-პლასტუნების რისხვა დაატყდათ თავს.

არსებულ ვითარებას ცხადად წარმოგვიდგენს ცნობილი მწერალი დავით კვლიაშვილი. „საოცარ სანახაობას წარმოადგენდა ეს მხარე აჭარის წყლიდან დაწყებული. უკან დახევაზე ოსმალებს თან გაერეკათ მცხოვრებნი და სრულიად დაეცარიელებინათ აქაური სოფლები. შემდეგ აქ გადაიარა რუსის ჯარმა – ყაზახ-პლასტუნებმა, განთქმულმა თავიანთი მხეცობით, შეუბრალებლობით და მცარცველობით. ამათ სულ ერთიანად მოფშენეს ღვთის ანაბარად მიტოვებული სოფლები; იყვნენ გაუმაძღარ ცარცვაში – საცარცვაჲ კი ბლომად იყო, რადგან გარეკილი მცხოვრებლები იძულებულები იყვნენ მიეტოვებინათ მთლად თავიანთი ავლა-დიდება, თავისი ქონება. ცარცვას არ სჯერდებოდნენ პლასტუნები, შეუბრალებლად აქცევდნენ სახლებს, წვაავდნენ, რაც საუკეთესო შენობები იყო. საზარელ სანახაობას წარმოადგენდა ეს ჩაყრუებული, ჩაღუმებული, გადამწვარი სოფლები“, – დანანებით მიუთითებს იგი (კვლიაშვილი, 1984: 192).

განსაცდელისაგან თანამომხეები იხსნა ქართული საზოგადოების ერთიანმა პროტესტმა და თანადგომამ. ეს იყო საერთო-ეროვნული მოძრაობა, რითაც ქართველი მაჰმადიანები გადაურჩნენ არა მარტო შიმშილით სიკვდილს, გადასახლებას და ფიზიკურ განადგურებას, არამედ საგრძნობი დახმარება გაეწიათ ომით გაპარტახებული სახლკარის და მეურნეობის აღდგენაშიც. გარდა ამისა, 1916 წლიდან, აჭარის სოფლებში აქტიურად დაიწყო ქართული სკოლების და ბიბლიოთეკების გახსნა, გააქტიურდა ეროვნული პროპაგანდა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ მაჰმადიანთა ეროვნული გათვინობიერებისა და საქრისტიანო საქართველოსთან მათი შემდგომი დაახლოების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო პროცესებზე მოწმეების როლში, ძირითადად, სომეხი ეროვნების პირები გამოდიოდნენ, რომლებიც ქართველ მაჰმადიანთა წინააღმდეგ იძლეოდნენ ჩვენებებს. ეს არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა.

XVIII საუკუნის II ნახევრიდან მოკიდებული, სომეხები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ რუსეთის იმპერიასთან. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ მთელი XIX საუკუნის მანძილზე რუსეთის მიერ ამიერკავკასიაში პოლიტიკურად დაუფლებულ ტერიტორიებს, ეთნიკურად და ეკონომიკურად სომეხები ითვისებდნენ.

იგივე სულისკვეთებით ამოქმედდნენ სომხური პოლიტიკური წრეები პირველი მსოფლიო ომის დროს. დაშნაკ ცუტიუნისა და გნჩაკის ლიდერებმა ამიერკავკასიის ქალაქებში, სადაც სომხური მოსახლეობა ცხოვრობდა, სასწრაფოდ დაიწყეს ნაციონალური კომიტეტებისა და სამხედრო რაზმების ჩამოყალიბება, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. პარალელურად, ამი-

ერკავკასიის ქართული და მაჰმადიანური მოსახლეობის წინააღმდეგ გააჩაღეს ყოველგვარ ზომიერებას მოკლებული, მიზანმიმართული კამპანია. ცილს წამებდნენ მათ თურქოფილობასა და ოსმალური ინტერვენციის ხელშეწყობაში და ცდილობდნენ მათ მიმართ რუსეთის იმპერიის რისხვა გამოეწვიათ. შევიწროებული, რეპრესირებული მეზობლების ხარჯზე კი „დიდი სომხეთის“ იდეის რეალიზება იგეგმებოდა. სომეხთა ეს წრეები საიდუმლოდ დაკავშირებული იყვნენ კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვთან და მისი დახმარებით ფიქრობდნენ მიზნის მიღწევას.

1915 წლის გაზაფხულში, როდესაც რუსეთის ჯარმა დაიწყო კონტრშეტევები ოსმალთა არმიაზე, დაშნაკ ცუტიუნის ემისრებმა მიმართეს ტერიტორიის ეთნიკური წმენდის ტაქტიკას. მათ დაიწყეს ფართომასშტაბიანი შეიარაღებული აჯანყება და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის გამოთავისუფლება ოსმალური მოსახლეობისაგან.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ცხადია, რომ სომეხთა აქტიური მონაწილეობა „აჭარელთა დალატის“ ფალსიფიცირებულ საქმეში შემთხვევითი არ ყოფილა. იგი მიზნად ისახავდა აჭარელთა და სხვა ქართველი მაჰმადიანების ბრალეულობის დამტკიცებას და მათი გასახლების შემდეგ გაუკაცრიელებული ბათუმისა და მიმდებარე ქართული მიწების სომეხი კოლონისტების მიერ ეთნიკურ-დემოგრაფიულ ათვისებას.

ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები 1915 წლის 4 ოქტომბერს კავკასიის მაფისნაცვალ ნ. რომანოვისადმი წარდგინებულ მოხსენებაში შენიშნავენ: „როგორც კი დაიწყო თურქეთთან ომი, ოლქში მოსულმა მოვაჭრე მოსახლეობამ, რომლებსაც ადგილობრივი მკვიდრნი ეკონომიკურად დამონებული ჰყავთ და ცდილობენ მათ გაძევებას მამა-პაპისეული მიწა-წყლიდან, დაიწყეს მუსლიმანების დასმენა. მართალია, არც ერთი მათგანი არ დადასტურდა, მაგრამ მათ მაინც შეძლეს გამოეწვიათ სამხედრო უფროსობის უნდობლობა მაჰმადიანებისადმი. შედეგად ბათუმის გამაგრებული რაიონის ყველა სოფლიდან ომის დასაწყისშივე გაასახლეს მაჰმადიანური მოსახლეობა. მათი მეზობელი სომეხები და ბერძნები კი დატოვეს... ახლა კი ხელისუფლების დაუდევრობითა და ბოროტგანმზახველი პირებისა და ჯგუფების მოქმედებით, რომლებსაც სურთ თავიდან მოიშორონ აჭარელები, რათა დაეუფლონ მათ მიწებს, შექმნეს სურათი, თითქოსდა, საერთო დალატის შესახებ“ (სღსინ, 2008: 392).

სომეხთა ეს განზრახვა კიდევ უფრო სარწმუნო გახდება, თუ გავიხსენებთ როგორი დაჟინებით ცდილობდა სომხეთი ომისშემდგომ საერთაშორისო საზავო მოლაპარაკებებში ქართული შავიზრვისპირეთის მიტაცებას..

„1918 წ. სტამბოლში დაიბეჭდა სომხეთის (ვითომც ისტორიული) ფანტასტიკური რუკა, რომელიც შავი ზღვითგან კასპიის ზღვამდე მდებარე ადგილთაგან ხმელთაშუა ზღვამდე აღწევს და სელევიკის ჩრდილოეთით მიმავალი ხაზით ამ სრულად სომხეთის სამზღვარი კასპიის ზღვასთან თავდება; ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და ტფილისიც კი ამ რუკაზე სომხეთშია მოქცეული და საქართველოს პატარა ვიწრო ზოლი-და აქვს მიკუთვნებული“ – საგანგებოდ აღნიშნავდა სომეხთა გეგმებით შემოფოთებული ივ. ჯავახიშვილი (**სანიკიძე, 1991: 587**).

საქართველო-სომხეთს შორის დაპირისპირება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებული სიმწვავეთ გამოჩნდა ანტანტის უმაღლესი საბჭოს ლონდონის კონფერენციაზე, როცა მზადდებოდა თურქეთთან საზავო ხელშეკრულების პირობები.

დღის წესრიგში დადგა აშშ-ს სამანდატო „დიდი სომხეთის“ საზღვრების შემოხაზვისა და მისთვის შავ ზღვაზე გასასვლელის მიცემის საკითხი. ამასთან დაკავშირებით შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ გადაწყვიტა სომხეთისთვის ზღვაზე გასასვლელი მიეცა ბათუმის ოლქის ფარგლებში. იმავდროულად, გამოითქვა თვალსაზრისი ქ. ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადებისა და ბათუმის ოლქის დაყოფის შესახებ. ოლქის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილი მიეკუთვნებოდა საქართველოს, სამხრეთ ნაწილი კი სომხეთს. სომხეთის შემადგენლობაში უნდა შესულიყო აგრეთვე ლაზისტანი ავტონომიური ერთეულის სახით (**სიორიძე, 2011: 140-141**).

საქართველოს დელეგაციამ უსამართლოდ მიიჩნია უმაღლესი საბჭოს პოზიცია ბათუმის ოლქის დაყოფისა და საქართველო-სომხეთის საზღვრებთან დაკავშირებით. 16 მარტს მან საპროტესტო ნოტიო მიმართა უმაღლეს საბჭოს, რომელშიც პრობლემის მოგვარების ქართული ვარიანტი იყო ჩამოყალიბებული.

მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს სან-რემოს კონფერენციაზე 1920 წლის აპრილში ბათუმის საკითხის განხილვა ისევ გაგრძელდა. სომხეთის დელეგაციამ ბათუმის ოლქზე საქართველოს სუვერენიტეტის ცნობის სანაცვლოდ მოითხოვა მდინარე ჭოროხის მარცხენა მხარეზე რკინიგზის გასაყვანი ადგილისა და სარკინიზო ხაზის სრულ საკუთრებაში გადაცემა, რაც ქართული დელეგაციისთვის მიუღებელი იყო.

ცხადია, ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს ქართული შავიზღვისპირეთით სომეხთა დაინტერესების ხარისხზე. რომ არა ქართველთა ერთსულლოვანი პროტესტი და წინააღმდეგობა, რუსეთის იმპერიალისტური და სომეხთა შოვინისტური ძალების თანამშრომლობა წარმატებით დაგვირგვინდებოდა და ე. წ. „აჭარელთა საქმე“ სავალალოდ დასრულდებოდა ქართველი მაჰმადიანებისათვის.

ასეთი მძიმე კვალი დატოვა აჭარის ცხოვრებაში პირველი მსოფლიო ომის სისხლიანმა წლებმა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

**კლდიაშვილი, 1984:** – კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი.

**სანიკიძე, 1991:** – სანიკიძე ლ., წიგნი მოწამეთა, თბილისი.

**სდსინ, 2008:** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი.

**სიორიძე, 2002:** – სიორიძე მ., სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 1914-1918 წლებში, ბათუმი.

**სიორიძე, 2011:** – სიორიძე მ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, თბილისი.

**Oleg Jibashvili, Khatuna Diasamidze  
(Batumi, Georgia)**

### **Counterfeited Case of „Adjarians’ Treachery“ and Armenians’ Interests**

#### **Summary**

At the beginning of the WWI the Ottoman Empire used the numeral advantages on the Caucasian front and the mistakes made by Military and Civil government of the Russian Empire and occupied the most part of Adjara-Klarjeti.

The ottoman occupation was short-term. Soon the Russian troops assumed the offensive and went into Trabzon.

After the ottomans left the territories, the Russian officials accused the population of Adjara of the treachery. By that, the Russians tried to justify their strategic mistakes made at the beginning of the war. The sensational trials were held in Batumi.

Most of the witnesses at the trial were Armenians that gave evidence against the Georgian Muslims. They wanted expulsion of them and interception of their lands.

However, the protest and support of the Georgian Society helped the population of Adjara from that trouble.

მარიამ კობერიძე  
(გორი, საქართველო)

## ბათუმის სოციოლინგვისტური პროფილის შესახებ - დიმიტრი ბაქრაძის „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“

1878 წელს სანკტ-პეტერბურგში საიმპერატურო მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებით, დაისტამბა დიმიტრი ბაქრაძის წიგნი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, სადაც წარმოდგენილია 1873 წელს და მის შემდგომ პერიოდში გურიასა და ოსმალის საქართველოს სამხრეთ ნაწილში (როგორც იმ პერიოდში უწოდებდნენ მაშინდელ ჩურუქ-სუს, აჭარას, ლაზისტანს, ჭოროხის აუხსა და მტკვრის ზემოწელს) ჩატარებული გამოკვლევის ანგარიში. ამ მოგზაურობისას მან შეისწავლა ყველა ძველი ნაგებობა, უმთავრესად, ტაძრები და მონასტრები, გადმოიღო ყველა მათი წარწერა; დაათვალიერა ყველა ძველი ხელნაწერი და გადმოწერა მათი ისტორიული მინაწერები; ეკლესიებსა და ოჯახებში შეკრიბა სიგელ-გუჯრები და შეისწავლა ამ ადგილების ეთნოგრაფია, რაც მნიშვნელოვანია ამ მხარეების არა მარტო ისტორიის, არამედ ენობრივი სიტუაციის გასათვალისწინებლადაც.

დიმიტრი ბაქრაძის მიერ წარმოდგენილი მასალები მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ბათუმის სოციოლინგვისტური პროფილის შესახებ, რაც გულისხმობს ენის არსებობის ფორმებს სოციალურ გარემოში და მის კავშირებს სოციალურ პროცესებთან, გავლენას, რომელსაც სოციალური ფაქტორები ახდენს ენაზე. ავტორი საუბრობს ბათუმის ეთნიკურ და ენობრივ ყოფაზე, სადაც ქართული ენის სოციალური როლი მკვეთრადაა შეცვლილი ოსმალთა ბატონობის გამო.

ენის ფარდობითობის თვალსაზრისით პირველადი მნიშვნელობა ენიჭება კულტურას, რომელიც განაპირობებს ენის გამოყენების ტიპებს. დიალექტის, ენისა და სტილის დახასიათებისას აუცილებელია სოციალურ-კულტურული ფაქტორების გათვალისწინება. ეს ფაქტორები ენის გამოყენების ტიპსა და მოდელებს განსაზღვრავს. აგრეთვე ახასიათებს ენის შემეცნებით და ემოციურ ღირებულებას სოციალური თვალსაზრისით (გამყრელიძე, კიკნაძე, 2003: 452).

ავტორის წარმოდგენილი მასალებით, ბათუმი ლაზისტანის საფაშოს დედაქალაქია, მას მართავს მუთასარიფი ანუ გუბერნატორი, რომელიც უშუალოდ ემორჩილება პორტას და არაპირდაპირ – ტრაპიზონის გენერალ-გუბერნატორს. ამ საფაშოში შედის 11 კაზა, ანუ ოლქი: ბათუმი, ჩურუქ-სუ, ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, მაჭახელი, ლივანი, გონია, ხოფა, არხოვე, ემშინა და ათინა. ყოველ ოლქს განაგებს ოლქის უფროსი ანუ კაიმაკამი, რომლის ხელქვეითია 2-3 მუდირი (უბნის უფროსი). გარდა ფაშისა, ბათუმში არის: მეჯლისი ანუ საგუბერნიო საბჭო, კაიმაკამი, სასამართლო, საბაჟოს სამმართველო და შტაბსადგომი ბატალიონისა, რომელიც სიმაგრეებს აგებს. არის ორი სკოლა – თურქული და ბერძნული, სამი მეჩეთი და წმიდა ნიკოლოზის მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც ახლახან აიგო რუსეთის ვიცე-კონსულის ოფიციალური ჩარევის წყალობით. ქალაქის საუკეთესო ნაწილია ნავმისადგომი, სადაც განლაგებულია ბერძნებისა და სომხების მაღაზიები, ვიცე-კონსულის ორსართულიანი სახლი და ლაზი მახმუდის ევროპულ-თურქული ყაიდის სასტუმრო (**ბაქრაძე, 1987: 24**).

სოციოლინგვისტური ასპექტების შესასწავლად, გასათვალისწინებელია ოსმალური მმართველობის განვითარების ტენდენციები და ქართული სკოლის არარსებობა, რასაც ქართული ენის შევიწროებამდე მივყავართ. ბათუმში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიური, კულტურული და ენობრივი სიტუაციის შესახებ დიმიტრი ბაქრაძეს საჭირო ცნობები მიაწოდა და დიდი სამსახური გაუწია მეჯლისის უხუცესმა წევრმა ხასან-აღა მურადოღლიმ. „ხასან-აღას 1860 წლიდან ვიცნობ. იგი წარმოშობით ლაზია, ორთახოფელი და თავისი გვარი საქართველოდან დიდი ხნის წინათ გამოსულად მიაჩნია, – წერს დ. ბაქრაძე, – თავის ქართულ გვარად ასახელებს მოურავიშვილს და თავის თავს ლაზისტანის უმაღლეს კლასს აკუთვნებს. ის თავისუფლად ლაპარაკობს ქართულად. ოდესღაც კაიმაკამად ყოფილა სამსონში, ხოლო რუსეთ-თურქეთის უკანასკნელ ომში 400 მოხალისე ლაზს მეთაურობდა ყარსში, შემდეგ თურქეთის ვიცე-კონსულად იყო ფოთში და კონსულად ტფილისში“. ცნობები, რომლებიც ხასან-აღამ მიაწოდა, ეხება თურქული მმართველობის სხვადასხვა დარგს, ძველებურ ძეგლებს ბათუმის სანახებში და მისი თანამემამულე ლაზების ცხოვრებას. აქ დიმიტრი ბაქრაძე შენიშნავს: „ხასან-აღა თუმცა სადი გონების კაცია, მაგრამ უბრალო, არავითარი განათლება არა აქვს, ისევე როგორც ყველა მკვიდრ მცხოვრებს“ (**ბაქრაძე, 1987: 26**). ხასან-აღამ დიმიტრი ბაქრაძეს გააცნო ორი ძველი საბუთი, ერთი თურქულ, მეორე ქართულ ენაზე. პირველი ეკუთვნის ახალგაზრდა კაცს, აიდარ-ბეის, რომელიც იქვე გაიცნო. მისი სიტყვით, მისი საგვარეულო ახალციხელი ათაბეგების შთამომავალია და ცხოვრობს, თუმცა არ იცის რა დროიდან, ლივანში. აიდარ-ბეიმ აუხსნა, რომ ოდესღაც მთელი ლივანა მი-

სი წინაპრების საკუთრება იყო. იგი ქართულად არ საუბრობს და თავის საბუთს უფროთხილდება. ბიძამისს, რომელიც არზრუმში მსახურობს, სხვა საბუთებიც ჰქონია, მათგან ქართული საბუთები უკვე დაკარგულიაო. იგი თურქეთის სულთანს მუსტაფას მიუცია ვიღაც ხოსროვისათვის, მემედ ბეგის ძისათვის 1050 წ. ჰიჯრით (მუსლიმანურ ქვეყნებში გავრცელებული კალენდრით). მისი აზრით, ჰიჯრის აღნიშნული წელი შეესაბამება ჩვენი ერის 1640 წ. (ბაქრაძე, 1987: 32). რაც შეეხება ქართულ სიგელს, რა დროს ეკუთვნის ეს სიგელი, არ არის ცნობილი; „იგი დაწერილია ნაგლეჯ ქალაღზე, დასმული აქვს ბეჭედი, რომელზეც ამოკვეთილია ჯვარი და გვარი ცინცაძე. ამჟამად ცინცაძეები გლეხები არიან და გურიაში ცხოვრობენ. მათ „სამხრეთიდან მოსულებად“ თვლიან. სიგელში მოხსენიებული სხვა გვარებიდან, ხასან-ოღლის მოწმობით, ფაყვაძეები დღემდე ცხოვრობენ ბეჟანოღლის სახლის მახლობლად. იქვე მდებარეობს ხვანიაურად წოდებული ნაკვეთი“ (ბაქრაძე, 1987: 34).

საყურადღებოა ორენოვნების დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც საბოლოოდ პოლიტიკური და საგანმანათლებლო საკითხების პრობლემს ქმნის, როდესაც ენებს შორის ადამიანთა ჯგუფების დონეზე კონტაქტი მიმდინარეობს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ჯგუფები მრავალრიცხოვანია, ქცევის ინდივიდუალური თავისებურებები ქრება და მათ სანაცვლოდ ჩნდება სოციალური გარემოთი განპირობებული ენობრივი პროცესები. ისინი მთლიანობაში ამ ჯგუფის მახასიათებელი ხდება. დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავს: „ბათუმში გაიგონებთ ბერძნულ, თურქულ და ქართულ ენებს. ყველაზე უფრო გავრცელებულია ქართული ენა, რომელზეც თავისუფლად ლაპარაკობს ბევრი ღაზიც კი“.

სოციოლინგვისტური საკითხების განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ინდივიდისა და ენობრივი კოლექტივის ურთიერთმიმართება იქცევს. „თუმცა აჭარაში, სადაც, ადგილობრივ დარწმუნდი, მხოლოდ და მხოლოდ ქართული იყო, ქართული ენა თითქმის შეუბღალავად შემორჩა, ალბათ იმიტომ, რომ აჭარლებს არასოდეს არ შეუწყვეტიათ ურთიერთობა გურულებთან, მაგრამ ამბობენ, რაც დრო გადის უფრო სუსტდებაო“-აღნიშნავს ავტორი.

მნიშვნელოვანია გენდერული კუთვნილებისა და სოციალური მოსმარების საკითხიც, რაზეც ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბათუმში და აჭარის სხვა მხარეებში თურქულს მხოლოდ ვაჭრობის მიმდევარი ხალხი ლაპარაკობს, ვისაც თურქეთის ქალაქებში ჰქონდა საქმე, დანარჩენმა მოსახლეობამ მხოლოდ ქართული ენა იცოდა. ჩვენი ქალები ახლაც კი არ ლაპარაკობენ თურქულად. ხასან-აღას მონათხრობით „ჩვენმა ბეგებმა (იგულისხმება ქართველი ბეგები) თითქმის ყველამ იცის ქართული; ქართულად უპირატესად მათი ცოლები

კითხულობენ და წერენ; ეს იმიტომ, რომ მათ ძველთაგანვე ნათესაობა აქვთ ჩურჩქსუელ და მეგრელ მაღალ საგვარეულოებთან“ (**ბაქრაძე, 1987: 29**).

თურქული ენის გამოყენება ნაკარნახევია არა თვით ენობრივი მატარებლებისაგან (თუმცა არსებობს ამგვარი შემთხვევებიც, მაგრამ იშვიათად და არ ვრცელდება კოლექტივის დონეზე), არამედ გარემოსაგან, მეტიც, თვით ორენოვნების მიმართ დამოკიდებულებაც კი შეიძლება იყოს განსხვავებული: ერთ შემთხვევაში გამოიყენება, როგორც კომუნიკაციის საშუალება, მეორე შემთხვევაში, როგორც არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება თავსმოხვეული ოსმალური მმართველობის მიერ. შესაძლებელია, გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფებში ერთი ენიდან მეორეზე გადართვა დასაშვები იყოს, სხვა ჯგუფებში – პირიქით. მშობლიური ენის მატარებელი ქართველი ყოველთვის ცდილობს იმ ჯგუფის წესები დაიცვას, რომლის წევრიც არის. მაგალითად, სახელმწიფო ენის როლის ან სტატუსის არქონა ხშირად ამცირებს ენის ავტორიტეტს და მეტად ხდება სხვა ენათა გავლენის საგანი, ვიდრე თვითონ ზემოქმედებს რომელიმეზე. კონტაქტების საპასუხოდ იქმნება ენის სტანდარტული ვარიანტი, სოციალური დიალექტის სახით. ქართულმა ენამ, ამ მდგომარეობაში მყოფმა, შთააგონა ორენოვან მატარებლებს პატრიოტიზმი. ქართული ენა, სხვა ენებთან დაპირისპირებული, კონკრეტულად თავსმოხვეული თურქულისაგან ქცეულა ხელშეუხებელ მოვლენად, ფასეულობათა რიგში მაღალ ადგილი დაუკავებია იმ ზეწოლის საპასუხოდ, რომელიც მას ემუქრება, აამოქმედებს და ააქტიურებს ისეთ ძალებს, რომლებიც საფრთხის ქვეშ მყოფის გადარჩენისკენ არის მიმართული. სწორედ ამან განაპირობა ქართული ენის ძლიერი დაცვა მეორე ენის ძალმომრეობისაგან. დიმიტრი ბაქრაძის დაკვირვებით მოსახლეობის მეტყველებაში შეიმჩნევა „ძველი ქართული სიტყვებიცა და ახლანდელი ქართული სიტყვების შეცვლილი ფორმებიც და ხმარებაში შემოსული თურქული ფრაზები“ (**ბაქრაძე, 1987: 45**). თუ დავაკვირდებით მის „ქართლურ-კახური, იმერული, გურული, ქობულური (ჩურჩქსუელი) და აჭარული კილოების მოკლე შედარებით ლექსიკონს“, დავინახავთ, რომ თურქული ან თურქული გზით ნასესხები სიტყვები გამოყენებულია ქართული სიტყვების სინონიმებად. ნასესხები ლექსიკა მოიცავს მხოლოდ პოლიტიკურ, სავაჭრო და სოციალური ურთიერთობის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიას.

ერთი ენიდან მეორეზე გადართვა თავისთავად რამდენიმე თვალსაზრისით არის საინტერესო: ის შეიძლება მოხდეს ზოგიერთ საკომუნიკაციო სფეროში და სოციოლოგიური თვალსაზრისით საჭიროებს ამა თუ იმ ფუნქციათა იერარქიის გამოკვეთას (**კაჭკაჭიშვილი, 2006: 161**).

ბათუმში ენობრივი კონტაქტების პროცესს განსაზღვრავს სხვადასხვა ენების მატარებლის ურთიერთობის სოციალურ-ისტორიული პირობები, რაც კარგად ჩანს სოციალურ სიტუაციებსა და ორენოვანი მატარებლის ენობრივ ქცევებს შორის. ორენოვანი მატარებლის ენობრივი ქცევის შესწავლა არ უნდა შემოისაზღვროს ყოველთვის ერთი ადამიანი. კონტაქტების საპასუხოდ იქმნება ენის სტანდარტული ვარიანტი. მაგრამ უდავოა, რომ ადამიანები თავისი ენის განმასხვავებელ თავისებურებებს ყველაზე კარგად სწორედ ენობრივი კონტაქტების დროს იზიარებენ. ბათუმის ენობრივი სიტუაციის მიმოხილვისას, ჩვენ არ განვიხილავთ ორენოვნებას, როგორც ენობრივი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს, არამედ იძულების ძალით თავსმოხვეულ მდგომარეობას. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ენათა კონტაქტების განვითარებას ხელს უწყობდა იმ პერიოდის ბათუმში განვითარებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. „ბათუმი უმნიშვნელო ვაჭრობას ეწევა. საერთოდ, ლაზისტანის საფაშოში შემოაქვთ: ინგლისიდან და შვეიცარიიდან – ბამბის ნაწარმი, ალუპოდან და დამასკოდან – აბრეშუმის ქსოვილები, რუსეთიდან – ზოლოვანი რკინა, ყირიმიდან და საქართველოდან – მატყლი (ბაქრაძე, 1987:24).

ამრიგად, დიმიტრი ბაქრაძის „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბათუმის სოციოლინგვისტური სიტუაციის შესახებ.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

**ბაქრაძე, 1987:** – ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ), ბათუმი.

**გამყრელიძე, კიკნაძე., 2003:** – გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი.

**კაჭკაჭიშვილი, 2006:** – კაჭკაჭიშვილი მ., სოციოლოგიურ საკითხთა მნიშვნელობა ორენოვნების კვლევისას, – კრ.: საენათმეცნიერო ძიებანი, XXII, თბილისი.

**Mariam Koberidze**  
(Gori, Georgia)

**Dimitri Bakradze's "Archeological Travelling in Guria and Adjara"  
About Batumi Sociolinguistic Profile**

**Summary**

In 1878 Dimitri Bakradze's "Archeological Travelling in Guria and Adjara" was printed by the order of Imperial Academy of Sciences in Sankt-Petersburg, where a research report conducted in Guria and Ottoman South part of Georgia (as called once Churuk-Su, Adjara, Lazistan, Chorokhi Basin and the upper reaches of Kura (Mtkvari)) in 1873 and the following period is presented. During this travelling he studied all ancient buildings, mainly Temples and Monasteries, copied all their inscriptions; looked round all ancient manuscripts and write down their historical postscripts; gathered charters in the churches and families and studied ethnography of this places what is important for consideration of the linguistic situation of these sides.

The materials presented by Dimitri Bakradze give important information about Batumi sociolinguistic profile what means the forms of language existence in the social environment and its connections with social processes, influence which social factors impact on the language. The author talks about ethnical and linguistic existence of Batumi where social role of Georgian language is sharply changed due to the Ottomans' domination.

In the report there will be also discussed other important materials presented by Dimitri Bakradze, their historical and theoretical explanation, what is particularly important in terms of establishment sociolinguistic picture of Batumi of the seventies years of nineteenth century.

## არტურ ზუბნერის „აწარღები“, როგორც ოსკალოზისდროინდელ ბათუმსა და აწარაში არსებული მღვობარეობის ამსახველი რომანი

ცნობილი ავსტრიელი მწერალი და ჟურნალისტი არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერი (1850-1902 წწ.) მეუღლესთან – სახელგანთქმულ მწერალთან და მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატ ბერტა ფონ ზუტნერთან (1843-1914 წწ.) ერთად, ცხრა წლის განმავლობაში (1876-1885 წლებში) ცხოვრობდა საქართველოში და საგულისხმო ადგილი დაიკვიდრა ქართული კულტურის ისტორიაში. ჩვენი ქვეყნისადმი მის დამოკიდებულებას ესოდენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას უწინარესად ის გარემოება სძენს, რომ ქართულ თემატიკას ძალზე ცოტა უცხოელი მწერლის შემოქმედებაში თუ შეუძენია ისეთი დიდი მასშტაბები, როგორც მასთან. ა. ზუტნერის ლიტერატურული მემკვიდრეობისთვის თვალის თუნდაც უბრალო გადავლევითაც ნათლად ჩანს, რომ მისი მწერლური შთაგონების უმთავრეს წყაროდ, პირველ ყოვლისა, საქართველო და კავკასია იქცა და მწერლის მხატვრული შემოქმედების უდიდესი ნაწილი ქართველ და კავკასიელ ხალხთა ისტორიული და თავად მწერლის დროინდელი ყოფის წარმოსახვას მიეძღვნა.

ა. ზუტნერის ლიტერატურული მემკვიდრეობის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის დასტურად აქ აღნიშნული თემატიკაზე დაწერილი მისი რომანებისა და მოთხრობების თუნდაც მხოლოდ სათაურების გახსენებაც იქნება საკმარისი. ხსენებულ ტენდენციას მწერლის შემოქმედებაში სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლებიდან ჩაეყარა საფუძველი. კერძოდ, 1891 წელს დრეზდენში გამოცემულ მისი მოთხრობების პირველ კრებულში – „შვილნი კავკასიისა“ შეტანილი ყველა ნაწარმოები სწორედ ქართველ და კავკასიელ ხალხთა ყოფისადმი მიძღვნილი. ესენია: „ჩემი მეგობარი გუჯა“, „მეზობლები“, „ბატონი გრიგოლი“, „საწყალი ვარდო“, „ქეთევანი“, „მარგალიტა“.

ასევე ქართულ-კავკასიურ თემებზე დაწერილი მისი შემდგომდროინდელი მოთხრობებიცა და რომანებიც: „აზნაური“, „მეგრული ქორწილი“, „ჩერქეზები“, „დარეჯანი. მეგრულ ზნეთა სურათი“, „შამილი“, „ბიზონებისა და დომბების მხარეში“, „ურტას მთასთან“, „აჭარლები“, გამოუქვეყნებელი რომანი „ბერიელნი“, რომლის ხელნაწერი ინახება ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვენაში (კაკაბაძე, რუსა-

ბე, 1999: 6). სამწუხაროდ, დასახელებულ ნაწარმოებთაგან ქართულად მხოლოდ ერთია თარგმნილი – რომანი „აჭარლები“ (გერმანულიდან ქართულ ენაზე თარგმნა რუსუდან ღვინეფაძემ).

არც შეეხება ა. ზუტნერის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მეცნიერულ შესწავლას, ამ თვალსაზრისით საქმე გაცილებით უკეთესადაა. მიუხედავად იმისა, რომ ზუტნერების ქართული ღვაწლის ფუნდამენტურად გამოსაკვლევად უმთავრესი სამუშაო სამომავლოდაა შესასრულებელი, ქართველ გერმანისტთა ცალკეულ წარმომადგენლებს ამ მიმართულებით უკვე აქვთ გადადგმული პირველი ნაბიჯები. ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, ნოდარ კაკაბაძის დამსახურება მინდა გავისხენო. კერძოდ, 1963 წელს გამოცემულ მის წიგნში – „კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში“ (ნოდარ რუხაძის თანაავტორობით), სხვა გერმანულ მწერალთა შემოქმედებასთან ერთად, არტურ ზუტნერის მიერ ქართულ თემატიკაზე დაწერილი ნაწარმოებებიცაა განხილული; 1999 წელს გამოცემულ წიგნში – „ბერტა ფონ ზუტნერი – ქართველებთან და საქართველოში“ წარმოდგენილ ბერტა ზუტნერის მოგონებათა ფრაგმენტების მისეულ თარგმანს კი მან ზუტნერების შესახებ ვრცელი შესავალი წერილიც წარუმიძღვარა.

საქართველოში ზუტნერების მოღვაწეობას ასევე წერილები მიუძღვნეს და მათი შემოქმედების (ძირითადად მოგონებების) ფრაგმენტები თარგმნეს სოლ. ცაიშივილმა, რ. ღვინეფაძემ, თ. გვენეტაძემ, ნ. ამაშუკელმა, გ. ჭოხონელიძემ და სხვა მკვლევრებმა.

ჩვენი ქვეყნის ავსტრიელი მეგობრების საქართველოში ცხოვრება და მოღვაწეობა არც იმდროინდელ ქართულ პრესას დაუტოვებია უყურადღებოდ და დროდადრო იქაც იბეჭდებოდა მათდამი მიძღვნილი წერილები. მაგალითად, გაზეთ „ივერიის“ 1886 წლის 229-ე ნომერი იუწყებოდა: „ბარონ სუტნერს, რომელმაც მშვენიერი წერილი დასწერა ჩვენს „ვეფხისტყაოსანზე“ და რომელმაც იცის საქართველოს ცხოვრება, განსაკუთრებით, სამეგრელოსი, დაუწერია ნემეცურს ენაზე ახალი რომანი, სახელად „ახნაური“. ბარონ სუტნერს აქვს დაწერილი საქართველოს ცხოვრებიდანვე ერთი რომანი კიდევ, „დარეჯანა“, მაგრამ სამწუხაროდ, ეს რომანი ჩვენში არ მოიპოვება.“

ა. ზუტნერის ქართული ღვაწლის წარმოჩენის დროს ქართველი მკვლევრები სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ მის დამსახურებას „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისა და გერმანულ ენაზე თარგმნის საქმეში. მის რუსთველოლოგიურ ღვაწლს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ იგი ერთ-ერთი პირველი უცხოელია, რომელმაც წერილობითი ფორმით სცადა, რუსთველის პოემა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში გაეანალიზებინა და მისი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა წარმოეჩინა. კერძოდ, „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი მისი წერილების სერია თავდაპირველად თბილისში გამოშვებულ რუ-

სულენოვან გაზეთ „კავკაზში“ (1884 წ. 28, 30 ნოემბერი, 1 დეკემბერი), დაიბეჭდა, შემდეგ კი ქართულადაც ითარგმნა და გაზეთ „დროებასა“ (1884 წ. 30 ნოემბერი, 1, 4, 5, 8, 9 დეკემბერი) და ჟურნალ „ივერიაში“ (1884 წ. №11-12) გამოქვეყნდა.

რაც შეეხება პოემის გერმანულ ენაზე თარგმნას, ამ საქმეს არტურ ზუტნერი და მისი მეუღლე იონა მეუნაგრიას დახმარებით 1884 წლის დეკემბერში შედგომიან. სამწუხაროდ, „ვეფხისტყაოსნის“ ზუტნერებისეული თარგმანი (მათ მხოლოდ პოემის ნაწილის თარგმნა მოასწორეს) არც გამოქვეყნებულა და არც მისი ხელნაწერის ადგილსამყოფელია ცნობილი. თუმცა, ბ. ზუტნერისავე თქმით, პოემის თარგმნაზე „დახარჯულ დროს მათთვის ფუჭად არ ჩაუვლია“ და ამ საქმის შედეგად მან და მისმა მეუღლემ „მთელი სიღრმით გაიცვენეს საქართველოს ისტორია და მისი ხალხის სული“ (ზუტნერი, 1999: 188).

საქართველოში ზუტნერების ყოფნა მნიშვნელოვანი იმითაც გამოდგა, რომ ორივე მათგანის სამწერლო და ჟურნალისტურ-პუბლიცისტური ნათლობა სწორედ აქ, კერძოდ კი, ქუთაისში, მოხდა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის პერიოდში. ბ. ზუტნერის გადმოცემით, მისმა ქმარმა „სწორედ ამ დროს სცადა ბედი მწერლობაში. მის ომის ქრონიკას, ავსტრიულ პრესაში რომ ქვეყნდებოდა, დიდი წარმატებები ჰქონდა – მან თავის თავში აღმოაჩინა მსუბუქად და ხატონად წერის უნარი. ახლა არტური წერდა ელვარე, ცოცხალ წერილებს კავკასიის, იქ მცხოვრები ადამიანების შესახებ და სხვადასხვა გერმანულ გაზეთებში გზავნიდა. ამ წერილებს ხალხით ბეჭდავდნენ და გვარიან პონორარსაც უხდიდნენ“ (ზუტნერი, 1999: 67).

როგორც ბ. ზუტნერის „მოგონებებიდან“ ჩანს, ხსენებული ომის მიმდინარეობას ისინი თურმე მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობით კი არ ადევნებდნენ თვალს, არამედ თავიანთ თავს ამ ტრაგიკული მოვლენის თანამონაწილეებადაც მიიჩნევდნენ და შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, პიროვნული მონაწილეობაც რომ მიეღოთ მასში. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ბ. ზუტნერი: „ჩვენ რადგანაც ამ მოვლენის შუაგულში აღმოვჩნდით, გესურდა რაიმე სარგებლობა მოგვეტანა და გუბერნატორ, თავად მირსკის შევთავაზეთ ჩვენი თავი. მოხალისე სანიტრებად გვინდოდა ფრონტზე წასვლა. მაგრამ ასეთი პირობა წამოვაყენეთ: ორივენი ერთსა და იმავე ადგილას გავემწესებინეთ სამუშაოდ. ეს შეუძლებელი აღმოჩნდა: შესაძლებელი იყო ჩვენი მხოლოდ სხვადასხვა ადგილას გამოყენება. ამიტომ განცხადება უკანვე გამოვიტანეთ. ჩვენ ერთმანეთს ვერ დავშორდებოდით“ (ზუტნერი, 1999: 63).

ა. ზუტნერის „აჭარლების“ შექმნის საფუძველი რუსეთ-თურქეთის შორის 1877-1878 წლებში გამართული ომი გახდა, რის შედეგადაც ჩვენს ქვეყანას კვლავაც შემოუერთდა აჭარა და ე. წ. „ოსმალის სა-

ქართველოს“ სახელით ცნობილი სხვა ტერიტორიები. მიუხედავად იმისა, რომ ა. ზუტნერის ბიოგრაფიიდან დღესდღეობით ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალებიდან ცნობილი არაა, მწერალი სსენებულ რეგიონში პირადად იმყოფებოდა თუ არა, რომანის მთარგმნელის – რ. ღვინევაძის მართებული ხაზგასმით, იგი „საფუძვლიანად იცნობს აჭარის ისტორიას, აჭარელთა ტრადიციებს; საოცარი ხატოვანებით აღწერს მათ ჩაცმულობას, ფოლკლორს, ლამაზ და ზოგჯერ მკაცრ ბუნებას“ (ღვინევაძე, 2008: 23). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რომანის სამოქმედო სივრცე მხოლოდ აჭარით არ შემოიფარგლება და მასში ისეთი რეგიონების ყოფაცაა ასახული, როგორებიცაა: მურღული, ართვინი და ახალციხე.

„აჭარლებისადმი“ ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონის ოსმალთა დროინდელ ყოფაზე, გარდა ა. ზუტნერის რომანისა, არათუ უცხოურ ლიტერატურაში არ შექმნილა სხვა ნაწარმოები, არამედ ეს თემა თვით ქართულ მწერლობასაც კი დარჩა ყურადღების მიღმა.

თავის რომანში ა. ზუტნერმა შეძლო საკმაოდ მასშტაბურად და საფუძვლიანად წარმოესახა 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წინანდელ პერიოდსა და ამ ომის დროინდელ აჭარის სოფლებსა და ბათუმში არსებული სოციალური მდგომარეობაცა და იქაური ჩვენი თანამემამულეების ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებაც.

არ გადავაჭარებთ, თუ ვიტყვით, რომ განსხვავებით ბერტა ზუტნერის მოგონებებისგან, რომელშიც ავტორი სსენებულ ომთან სისხლხორცეულად დაკავშირებული ქართული პრობლემის შესახებ ერთი სიტყვითაც კი არ ამბობს რაიმეს, არტურ ზუტნერის რომანში ჩვენი აჭარელი მოძმეების თავგანწირული ბრძოლა ოსმალთა ბატონობისაგან მათი მხარის განსათავისუფლებლად აშკარად გამოხატული პროქართული სულისკვეთებითაა ასახული.

რომანში დასაწყისიდანვე ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ აჭარა და მისი უმთავრესი ქალაქი ბათუმი ოდიტგანვე ქართულ რეგიონს წარმოადგენდა და „წმინდა ქართული იყო.“ ავტორის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ „ისლამი ხუთი საუკუნის მანძილზე განუწყვეტლივ ყოველ ღონეს ხმარობდა, ძალით გაენადგურებინა ძველი ეროვნული მეხსიერება, დღესაც მიწის ყოველი გოჯი, ყოველი მტკაველი აქ ქართველთა მკვიდრობაზე მოწმობს. ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე მთავარი მდინარის ჭოროხის ვიწრობები, მისი შენაკადები და მთელი არემარეები იმ სახელებით იყო ცნობილი, რომლებიც მათ დღემდე მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებებით შემორჩენიან და თითქმის უკლებლივ ქართული წარმოშობისაა“ (ზუტნერი, 2007: 7).

დამოწმებულ ფრაგმენტში გამოთქმულ მოსაზრებას ა. ზუტნერი იმ დროს გამოთქვამდა, როცა საუკუნეების განმავლობაში მშობლიურ

წილს რელიგიურადაც და სახელმწიფოებრივადაც მოწყვეტილი და უცხო ქვეყნის დაქვემდებარებაში მცხოვრები ჩვენი მოქმედების არცთუ მცირე ნაწილი ეროვნული გაუცხოების გზას ადგა. როგორც ცნობილია, დედასამშობლოსთან შემოერთების შემდეგ რელიგიური რწმენის საბურველში მოქცეული სწორედ ეს მოვლენა გახდა ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე იმ პროცესისა, რის შედეგადაც ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა მშობლიური ფუძიდან აიყარა და ოსმალეთს შეეხიზნა.

ა. ზუტნერის რომანის უმთავრეს ღირსებას ის ფაქტი წარმოადგენს, რომ მწერალი ღრმად და საფუძვლიანად არის გარკვეული ამ მოვლენის არსში და ისტორიული სიმართლით წარმოსახავს აჭარის მკვიდრთა აქტიურ ბრძოლას ოსმალური კირთებისგან მათი მხარის განსათავისუფლებლად და კვლავაც დედასამშობლოსთან შემოსაერთებლად.

ავსტრიელი მწერლის აზრით, აჭარისა და მისი მთავარი ქალაქის მოსახლეობის ქართველობის უტყუარად დამადასტურებელ უმთავრეს არგუმენტად თუნდაც იმის გახსენებაც იკმარებდა, „ჭოროხის აუზში ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ შეხვდებოდით ქვეყნის აყვავების ხანის დროინდელი ეკლესიებისა თუ ციხესიმაგრეების ნაშთებს, რომელთა წარწერები ძველ ქართულ ენაზეა შესრულებული და დღეს სამწუხაროდ მხოლოდ ნაწილობრივია იკითხება; ქართველთა ძლევა-მოსილი მეფის თამარის სახელი კი აქ ყველას ისევე აკერია პირზე“ (ზუტნერი, 2007: 7).

ა. ზუტნერი სავსებით ობიექტურად აღნიშნავს იმ უმნიშვნელოვანეს როლს, რასაც ბათუმში ოსმალთა ბატონობის ხანაშიც ასრულებდა მთელი რეგიონის მასშტაბით. კერძოდ, მწერლის ინფორმაციით, ოსმალთა ბატონობის პერიოდში ფაშა, რომელიც რეგიონის უმაღლეს ხელისუფალს წარმოადგენდა, სწორედ ბათუმში იჯდა და მის დაქვემდებარებაში თერთმეტ ყაზად დაყოფილი მთელი აჭარა და კლარჯეთი შედიოდა. ბათუმშივე ჰქონდა ბინა მეჯლისს (სახელმწიფო საბჭოს), ტრიბუნალსა და საბაჟოს; იქვე იყო განლაგებული ბატალიონის გარნიზონიც (ზუტნერი, 2007: 8).

მწერლის ხაზგასმით, რეგიონის ცენტრად ქცევამ და ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ ბათუმს ოსმალთა ბატონობის პერიოდშივე შესძინა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქცია. სახელდობრ, XIX საუკუნის 70-იან წლებში, როცა რომანში აღწერილი მოვლენები ვითარდება, ბათუმში „უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობანი იმდენად გაცხოველდა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო იძულებული გახდა, იქ საკონსულოები გაეხსნა და მათი წარმომადგენლები სიამოვნებით იყენებდნენ შესაძლებლობას,

ერთფეროვანი ცხოვრება გუბერნატორის სახლში გამართული თავ-  
ყრილობებით გაეხალისებინათ“ (ზუტნერი, 2007: 14).

როგორც რომანიდან თვალნათლივ ჩანს, გარესამყაროსთან ბა-  
თუმი არა მარტო ზღვით იყო დაკავშირებული, არამედ სამდინარო  
გზითაც. კერძოდ, ისტორიული წყაროებიდან და მოგზაურული ლიტე-  
რატურიდან კარგად ცნობილ ფაქტს – ჭოროხისა და აჭარისწყლის  
ფართოდ და ინტენსიურად გამოყენებას სანაოსნოდ – ავსტრიელი  
მწერალიც განსაკუთრებული ყურადღების საგნად აქცევს. ნაწარმოებ-  
ში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმ როლის წარმოჩენას,  
რომელსაც ხსენებული მდინარეები ასრულებდნენ იმხანად როგორც  
ტვირთების გადატანის, ისე მგზავრთა გადაყვანის საქმეში. ამგვარ  
მოგზაურობათა ამბები რომანში ისე შთამბეჭდავად და რეალისტურა-  
დაა მოთხრობილი, რომ ეს ყველაფერი ავტორმა, როგორც ჩანს, არა  
მარტო გადმოცემით იცოდა ესოდენ კარგად, არამედ ეტყობა, თავა-  
დაც იყო ამ სანაოსნო გზით ნამგზავრი.

ა. ზუტნერის რომანში საკმაოდ ღრმადაა წარმოჩენილი ე. წ.  
„სამუსლიმანო საქართველოს“ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორი-  
ენტაციის პრობლემა. ამ პრობლემისადმი ნაწარმოების მოქმედ გმირ-  
თა დამოკიდებულებაში ორი უმთავრესი თვალსაზრისი იკვეთება: პირ-  
ველი (რასაც თავად ავტორიც აქტიურად ემხრობა და უჭერს მხარს),  
ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და საუკუნეთა განმავლობაში  
დამპყრობთა მიერ ძალით მიტაცებული ტერიტორიების კვლავაც ქარ-  
თული სახელმწიფოსთვის მიერთება; და მეორე, ამ ტერიტორიების  
ისევე ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში დარჩენა. განსხვავებით  
პირველი თვალსაზრისისაგან, რომლის რეალურად აღსრულებისთვის  
ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ბრძოლას, რომანის მიხედვით,  
საერთო-სახალხო მასშტაბები აქვს შექმნილი, მეორე თვალსაზრისს  
მხარს ძირითადად დამპყრობთა სამსახურში მყოფი ჩინოსნები უჭე-  
რენ.

ა. ზუტნერის რომანის მიხედვით, XIX საუკუნის 70-იან წლებში  
აჭარაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აზვირთების გან-  
მაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად, პირველ ყოვლისა, სოციალური  
უსამართლობა და მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა  
იქცა. მწერლის თქმით, აჭარელთა დიდი ნაწილის ცნობიერებაში სა-  
კუთარი ეროვნული უფლებების დასაცავად ბრძოლის ის სულისკვე-  
თება, რისთვისაც მათი წინაპრები სიცოცხლესაც კი სწირავდნენ, იმ-  
ხანად უკვე იმდენად იყო მიმცხრალ-მინავლული, რომ ბევრი მათგანი  
იარაღს მხოლოდ „სამკაულად ატარებდა.“ მაგრამ ხსენებულ პერიოდ-  
ში აღზევებულმა სოციალურმა უსამართლობამ მოსახლეობის დიდი  
ნაწილი საბრძოლველად განაწყო და ეროვნული ფესვებისკენ მიახე-  
და. მწერლის თქმით, „თუკი აქამდე ზეწოლას ემორჩილებოდნენ და

კულტისა და ცხოვრების წესის საკითხებში მუსულმანურ კანონებს მისდევდნენ, ახლა ზოგიერთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის ძველქართულ წარმომავლობას და ხმამაღლა აცხადებდა, წინასწარმეტყველის მიმდევრებთან არაფერი გვაქვს საერთო“ (ზუტნერი, 2007: 108).

ა. ზუტნერი არაერთგზის უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ოსმალეთის დაქვემდებარებაში მოქცეულ მიწა-წყალზე მცხოვრები ქართველები ეროვნულ გადაგვარებასა და სოციალურ უსამართლობას თავს მხოლოდ მაშინ დააღწევდნენ, თუ კვლავაც დედასამშობლოს შეუერთდებოდნენ და ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში მოექცეოდნენ. აშკარად გამოხატული თავისი პრორუსული პოზიციიდან გამომდინარე, ავსტრიელი მწერალი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ამის რეალურად მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის აქტიური საბრძოლო დახმარებით იყო შესაძლებელი.

როგორც ითქვა, ავსტრიელი მწერლის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა პატრიოტულ თვალთახედვას, მტკიცედ მოტივირებულს, უპირველეს ყოვლისა, თავად ავტორის მიერ ყოველგვარი დაეჭვების გარეშე არაერთგზის გამოხატული ის თვალსაზრისი ხდის, რომლის მიხედვითაც აჭარა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენელ დეიდლ ნაწილს წარმოადგენდა და მისი მოსახლეობა ისტორიულ სამშობლოში მცხოვრები მოძმეებისაგან მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი ნიშნით – სარწმუნოებით განსხვავდებოდა. ა. ზუტნერის ხაზგასმით, რუსეთ-თურქეთის ზემოთ ხსენებულმა ომმა სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მშობლიურ წიადს მოწყვეტილ აჭარელთა ეროვნულ ცნობიერებას თითქოს საბურველი ახადა და ბევრ მათგანს „ახლად გაახსენდა, რომ აქამდე ხელისუფლების სათავეში უცხოელი დამპყრობლები იყვნენ, რომ მთებს გადადმა თანამოძმენი ცხოვრობდნენ, რომლებიც რუსეთის ბატონობის ქვეშ გაცილებით უკეთ გრძნობდნენ თავს. ეროვნულმა საკითხმა ერთ დამეში წამოიწია და ამით მოძრაობამ სულ უფრო და უფრო მეტი მხარდამჭერი შეიძინა. თუ ქუჩებში აქამდე მხოლოდ თურქული ისმოდა, ახლა ქართულმა ენამ იმძღავრა – თითქოს ქალაქის მცხოვრებნი ხელის ერთი დარტყმით მთლიანად შეცვალეს“ (ზუტნერი, 2007: 218).

მიუხედავად იმისა, რომ ა. ზუტნერის „აჭარლების“ პრობლემატიკა მხოლოდ განხილული საკითხებით არ შემოიფარგლება და იგი პერსონაჟთა მრავალსახოვნებითაც და ლიტერატურული ინდივიდუალობითაც გამორჩეულ ნაწარმოებს წარმოადგენს, ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობ, მაინც იძლევა საფუძველს მასში წარმოსახული სინამდვილისა და ჩვენი ქვეყნის საჭირობოროტო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემებისადმი ავტორისეულ დამოკიდებულებაზე წარმოდგენის შესაქმნელად.

ბათუმის, აჭარისა და ე. წ. „სამუსლიმანო საქართველოს“ სხვა მხარეების ისტორიული და თანადროული ყოფის წარმოსახვის დროს, ავსტრიელი მწერალი ყოველთვის ხაზგასმული დაბეჭდვით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ოსმალეთის მიერ მიტაცებული ეს რეგიონები ჩვენი ქვეყნის ღვიძლ ნაწილებს წარმოადგენენ. ამიტომაც, მათი მოსახლეობის დიდი ნაწილის აქტიური ბრძოლა კვლავაც ერთიან ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სივრცეში დასაბრუნებლად, რაც რომანში საკმაოდ შთამბეჭდავად და მასშტაბურადაა ასახული, მწერალს ისტორიული სამართლიანობის აღდგენად მიაჩნია.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

„დროება“, 1884, 30 ნომბერი, 1, 4, 5, 8, 9 დეკემბერი.

კაკაბაძე, რუსაძე, 1963: – კაკაბაძე ნ., რუსაძე ნ., კაკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში, თბილისი.

ზუტნერი, 2007: – ზუტნერი ა., აჭარლები (რომანი), თარგმანი გერმანულიდან რ. ღვინეფაძისა, თბილისი.

ზუტნერი, 1999: – ზუტნერი ბ., ქართველებთან და საქართველოში. წიგნი შეადგინა, მოგონებების ფრაგმენტები თარგმნა და შესავალი დაურთო ნ. კაკაბაძემ, თბილისი.

„ივერია“, 1884, №11-12.

„ივერია“, 1886, №229.

ღვინეფაძე, 2008: – ღვინეფაძე რ., შორეული ჩვენიანები. „საქართველოს ბიბლიოთეკა“, 2008, №4.

**Avtandil Nikoleishvili**  
(Kutaisi, Georgia)

### **Arthur Suttner's “The Acharians” – a Novel Depicting Batumi and Achara Region during the Ottoman Era**

#### **Summary**

A famous Austrian writer and journalist, Arthur Gundaccar Freiherr von Suttner (1850-1902) and his wife – a renowned author and a winner of a Nobel Peace Prize – Berta von Suttner (1843-1914) lived in Georgia for 9 years, from 1876 to 1885 and both contributed a great deal to a Georgian cultural history. Only a handful of foreign authors have explored Georgia in their literary works so extensively and profoundly as Von Suttner. A great part of his writings deal with the depiction

of the Georgian and Caucasian people's daily lives. Unfortunately, only one of his literary works has been translated into Georgian – his novel “The Acharians”. The story of the above fiction was inspired by the real events, specifically, a war between Russia and Turkey in the years of 1877 and 1878. The result of this war was that Batumi, the region of Achara and the territory known as “Ottoman Georgia” became part of our country once again. The novel is of a special interest because Sutner is the only author who has ever written about the lifestyle and customs of this region while it was still part of the Ottoman Empire. In fact, Georgian writers themselves have largely ignored this theme. While depicting the lives of the people from Batumi, and other parts of “Muslim Georgia,” the author overemphasizes the fact that the Ottoman Empire had forcefully overtaken this territory and that this region was an inseparable part of Georgia. Therefore, the constant fight by the people of this region to return to their native land, so vividly portrayed in the novel, is seen by the author as fair and lawful.

## ახლად შემოერთებული ბათუმის სახითი XIX საუბუნის 80-იანი წლების საქართველოს პრესაში

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი, მართალია, თავისი ხანგრძლივობით არ გამოირჩეოდა (დაიწყო 1877 წლის 12 აპრილს და დამთავრდა 1878 წლის 19 თებერვალს), მაგრამ მისმა შედეგებმა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ევროპის და მცირე აზიის პოლიტიკურ რუკაზე.

ომის დაწყების წინ ქართველი ხალხის ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელთა შორის იმედიანი განწყობილება იყო. მათ იმედი ჰქონდათ, ამჯერად მაინც, ოსმალეთის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების დაბრუნების. ქართველობას კარგად ესმოდა ისიც, რომ წართმეული ტერიტორიები „სული და გული იყო ძველი საქართველოსი... ქართლოსიანთა ტომის ციხე-სიმაგრე, წმინდა საყდარი და სინათლის შკოლა; ერთი ვეებერთელა ეროვნული სასაფლაო და ისტორიული მუზეუმი, სადაც უხვად იყო გაფანტული ქართველი ერის შემოქმედებისა და დიდების ძეგლები... მესხეთის საქართველოში ყოფნა და მისი ქართულობა, ეს საქართველოს ყოფნა-არყოფნის კითხვა იყო არა მარტო წარსულში, არამედ მომავალშიც...“ [ლორთქიფანიძე, 1995: 60].

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართველების ამ პატრიოტული მუხტის გაღვიძება ილია ჭავჭავაძის მოწოდების გამოძახილი იყო, რომელიც მან ჯერ კიდევ ომის დაწყების წინ გამოთქვა, თავის ბრწყინვალე ისტორიულ-პუბლიცისტურ სტატიაში – „ოსმალის საქართველო“. ილია წერდა: „თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვის, – მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ ჩვენა და ოსმალეთის საქართველო...“ [ჭავჭავაძე, 1987: 7].

ამის შემდეგ სათქმელს კიდევ უფრო აკონკრეტებდა და აღნიშნავდა: „სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს... ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს, და დიდის ხნის განმორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს...“ [ჭავჭავაძე, 1987: 11].

ყველაფერ ამას კარგად ხედავდა იმჟამინდელი რუსული ადმინისტრაციაც, მაგრამ „რუსული სამხედრო კანონების ძალით, ხალხი ბრძოლაში ვერ გაერეოდა“ [მესხი, 1963: 310]. რჩებოდა ერთი გზა – მოხალისეთა რაზმების, სახალხო ლაშქრის, ე.წ. დრუჟინების შექმნა. როგორც მკვლევარი შ. მეგრელიძე მიუთითებს: რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში 30 ათასზე მეტი ქართველი მონაწილეობდა, რომელთა რაზმებს გამოცდილი ქართველი კადრის ოფიცრები მეთაურობდნენ [მეგრელიძე, 1956: 50-51].

რუსეთის ჯარებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ოსმალეთმა უდიდესი ზარალი განიცადა და რუსეთს ზავი შესთავაზა. მოლაპარაკება გაიმართა 1878 წლის 19 თებერვალს, სან-სტეფანოში, რომელზეც გაფორმდა საზავო ხელშეკრულება. 21 მუხლისგან შემდგარი დოკუმენტიდან, რუსეთისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მე-19, რომლის ძალითაც ოსმალეთს რუსეთისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 1400 მილიონი რუბლის გადახდა ეკისრებოდა. ეს უზარმაზარი თანხა იყო. რუსეთის იმპერატორის სურვილით, სულთანს შეღავათი ეძლეოდა, თუ იგი აღნიშნული თანხის სანაცვლოდ გარკვეულ ტერიტორიებს დათმობდა ბალკანეთსა და კავკასიაში.

სან-სტეფანოს ზავის შედეგად მოხდა არდაგანის, ყარსისა და ბათუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) რუსეთისათვის გადაცემა [Батумъ и его окрестности, 1906: 27].

ასეთი შედეგები მიუღებელი აღმოჩნდა ევროპის არაერთი ქვეყნისათვის; განსაკუთრებულ შეურიგებლობას კი ინგლისი იჩენდა, რომელმაც მიაღწია იმას, რომ 1878 წლის 30 მაისს ლონდონში მიღებული მემორანდუმის საფუძველზე ცვლილებები შეტანილიყო სან-სტეფანოს ხელშეკრულებაში... საბოლოოდ, ბისმარკის ინიციატივით მოწვეულმა ბერლინის საერთაშორისო კონგრესმა მთელი რიგი საკითხების ახლებური გადაწყვეტა მოახერხა. მიუხედავად დიდი ბრიტანეთის დიდი სურვილისა, რუსეთისათვის უარი ეთქმევინებინათ ბათუმზე, რუსეთმა შეძლო მისი შენარჩუნება. ბერლინის კონგრესის მიერ მიღებული ხელშეკრულების 58-ე და 59-ე მუხლებით მოხდა ამ საკითხის დარეგულირება: ბრწყინვალე პორტა რუსეთის იმპერიას აზიაში უთმობდა არდაგანის, ყარსისა და ბათუმის ტერიტორიას, პორტიურთ, ხოლო რუსეთი ბათუმს პორტო-ფრანკოდ აცხადებდა [ქართული დიპლომატიის ისტორია, 2004: 443].

ს. მესხი, მოგვიანებით ეხებოდა რა აღნიშნული კონგრესის მნიშვნელობას და მის პერიპეტიებს, ყურადღებას ერთ ფაქტზე ამახვილებდა: „ბერლინის კონგრესში რუსეთის დესპანმა თ-დმა გორჩაკოვმა, სხვა საბუთებს შორის მოიხსენია, ბათუმი საქართველოს კუთვნილებაა ისტორიულად და მდებარეობითაო, სიმართლით იგი კავკასუს უნდა ეკუთვნოდესო...“ [„დროება“, 1882, №127].

აღსანიშნავია, რომ ბერლინის კონგრესმა სან-სტეფანოს ხელშეკრულების პირობები გადასინჯა და რუსეთის მონაპოვარი თითქმის ორი მესამედით შეამცირა, თუმცა ეს დანაკარგი ისტორიულ ქართულ ტერიტორიებს არ შეეხებია **[ქართული დიპლომატიის ისტორია, 2003: 443]**.

აქ, ინტერესმოკლებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ რუსეთის ჯარებს ბათუმი კონკრეტულ ბრძოლაში გამარჯვებით არ დაუბრუნებიათ. პირიქით, ბათუმისათვის ბრძოლაში, რომელშიაც ქართველი მოლაშქრეებიც მრავლად მონაწილეობდნენ, მიიმე მარცხი განიცადეს. ასეთ ვითარებაში, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილება ორმაგად აღსაფრთოვანებელი იყო მთელი ქართული საზოგადოებისათვის.

ილია ჭავჭავაძე თავისი „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვკიბნა... და ამ მხრით შარშანდელი წელიწადი ფრიად ღირს-სახსოვარია, – ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, – დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“ **[„ივერია“, 1879, №10]**.

გნებავთ, მეორე დიდი მამულიშვილის, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის სიტყვები გავიხსენოთ, რომელიც 1879 წლის 29 თიბათვეს ქ. არტანში დაუწერია და „დროებისათვის“ გამოუგზავნია: „მადლობა ღმერთსა!.. ქება და დიდება ყოვლის მპყრობელს, ყოვლის შემძლებელს, ყოვლად სახიერს, ერთს ღმერთსა, რომ ჩემის გულ-სულის შემავიწროებელმა წამმა განვლო, გადაიარა. 1877 წლის ომიანობის მიღმა მომეცა საშუალება ღვთის მადლით მადალ რუს ხელმწიფის მფარველობის ქვეშ შესვლისა. მეცა და ჩემს თანამემამულეთაც ჩვენს მრავალრიცხველ ძმათა თანა შეერთებისა“ **[კომახიძე, 2004: 43-44]**.

ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ არ აღსრულებულა – რუსეთის სამხედრო ნაწილები თითქმის ორთვენახევრის დაგვიანებით, 1878 წლის 25 აგვისტოს, შევიდნენ ბათუმში.

ამ დროის განმავლობაში ქალაქს და მის შემოგარენს ოსმალეთის ხელისუფლება განაგებდა, რომელმაც ბევრი რამ მოშალა და გაანადგურა. მათ შორის, ადმინისტრაციული მმართველობის სტრუქტურები, მიწათსაკუთრების დოკუმენტები და ა. შ.

ყველაფერ ამათ შესახებ იმდროინდელი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები მეტყველებენ. დღეისათვის, თითოეულ ასეთ კორესპონდენციას, როგორც პირველწყაროს, მნიშვნელობა აქვს. მით უმეტეს, როცა ასეთი მასალების ავტორები თვით გაზეთების რედაქტორები და სხვა პასუხისმგებელი თანამშრომლები არიან (მაგ. ს. მესხი, ი. ჭავჭავაძე და ა. შ.).

ს. მესხის თქმით, ბათუმი, ისევე როგორც საომარ მოქმედებებს გამოვლილი სხვა ქალაქები, სავალალო მდგომარეობაში იყო თავისი მტვრიანი და უსუფთაო ქუჩებით, ფანჯრებჩამტვრეული სახლებით, ნაგვით სავსე ზღვის სანაპიროთი...

გაზეთ „დროების“ ერთ-ერთ სარედაქციო წერილში, რომლის სათაურია „ბათუმის მიწები“, საუბარია ქალაქის მიწების ყიდვა-გაყიდვის საქმეში არსებულ დიდ განუკითხაობაზე... გაზეთის თქმით, ქალაქის ზღვის სანაპიროზე საუკეთესო ადგილების ხელში ჩაგდების მსურველნი თბილისელი სომხები ყოფილან, ეს მაშინ, როცა იმჟამად „ბათუმში ერთი სომეხიც კი არ მოიპოვებოდა, რომელსაც ხეირიანი ვაჭრობა ჰქონდეს“-ო [„დროება“, 1878, №120].

გაზეთი იქვე ყურადღებას ამახვილებდა იმაზეც, რომ „მომეტებული ნაწილი იქაური მამულის პატრონები და ვაჭრები ღაზები არიან, რომელნიც ხასიათით, ზნით, მოხერხებულობით და მახვილის ჭკუით, აგრეთვე ენითაც, თითქმის წმინდა მეგრელები არიან...“ და, რომ „ბათუმის მხარე ამისთანა ხალხს უფრო ადვილად შეეთვისება... ვინაიდან ისინი ამავე დროს თანამოძმე ხალხიცაა და უფრო სიამოვნებით, უფრო ადვილად დაიჭერს საქმეს, ვინემ სხვა გვარის ვაჭრებთან...“ [„დროება“, 1878, №120].

საქმე ის იყო, რომ ქართველ ხალხს, ამ მიწა-წყლის ისტორიულ მეპატრონეს, არაფერს ეკითხებოდა ქრისტიანი დამპყრობელი, თუ როგორ წესრიგს და მართვა-გამგეობას ჩათვლიდა უკეთესად. ცარისტულმა ხელისუფლებამ იმთავითვე ხაზგასმით მიგვანიშნა, ტყუილად თავს ნუ იწუხებთ, თქვენ არავინ გეკითხებათ, რას და როგორ გავაკეთებთო. დაიწყეს სავსებით მოშლილი ადმინისტრაციული მმართველობის მოწყობა. შემოღებულ იქნა სამხედრო-საპოლიციო მმართველობა გუბერნატორების ხელმძღვანელობით.

ახალი მმართველობის შემოღების შემდეგ, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანები, რომელთა დამცირებას, შეურაცხყოფას და სარწმუნოებრივი გრძნობების შელახვას ზღვარდაუდებლად მიმართავენ ახლადმოვლენილი რუსი ჩინოვნიკები (ყორდანოვები, სტეფანოვები და სხვ.). ისინი ცარისტული კურსის გამტარებლები იყვნენ და ხელს უწყობდნენ მუსლიმან ქართველთა სამკვიდროდან აყრას და მუჰაჯირობის გზაზე დადგომას.

გაზეთ „დროებაში“ ამის არაერთი მაგალითია დასტამბული. ერთ-ერთ წერილში, რომლის სათაურია „ბათუმის მაზრის დაცარიელება“, ვკითხულობთ: „ბათუმში ოთხასამდე მოსახლე ჩამოვიდა, რომლებიც ოსმალეთში გადასახლებას ემალებიან... მას აქეთ, რაც რუსეთმა ეს მაზრა დაიპყრო, მუდამ გაზაფხულზე და შემოდგომაზე ვხედავთ, რომ ეს ახლადდაპყრობილი ხალხი ასობით და ათასობით

აბარგებული ჩამოდის ბათუმში, რამდენიმე დღე რჩება აქ მშვიდ-მწყურვალე, შიშველ-ტიტველი, ძუძუმწოვარა ბავშვებით, უძლურ დედაკაცებით და მამაკაცებით და ბოლოს, რომელიმე უცხო ქვეყნის გემით ოსმალეთში მიდის“.

„დროების“ თქმით: წასვლის წინ „ესენი დედა-მიწას ჰკოცნიან, ხეებს, სახლებს, ყველაფერ სულიერსა და უსულოს, რასაც კი სტოვებენ, ცხარე ცრემლის ღვრით სტოვებენ, გულდამწვავ ტირილით ეთხოვებიან და ისე მიდიან... ბევრი, ძალიან ბევრი გზაზე იხოცება შიმშილისაგან“-ო **[„დროება“, 1881, №40]**.

„დროება“ ერთ-ერთ თავის მომდევნო ნომერში ათავსებს ცნობას ბათუმის სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-მაიორ კ. კომაროვის გადაყენებისა და მის ადგილზე უმაღლესის ბრძანებით – ახლის, გენერალ-მაიორ კ. სმეკალოვის დანიშვნის შესახებ **[„დროება“, 1881, №78]** და აღნიშნავს: „ბათუმის მაზრა ამ ჟამად ისეთ მდგომარეობაშია, იქაური ხალხი ისეთ ნაირად აღელვებულია, რომ ყოველ ადმინისტრაციას იქ ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს“; რუსის ახალი ჩინოვნიკის „ყოველ ნაბიჯს, ყოველ ახალ განკარგულებას დაკვირვებით, ყურადღებით შესცქერიან და თუ რამე არ მოეწონათ, თუ დაინახეს, რომ ადმინისტრაცია ხალხის სიკეთისთვის არ ზრუნავს, თუ დარწმუნდნენ, რომ პატივს არ სცემენ ხალხის ჩვეულებას, ხასიათს, გულს იცრუებენ, ჰყიდიან ან უპატრონოთ აგდებენ თავიანთ მამა-პაპეულ ადგილ-მამულს, სახლ-კარს, იკრავენ ბარგს და ოსმალეთში მიდიან, თუმცა კარგად იციან, რომ იქ უკეთესი ბედი არ მოელოთ“ **[„დროება“, 1881, №84]**.

გაზეთის რედაქცია რწმენას გამოთქვამდა, რომ ახალი ღენ-ღუბერნატორი სმეკალოვი გულმოდგინედ ეცდებოდა ხელი მოემართა ყველა გაჭირვებულისათვის და ცდილიყო შევიწროებული ცხოვრება შეემსუბუქებინა და გაეთავისუფლებინა ზოგიერთი უსინდისო ჩინოვნიკის შევიწროებისგან...

იქვე „დროება“ იხსენებდა იმასაც, რომ ბათუმის გუბერნატორად ნამყოფი კომაროვი „თავის მოვალეობის ასრულებას ვალად არ რაცხდა...“ და თავისი უხეში დამოკიდებულებით ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობას აიძულებდა, ოსმალეთში მუჰაჯირებად წასულიყვნენ. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ვინ დაინიშნებოდა ხელმძღვანელად და ვის მიენდობოდა ხალხის ჭირ-ვარამის გამზიარებლობა. ამასთან დაკავშირებით, რედაქცია იხსენებდა თ-დ გრ. გურიელის საქმიანობას: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, ბათუმის ოკრუგში რომ გრიგოლ გურიელი დარჩენილიყო, არც ხალხი გადავიდოდა და არც ის არეულობა და ფირალბობა იქნებოდა, რომელიც ამის შემდეგ იყო.

შესანიშნავია ის გარემოება, რომ სანამ გრიგოლ გურიელი უფროსად იყო ბათუმში, არავინ გავიდა ოსმალეთში, სრული მშვიდობა

იყო, იმოდენა მხნეობა, საქმიანობა და გავლენა ჰქონდა ხალხში, რომ ხალხი „ბატონ გრიგოლს“, ბატონ „მამას“ უწოდებდნენ. ის იყო პატიოსანი მოხელე. თავისის თანამდებობის აღმასრულებელი და გონიერი მცოდნე იმისი, თუ რა რიგად შეუთავსოს ახალი შემოერთებული ხალხი ახლის მმართველობასთან“ **[„დროება“, 1882, №191]**.

დავით კლდიაშვილი, რომლის თვალწინ თითქმის 30 წელი მიმდინარეობდა ახლადშემოერთებული ბათუმის ზრდა-განვითარება, თავის მემუარებში აღნიშნავს: ბათუმის ოლქში „მიწა მუქთად იშოვებოდა, ხშირად არც კი იცოდნენ, თუ ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის ადგილი... განსაკუთრებით დიდი ადგილები შემოიფარგლეს ქუთაისის გიმნაზიის დირექტორმა სტოიანოვმა, სამსახურს გადამდგარმა პოლკოვნიკ-ინჟინერმა სალაკოვმა, ბათუმის ნოტარიუსმა გერენშტეინმა, ექიმმა ოლინიკიმ, მილიონერმა სიბირიაკოვმა და სხვებმა. ამათ მუხაჯირებისაგან შეისყიდეს დიდი ადგილები... ბევრი ყალბი ნაყიდობა კეთდებოდა ამ მუხაჯირების სახელით... საოცარი თარეში იყო მიწების შესაძენად... დაურიდებლად ითვისებდნენ მიწებს. გასაოცარი მოხერხებული პიროვნება ამგვარობაში იყო ვინმე მებაღე დაღფონსი... მან პირველმა ჩადგა ფეხი ეგრეთ-წოდებულ „მწვანე კონცხში“, ბათუმის მახლობლად... ამ დაღფონსმა პირველმა შემოიღო მანდარინების გაშენება...“ **[კლდიაშვილი, 1988: 401-402]**.

„დროება“ გაზეთ „ბატუმსკი ლისტოკისადმი“ მიძღვნილ მიმოხილვაშიც ეხებოდა მიწების განკარგვის საქმეს და წერდა: „რამდენადაც ვიცით, თავისუფალ მიწებს ჩვენში ან შეძლებულ ხალხს ურიგებენ იმ პირობით, რომ დანიშნულ ვადამდინ რიგიანი შენობა გამართონ, ან ისეთ პირებს, რომელთაც სამშობლოს წინაშე რაიმე დამსახურება მიუძღვით. ახლა ვიკითხოთ – რით ხელმძღვანელობდა ჩვენი ადმინისტრაცია, როდესაც ბათუმში მიწებს ურიგებდა სხვადასხვა პირთა? თუ პირველის მოსაზრებით, მაშინ ამ ძვირფას ალაგებზე რად უნდა ვხედავდეთ ახლა ბოსტნებსა და უანგარიშო სახლებს... თუ დამსახურებისათვის დაურიგეს ეს მიწები, რატომ არაფერი არ ერგო ისეთ პირებს, რომელთაც ეს ახლადშეძენილი ქვეყანა თავის სისხლითა აქვთ მორწყული და რა საფუძვლით მიიღეს ადგილები სხვადასხვა ლაქიებმა, მზარეულებმა და მკერავმა ქალებმა? საინტერესოა ვიცოდეთ – სად გამოიჩინეს ამათ თავი და რა სარგებელი მოუტანეს სამშობლოს?“ **[„დროება“, 1882, №132]**.

მომდევნო ნომერში „დროება“ ქართველი მკითხველისათვის საცნაურს ხდიდა იმავე „ბატუმსკი ლისტოკში“ დასტამბულ ერთ ამბავს:

„ერთს ვიღაც მირზოევს კონტრაქტი შეუკრავს ბათუმის ქალაქ მთავართან, რომ საქალაქო ადგილი შუაგულ ქალაქში მიეცათ იმ პირობით, რომ 1881 წლის 1 იანვრისათვის ააშენებდა ორსართულიანს სახლს, რომლის ზემო სართულებში კლუბი იქნებოდა გამართული,

რომლისთვისაც მირზოევს 20 წლის განმავლობაში ქირა არ უნდა გამოერთვა ქალაქისათვის, შემდეგ კი სახლი და მიწა მირზოევს დარჩებოდა საკუთრებად. ეს პირობა ქალაქის წარმომადგენლებს არ დაუმტკიცებიათ, წინააღმდეგი ყოფილა მთავარი-სამმართველოც. მაგრამ მირზოევს, რომელმაც დანიშნულ ვადამდის სახლები ვერ ააშენა და, მაშასადამე, უკანონოდ შედგენილი პირობა ვერ შეასრულა, ეს ძვირფასი ადგილი ეკარგებოდა. მაგრამ ამ დროს საიდანაც გამოჩენილა ბ-ნი თაიროვი, რომელსაც უთქვამს, მამული ჩემია, სახლის აშენება უნდა დაგიწყოვ! აღმოჩნდა, რომ ეს სულ მცირე სამი ათას თუმნად ღირებული საქალაქო ადგილი ბ-ნ მირზოევს, რაღაც მანქანებით მიუყიდნია მეორე სომხის ბ-ნ თაიროვისთვის, რომელსაც საადგილმამულო დოკუმენტებიც უშოვნია და ამნაირად ეს მამული წაურთმევია ქალაქისათვის.

ამ ადგილზე ახლა ბ-ნი თაიროვი მშვენიერ, უზარმაზარ სახლს აშენებს, რომლიდანაც ათას თუმანზე მეტი ექნება წელიწადში შემოსავალიო!“ **[„დროება“, 1882, 134].**

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, რამაც მეტი წონა და ფასი შემატა პრესის სიტყვას... 1881-82 წლებში, ურთიერთშეთანხმებით, ს. მესხმა და ი. ჭავჭავაძემ თავიანთი გაზეთები „დროება“ და „ივერია“ გააერთიანეს და ორივეს ხელმოწერით გამოსცემდნენ მას. გაზეთში დასტამბული სარედაქციო სტატიების უმეტესობა ხან ერთი, ხან მეორე რედაქტორის კალამს ეკუთვნოდა. თემატიკაც უფრო გაამრავალფეროვნეს და სათქმელს მეტი დამაჯერებლობა მისცეს.

გაერთიანებულ „დროება“-„ივერიაში“ გამოქვეყნებულ მასალათაგან, რომელიც ბათუმის ცხოვრებას შეეხება, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იქ პირველი ქართული სკოლის გახსნის საკითხი, რომელიც ილიას ინიციატივით განახორციელა ქ.შ.წ.-კ გამავრცელებელმა საზოგადოებამ. რა თქმა უნდა, ბევრ სიახლეს ვერაფერს ვიტყვით, ვინაიდან იგი არაერთ ქართველ მკვლევარს აქვს შესწავლილი, მაგრამ ზოგიერთ რამეზე შევეცდებით მეტი აქცენტები გავაკეთოთ.

ილიამ, სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად, ახლად შემოერთებულ აჭარაში, პირველ რიგში კი ბათუმში, სკოლების გახსნა დაისახა მიზნად.

1881 წლის მარტში, ბათუმის შემოერთების მეორე წელს, ქ.შ.წ.-კ გამავრცელებელმა საზოგადოებამ აქ გახსნა პირველი ქართული სკოლა. როგორც დ. კლდიაშვილი მიუთითებს, მისი მიზანი იყო, „აქ თავი მოეყარათ და ესწავლებინათ ქართველი მუსლიმანების ბავშვებისათვის“ **[კლდიაშვილი, 1988: 403].**

სკოლის გახსნას გამგეობის სახელით ილია ჭავჭავაძე ესწრებოდა. მისი თხოვნით, ბათუმის გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა კ. კომაროვმა სკოლის გახსნაზე რამდენიმე წარჩინებული ბეგი მოიწვია და

მათ გამოუცხადა, რომ მაჰმადიანი სარწმუნოების ყმაწვილები სკოლაში შეისწავლიდნენ თავიანთ რჯულსაც, რისთვისაც შეეძლოთ თავად მოეწვიათ ამ საგნის მასწავლებელი, რომელსაც საზოგადოების გამგეობა წლიურად 200 მანეთ ჯამაგირს დაუნიშნავდა. როგორც „დროების“ კორესპონდენციაშია ნათქვამი, ხალხს დიდი მადლობა გადაუხდია და დაჰპირებიან, რომ ისინი დიდის სიამოვნებით მისცემდნენ თავიანთ შვილებს ხსენებულ სკოლაში **[„დროება“, 1881, №60]**.

დამსწრეთათვის სიტყვით მიუმართავს ილიასაც და სკოლის მასწავლებლად წარუდგენია ალ. ნანეიშვილი და საზოგადოების გამგეობის ხარჯით სკოლის შენობის აგებას დაჰპირებია, საპასუხოდ ქალაქის ხელმძღვანელობას, ადგილის, ანუ მიწის ნაკვეთის, მუქთად მიცემა უკისრიათ **[იქვე]**.

ბათუმის სკოლის გახსნიდან ზუსტად ერთი თვის თავზე, „დროება“ ისევ ბეჭდავს კორესპონდენციას ახლადგახსნილი სკოლის თაობაზე და მიუთითებს:

„...ბათუმში სკოლის დაარსება ყველასათვის სასიამოვნოა, რადგანაც ეს პირველი და ერთად-ერთი სკოლაა ადგილობრივი ქართველებისათვის.

უნდა ვთქვათ მართალი, რომ თავიდანვე სკოლამ ცოტათი არ იყოს მოგვისპო ყოველი იმედი, რომ ბათუმის სკოლა უდროოთ იყო გამართული, რადგან მაჰმადიანები არ იძლეოდნენ თავის ყმაწვილებს... მაგრამ როდესაც მათი ხოჯა (ხასან-ეფენდი ანანიძე), რომელიც თათრული ენის და მაჰმადის რჯულის მასწავლებლად არის დანიშნული ამ სკოლაში, დარწმუნდა, რომ სკოლაში რჯულის წინააღმდეგს არაფერს ასწავლიან, სკოლაში იწყეს თავის შვილების მიბარება. დღეს სკოლაში 26 ყმაწვილი სწავლობს, აქედან 11 მაჰმადიანი, მათ შორის ერთი ქალი, 10 მართლმადიდებელი და 5 კათოლიკე...“ **[„დროება“, 1881, №80]**.

მომდევნო ნომერში „დროება“ ბეჭდავს ბათუმელი კორესპონდენტის „კრაზანას“ წერილს, რომელშიც ნათქვამია: „სკოლა, რომ არ მოველოდით იმაზე უკეთესაც მიდის; დღეს იქ 12 მაჰმადიანი და 16 ქართველი ყმაწვილი სწავლობს. მათი მასწავლებლის ბ-ნ ნანეიშვილის პატიოსნურმა შრომამ ისე გამოიწვია ყმაწვილების სიყვარული, რომ სკოლაში მეტი ადგილი რომ იყოს, ბევრი სხვა მაჰმადიანი ყმაწვილიც შევიდოდა... სასურველია, რომ ჩვენმა „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ თავის დანაპირები მალე შეგვისრულოს და სკოლისათვის შენობის აშენება აღარ დაგვიგვიანოს“ **[„დროება“, 1881, №109]**.

ასეთი იმედისმომცემი დასაწყისის შემდეგ მოულოდნელი იყო იმავე წლის სექტემბერში სკოლის უმძიმეს ვითარებაში ჩავარდნა. „დროება“ სპეციალურ წერილს უძღვნის „ბათუმის სკოლას“, რომე-

ლიც ილიას კალამს ეკუთვნის. მისი თქმით, დიდის ამბით გახსნილი სკოლა ძალიან ცუდ დღეში აღმოჩენილა. ამის მიზეზი გამხდარა ბათუმში მთავრობის მიერ გახსნილი ნორმალური სასწავლებელი, სადაც თავიანთი შვილები გადაუყვანიათ მაჰმადიან ქართველებს და ქართულ სკოლაში 14-15 ყმაწვილი დარჩენილა, ისინიც გურულ-მეგრელი მედუქნეებისაო. არადა, „ბათუმის პირველ ქართულ სკოლას, თავის პირდაპირი დანიშნულების გარდა, კიდევ სხვა, უფრო უადრეს მნიშვნელობას ვაძლევდით. ამ სკოლის საშუალებით ჩვენ ველოდით, ჩვენს ძველ მოძმეთ დაბრუნებას, უფრო მტკიცე, დაახლოებულ კავშირის გამართვას; ველოდით გვარტომობის თითქმის დავიწყებულ ხალხს, თავის მამა-პაპის გზიდან აცდენილს მოაგონებს თავის ვინაობასაო, დააყენებს იმას სწორ გზაზე და ამნაირად ერთდროინდელი ქართველი ხალხი მაჰმადიან საქართველოსა, რომელიც ახლა თავის-თავს თათარს უწოდებს, სხვათა შორის, ამ სკოლის დახმარებითაც გაიგებს ვინც არის, მოაგონებს თავის გვარტომობასაო...

და ეს მაშინვე, სკოლის დაარსებისთანავე იყო ჩვენს გაზეთში გამოცხადებული“, – წერს ავტორი [„დროება“, 1881, №227].

დასასრულს ნათქვამი იყო: „ნუ დაგვარგავთ იმედს... ბათუმში ქართული სკოლა აუცილებლად საჭიროა და იმის მოსპობა არავინ არ უნდა იფიქროს... ამ სკოლამ თავისი მაღალი მნიშვნელობა და მოვალეობა უნდა შეასრულოს“. შენიშვნა იყო გამოთქმული მასწავლებლის მიმართაც: „ბათუმის სკოლის მასწავლებელს ცოტა უფრო მომეტებული მოეთხოვება... იმისი როლი ცოტათი ზნეობით მისიონერის როლს ემსგავსება, მაგრამ, თუ მონინდომებენ, თუ კარგად მოსძებნიან, ამისთანა მასწავლებელიც მოიძებნება“, – აღნიშნავდა ავტორი [იქვე].

მაღე ასეთი პიროვნებაც მოუძებნიათ – მოსე ნათაძის სახით და ბათუმის სკოლის მასწავლებლობა მისთვის მიუხდვიათ. მას კი „აღვილობრივ მკვიდრთა მოზიდვით“ უსახელებია თავი და მთელი ათი წელი (1882-1891) დაუღალავად უღვაწია ამ სკოლაში (სდსინ, III, 2008: 533). თავის მხრივ, მეტი აქტიურობა გამოუჩენია „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელსაც ბათუმშიც შეუქმნია თავისი ორგანიზაცია, სადაც იქ მოღვაწე მამულიშვილები: დავით ჩხეიძე, თდი სპირიდონ ამირეჯობი, თდი ლევან ჩინუა, გიორგი ბერიძე, ქიშვარდი ჯაყელი, დავით კლდიაშვილი, ნესტორ უგრეხელიძე, თდი ფარსადან მიქელაძე, სილიბისტრო ვაშალოშიძე, გრიგოლ გეგენავა, ალექსანდრე ხოშტარია, ივანე საულიძე, თდი გ. ფაღავა, პორფილე ვაშალოშიძე და სხვები გაწევრიანებულან [„დროება“, 1883, №3].

აღნიშნულ ორგანიზაციას თავისი ყურადღების არეში მაშინვე ქართული სკოლის საქმიანობა მოუქცევია და მისთვის ყოველმხრივი დახმარების გაწევა დაუწყია... [„დროება“, 1883, №39].

გაზეთ „დროების“ რედაქტორს ს. მესხს თავად მოუნახულებია ბათუმის პირველი სკოლა, გასცნობია მისი ახალი მასწავლებლის – მ. ნათაძის საქმიანობას და ნანახით კმაყოფილი, თავისი გაზეთის ფურცლებზე წერდა: „...სასიამოვნო შთაბეჭდილებები გამოვიტანე. ბატონ ნათაძის ხელში ჩვენი ბათუმის სკოლა საიმედო და სასურველ ნიადაგზე იქნება დამდგარი... იმას კეთილი განწყობილება გაუმართავს, შეუთვისებია და დაახლოებია ადგილობრივ მაჰმადიან ქართველებს“ [„დროება“, 1882, №270].

დღეისათვის, ბათუმის პირველი ქართული სკოლის ისტორია საკმაოდ ამომწურავად არის შესწავლილი, თუმცა მაინც მოხერხდა ზოგიერთი საინტერესო ფაქტის მოძიება და წარმოჩენა, რისთვისაც გაწეული შრომა ნამდვილად არ მიგვიჩნია დროის ფუჭად კარგვად.

„დროებაში“ გამოქვეყნებულ მასალათა შორის ყურადღებას იქცევს ანალიტიკური ხასიათის სარედაქციო წერილი – „ბათუმი და ფოთი“. მასში პროფესიულ დონეზეა გაანალიზებული საქართველოს ამ ორი საზღვაო ქალაქისა და მათი ნავსადგურების განვითარების პერსპექტივები...

სტატიის დასაწყისშივე გაზეთი მკითხველს მოაგონებს, რომ ომამდე ყველაზე მოხერხებული სავაჭრო ადგილი ჩვენი მხარისათვის მხოლოდ ფოთი იყო და მთავრობა მის მოწყობაზე ბევრს საუბრობდა, მაგრამ საქმემ წინ ვერ წაიწია. ფოთი დღევანდლამდე მოუხერხებელ ადგილად დარჩა გემების შემოსასვლელად და დასადგომად... ახლა, რაკი ომმა ასე გადაწყვიტა ბათუმის შემოერთების საქმე, ფოთის მდგომარეობა უფრო დამძიმდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ბათუმს საუკეთესო ნავსადგური აქვს თვით ბუნებისაგან გაკეთებული, რაც შესაძლებლობას აძლევს მას, შავი ზღვის ფურთუნის (დელვის – გ.ს.) დროს გემები მიიღოს და შეიფაროს... ამგვარად, ფოთი დღეს ვეღარ შეეჯიბრება ბათუმს და ვეღარ დაიჭერს იმ ადგილს, რაც აქამდის ეჭირა [„დროება“, 1882, №110].

„ამგვარად, ყოველივე ეჭვი ბათუმის ამადლებისა და ფოთის დამცირების თაობაზე გათავებულად, გადაწყვეტილად უნდა ჩავთვალოთ“; – კატეგორიულად აცხადებდა სარედაქციო წერილის ავტორი.

„ბათომი ქართველების ქალაქია, როგორც ფოთი, ამიტომ მეგრელებმა, გურულებმა და საკუთრად ფოთელებმა ერთმანეთს მხარი უნდა მისცენ, თორემ ართვინის, არზრუმის, ტრაპიზონისა და ტფილისის სომხები და, აგრეთვე, ბერძნები ბათომში თუ გამაგრდნენ, შემდეგ ფოთშიც გადმოვლენ, გურიაშიც და სამეგრელოშიც და რაც აქამდე ვაჭრობა მეგრელ-გურულ-იმერლებს ხელში ეჭირათ, იმათ ხელიდან გამოაცლიან და იმათ ეხლანდელ ადგილს დაიჭერენ“; – გაფრთხილებას იძლეოდა გაზეთი და განაგრძობდა: „ამასთანავე, უნდა ვიცოდეთ,

რომ ბათუმში იქაური ადგილობრივი ჩვენი მოძმე მაჰმადიანი ქართველები ვაჭრობენ, რომელთაც ტრაპიზონისა და ართვინის სომხები და ბერძნები საქმეს უჭირებენ. ამიტომ იმ ჩვენს მოძმეებს უნდა დავეხმაროთ, მართალია რჯულით სხვანი არიან, მაგრამ ერთ და სისხლით ჩვენი მოძმე გურჯები, ქართველები არიან, იმათ პატიოსნური ვაჭრობა და პირი იციან, ორპირობა, ტყუება მათ არ შესწევიათ, ისე სხვებთან ვერ მოეწყობიან მეგობრულად, როგორც ჩვენ მოძმე ვაჭარ გურჯებთან, ოღონდაც ორგულობა არ უყოთ“ [იქვე].

20 ივნისის სარედაქციო წერილში, „დროება“ ისევ უბრუნდება ფოთისა და ბათუმის ღირსება-ნაკლოვანებათა შედარებას და ყურადღებას მათი მომავალი განვითარების პერსპექტივებზე ამახვილებს.

„უპირველესი მნიშვნელობა ორისავე ქალაქისა ის არის, – ნათქვამია წერილში, – რომ ზღვის პირას მდებარეობს და სავაჭრო ქალაქებია. მაშასადამე, რომელსაც ბუნებითი ნავსადგური აქვს და ახლო მისადგომი ნაპირი გემებისათვის, ის უფრო მაღე და ადვილად მოიპოვებს წარმატებას. ბათუმს ასეთი ნავსადგური აქვს ბუნებითვე და ისეთი ღრმაა, რომ უუდიდეს ხომალდს შიგ ნებივრად შესვლა შეუძლია, ზედ ნაპირას სამ-ოთხ საუენზე მიდგომა და პირდაპირ საქონლის გადაწყობა. ამ ნავსადგურში ყოველთვის მშვიდობიანათ თავს აფარებს ყოველ ფურთენის (დეღვის – გ.ს.) დროს მთელი კავკასიის ნაპირის ხომალდები სამსონამდე, ნავსადგურში ქვიშა არ შემოაქვს ზღვასა და სიღრმე არ ევსება“ [„დროება“, 1882, №127].

რაც შეეხებოდა ფოთის იქამინდელ მდგომარეობას, ავტორის თქმით – იგი აშკარად ჩამორჩებოდა ბათუმის შესაძლებლობებს. კერძოდ: „ფოთში გემები ახლოს ვერ მიმდგარა; პატარა გემებზე და ფილუკებზე უნდა გადააწყონ საქონელი, მერე გადაიტანონ ნაპირას. როცა ფურთენაა, დატვირთული და დაუტვირთავი გემები ნაპირს უნდა მოშორდეს და თავის გადასარჩენად ბათუმს უნდა წავიდეს... ფოთის ნავსადგურს აზიანებს რიონის მიერ ჩამოტანილი ქვიშა, რომელიც ავსებს ზღვის სიღრმეს და აპატარაებს მას, რის გამოც ხშირად გაწმენდა სჭირდება გემმისადგომებს...“. გარდა ამისა, ბათუმს ჰქონდა ბუნებრივი სტრატეგიული ადგილ-მდებარეობა (მთა-გორები), ფოთი კი მოკლებული იყო ამას – „გაშლილ მინდორ ადგილას მდებარეობს და გარშემო პატარა ბორცვიც კი არა აქვს ზარბაზნები რომ განაღავოს და მტერს გზა შეუკრას; ფოთს საიმპორტოდ აქვს სამეგრელოში მოყვანილი სიმინდი, ღომი და ხილი...“ ბათუმს აქაც უპირატესობა უნდებოდა, რადგან „გურია თავის მოსავალს ბათუმს მიმავალ რკინიგზას დაუდებს... ბათუმს მაღალი მთები აქვს! აი ეს მთებია, რაც არის! ბათუმს თავს აყუდვია: სამება, კვეცელური, ნამანდრევი, ჭოროხამდე კი კახაბერის მთის წვერები და სერები...“ და სხვ.

დასასრულს, ავტორი დაასკვნის: „დიდი ხანი უზრუნველად ვიყავით, ვაჭრობა მთელის საქართველოს მომეტებული ნაწილისა სომხებმა დაიჭირეს. ჩვენ პირდაპირად ვრჩებით, ვტირით და წინათვე თვალის გახელა არ ვიცით. ამიტომ ქონებით და ფულით ჩვენ ვღარიბდებით, მოსულები კი მდიდრდებიან. დროა, სანამ უბედურება შეგვემთხვეოდეს, წინათვე მოვემზადოთ და ავიცდინოთ“ [იქვე].

ამრიგად, მე-19 საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს პრესაში („დროება“, „ივერია“, „Обзор“, „Кавказ“, „Батумский листок“ და სხვ.) მეტად ღირებული მასალებია გამოქვეყნებული ახლად შემოერთებული ბათუმის შესახებ; მათ დღეისათვის პირველწყაროს მნიშვნელობა აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არაერთ მკვლევარს აქვს მოძიებული და გამოყენებული, არა მგონია, ვინმეს მათი სრულად ამოწურვის პრეტენზია ჰქონდეს. ვაჟასი არ იყოს, „ვინ მოსთვლის, რამდენი საუნჯეა ჩამარხული ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში... ვის სცალია ამ საუნჯის ამოსაკრებად“ [„კაი ყმა“, 1886: 168].

ფიქრობთ, აქ მოყვანილი მასალები დასტურია იმისა, თუ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული საზოგადოება ჩვენი ქვეყნის მომავალი წარმატების საქმეში ბათუმსა და მის შემოგარენს.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**„კაი ყმა“, 1886:** – კაი ყმა: მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე (კრებული), თბილისი.

**კლდიაშვილი, 1988:** – კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, – წიგნი: ქართული პროზა, XVI, თბილისი.

**კომახიძე, 2004:** – კომახიძე თ., ილია ჭავჭავაძე აჭარის დიდი მოამაგე, ბათუმი.

**ლორთქიფანიძე, 1995:** – ლორთქიფანიძე გრ., ფიქრები საქართველოზე, თბილისი.

**მეგრელიძე, 1956:** – მეგრელიძე შ., აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი.

**მესხი, 1963:** – მესხი ს., თხზულებანი სამ ცომად, II, თბილისი.

**სდსინ, III, 2008:** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი.

**სურგულაძე, სიორიძე, 1996:** – სურგულაძე აბ., სიორიძე მ., პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი.

**ქართული დიპლომატიის ისტორია, 2004:** – ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია), თბილისი.

**წულუკიძე, 1982:** – წულუკიძე ვ., პირველი ქართული სკოლა აჭარაში, ბათუმი.

**ჭავჭავაძე, IV, 1987:** – ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, IV, თბილისი.

**ჭავჭავაძე, V, 1987:** – ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, V, თბილისი.

**თურმანიძე, 2008:** – თურმანიძე ო., რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაბრუნება, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი.

**ჭუმბურიძე, 2009:** – ჭუმბურიძე დ., გაზეთი „დროება“ ბათუმის დაკავების შესახებ, კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა, I, ბათუმი.

**Батум и его окрестности, 1906:** – Батум и его окрестности. К 25-летию присоединения гор. Батума к Российской империи. Батум.

**Сборник договоров ..., 1952:** – Сборник договоров России с другими государствами. 1856-1917 гг. Москва.

**გაზეთები:**

„დროება“, 1878, №120 – გაზ. „დროება“, №120, 1878 წლის 8 ივნისი.

„დროება“, 1881, №40 – გაზ. „დროება“, №40, 1881 წლის 24 თებერვალი.

„დროება“, 1881, №78 – გაზ. „დროება“, №78, 1881 წლის 17 აპრილი.

„დროება“, 1881, №84 – გაზ. „დროება“, №84, 1881 წლის 25 აპრილი.

„დროება“, 1881, №60 – გაზ. „დროება“, №60, 1881 წლის 20 მარტი.

„დროება“, 1881, №80 – გაზ. „დროება“, №80, 1881 წლის 19 აპრილი.

„დროება“, 1881, №109 – გაზ. „დროება“, №109, 1881 წლის 28 მაისი.

„დროება“, 1882, №110 – გაზ. „დროება“, №110, 1882 წლის 30 მაისი.

„დროება“, 1882, №127 – გაზ. „დროება“, №127, 1882 წლის 20 ივნისი.

„დროება“, 1882, №134 – გაზ. „დროება“, №134, 1882 წლის 29 ივნისი.

„დროება“, 1882, №191 – გაზ. „დროება“, №191, 1882 წლის 12 სექტემბერი.

„დროება“, 1882, №270 – გაზ. „დროება“, №270, 1882 წლის 15 ნოემბერი.

„დროება“, 1883, №3 – გაზ. „დროება“, №3, 1883 წლის 6 იანვარი.

„დროება“, 1883, №39 – გაზ. „დროება“, №39, 1883 წლის 28 თებერვალი.

„ივერია“, 1878, №10 – გაზ. „ივერია“, №10, 1879 წლის იანვარი.

„ივერია“, 1889, №55 – გაზ. „ივერია“, №55, 1889 წლის 14 მარტი.

**Gela Saitidze**  
**(Tbilisi, Georgia)**

**The Issue of Newly Joined Batumi in the Georgian Press of 80-ies of 19<sup>th</sup> Century**

**Summary**

As a result of the war between Russia and Turkey in 1877-1878 Georgia got back its historic territories seized by Ottoman Empire. The most important among them was Adjara with its best seaport city of Batumi.

Of course autocratic tsarist Russia didn't have in mind to expand Georgia's territories and to consolidate Georgian people. Both the Christian and the Muslim conquerors pursued the same goal – Georgia without Georgians, and its geostrategic location was a contributing factor to the immigration of the indigenous Georgian Muslims as Muhajiruns and to resettling of other peoples in their place.

Sensible Georgian society spared no efforts to prevent this treacherous plan by all means. To this end they effectively used the Georgian print media which was under heavy censorship.

Based on the opinions published in works of various authors as well newly found materials, we make several conclusions in this paper, which, in our opinion, will be conducive the research of the problem.

მუშანა ფუტყარაძე, როინ მალაყმაძე,  
ნაილა ჩელებაძე, ელზა ფუტყარაძე,  
თამილა ლომთათიძე, შორენა ფუტყარაძე  
(ბათუმი, საქართველო)

## ბათუმის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე

### სტამბულის ქართულ სავანეში დაცული პრესის მონაცემების მიხედვით

სტამბოლის ქართული სავანე საუკუნეზე მეტი ხნის (1861-1982) მანძილზე წარმოადგენდა თურქეთში მცხოვრები ქართველების განათლებისა და კულტურის ცენტრს, საქართველოდან ლტოლვილი მოსახლეობის თავშესაფარს. ამ ხნის მანძილზე სტამბოლის ქართული სავანე საქართველოდან და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის კულტურული ცენტრიდან მარაგდებოდა სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურით. მის არქივში დაცულია ბევრი სახელოვანი ადამიანის მიმოწერის ბარათი, მემუარული მემკვიდრეობა, XIX-XX საუკუნეების დიდალი ქართული და უცხოენოვანი ჟურნალ-გაზეთები. მათში ხშირად გვხვდება ცნობები ბათუმის ისტორიის, ეკონომიკის, კულტურის, განათლებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. მათ შორის არის ბათუმის საზოგადოებრივ-კულტურული ყოფის ამსახველი, დღემდე უცნობი მასალები.

ქვეყნის ცხოვრებაში საზოგადოების კულტურულ მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა მიენიჭა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ყველა იმ, თუნდაც ძალზე მცირე ღონისძიებას, რომელიც ხალხის წიაღიდან მოდიოდა, რადგან იმდროინდელ საზოგადო მოღვაწეებს მიაჩნდათ, რომ სწორედ ასეთი, ბათუმის საზოგადოების მიერ გაწეული პატარ-პატარა საქმეები, ხელს შეუწყობდა აჭარაში ქართული ყოფისა და კულტურის აღორძინებას: „ამისთანა საქმეები, კიდევ უფრო ღირსია ყურადღების, რადგან ყოველი საერო და საქვეყნო საქმე უფრო საიმედოა, როცა ქვემოდან იწყება, როცა იგი შედგება ხალხში გავრცელებულის არსისა, რომელიც ხალხს გრძნობად გადაჰქცევია. ამიტომ მკითხველი ნუ დაგვემდურება, თუ იმ თვალ-საჩინო საქმესთან ერთად, რომელსაც მთელის საზოგადოების ყურადღება მიუპყრია და ბაასი გამოუწვევია, აღვნიშნავთ იმისთანა საქმეებსაც, რომელთაც არავისი ყურადღება არ დაუმსახურებიათ და მხოლოდ მცო-

რე ადგილი დაუჭერიათ გაზეთის წერილმან ამბებში“ – წერდა „მოამბე“ 1895 წლის №12-ში. გაზეთი ამ „შინაურ“, „პატარა საქმეთაგან“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ორ მოვლენას, რომელსაც ბათუმის ქართველობამ საფუძველი დაუდო 1895 წლის 19 ნოემბერს: „ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლის შენობისა და ეკლესიის საძირკვლის კურთხევას.

ბათუმის ქართული სკოლა „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ საზოგადოების დაარსებისთანავე გახსნა, მაგრამ მისი შენახვა საზოგადოებას იმდენად ძვირი უჯდებოდა, რომ დღის წესრიგში დადგა მისი დახურვის საკითხი. მაშინ ეს საქმე თავის ხელში აიღო ბათუმის ქართველობამ და თავისი ხარჯით სკოლის შენობის აგება და საკუთარი ძალებით მისი შენახვა გადაწყვიტა. წერილში გაცხადებულია გამოხატული იმის გამო, რომ ბათუმის საზოგადოებამ დასძლია ქართველთათვის დამახასიათებელი სენი – საქმის გაჭიანურება, გამოიჩინა „არაჩვეულებრივი მხნეობა და სიცოცხლე“ და შეძლო უმოკლეს ვადაში შეეგროვებინა საჭირო სახსრები სკოლის ასაგებად. იმედია გამოთქმული, რომ „ბათუმის ქართველობა შემდეგში მეტს მხნეობას თუ გამოიჩენს, თორემ ნაკლებს არა და უეჭველად შესძლებს სრულიად უზრუნველყოფის თავისი სკოლა, ეს პირმო შვილი მისის თვით-მოქმედებისა“.

სკოლის შენობის პარალელურად, ბათუმელებმა გადაწყვიტეს ეკლესიის აგება და იმავე დღეს მისი შენობის საფუძველიც ჩაყარეს. ეს საკმაოდ შრომატევადი და დიდ თანხებთან დაკავშირებული საქმე იყო, მაგრამ რადგან „ბათუმელებმა გაჰბედეს ამ საქმის დაწყება, სწნას მათ იმედი აქვთ თავის თავისა და საქმეს კიდევ დაავირობებენ“, – წერს გაზეთი.

ეს მშენებლობები მიმდინარეობდა იმ დროს, როცა სახელმწიფოს ამ ხარჯების გაწევის საშუალება არ ჰქონდა და საერთო ქართული საქმისათვის ეს მისია საზოგადოებას უნდა ეკისრა. „ბარაქა-ლა, ბათუმელ ქართველობას, რომ ეს ვითარება შეიგნო და მის კვალობაზე მედგრად იღწვის“ – ასე აფასებს გაზეთი ბათუმის ქართველობის ღვაწლს ამ დიდ საქმეში (**„მოამბე“, 1895, №12**).

აქაურთა ერთსულოვნებითა და ძმური მოქმედებით აღფრთოვანებულია გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი, რომელიც დასწრებია ამ ამბებს: „უნდა გამოვსტყდეთ და ვსთქვათ, რომ ბათუმელი ქართველები სრულიად არ გვანან სხვა ქართველებს, ე.ი. იმ ქართველებს, რომლებიც ცხოვრობენ შიდა საქართველოში ... იქ ორს ინტელიგენტს ვერ იპოვი, რომ ერთმანეთის შურსა და იძულებაში არ ამოსდიოდეს სული; აქ, ბათუმში კი, რაღაცა ძალას გაუსულ-ერთხორცებია საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდან თავ-მოყრილი ქართველობა: ქართლ-კახელი ტეტი, ზრდილი იმერი, მკვირცხლი გურული და მეგრული, გამაჰმადიანებული ქართველი, – ყველა ესენი მტკიცედ შეკავშირ-

რებულან, ძმურად გადაუჭდიათ ყელი ყელსა, ხელი ხელსა და შეს-  
დგომიან წარმატების გზასა. აი, ამ ძმურისა და გაერთიანებულის ძა-  
ლით ააგეს ბათუმელმა ქართველებმა ტაძარი სწავლა-მეცნიერებისა,  
აი, ამ ძალითვე შეუდგნენ ღვთის ტაძრის აშენებასაცა“ (**„ივერია“**,  
**1895, №260**).

ქართველთა ოცნებას წარმოადგენდა ბათუმში არა მხოლოდ  
სკოლის, არამედ ქართული წიგნის ბეჭდვაც. ზაქარია ჭიჭინაძემ გა-  
ზეთ „ივერიის“ 1902 წლის №174-ში ამ საკითხს მიუძღვნა სპეციალუ-  
რი წერილი „ქართული მწიგნობრობის საქმე ბათუმში“. იგი წერდა:  
„საჭიროა ბათუმში გვექონდეს წიგნის სავაჭრო და გვეყავდეს დამტარე-  
ბელი. სხვა ქალაქების მსგავსად უნდა გაკეთდეს კიოსკი და ამაზედ  
ზრუნვა უნდა იკისროს ბათუმის ქართველმა ინტელიგენციამ“. დიდი  
მოღვაწის ეს ნატვრა აასრულა ორმა ქართველმა – ბესარიონ და გე-  
რონტი კალანდაძეებმა. მათ გააკეთეს პავილიონი, შეკრიბეს ყველა  
ქართული წიგნი, რომლებსაც ავრცელებდნენ ხელოსნებში, ქარხნის  
მუშებში, ვაჭრებში და მოხელეებში. „მათ მწიგნობრობის საქმე ჩინე-  
ბულად მიჰყავდათ და მარტო ჩვენის წარჩინებულის მწერლების ნაწე-  
რებს ასობით და ორასობით ასაღებდნენ ... მათ პავილიონში თითქმის  
ყველა ქართულ წიგნს ნახავდით. ამათ უმთავრეს ღირსებას ერთი  
ისიც შეადგენდა, რომ იგინი ქართული წიგნების ფულს გამომცემ-  
ლებს და მწერლებს მალე უსწორდებოდნენ, სუფთად, თავანკარად და  
მასთან ზომიერ სარგებელსაც იღებდნენ“ (**„ივერია“**, **1902, №174**).

ცოტა ხნის შემდეგ, ბათუმში გადმოსულა ცნობილი მესტამბე  
და გამომცემელი კოწია თავართქილაძე, რომელმაც არა მხოლოდ მა-  
ლაზია, არამედ სტამბაც გახსნა. მისი სტამბა ქართული წიგნების გა-  
მომცემლობის პირველი მაგალითი იყო ბათუმში. სწორედ აქ გამოიცა  
პირველი ქართული წიგნი – ფ.ხუსკივაძის მოთხრობა. ზ.ჭიჭინაძის შე-  
ფასებით: „ბათუმში დაბეჭდილი ქართული წიგნების ხილვა ყველას  
აძლიერებდა, ახარებდა, ყველას ემჩნეოდა სიამოვნება, რომ აქამდე  
თუ ქართველთ სტამბა გვექონდეს თბილისსა და ქუთაისში, ახლა ბა-  
თუმშიაც დაგვიარდაო. ეს უკანასკნელი ამბავი კი, მით იყო სანუკვა-  
რი, რომ აქაურ სტამბის შემწეობით მოველოდით, რომ იგი დასავლეთ  
საქართველოშიაც შეიტანდა განათლებას, აქაურ ქართველობის ოჯა-  
ხებშიაც შეაშუქებდა ნათელს სხივს, ცხოვრების გამაცისკროვნებელ  
ძალას, დიად მოქალაქეობის განმტკიცების ნიადაგს, ქართველების და  
საქართველოს ცნობას, მის მერმისის და ჭეშმარიტ სიყვარულის აღ-  
დგენას“ (**„ივერია“**, **1902, №174**).

ბათუმში სისხლსავსე კულტურული ცხოვრების არსებობაზე მი-  
უთითებს აქ გამართული მუსიკალური საღამოები. XIX საუკუნის ბო-  
ლოს ბათუმის მუსიკალური ცხოვრების მიმოხილვა გვხვდება გაზ  
„ივერიის“ 1889 წლის №136-ში, „ბათუმელის“ ფსევდონიმით გამოქვეყ-

ნებულ სტატიაში „დაბა და სოფელი (მოწერილი ამბები)“. ამ მასალების მიხედვით, ბათუმში შექმნილა „ქართველ მემუსიკეთა ხორო“, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი ყოფილა წარმოშობით ჩეხი, აქაური ბატალიონის სამუსიკო დასის ლოტბარი ბ-ნი პეხარი. ხორო ბათუმში მართავდა სამუსიკო სადამოებს და მოკლე დროში ბათუმის საზოგადოების სიყვარული და თანადგომა დაიმსახურა. ამავე პერიოდში ბათუმში მუსაკალურ სადამოებს მართავდნენ ჩამოსული მსახიობებიც. ორი კონცერტი გაუმართავს აქ ბ-ნი ბალანჩივაძეს. პირველში მონაწილეობა მიუღიათ ქ-ნი ძნელაძეს და ბ-ნებს ქორიძეს და უდენტს, მაგრამ საგაზეთო მასალის მიხედვით, ამ კონცერტს ვერ დაუმსახურებია დიდი მოწონება ბათუმის საზოგადოებაში, რადგან მხოლოდ ვეროპული რეპერტუარი წარმოუდგენიათ, მაგრამ მეორე კონცერტი, რომელშიც 14 ქართველი ყმაწვილი მუსიკოსი მონაწილეობდა, ძალზე მოწონებით აქაურებს, რადგან ერთი კვირის განმავლობაში ბალანჩივაძის ლოტბარობით შეუსწავლიათ რატილის მიერ ნოტებზე გადაღებული ქართული მელოდიები და ამ რეპერტუარს მაყურებელიც არ მოკლებია („ივერია“, 1889, №136).

აღსანიშნავია, რომ 1894 წელს თავად რატილის<sup>5</sup> ხოროც სწვევია ბათუმს და 10-13 ივლისს ორი კონცერტიც გაუმართავს. გაზეთი „ივერია“ (1894, №162) განსაკუთრებით უსვამს ხაზს II კონცერტს, რადგან ეს საქველმოქმედო კონცერტი იყო და შემოსავლის ნაწილი განკუთვნილი იყო ქუთაისის ერთი ღარიბი ოჯახისათვის. ბათუმელებს შესაშური აქტიურობა გამოუჩენიათ და დიდძალი ხალხი დასწრებია ამ კონცერტს. ბათუმის საზოგადოებას რატილისათვის საჩუქარიც მიურთმევია და ვახშამიც გაუმართავს, რადგან ბათუმელები ძალზე ნასიამოვნები დარჩენილან კონცერტის ქართული ხასიათით. ამ სადამოზე, თავის სამადლობელ სიტყვაში, რატილს აღუნიშნავს: „ის ერი ერობს, ის ხალხი ხალხონობს, რომელსაც შეუღალხავად შეურჩენია თავისი ენა, ჰანგი და კილო. კაცისთვის უუძვირფასესი საუნჯე დედა ენაა, სამშობლოს საგალობლები და ჰანგებია. გარდაქმნა, გადაგვარება იმ ხალხისა, რომელსაც მდიდარი ენა, ხმები და ჰანგები აქვს შეუძლებელია“. ვახშამის შემდგომ საუბარი ჩამოვარდნილა ქარ-

<sup>5</sup> იოსებ რატილი (1840–1912) – ჩეხი მომღერალი (ტენორი), ლოტბარი. 1885 წელს რატილი სათავეში ჩაუდგა ლ. აღნიაშვილის მიერ შექმნილ ხალხური სიმღერის გუნდს. 1890 წელს მან ცაღკე გუნდი შეადგინა, რომელთან ერთადაც პროპაგანდას უწევდა ქართულ სიმღერას. ჩაიწერა და დაამუშავა, ასევე, რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერაც.

თული სამუსიკო საზოგადოების შექმნის აუცილებლობის შესახებ. რატილს აღუნიშნავს, რომ ქართული საგალობლების მოძიება და მათი ნოტებზე გადატანა უსახსრობის გამო ფერხდება. მაშინ ბათუმის საზოგადოების წარმომადგენლებს გამოუთქვამთ მზადყოფნა ამ საშვილიშვილო საქმის ხარჯებში მონაწილეობის მიღებაზე (**„ივერია“**, 1894, №162).

გარდა ამ ცნობილი ხოროებისა, ბათუმში კონცერტებს მართავენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული გუნდებიც. მაგალითად, 1898 წელს ბათუმში გურულ-მეგრული სიმღერების კონცერტი გაუმართავს მეგრულ ხოროსაც ბ-ნ ლოლუას ლოტბარობით (**„ცნობის ფურცელი“**, 1898, №503).

ბათუმის საზოგადოება ხშირად აწყობდა საქველმოქმედო საღამოებს სხვადასხვა მიზნით. მაგალითად, 1920 წელს, როცა გორის მაზრა ძალზე დაზარალდა მიწისძვრისაგან, დაზარალებულთა დასახმარებლად შემოწირულობის შეგროვების მიზნით, ბათუმში დაარსდა კომიტეტი (**„სახალხო საქმე“**, 1920, №781). ამავე მიზნით, 1920 წლის 6 მარტს, „ქართულმა კლუბმა“ გამართა დიდი საზეიმო საღამო, შეკვეთილი მაგიდებით და შემოსავალი გადასცა გორის მაზრის დაზარალებულებს (**„სახალხო საქმე“**, 1920, №767).

საღამოები იმართებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივი დაწესებულებების სასარგებლოდაც. 1894 წლიდან სისტემატურად იმართებოდა ქართული საღამოები ბათუმის სკოლის სასარგებლოდ. 1896 წლის 14 იანვარს ასეთი საღამო გაიმართა ბათუმის კლუბში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ“. საღამოს პროგრამა შედგებოდა 2 განყოფილებისაგან: სასიმღერო და სცენების კითხვისაგან. გაზეთის ცნობით: „საღამომ, საზოგადოდ, ჩინებულად ჩაიარა. განსაკუთრებით დიდად ასიამოვნა საზოგადოება ქ-ნ მძნელაძის სიმღერამ „ნანა, შვილო, ნანინა“, კოტე მესხის იმერულმა სცენებმა და გურულთა მომღერალმა გუნდმა... აგრეთვე, საუცხოოდ შეასრულეს რუსული „ოპერეტიდან“ სცენა ოპერის ტანსაცმელშივე გამოწყობილმა ქ-მა სოლორაშვილისამ და ბ-ნ სედელნიკოვმა. დასასრული აღარ მიეცა ლეკურ ცეკვას და ევროპიულ „ტანცს“. გაზეთი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ამგვარ საქველმოქმედო საღამოებში დიდ თანაგრძნობას იჩენდა ბათუმის საზოგადოება: „ტევა აღარ იყო აქაური კლუბის ყველა ოთახებში და დიდ დარბაზში. საღამოს გამართვის მეტაურნი მანდილოსნები იყვნენ“ (**„კვალი“**, 1896, №4).

ასეთივე საღამო გამართულა 1897 წლის 14 იანვარს ბათუმის საკრებულო დარბაზში. საღამოს გამგე-დიასახლისობა გაუწევია კნეინა ბ. ვაჩნაძისას. საღამოზე წაკითხული იქნა ილიასა და აკაკის ლექსები, შესრულდა ქართული სიმღერები რატილისა და ქალთა ხორო-

სი. სადამოსათვის სპეციალურად დაუმზადებიათ მოწვევის ბარათები და პროგრამები (**„ცნობის ფურცელი“**, 1897, №77).

ბათუმში, პრესის მონაცემებით, იმართებოდა არა მხოლოდ საქველმოქმედო, არამედ ტრადიციული ქართული სადამოებიც. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება – ნინობა ჩატარებულა 1920 წლის 27 იანვარს. სადამოში მონაწილეობა მიუღიათ იმ დროს ძალზე პოპულარულ დებთარხნიშვილებს, ვანო სარაჯიშვილსა და ინაშვილს. სადამოზე მოწვეული ყოფილა, აგრეთვე, იოსებ გრიშაშვილი. სადამოზე განასახიერეს ე.წ. „ცოცხალი სურათებიც“ (**„საქართველო“**, 1920, №19).

ამ სტატიების მიხედვით ჩანს, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბათუმის საზოგადოება აქტიურად იყო ჩაბმული ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, ბათუმს ხშირად სტუმრობდნენ ცნობილი ადამიანები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები. აქ ეწეობოდა საქველმოქმედო სადამოები, ლიტერატურული შეხვედრები, საგანმანათლებლო ღონისძიებები, მუსიკალურ-თეატრალური სანახაობები. „ყოველი ასეთი საქმე, როცა იწყება, რაც უნდა პატარა იყოს იგი, იმედს გვაძლევს, რომ ქართველობა ძალას იკრებს. როდესაც კი ასეთი საქმე სისრულეში მოდის, დროს განმავლობაში ძლიერდება და საზოგადოებაში ფეხს მაგრად იკიდებს, მაშინ გაბედულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი უტყუარი ნიშანია ჩვენის ძალ-ღონისა. მართალია, ზოგიერთი ამ საქმეთაგანი დასაწყისში, პირველ შეხედვაზე მეტად მცირე რამეა, იგი არ იზიდავს საყოველთაო ყურადღებას, რადგან არ ჰყვირის და ზიზილ-პიპილებით არ არის შემკული“ (**„მოამბე“**, 1845, №12), მაგრამ ამ საქმიანობას მაინც დიდი მნიშვნელობა ქონდა, რადგან ეს აქცევდა ბათუმს სრულიად საქართველოს სისხლხორცეულ ნაწილად. ამგვარად, XIX-XX საუკუნეების პრესის მასალა კარგად წარმოაჩენს ბათუმის ქართული საზოგადოების როლს საერთო ქართულ საქმეში.

#### გამოყენებული წყაროები:

გაზ. „ივერია“, 1889 წ., №136; 1894 წ., №162; 1895 წ., №260; 1902 წ., №174.

გაზ. „კვალი“, 1896 წ., №4.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., №767, №781.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897 წ., №77; 1898 წ., №503.

ჟურნ. „მოამბე“, 1845 წ., №12; 1895 წ., №12.

ჟურნ. „საქართველო“, 1920 წ., №19.

**Shushana Putkaradze, Roin Malakmadze, Naila Chelebadze,  
Elza Putkaradze, Tamila Lomtadze, Shorena Putkaradze  
(Batumi, Georgia)**

**Social-Cultural Life in Batumi at the Border of XIX- XX Centuries**

**Summary**

The Georgian tabernacle in Istanbul has been the center of education and culture for the Georgians living in Turkey and the shelter for the refugees from Georgia for more than a century (1861-1982). Its archive contains a great deal of Georgian and foreign printed press (newspapers and magazines). You can also find the statements about history of Batumi, as well as its economical, cultural, educational and social-political life, including the still unknown materials describing the social-cultural life of Batumi.

According to the article it is obvious that at the beginning of the XX century Batumi was actively involved in the cultural life of Georgia, the city was often visited by the famous people – writers, artists, musicians. The charitable arrangements, literary soirees, educational activities, musical-theatrical shows were frequently organized. At the result of intensive activity of the Georgian society Batumi lived with saturated cultural life, which supported the revival of Georgian lifestyle and culture in the newly rejoined Adjara to the motherland.

## ერთი რუსული გამოცემა ბათუმისა და ციხისძირის შესახებ

1911 წელს ბათუმში თავართქილაძის ტიპოგრაფიაში გამოიცა ვლადიმერ გოლიცინის მიერ შედგენილი მცირე ზომის გზამკვლევი „ციხისძირი, სააგარაკე ადგილი ბათუმთან ახლოს“. გზამკვლევი გამოსცა „ციხისძირის აგარაკების მფლობელთა საზოგადოებამ“. აღნიშნული ნარკვევი ძალიან საინტერესო წყაროს წარმოადგენს XX საუკუნის დასაწყისის ბათუმისა და მისი მიდამოების, კერძოდ, ციხისძირის შესასწავლად და საერთო სურათის შესავსებად.

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ ბათუმი და აჭარა შეიერთა განსაკუთრებულად გაიზარდა ინტერესი რუსეთის იმპერიის მესვეურებიდან ამ მხარის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერია ყველაზე დიდი სახელმწიფო იყო მსოფლიოში, საზღვაო-საკურორტო მნიშვნელობის ადგილებით ის არ გამოირჩეოდა. აჭარის შეერთებამდე იმპერიის უმაღლესი საზოგადოებისათვის ერთადერთი საზაფხულო კურორტი იყო ყირიმი და XIX საუკუნის ბოლოდან მის დამხმარედ და ალტერნატივადაც შეიძლება ბათუმი და ზოგადად აჭარა მოაზრებულიყო. ბევრ გამოცემაში („ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვები“, „ბათუმის ოლქის მიმოხილვა“) აღნიშნულია, რომ სამწუხაროდ, რუსეთის იმპერიაში ბათუმის ოლქს კარგად არ იცნობდნენ და საჭირო იყო ამ შესანიშნავი მხარის სასწრაფო ინტეგრირება და გამოყენება რუსეთის უმაღლესი ისტებლიშმენტისათვის. ბათუმის ეკონომიკური აღმავლობა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო, რადგანაც იგი საუკეთესო ნავსადგურს წარმოადგენდა შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე [გოგოლიშვილი, 2006: 3]; ჩვენი აზრით, რუსეთის იმპერიას უფრო მეტი დრო რომ ჰქონოდა აჭარის ასათვისებლად, ბათუმის მხარე განსაკუთრებულ და გამორჩეულ რეკრეაციულ ადგილს დაიჭერდა მთელს იმპერიაში.

მართალია, რუსები დაეპატრონენ ბათუმის მიწებს, მაგრამ მათთვის სასარგებლოდ უვლიდნენ კიდევაც. მათ ბათუმის შემოგარენში არსებული ჭაობიანი ადგილები ამოაშრეს, არხები გაიყვანეს და გამოთავისუფლებულ მიწებზე ხელი მიჰყვეს სამიწათმოქმედო კულტურების განვითარებას [მეგრელიშვილი, 2013: 20]; როგორც წესი, მას შემდეგ, რაც რუსეთი დაიპყრობდა რომელიმე ტერიტორიას, სასწრაფოდ იწყებოდა მისი არამარტო პოლიტიკური და ეკონომიკური, არამედ კულტურული ათვისებაც. სასწრაფო წესით იბეჭდებოდა მაღალი დონის საცნობარო ლიტერატურა ახლადასათვისებელი მხარის შესახებ. ასეთ გამო-

ცემას წარმოადგენს ვ. გოლიცინის მიერ შედგენილი ბათუმ-ციხისძირის აღწერილობა. აღნიშნული ნაშრომი 50-გვერდიანია და ჩვენი აზრით, საკმაოდ საინტერესო.

ნაშრომი იწყება ბათუმის მნიშვნელობის აღწერილობით. ავტორი აღნიშნავს, რომ იშვიათად შეიძლება რუსეთის იმპერიაში იყოს ისეთი კუთხე, როგორც ბათუმია, სადაც ერთმანეთს არაჩვეულებრივად ერწყმის ბუნებრივი სილამაზე და შესანიშნავი კლიმატი. მას შემდეგ, რაც რუსეთმა ბათუმი თურქებისაგან გამოიხსნა, იგი მთელს იმპერიაში ერთ-ერთი საუკეთესო საგუბერნიო ქალაქი გახდა [Голицын, 1911: 4]; აღნიშნულ ნაშრომში ნათქვამია, რომ ბათუმის მნიშვნელობას ისიც განსაზღვრავდა, რომ ქალაქი ეწყო ბოლოდროული წესით, რაც იშვიათი იყო იმპერიის პროვინციული ქალაქებისათვის და მარაგდებოდა შესანიშნავი სასმელი წყლით, რაც ცხოვრების კარგ პირობებს ქმნიდა. ავტორის აზრით, ბათუმი არა მარტო რუსული შავი ზღვისპირეთის, მთლიანად შავი ზღვის აკვატორიის საუკეთესო საპორტო და საკურორტო ქალაქი იყო. როგორც წესი, ავტორი ბათუმის მნიშვნელობის აღნიშვნისას, ხშირად აღარებს მას სხვადასხვა ქალაქებს. მისი აზრით, ბათუმი ბევრად უფრო მოსახერხებელი პორტია, ვიდრე ყირიმის პორტები და ხაზგასმით აღნიშნავს ბათუმის უპირატესობას სოჭთან, გაგრასთან და სოხუმთან მიმართებაში. მისი აზრით, რადგანაც ბათუმი მდებარეობს რომის, ბარსელონისა და ნეაპოლის განედებზე, ეს განაპირობებს ამ ქალაქის უნიკალურობას. ამავე დროს აღნიშნავს, რომ ბათუმში არის ორი დიდი მინუსი: ციება და მოულოდნელი წვიმები [Голицын, 1911: 7]; ავტორი გვაძლევს ბათუმის მოსახლეობის რაოდენობას 1910 წლისათვის და გვაძლევს კონკრეტულ ციფრს – 30 000. ეს ის პერიოდია, როდესაც მთლიანად ბათუმის ოლქში 1910 წლის მონაცემებით 137 912 სული ცხოვრობდა [კუპრაშვილი, 2011: 42];

როგორც ყველა რუსი ავტორი, ვ. გოლიცინიც ყოველნაირად ცდილობს გამოკვეთოს ბათუმის განვითარებაში რუსეთის იმპერიის შეუცვლელი როლი და ხშირად აღნიშნავს, რომ რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების დამყარების დღიდან ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად ბათუმში 30%-ით შემცირდა ციებით დაავადებულ ადამიანთა რაოდენობა.

ძალიან ხატოვნად მოგვითხრობს რუსი ავტორი ბათუმის წვიმების შესახებ და აღნიშნავს, რომ წვიმას ძალიან მალე ცვლის ისეთი კარგი ამინდი, რომ მაშინვე დაგავიწყებს წვიმით გამოწვეული უხერხულობის შესახებ. ნაშრომის მე-9-მე-10 გვერდზე მოცემულია ჰაერის საშუალო ტემპერატურა ბათუმში წლისა და წელიწადის დროების მიხედვით. საშუალო ტემპერატურა საუკუნის დასაწყისში 14.5 გრადუსი ყოფილა. ახლანდელი მაჩვენებელი 14 გრადუსია. ზამთარში 7.5, გაზაფხულზე 11.17, ზაფხულში 22.13, შემოდგომაზე 16.68. აქვე არის მოცემული წყლის ტემპერატურის

გრაფიკი თვეების მიხედვით. საზგასმით არის აღნიშნული, რომ 1911 წელს ბათუმში ყოფილა ძალიან დიდი ზამთარი, რაც კი ოდესმე სტატისტიკური მონაცემებით იყო დაფიქსირებული. ტემპერატურა დადიოდა საშუალოდ -5 გრადუსამდე, ხოლო თოვლი ორი თვის განმავლობაში იდო ქალაქში. უკიდურესი ტემპერატურა დაფიქსირებულა -10 გრადუსი.

ბათუმის აღწერილობის შემდეგ, ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ქალაქის შემოგარენს და განსაკუთრებულად გამოკვეთს ციხისძირის მნიშვნელობას რუსეთის იმპერიის საკურორტო ზონებს შორის. აჭარას გოლიციანი რუსულ შევიცარიას, ხოლო ციხისძირს რუსულ რივიერას უწოდებს.

ციხისძირის აღწერისას რუსი ავტორი ახსენებს პეტრას ციხეს. იგი ამ ისტორიულ ნაგებობას „ციხისძირის ციხედ“ მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ ის ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში უნდა აგებულიყო. სამწუხაროდ არ ასახელებს წყაროს, საიდანაც მოიტანა „პეტრას ციხის“ ასაკის ეს ვარიანტი. ავტორი იმდენად აღტაცებული დარჩენილა ციხისძირის მიდამოებით, რომ აღნიშნავს რა მის უნიკალურობას ამბობს: „არსად რუსეთის იმპერიაში უკეთესი ხედი არ მოიძებნება. აქედან მოსწავს იაღბუზი, მითუმეტეს, რომ 185 ვერსით არის დაცილებული კავკასიის მთაგრეხილისაგან“ [Голицын, 1911: 17];

საჭიროა ითქვას, რომ ნაშრომის უმეტესი ნაწილი ციხისძირის აგარაკების გზამკვლევეს წარმოადგენს. ვ. გოლიციანი აღნიშნავს, რომ 1911 წლისათვის ციხისძირში 115 სააგარაკო ადგილი იყო და ყურადღებას აქცევს ერთ საინტერესო მომენტს: რუსეთის იმპერიაში არსებობდა მკაცრი წესები და პირობები სააგარაკო განაშენიანებისა. 1885 წლიდან საქართველოს მთავარმართებლის საბჭომ შეიმუშავა მიწის ნაკვეთების განაშენიანების პირობები და შემდეგ გადაწყვეტილებამდე მივიდა: ყარსის ოლქისა და ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ყველა მიწა, რომელიც ქალაქგარეთ მდებარეობდა მიჩნეულ იქნა სახელმწიფო საკუთრებად. ქალაქებში – ყარსი და ბათუმი, რომელთაც ქალაქური დასახლებების ხასიათი გააჩნდათ, კერძო პირთა, საზოგადოებებისა და დაწესებულებების მიწის ნაკვეთები, რომლებზეც შენობები და ბაღები იყო აღმართული კერძო საკუთრებად იქცა მიჩნეული, ხოლო ცარიელი, უშენი ან საზოგადოებრივ სარგებლობაში მყოფი მიწები – ქალაქის საკუთრებად. აქედან გამომდინარე კი, კავკასიის მთავარმართებლის 1888 წლის 3-4 აპრილის №74 მიწერილობით, დადგენილი იქნა აჭარაში აგარაკების განაშენიანების წესები: დადგენილი ნორმების შესაბამისად მოხდეს გამოთვლა და პროექტირება სასოფლო ნაკვეთებისა, ამასთან ტყის ნაკვეთებიდან უნდა გამოიყოს განსაკუთრებული უბნები, ოჯახზე 1-3 დესეტიანის ფარგლებში, რომელიც უნდა იქცეს სასოფლო ტყის აგარაკად [ბარამიძე, 1999: 109]; გოლიციანი კონკრეტულად ასახელებს რა პირობებში უნდა აშენებულიყო ციხისძირის აგარაკები. ერთი დესე-

ტინა სააგარაკე მიწის უმაღლესი ფასი 1000 მანეთი, ხოლო ქვედა ზღვარი 100 მანეთი იყო. იმისდა მიხედვით თუ რამდენად დაცილებული იყო ის ზღვიდან (საკმაოდ დიდი თანხა). თუ მიწას გაყიდდა კერძო მფლობელი შემოსული თანხის 36% სახელმწიფოს ერიცხებოდა.

ნაკვეთის ნახევარზე მეტი უნდა განაშენიანებულიყო და მხოლოდ მეორე ნახევარზე შეიძლებოდა აშენებულიყო ძირითადი სააგარე შენობა და დამხმარე ნაგებობები.

წინასწარ უნდა მომხდარიყო აგარაკის გაწმენდა ზედმეტი ხეებისა და მცენარეებისაგან, მას უნდა მიეღო ლამაზი სახე. ასეთი სამუშაოები 50-იდან 60 მანეთამდე ღირდა ერთ დესეტინაზე. კლდის ჩამონგრევა და გრუნტის გატანა კიდევ უფრო ძვირი ჯდება - სააგარაკო ნაკვეთზე დაახლოებით 150-დან 300 მანეთამდე. ავტორი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ხე-ტყე მშენებლობისათვის გამოუსადეგარი იყო, ბლოკი და აგური მალე ზიანდებოდა ადგილობრივი კლიმატის გამო და სახლების მდიდარი მფლობელები ბეტონისაგან აგებდნენ აგარაკებს. ბეტონი უფრო იაფი ჯდება და შედარებით უფრო გამძლე იყო. გზამკვლევაში მოტანილია სკარჟინსკის, პომორსკის, ზალენსკის, ანფიმოვის, უშაკოვის, გოლიცინის აგარაკების სურათები, ისინი ბინათმშენებლობის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ.

ავტორი გულისწევებით აღნიშნავს, რომ მიუხედავად ბინათმშენებლობის განვითარებისა, აჭარის ეს შესანიშნავი ადგილი საკმარისად სწრაფად არ ვითარდებოდა, რადგანაც აგარაკების მფლობელები, რომლებიც სიმდიდრით გამორჩეული ხალხი იყვნენ, იშვიათად ჩადიოდნენ თავიანთ სახლებში და ძირითადად აგარაკები გამოკეტილი იყო, არადა ამ მხარეს ვ. გოლიცინის აზრით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ განვითარების ყველაზე დიდი პერსპექტივა ჰქონდა რუსეთის იმპერიის საკურორტო ადგილებს შორის. ვ. გოლიცინი მიუთითებს, რომ ციხისძირში ზღვა გაცილებით უფრო სუფთა და კარგია ვიდრე ბათუმში.

ხაზგასმით არის აღნიშნული ნაშრომში არა მარტო საკურორტო, არამედ კომერციული მნიშვნელობა ციხისძირის მიდამოებისა. XX საუკუნის 10-იანი წლებისათვის განსაკუთრებით მოგებიანი ყოფილა ჩაის წარმოება, რომლის მოგება ერთ დესეტინაზე სულ მცირე 500 რუსული მანეთი იყო [Голицын, 1911: 31]; ჩაის ღირებულება ერთ ფუთზე ორი მანეთი და ორმოცდაათი კაპიკი იყო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იაპონური ჯიშის მანდარინის – „უნშიუს“ წარმოებას. ის ითვლებოდა ზღვისპირეთში ყველაზე პერსპექტიულ სოფლის მეურნეობის მიმართულებად და შესაბამისად მისი მოგება 1000-1200 რუსულ მანეთს წარმოადგენდა ერთ დესეტინაზე. რუსი ავტორის აზრით, აღნიშნული პროდუქტი არამარტო სუფრის მშვენება იყო, არამედ მის უცხოურ ანალოგებთან შედარებით უკეთესი სამედიცინო თვისებები-

თაც გამოირჩეოდა. ასევე პერსპექტიულ მიმართულებად მიიჩნეოდა ბამბუკის განაშენიანებაც.

ნაშრომის ერთი ნაწილი ეძღვნება ციხისძირის განსაკუთრებულად საინტერესო გასასვირებელ მარშრუტებს [Голицын, 1911: 38-40]; მოცემულია რვა მარშრუტი. როგორც ვხედავთ ეს პატარა დასახლება იმდენად მნიშვნელოვანი იყო ხელისუფლებისათვის და ამავე დროს პერსპექტიული, დეტალურად არის გაწერილი რვავე მარშრუტის მიმართულება. დეტალურად არის მითითებული რომელი აგარაკები უნდა გაეგვლო დამსვენებელს კონკრეტულ დანიშნულების ადგილამდე მისვლისათვის. აგრეთვე მითითებულია თითოეული მარშრუტის მანძილი და დრო, როგორც ტრანსპორტისათვის, ასევე ფეხით მოსიარულეთათვის.

გამოცემის ბოლო ნაწილში მოცემულია აგარაკების ჩამონათვალი [Голицын, 1911: 41-51]; გზამკვლევეში მითითებულია, რომ 1911 წლისათვის 100-ზე მეტი აგარაკი იყო ციხისძირში. ვ. გოლიცინი 115 აგარაკს განიხილავს, რომელთა აღწერილობა სპეციალურ ცხრილში არის მოცემული. ცხრილის პირველ ნაწილში მოცემულია აგარაკის ფართობი დესეტინებში, მე-2 ნაწილში ფასი დესეტინას მიხედვით, მე-3 ნაწილში აღნიშნულია თუ რა თანხა შეადგენდა სახელმწიფოსათვის ჩარიცხული აუცილებელი 36%-იანი მოსაკრებელი, მე-4 ნაწილში აგარაკის მფლობელების და არენდატორების სახელი, გვარი და მამის სახელია მოცემული, იქვეა მითითებული კონკრეტული პიროვნების საქმიანობა, თანამდებობა და ჩინი, მე-5-ში აგარაკის მფლობელის და არენდატორის ძირითადი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო მე-6 ნაწილში აღნიშნულია რა მდგომარეობაში იყო სააგარაკე ნაკვეთი – მთლიანად დასრულებული, ნახევრად ათვისებული, გასუფთავებული, კულტივირებული თუ საერთოდ ხელმოუკიდებელი. აღნიშნული მონაცემები ნათელ სურათს გვაძლევენ ასი წლის წინანდელ ციხისძირში მცხოვრები პერსონალის შესახებ. ამ მონაცემების მიხედვით ვიგებთ, რომ ძალიან დიდია ციხისძირის აგარაკების მფლობელთა წარმომავლობის გეოგრაფია. აქ აგარაკებს ფლობდნენ იმპერიის სხვადასხვა ქალაქების მცხოვრებლები. დასახელებულია ქალაქები: სანკტ-პეტერბურგი, მოსკოვი, თბილისი, ბათუმი, კიევი, მინსკი, ხარკოვი, ხაბაროვსკი, ვინიცა, პიატიგორსკი, ვილა-ფრანში (საფრანგეთი), ვილნიუსი, ბოროვიჩი, ყაზანი, ეკატერინოსლავი, ყარსი, ხერსონი, რიაზანი. აღნიშნული ტერიტორია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 1878 წელს მოხდა. დაახლოებით 30 წლის შემდეგ კი იმპერიის დიდი ქალაქების მაღალი თანამდებობის გავლენიანი და მდიდარი პირები ციხისძირში აგარაკების მფლობელები იყვნენ, რაც მიუთითებს აღნიშნული საკურორტო სანაპირო ზოლის პოპულარობას და დიდ პერსპექტივას მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით. ამავე დროს, აღსანიშნა-

ვია, რომ ადგილობრივ ძირითად მცხოვრებთაგან სულ რამდენიმე იყო, ვინ ფლობდა კარგ აგარაკებს ციხისძირში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი მხარე, აჭარა, განსაკუთრებით მისი სანაპირო ზოლი, ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო საქართველოს მოსახლეობას შორის, და სწორედ ამიტომ იყო, რომ ბევრი უცხოელი ავტორი დეტალურად ინტერესდებოდა მისი ისტორიით, ყოველდღიურობით, პერსპექტივით და ცდილობდა უფრო ახლოს გაეცნო და კიდევ უფრო სასურველი გაეხადა ეს საკურორტო ზონა საერთაშორისო საზოგადოებისთვის.

### გამოყენებული ლიტერატურა:

**ბარამიძე, 1999:** – ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ დასავლეთ საქართველოში, ბათუმი.

**გოგოლიშვილი, 2006:** – გოგოლიშვილი ო., ბათუმის ოლქის ეკონომიკური განვითარება მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში, ბათუმი.

**მეგრელიშვილი, 2013:** – მეგრელიშვილი მ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი.

**კუპრაშვილი, ვაჭრიძე, 2011:** – კუპრაშვილი ს., ვაჭრიძე გ., „ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვები“, – კრ.: საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყარო, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის კონფერენციის მასალები, ქუთაისი.

**Голицын, 1911:** – Голицын В., Цихисъ-Дзири, Дачное место близъ Батума, Батум.

**Sulkhan Kuprashvili, Goderdzi Vachridze  
(Kutaisi, Georgia)**

### A Russian Publication about Batumi and Tsikhisdziri

#### Summary

In 1911, in Batumi a small-size guidebook made by V. Golitsin was issued in Tavartkiladze typography – “Tsikhisdziri” - the site for cottage place near Batumi. This guidebook was issued by the society of the owners of Tsikhisdziri cottage houses.

After joining Batumi and Adjara in Russian Empire Russian governors expressed great interest towards this place. After the union Batumi took the most recreation place in all the Empire.

The scientific research starts with the description of Batumi importance. In his review he emphasized the best location and climate conditions of Batumi, its surroundings and most apparently stresses the importance of Tsikhisdziri for Russian Empire. Golitsin describes Adjara as “Russian Switzerland” and Tsikhisdziri as “Russian Riviera”.it must be noted that the most of the guidebook is Tsikhisdziri cottage places. The author describes that there were 115 cottage places in Tsikhisdziri in 1911. There are given the conditions of housing and forestry in cottage place areas.

In the book there are the pictures of the most famous Tsikhisdziri cottage houses which present the unique housing of that period.

In the last part of the research there are the surnames of those house owners, their main dwelling places, social belongings and it is described in what condition the place was.

V.Golitsini scientific research is the most interesting source for studying Batumi and its surroundings, especially Tsikhisdziri and for making the overall effect of picture in early XX century

## 1918-1921 წლების ამერიკული პრესა ბათუმის შესახებ

(გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ პუბლიკაციათა მიხედვით)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში იმჟამინდელი მსოფლიოს ჰეგემონი სახელმწიფოები საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ როგორც ჩვენი ქვეყნის „სახელგაო კარიბჭედ“ წოდებული ბათუმის, ისე მთელი აჭარის ცხოვრებაში. ეს მოვლენა არსებითად იყო განპირობებული მათი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებით ხსენებული რეგიონისადმი. პირველ ყოვლისა, სწორედ ამ მოვლენით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ დაბეჭდილ პუბლიკაციათა დიდი ნაწილი ბათუმისადმი მიძღვნილი. ხსენებულ სტატიათა უმეტესობა ავტორთა ხელმოწერის გარეშეა გამოქვეყნებული და, როგორც ჩანს, თავად რედაქციის მიერაა დაწერილი საინფორმაციო სააგენტოებიდან მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ცალკეულ შემთხვევებში კი დასახელებულ პუბლიკაციათა ავტორებად ისეთი ცნობილი ჟურნალისტები გვევლინებიან, როგორებიც იყვნენ: ედვინ ჯეიმსი, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მთავარი რედაქტორი 1932-1951 წლებში, ჩარლზ გრასტი და სხვები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რითაც ბათუმისადმი მიძღვნილ პუბლიკაციათა დიდი ნაწილი იქცევა განსაკუთრებულ განსაკუთრებულ ყურადღებას, ქალაქის უაღრესად ხელსაყრელი სტრატეგიული ადგილმდებარეობისა და უდიდესი სავაჭრო-ეკონომიური პოტენციალის წინა პლანზე წამოწევაა. პირველყოვლისა, სწორედ ამ ფაქტორებით იყო განპირობებული ის გარემოება, რომ ბათუმზე თავისი ზეგავლენის გავრცელებას არაერთი სახელმწიფო ცდილობდა – მეზობლებიცა და პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულნიც. აღნიშნულ პრობლემას გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ არა მარტო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მიუძღვნა არაერთი პუბლიკაცია, არამედ ჩვენი ქვეყნის გასაბჭოების შემდგომაც.

როგორც ცნობილია, კავკასიაში თურქეთის სამხედრო აგრესიის შეჩერება მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის მიწურულს მოხერხდა. კერძოდ, 1918 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული მუდროსის ზავით

თურქეთი იძულებული გახდა მთლიანად დაეთმო თავისი პოზიციები ამიერკავკასიაში. აღნიშნულ მოვლენას „ნიუ-იორკ ტაიმსიც“ გამოეხმაურა და ამ საკითხისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ პუბლიკაციაში ხსენებული საზავო ხელშეკრულებიდან ბათუმთან დაკავშირებული ამონარიდიც კი არის მოყვანილი. კერძოდ, გაზეთის ინფორმაციით, „მოკავშირეთა ოფიცრები განახორციელებენ კონტროლს იმუამად თურქეთის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა რკინიგზაზე, მათ შორის, ამიერკავკასიაშიც; მათი განლაგება უნდა მოხდეს თავისუფლად, მოკავშირეთა ნების სრული გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, თუ რა დამოკიდებულება იქნება მოსახლეობაში. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს მოკავშირეთა მხრიდან ბათუმის ოკუპაციასაც. თურქეთს არა აქვს უფლება პროტესტი განაცხადოს მოკავშირეთა ბაქოში შესვლაზე“ (**„ნიუ-იორკ ტაიმსი“, 1918, 3 ნოემბერი**).

სამწუხაროდ, ამიერკავკასიაში თურქეთის აგრესიის აღაგმვას საქართველოსთვის ბევრი არაფერი მოუტანია სასიკეთო, რადგან ამ აგრესორის ადგილი ბათუმისა და მთლიანად რეგიონის ახალმა ოკუპანტმა – დიდმა ბრიტანეთმა დაიკავა. აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილ სტატიებში არა მხოლოდ ინგლისის ინტერესებსა და მის მიერ გატარებულ პოლიტიკაზეა გამახვილებული ყურადღება, არამედ ქართული მოსახლეობის უარყოფით დამოკიდებულებაზეც ოკუპანტებისადმი.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ პუბლიკაციების მიხედვით ნათელი წარმოდგენა გვექმნება იმ კოლონიური პოლიტიკის არსზე, რომელსაც დიდი ბრიტანეთი ატარებდა ბათუმისა და მთელი რეგიონის მიმართ. მაგალითად, 1920 წლის 5 მაისის ნომერში დაბეჭდილ წერილში ნათქვამია, რომ „პროტექტორატის მსგავსი მმართველობა ჩამოყალიბდა აზერბაიჯანსა და მის მეზობელ საქართველოში. ბრიტანეთი მთავარი წარმმართველი ძალა რეგიონში მას შემდეგ გახდა, რაც მან კონტროლი დააწესა ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზზე. აღსანიშნავია, რომ ბათუმი კვლავ რჩება ბრიტანეთის ჯარების მიერ გამაგრებულ ქალაქად... ერთის მხრივ ბაქო-ბათუმის გზის, მეორეს მხრივ კი ბალტიისპირეთის პორტების კონტროლით ბრიტანეთს შეუძლია მიიღოს ყველაფერი, რასაც მოისურვებს“ (**„ნიუ-იორკ ტაიმსი“, 1920, 5 მაისი**).

მსგავსი ხასიათისაა კიდევ ერთი პუბლიკაცია, სადაც ბრიტანეთის იმუამინდელი პოლიტიკის განხილვასთან ერთად, მცირე ისტორიული ექსკურსიცაა მოცემული. კერძოდ, სტატიაში ნათქვამია, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდისთვის „საქართველოში გერმანია იყო მძლავრად წარმოდგენილი, ხოლო აზერბაიჯანში თურქული გავლენა სჭარბობდა. თუმცა, სავარაუდოა, რომ ბრიტანეთი რეგიონში მათ ორივეს ჩაანაცვლებს... როგორც ჩანდა, ბრიტანეთის სამხედრო სამინისტრო გასულ იანვარს მზადყოფნას გამოთქვამდა ბოლ-

შევიკებისაგან დაეცვა კავკასია, თუმცა ბატონმა ლოდ ჯორჯმა (ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1916-1922 წლებში – ო. ნ.) მოულოდნელად შეცვალა გადაწყვეტილება შერიგების, „ვაჭრობისა და თანამშრომლობის“ შეთავაზების სასარგებლოდ... აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოში ბრიტანეთის ყოფნას მოსახლეობაში ძალიან დიდი ოპოზიცია გააჩნია“ („ნიუ-იორკ ტაიმსი“, 1920, 11 მაისი).

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე საზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ როგორც ევროპული სახელმწიფოები, ასევე ამერიკის შეერთებული შტატები, განსხვავებით საქართველოსგან, ძალზე დიდ ყურადღებასა და გულშემატკივრობას იჩენდნენ სომხეთის მიმართ. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამას გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებული ის წერილებიც ნათლად ადასტურებს, რომლებშიც ძალზე მკაცრად და გამობილი თურქეთის მხრიდან სომხეთა გენოციდი, იმაზე კი საერთოდ არაფერია ნათქვამი, თუ როგორ არაკეთილმეზობლურად იქცეოდა თავად სომხეთი მის ირგვლივ მყოფი სახელმწიფოების, მათ შორის, საქართველოს მიმართაც.

ამერიკელთა მხრიდან სომხეთისადმი გამოჩენილი მართლაც უპრეცედენტო მხარდაჭერის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ 1920 წლის 29 მაისის ნომერში დაბეჭდილი სტატიაც, სათაურით „უილსონი (საუბარია ამერიკის 28-ე პრეზიდენტ ეუდრო უილსონზე 1913-1921 წწ. – ო. ნ.) ბათუმზე, როგორც სომხეთის პორტზე“. სტატიის შინაარსსაც რომ თავი დავანებოთ, აღნიშნული პუბლიკაციის სათაურიც კი მკაცრად დასაგმობი და აღმაშფოთებელია, რადგან იგი ყოველად უსაფუძვლოდ და სრულიად გაუმართლებლად არღვევს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ხელაღებით უგულვებელყოფს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს. უშუალოდ პუბლიკაციაში კი ე. წ. ის „არგუმენტებიცაა“ მოყვანილია, რატომ უნდა გამხდარიყო ბათუმი „სომხური პორტი“. კერძოდ, ამასთან დაკავშირებით სტატიაში ნათქვამია: „სომხეთის საზღვრების დამდგენ არბიტრაჟზე პრეზიდენტმა უილსონმა დაჟინებით მოითხოვა, რომ ახალ რესპუბლიკას მიცემოდა ზღვაზე გასასვლელი ბათუმის მეშვეობით. ეს მაშინ, როდესაც აღნიშნული ქალაქი, წინასწარი შეთანხმებით, უნდა გამხდარიყო მოკავშირეთა დაქვემდებარებაში მყოფი თავისუფალი პორტი. ბათუმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პორტია შავ ზღვაზე... პრეზიდენტმა სწორედ ამ პორტში საბრძოლო გემებისა და ფლოტის გასაგზავნად თხოვა სენატს რეზოლუციის მიღება, რათა ამით შეძლებოდათ ამერიკელი მოქალაქეებისა და მათი საკუთრების დაცვა“ („ნიუ-იორკ ტაიმსი“, 1920, 29 მაისი).

სამწუხაროდ, როგორც ვხედავთ, დასავლეთის სახელმწიფოები, იქნებოდნენ ისინი ევროპული სახელმწიფოები, თუ ამერიკის შეერთებული შტატები, არა თუ რაიმე ფორმით არ გვეხმარებოდნენ დამოუ-

კიდებლობის შენარჩუნებაში, არამედ თავიანთი ქმედებით უდიდეს ზიანსაც კი აყენებდნენ ჩვენს სუვერენიტეტს. ბათუმის არასომხურ ქალაქად ქცევაში კი, რაგინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს, უაღრესად მნიშვნელოვანი როლი საბჭოთა რუსეთთან 1920 წლი 7 მაისს გაფორმებულმა ხელშეკრულებამ ითამაშა. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმის“ ერთ-ერთი პუბლიკაცია იუწყება, სწორედ ამ ფაქტმა ააღებინა ზემოთქმულ განზრახვაზე ხელი პრეზიდენტ უილსონს. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ციტატას სტატიიდან:

„ცუდმა ქარმა დაჰბერა სომხეთისათვის, გაფორმდა რა ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და მოსკოვს შორის, რომლის ძალითაც რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი უფლებები ბათუმზე. ეს ნიშნავს, რომ ამ შეთანხმებით საქართველო კიდევ უფრო გაძლიერდა, ვიდრე სომხეთი... დღესდღეობით სომხეთს არ აქვს ზღვაზე გასასვლელი. ცნობილია, რომ პრეზიდენტმა უილსონმა მოითხოვა სომხეთის საზღვრების დელიმიტაცია და გამოთქვა თანხმობა სომხეთს გადაცემოდა ტრაპიზონი“ (**„ნიუ-იორკ ტაიმის“**, 1920, 30 მაისი).

საბოლოოდ, ბათუმისა და ზოგადად მთელი აჭარის საქართველოსთვის მიკუთვნების საკითხი რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების საფუძველზე გადაწყდა; გადაწყდა მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყანა უკვე ანექსირებული იყო საბჭოთა რუსეთის მიერ. შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება რუსეთმა, უპირველეს ყოვლისა, თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მიიღო და არა ქართული მხარისა. ამის დასტურად აქ თუნდაც იმის გახსენებაც იკმარებს, რომ ქართული მხარისთვის დაუკითხავად საბჭოთა ხელისუფლებამ თურქეთს სანაცვლოდ ართვინისა და არტანის ოლქები გადასცა. გარდა ამისა, კიდევ ერთი პირობა, რომელიც თურქეთმა ბათუმისა და მთლიანად აჭარის დათმობის სანაცვლოდ წამოაყენა, ის იყო, რომ რეგიონს აუცილებლად უნდა ჰქონოდა ფართო ავტონომია, რომლის არსებობის გარანტიც თავად იქნებოდა. ასე შეიქმნა საქართველოს სსრ რეგომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ოფიციალურად.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მოვლენას ეხმაურება „ნიუ-იორკ ტაიმისი“. მაგალითად, 1921 წლის 21 მარტის პუბლიკაციაში აღნიშნული იყო: „დეილი ჰერალდის“ ინფორმაციით, საბჭოთა რუსეთსა და თურქეთის ხალხთა ასამბლეას შორის გაფორმდა ხელშეკრულება,... რომლის ძალითაც თურქეთი აღიარებს საქართველოს სიუზერენობას ბათუმსა და მის ოლქზე მათზე ფართო ავტონომიის მიცემის უფლებით. თურქეთი ასევე გარანტირებულად უნდა იყოს თავისუფალი ყოველგვარი გადასახადებისგან და ვალდებულებისგან ბათუმის პორტით სატრანზიტო ტვირთის გადაზიდვის დროს“ (**„ნიუ-იორკ ტაიმის“**, 1921,

**21 მარტი).** რუსეთ-თურქეთის ზემოხსენებულ ხელშეკრულებას ასევე ეხმაურება „ნიუ-იორკ ტაიმსის“ 1921 წლის 7 ნოემბრის ნომერიც.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ბათუმის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიათა შორის ისეთ პუბლიკაციებსაც ვხვდებით, რომლებშიც არა მხოლოდ იქ შექმნილ სიტუაციაზეა საუბარი, არამედ ქალაქის მნიშვნელოვან როლზეც მთელ რეგიონში მიმდინარე მოვლენათა კონტექსტში. მაგალითად, როგორც ცნობილია, 1920 წლის 24 სექტემბერს სომხეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. თუმცა მათ თურქეთისათვის სათანადო სამხედრო წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლეს და თურქთა არმიამ, ქაზიმ ქარაბეკირის მეთაურობით, 30 ოქტომბერს ჯერ ქალაქი ყარსი, 7 ნოემბერს კი ქალაქი ალექსანდროპოლი (დღევანდელი გიუმრი) დაიკავა. სომხეთის მთავრობა, ერევნისა და ეჩმიადინის დაკარგვის საფრთხის გამო, იძულებული გახდა დახმარებისათვის საბჭოთა რუსეთისთვის მიემართა და ალექსანდროპოლის სახავო ხელშეკრულების პირობებს დათანხმებოდა.

ეს ყველაფერი აქ იმიტომაც გავიხსენე, რომ სომხეთ-თურქეთის ხსენებულ ომს „ნიუ-იორკ ტაიმსიც“ გამოეხმაურა და ამ მოვლენებში ბათუმის, როგორც საზღვაო ქალაქის, როლზეც გაამახვილა ყურადღება. მეტი სიცხადისათვის დავიმოწმებ თავად სტატიას: „სომხეთის დედაქალაქი ევაკუირებულია, რის გამოც დიდი სარკინიგზო მიმოსვლა ალექსანდროპოლსა და საქართველოს დედაქალაქ თბილისს შორის განუსაზღვრელი ვადით იქნა შეწყვეტილი...”

„ახლო აღმოსავლეთის დახმარების ამერიკული კომიტეტის“ (ორგანიზაცია დაარსდა 1915 წელს – ო. ნ.) გენერალური მდივნის ჩარლზ ვიკერის (Charles V. Vickery) განცხადებით, კავკასიაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, პროდუქტებით, ტანსაცმლითა თუ სხვა საჭირო ნივთებით დატვირთული გემები უკვე ზღვაში არიან და ბათუმს უახლოვდებიან. აღნიშნული ტვირთი შეიცავს 5,813,000 შეკვრა ძველ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, 5,220 დიდ შეკვრა ბრინჯს, 1,680 შეკვრა შაქარს, 260 ტონა საპონსა და სხვა ნივთებს...“ (**„ნიუ-იორკ ტაიმსი“, 1920, 16 ნოემბერი**).

გაზეთის იმავე ნომერში გამოქვეყნებულია მეორე სტატიაც, რომელიც ასევე სომხეთის გარშემო არსებულ პრობლემას ეხება და მის შედეგებს უფრო მეტად სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით განიხილავს. კერძოდ, გაზეთის აზრით, „თურქეთის აგრესიამ სომხეთისადმი და ამ უკანასკნელის უუნარობამ რაიმე წინააღმდეგობის გაწევისა, ბრიტანეთის ინტერესები კავკასიაში ძალიან შეარყია. სარკინიგზო ხაზის დაგეგმილი მშენებლობა, რომელიც ბათუმიდან უნდა დაწყებულიყო, თურქეთის სომხეთზე გამარჯვების გამო ჩაიშალა.“

სამწუხაროდ, იმის შესახებ, თუ რა მარშრუტს გაივლიდა ხსენებული სარკინიგზო ხაზი და რომელი იქნებოდა საბოლოო პუნქტი,

სტატიაში არაფერია ნათქვამი. თუმცა ის, რომ აღნიშნული პროექტი არა მხოლოდ სტრატეგიული მხრივ იქნებოდა უადრესად მნიშვნელოვანი, არამედ სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ალბათ, უდავოა.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დაპირისპირებასთან დაკავშირებულ მოვლენებში ბათუმის ძალზე მნიშვნელოვან როლზეც ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად, აი, როგორ ახასიათებს ჩვენს ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას გაზეთის 1921 წლის 19 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაცია სათაურით „გავრცელებული ცნობით, საბჭოთა ჯარმა თბილისი აიღო“: „სარწმუნო ინფორმაციით, საბჭოთა არმიამ თბილისის ოკუპაცია მოახდინა. საქართველოს მთავრობა და მოკავშირეთა წარმომადგენლები ბათუმში გაემგზავრნენ, სადაც შეერთებული შტატების კონსული მოხერი და „ახლო აღმოსავლეთის დახმარების ამერიკული კომიტეტის“ ბევრი თანამშრომელიც იმყოფებიან. ბათუმში არის ასევე შეერთებული შტატების ორი გამანადგურებელი ტორპედოს ნავი „ბარკერი“ (Barker) და „ვიპლი“.“

რუსული ჯარების მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის გაზეთის მომდევნო ნომერი. პუბლიკაციის ცნობით, „მოსკოვის ხელისუფლებისა და თურქების შეთანხმების შემდეგ, ბოლშევიკურმა ჯარებმა ააოხრეს საქართველოს რესპუბლიკა. ქართულმა მთავრობამ კი მანამდე დატოვა თბილისი, სანამ მას საბჭოთა ძალები დაიკავებდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს მთავრობა შეჩერდა ქუთაისში, თბილისიდან ბათუმში რკინიგზით მიმავალ გზაზე... ფრანგული კრეისერი კონსტანტინოპოლიდან ბათუმისკენ გამოემართა.

როგორც ბათუმიდან იტყობინება ამერიკის წარმომადგენელი ჩარლზ მოხერი, რომლის ოფისიც ცოტა ხნის წინ თბილისში იყო განთავსებული, ყველა ამერიკელი უსაფრთხოდაა. მაგრამ არსებობს საშიშროება, რომ თბილისში არსებული მდიდარი მალაზიები და სასახლეები განძარცვული იქნება. მათ შორის, ვინც ცოტა ხნის წინ თბილისში მოღვაწეობდა, იყვნენ: ამერიკის კონსული (1919-1921 წლებში – ო. ნ.) ჯონ რანდოლფი და ვიცე-კონსული (1917-1921 წლებში – ო. ნ.) ჰუკერ დულიტი, ასევე ამერიკის სავაჭრო აგენტები: გრიფინი, სმიტი (Smythe) და პერდიკარისი, „ახლო აღმოსავლეთის დახმარების ამერიკული კომიტეტის“ დირექტორი ერნესტ იაროუ თავისი მეუღლით...“ (**„ნიუ-იორკ ტაიმსი“, 1921, 20 თებერვალი**).

დამოწმებული პუბლიკაციისადმი ინტერესს განსაკუთრებით ზრდის ის ფაქტი, რომ მისი მეშვეობით რედაქციამ თავის მკითხველებს ჩვენი ქვეყნის მთავრობის მიერ თბილისის დატოვების, ქუთაისში გადასვლის, ბოლშევიკური ჯარების მიერ საქართველოს რესპუბ-

ლიკის დამხობისა და თბილისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ამბავი ამ ტრაგიკული მოვლენის მოხდენამდე ხუთი დღით ადრე აუწყა თითქმის ზედმიწევნითი სიზუსტით, რაც პირადად ჩემთვის ძნელად ასახსნელ ფაქტს წარმოადგენს.

იმ დროისათვის (19-20 თებერვალი) კი, როცა ხსენებული წერილი იწერებოდა, საქართველოს მთავრობა არა თუ თბილისიდან არ აპირებდა სადმე წასვლას, არამედ ქართულმა არმიამ მტერს უკანაც კი დაახევინა. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ აღნიშნული პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან ზუსტად ერთი დღის შემდეგ, 21 თებერვალს, სწორედ თბილისში მოწვეულმა დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა საქართველოს პირველი კონსტიტუცია.

ბოლო სტატია, რომელიც „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ბათუმის შესახებ გამოქვეყნდა, 1921 წლის 23 აპრილით თარიღდება. მასში ბათუმსა და ზოგადად მთელს საქართველოში საბჭოთა ოკუპაციის შემდგომი პერიოდია განხილული. როგორც ზემოხსენებული პუბლიკაციიდან ირკვევა, საოკუპაციო რეჟიმმა თავისი მმართველობის დამყარების პირველ ხანებში ამერიკის მოქალაქეებსა და „ახლო აღმოსავლეთის დახმარების ამერიკული კომიტეტის“ თანამშრომლებს მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა.

საბოლოოდ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ 1918-1921 წლებში „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ბათუმის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციები, მიუხედავად მათში არსებული ინფორმაციული უზუსტობებისა და მოვლენათა არაობიექტური შეფასებებისა, მაინც უნდა მივიჩნიოთ საგულისხმო მასალად აღნიშნული პერიოდის ბათუმსა და აჭარაში მიმდინარე მოვლენებისადმი საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულების შესასწავლად და სიღრმისეულად გასააზრებლად.

### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ 1918-1921 წლების ნომრები.  
საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, თბილისი, 2003.  
<http://burusi.wordpress.com>  
<http://politicalgraveyard.com/geo/ZZ/GG.html>

**Otar Nikoleishvili**  
**(Kutaisi, Georgia)**

**American Press of 1918-1921 on Batumi**  
**(Based on the publications in “The New York Times”)**

**Summary**

During the period of the Democratic Republic of Georgia, the most powerful countries of the world played the important role in the life of Batumi and the whole Ajara Region. This interest, first of all, was stipulated by the military, political and economic importance of above mentioned region. This is the only explanation that the most of the publications of “New York Times” about Georgia, published in 1918-1921, are dedicated to Batumi.

Besides, some mistakes and less objectivity in some of those articles, we should consider them as a very important research materials for the estimation of the international community to the historical events, which were held in 1918-1921 in Batumi and in the whole Ajara Region.

## სკოლაშენი ალზრდის სისტემის ჩამოყალიბება-განვითარება ქალაქ ბათუმში

ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანისა და მასში ჰარმონიულად უნდა იქნას შესამეზული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე, ფიზიკური სრულყოფა“. ბავშვის აღზრდა და პიროვნებად ფორმირება ძირითადად ხდება ოჯახსა და სკოლაშენელ საადმზრდელ დაწესებულებებში. ამ უკანასკნელთ არსებობის არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვთ. პირველი ასეთი დაწესებულება 1837 წელს დააარსა ცნობილმა გერმანელმა პედაგოგმა, სკოლაშენელი აღზრდის დიდმა თეორეტიკოსმა ფრიდრიხ ფრებელმა. ბავშვს იგი ადარებდა მცენარეს. სწორედ აქედან წარმოსდგება სკოლაშენელი აღზრდის დაწესებულების სახელი – „საბავშვო ბაღი“ (**Педагогическая энциклопедия, 1964: 976**).

როგორი იყო აჭარაში საბავშვო ბაღებისა და სკოლაშენელი დაწესებულებების შექმნის სათავეები – ამ საკითხს მიმოიხილავს ნაშრომი „სკოლაშენელი აღზრდის სისტემის ჩამოყალიბება-განვითარება ქალაქ ბათუმში“. ჩვენში საბავშვო ბაღები და სკოლაშენელი დაწესებულებები ამოქმედდა მოგვიანებით, XX საუკუნის დასაწყისში. აჭარაში დღეისათვის მოქმედი სკოლაშენელი დაწესებულებების ფართო ქსელი თითქმის საუკუნოვან ისტორიას ითვლის.

ოქტომბრის რევოლუციამდე აჭარაში სკოლაშენელი აღზრდის არც ერთი დაწესებულება არ არსებობდა. XX საუკუნის 20-იან წლებში ბათუმის ოლქის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის სერგო ქავთარაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა სკოლაშენელი აღზრდის სისტემა, რომელიც შეუერთდა სახალხო განათლების სისტემას და დაიწყო შეუნელებელი ზრუნვა ბავშვთა საზოგადოებრივ აღზრდაზე.

1921 წლის 20 მაისს ბათუმში გაიხსნა აჭარაში პირველი საბავშვო ბაღი (**სურმანიძე, 1972: 43**). ბაღს დაეთმო ოფიცერთა სახლის შენობა და „წითელი ვარსკვლავი“ ეწოდა. ეს იყო ბათუმის ცენტრალური საბავშვო ბაღი, რომელიც წარმოადგენდა ბათუმის მუშა-მოსამსახურეთა 300-მდე ბავშვის გამოსაკვებ პუნქტს. 1923 წელს საბავშვო ბაღს წინანდელი უფლებები ჩამოერთვა და მასში აღსაზრდელთა რიცხვი 80-მდე შემცირდა. იმავე პერიოდში ამუშავდა ორი საბავშვო მოედანი, სადაც გაერთიანებული იყო 260 ბავშვი.

ეტაპობრივად იხსნებოდა საბავშვო ბაღები ბათუმის პირველი საფეხურის სკოლებთან და კლუბებთან. სკოლებთან არსებულ საბავშვო ბაღებს ეწოდებოდა სასკოლო საბავშვო ბაღები და ისინი აერთი-

ანებდნენ საბავშვო ბაღის გარეშე დარჩენილ 6-7 წლის ბავშვებს. სასკოლო ბაღებში სამუშაო დღე ოთხსაათიანი იყო და აქ ამზადებდნენ ბავშვებს სკოლისათვის.

1923 წლის იანვრისათვის აჭარაში ცენტრალური საბავშვო ბაღის გარდა არსებობდა 3 საბავშვო სახლი, რომელთაგან ერთი მახინჯაურში იყო მოთავსებული, ერთი – გოროდოკში და ერთიც – ბათუმში. მათში დებულობდნენ 4-დან 14 წლამდე ბავშვებს (**ბაბილოძე, 1958: 82**). საბავშვო სახლებს ერთდროულად ქონდა შეთავსებული როგორც საბავშვო ბაღის, ასევე სკოლის ფუნქციები.

გარდა ამისა, მწვანე კონცხზე უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის გაიხსნა ბავშვთა შრომის დაწესებულება და საბავშვო კლუბი „წითელი ვარსკვლავი“. კლუბთან არსებობდა ბიბლიოთეკა, ლიტერატურული, მხატვრული და დრამატული წრეები, გამოიცემოდა კლუბის ჟურნალი სახელწოდებით „წითელი ვარსკვლავი“.

ზემოაღნიშნულ საბავშვო დაწესებულებებში ტარდებოდა აღმზრდელობითი მუშაობა, კერძოდ, ინდივიდუალური საუბრები მშობლებთან, მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა მშობელთა კომიტეტებთან, მშობელთა შორის პედაგოგიური იდეების პროპაგანდა და ა.შ. (**ბაბილოძე, 1979: 15**).

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში სკოლამდელი აღზრდის საქმეს განაგებდა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური აღზრდის სამმართველო და მას სასკოლო განყოფილება ერქვა, 1923 წლის სექტემბრიდან კი ეწოდა სოციალური აღზრდის სამმართველო. მასში შედიოდა სასკოლო განყოფილება, სასკოლო ასაკამდე აღზრდის განყოფილება და მცირეწლოვან ბრადღებულთა კომისია, რომელსაც ზოგჯერ მცირეწლოვანთა სოციალური უფლებების დაცვის განყოფილებას უწოდებდნენ.

სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ეტაპზე არ ხერხდებოდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სათანადო ხელშეწყობა. საბავშვო ბაღები იხსნებოდა და იხვე იხურებოდა. ამის მიზეზი იყო ფინანსური სახსრებისა და სათანადო მატერიალური ბაზების უქონლობა. ამავე მიზეზით 1924 წელს ფუნქციონირება შეწყვიტა ბათუმის ცენტრალურმა საბავშვო ბაღმა და მისი აღდგენა მხოლოდ 1925 წლის დასაწყისში მოხერხდა. სწორედ ამ წლიდან იწყება სკოლამდელი აღზრდის ქსელის გაფართოება-გაძლიერება და უკვე მომდევნო, 1926 წელს აჭარაში საბავშვო ბაღების რიცხვმა 6-ს მიაღწია აღსაზრდელთა 450-იანი კონტინგენტით. ამ დროისათვის ცენტრალურ საბავშვო ბაღში მოქმედებდა 4 ჯგუფი – 2 ქართული, თითო – რუსული და სომხური ჯგუფები (**ჭანტურია, 1956: 141**).

1926 წელს ცენტრალურმა ბაღმა „აჭარელ ქალთა კლუბთან“ დამატებით გახსნა 2 ჯგუფი აჭარელი ბავშვებისათვის და უკვე 1929

წლისთვის ბაღს ყავდა 9 ჯგუფი როგორც ქართული, ისევე რუსული, სომხური და შერეული.

1928 წლიდან ცენტრალური საბავშვო ბაღი განთავსდა ინტერნაციონალისა და მარქსის ქუჩების კუთხეში (დღევანდელი ვაჟა-ფშაველას ქუჩა, საჯარო ბიბლიოთეკის შენობა) არსებულ შენობაში, რომლის ნაწილი ეჭირა საქალაქო ბიბლიოთეკას, რის გამოც არ იყო საკმარისი ოთახები და ბავშვებს ვერ აძინებდნენ.

ამავე პერიოდში დაიწყო ზრუნვა სკოლამდელი აღზრდის პირველი საფეხურის – საბავშვო ბაღების შექმნაზე. პირველი საბავშვო ბაღა აჭარაში გაიხსნა 1928 წელს ჩაქვის მეურნეობაში აქ მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებისათვის. ბაღაში 6 თვიდან 4 წლამდე ასაკის 30 ბავშვი ყავდათ. ჩაქვის საბავშვო ბაღა მუშაობდა დილის 7 საათიდან საღამოს 8 საათამდე და მას ზედამხედველობას უწევდა ადგილობრივი საავადმყოფოს გამგე-ექიმი.

1932 წლისთვის აჭარაში უკვე 11 საბავშვო ბაღა იყო. არსებობდა აგრეთვე ჩვილ ბავშვთა სახლი, სადაც ათავსებდნენ ობოლ ან ავადმყოფი და მარტოხელა დედების ძუძუმწოვარ ბავშვებს.

1930 წლიდან საბავშვო ბაღა-ბაღები იხსნება აჭარის სოფლებშიც და უკვე 1938 წლისათვის გახსნილია 96 ბაღა-ბაღი 8 100 აღსაზრდელითა და 310 აღზრდელ-მასწავლებლით.

ბათუმში ზაფხულობით ადგილზე დარჩენილი ბავშვებისათვის ეწყობოდა ე.წ. საბავშვო მოედნები. როგორც უკვე აღვნიშნე, პირველი ასეთი მოედანი გაიხსნა 1921 წელს. 1929 წლისათვის ბათუმში უკვე 10 საბავშვო მოედანი იყო და მათი მუშაობის ფორმები იგივე იყო, რაც საბავშვო ბაღებისა (**ჭანტურია, 1956: 147**). ამით ხელისუფლება ცდილობდა ხელი შეეწყო წარმოებებსა და მეურნეობებში მომუშავე დედებისათვის, იმავდროულად, ეს მომავალ თაობაზე სახელმწიფოს ზრუნვის გამოსატყულება იყო.

თუმცა, როგორც მასალების შესწავლით ირკვევა, გარკვეული წარმატებების მიუხედავად, სკოლამდელი აღზრდის საქმე ბათუმში და, ზოგადად, აჭარაში მაინც დაბალ დონეზე იდგა სათანადო მატერიალური ბაზების არქონის გამო. ამას ემატებოდა ისიც, რომ სკოლამდელი აღზრდის მუშაკებს არ გააჩნდათ სახელმძღვანელო დოკუმენტი. მაშინ ბევრი რამ სადაო და დაუდგენელი იყო. არ ქონდათ განსაზღვრული, რა ადგილი უნდა დათმობოდა საბავშვო ბაღში წერა-კითხვის სწავლებას, ბუნებაში მუშაობას, ხატვას, დიდაქტიკური მასალების გამოყენებას და ა. შ. (**აბდუშელიშვილი, 1971: 3**).

საბავშვო ბაღების ნაყოფიერ მუშაობას აფერხებდა აგრეთვე აღზრდელ-მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. ეს საკითხი თავიდანვე იდგა აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარიატის ყურადღების ცენტრში და აღნიშნულის გამოსასწორებლად, პერიოდულად, ბავშვთა სახლებისა და საბავშვო ბაღების აღზრდელ-მასწავლებელთათვის მოწვეული სპეციალისტების მიერ ეწყობოდა

კურსები, იკითხებოდა ლექცია-მოსვენებები, იმართებოდა საუბრები სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე.

თანდათან იზრდებოდა საბავშვო ბაღების ქსელი. 1932 წელს აჭარაში იყო 11 მუდმივმოქმედი საბავშვო ბაღი, 1938 წელს ფუნქციონირებდა 35 საბავშვო ბაღი, მათ შორის, 13 – სოფლად. ჩაის კრეფის სეზონთან დაკავშირებით კი 1933 წლიდან სუბტროპიკული რაიონების სოფლებში იხსნებოდა სეზონური საკოლმეურნეო საბავშვო ბაგები. 1938 წელს აჭარაში 18 ასეთი სეზონური ბაღი იყო 600 საწოლით (**კვლანდარიშვილი, 1970: 31**).

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან აჭარაში იმატა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რიცხვმა, განმტკიცდა მატერიალური ბაზები. როგორც ქალაქად, ასევე სოფლებში ფართოდ გაიშალა ბაგაბაღების მშენებლობა. აიგო საბავშვო ბაღების ტიპური კეთილმოწყობილი შენობები საბავშვო ბაღები საკუთარი ძალებით ამზადებდნენ დიდაქტიკურ მასალებს. ბაღების ეზოებში აწობდნენ ბოსტნებსა და ყვავილების გაზონებს. ქალაქის ცენტრალური საბავშვო ბაღი შეფობას უწევდა სასოფლო ბაღებს. ამ დროისათვის ცენტრალური საბავშვო ბაღის გამგე იყო სკოლამდელი აღზრდის გამოცდილი მუშაკი ზეკიე სანიკიძე, აღმზრდელები კი – ქეთევან თავბერიძე, მარი ფარცხალაძე, ნინა კაზახენკო, დარეჯან ჩხაიძე, ლიდა იგუმენოვა და სხვები (**გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1936, №39**).

გაუმჯობესდა კადრების მომზადების საქმეც, რასაც, პირველ ყოვლისა, ხელი შეუწყო 1935 წელს ბათუმის პედაგოგიურ სასწავლებელთან შესაბამისი განყოფილების გახსნამ. ამავე წელს ბათუმის განათლების განყოფილებასთან გაიხსნა სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტი, რომლის დაარსების ინიციატორი იყო სკოლამდელი აღზრდის გამორჩენილი მუშაკი პლატონიდა ასათიანი (**ობოლაძე, 1964: 93**).

ხელისუფლების შეუნელებელი მზრუნველობის შედეგად დიდი სამამულო ომის უმძიმეს წლებშიც კი შენარჩუნდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელი, უფრო მეტიც, გაიხსნა ჯგუფები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ევაკუირებული ბავშვებისათვის, სადაც აღმზრდელ-მასწავლებლებად მუშაობდნენ ასევე ევაკუირებული ქალები.

1945 წლიდან ბავშვთა ბაღების რიცხვმა აჭარაში 43-ს მიაღწია, აქედან ბათუმში იყო 22, ბათუმის რაიონში – 3, ქობულეთის რაიონში – 15, ქედის რაიონში – 2, ხულოს რაიონში – 1. ბათუმის საბავშვო ბაღების აღსაზრდელები ზაფხულობით იგზავნებოდნენ აგარაკებზე ქვიშხეთში, სურამსა და ქობულეთში.

1947 წლისათვის აჭარაში საბავშვო ბაღების რიცხვი ავიდა 54-მდე. აქედან, 15 ბაღი განათლების სამინისტროს ეკუთვნოდა, 39 კი – საუწყებო იყო. ომის შემდგომ წლებში გაიზარდა სკოლამდელი დაწე-

სებულებების ბიუჯეტიც, აღმზრდელ-მასწავლებელთა ხელფასებიც, შექმნილი იქნა ინვენტარი, ჭურჭელი, სათამაშოები.

ამ პერიოდიდან მოყოლებული თანდათან უფრო გაიზარდა სკოლამდელი დაწესებულებების როლი და მნიშვნელობა. თუ ადრე საბავშვო ბაღი მხოლოდ ქალთა წარმოებაში ჩაბმის საშუალებად ითვლებოდა, დღეისათვის იგი საზოგადოებრივი აღზრდის უმნიშვნელოვანესი საფეხურია, ამიტომაც უკვე XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში აჭარაში საგრძნობლად იყო გაზრდილი საბავშვო ბავა-ბაღების რიცხვი. ქალაქ ბათუმში მოქმედებდა 40-მდე საბავშვო ბაღი და ბავა-ბაღი; ქობულეთის რაიონში – 43; ხელვაჩაურის რაიონში – 27; ქედისა და შუახევის რაიონებში – სამ-სამი, ხულოს რაიონში კი ორი (ბასილაძე, 1982: 50).

აჭარის განათლების სამინისტროსა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ინიციატივით, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში სისტემატურად იმართებოდა თათბირ-სემინარები, კონსულტაციები, კონფერენციები, რაც ხელს უწყობდა აღმზრდელ-მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

აქედან გამომდინარე, ბათუმს ჰყავდა სკოლამდელი აღზრდის ცნობილი მუშაკები, რომლებმაც დრმა კვალი დაამჩნიეს მომავალი თაობების აღზრდის საქმეს და მყარი საფუძველი შეუქმნეს აჭარაში სკოლამდელი დაწესებულებების სისტემის ჩამოყალიბებას. მიმჩნია, რომ სასურველი იქნება ამ ადამიანების პედაგოგიური საქმიანობისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინება და შერწყმა თანამედროვე პედაგოგიურ-აღმზრდელობით მეთოდოლოგიასთან.

მიუხედავად ამ სისტემის ხანმოკლე ისტორიისა, აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლება ზრუნვას არ აკლებდა მომავალი თაობის სწორი და საზოგადოებრივად საჭირო აღზრდა-განვითარების საქმეს, ამავე დროს, ზრუნავდა დედების საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურ ჩართულობაზე.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

**აბღუშელიშვილი, 1971:** – აბღუშელიშვილი გ., სკოლამდელი აღზრდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ჟურნ. „დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა“, 1971, №1.

**ბაბილოძე, 1979:** – ბაბილოძე გრ., განათლების აღმავლობა აჭარაში, ბათუმი.

**ბაბილოძე, 1958:** – ბაბილოძე, გრ., სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში 1921-1937 წწ., ბათუმი.

**ბასილაძე, 1982:** – ბასილაძე ნ., სკოლამდელი აღზრდის განვითარება აჭარაში, ბათუმი,

გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1936, №39.

**კალანდარიშვილი, 1970:** – კალანდარიშვილი ლ., აჭარის კოლმეურნეთა ყოფა და კულტურა, ბათუმი.

**ობოლაძე, 1961:** – ობოლაძე უშ., სახალხო განათლება საბჭოთა საქართველოში, თბილისი.

**სურმანიძე, 1972:** – სურმანიძე რ., ჯანმრთელობის დაცვის სათავეებთან, ბათუმი.

**ჭანტურია, 1956:** – ჭანტურია ბ., განათლება აჭარაში, ბათუმი.

**Педагогическая энциклопедия, 1964:** – Педагогическая энциклопедия, I, Москва.

**Madona Mikeladze, Dali Phutkaradze  
(Batumi, Georgia)**

### **Preschool education system formation and development in Batumi**

#### **Summary**

„Preschool system development work in the city“, gives us a step by step development of the overall picture of the network of institutions in the school, the documentary provides information that we put into the nursery schools and preschools applied in the 20th of XX century. In the current extensive network of preschools in almost a century of history in the making. The paper outlines the difficulties in using a variety of documentary evidence, which was in kindergartens, children's playgrounds, children's homes and the creation of normal functioning. The difficulties arising from the lack of budget and lack of adequate material base, as well as the lack of qualified personnel. We are talking about the care of the government on these issues.

The paper emphasizes that in Adjara Education of the People's Commissariat of focus from the outset was in preschool-aged children's upbringing without any proper training, which periodically orphanages and kindergartens teachers and specialists invited to attend that course, read lectures, speeches, held talks in early childhood education issues.

It also reports that even during the Great Patriotic War did not stop to take care of pre-school development and improvement. In the following decades, they gradually increased the role and importance of pre-school institutions. If the nursery is only a means to involve women in industry is considered, nowadays it is an important step in educating the public.

The work „Preschool system and development of the city“ in the `interest of our city's history, and highlights the fact that the leaders were not in their care for the next generation of correct and socially necessary for the upbringing and development of the case, meanwhile, took care to women in a society and community engagement.

## ტოპონიმ „სალიბაურის“ განმარტებისათვის

ტოპონიმი ადამიანის განუყრელი თამნამგზავრია. ჩვენი ქვეყნის ტოპონიმი მრავლმხრივია საინტერესო. მათ ადამიანთა ჩვეულებრივ ურთიერთობასა და მეტყველებაში დიდი ადგილი უჭირავთ. უტოპონიმებოდ ადამიანს არსებობა არ შეუძლია. ტოპონიმი დიდხანს ცოცხლობს. მისი ისტორია ბევრად უსწრებს დამწერლობის წარმოშობას. დამწერლობამდე ეპოქაში იხმარებოდა სამივე რკალის (მაკრო-, მიკრო- და საკუთრივ) ტოპონიმები, მაგრამ საისტორიო წყაროებს უფრო მიკრო- და საკუთრივ ტოპონიმები შემორჩა, მაკროტოპონიმები კი უმთავრესად ხალხის ხსოვნამ შემონახა და თაობიდან თაობას გადასცა (**ღლონტი, 1971:8**).

ტოპონიმი ჩნდება ენის წარმოქმნის თანავე და ენას თან ახლავს მისი არსებობის მთელ მანძილზე. მასში უხილავი შემოქმედის ფუნქციით არის აღბეჭდილი ამა თუ იმ დასახლების ზოლში მცხოვრები ხალხისა თუ ტომის ნაკვალევი, ამიტომ იგი ისევე ძველია და გამძლე, როგორც თვით ენა.

ტოპონიმებში ასახულია ხალხის გონებამახვილობა, თავდაპირველად ადგილს ერთი სახელი ჰქონდა და იგი საყოველთაოდ იყო ცნობილი. ადგილის სახელის დარქმევაში შემთხვევითობა მცირე როლს როდი თამაშობდა, მაგრამ ტოპონიმთა სისტემაში დაცული იყო გარკვეული კანონზომიერება: ადგილის სახელწოდება ასახავდა გარემოს, მდებარეობას, ნიშნებს, ფერს. ტოპონიმად იქცა საზოგადო სახელიც, რომელსაც დაეკისრა რელიეფის მიდამოს დახასიათება გარკვეული ნიშნებით (**იქვე, 13**).

ამჯერად საანალიზოდ წარმოგიდგენთ კიდევ ერთ ტოპონიმს ბათუმის მიდამოებიდან. ეს გახლავთ „სალიბაური“. ამ ტოპონიმის კვლევით ერთგვარ წრეს შევკრავთ ბათუმის შემოგარენში დაფიქსირებული იმ ტოპონიმების ძიებისა, რომელიც სანკტ-პეტერბურგის ისტორიულ არქივში მივაკვლიეთ.

სალიბაური – სოფელია ხელვაჩაურის რაიონში. სალიბაურის მკვიდრი 68 წლის ნიაზ ახმედის ძე ატრუბა იხსენებს: „ჩვენ მუჰაჯირობის მეორე ტალღა ვართ, ჩამოსული ვართ „Красная поляна“-დან (გაგრის იქით, დღევანდელი სოჭის რაიონი), როგორც მამაჩემი ამბობდა, არ დარჩენ თავის საცხოვრებელში, ჯერ ჩამოვიდნ ბათუმში და მერე დასახლდნ სალიბაურში, რომელიც ძალიან ჰგავდა თავიანთ ადრინდელ საცხოვრისს გაგრასთან ახლოს ზღვის ხედი. ჩემი წი-

ნაპრები მიწას რომ ირჩევდნენ, აგონდებოდათ იქაური ადგილები და ამიტომაც აირჩიეს საცხოვრებლად აქაურობაო და როცა ჩვენ აქ დაგ-სახლდით, არავინ არ სახლობდა“. იქვე შემდეგ გადმოცემასაც იხსენებს: „მამაჩემი ამბობდა, აქ იყო ერთი ხეიბარი კაცი, სალი ქვიოდა და უყვარდა ყვირილიო, იქიდან არი სალიბაური“. სალიბაურს, როგორც კი ზემოდან გადმოსვდავთ, მთები არ აკრავს, თითქოს ერთი მთლიანი წრე იკვრება, სამოთხეა. შესაძლოა, ტოპონიმი „სალიბაური“ საკუთარი სახელი „სალი“-დან მომდინარეობდეს. თუმცა ქვემოთ წარმოგიდგენთ ტოპონიმის ჩვენეულ ეტიმოლოგიას.

რაც შეეხება ტოპონიმ „სალიბაურის“ ეტიმოლოგიას, იგი სა-ურ მ-წარმოებლებითაა გაფორმებული: სა-ლიბ-ა-ურ-ი. ა-სავრცობია, სა-ურ სიტყვათმწარმოებელი აფიქსებია (შდრ.: სა-ძეგ-ურ-ი, სა-ლაჯ-ურ-ი (ღლონტი, 1971: 23), ხოლო ტოპონიმის ფუძე არის „ლიბ“. სვანურ ლექსიკონში ლექსემა „ლიბ“, სხვა მნიშვნელობით, განმარტებულია, როგორც „ლებ“. ლიბ იგივეა, რაც ლებ (ქაღდანი, თოფურია, 2000:424), ხოლო რაც შეეხება უშუალოდ „ლებ“ ძირს იმავე სვანურ ლექსიკონში, მეორე მნიშვნელობით, განმარტებულია, როგორც მივი, ყელსაბამი. „ალ დინას ყიაქა ხაბდა ლებარ“ (ბზ.) – ამ გოგოს ყელზე ყელსაბამი ეკიდა (ქაღდანი, თოფურია 2000:389). რაც შეეხება ტოპონიმის ეტიმოლოგიას, ანუ სახელდების მოტივაციას, ეს ადგილი მართლაც ერთგვარი ყელსაბამივით არის შემოფლებული სამება-ახალშენ-ფერიის მისადგომებს, თითქოს ერთი დიდი წრე იკვრება და მისი მნახველი დღესაც გულგრილად ვერ აუვლის გვერდს შავი ზღვის ამ ჭეშმარიტ მარგალიტს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- ქაღდანი, თოფურია, 2000: – ქაღდანი მ., თოფურია გ., სვანური ლექსიკონი, თბილისი.  
ღლონტი, 1971: – ღლონტი ალ., ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბილისი.

**Nargiz Akhvlediani**  
(Batumi, Georgia)

#### On the Etymology of the Toponym “Salibauri”

##### Summary

The article analyzes the etymology of the toponym “Salibauri”. *Sa* and *ur* are the word-forming affixes, while “*lib*” is the root. In Svanian dictionary the lexeme “*lib*” is explained as “*leb*” with another meaning. The root “*leb*” in Svanian dictionary is explained with the second meaning as “*bead*”, “*necklace*”. As for the etymology of the toponym “Salibauri”, the place is indeed like a necklace, surrounding the vicinities of Sameba–Akhalshehi-Peria. Visitors are still fascinated by the real pearl of the Black Sea to this day.

## ერთი ტოპონიმის ფოლკლორული წყაროები

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი მხარის – აჭარის ხალხური სიტყვიერების შესწავლას ქართულ ფოლკლორისტიკაში თვალსაჩინო მნიშვნელობა ენიჭება. აჭარული ზეპირსიტყვიერების თავისებურებანი ერთგვარი საზომია იმის, რამდენად შეინარჩუნა აჭარის მოსახლეობამ ქართული კულტურა ოსმალობის პერიოდში. თუმცა, რუსეთის შემოსვლამ საქართველოში სერიოზული ცვლილებები გამოიწვია, განსაკუთრებით, ტოპონიმებში: ძველქართულ ტოპონიმებს ახალი რუსული ჩაენაცვლა.

ტოპონიმები წარმოშობილია უშუალოდ ადამიანთა ურთიერთობის პროცესში და, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, სახელი ამა თუ იმ გეოგრაფიულ ადგილს სტიქიურად, პირველად მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით შერქმევია (**დღონტი, 1971: 9**).

ფოლკლორისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა ტოპონიმების ცვლა, ლოკალიზება, ჩანაცვლება და ა.შ. ასეულობით ადგილს შეუცვლია ტრადიციული სახელი, ამიტომ ტოპონიმი ძველიც არის და ახალიც. ახალი კი ამ შემთხვევაში მეტად პირობითია, რადგან მას შეიძლება საუკუნეების ისტორია ჰქონდეს, მაგრამ მასზე ძველთან შედარებით ის მაინც ახალია. ძველი ტოპონიმი, მით უმეტეს, თუ ის ზეპირი ტრადიციით არის შემონახული ან უცხოურ წყაროებშია დამოწმებული, იშვიათადაა მოღწეული უცვლელი სახით (**იქვე, 20**).

როგორც ცნობილია, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად შემოერთებულ ქართულ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა ორი ოლქი – ყარსისა და ბათუმის. ყარსის ოლქში გაერთიანდა კოლა-არტაანი, ოლთისი, აგრეთვე, ისტორიული სომხეთის მიწების ნაწილი. ბათუმის ოლქში – აჭარა, მაჭახელი, ბათუმ-ქობულეთი და ა.შ. რუსეთის შემოსვლამ რადიკალურად შეცვალა ბათუმის ბედი.

ომის წინ, 1868 წელს, ბათუმში 5000 სული ცხოვრობდა (**პალ-გრევი, 2012: 63**), ომის დაწყების წინ კი 3000-მდე შემცირდა (**ფრენკელი, 2012:95**).

აჭარის განთავისუფლების შემდეგ, როგორც ცნობილია, ბათუმისა და საქართველოს სხვა ოლქებს რუსეთისათვის განსაკუთრებული სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

რუსეთისთვის კავკასია, ბათუმი ყველა დროში წარმოადგენდა ინტერესის სფეროს. ახლა, თურქთაგან აჭარის გათავისუფლების შემ-

დევ, ბათუმი და მისი შემოგარენი რუსეთისთვის მისაღებ ხალხთა კოლონიზაციის ადგილად იქცა ადგილობრივთა მიწების ხარჯზე. ამიტომ იძულებდნენ მუსლიმ ქართველებს მიეტოვებინათ მამა-პაპური სამყოფელი და სადღაც უცხოეთში გადახვეწილიყვნენ, ამის შედეგია სწორედ მუჰაჯირობა. „ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბათუმის ოლქის პირველი სამხედრო გუბერნატორი გენერალი კ. კომაროვი. იგი ფარულად თუ აშკარად ხელს უწყობდა აქაური მოსახლეობის აყრა-გადასახლებას, ე.წ. მუჰაჯირობას. სწორედ მისი მმართველობის დროს ჩაეყარა საფუძველი აჭარის კოლონიზაციას, არაქართველების მიერ ადგილ-მამულეების შექმნას (**გაზ. „დროება“, 1881, 29 აპრილი**).

ბათუმი 1878 წლიდან „პორტო-ფრანკოდ“ – თავისუფალ სავაჭრო ზონად გამოცხადდა. ასე იყო 1986 წლამდე, მერე კი რუსეთის მმართველობამ მართვა-გამგეობის თავისი წესები შემოიღო.

რუსეთს ამ კუთხეში თავისი ახალშენების მოწყობის სურვილი ადრევე ჰქონდა, რაც ისტორიულ წყაროებსა და მიმოწერებშიც ჩანს. მეფისნაცვლის კანცელარიის 1845 წლის ერთ წერილში ნათქვამია: „ამიერკავკასიაში რუსების ჩამოსახლება სასარგებლოა, როგორც რუსეთის პოლიტიკური მფლობელობის განმტკიცების მიზნით, ასევე სამრეწველო განვითარებისთვის (**Акты, 1881: 381**).

ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში კოლონიზაციის ჩამოსახლება და რუსული ახალშენების მოწყობა XIX ს-ის 10-იანი წლებიდან დაიწყო. 1817-1819 წლებში აღმოსავლეთ საქართველოში გერმანელთა რიცხვი 500 კომლამდე გაიზარდა (**Акты, 1881: 230-231, 382**), ხოლო 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ოსმალეთიდან სომეხი და ბერძენი ეროვნების 6000 კომლი ჩამოსახლეს. ყველა ისინი მიწით უზრუნველყვეს, თან კრედიტებიც მისცეს.

XIX საუკუნის 30-იან წლებიდან კი ინტენსიურად მიმდინარეობდა რუსების ჩამოსახლება. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 ომის შემდეგ კი რუსეთის საკოლონიზაციო მიწები გაიზარდა. ეს ახალი რეგიონების შემოერთების ხარჯზე ხდებოდა. კერძოდ, ამას ხელი შეუწყო აჭარაში მასობრივმა მუჰაჯირობამ. ადგილობრივებს ბათუმში უქმნიდნენ ისეთ პოლიტიკურ ამინდს, რომ ისინი იძულებით ან ნებაყოფილობით ტოვებდნენ თავიანთ საცხოვრებელს. ამის შემდეგ კი რუსის მოხელეები სასურველ მიწის ნაკვეთს სამხედრო დანიშნულებისთვის, ან პირადი ინტერესებისთვის იყენებდნენ.

„მცირემიწიანობის მიუხედავად, ბათუმის ოლქში რუსული ახალშენების მოსაწყობად მიწები მაინც გამონახეს. აქ პირველი რუსული ახალშენი 1881 წელს მოეწყო ქობულეთის მახლობლად, ფიჭვნარში. მისთვის 2440 დესეტინა შეარჩიეს. მას სმეკალოვკა ეწოდა

(ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ა. სმეკალოვის პატივსაცემად).

სმეკალოვკაში რუსი მოახალშენეების პირველი ჯგუფი, სულ 114 ოჯახი, 1881წ. ჩამოსახლეს...“ (თურმანიძე, 2008:64).

1900 წლიდან ბათუმის შემოგარენშივე, მდინარე ჭოროხის შესართავთან, იქმნება ახალშენი „ალექსეევკა“. ქობულეთში – „კომაროვკა“, რომელიც შედარებით დიდი დასახლება ყოფილა (ამხფ., ს. 216, ფურც. 12-15), ასევე 1912 წ. ქობულეთის მახლობლად შექმნილა ახალშენი „რომანოვკა“ და სხვა.

ამავე პერიოდში, როგორც ჩანს, კახაბრის ველზე შექმნილია დასახლება „სტეფანოვკა“. ეს სახელწოდება, გადმოცემებით, რუსი გენერლის სახელს უკავშირდება. მოხუცების გადმოცემით, ეს დასახლება თავდაპირველად ჭაობიანი ადგილებით იყო დაფარული. იქ მცხოვრებნი მათ მხოლოდ ბრინჯისა და სიმინდის დათესვისთვის იყენებდნენ. თუმცა ამავე დროს აქ მუშაობაც ერთობ საშიში ყოფილა, რდგან აქ უამრავი ქვეწარმავალი ბინადრობდა. ჭაობების სისშირეს ბათუმი მაღარიის ბუდედ უქცევია.

გადმოცემით, თავდაპირველად ეს ადგილები არც ქართულ მოსახლეობასა და არც ჩამოსულ თურქებს არ მოსწონდათ. თუმცა ამ ადგილებს კარგად იყენებდნენ ქურთები. ზაფხულობით სოფლებსა და მთებში გაიხიზნებოდნენ, ზამთრობით კი ბანაკებად კახაბრის ველზე ცხოვრობდნენ. რუსების შემოსვლის შემდეგ მდგომარეობა შეცვლილა. ამ ადგილით დაინტერესებულა მაშინდელი სამხედრო პირი, სტეფანე ან გვარად სტეფანოვი, რომელიც შემდგომ გენერალიც კი გამხდარა. ისტორიული წყაროების მიხედვით, მართლაც არსებობდა ტ.ტ. სტეფანოვი, რომლის წერილებსა და ანგარიშებში აღწერილია ბათუმის მიდამოები, ის ასევე საუბრობს აქაურ კლიმატსა და გაუსადძლის პირობებზე (Стефанов, 1906: 105-111).

მერჯან ბოლქვაძე (82 წლის) 1955 წლიდან „სტეფანოვიკის“ უბანში ცხოვრობს. თავისი წინაპრების გადმოცემით, ამ ადგილის სახელწოდების ისტორია სწორედ ამ გენერალ სტეფანოვს უკავშირდება. კერძოდ, 1878 წლის თურქეთ-რუსეთის ომის შემდეგ ამ ადგილებში დამკვიდრებულან რუსი სამხედროები. შემდგომში, ჭოროხის სანაპიროსა და კახაბრის ველის ამ მონაკვეთში, სამხედრო იარაღისთვის მიწისქვეშ საიდუმლო საწყობი აუშენებიათ, სადაც საწყობთან ერთად საიდუმლო სამხედრო ნაწილის შენაერთი განლაგებულა. მას ერთდროულად თავდაცვითი, დაზვერვითი და შემნახველი ფუნქციაც ჰქონია. ეს ადგილები მას დაუკანონებია და ამ ადგილისთვის ხალხს „სტეფანოვკა“ დაურქმევია. ადგილობრივები ამ ადგილს დღესაც ამ სახელით მოიხსენიებენ. ამ უბნის სახელიც სწორედ ამ პიროვნების

გვარიდან მომდინარეობს. მოქმედი ასევე იხსენებს იმ პერიოდს, როცა ამ ადგილების მესაკუთრე ბაბუამისი ყოფილა.

მართალია, წარმოდგენილ ნაშრომში ერთი ტოპონიმის წარმოშობაზეა მსჯელობა, მაგრამ ბათუმში ბევრია ისეთი ტოპონიმი, რომელიც მის რთულ ისტორიასთანაა დაკავშირებული და მათი შესწავლა მომავლის ამოცანად რჩება.

ამ შემთხვევაში, ერთობ მნიშვნელოვანი და საინტერესოა არა მარტო ერთი ტოპონიმის წყარო, თქმულება თუ გადმოცემაა, არამედ საინტერესოა მთელი ბათუმის გეოგრაფიული სახელების ბედი, რომლებიც სხვადასხვა წყობილებისა და მართვის დროს სხვადასხვა სახელებით მოიხსენიებოდა. ჩვენდა საუბედუროდ, ბათუმში ასეთი ტოპონიმები მრავლადაა. ნაწილი ლოკალიზებულია, და მისი ადგილსამყოფელის გარკვევაც კი ძნელია, ნაწილი კი რამდენჯერმე გადარქმეული.

იმედია, ბათუმისა და მისი შემოგარენის, გეოგრაფიული ადგილების ეტიმოლოგიას ფოლკლორისტები, ენათმეცნიერები, ისტორიკოსები მომავალში საფუძვლიანად შეისწავლიან.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**ამხფ., ს. 216** – აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწრთა ფონდი, საქმე 216.

**ახვლედიანი, 1978:** – ახვლედიანი ხ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.

**გაზ. „დროება“, 1881, 29 აპრილი.**

**თურმანიძე, 2008:** – თურმანიძე ო., რუსული მმართველობის სისტემა და მხარის კოლონიზაცია, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი.

**პალგრევი, 2012:** – ვილიამ ჯიფორდ პალგრევი, აჭარა-ლაზეთი, ბათუმი.

**ფრენკელი 2012:** – ფრენკელი ა., ნარკვევები ჩურუქ-სუზე და ბათუმზე, გამოსაცემად მოამზადა, ავტორის ბიოგრაფია, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, თბილისი.

**ღლონტი, 1971:** – ღლონტი აღ., ტოპონიმიკური ძიებანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**ჯაოშვილი, 1962:** – ჯაოშვილი ვ., აჭარის ქალაქები – კრ.: ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, XIX, თბილისი.

**Акты, 1881:** – Акты, собранные Кавказской археографической комиссией, VIII, Тифлис.

**Стефанов, 1906:** – Стефанов С. С., Исторический очерк. Из книги „Батумь и его окрестности“, Батумь.

**Naile Mikeladze  
(Batumi, Georgia)**

### **The Folklore Sources of one toponym**

#### **Summary**

Studying the folklore of Adjara – the South-Western part of Georgia is of an important significance. The peculiarities of Adjarian folklore are the criteria of the strength, which enabled Adjarian population to preserve the Georgian culture under the Osman rule. However, the Russian influence caused the partial changes of toponyms in Georgia.

Since 1900, in the outskirts of Batumi, near the Chorokhi issue the new settling —lekseevka” had been built, in Kobuleti – “Komarovka”, also in 1912, a settling “Romanovka” was built near Kobuleti, as well as many others.

The history of Ajara has reserved a number of historical stories about the similar facts. From this point of view a great attention is attracted to the etymology of the Kakhaberi Valley, in particular, modern “Stephanovka”, which is connected with the name of a Russian General of the Army. According to the stories of old people, this settling was originally covered with boggy places. After the Russians settled there, the situation changed. One of the military officer with the name of Stephan or the surname Stephanov (later the General of the Army) was interested in this territory. He even built the secret underground depository for weapons (from 500 meters to 1 kilometers depth), where secret military unit was set. It was used as defending, espionage and storage construction. That was functioning until 1905. Nowadays it is the property of the Georgian Army Units. The name of this territory is originated from the name of this person.

The etymology of geographical places, Batumi and its outskirts is connected with the history of this part of Georgia. And the goal of specialists in folklore, linguistics and history is to study the roots of etymology thoroughly.

## ბათუმი უცხოელი რეჟისორების შემოქმედებაში

XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა კინემატოგრაფი იყო. თავდაპირველად კინო ხალხს ტექნიკურ საოცრებად მოეწონა, ფოტო, რომელიც კედელზე ეკიდა გაცოცხლდა, ამოძრავდა და სულ მალე თითოეული ადამიანის გულსა და გონებაში შეიჭრა, ბევრი მათგანის ცხოვრებაში განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი დაიკვიდრა. მალე დამოუკიდებელ ხელოვნებად ჩამოყალიბდა. ბევრი შემოქმედი დაინტერესდა იმ საოცრებით, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი ზემოქმედების ძალა. შეიქმნა უამრავი შედეგები, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, როგორც ცალკეული პიროვნების, ისე მთლიანად საზოგადოების, ამა თუ იმ ქალაქისა თუ ქვეყნის ცხოვრებაში.

კინოხელოვნების განვითარების პირველივე წლებიდან საქართველოს არაერთი ხელოვანი სტუმრობდა, გასაბჭოების შემდეგ კინოწარმოებაში აქტიურად ჩაერთნენ რუსეთიდან ჩამოსული რეჟისორები: ივანე პერესტიანი, ამო ბეკ-ნაზაროვი, ვლადიმერ ბარსკი და სხვა. როგორც კინომცოდნე არჩილ შუბაშვილი წერს: „მათ ხშირად გადაჰქონდათ ეკრანზე ქართული და რუსული ლიტერატურის ცნობილი ნაწარმოებები, მაგრამ ეს ფილმები მოკლებული იყო ეროვნულ თვითმყოფადობას. თუმცა ზოგიერთ მათგანში, მაგალითად, ივანე პერესტიანის ფილმში „სამი სიცოცხლე“ (1925წ.) დამაჯერებლად არის გადმოცემული მე-19 საუკუნის საქართველოს სოციალური ყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მასალაზე მუშაობისას მრავალი ავტორი სცოდავდა ყალბი რომანტიკულობითა და ეგზოტიკურობისაკენ სწრაფვით, მათი ფილმები მაყურებელთა მოწონებით სარგებლობდა“ (შუბაშვილი, 2005: 4).

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ბევრი ქართველი თუ უცხოელი კინომოღვაწე სტუმრობდა და ბევრი შემოქმედი ადამიანის ბიოგრაფიაში განსაკუთრებული, გამორჩეული ადგილი დაიკვიდრა ბათუმში, რაც გარკვეულწილად აისახა მათ შემოქმედებაში.

იმ ფილმებს შორის, რომლებიც აქ, ამ ქალაქში შეიქმნა, ბევრია ისეთი, რომელთაც საერთაშორისო აღიარება და არაერთი პრიზი მოიპოვეს, არის ისეთებიც, რომელსაც ნაკლებად, ან თითქმის არ იცნობს მაყურებელი. არის ფილმები, რომლებიც თავისი შინაარსითა და მაღალმხატვრული დონით გამოირჩევა, ისეთებიც, რომლებიც შეიძლება არ ჩაითვალოს შედეგებად, მაგრამ თითოეულ ამ ფილმს განსა-

კუთრებული ღირებულება გააჩნია, რადგანაც ჩვენი ქალაქის ისტორიის ნაწილს ინახავს.

წლების შემდეგ ფილმში ასახული ადგილი ან შენობა შეიძლება შეიცვალოს, ან მის ადგილას ახალი ობიექტი გაჩნდეს. ფილმი საშუალებას იძლევა, შემოინახოს ქალაქის მაშინდელი იერსახის ამსახველი კადრები, რაც წლების შემდეგ კინო-ფოტო დოკუმენტურ მასალად შეიძლება გამოვიყენოთ. ასეთი სახით კინემატოგრაფი გარკვეულწილად წარსულის გამარადიულებაშიც ღებულობს მონაწილეობას.

ჩვენი ქალაქის საინტერესო ისტორიისა და კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია ერთ-ერთი ყველასთვის ცნობილი და პოპულარული ფილმი „12 სკამი“ (1971 წ.), რომელიც ილფისა და პეტროვის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით გადაიღო ცნობილმა რეჟისორმა, კომედიების ავტორმა ლეონიდ გაიდაიმ, რომელსაც უკვე გადაღებული ჰქონდა „ოპერაცია „BI“ და შურიკის სხვა თავგადასავლები“ (1965 წ.), „კავკასიელი ტყვე ქალი, ანუ შურიკის ახალი თავგადასავლები“ (1967 წ.), „ბრილიანტის ხელი“ (1968 წ.).

გაიდაი დიდხანს ოცნებობდა ამ ფილმის გადაღებაზე, მაგრამ გაიგო, რომ გაა დაწვინდა აპირებდა ამავე ფილმის გადაღებას. ერთხელ, დანელიასთან შეხვედრისას, თავად დანელიამ უთხრა, – მე ვეღარ ვახერხებ ამ ფილმის გადაღებას, რადგანაც უკვე აღარ ვიცი, როგორი გამოძივაო. გაიდაი დაუყოვნებლივ შეუდგა ჩანაფიქრის ასრულებას.

რეჟისორი დიდხანს ეძებდა ოსტაპ ბენდერის როლის შემსრულებელს და საბოლოოდ, 22 კანდიდატიდან არჩილ გომიაშვილი აარჩია. ცნობილი მსახიობი, მიხეილ კაზაკოვი, რომელიც ასევე მიწვეული იყო ბენდერის როლზე, იხსენებს: „ამ როლზე სინჯები გაიარეს ვლადიმერ ბასოვმა, ვლადიმერ ვისოცკიმ, ალექსეი ბატალოვმა, ოლეგ ბორისოვმა, ვალენტინ გაფტმა, ვეგენი ვესტიგნევემა, ანდრეი მირონოვმა, სპარტაკ მიშუელინმა, მიხაილ შირვინდტმა, და მომდერაღმა მუსლიმ მაგომაევემა. ბოლოს, გაიდაის ვილაცამ უთხრა, რომ ერთ-ერთ პროვინციულ თეატრში უკვე რამდენიმე წელია წარმატებით თამაშობს ბენდერის როლს ნაკლებად ცნობილი მსახიობი არჩილ გომიაშვილი. გაიდაიმ სასწრაფოდ მოიწვია სინჯებზე და ძალიან მოეწონა (ფოტო 1, 2).

„გოსკინოში“ აღშფოთდნენ: – ბენდერი რატომ უნდა იყოს ქართველი?

– ოსტაპის მამა ხომ თურქეთის რწმუნებულია და დედა რატომ არ შეიძლება ქართველი პედაგოგი, – იყო პასუხი“ ([www.kp.ru/daily/22963/1341](http://www.kp.ru/daily/22963/1341)).

ფილმში ეპიზოდურ როლებს ქართველი მსახიობები ასრულებენ. ერთ-ერთ ეპიზოდში თამაშობს მსახიობი შალვა გეჯაძე, რომელიც

1937-1942 წლებში მარჯანიშვილის, ხოლო 1942 წლიდან ბათუმის თეატრის მსახიობი იყო, 1949 წელს აჭარის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1961 წ. საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

არჩილ გომიაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი (1966 წ.), რომელმაც 5 სხვადასხვა ფილმში სტალინის როლი ითამაშა, გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, 2004 წელს, ამერიკაში გაკეთებული ურთულესი ოპერაციის შემდეგ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავდა: „თითქმის 30 წელი – ეს მთელი ცხოვრებაა და მე ეს წლები ვიცხოვრე, როგორც ოსტაპ ბენდერმა და ამავე დროს, მასთან ერთად. ამ როლის წყალობით, მოსკოვში მივიღე ბინა, გავხდი პოპულარული ადამიანი. ჩემსა და ჩემს გმირს შორის ბევრი საერთოა. მე მსახიობი ვარ და მაყურებელი მჭირდება, ოსტაპიც მსახიობია და მასაც აუდიტორია სჭირდება. არ არის აუდიტორია – მე არაფერი აღარ მაინტერესებს: არც სკამი, არც ფული“ ([www.ru.wikipedia.org/wiki/gomiashvili](http://www.ru.wikipedia.org/wiki/gomiashvili)).

ფილმის გადაღებები მწვანე კონცხსა და ქალაქის სხვადასხვა უბანში მიმდინარეობდა. ზღვის სანაპიროზე მდებარე რესტორანში, სუფრასთან მსხდომი მოქვიფეები – ბათუმის თეატრის მსახიობები როლანდ კაკაურიძე და შოთა მესხიძე არიან.

ფილმმა 1972 წ. საკავშირო კინოფესტივალზე მიიღო დიპლომი და პრემია „კინოკომედიის ჟანრის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“, და სორენტოში, საბჭოთა ფილმების ფესტივალზე – სპეციალური პრიზი „ვერცხლის სირენა“.

ბათუმსა და მის შემოგარენში იღებდნენ სცენებს ისტორიული კინოეპოპეიდან „განთავისუფლება“ (1968-1971წწ), მეორე და მეოთხე ნაწილს, სადაც სტალინის როლს ბუხუტი ზაქარიძე ასრულებს.

1986 წელს ვიქტორ ჰიუგოს რომანის მიხედვით შეიქმნა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ და საფრანგეთის კინოსტუდიების „ანტენ-2“-სა და „პატე-სინემას“ ერთობლივი ნამუშევარი „ზღვის მაშვრალნი“, რომლის რეჟისორებია ფრანგი ედმონ სეშანი და ქართველი გიზო გაბესკირია. სცენარის ავტორები – ჟან კლოდ კარერი და რეზო თაბუკაშვილი. დამდგმელი ოპერატორი – გი დელარტი. მხატვრები: ანდრე ჟარი და დიმიტრი თაყაიშვილი. ფილმში მონაწილეობენ როგორც ფრანგი, ისე ბათუმელი მსახიობები: იური ცანავა, ნინო საკანდელიძე, მანუჩარ შერვაშიძე, ხასან მეგრელიძე, ლია აბულაძე და სხვ.

მსოფლიოში ცნობილი მოჭადრაკის, ალექსანდრე ალიოხინის (მსახობი ალექსანდრე მიხაილოვი) ცხოვრებაზე მოგვითხრობს ფილმი „რუსეთის თეთრი თოვლი“ (1980 წ., რეჟისორი იური ვიშინსკი), რომლის ეპიზოდების გადაღება ზღვის სანაპიროზე, არქიტექტორთა შემოქმედებით სახლად ცნობილ შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე

რიაზე მიმდინარეობდა. დღეს ეს შენობა აღდგენილია, და უნდა აღინიშნოს, რომ პირვანდელი სახე არ დაუკარგავს. სწორედ ისე გამოიყურება, როგორც ფილმში ჩანს (ფოტო 3, 4). აღსანიშნავია, რომ ფილმში ბათუმი ნაჩვენებია, როგორც პორტუგალია 1945 წლის გაზაფხულზე, ქ. ესტორიალი, ადგილი, სადაც ცნობილმა მოჭადრაკემ, სამშობლოდან გაძევებულმა, სიცოცხლის ბოლო დღეები გაატარა.

30 წლის წინ გამოვიდა ეკრანებზე ფილმი, სახელწოდებით „სიყვარული და მტრედეები“ (1984 წ.), მისი რეჟისორია ვლადიმერ მენშოვი, რომელსაც მანამდე გადაღებული ჰქონდა მხოლოდ ორი ფილმი, მათ შორის – უკვე ცნობილი „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“ (1979 წ.), რომელმაც მრავალი პრიზი მოიპოვა, მათ შორის, 1981 წელს – ოსკარი „საუკეთესო ფილმისთვის უცხოურ ენაზე“.

უნდა აღინიშნოს, რომ ფილმი „სიყვარული და მტრედეები“, სადაც ერთ-ერთ როლს ცნობილი მსახიობი ლუდმილა გურჩენკო თამაშობს (ფოტო 5), დღემდე პოპულარობით სარგებლობს. 2011 წელს ფილმის გმირებს ძეგლი დაუდგეს იმ ქალაქში, სადაც რეალურად ცხოვრობდნენ ფილმის გმირების პროტოტიპები (ფოტო 6).

\* \* \*

ახალი XXI საუკუნის დასაწყისში აჭარა, ბათუმი ქვეყნის მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი გახდა, სადაც უკვე ტრადიციულად იმართება სხვადასხვა სახისა და შინაარსის საერთაშორისო კინო, თეატრალური თუ მუსიკალური ფესტივალები, რომლებიც უამრავ ადამიანს იზიდავს. უკვე ტრადიციად დამკვიდრდა ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც წელს მეცხრე წელია, რაც ტარდება. ფესტივალმა საკმაო პოპულარობა და მსოფლიო მასშტაბით აღიარება მოიპოვა. ასევე ტრადიციული გახდა ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, ორიგინალური სახელწოდებით „თოფუზი“, რომელიც ჩვენი პატარების საყვარელი თავშეყრის ადგილად და შემეცნების საუკეთესო საშუალებად იქცა.

ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად სახე იცვალა ქალაქმა. განახლებული ძველი უბნები, ახალი, თანამედროვე არქიტექტურადასტორიული ღირსშესანიშნაობები, კინემატოგრაფისტებისთვის და ამ სფეროთი დაინტერესებული ადამიანებისთვის საინტერესო და მიმზიდველ გადასაღებ ობიექტებად აღიქმება, განსაკუთრებით უცხოელი რეჟისორებისთვის. ყოველივე ეს, იმაზე მეტყველებს, რომ ისტორია მეორდება, ბათუმი კვლავ იზიდავს შემოქმედ ადამიანებს.

დამოუკიდებელმა პროდიუსერმა და რეჟისორმა ალექსანდრე ათანესიანმა ბათუმში გადაიღო ეპიზოდები სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისა „მოჰკალ მეფე“ «Близкий враг» («Убить король»), სა-

დაც ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები ზურაბ ქავთარაძე, ლია აბულაძე, ჯემალ ველიაძე მონაწილეობენ. ფილმი 2009 წელს გამოვიდა ეკრანებზე.

ალექსანდრე ათანესიანი 1953 წ. დაიბადა თბილისში, 1975-1987 წლებში მიღვაწეობდა საქართველოში. 1982-1987 წლებში იყო რეჟისორის ასისტენტი და შემდეგ რეჟისორი კინოსტუდია „ქართულ ფილმში“.

2013 წელს, ქართულ-ფრანგულ-ესპანური მხარეების თანამშრომლობით, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში მიმდინარეობდა გადაღებები სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისა „სხვისი სახლი“. ფილმი უსახლკარო, ომგამოვლილი ადამიანების ცხოვრებაზე მოგვითხრობს: „უსიციცხლო სოფელი, გაყინული ბუნება, უკიდევანო ციტრუსის ბაღები, აჭედელი პირქუში სახლები“ – ასეთია ფილმის ბუნებრივი დეკორაცია, რომლის ფონზეც ვითარდება გმირების ისტორია. ფილმის გადაღებებში არაერთი ცნობილი ქართველი და უცხოელი მსახიობი და კინოსელოვანი მონაწილეობდა.

საქართველო-თურქეთის ერთობლივი საერთაშორისო პროექტის ფარგლებში უკვე რამდენიმე ფილმი და სერიალი შეიქმნა. მათ შორის, სერიალი „ჩრდილოეთი-სამხრეთი“, რომელიც საკმაო პოპულარობითა და მაღალი რეიტინგით სარგებლობს თურქულ არხებზე. აღსანიშნავია, რომ მასში მონაწილეობდნენ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები. ფილმის ეპიზოდების გადაღებები მიმდინარეობდა ძველი ბათუმის ადგილებში.

წელს ივნისის თვეში ბათუმს უკვე მეორე ფილმის გადასაღებად ეწვია ცნობილი თურქი რეჟისორი ოჟჯან ალპერი. რომელმაც 2008 წელს ბათუმსა და მის შემოგარენში გადაიღო ფილმი სახელწოდებით „შემოდგომა“, სადაც მთავარ როლს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო თეატრის ახალგაზრდა მსახიობი მეგი კობალაძე ასრულებდა, რომელიც დიდი ქართველი მსახიობის იუსუფ კობალაძის შვილიშვილია. ამ ფილმმა და ახალგაზრდა მსახიობმა საკმაო პოპულარობა მოიპოვა თურქეთში.

აღსანიშნავია, რომ რეჟისორმა 2009 წელს, ერევანში, პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ აპირებდა ფილმის გადაღებას სომხების გენოციდზე. „თემა ძალზე რთულია. იმისთვის, რომ ამ თემაზე ფილმი გადაიღო, საჭიროა არა მხოლოდ გამბედაობა, არამედ კინემატოგრაფიული ოსტატობა“. ოჟჯან ალპერი სომხური წარმოშობისაა, ართვინიდან. რამდენიმე წლის წინ ფილმისათვის „Momu“ გაასამართლეს თურქული თვითშეგნების შეურაცხყოფისათვის, დააჯარიმეს და 5 წლით აუკრძალეს სომხების გენოციდთან დაკავშირებულ თემაზე მუშაობა.

მაგრამ რეჟისორმა უარი არ თქვა თავის ჩანაფიქრზე და ჩვენს ქალაქს უკვე მეორედ ეწვია, სწორედ ამ თემაზე ფილმის გადასაღებად. თავისი ახალი ფილმის, რომლის სახელწოდებაცაა „ნიაქარის მოგონებები“, გადაღებებისათვის ძველი ბათუმის უბნები შეარჩია (ფოტო 7, 8).

2013 წლის 12 ივნისს ბათუმს ეწვია ცნობილი ფილმის – „ნათლიმამას“ რეჟისორის, ფრენსის ფორდ კოპოლას, ძმისშვილი, ასევე ცნობილი ჰოლივუდელი პროდიუსერი და რეჟისორი, კოპოლების დინასტიის წარმომადგენელი, სან-ფრანცისკოს ხელოვნების ინსტიტუტის პროფესორი ქრისტოფერ კოპოლა, მსახიობ ნიკოლას ქეიჯის ძმა და რეჟისორ სოფია კოპოლას ბიძაშვილი, რომელმაც ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ გადაღებულ ფილმში ითამაშა (ფოტო 9). შემდეგ ის 2014 წლის იანვარში კვლავ ეწვია ბათუმს, ამჯერად თავისი ახალი საშინელებათა ფილმის – „ნათიას სიზმრების“ გადასაღებად.

უახლოეს მომავალში ქრისტოფერ კოპოლა ისევ აპირებს ჩამოსვლას და ბათუმელ კინორეჟისორთან, ზაზა ხალვაშთან ერთად ერთობლივი ფილმის გადაღებას.

წელს მაისის თვეში ბათუმს ეწვია ცნობილი ირანელი რეჟისორი და სცენარისტი, აზიის კინოაკადემიის პრეზიდენტი მოჰსენ მაჰმალბაფი, თავის ოჯახთან ერთად, რომელიც მსოფლიოში ცნობილია, როგორც ერთ-ერთი წარმატებული კინემატოგრაფიული ოჯახი. ის აქ იღებდა ეპიზოდებს ფილმისათვის „პრეზიდენტი“, სადაც ქართველი მსახიობებიც არიან ჩართულნი, მათ შორის, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი მიხეილ გომიაშვილი. მაჰმალბაფის ფილმებმა არაერთი ჯილდო და აღიარება მოიპოვეს საერთაშორისო კინოფესტივალებზე. 2001 წელს ამერიკულმა ჟურნალმა TIME მისი ფილმი „კანდაჰარი“ ყველა დროის 100 საუკეთესო ფილმთა სიაში შეიტანა.

მაჰმალბაფმა ირანი იქ არსებული ცენზურის გამო, პროტესტის ნიშნად 9 წლის წინ დატოვა და ოჯახთან ერთად შემოქმედებითი მოღვაწეობა სამშობლოს გარეთ – ინდოეთში, ავღანეთში, ისრაელში, ტაჯიკეთში, სამხრეთ კორეასა და საქართველოში გააგრძელა.

როგორც რეჟისორმა აღნიშნა, ეს ფილმი ძალადობის ჩაკეტილ წრეზეა. დიქტატორი, რომლის რეჟიმი დაემხო, შვილიშვილთან ერთად მთელ ქვეყანაში მოგზაურობს მუსიკოსად გადაცმული. გზადაგზა ის თავის ყოფილ ქვეშევრდომებს ხვდება და თავიდან აღმოაჩენს მათ.

„პრეზიდენტი“ უკვე აჩვენეს ვენეციის 71-ე საერთაშორისო ფესტივალის გახსნაზე სექციაში სახელწოდებით „ჰორიზონტები“. როგორც ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, „ჰორიზონტებში“ სულ ოცი სურათი მონაწილეობს და მისთვის საგანგებო კომისია არჩევს ფილმებს, რომლებიც „გამოხატავს

საერთაშორისო კინემატოგრაფის უახლეს ესთეტიკურსა და გამომსახველობით ტენდენციებს” (ფოტო 10).

როგორც ვხედავთ, ბათუმში ფილმის გადასაღებად ჩამოსულ რეჟისორთა გეოგრაფიული არეალი საკმაოდ მრავალფეროვანია, ასევეა ის ფილმები, რომლებიც აქ გადაიღეს, მრავალფეროვანია როგორც ჟანრობრივად, ისე გადასაღები ობიექტების შერჩევის თვალსაზრისით.

### **ბუნება, როგორც დეკორაცია**

ფილმის შინაარსის აღსაქმელად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ადგილი, გარემო, ბუნება, ესა თუ ის შენობა-ნაგებობა, სადაც მოქმედება მიმდინარეობს. თუ ამ კუთხით განვიხილავთ ზემოთჩამოთვლილ ფილმებს, დავწმუნდებით, რომ განახლებული ბათუმი, თავისი ძველი უბნებითა და თანამედროვე არქიტექტურით საუკეთესო ადგილია ნებისმიერი შინაარსის ფილმისათვის.

როგორც ცნობილია, კინემატოგრაფის ადამიანზე ზემოქმედება უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული, იქნება ეს დაძაბული, საინტერესო სიუჟეტი, პროფესიონალური სამსახიობო ანსამბლი, რეჟისურა თუ ოპერატორული ნამუშევარი, მუსიკა, სპეცეფექტები, კოსტუმები თუ დეკორაციები. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ფილმის ავტორებს შედეგების შექმნასა და მყურებლის მოზიდვაში ბუნებაც ეხმარება. ბუნების მშვენიერი ლანდშაფტები საუკეთესო გადასაღებ მოედნად და მოქმედების განვითარების ადგილად შეიძლება იქცეს.

არაერთი უცხოელი მწერალი თუ მოგზაური აღფრთოვანებით წერდა საქართველოს შესახებ: „საქართველო – ოქროს საწმისის ქვეყანაა, ძველი მითებისა და ლეგენდების ქვეყანა. მისი ზღვისპირეთი, დათოვლილი მთებით, სითბოთი და სიუხვით ჭეშმარიტად მიწიერი სამოთხეა, უფლის კურთხეული უბანი დედამიწისა“ – დანიელი მწერალი ჰანს შერფიცი.

„თუ შეიძლება საქართველოს სიმბოლური სინონიმი გამოეძებნოს, მე ვიტყვოდი, რომ ეს ედემია. ეს საოცარი მხარე ზღაპრული მშვენიერების, სიკეთის, სიბრძნის, ბედნიერების, მძლავრი შემოქმედებითი შრომის, სიხარულისა და უკვდავების უშრეტი წყაროა. მისი ყოველი კუთხე-კუნჭული ერთიმეორეზე უკეთესი წალკოტია“ – გერმანელი ჟურნალისტი გუნთერ ბროკი (<http://www.ambioni.ge/ucxoeli-mogzau-rebi-saqartvelosa-da-qartvelebis-sesaxeb>).

თავისი მრავალფეროვანი ბუნებით, ზღვით, მთით, არქიტექტურული ძეგლებითა და ძველი ბათუმის განახლებული უბნებით, ჩვენს ქალაქს აქვს შანსი გახდეს კინომატოგრაფიული ოაზისი, რადგანაც ამ ბოლო წლებში საკმაოდ გაიზარდა ამ კუთხით კინოხელოვანთა

დაინტერესება. ვფიქრობ, ეს პოტენციური ჯერჯერობით არ არის ბოლომდე გამოყენებული.

აღსანიშნავია, რომ კინოწარმოების ხელშეწყობის მიზნით საფუძველი ჩაეყარა აჭარაში კინოწარმოების განვითარების ყოველწლიურ პროგრამას. ეს არის საქართველოში კინოფონდის განვითარების ალტერნატიული წყაროს მოძიების პირველი პრეცედენტი. აღნიშნული პროექტიხელს შეუწყობს აჭარაში კინოინდუსტრიის განვითარებას, აქედან გამომდინარე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, პროფესიონალი კადრების დასაქმებას. ახალი ბიზნესაქტივობების შექმნას, რაც დადებითად აისახება ქვეყანის კულტურულ განვითარებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმში არსებობს სათანადო ინტელექტუალური რესურსი და მატერიალური ბაზა ხელოვნების უნივერსიტეტის სახით, სადაც ხელოვნების ყველა მიმართულებით მზადდება პროფესიონალი კადრები: მხატვრული კინოსა და ტელევიზიის, მონტაჟის რეჟისორები, ოპერატორები, მსახიობები, მხატვრები, დიზაინერები, მუსიკოსები. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ საქმიანობას, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ბათუმში გახსნილი აქვთ სტუდიები, სახელოსნოები, სადაც აგრძელებენ პროფესიულ საქმიანობას. აკეთებენ სარეკლამო კლიპებს, ვიდეორგოლებს, იღებენ ფილმებს და მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

ძნელია ამ მოკლე მიმოხილვაში ჩვენს ქალაქში შექმნილი ყველა ფილმის წარმოდგენა, მით უმეტეს, რომ მასალა სრულიად არაერთგვაროვანია თავისი თემატიკის, ჟანრის, მსოფლმხედველობითი თუ ესთეტიკური ღირებულებების თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, მთელი ფილმის გადაღება მიმდინარეობს, თუ რამდენიმე ეპიზოდისა, ყოველივე ამის უკან რეჟისორი, ოპერატორი, მხატვარი და კიდევ ბევრი სხვა ადამიანი, ანუ ე. წ. ტექნიკურ-შემოქმედებითი ჯგუფი დგას. ამდენად მათთვისაც არანაკლებ მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ქალაქის ღირშესანიშნავი ადგილების დათვალიერება და გაცნობა.

აჭარაში ყველა წინაპირობა არსებობს იმისათვის, რომ გლობალიზაციის პირობებში ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელოვან როლად იქცეს კინოტურიზმი, რომელიც გარკვეულ წვლილს შეიტანს, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ისე სახელმწიფოს, ერის ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თვითმყოფადი ტრადიციების მსოფლიო მასტაბით პოპულარიზაციის საქმეში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ამ საკითხით შეიძლება დაინტერესდეს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი. დღეს ასე პოპულარული ეკო, ეთნო, სათავეგადასავლო თუ სხვა სახის ტურებთან ერთად, ასევე შემუშავდეს მარშრუტი კინოტურისათვის. მომ-

ზადდეს ვიდეომასალა, სადაც გამოყენებული იქნება ნაწყვეტები ამა თუ იმ ფილმიდან შესაბამისი ტექსტითა და ფოტოებით, რათა ჩამოსულ უცხოელ ან ქართველ სტუმარს კინოტური შევთავაზოთ, ის ადგილები გავაცნოთ, იმ ფილმებზე ვესაუბროთ, რომელიც ჩვენს ქალაქშია გადაღებული. რადგან კინო ყველასათვის ხელმისაწვდომი, გასაგები და პოპულარული დარგია, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისთვის. ამავე დროს კინოტურები შემეცნებითი დანიშნულებით შეიძლება გამოვიყენოთ სკოლის მოსწავლეებისთვის, რომ მომავალმა თაობამ უფრო ხელშესახებად იცოდეს ჩვენი ქალაქის კინოსტორია. ვინაიდან დღესაც, ისე როგორ საუკუნის წინ, კინემატოგრაფს არ დაუკარგავს ადამიანზე ზემოქმედების ძალა. მის მიმართ ინტერესი ისეთივე ძლიერია, როგორც იყო.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**ქართველი კინორეჟისორები, 2005:** საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო შრომები, ნაწილი I, თბილისი.

[www.kp.ru/daily/22963/1341](http://www.kp.ru/daily/22963/1341)

[www.ru.wikipedia.org/wiki/gomiashvili](http://www.ru.wikipedia.org/wiki/gomiashvili)

<http://www.ambioni.ge/ucxoeli-mogzaurebi-saqartvelosa-da-qartvelebis-sesaxeb>

#### ფოტოები

1. ფოტო – კადრი ფილმიდან „12 სკამი“
2. ფოტო – კადრი ფილმიდან „12 სკამი“
3. ფოტო – კადრი ფილმიდან „რუსეთის თეთრი თოვლი“
4. ფოტო – ყოფილი არქიტექტორთა სახლის შენობა, 1997 წ.
5. ფოტო – კადრი ფილმიდან „სიყვარული და მტრედეები“, მსახიობი ლუდმილა გურჩენკო
6. ფოტო – ძველი ფილმის, „სიყვარული და მტრედეების“ გმირებს, 2011
7. ფოტო – რეჟისორი ოჟჯან ალპერი გადასაღებ მოედანზე, 2014
8. ფოტო – რეჟისორი ოჟჯან ალპერი გადასაღებ მოედანზე, 2014
9. ფოტო – ქრისტოფერ კოპოლა სტუდენტური ფილმის გადაღებაზე
10. ფოტო – ფილმი „პრეზიდენტი“ ვენეციის 71-ე კინოფესტივალზე, 2014



სურ. 1-2. კადრები ფილმიდან „12 სკამი“



სურ. 3. კადრი ფილმიდან „რუსეთის თეთრი თოვლი“



სურ. 4. ბათუმი.  
სეპო ტუპინენის ფოტო.  
1977 წელი



სურ. 5. ლიუდმილა გურჩენკო.  
კადრი ფილმიდან „სიყვარული და მტრედები“



სურ. 6. „სიყვარული და მტრედები“ – ძეგლის გახსნა.  
2011 წელი



სურ. 7-8. ოზჯან ალპერი გადაღებაზე



სურ. 9. ქრისტოფერ კოპოლა სტუდენტებთან გადაღებაზე



სურ. 10. ფილმი „პრეზიდენტი“ ვენეციის კინოფესტივალზე

**Tskvitinidze Nato  
(Batumi, Georgia)**

### **Batumi in the Works of Foreign Film-Directors**

#### **Summary**

In the beginning of XXI century Ajara, Batumi became an important cultural center of Georgia, where different types of international film, theatre and music festivals have been traditionally held for recent years visited by lots of people.

The city has changed significantly over the last decade. Rehabilitated old districts, new and modern architecture as well as historical sightseeing are considered to be interesting and attractive shooting locations for cinematographers and other interested people. In the beginning of last century, when cinematography was on its way to establish, lots of Georgian and foreign film makers visited Batumi and this city took a very special and distinguished place in many people's biographies and works.

The films, shot in the last century, became inseparable part of interesting history and cultural life of our city.

## რამდენიმე სასაუბრო აქტიური ფორმის შესახებ

სალიტერატურო ენა გავლენას ახდენს ქალაქური მეტყველების ჩამოყალიბებაზე. ქალაქური მეტყველებისთვის „მათარად“ მაინც ქართული სალიტერატურო ენა ითვლება. ქალაქური ენისთვის დამახასიათებელია ყველა ფუნქცია, რაც პოლივალენტოვან სამწერლო ენას შეიძლება ჰქონდეს.

ქალაქური მეტყველების შესწავლა მეოცე საუკუნის დასწყისიდან იღებს სათავეს. ენა, როგორც ცოცხალი სისტემა, მუდამ ვითარდება. უცილებელი და საინტერესოა ქალაქური ენის განვითარების თითოეული ეტაპის შესწავლა, შემდეგ კი მათი ანალიზი. უდავოდ, საინტერესოა დიდი ქალაქების სამეტყველო ენა, კერძოდ, კი საპორტო ქალაქების ენა. შავიზღვისპირეთის ზოლზე სულ სამი ქალაქია: ბათუმი, ფოთი და სოხუმი. სოხუმის ბოლო პერიოდის მცხოვრებთან საუბრით შესაძლებელია აქტიური ფორმების დადგენა. რა საერთოა ამ საზღვაო ქალაქების სასაუბრო ენებს შორის და რა განაპირობებს მათ შორის განსხვავებას – ეს შემდგომში საკვლევი საკითხია. ვფიქრობთ, მათი სტანდარტული ენისა და ლექსიკური ფონდის შევსების წყაროები ერთი და იგივე უნდა იყოს, განსხვავებები გარემოებებმა უნდა განაპირობოს. ამჯერად კი მხოლოდ ქალაქ ბათუმის მკვიდრთა სასაუბრო ენის ფორმების შესახებ გვექნება საუბარი.

ქალაქურ ენაზე გავლენას ახდენს სოციალური ფენის თითოეული წარმომადგენელი. ისინი ქმნიან ისეთ სიტყვათა შეხამებასა და კონსტრუქციებს, რომლებიც შესაძლებელია მხოლოდ ამ ქალაქისთვის იყოს დამახასიათებელი (ფიქს, 2005:2). ისიც აღსანიშნია, რომ ყველა დიდ ქალაქს თავისებური მახასიათებლები და სპეციფიკური მეტყველება აქვს. რა იწვევს და რა განაპირობებს ამ სპეციფიკას? სპეციფიკას და ნაირგვარობას სწორედ ქალაქში არსებული გარემო ქმნის.

ჩასახლებული მოსახლეობის დიალექტისა თუ ენის შერევა ქალაქის მკვიდრთა მეტყველებასთან გარკვეულ სიჭრელეს ქმნის. მოსახლეობის ენა კი პირობითად შესაძლებელია დაიყოს შემდეგ ნაწილებად: სალიტერატურო ენა; დიალექტური ფორმები; უცხო ენის ზეგავლენა; ქარგონი და არგო (პალ-ნიორაძე, 2012:32).

ქალაქის სოციალურ ბაზას ქმნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენა: დასაქმებული მოხელეები, რომლებიც ფართო ფენაა და ახალგაზრდობა – სტუდენტები და მოსწავლეები.

ჩვენს კონკრეტულ საკითხს წარმოადგენს ის სასაუბრო ქართული ენა, რომელიც ამჟღერად დამკვიდრებულია ქალაქ ბათუმში. ბათუმის მკვიდრთა სამეტყველო ენა მოიცავს მწიგნობრულ ქალაქურ ენას, მასობრივ სასაუბრო ენას, რომელიც დაყრდნობილია საზღვაო ქალაქის სუბკულტურაზე.

ფაქტია, ახალჩასულისთვის შესამჩნევია უცხო ენის ზეგავლენით გააქტიურებული სიტყვები. მათი მნიშვნელობა კი მხოლოდ ბათუმელებისთვისაა გასაგები და მათი ფუნქცია კი კონკრეტულად მათთვის აღსაქმელი. უცხო სიტყვათა სესხების პროცესი ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართება: ერთია უცხოენოვანი ფორმის გადმოდება თავისი გრამატიკული ფორმით, მეორე – ნასესხები სიტყვის ქართული დერივაციის წესებისადმი დაქვემდებარებით.

თვალშიმოსახვედრი ფორმების აღწერა დილექტური ფორმების შინაგანი ასახვით, სინტაქსურ-მორფოლოგიური, სემანტიკურ-სტილური დამახასიათებელი შტრიხებით ხდება, რომლებიც სინქრონულ ლინგვისტური აღწერისგან არ განსხვავდება. ეს დილექტოლოგიაში დამკვიდრებული შინაგანი აღწერის მეთოდია.

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალით ვცდილობთ არსებულ ენობრივი ნაირსახეობებს განსაზღვრასა და წარმოდგენების განშლას, რომლებიც მომხმარებლებს გააჩნიათ. ამ თვალსაზრისით სოციოლინგვისტიკის ნაწილს ვეხებით.

საზღვაო ქალაქ ბათუმში სიხშირის მიხედვით ძირითადად გამოყენებულია ის კატეგორიები, რომლებიც ახალჩასულისთვის ფრიად შესამჩნევია. ესენია უცხო ენის გავლენა და მორფოლოგიურ-სემანტიკური სახეცვლილება.

შეიმჩნევა თურქული სიტყვები ბათუმის მკვიდრთა სასაუბრო მეტყველებაში. ისინი გააქტიურებულია და აღიქმება ქართული მნიშვნელობით, თუმცა ბათუმელთა მეტყველებაში მნიშვნელოვანი ადგილი არ უჭირავს.

უცხო სიტყვა	ქართული მნიშვნელობა	თურქ.	სხვა მნიშვნელობა
ობრეთი	კარგი, მშვენიერი	Böyle Bir	-----
გონჯი	ცუდი, უშნო	Gonja	-----
ეფეიჯა	ბევრად კარგად, საშუალოდ	Epeyce	სიუხვე, ხვაგი, ბლომად: ეფეიჯა საჩუქრები მივიღე; ეფეიჯა სეზონი იყო.
ყირმიზი	წითელი	Kırmızı	-----
ყიამეთი	ცუდი ამინდი	Qiyemeti	აურზაური – იმისთანა ყიამეთი იყო, ვერ გაგჩერდი.

მეორე კატეგორიად გამოყოფთ მორფოლოგიურ-სემანტიკურ ცვლილებებს, მის ქვეკატეგორებად კი: ზმნისწინი; ნაწილაკი; თანდებული; ბრუნვის ნიშანი; ნაცვალსახელები; შესიტყვებები.

ზმნისწინების შესახებ:

ბათუმური ფორმა	სალიტერატურო ფორმა	მაგალითი
<b>წვედეთ</b>	წავიდეთ	მაღე წვედეთ და!
აართვი	<b>გამოართვი</b>	მიდი, აართვი ერთი იმას ფული; გამოგართვი ფული.

პირველ შემთხვევაში ხდება ზმნისწინის რედუქციაცია და ძირის სახეცვლილება: **წა-წე; ვდ-ვიდ;** მეორე შემთხვევაში კი ერთი ზმნისწინის სხვა ზმნისწინის ფუნქციით გამოყენება. აართვი ფორმა მოცემის, გამორთმევის ფუნქციასაც ითავსებს. ეს აქტიურად გავრცელებული ფორმებია.

ნაწილაკების შესახებ:

ნაწილაკები	მაგალითი	მნიშვნელობა
ნა	ბელა <b>ნა</b> მანახოს. ვინ <b>ნა</b> ნახო? სად <b>ნა</b> მივიდე?	შარი <b>უნდა</b> მანახოს. ვინ <b>უნდა</b> ნახო? სად <b>უნდა</b> მივიდე?
და	კოფე დავლით <b>და!</b>	ყავა დავლით, <b>რა!</b>

„ნა“ და „და“ ნაწილაკებს აქვთ ინტონაციისა და დამოწმების ფუნქცია. საინტერესოა „ნა“ ნაწილაკი - „უნდა“ ზმნის ფუნქციით.

თანდებულის შესახებ:

თანდებული „გარეშეს“ ნაცვლად	მაგალითი	მნიშვნელობა
უმისოდ	<b>ჩემს უმისოდ</b> არ წახვიდე.	<b>ჩემ გარეშე</b> არ წახვიდე.

გააქტიურებულია ცალკე მდგომი თანდებულის ნაცვლად „გარეშე“ → „უმისოდ“. მიცემითი ბრუნვით „ჩემს“ ნაცვალსახელი – ნათესაობითის „ჩემ“.

ბრუნვის ნიშნის შესახებ:

მიცემითი ბრუნვის ნიშანი „ს“	მაგალითი	სალიტერატურო ფორმა
ჩემს ერთად	ჩემს <b>ერთად</b> წვედეთ და.	ჩემთან <b>ერთად</b> წავიდეთ, რა.
შენს ერთად	შენს <b>ერთად</b> გავაკეთოთ.	შენთან <b>ერთად</b> გავაკეთოთ.
მის ერთად	მის <b>ერთად</b> ვიყავი.	მასთან <b>ერთად</b> ვიყავი.

თანდებულებიანი ფორმის ნაცვლად გამოიყენება იმავე ბრუნვის ოღონდ ბრუნვის ნიშანი: „თან“ → „ს“. მოკლედ, ხდება პირდაპირ ჩანაცვლება. ეს საკმაოდ გავრცელებული ფორმებია.

ნაცვალსახელების შესახებ:

ნაცვალსახელები	მაგალითი	სალიტერატურო ფორმა
პირის ნაცვალსახელი	<b>მან</b> იქ იყო. <b>მან</b> იტყვის.	<b>ის</b> იქ იყო. <b>ის</b> იტყვის.
კუთვნილებითი ნაცვალსახელი	<b>თქვენი</b> მამათქვენი როგორ ბრძანდება? <b>ჩემი</b> მამაჩემი <b>შენი</b> მამაშენი <b>მისი</b> მამამისი/მისმამამისი	მამათქვენი როგორ ბრძანდება? მამაჩემი მამაშენი მამამისი
კუთვნილებითი ნაცვალსახელი	მას <b>ჩემი</b> თავი უყვარს	მას <b>მე</b> ვუყვარვარ
განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	ვინმე არი	არავინ არის

1. პირის ნაცვალსახელი ერგატიული კონსტრუქციითა წარმოდგენილი და უნდა იყოს სახელობით ბრუნვაში;

2. ფუნქციურად კუთვნილებითი ნაცვალსახელის „თქვენი“ გაორმაგების საშუალებით ხდება თავაზიანი ფორმის გამოხატვა. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მხოლოდობითი რიცხვის კუთვნილებითი ნაცვალსახელებით კი ხაზგასმა. მაგ.ჩემი მამაჩემი... მესამე პირში კი: მისი დედამისი და მისდედამისი...

3. კუთვნილებითი ნაცვალსახელის და „თავი“ ერთიანად ხმარება მეშველზმნიანი ფორმის ნაცვლად. „ვუყვარ“ ზმნაში მეშველზმნიანი ფორმის უგულებელყოფა.

4. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის გააქტიურება უარყოფითი ნაცვალსახელის ნაცვლად.

შესიტყვებების შესახებ:

სიტყვის ფორმა	მაგალითი	სალიტერატურო ფორმა
ბელა	<b>ბელა</b> ნა მანახოს.	<b>შარი</b> უნდა მანახოს.
ზორი	რა <b>ზორი</b> გაქვს?	რა <b>პრობლემა</b> აქვს?
დუნია მემღეჭეთი	<b>დუნია მელეჭეთი</b> მოიარა.	<b>ქვეყანა</b> მოიარა.
მეცხრიკები	ნუ <b>მეცხრიკები</b> სიტყვაზე...	ნუ <b>მეკიდები</b> სიტყვაზე...
რაფი	<b>რაფში</b> ვზივარ.	<b>სამარშუტო</b> ტაქსში ვზივარ.

ასეთია ჩვენი ხედვა ამ საკვლევი მასალის შესახებ. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ბათუმის მეკიდრთა მეტყველებისთვის გან-

მსაზღვრელია ქალაქის სუბკულტურა – დიალექტები, მეზობელ ქვეყანასთან გეოგრაფიული სახლოვე. სწორედ ამიტომაც, ეს განპირობებულია დიალექტების, უცხო ენის გავლენითა და მორფოლოგიურ-სემანტიკური სახეცვლილებით. ეს ყველაფერი მხოლოდ ქალაქური მეტყველების საკითხის დასმისთვის.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**პალ-ნიორაძე, 2012:** – პალ-ნიორაძე ნ., თანამედროვე ქართული ახალგაზრდული ჟარგონი, თბილისი.

**ლომთაძე, 2009:** – ლომთაძე თ., სოციოლექტში შემავალ ერთეულთა დეფინიციისათვის, ქუთაისი.

**გონიტაშვილი, შაბაშვილი, 2007:** – გონიტაშვილი ქ., შაბაშვილი გ., ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვეობა, თბილისური მეტყველების რამდენიმე თავისურება, თბილისი.

**Fox, 2005:** - Fox K., *Witching the English*. London.

**Pinker, 1995:** - Pinker S., *The Language Instinct*, London.

**Rickerson, Hilton, 2006:** - Rickerson E.M., Hilton B., *The 5 minute Linguist*, London.

**Nana Shavtvaladze**  
(Tbilisi, Georgia)

### About some active spoken forms

#### Summary

The article covers the some active spoken forms of Batumi city. All regions are characterized by a conversational style, manner, intonation, vocabulary size etc. In Batumi people use special foreign words, phrases and some morphology and syntax forms too. It was decided that spoken language is used by determination of subculture. In future will be interesting to clarify all find forms with detail explanation which is used in current Batumi speech.

## ბათუმის თანამედროვე არქიტექტურული ბანდენციები

ქალაქის დანიშნულება, საზოგადოებრივი ფუნქცია განსაზღვრავს მის ურბანულ სახეს. გარემოსა და არქიტექტურის ჰარმონიული შერწყმა კი ქმნის მისი ადგილის სულს, განუმეორებელ იერს.

XIX-XX საუკუნის ბათუმი საპორტო ქალაქია. საპორტო-სატრანზიტო დანიშნულება და მდიდარი ბუნებრივი გარემო განაპირობებდა ძველი ბათუმის საკურორტო და სამრეწველო ფუნქციათა სინთეზს. XX საუკუნის დასასრულიდან კი მისი სატრანზიტო და საპორტო ფუნქცია შესუსტდა და მას თანდათან ტურისტული ქალაქის მნიშვნელობა მიენიჭა, რომელშიც, სუბტროპიკული ზონის მდიდარ ბუნებრივ რესურსთან ერთად, განსაკუთრებულ როლს არქიტექტურა ასრულებს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოლო წლებში შემუშავდა ბათუმის არქიტექტურის ახალი გაგება, კონცეფცია, რომელიც გულისხმობდა წინარე პერიოდის სადა და კამერული ქალაქიდან ეკონომიკურად მზარდი, სწრაფად განვითარებადი, ქმედითი, აქტიური, რამდენადმე პრეტენზიული არქიტექტურული იერსახის მქონე ურბანული გარემოს ჩამოყალიბებას. ძველი და საბჭოთა პერიოდის ბათუმის განახლების სურვილით იყო განპირობებული ძველი შენობების რეკონსტრუქცია ფსევდოისტორიზმისა და უმეტესად მოდერნისტული ინტერპრეტაციის პრინციპებით, რასაც მოჰყვა ქალაქის ისტორიული ნაწილის მასშტაბების ზრდა, ძველი და საბჭოთა პერიოდის ურბანული ქსოვილის შეცვლა ან ისტორიული ნიმუშების განადგურება. ქალაქის ტურისტული იმიჯის გასაზრდელად ხელისუფლებამ განახორციელა ახალი არქიტექტურული პროექტები, რომლის შემუშავებაში მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი არქიტექტორები. არქიტექტურა ტურიზმის პოლიტიკის ნაწილი გახდა. ამ ახალი კონცეფციით, რომელიც საფუძვლად დაედო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაციას და ბათუმის ახალ განაშენიანებას, ისტორიული შენობების მოკრძალებული კლასიციზტურ-ბაროკული ფასადები, ზომიერი მასშტაბები წინააღმდეგობაში აღმოჩნდა მოცულობრივი, მასშტაბური პროექტების მიზნებთან.

პირველ რიგში, ყურადღების ცენტრში მოექცა სანაპიროს მიმდებარე ქუჩები, ქალაქის შემოსასვლელი „კარიბჭე“. მთლიანად განახლდა ი. გოგებაშვილის ქუჩის განაშენიანება, სადაც განხორციელდა ისტორიული შენობების რეკონსტრუქცია და ფსევდოისტორიზმის

პრინციპებზე დაფუძნებული ახალი განაშენიანების განვითარება. ი. გოგებაშვილის ქუჩაზე განახლებული შენობების მხატვრულ იერსახეს განსაზღვრავს ძველი ბათუმისათვის ტრადიციული, არა მარტო ბაროკულ-კლასიციზტური, არამედ მავრიტანულ-ისლამური ელემენტებით გადაწყვეტილი ფასადები, რაც თანამედროვე სივრცეში აღმოსავლური მოტივების დანერგვის მცდელობას წარმოადგენს.

ბათუმის არქიტექტურული იერის განსაზღვრისათვის ხშირად მაგალითად მოჰყავდათ ნიცა და კანი, დუბაი და სინგაპური, რაც თავის მხრივ მოწმობს, რომ თანამედროვე ქალაქის განვითარებას კოსმოპოლიტური არქიტექტურა დაედო საფუძვლად. ხელისუფლების ძალისხმევაც სწორედ ახალი, თანამედროვე, აპრობირებული მხატვრულ-ტექნიკური სიახლეების დამკვიდრებისაკენ იყო მიმართული. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განხორციელებული ახალმშენებლობების შედეგად ქალაქის ახალი სილუეტი გამოიკვეთა. ადრინდელი ბათუმის კონცხისა და სანაპიროს ტერიტორიაზე განთავსებული მაღლივი შენობები, თითქმის ყველა ცენტრალურ ქუჩაზე აგებული და მშენებარე მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური სახლები მოწმობენ, რომ წინარე ხანის ბათუმი, თავისი კამერული, ზომიერი და ადამიანური მასშტაბებით, ახალ, კომერციულ და ტურისტულ ქალაქად ყალიბდება.

ამდენად, თანამედროვე ბათუმის არქიტექტურის არსი და კონცეფცია სახელმწიფოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორის – ტურიზმის მოთხოვნებს დაექვემდებარა და სახელმწიფოს მიზნად არქიტექტურულად მიმზიდველი, საინტერესო ქალაქის აშენების იდეა იქცა. როგორც ამბობდნენ, „ბათუმი საქართველოს ტურისტული მომავლის მთავარი პროექტია.“<sup>6</sup> გაზრდილი სიმჭიდროვის მქონე ურბანული ცენტრის პრობლემა კი წარმოშობს მაღალი შენობების აგების იდეას, რაც მნიშვნელოვნად ცვლის ქალაქის ვიზუალურ სახეს, ზოგჯერ კი თანამედროვე ურბანიზაციის პროცესი უკონტროლო ხასიათსაც იძენს.

თანამედროვე განაშენიანების ერთი ნაწილი თავმოყრილია ჩრდილოეთ სანაპიროზე, ბათუმის კონცხის ტერიტორიაზე. ანბანის კოშკი (2010-2011 წწ.) – 130მ სიმაღლის ლითონის კონსტრუქციებით შექმნილ ნაგებობაა, რომელიც განსაზღვრული იყო გარემოს, ზღვისა და ქალაქის ხედების აღქმისათვის. შენობის ავტორია ესპანელი

---

<sup>6</sup> ქვეყნის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას ემსახურება, აგრეთვე, განახლებული სიღნაღი, ქუთაისი, მცხეთა, მესტიისა და აჭარის სამთო-სათხილამურო პროექტები, სათაფლიისა და პრომეთეს მღვიმეების ინფრასტრუქტურა, გუდაურის პროექტები, ანაკლია, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე ახალ კურორტად უნდა იქცეს.

არქიტექტორი ალბერტო დომინგო კაბო. ნაგებობის კონცეფციას ქართული ანბანის იდეა უდევს საფუძვლად. კოშკის ცილინდრის ზედაპირს გასდევს ორი სპირალური ზოლი, რომელზეც განაწილებულია ქართული ანბანის 33 ასო. სპირალის დინება შთაგონებულია დნმ-ის სტრუქტურით, რაც ანბანის უნიკალურობისა და სემანტიკური მნიშვნელობის იდეას უკავშირდება. ანბანისა და დნმ-ის სტრუქტურის თანხვედრა გენეტიკური კოდისა და ქართული დამწერლობის ორიგინალურობას უხვამს ხაზს. ბადისებური სპირალური სარტყელის დინება მარადიული, მუდმივი მოძრაობის შთაბეჭდილებას ქმნის. შენობა შედგება ცილინდრული ფორმის კონსტრუქციისაგან, რომელსაც ლითონის შეშინული სფერული ნაწილი აგვირგვინებს. ამ ძირითადი ელემენტების გარსი დამზადებულია მილისებური კონსტრუქციებითა და ბადისებრი სექციებით. კოშკის ფუნქციური ნაწილი მოთავსებულია შუშის სფეროში, რომელშიც რესტორანი, ობესერვატორია და სატელევიზიო სტუდია უნდა განთავსდეს. კოშკის ბადისებურ კონსტრუქციაში ჩამონტაჟებულია პანორამული ლიფტები, რომლებიც, ასევე, შიდა ლიფტებით უკავშირდება სფეროს ფუნქციურ ნაწილს. კოშკის პროპორციები, ლითონის კონსტრუქციების სიმსუბუქე, შუშის სფეროს მოლიცილიცე ზედაპირი გამომსახველობას ანიჭებს ნაგებობას. ანბანის კოშკის არქიტექტურა ჰაიტეკის სტილის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. ანბანის კოშკის მხატვრული გადაწყვეტის მიუხედავად, შენობის სარგებლიანობის პრობლემურობა, წყლისა და ელექტრო სერვისების მიწოდების სირთულე, ხარჯების სიდიდე ეჭვქვეშ აყენებს უახლოეს პერიოდში მისი ფუნქიონირების საკითხს.<sup>7</sup>

კოსმოსოპოლიტური არქიტექტურის ნიმუშია სასტუმრო „რედისონი“. იგი მდებარეობს ბულვარის დასაწყისში, გასული საუკუნის 80-იან წლებში აგებული სასტუმრო „მედეას“ ადგილას. პირვანდელი შენობა ქმნიდა ფართო ღიობების მქონე კუბურ მოცულობას ვერცხლისფერი ლითონის ფაქტურის ფასადებითა და მკაცრი მონოლითური, მონუმენტური იერით. ნაგებობის მხატვრული სახე 90-იანი

---

<sup>7</sup> პანორამული ლიფტებით ასვლის შემდეგ, ვიზიტორთა გაცვლის პუნქტში განლაგებულია შიდა ლიფტები სფეროში მნახველთა ნაკადის გადასანაწილებლად. სფეროს მეორე სართული ორ მნიშვნელოვან ელემენტს შეიცავს: სამზარეულოს, რომელიც რესტორანს ემსახურება და სატელევიზიო სტუდიას. პანორამული რესტორანი მბრუნავი პლატფორმით განთავსებულია მესამე სართულზე - სფეროს ეკვატორულ დონეზე. მეოთხე სართული მოიცავს ობსერვატორიას 250 მ ფართობით და 200 ადამიანის ტევადობით. მნახველებს შეუძლიათ დატკბნენ ბათუმისა და შავი ზღვის სანაპიროს ხედებით. წყლისა და ელექტრო სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა, კონსტრუქტორებისათვის შედარებით რთული გამოდგა, რადგან ტუმბოსა და გამწმენდი მექანიზმების მუშაობას აფერხებს კოშკის სიმაღლე.

წლების ბოლოს საგრძნობლად დაკნინდა და შესაბამისად დაისვა ადგილის განახლების საკითხიც. სივრცის იგივე ნიშნულზე აღიმართა ახალი, უფრო მაღლივი შენობა, რომლის სივრულ-მოცულობრივი გადაწყვეტა ხასიათდება მონუმენტურობით, მეტ-ნაკლებად ნათელი სტრუქტურით, ტეხილი კონტურების მქონე სიბრტყეებისა და წახნაგოვანი სილუეტების გამომსახველობით, განათების ეფექტებით. ლითონის კარკასისა და შემინული ფასადების ფაქტურა ხაზს უსვამს ნაგებობის არქიტექტურულ ლოგიკას, მის განფენას სივრცეში. შენობის სილუეტები საინტერესოა ხედვის სხვადასხვა წერტილიდან აღქმის თვალსაზრისით. მიუხედავად ახალი მხატვრული გააზრებისა, წინარე ეპოქის შენობასთან მას მაინც აკავშირებს ერთგვარი მონუმენტურობა და მასიურობა, რაც, შესაძლოა, სანაპიროსა და ზღვის უსაზღვრო სივრცეში ნაგებობის დომინანტური მნიშვნელობის ხაზგასმის სურვილით იყოს განპირობებული. თითქმის ოცხაოთსართულიან ნაგებობას ტეხილი სილუეტებისა და განათების ეფექტების საშუალებით არქიტექტურული ორიენტირის მნიშვნელობა ენიჭება. სასტუმრო „რედისონის“ შენობის პროექტის ავტორია იტალიელი დიზაინერი და არქიტექტორი მიკელე დე ლუკი.

ქალაქის ჩრდილოეთ სანაპიროზე, ანბანის კოშკსა და სასტუმრო რედისონს შორის, მიმდინარეობს სასტუმრო „ემპინსკის“ მშენებლობა. სასტუმრო „ემპინსკის“ არქიტექტურული კონცეფცია ეკუთვნის ამერიკელ არქიტექტორს ლეო ა დალის.<sup>8</sup> სანაპიროს ამ მონაკვეთში განსაზღვრულ ახალმშენებლობათა შორის „ემპინსკი“ შედარებით ზომიერი მასშტაბით გამოირჩევა. ჯერ კიდევ დაუსრულებელი ნაგებობა ზღვის მხრიდან მაღალ პლატფორმაზე განვითარებული საინტერესო გეგმარებით, დენადი ტალღოვანი კონტურებითა და მსუბუქი შემინული ფასადებით იქცევა ყურადღებას. შენობის მოქნილი პლასტიკა გამომსახველ ხედებს გვთავაზობს და ჰარმონიულად ერწყმის ზღვის ნაპირის სივრცეს. თუმცა, შევნიშნავთ, რომ ახლომდებარე შენობების სიმჭიდროვე და მასშტაბები მნიშვნელოვნად დაჩრდილავს მის მხატვრულ მხარეს, რადგან სასტუმრო „ემპინსკის“ დახრილი სილუეტის მქონე გვერდითი კუთხეები ქალაქის მხრიდან უკვე დაფრულია ახლომდებარე შენობების სილუეტებით, აქვე მშენებარე მრავალსართულიანი „პორტა ბათუმი-თაუერის“ კოშკურა მოცულობით. შევნიშნავთ, რომ სასტუმრო „ემპინსკი“ შენდება ყოფილი სტადიონის ადგილას, ამ ტერიტორიის გაშლილი სივრცე კი მეტ-ნაკლებად შესა-

---

<sup>8</sup> არქიტექტორი აღნიშნავს, რომ შენობის ხასიათი შთაგონებულია ადგილის სულით, გეოგრაფიული მდებარებით, საიდანაც ზღვისა და მთების თვალწარმტაცი ხედები იშლება. შენობის დიზაინი ტოვებს ტალღების შტაბეჭდილებას, ნაგებობის დენადი პლასტიკა ორგანულად ერწყმის სანაპირო ზოლს, ნავსადგურისა და შორს მდებარე თოვლიანი მთების უსასრულო სივრცეს.

ბამისობაშია ნაგებობის მასშტაბსა და რთულ გეგმარებით სტრუქტურასთან. მიუხედავად ამისა, კონცხის ამ მონაკვეთის განაშენიანებაში მაინც გარკვეული პრობლემები იკვეთება, რაც სხვადასხვა მასშტაბისა და მოცულობის, არქიტექტურული მასების რამდენადმე უსისტემო, ლოგიკას მოკლებულ განთავსებაში გამოიხატება. საყურადღებოა, რომ სწორედ ეს ადგილი იქნა შერჩეული სახელმწიფოსა და ინვესტორების მხრიდან ფეშენებელური სასტუმროებისა და ცათამბჯენების მშენებლობისათვის. ამავე მიდამოებშია განსაზღვრული მაღლივი შენობების – „პორტა-ბათუმი-თაურისა“ და „ტრამპ თაურის“ მშენებლობა.

ქალაქის სანაპირო ზოლში ყველაზე მაღალ ნიშნულს ბათუმის ე.წ. „ტექნოლოგიური უნივერსიტეტისათვის“ განკუთვნილი შენობა აღწევს, რომლის შიდა ნაწილი არ არის დასრულებული (არქიტექტორი დ. გოგინაიშვილი). ვერტიკალურ კოშკურა ტიპის ნაგებობას ასრულებს მოდერნიზებული საფეხურისებრი შპილი, რომელიც ქალაქის ყველა წერტილიდან ჩანს. ექსტერიერის მხატვრულ გადაწყვეტას განსაზღვრავს ფასადების თეთრი პერანგისა და შემინული სიბრტყეების მონაცვლეობა, განათება, ეკრანის ეფექტი, ოქროსფერი აფრა აღმოსავლეთ მხარეს. ორიგინალური დეტალია მაღლივ ნაწილში – დაახლოებით 130 მ სიმაღლეზე დამონტაჟებული „ეშმაკის ბორბალი“, რომელიც გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო იდეასთან. მიუხედავად ამისა, ნაგებობის ეს დეტალი, ისევე როგორც ტელეეკრანი, განათება, წრიული ფორმის გახსნილი სივრცე ეშმაკის ბორბლის დიაგონალურად საპირისპირო მხარეს, მხატვრული თვალსაზრისით მაინც საინტერესოა. ნაგებობის სიმაღლე, შპილის ჩათვლით 200 მეტრზე მეტია. შენობა ოცდაჩვიდმეტი სართულისაგან შედგება. სიმაღლისა და გარეგნული ტექნიკური მხატვრული ეფექტების წყალობით ნაგებობას არქიტექტურული ორიენტირის მნიშვნელობა აქვს.

თანამედროვე ბათუმში ცათამბჯენების განთავსების იდეა სასტუმრო „შერატონის“ მშენებლობით იწყება. სასტუმროს სიმაღლე დაახლოებით 115 მეტრია. სწორედ ამ ნაგებობამ მისცა ბიძგი პროპორციების ზრდას რუსთაველის ქუჩის განაშენიანებაში, თუმცა, ამავე მონაკვეთში, მოპირდაპირე მხარეს მიმდინარე „ბაბილონ თაურის“ მასშტაბებთან შედარებით, მისი პროპორციები უფრო მოკრძალებულია. შენობის არქიტექტურული კონცეფცია სიახლეს არ შეიცავს. საუკუნეების განმავლობაში არაერთხელ განმეორებული საფეხურებრივი სტრუქტურა, ფსევდოკლასიციზტური დეტალები განსაზღვრავენ შენობის მკაფიო კომპოზიციას, თუმცა, პროპორციული თვალსაზრისით, ნაგებობის ყველაზე მაღალი, კოშკურა ნაწილი, რომელიც შათაგონებულია რომანული სტილის ნიშნებით, აშკარად წინააღმდეგობა-

ში მოდის შენობის ძირითად სწორკუთხა და წახნაგოვან მოცულობებთან და ფაქტობრივად ვერ იძენს კულმინაციური აქცენტის მნიშვნელობას. სასტუმრო „შერატონის“ შენობა ექვლექტური მშრალი სინთეზის, ფსევდოლირებულებების, კიტჩის გამოვლინებაა თანამედროვე ბათუმის არქიტექტურაში.

ბათუმის თანამედროვე არქიტექტურისადმი გარკვეული ნეგატიური დამოკიდებულება განპირობებულია იმით, რომ ახალმშენებლობები არ უწევენ ანგარიშს კულტურულ მემკვიდრეობას, არ არიან ორიენტირებული მის შენარჩუნებასა და წარმოჩენაზე. შოთა რუსთაველისა და დემეტრე თავდადებული ქუჩების გადაკვეთაში აღმართული მრავალსართულიანი სახლები თრგუნავს, ალყაში აქცევს ქუჩის კუთხეში მდებარე XIX საუკუნის ბელეტაჟს, რის შედეგად ირღვევა გარემოს ავთენტურობა და ძეგლის ვიზუალური დაცვის არე. ახალი შენობები, კაზმული ფასადების მიუხედავად, კონტრასტს ქმნიან არსებულ ურბანულ ქსოვილთან. ამ მხრივ საინტერესოა საცხოვრებელი სახლი „სახე“, რომლის მთავარი ფასადი, ადამიანის სახის ნაკვეთბის აღმნიშვნელი დეტალებით, თეატრალურ-დეკორაციული ბუტაფორიას ქმნის და, გარკვეული ინდივიდუალიზმის მიუხედავად, ერთგვარ ირონიულ, წარმოსახვით ილუზიას ქმნის სივრცეში.

არქიტექტურული კონტრასტები ბათუმის სივრცეში მრავალფეროვნების გამოვლინებად იქცა. რუსთაველის ქუჩის ამავე მონაკვეთში აშენდა ორი სხვადასხვა სტილის საცხოვრებელი სახლი, რომლებიც ინდივიდუალობისა და ნაგებობათა გაერთიანების მცდელობას წარმოადგენს. მთავარ არქიტექტურულ აქცენტს ქმნის ე.წ. „ბულვარის კარიბჭე“ – რთული გეგმარებითი სტრუქტურის მქონე შენობა გოთურისლამურ სტილთა სინთეზით. მას გვერდით ემიჯნება კუბისტური ელემენტებით კონსტრუირებული საცხოვრებელი სახლი (არქიტექტორები ვ. ორბელაძე, გ. გაბაშვილი). მიუხედავად მხატვრულ-სტილისტური სხვაობისა, მათი მასშტაბი, მოცულობები, პროპორციები ხელს უწყობენ თითოეული მათგანის არქიტექტურული სტრუქტურის წარმოჩენას. ნაგებობებს შორის დასმული ინტერვალი კი ხელშემწყობ ფაქტორს ქმნის განსხვავებული სტილით გადაწყვეტილი მოცულობებისა და ფასადების აღსაქმელად.

სამხრეთი სანაპიროს მიმართულებით, ი. ჯავახიშვილისა და შ. ხიმშიაშვილის ქუჩების გადაკვეთაში, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით რამდენადმე უსისტემოდ განთავსებულ მაღალსართულიან სახლებს შორის საინტერესოა რესტორან „მაკდონალდსის“ შენობა. ფუნქურისტულ სტილში გადაწყვეტილი ნაგებობა (პროექტის ავტორი გი-

ორგი ხმალაძე<sup>9</sup> ხასიათდება საინტერესო გეგმარებით, მოძრავი სილუეტით, ზედაპირის დინამიკური ფაქტურით, მახვილი ტეხილი კონტურებით, ვიზუალური გამომსახველობით. კომბინირებული სივრცე აერთიანებს ბენზინგასამართ სადგურს, რესტორანს, რეკრეაციულ ზონას და აუზს.

ახალი ბათუმის არქიტექტურის ერთ-ერთი ნიმუშია იუსტიციის სახლის შენობა (2009-2011), რომელიც იტალიელი არქიტექტორის მიკელე დე ლუკის მიერ არის დაპროექტებული. არქიტექტორის მოსაზრებით, შენობა სიმბოლურად ჩვიდმეტწიანი ცილინდრული კოშკია, რომელიც ჩანს მთებიდან და ზღვიდან, როგორც ორიენტირი მოსახლეობისათვის, იგი ტიპური შუქურაა, რომელიც კი არ ბატონობს გარემოზე, არამედ ორიენტაციას მატებს პეიზაჟს. არქიტექტორისა და ნაგებობის კონცეფცია ზომიერების, ადგილის შეგნების უნარს ამჟღავნებს. შენობა ორგანულად იკითხება სივრცეში.

ახალი ბათუმის არქიტექტურაში პოპულარული გახდა ცნობილი შენობების ასლების ან მათ მოტივებზე აგებული ობიექტების განთავსება („ნეპტუნის შადრევანი“, „ჭაჭის კოშკი“, „აკროპოლისი“, „ყირამალა“ „კოლიზეუმი“). კომერციული მიმზიდველობის თვალსაზრისით წარმოდგენილი ნაგებობები, ძირითადად, მდებარეობენ სანაპიროსა და ბუღვარის ზონაში იმ სარტყელზე, სადაც ფიჭვისა და ნაძვის ხეივანი უნდა იყოს გაშენებული. ბუღვარის სივრცის ინტენსიური დატვირთვა ახალი საზოგადოებრივი შენობებით მოწმობს, რომ მისი თანამედროვე განაშენიანება არ ითვალისწინებს რეკრეაციული ზონის ტრადიციებს – ხეივნების გაშენების პრინციპს.

საბჭოთა პერიოდისაგან განსხვავებით, ახალი ბუღვარის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოიკვეთა ტენდენცია იმისა, რომ ურბანული სივრცე კვლავ დაუბრუნდა თავის პირვანდელ ორიენტირს – ზღვას. ამას მოწმობს დიდი მასშტაბისა და მოცულობის მრავალფუნქციური სახლები, რომლებიც, გრანდიოზულ აქცენტებად აღიქმებიან 70-80-იან წლებში აშენებულ უსახურ ცხრასართულიან საცხოვრებელ სახლებთან შედარებით. ამავე უბანში, სასტუმრო „მარინას“ ტერიტორიაზე, იგება მონუმენტრი „ციხესიმაგრის“ ტიპის შენობა (ე.წ. „სემირამიდას ბაღები“), რომლის დინამიკური, მოცულობრივ-პლასტიკური ფორმები, სხვადასხვა სამშენებლო მასალის სინთეზი გვიჩვენებს, რომ თანამედ-

---

<sup>9</sup> გიორგი ხმალაძე ჰარვარდის დიზაინის სკოლის კურსდამთავრებულია. ეს ნაგებობა ამერიკული გამოცემის The Huffington Post-ის მიერ აღიარებულია McDonald's ქსელის ყველაზე ლამაზ და კრეატიულ შენობად ამ კომპანიის რესტორნების ქსელს შორის. მაკდონალდსისა და ბენზინგასამართი სადგურის კომბინირებულმა შენობამ გაიმარჯვა არქიტექტურული ვებ-გვერდის ArchDaily-ს კონკურსში.

როვე ბათუმის არქიტექტურა სრულიად კოსმოპოლიტური გახდა. სანაპირო ზოლის ახალ უბნებში კი ე.წ. „მანკეციზაციის“ პროცესმა მასიური და რამდენადმე ქაოსური ხასიათი შეიძინა. არქიტექტურის შეუზღუდავი ბატონობა და ერთგვარი ქაოსი ამ ნაწილში იწვევს დამორგუნველ გრძნობას.

ამდენად, სანაპირო ზოლის თანამედროვე განაშენიანების ზოგადი სურათი გვიჩვენებს, რომ ტურიზმის ბუმს აყოლილი ქალაქი კომერციულ ინტერესთა სფეროში მოექცა და არქიტექტორთა შემოქმედებითი შესაძლებლობების ასპარეზად იქცა. ბოლო წლების განმავლობაში ქალაქის ვიზუალური ტრანსფორმაცია განპირობებული იყო საზოგადოებისათვის ქალაქ ბათუმის – როგორც ბრენდის მიწოდების სურვილით. თავისთავად ბრენდის იდეა არ არის უსახური, თუმცა დასანანი, რომ ამ მიზანს შეეწირა ბათუმის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი და საფრთხის ქვეშ დგას ის ისტორიული ღირებულებებიც, რომლებიც ჯერ კიდევ წარმოაჩენენ ქალაქის ბუნებას, ადგილის სულს.

ახალმშენებლობათა ხასიათი გვიჩვენებს, რომ იკვეთება ბათუმის ახალი მაღლივი, მასშტაბური განაშენიანების ტენდენცია. აქედან გამომდინარე, აქტუალური რჩება ბათუმის ზომიერი მასშტაბების შენარჩუნების პრობლემა.

მნიშვნელოვანია ქალაქის რეგულარული გეგმის დაცვა, რადგან იგი განეკუთვნება არა ბუნებრივად განვითარებულ, არამედ დაგეგმილ ქალაქს. სანაპიროს მიმდებარე ქუჩებზე ძველი ადგილების განახლება ახალი ტექნოლოგიებისა და სტილის აქცენტებით მოწმობს ადრინდელი არქიტექტურული ნიშნულების მდგრადობასა და სისწორეს. ქალაქის არქიტექტურული პროექტები ემსახურება თანამედროვე ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას და, გარკვეულწილად, საინტერესოა ტურისტული თვალსაზრისით. განხორციელებული პროექტების მხოლოდ ერთეული ნაწილი, მათ შორის უცხოელ არქიტექტორთა მიერ დაპროექტებული შენობები, ხასიათდება ადგილის, გეოგრაფიული გარემოსა და ქალაქის მასშტაბების შეგრძნებით.

თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობების მიუხედავად, ბათუმში პრობლემად რჩება ნაგებობათა უტილიტარულ-ფუნქციური შესაბამისობის მიღწევა. არსებობს სარეკრეაციო ზონების დეფიციტი, პარკებისა და სკვერების პრობლემა, რაც, თავის მხრივ, ეწირება ინვესტორთა კომერციულ ინტერესებს. არსებობს ურბანული ქაოსის საფრთხე, რადგან ქალაქს არ გააჩნია მკაცრი რეგულაციები, თუნდაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის – ისტორიული ცენტრის ზონაში.

**Maia Chichileishvili**  
**(Batumi, Georgia)**

### **Modern Architectural Tendencies in Batumi**

#### **summary**

The concept of modern Batumi has been subjected to the demands of tourism – one of the most important segments of the country's economy. The city following the boom of tourism has found oneself within the sphere of its commercial interests and become the arena for the creative capabilities of the architects. During the last period the visual transformation of the city has been preconditioned by the wish to present the city of Batumi to the society as a brand.

The nature of new constructions shows the tendency of Batumi development towards high-rise massive constructions. The architectural complexes of the city serve the formation of modern infrastructure and are somewhat interesting from the tourist point of view. Only a small part of the accomplished project, including the buildings designed by foreign architects, are characterized by the sense of location, geographical environment and city size. In addition, there are problems of recreational zone shortage and urban chaos.

## ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენება უმაღლეს სასწავლებლებში

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისა და საზოგადოების წარმატებული განვითარების, პერსპექტივის აუცილებელ წინა პირობასა და მოძრაობებელ მექანიზმს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება და განვითარება წარმოადგენს. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე წარმოდგენილია კაცობრიობის, საზოგადოების ნებისმიერი სფეროს პროგრესი: მსოფლიოს უსაფრთხოება, ეფექტიანი საერთაშორისო ურთიერთობები, განათლების სისტემა, სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, ადამიანის უფლებების დაცვა, სიღარიბესთან, კორუფციასთან, ტერორიზმსა და სხვა ანომალიებთან წარმატებული ბრძოლა.

თანამედროვეობის გამოწვევა და მოთხოვნაა საზოგადოების, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროს უზრუნველყოფა წინგირი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით, კომპიუტერული წინგირების გავრცელება, მოზარდი თაობის მომზადება კომფორტული ცხოვრებისათვის ([science.org/Documents](http://science.org/Documents), 2010). ამდენად, ჩვენი ქვეყნის საზოგადოების ინფორმაციზაციის ძირითად, პრიორიტეტულ მიმართულებად შეგვიძლია განვიხილოთ თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობების ეფექტური და შემოქმედებითი გამოყენება მთლიანად განათლების სისტემაში და განსაკუთრებით კი მის უმაღლეს საფეხურზე, უნივერსიტეტებში.

ჩვენი ქვეყნის და შესაბამისად აჭარის რეგიონის ეკონომიკაში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესები მოითხოვენ მომავალი სპეციალისტების მომზადების სისტემაში ინოვაციურ მიდგომას. როდესაც ჩვენი ქვეყნის მომავალ პერსპექტივებზე ვსაუბრობთ, ძირითადად, მოხერხებული გეოპოლიტიკური მდებარეობისა და ჩვენი ერის ინტელექტუალური პოტენციალის იმედი უნდა გვქონდეს. იმისათვის, რომ ინტელექტუალური პოტენციალი სრულფასოვნად იქნეს რეალიზებული დიდი ძალისხმევის გამოჩენაა საჭირო და პირველ რიგში, აუცილებელია უმაღლესი განათლების ხარისხიანი, ეფექტური, კონკურენტუნარიანი, მობილური სისტემის შექმნა.

საქართველოში მიმდინარე განათლების სისტემის ძირეულმა რეფორმამ, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების მცდელობამ და საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ჩამოყალიბებამ უმაღლესი სასწავლებლების წინაშე დააყენა უამრავი თეორიული და ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური პრობლემა, რომლებიც მკაცრ კონკურენციულ პირობებთან ადაპტაციის აუცილებლობასთანაა დაკავშირებული.

შესაბამისად ბათუმში არსებული უნივერსიტეტებისათვის აქტუალურია სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენების მეთოდოლოგიითა და შესაბამისი პრაქტიკული პლატფორმებით, რომლებიც ორიენტირებული იქნება სწავლა-სწავლების პროცესის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მიზნების რეალიზაციაზე, პრინციპულად ახალი, ინოვაციური პედაგოგიური ტექნოლოგიების რეალიზაციაზე.

უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სპეციალობით დასაქმების, შემდგომი შრომითი საქმიანობისა და ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციებისა და პერსპექტივების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სტუდენტების პროფესიული საქმიანობისათვის მომზადების პროცესში ძირითად მიმართულებად უნდა იქცეს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების აგებისა და ფუნქციონირების საფუძვლების, ასევე კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისა და შესაბამისი პროგრამული საშუალებების გამოყენების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა, პროფესიულ საქმიანობაში მათი პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება. ასეთი მიდგომა მუდმივად აქტუალიზებას და ეტაპობრივ განხორციელებას საჭიროებს დარგობრივი მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევებისა და მიმდინარე მდგომარეობის გათვალისწინებით.

რეალურად კი ახალი ტექნოლოგიების დანერგვა საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროში და შესაბამისად ეკონომიკის სხვადასხვა დარგებშიც წინ უსწრებს სტუდენტთა ცოდნას და სახელმძღვანელოები ლამის გამოცემამდე უკვე მოძველებულია. ამდენად, საჭიროა სასწავლო მასალის ოპერატიულად მომზადება უახლესი მონაცემებისა და სანდო წყაროების საფუძველზე, უახლესი ტექნოლოგიების შემოქმედებითი რეალიზაცია, რაც შესაძლებელია e-learning ტექნოლოგიის განვითარებით. მნიშვნელოვანია ამ პროცესში საქართველოში აკრედიტირებული უნივერსიტეტების და მათ შორის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქტიური მონაწილეობა.

ელექტრონული სწავლება, e-learning ტექნოლოგია არის საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ინტერნეტის ქსელის ეფექტური გამოყენება სასწავლო პროცესში, ეს არის დამხმარე ინსტრუმენტი იმისთვის, რომ შეავსოს, და არა ჩაანაცვლოს ტრადიციული სწავლება

(Поляков, 2013, 29-33) ელექტრონული სწავლების კომპონენტების დანერგვა მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის ამაღლებას და მისი ეფექტურობის ზრდას. იგი საშუალებას აძლევს სტუდენტს ახალი ცოდნისა და გამოცდილების შექმნის ტრადიციული მეთოდების დაუფლების გარდა ისწავლოს დამოუკიდებლად და ამდენად, გამოუმუშავდეს ნებისმიერ ინფორმაციასთან, მათ შორის განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო მასალის შემცველ ინფორმაციასთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები. ამის გარდა, სტუდენტს რეპროდუქტიული ტიპის აზროვნებასთან ერთად, გამოუმუშავდება კრეატიული ტიპის აზროვნების უნარი და ტრადიციული პრინციპი „ცოდნისა და უნარ-ჩვევების ფორმირება“ შეივსება პრინციპით „კომპეტენციების ფორმირება“. ამდენად, ცხადია ელექტრონული სწავლების დანერგვის აუცილებლობა, იგი ბოლონის პროცესის შემადგენელი ნაწილი და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებაა. აქტუალურია ელექტრონული სწავლების მთავარი პრიორიტეტი: „ისწავლეთ რაც გინდათ, როცა გინდათ და სადაც გინდათ“.

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის მოწინავე უნივერსიტეტები დიდი ხანია იყენებენ ელექტრონულ სწავლებას, როგორც დამხმარე საშუალებას და ტრადიციული სასწავლო პროცესის სიცოცხლისუნარიან ალტერნატივას და დღეისათვის მსოფლიოში არაერთი დისტანციური სწავლების წარმატებული უნივერსიტეტი ფუნქციონირებს.

e-learning ტექნოლოგიის დანერგვა ასევე ძირეულად ცვლის პედაგოგის მოვალეობებს და მას განსხვავებულ სამუშაო გარემოს უქმნის. პედაგოგისთვის სავალდებულო ხდება აქტუალური ცოდნის მოძიება, ფორმირება, შექმნა და მისი მუდმივი განახლება, ინფორმაციულ გარემოში აქტიური მუშაობა, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლება და საკუთარი ცოდნის ეფექტური რეალიზაცია (Магомедов, 2013, 63-67). **Aamdenad**, ფორმირდება ახალი პრიორიტეტული კომპეტენციები პედაგოგისათვის: ცოდნის გადატანა-მიღება ღია ინტერნეტ სივრცეში, online-TierToba სტუდენტებთან და კოლეგებთან, სასწავლო მასალის ეფექტური აქტუალიზაცია და პრეზენტაცია.

გამართლებულად და ეფექტურად მიგვაჩნია ელექტრონული სწავლების პროცესში სწავლების მულტიმედია და ვიდეო-ქეისების გამოყენება, ამასთან, მიზანშეწონილია მათ საფუძველს წარმოადგენდეს გარკვეული დიდაქტიკური პრინციპების ერთობლიობა, მათ შორის:

– ინდივიდუალური მიდგომა სტუდენტისადმი, მისი მოთხოვნილებებისა და სწავლის სტილის გათვალისწინება;

- მაქსიმალურად თავისუფალი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა (პედაგოგის, სასწავლო კურსის, სწავლების ფორმის, დავალებების ტიპისა და მათი შესრულების ხერხების არჩევის შესაძლებლობა);
  - სტუდენტების უზრუნველყოფა სხვადასხვა სახის შესაბამისი სასწავლო და თვალსაჩინო მასალებით;
  - სასწავლო მასალის მოცულობის გონივრული შერჩევა და ძირითად და აუცილებელ საკითხებზე კონცენტრაცია;
  - პედაგოგთან სტუდენტების თავისუფლად წვდომის უზრუნველყოფა, რომელსაც შესაძლებლობა ექნება ნებისმიერ დროს მიმართოს მას;
  - სტუდენტების ინფორმაციასთან მუშაობის უნარ-ჩვევების ფორმირება;
  - ყურადღების აქცენტის გადატანა სტუდენტის ძლიერი მხარეების განვითარებაზე.
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა ტრენინგები ადამიანური რესურსების განვითარებისა და ელექტრონული სწავლების დანერგვისათვის. პროექტში ჩართული იყვნენ უნივერსიტეტის სამივე ფაკულტეტის პროფესორები, რომლებმაც საპრეზენტაციოდ მოამზადეს და წარმოადგინეს ელექტრონული კურსის თითო საპილოტე საკითხი (**gu.edu.ge**). მუშაობის პროცესში გამოიკვეთა ელექტრონული სწავლების დადებითი მხარეები:
- დროისა და სივრცის თავისუფალი არჩევანი, მოქნილი სასწავლო გარემო (ზოგადად დროს – შესაძლებელია მუშაობა ასინქრონულ ფორმატში, რადგან სტუდენტს შეუძლია გარკვეული სამუშაო შეასრულოს მისთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს, ხსნის მანძილის სიშორის პრობლემას);
  - ძირითადი მიზნობრივი ჯგუფები – ბაკალავრები, მაგისტრანტები, კონკრეტული დისციპლინის შესწავლით დაინტერესებული სტუდენტები;
  - კრედიტების (და არა ხარისხის) მინიჭების შესაძლებლობა;
  - მასალის მრავალფეროვნება – ვიდეო, აუდიო, სხვადასხვა საგანმანათლებლო ელემენტების კომბინირება ზრდის სტუდენტის მოტივაციას, სასწავლო პროცესს საინტერესოს და სასიამოვნოს ხდის. თავიდან ვირიდებთ რუტინას სწავლების ფორმების მონაცვლეობით;
  - მასალის მუდმივი შევსება-განახლება, საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა საშუალებას იძლევა ელექტრონული კურსი იყოს მოთხოვნის შესაბამისი;
  - ქმნის სხვა ორგანიზაციებში მომუშავე მაღალკვალიფიციური კადრების ცოდნისა და გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობას;

- მოსახერხებელია ორგანიზაციაში მომუშავე პერსონალის გადასამზადებლად;
- ხელსაყრელია უწყვეტი განათლებისთვის;
- გამარტივებულია სწავლის პროცესის მონიტორინგი და სტუდენტთა ტესტირების სისტემა;
- საჭიროებს ნაკლებ ფინანსურ ხარჯებს, ერთხელ შექმნილის გამოყენება შეიძლება ხანგრძლივი დროის მანძილზე - ერთდროულად მრავალ სამიზნე ჯგუფთან;
- არ საჭიროებს დამატებით ფართს.

e-learning ტექნოლოგიის გამოყენებამ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა გამოიწვიოს არა სწავლების ტრადიციული მეთოდების უგულვებელყოფა, წლებით გამოცდილი და აპრობირებული საუკეთესო ტრადიციების უარყოფა, არამედ დიდაქტიკური ეფექტის მიღწევა უკვე ათვისებული და ახალი შესაძლებლობების ერთობლივი გამოყენებით, ისეთი პირობების შექმნით, რომლებიც ხელს უწყობენ წარმოიქმნას და განვითარდეს ინფორმაციულ-სასწავლო ურთიერთმოქმედების პროცესები, მოხდეს სტუდენტის შემეცნებითი აქტიურობის ფორმირება, აჭარის რეგიონის ტურისტული, ეკონომიკური და შემოქმედებითი პოტენციალის სასწავლო მიზნებისათვის მობილიზება.

ახალი ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება მოითხოვს აზროვნების გარკვეული სტილის ჩამოყალიბებას, სპეციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც ფართო ზოგადსაგანმანათლებლო მნიშვნელობას იძენს სტუდენტების ინტელექტისა და შესაძლებლობების, პროფესიული უნარ-ჩვევების ფორმირებისას.

თანამედროვე ტექნოლოგიური რეალიები იწვევს განათლების პარადიგმის ცვლილებას ფორმალური ცოდნის მიღებიდან (teaching paradigm) შედეგზე ორიენტირებულ ცოდნის მიღებამდე (learning paradigm) და ამდენად, აღნიშნული პრინციპების დაცვით სასწავლო პროცესის ორგანიზაცია მოითხოვს პედაგოგების, ფსიქოლოგების, პროგრამისტებისა და დიზაინერების შეთანხმებულ მუშაობას.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**science.org/Documents, 2010:** – <http://www.science.org/Documents/koncfcia/koncfcia.pdf> (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №2 დადგენილების დანართი (საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების კონცეფცია 2000-2015 წლებში)).

**Поляков, 2013:** – Поляков В.П., Современная информационная образовательная среда вуза, Москва.

**Магомедов, 2013:** – Магомедов Р.М., Использование инновационных методов в образовательном процессе вуза, Москва.

**gu.edu.ge:** – <http://www.gu.edu.ge>.

**Tamar makasarashvili**  
(Gori, Georgia)

### **The use of informative technologies and innovative methods in the educational process at University**

#### **Summary**

Using informative technologies and modern methods in the educational process must achieve to didactic effect using already mastered and new possibilities together. To make the conditions, wich help the student in developing informative-educational processes between the student and lecturer. The student's cognitive activity must raize provided that sorroundings are corresponding to the content of course of studies.

გიული გიგუაშვილი  
(გორი, საქართველო)

## რეგიონული ახონომიური პოლიტიკის თავისებურებანი და მისი რეალიზაციის მექანიზმები ქალაქ ბათუმში

*ყოველი სახელმწიფო, რიგაან წესზედ ცოტათ თუ ბევრად დამდგარი,  
ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა  
ადვილი იყოს.*

ილია

საქართველოს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს მიზანმიმართული რეგიონული პოლიტიკის ფორმირება, რომელიც ორიენტირებული იქნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, სოციალური პრობლემების გადაწყვეტის და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საკითხებზე.

„რეგიონი“ (region (ლათ.) – მხარე) არის ოლქი, რაიონი, ტერიტორია, ქვეყნის ნაწილი, რომელიც ბუნებრივი ან ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული პირობებისა და მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ერთობლიობით გამოირჩევა. ეკონომიკურ ლიტერატურაში რეგიონი განმარტებულია, როგორც სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლებისა და ტერიტორიული ერთეულის (რეგიონების) მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების კონსესუსის წესით შემუშავებული ორგანიზაციული, მეთოდური, ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისკენ [გიგუაშვილი, 2007:53].

რეგიონის კატეგორიის განსაზღვრაში ვხვდებით განსხვავებულ მოსაზრებებს: თუ ადრე მთავარ ფაქტორებად მიჩნეული იყო ეკონომიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები, შრომის ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმები და კვლავწარმოებითი ასპექტები, გლობალიზაციის კვალობაზე წინა პლანზე წამოიწია პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მიდგომებმა.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, რომლის ფორმირებისა და რეალიზაციის პრობლემა თანამედროვე ეტაპზე მკაფიოდაა გამოხატული.

სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის არსის საინტერესო განმარტებას გვთავაზობს პროფესორი ნ. ჭითანავა. მისი აზრით, რეგიონული პოლიტიკა არის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და რეგიონული ინტერესების დაბალანსების მიზნით ახალი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების განსაზღვრისა და განხორციელების მექანიზმი [ჭითანავა, 2000:454].

სახელმწიფო რეგიონულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მთლიანობა და სახელმწიფოს სტაბილურობა, ქვეყნის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილების სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსურობა.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ახლებურად გააზრებისა და ფორმირების აუცილებლობა განპირობებულია მრავალი ფაქტორით. რომელთა შორის მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები, ასევე გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევები. განვითარებული ქვეყნების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება და რეალიზაცია წარმატებულია მხოლოდ მისი მეცნიერულ-მეთოდოლოგიური, ანალიტიკურ-პროგნოზული და სისტემურ-კომპლექსური უზრუნველყოფის პირობებში.

ბოლო პერიოდში საქართველოში წარმატებით მიმდინარეობდა რეგიონალისტიკის საკითხებზე თეორიულ-გამოყენებითი კვლევები. რეგიონული პრობლემების სხვადასხვა ასპექტების შესწავლა გრძელდება როგორც უნივერსიტეტებში, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებში და საზოგადოებრივ წრეებში, იგი წარმოადგენს, აგრეთვე, ცალკეულ მეცნიერთა კვლევის საგანს. ამჯერად, დღის წესრიგში დადგა მიმდინარე კვლევების კოორდინაციისა და მიღებული შედეგების პრაქტიკული გამოყენების სახელმწიფოებრივი ინტერესის ზრდის პრობლემა.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა მუდმივი სრულყოფისა და განვითარების პროცესშია. მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ცვლილების, ეკონომიკური ინტეგრაციისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების გადრმავეების პარალელურად, იცვლება რეგიონული პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის ინსტრუმენტები და მიდგომები, მუშავდება მისი სხვადასხვა კონცეფციები, მეთოდები და მოდელები. მსოფლიო რეგიონალისტიკაში დღეისათ-

ვის დაგროვილია მრავალი წარმატებული გამოცდილება რეგიონული სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში, რომელთა შესწავლა, განზოგადება და გამოყენება საქართველოს პირობებში ხელს შეუწყობს რეგიონული განვითარების წინაშე მდგარი პრობლემების დროულად და ეფექტიანად გადაჭრას.

უფიქრობთ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებას რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სპეციფიკის გათვალისწინებით; იმ ძირითადი ინსტრუმენტების გამოკვლევას, რომელთა გამოყენებითაც მოხდება რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება; რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების უპირატესობებზე უნდა განიხილებოდეს: ამა თუ იმ რეგიონის გარდაქმნის შესაძლებლობები, აგრეთვე რეგიონების დიფერენცირება რესურსებისა და განვითარების შესაძლებლობების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის სამართლებრივი საფუძვლების შესწავლას და ამ კუთხით არსებული პრობლემების გამოვლენას; უპირატესობა უნდა მიენიჭოს რეგიონულ თვითგანვითარებას, როცა ადგილობრივი ინტერესების შესაბამისად პასუხისმგებლობა განვითარებისათვის დაეკისრებათ ადგილობრივ ორგანოებს. ამისთვის რეგიონებს უნდა ჰქონდეთ როგორც პოლიტიკური, ასევე ადმინისტრაციული, ფისკალური და საბაზრო დამოუკიდებლობა; რეგიონული პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს პრობლემური და ოკუპირებული რეგიონებისათვის განსაკუთრებული პირობებისა და ხელშეწყობის რეჟიმის დადგენას; განსაზღვრული უნდა იყოს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის მექანიზმები; მნიშვნელოვანია საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ორიენტირების განსაზღვრა და მისი ფორმირების მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფის წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება, რომელთა პრაქტიკაში გატარება ხელს შეუწყობს რეგიონული განვითარების დაჩქარებას და რეგიონების განვითარების უთანაბრობის პრობლემის გადაჭრას; რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო ორგანოების პოლიტიკური დოკუმენტებით განსაზღვრულ ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მიზნებს და ემსახურებოდეს მათ განხორციელებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცალკეული რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინება არა მხოლოდ რეგიონის მცხოვრებთა, არამედ საერთო ეროვნულ ინტერესს და ეროვნულ დონეზე განხორციელებელი რეგიონული განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის სახელმწიფო ინსტრუმენტებს შორის მთავარია რეგიონული ბიუჯეტების სახელმწიფო რეგულირება და შემოსავლების გამოთანაბრების პოლიტიკა. გარდა ამისა, ამ ინსტრუმენტებს შორის ხშირად გამოიყენებენ სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს, სახელმწიფო დაკვეთების პოლიტიკას და სახელმწიფო ინვესტიციების განთავსებას სხვადასხვა ფორმებით, მათ შორის, სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნას და ა.შ. რეგიონული პოლიტიკა მოიცავს ყველა იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ეკონომიკურ პოლიტიკაში, კერძოდ საგადასახადო, საბიუჯეტო, ფასების, ფულად-საკრედიტო, სოციალური პოლიტიკა და სხვ. [ბარათაშვილი, ვეშაპიძე, 2004: 113].

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტია მცირე და საშუალო ბიზნესი. იგი ეკონომიკური საქმიანობის ის სფეროა, რომელიც ყველაზე სწრაფად უზრუნველყოფს რეგიონში უმუშევრობის პრობლემის დარეგულირებას, ამდენად, კერძო ბიზნესის სტიმულირება ყველა რეგიონისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგიონებში უცხოური ინვესტიციების განთავსებაზე ხელის შეწყობა. ერთობლივი საწარმოების შექმნა, ქონების გასხვისება, ამასთან, როგორც ეკონომიკური ექსპერტები ხშირად გვასხენებენ, მიწის არარეზიდენტებზე გასხვისება უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება რეგიონის ინტერესები, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმება.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციისათვის აქტიურად გამოიყენება როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ინსტრუმენტების ერთობლიობა, რაც შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა დონის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს უზრუნველყონ ცალკეული რეგიონების ეკონომიკური განვითარება. დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს საზოგადოების თითოეული წევრისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა მისი უფლებებისა და თავისუფლების პრინციპების რეალიზაციისათვის. სახელმწიფოს რაციონალური მოწყობა და მართვის სტრუქტურა ისეთნაირად უნდა იქნას ფორმირებული, რომ თითოეულ მოქალაქეს შეეძლოს მასში მონაწილეობის მიღება.

საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობის წესი ისტორიული რეალიებიდან გამომდინარე, არაერთხელ შეიცვალა. თუ პატარა ისტორიულ ექსკურსს მოვაწყოთ, გავისხენებთ, რომ თანამედროვე საქართველოში თვითმმართველობის დამკვიდრების პირველი მცდელობა 1991 წელს განხორციელდა, როდესაც პირველი ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა. 1995 წელს მიღებული საქართველოს ახალი კონსტი-

ტუციით დეკლარირებულ იქნა ადგილობრივ დონეზე თვითმმართველობის დამკვიდრება. 1998 წელს არჩეულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს სოფლებში, თემებში, დაბებსა და ქალაქებში. შეიქმნა მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები რაიონულ დონეზე. გარდა ამისა, ჯერ კიდევ 1990-იან წლებში ჩამოყალიბდა სამხარეო სტრუქტურები, რომელიც თავდაპირველად საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულების ინსტიტუტში გამოიხატა. მნიშვნელოვანია 1999 წლის მაისში საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებულება „საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობის საკითხის გადაწყვეტის წესის შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა ქალაქების, რაიონების, დაბების, თემების, სოფლების შექმნისა და გაუქმების, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, გარდაქმნის, სახელის დარქმევა-გადარქმევის, აღრიცხვისა და რეგისტრაციის წესი. 2005 წელს მიღებული ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ რაიონებად და ქალაქებად დაყოფა შეიცვალა მუნიციპალიტეტებად და თვითმმართველ ქალაქებად დაყოფით. საჭირო გახდა თვითმმართველობასა და სახელმწიფოს შორის შუამავალი რგოლის შექმნა, ამ მიზნით 2006 წელს ადრე მხარედ წოდებული ტერიტორიის ფარგლებში შემოღებული იქნა გუბერნატორ-რწმუნებულის ინსტიტუტი [კუპატაძე, 2009:133]. ამჟამად საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში – თვითმმართველ ქალაქებსა და თვითმმართველ თემებში.

აღსანიშნავია, რომ 2004 წლის 26 ოქტომბერს საქართველო მიუერთდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიას“, რითაც მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე აიღო ვალდებულება ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შეუქმნას სათანადო ეკონომიკური გარემო იმისათვის, რომ მიიღონ საკუთარი შემოსავლები, რომელთა განკარგვა მათ შეეძლებათ უფლებამოსილების ფარგლებში [ადგილობრივი თვითმმართველობის..., 1985].

წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 2014 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ტრანსფერების გამოყოფის წესს და სახეებს, ადგილობრივი გადასახადისა და მოსაკრებლის განსაზღვრისა და ადმინისტრირების წესს, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს, მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღებისა და გრანტის მიღების უფლებამოსი-

ლებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს [საქართველოს...].

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება განისაზღვრება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ნორმების გათვალისწინებით. ახალი კოდექსით თვითმმართველი ქალაქის სტატუსი ენიჭება უკვე თორმეტ ქალაქს: თბილისს, რუსთავს, ქუთაისს, ფოთს, ბათუმს, თელავს, ოზურგეთს, ზუგდიდს, გორს, ამბროლაურს, მცხეთასა და ახალციხეს.

დროული და განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის გარემოება, რომ ქვეყნის მაშტაბით, რეგიონული პოლიტიკის სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული და ზოგიერთ რეგიონში უკვე დამტკიცებულია რეგიონული განვითარების სტრატეგიები, მათ შორის, ბათუმის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელშიც უშუალოდ აისახა ქვეყნის რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. კერძოდ, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში გათვალისწინებულია:

- ცოდნასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დამყარებული ეფექტური და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ფორმირება, რომელიც დაეფუძნება მდგრადი განვითარების პრინციპებს;

- ბიზნესს, ინდუსტრიული და სამრეწველო კლასტერების განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების ფარგლებში ბიზნესის და მრეწველობის განვითარების ხელშეწყობი საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებთან კონსულტაციების საფუძველზე, ასევე ბიზნესის სფეროსა და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს შორის კომუნიკაციის მექანიზმის დახვეწა;

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა, ადგილობრივი პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-გადამუშავების წახალისება;

- მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს, საინვესტიციო სტრატეგიის შექმნა;

- ოპტიმალური სტრუქტურის მქონე შრომის ბაზრის ჩამოყალიბება და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

- ტურისტული პოტენციალის სრულყოფილი გამოყენება, ტურისტული სეზონის გახანგრძლივება და ბათუმის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

- ბათუმის გეოსტრატეგიული მდებარეობის მაქსიმალური გამოყენება, ლოჯისტიკური და სადისტრიბუციო ცენტრის ფორმირება;

- ბათუმის გადაქცევა მოსახლეობაზე ორიენტირებულ ქალაქად, რომელიც მოქალაქეებს შესთავაზებს ცხოვრებისათვის უსაფრთხო გარემოს, მიმზიდველ პირობებს, განვითარებისა და თვითრეალიზაციის მუდმივ შესაძლებლობებს; თანამედროვე სტანდარტების საბინაო ფონდს, კომუნალურ მომსახურებას და ურბანული ინფრასტრუქტურის ორგანიზებას; მიმზიდველი და კომფორტული საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის შექმნას;

- ნარჩენების და ბუნებრივი რესურსების მართვის რაციონალური და ეფექტური სისტემის ფორმირება;

- ქალქის სივრცული მოწყობის გეგმის შემუშავება; ქალაქის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულს შორის დისპროპორციების აღმოფხვრა; ისტორიული მემკვიდრეობის ობიექტების და ისტორიული ძეგლების რესტავრაცია;

- სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

- განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერა, ბათუმის გადაქცევა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო და ინოვაციური ტექნოლოგიების რეგიონალურ ცენტრად;

- მმართველობის სფეროში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფა;

- საზოგადოების ინფორმირებულობა და მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელებაში;

- ბათუმის, როგორც მნიშვნელოვანი შეხვედრების, საერთაშორისო კონფერენციებისა და ფორუმების ადგილის პოპულარიზაცია და ა. შ. **[ქალაქ ბათუმის...]**.

ამრიგად, დღეს სახელმწიფოს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე შემუშავებული ცალკეული რეგიონების ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებით განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების პრაქტიკული რეალიზაციისათვის ხელშეწყობა, რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მთლიანად ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის... 1985:** – ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია, სტრასბურგი.
- ბარათაშვილი, ვეშაპიძე, 2004:** – ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ., რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბილისი.
- გიგუაშვილი, 2007:** – გიგუაშვილი გ., სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა საბაზრო მეურნეობაზე გარდამავალ პერიოდში – ჟურნ. „ეკონომიკა“, №10-12, 2007.
- კუპატაძე, 2009:** – კუპატაძე ბ., საქართველოს ხელისუფლების ისტორია, თსუ სახელმძღვანელო, თბილისი.
- ჭითანავა, 2000:** – ჭითანავა ნ., სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი გარდამავალ პერიოდში, თბილისი.
- საქართველოს... – საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“**, [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=2244429&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2244429&lang=ge)
- ქალაქ ბათუმის... – ქალაქ ბათუმის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2012-2015 წწ.**, <http://batumi.ge/ge/>

**Giuli Giguashvili  
(Gori, Georgia)**

## **Regional Economic Policy Features and Its Realization Mechanisms in Batumi City**

### **Summery**

In the article “Regional Economic Policy Features and Its Realization Mechanisms in Batumi City” there is discussed formation stages and features of state regional economic policy in Georgia; the rule of administrative arrangement and main levers of regional economic policy. There is presented realization mechanisms of main principals of regional economic policy of the country in economic development strategy of economics of Batumi City. Consideration of the views expressed in the article will contribute formation of effective regional policy, improvement of standard and quality of living of citizens inhabited in the region and provision of stable economic and social development of the entire country.

## „აბრეშუმის გზა“, უძველესი ცივილიზაცია და ბურიზმის განვითარების შესაძლებლობანი საქართველოში

1889 წელს რედიაოდ კიპლინგმა დაწერა და შემდგომში ხშირად ციტირებდა ფრაზა: „აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი, ხოლო დასავლეთი – დასავლეთი, და ისინი არასდროს შეხვდებიან ერთმანეთს“. თუმცა, ფაქტობრივად, დასავლეთი და აღმოსავლეთი ჯერ კიდევ 2000 წლის წინათ შეხვდა ერთმანეთს ცნობილ აბრეშუმის გზაზე. „აბრეშუმის გზაზე მეზობელი სახელმწიფოებისაგან უმრავლესობა სავაჭრო ურთიერთობაში იყო ერთმანეთთან და მოგზაურები ესტაფეტის მონაწილეებივით გაფანტული იყვნენ გზაზე, რომელიც მსოფლიოს თითქმის მესამედს მოიცავდა“ [ჩარლზ გელდენერი, ბრენტ რითი, 2013: 56].

აბრეშუმის გზის ფუნქციონირება შორეულ წარსულში, ხანის (ჰანის) დინასტიის ეპოქაში იღებს სათავეს. ეს არ იყო უბრალოდ გზა. გრძელი მარშრუტი დაყოფილი იყო პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ტერიტორიებად. იგი წარმოადგენდა კულტურული თანამშრომლობის, პოლიტიკური კავშირების, ტექნოლოგიური მიღწევების ურთიერთგაზიარებისა და დახვეწა-განვითარების საშუალებას.

გამომდინარე ევრაზიის დერეფნის თავისი ბუნებრივი ფუნქციონიდან, საქართველო წარმოადგენდა „დიდი აბრეშუმის გზის“ მნიშვნელოვან მონაკვეთს. ქართლის სამეფოს აღწერისას ჯერ კიდევ ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (ძვ. წ. 64-63, ახ. წ. 24-23) ამბობდა, რომ ოთხი გზა თავს იყრიდა ქართლის სამეფოს დედაქალაქ მცხეთაში.

მისივე ცნობით, ხალხი მეურნეობასა და მეწარმეობას მისდევდა და მარტო თავისი მოხმარებისათვის კი არ ქმნიდა პროდუქტს, არამედ უცხოეთში გასატანადაც. როგორც ივანე ჯავახიშვილი წერს: „ეტყობა აღებ-მიცემობას ფეხი მაგრად ჰქონდა მოკიდებული. კოლხეთში რამოდენიმე განთქმული სავაჭრო ადგილი იყო“.

დიდი სავაჭრო გზა, აბრეშუმის გზად წოდებული, კვეთდა მთელი მსოფლიოს უდიდეს ნაწილს. დაწყებული ჩინეთიდან, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გავლით, იგი მიემართებოდა დასავლეთის ქვეყნებისაკენ. ეს იყო საქონლის, ადამიანებისა და იდეების ტრანსპორტირება ევრაზიის ქვეყნებს შორის. ათასობით კილომეტრზე გადაჭიმული გზა წარმოადგენდა დამაკავშირებელ არტერიას მსოფლიოს უდიდეს ცივილიზაციებს შორის, როგორებიც იყო ჩინური, მონღოლური, ინ-

დური, სპარსული, რომაული, ბერძნული, ბიზანტიური, მესოპოტამიური და ეგვიპტური ცივილიზაციები. იგი ერთმანეთთან აკავშირებდა თანამედროვე მსოფლიოს 16 სახელმწიფოს: იაპონიას, სამხრეთ კორეას, ჩრდილოეთ კორეას, ჩინეთს, ყაზახეთს, ყირგიზეთს, პაკისტანს, უზბეკეთს, თურქმენეთს, ირანს, თურქეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს, საბერძნეთს, ეგვიპტეს. ამ დროიდან იწყებოდა საქართველოში სასტუმროების ტიპის სახლების მშენებლობა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო საქართველოს მდებარეობით. უამრავ ვაჭარს თუ უბრალოდ, მოგზაურს უხდებოდა საქართველოში და საქართველოს გავლით გადაადგილება. საქარავნე გზებზე ყოველი ერთი დღის სავალზე შენდებოდა სასტუმროს ტიპის სახლები (ფუნდუკი, ქარვასლა).

საქართველოზე გამაგალი ე. წ. „აბრეშუმის გზა“ მიემართებოდა ინდოეთიდან და ჩინეთიდან ევროპისაკენ. ამიტომ ქვევით მოკირწყლული გზებისა და ხიდების, სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების მშენებლობას ოდითგანვე ექცეოდა ყურადღება ჩვენს ქვეყანაში. საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას ოდითგანვე უწყობდა ხელს, საქართველოს ყველა კუთხეში აგებული, მეზობელ სახელმწიფოებთან დამაკავშირებელი ავტომაგისტრალები. ლიხის ქედში გაყვანილმა საავტომობილო გვირაბმა მნიშვნელოვნად გააადვილა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის მიმოსვლა. საქართველოს სავაჭრო მარშრუტების განვითარება წარმოდგენილია დასასვენებელი ადგილების და მოგზაურთა მომსახურებისათვის აუცილებელი, თუნდაც პრიმიტიული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების გარეშე.

ძველად მოგზაურობა თვეობით და წლებით გრძელდებოდა. იგი იძლეოდა არამარტო გამოცდილებას, არამედ მრავალმხრივ ინფორმაციას ქვეყნების, ადამიანების და კულტურის შესახებ. უდავოა, რომ საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ულამაზესი ღანდშაფტით, ზღვისა და მთის შერწყმული უიშვიათესი ჰავით, ისტორიულ-არქიტექტორული და ბუნების ძეგლებით, სტუმართმოყვარეობითა და ტრადიციებით განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო ყველა ეპოქაში და ყველა სახელმწიფოსათვის და ოდითგანვე იზიდავდა უცხოელ მოგზაურებს.

ტურისტები საქართველოში ჩამოდიდნენ არა მარტო კულტურული და ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად, არამედ, უფრო მეტად, დასასვენებლად და სამკურნალოდ.

XIX საუკუნის ბოლოდან იწყება შავი ზღვისპირეთის საკურორტო რესურსების ათვისება. ხოლო საერთოდ მეცნიერულ დონეზე საკურორტო საქმის გეგმაზომიერი განვითარება დაიწყო 1926 წლიდან. 1990-იან წლებამდე საკურორტო ტურისტული მეურნეობის განვითარებამ მაღალ დონეს მიაღწია. ამ დროისათვის საქართველო იყო მესამე ადგილზე, ტურიზმის განვითარების მიხედვით, რუსეთისა და უკრაინის

ნის შემდეგ. აქ გადიოდა 120-ზე მეტი საერთაშორისო და შიდა ტურისტული მარშრუტი, აღირიცხებოდა 600-ზე მეტი სასტუმრო, ტურისტული ბაზა, სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, კემპინგი და სხვა დაწესებულება. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისათვის საქართველო თითქმის ერთადერთ სუბტროპიკულ მხარეს წარმოადგენდა. სადაც შეიქმნა მასობრივი ტურიზმის, საკურორტო მკურნალობის და დასვენების მნიშვნელოვანი ობიექტთა ფართო ქსელი. 1990-იან წლებამდე, საქართველოს ტურიზმის მთავარი საფუძველი იყო მკურნალობა და მინერალური წყლები. ეს იყო დრო, როცა საქართველო იღებდა 4 მლნ ტურისტს. ტურისტული ნაკადები მიემართებოდა უწყვეტად, ყველა მინერალური წყლებისა და სამკურნალო კურორტებისაკენ. საქართველოში ტურისტული დასვენება ეფუძნებოდა სამკურნალო-საკურორტო წყაროებს. იმ პერიოდში საქართველოში ძირითადად ტურიზმის ორი სახეობა იყო განვითარებული: ესენი იყო: 1. კულტურული ტურიზმი, რომელიც მოიხსენიებოდა როგორც „შემეცნებითი“ ტურიზმი და 2. სამკურნალო ტურიზმი დასასვენებელი ან გასართობი ტურიზმი ძირითადად განვითარებული იყო საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე და იგი კულტურული ტურიზმის ელემენტებსაც შეიცავდა. ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მიმდინარე პოლიტიკურმა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა ფონმა ფაქტობრივად მოშალა და გააჩანაგა სასტუმროების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და სხვა ტურისტული ობიექტების უმრავლესობა. 1990-იანი წლების შემდგომი პერიოდი საქართველოს ტურისტულ ცხოვრებაში ძალიან მძიმე და რთული აღმოჩნდა. ჩვენი ქვეყანა, თავისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, საერთაშორისო ტურისტული პროცესებისაგან თითქმის იზოლირებული აღმოჩნდა. ქვეყანას როგორც შიდა, ისე გარე ტურიზმის აღორძინება თითქმის თავიდან მოუხდა [ასტახაშვილი, 1976: 45]

90-იანი წლების ბოლოს გაჩნდა აზრი, რომ საქართველო შეიძლებოდა შეერთებოდა „აბრეშუმის გზის“ საერთაშორისო პროექტს, რომელიც დაიგეგმა და ხორციელდებოდა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ. შესაბამისად საქართველოში დაიწყო ტურიზმის განვითარების ახალი ხანა, თუმცა ტურისტთა რაოდენობა 20 წლის წინანდელი რაოდენობის მცირე ნაწილია და საქართველოს ტურისტული პროდუქტი თანდათან იღებს თანამედროვე ტურისტული პროდუქტის სახეს.

ტურიზმს გააჩნია სამი ძირითადი შესაძლებლობა: მეცნიერების მიერ განსაზღვრული, ქვეყანა ტურისტული შეიძლება იყოს იმის გამო, რომ მას აქვს ღვთის მიერ ბოძებული, წინაპრების მიერ დატოვებული თანამედროვე ადამიანებისაგან შექმნილი ინფრასტრუქტურა და მომსახურება. თითოეული რომ განვიხილოთ ცალ-ცალკე, მივიღებთ,

რომ საქართველო ტურიზმის ქვეყანაა. ბუნებამ უხვად დააჯილდოვა რეკრეაციული რესურსებით, შექმნა 26 000 მდინარე, 5000 მეტრზე მეტი სიმაღლის 2 მწვერვალი, ულამაზესი კასტრული მღვიმეები, ფლორა და ფაუნა. 12 000 ძეგლი, რომელთაგან 5000 სახელმწიფო იცავს და 4 მათგანი შესულია მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა დაცვის ნუსხაში. მსოფლიოში იშვიათია ისეთი სახელმწიფო, რომელიც ამ მხრივ შეედრება ჩვენს ქვეყანას. მაგრამ ჩვენ რა გავაკეთეთ იმისათვის, რომ ტურიზმი განვითარებულიყო, დიდი სატრაბახო არა გვაქვს უფრო ღმერთმა და წინაპრებმა დაგვიტოვეს ეს ყველაფერი. ჩვენ შესაქმნელი გვაქვს თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურა, მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებს მისადაგებული მომსახურება, კი გასაკეთებელია.

არსებობენ ტურისტული ქვეყნები და არატურისტული ქვეყნები. შედის კი საქართველო ტრადიციულ ტურისტულ ქვეყნებში? რა წარსული გვაქვს ჩვენ, ამჟამად რამდენი ტურისტის მიღება შეგვიძლია? საქართველოს რაც მიუღია, მაქსიმუმ, ეს იყო 4,5 მლნ ტურისტი 1988 წელს, მაგრამ მაშინ გვეკუთვნოდა აფხაზეთი, 624 სასტუმრო 152 000 საწოლი ადგილი, დღეს გვაქვს 1054 სასტუმრო, ორჯერ მეტი, მაგრამ საწოლების რაოდენობა 5-ჯერ ნაკლები, 34 751 საწოლი ადგილით. განა შეიძლება ქვეყანას, სადაც ერთროულად მხოლოდ 35 000 ტურისტის მიღება შეუძლია წელიწადში, მეტი ტურისტი მიიღოს. ტურიზმი სეზონურია, დამოკიდებულია პოპულარობაზე, რა შთაბეჭდილებები მიაქვთ აქედან და ა.შ. ჩვენი ტურიზმის ამოსავალი არის სამეზობლო ტურიზმი, ყველაზე მეტი შემოდის თურქეთიდან, შემდეგ აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან. ეს ყველაფერი გვეუბნება, რომ ყველაფერი წინაა, ანუ საქართველო არის მომავალი ტურიზმის ქვეყანა.

მართალია, ჩვენს ქვეყანაში პრიორიტეტი მინიჭებული აქვს ტურიზმს, მაგრამ მხედველობიდან გამორჩენილია ის გარემოება, რომ ტურიზმი ეს არის უმძლავრესი ინდუსტრია და ძალიან ბევრ სფეროს მოიცავს, რომელიც ეკონომიკურად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ამიტომ მთელი ქვეყნის მასშტაბით, თუნდაც ინფრასტრუქტურის არათანაბრად განვითარება გააუარესებს ტურიზმის განვითარებას. არადა, საერთაშორისო ტურიზმის აქტიურ განვითარებას დიდი მოგების მოტანა შეუძლია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის.

საქართველოს ტურისტულ რეგიონებს შორის ცალკე განხილვის ღირსია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელსაც აქვს ყველა სახეობის ტურიზმის განვითარების პერსპექტივა, მაგრამ მათ შორის წამყვანი როლი ჯერ-ჯერობით მაინც ზღვის ტურიზმს უჭირავს. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ისე უცხოელი ინვესტორები დაინტერესდნენ აჭარის ზღვისპირა

ზოლის, როგორც რეკრეაციული რესურსებით მდიდარი ადგილის კეთილმოწყობით, მაგრამ აჭარაში საკურორტო-ტურისტული მეურნეობის რეალური განვითარება დაიწყო 1930-იანი წლების შემდეგ, როცა აჭარის ზღვის სანაპირო კურორტები სახელმწიფო მნიშვნელობის კურორტებად იქნა გამოცხადებული, ფართო გასაქანი მიეცა ახალი საკურორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობას. აჭარის რეგიონს გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი, შიდა ტურიზმთან ერთად, ჩაერთოს საერთაშორისო ტურიზმის ერთიან ქსელში და იგი აქციოს ფინანსური შემოსავლების მიღების სტაბილურ წყაროდ. არსებული ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, აჭარის რეგიონში შეიძლება განვითარდეს დასვენებისა და რეკრეაციის შემდეგი ფორმები: 1. წყლის ტურიზმი – ზღვაზე დასვენება, წყლისა და მზის აბაზანების მიღება, თევზაობა, ჩანჩქერებზე დასვენება, მინერალური და გოგირდოვანი წყლების აბაზანების მიღება, მთის ტბებზე გასეირნება, დელფინარიუმის მონახულება და ა. შ.; 2. ბალნეოლოგიური ტურიზმი – როგორც დაბლობის, ზღვისპირა ბალნეოლოგიური შესაძლებლობები, ისე მთის კურორტების სამედიცინო მახასიათებლები; 3. ისტორიული და კულტურული ძეგლები – სხვადასხვა ისტორიული ადგილები, ციხეები, არქეოლოგიური გათხრები, მუზეუმები, გალერეები, თეატრი და სხვა; 4. აგროტურიზმი – სოფელში ცხოვრება, დღესასწაულებზე დასწრება, ეროვნული ტრადიციების (სამზარეულოსა და ხელოვნების ნიმუშების) შესწავლა; 5. სამეცნიერო ტურიზმი – ადგილობრივი ფლორის იშვიათი ნიმუშების, ბოტანიკური ბაღის დათვალიერება, ადგილობრივ მეცნიერებთან კონტაქტი, სიმპოზიუმების, კონფერენციების, შეხვედრების მოწყობა და ა. შ.; 6. სამთო-სთხილამურო და სამონადირეო ტურიზმი; 7. საქმიანი ტურიზმი – ბიზნესმენებისა და მეწარმეების საქმიანი ვიზიტები წარმოადგენს ტურიზმის განვითარების ყველაზე მაღალშემოსავლიან სახეობას; 8. კონგრეს ტურიზმი – თანამედროვე საერთაშორისო ტურიზმის ყველაზე უფრო მეტად დინამიურად განვითარებადი სახეობაა, რომელსაც აღმავლობის საკმაოდ დიდი პერსპექტივა აქვს აჭარის რეგიონში; 9. საბავშვო ბანაკების აღორძინება – საშუალებას მისცემს აჭარის (განსაკუთრებით მაღალმთიანი ზონის) კურორტების უფრო სრულყოფილად დატვირთვას; 10. სახალხო დღესასწაულები – ქმნის ტურისტულ ნაკადთა მოზიდვის დიდ პოტენციალს. ასეთი დღესასწაულებია „ბათუმობა“, „შუამთობა“, კოლხობა, „მაჭახლობა“ და ა. შ. [ქათამაძე, 2013: 799].

აჭარის სხვა რეგიონებთან შედარებით, უფრო ბევრი ტურისტული ღირსშესანიშნაობის ფლობის გამო, განვიხილოთ ბათუმის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი. ბათუმის ძირითადი ნაწილი მდებარეობს ვაკე-დაბლობზე. ეს ქალაქი, როგორც საკურორტო ადგილი და ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ცენტრი, მეცნიერ-

ეკონომისტების მიერ აღრიდებულ იქნა აღიარებული, მაგრამ მის მიმართ ყურადღება განსაკუთრებით გაიზარდა XIX საუკუნის 70-იან წლებში. ქალაქ ბათუმში დაიწყო სასტუმროების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, ტურისტული ბაზების, ზღვის თბილი წყლისა და მახინჯაურის გოგირდწყალბადოვანი აბაზანების სამშენებლო სამუშაოები. ამ სფეროში აჭარის ზღვისპირეთსა და, კერძოდ, ბათუმს წამყვანი პოზიციები ეკავა. საბოლოოდ ამას მოჰყვა ბათუმში ძლიერი საკურორტო-ტურისტული კომპლექსების შექმნა. პარალელურად იზრდებოდა ტურისტების რაოდენობა ბათუმშიც. ტურიზმი ამ ქალაქში გადაიქცა ჩამორჩენილიდან მზარდ სექტორად. ამ მზარდი ტენდენციის მიუხედავად, ქალაქში არსებული დიდი ტურისტული პოტენციალი ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოყენებული. უნდა გაგრძელდეს ტურისტების განთავსების საშუალებების მშენებლობა, სატრანსპორტო მომსახურების სრულყოფა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება, ტურისტების უსაფრთხოების დონის ზრდა, ტურიზმის დივერსიფიკაცია და ა. შ. ტურიზმს შეუძლია ბათუმის სწრაფი განვითარება, ცხოვრების დონის ამაღლება.

აჭარის რეგიონის და კერძოდ, ბათუმის ტურისტული პოტენციალის სრულყოფილი ათვისების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საზღვაო და სამთო ტურიზმის კომბინირებული გამოყენება. სწორედ ზღვისპირა და სამთო კურორტების ერთობლივი გამოყენება უნდა გახდეს მომავალში ტურიზმის პერსპექტიული მიმართულება, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს არა მარტო შიდა, არამედ უცხოელი ტურისტების მუდმივად მზარდი მოთხოვნილებები. ამიტომ ამ სახის ტურ-პროდუქტზე მუშაობის გააქტიურება არა მარტო ბაზრის სეგმენტის გაფართოების, არამედ ტურისტული შემოსავლის ზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად უნდა იქცეს. ბათუმის მდიდარი ბუნებრივი რესურსები, მის უშუალო სიახლოვეს მდებარე დაცული ტერიტორიები, საყოველთაოდ ცნობილი ბოტანიკური ბაღი, თვალწარმტაცი ზღვისპირა დასვენების პარკი, ქალაქის ორგანიზებული ულამაზესი სოფლები, ცხოვრების საინტერესო ტრადიციები და ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლე იძლევა ტურისტული ბაზრის სეგმენტაციის შესაძლებლობას ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: ეკო-ტურიზმი, აგრო-ტურიზმი, საოჯახო ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, ბიზნეს-ტურიზმი, შემეცნებითი-ტურიზმი, და სხვა სახეობა [ქათამაძე, 2013: 854].

აჭარის რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა ტურისტული სერვისის ამაღლება, თანამშრომლობის გაღრმავება სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორთა შორის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და რეგიონის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოე-

ბა, რომ საქალაქო-სამგზავრო ტრანსპორტის განვითარებასთან დაკავშირებით, ბათუმში ბუღვარის მიმდებარე ტერიტორიაზე პირველი, მეორე და მესამე ქუჩები ტურისტული სეზონის განმავლობაში მეტად გადატვირთულია, უმჯობესი იქნებოდა განტვირთვის მიზნით აღნიშნულ ქუჩებზე ეკოლოგიურად სუფთა „მწვანე ტრანსპორტის“ დანერგვა. ასევე, ქალაქში ველოსპორტის ქსელის გაფართოება და მისი პოპულარიზაცია, სატრანსპორტო სისტემა „ბათუმველოს“ განვითარება.

საქართველოს უახლეს ისტორიაში განხორციელებული პროექტების (ბაქო-სუფსის ტერმინალი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, შაჰდენიზი-თბილისი ევროპა გაზსადენი და ე. წ. ევროაზიური კორიდორის” სხვა პროექტები) ერთ-ერთი სერიოზული შედეგი არის შავი ზღვის პორტების დატვირთვის ზრდა, რაც შეიძლება სერიოზული პრობლემა გახდეს მისი ძალზე მყიფე ეკოსისტემისათვის. ამასთან თუ გავითვალისწინებთ ჩამდინარე წყლების მდგომარეობას, მდ. ჭოროხის პრობლემას (თურქული ენერგეტიკული კასკადის გამო), აჭარა-ფოთის ზონაში სამრეწველო აქტივობის პერსპექტივებს და მრავალ სხვა, თანამდევ მოვლენას, რაც, ერთი მხრივ, ძალზე კარგია, შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ ზღვის, როგორც რეკრეაციული რესურსის, დაკარგვის პერსპექტივა, თუ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე არ იქნება გათვალისწინებული გარემოს დაცვის საკითხები.

მიგვაჩნია, რომ როცა გსურს იყო კონკურენტუნარიანი, უნდა წარმოადგინო შენი უპირატესობა. ჩვენ რომ ბუნებრივი და კლიმატური რესურსები გვაქვს, ასეთი ბევრ ქვეყანას არა გააჩნია, მიწის ასეთ მცირე ფართობზე უზარმაზარი რესურსია გადანაწილებული. რაც უფრო მეტად განვითარდება ჩვენი შავიზღვისპირეთი, უფრო კარგი იქნება მომავალში კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად.

აბრეშუმის გზის დერეფნის შენარჩუნება და პოპულარიზაცია დიდ ეკონომიკურ, კულტურულ და ტურისტულ პერსპექტივებთანაა დაკავშირებული. საქართველოს ნებისმიერ რეგიონს გრძელვადიანი სტრატეგია უნდა ჰქონდეს შემუშავებული, რადგან მომავალში ვინც არ უნდა ჩაერთოს ამა თუ იმ რეგიონის განვითარების პროექტში, ჰქონდეს კონკრეტული მიმართულება და წლიდან წლამდე ეს მიმართულება არ შეიცვალოს.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**გელდნერი, რითი, 2013:** – გელდნერი ჩ., რითი ბ., ტურიზმი: საფუძვლები – პრაქტიკა თეორია, ბათუმი.

**ქათამაძე, 2013:** – ქათამაძე დ., ქათამაძე გ., საერთაშორისო ტურიზმი, ბათუმი.

**ჩაგანავა, 2010:** – ჩაგანავა პ., საინვესტიციო პროცესები აჭარის ტურიზმის სფეროში, ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ბათუმი.

**ნადარეიშვილი, მელაძე, 1999:** – ნადარეიშვილი გ., მელაძე მ., აბრეშუმის გზა და ტურიზმის მომავალი საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებული, თსუ, თბილისი.

**მეტრეველი, 2008:** – მეტრეველი მ., ტურიზმისა და მასპინძლობის საფუძვლები, თბილისი.

**ასტახაშვილი, 1976:** – ასტახაშვილი კ., ტურიზმი, თბილისი.

**საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგია, 2001:** – ტურიზმის სექტორის ეკონომიკური ანალიზი. TACIS. თბილისი.

**[www.ntt-silkroad.com](http://www.ntt-silkroad.com)**

**<http://travelgeorgia.gol.ge>**

**<http://www.parlament.ge/TOURISM>**

**Maia Azmaiparashvili  
(Gori, Georgia)**

### **"The Silk Road", Ancient Civilization and Facilities for Tourism Development in Georgia**

#### **Summary**

In the work is reviewed the importance of "Silk Road" for the tourism development. To maintain and promotion of "Silk Road" is related to the great economic, cultural and tourism prospects. Adjara region has the significant potential, in city Batumi the tourism has become from the backward into the growing sector. The internal tourism must engage with the international tourism network. When you want to be competitive, you have to show your preference. In Georgia, in particular, Adjara region has huge potential, in such a small area of land allocated to a huge resource. As more we develop the Black Sea resort, will be more competitive in the future.

## **İŞLETMECİ GÖZÜ İLE BATUM'DA DOĞA VE KULLANIMI**

Doğa ile Üretim arasında doğrudan bir ilişki vardır. Üretim, işletme denilen bir birimde olduğu için, işletmenin tanımı ile konuya başlanması daha uygun olacağı düşünülmektedir.

**İşletme**, Üretim faktörlerini bir araya getirerek insan ihtiyaçlarını karşılayacak mal ve/veya hizmet üreten iktisadi birimlerdir.

Tanımı oluşturan unsurlar ayrı ayrı sınıflandırılırsa;

- **Üretim Faktörleri**, (Doğa, Sermaye, Emek, Teknoloji ve Müteşebbis)
- **İnsan İhtiyaçları**, (karşılandığında haz ve karşılanmadığında izdirap duyulan hisler)
- **Mal veya Hizmet**, (insan ihtiyaçlarını karşılama özelliği bulunan somut ve soyut olan ürünlerdir)
- **İktisadi Birimler**, (çaba, maliyet ve fiyatı oluşumlar içinde olma) ....dır

Üretim Faktörleri, ürünün oluşumunda içinde yer alan faktörlerdir. Bunlar;

- **Doğa** : Kainatta varolan ve daha önce üretilmemiş üretim aracıdır.
- **Sermaye** : Kainatta varolmayan ve daha önce üretilmiş üretim aracıdır
- **Emek** : İnsanların üretimde kullan fiziksel ve düşünsel gücü
- **Teknoloji** : Bir ürünü üretme bilgi ve yöntemidir.
- **Müteşebbis** : Üretim için kendisinin dışındaki üretim faktörleri bir araya getiren kişi veya kurumdur.

### **Üretim**

Üretim faktörleri belirli oranlarda dönüşüme tabi tutarak ürün'e dönüştürme çabası, üretim olarak ifade edilebilir. Üretim, emek faktörü tarafından sermaye faktörü kullanılarak doğa faktörünün şeklini değiştirilmedir. Bunu daha basit bir şekilde ifade edersek; müteşebbis tarafından üretim için tedarik edilen üretim faktörlerinden emeğe, sermayeyi al eline ve doğa üzerinde işlem yap talimatının ardından, teknoloji çerçevesinde emeğin sermaye faktörünü bir araç olarak kullanarak doğa üzerinde işlem yapmasıdır.

Üretimi basit olarak örneklendirirsek, müteşebbis patates veya domates üretmek istiyor olsun. Bu üretim için gerekli olan üretim faktörler;

- **Doğa** : Tarla
- **Sermaye** : Kazma veya traktör
- **Emek** : İşçi
- **Teknoloji** : Patates veya domates üretme bilgisi

• **Müteşebbis** : Patates veya domates üretme bilgisine sahip ve üretmek isteyen kişi

Müteşebbis, patates ve domates üretme bilgisi olan işçiyi, kazma veya traktörü ve tarlayı bir araya getirdi ve işçiye şu talimatı veriyor, “işçi al kazmayı eline tarla üzerine şu şekilde işlem yap” ve bunun sonucunda da patates veya domates üret. Aldığı talimat doğrultusunda hareket eden ve kendisi bir emek faktörü olan işçi, sermaye faktörü olan kazma veya traktörü kullanarak doğa faktörü olan tarla üzerine işlem yapmakta ve bunun sonunda müteşebbisin istediği patates veya domatesi üretmektedir. Bakınız burada doğa faktörü olarak tarla, sermaye faktörü olarak kazma veya traktör, emek faktörü olarak işçi, teknoloji faktörü olarak patates veya domates üretme bilgisi, müteşebbis faktörü olarak da patates veya domates üretme bilgisine sahip ve üretmek isteyen kişi üretim faktörlerini bir araya getirerek; tarla, kazma, emek müteşebbis ve üretme bilgisi patates ve domatese dönüşmüş ve üretimi yapılmış oldu.

Aynı şekilde diğer bir örnek de mobilya yapmak için olsun. Bununla ilgili üretim faktörleri;

- **Doğa** : Orman, Ağaç
- **Sermaye** : Balta ve diğer el aletleri veya makineler
- **Emek** : İşçi
- **Teknoloji** : Mobilya üretme bilgisi
- **Müteşebbis** : Mobilya üretme bilgisine sahip ve üretmek isteyen kişi

Burada, doğa faktörü olarak Orman, sermaye faktörü olarak Balta ve diğer el aletleri veya makineler, emek faktörü olarak işçi, teknoloji faktörü olarak Mobilya üretme bilgisi, müteşebbis faktörü olarak da Mobilya üretme bilgisine sahip ve üretmek isteyen kişi bir araya gelerek; orman, balta, emek müteşebbis ve üretme bilgisi mobilyaya dönüşmüş ve üretimi yapılmış olmaktadır.

Şimdiye kadar işletme faaliyetleri olarak adlandırılabilen üretim için mutlaka üretim faktörleri ve özellikleri örneklerle ifade ederek üretimin ne olduğu üzerine durduk. Şimdi ise üretim için mutlaka gerekli **doğa** üretim faktörünün diğer özellikleri üzerinde duralım.

### **Doğa ve Kullanımı**

İnsan ihtiyaçlarını karşılayan malların en temel kaynağı doğa üretim faktörüdür. Malların içindeki doğa organik ve inorganikler şeklinde iki biçimde yer alır. Bunlardan hücresel canlı özelliği olana yani bitkiler organik, hücresel özelliği olmayan taş maden petrol gibi ürünler ise inorganiklerdir. İnsanların yeme ve giyinme ihtiyaçlarını karşılayan ürünler organik, barınma ve yaşam koşullarını iyileştirmede kullanılan ürünler inorganik olmaktadır.

Organik ve inorganikler insan ihtiyaçlarının karşılanmasında olmazsa olmaz kaynak olduğuna göre ve bu kaynaklar da doğada olduğuna göre, üretimde doğanın kullanımı kaçınılmaz olmaktadır. İnsanlık için bunun aksısı düşünülemez bile.

Bazı İnanışlara göre de, doğanın yaratıcısı Allah'tır. Allah bu doğayı insanların hizmetine sunmuştur ve kullanılması helaldir.

### **Doğa Kullanımının Sınırlandırılması**

Yukarıda, üretimde doğanın kullanımı kaçınılmaz ve helal olduğunu ifade etsek de, bunların kullanımı kuralsız ve ölçsüz değildir. Doğanın kullanımında mutlaka sınırlamalar vardır.

Günlük yaşamda, doğanın zarar görmemesi için hiç kullanılmaması gerektiği şeklinden, bu bir ekonomik kaynaktır ve dolayısıyla da sonuna kadar kullanılmalıdır şekline kadar, geniş yelpazede görüşler olduğu görülmektedir.

İşletme bilimi ise, belirli sınırlar içinde doğanın mutlaka kullanılması gerektiği üzerinde durur. Bu sınır da, doğanın kendini yenileyebilme yetenek sınırlarıdır. Doğanın kendini yenileme özelliği vardır. Bu yenileyebilme sınırları içinde doğa, mutlaka kullanılmalıdır. Aksı halde üretim ve insanların ihtiyaçları karşılanamaz. Bu da insanlık için felaket demektir. Şayet, doğanın kullanımında sınırlar aşılsa, doğa, sınırın aşılma derecesine göre hızla azalmaya gidecek ve bir zaman sonra da sonlanacaktır. Bu da insanlık için bir başka felaket türü olacaktır. Onun için asla doğanın kullanımında kendini yenileme sınırları aşılmayacaktır.

Doğanın kullanımı ile ilgili örnek olarak aşağıda asit birkaç örnek verilmektedir.

### **Arıcılık Örneği**

Doğanın kullanımı ile ilgili olarak arıcılık sektörünü ele alalım. Arının mayıs ayında çiçeklerden bal toplamaya gittiği zaman temel içgüdü, benim sahibim vardır ve onun geçindirmekte olduğu çoluk çocuğu var ve sahibime bal yapmak için artık çiçeklerden bal toplamalıyım değildir. Arının mayıs ayında çiçeklerden bal toplamadaki başlıca içgüdü, önümüz kış ve çiçekler kış ayında bal üretmeyeceği için hemen mevsiminde kışlık bal ihtiyacımı depo etmeliyimdir. Hal böyle olmasına rağmen, arıcı arıya sormadan ağustos ayında kovandan bal almaktadır. Bu duruma arının kovandan balın hiçbir surette alınmaması gerektiği durumdan, insan ihtiyacını karşılayan ürün olduğundan tamamının alınması arzusunda olan insanlar vardır. İşletme bilimi çerçevesinden bakılırsa, sürdürülebilir düzeyde balın alınması gerektiğini ileri sürer. Şöyle ki, arının yaptığı bal bir doğa kabul edilir ve kullanımı gerekir. Ancak tamamının alınması halinde, arının kış ihtiyacı kalmayacağından arı kışın beslenememe nedeni ile ölecektir ve bir daha bal üretimi söz konusu olmayacağından doğa aşırı kullanılmış olacaktır. Burada, arının kışlık ihtiyacı olan bal kovanda bırakılması, arta kalan kısmının alınması ile insanların ihtiyaçlarının karşılanmasına yani tüketimine sunulması gerekir.

### **Süt Üreticiliği Örneği**

Doğanın kullanımı ile ilgili diğer bir örnek ise süt üreticiliği olacaktır. İnek doğası gereği doğum yaptığında, artık yavrusunu doyurması gerekmektedir. Bunun için yavrusunun beslenmesi için gerekli süt'ü bünyesinde üretmekte ve ürettiği süt ile yavrusunu beslemektedir. İneğin süt üretmeye başladığı zaman temel içgüdüğü, benim sahibim vardır ve onun geçindirmekte olduğu çoluk çocuğu var ve sahibime süt yapmalıyım olmayıp, yavrusuna besin üretme içgüdüğüdür. Burada da, süt'ün hiç alınmaması veya tamamın alınması şeklinde değil, yavrusuna yettiği kadar sütü bırakıp arda kalan süt'ün alınması gerekir. Eğer inekten hiç süt alınmazsa doğada sütten yararlanmamış oluruz. Tamamını alırsak yavrusuna süt besin kaynağı kalmayacağından yavrusu ölecek ve nesil devamını sağlayamayacaktır.

### **Kereste Örneği**

Kerestenin kaynağı ağaç ve dolayısı ile ormandır. Orman ürünleri yaşamın bir çok ürünün üretiminde kullanılan maddedir. Bu ürünü tüketiyorsak ağaç kesme kaçınılmazdır. Ağaç kesme de doğaya bir müdahaledir. Hiç ağaç kesmemek mümkün değildir. Çünkü, Tükettiğimiz ürünlerin içinde orman ürünü var ve tüketiminden vazgeçememekteyiz. Ağaçların tamamını kesersek diğer felaketlere neden oluruz. İşletme bilimi açısından; orman kendini yenileme yeteneği çerçevesinde ağaç keserek, insan ihtiyaçlarını karşılayan malların üretilmesi gereğini ele alır.

### **Su Örneği**

Su, bütün canlıların yaşam kaynağı ve hakkıdır. . İnsanlar var olan suyun tamamını; içme, tarımsal sulama ve elektrik enerjisi üretme de kullanamazlar. Suyun bir kısmını kendilerinin dışında kalan canlıların yanı, hayvanlar ve bitkiler için suyu paylaşmaları gerekir. Doğal yaşam için ihtiyaç kadar suyu bıraktıktan sonra artan suyu yine öncelikler sıralamasına göre kullanırlar. Suyun kullanımında öncelikler sıralaması; birinci sırada içme, ikinci sırada tarımsal sulama ve üçüncü sırada da elektrik enerjisi üretmedir. İçme ve tarımsal sulama ihtiyacından fazlalık olan suyun elektrik enerjisi veya başka bir yerde kullanımının hiçbir sakınca görülmemektedir.

### **Doğanın Kendini yenilemesi**

Doğa üretimde üretim faktörü olarak kullanılsa da kullanılsa da kendini yenilemektedir. Örneğin orman, ormanlarda toprağın besleyebileceği ağaç ve kereste miktarı sınırlıdır. Toprağın besleyebilme yeteneğinin üstünde orman artmaz. Her canlı gibi bitkilerin ve ormanların yaşam seyiri var ve bu yaşam seyirlerinde; doğarlar, gelişirler, yaşlanırlar ve ölürlür. Ölen ağaç yerine yeni fidan büyümeye başlayacak ve yenileme süreci ilelebet devam edecektir. Yaşlanan ve hastalanan ağaçların ölmelerini beklemeden ormandan alınır ve üretimde kullanılırsa, hem

doğa azalmamış olur, hem de insan ihtiyaçlarını karşılayacak ürün üretilmiş olur. Bu tür örnekler bütün doğal kaynaklar için arttırılabilir.

### **Batum'da Doğa Ve Kullanımı**

Batum'un deniz ve karada doğal kaynakları vardır. Bu kaynaklar yukarıda ifade edilen kendini yenileme sınırları içinde kullanımı batum'da yaşayan insanların kalkınması ve gelişmesi için mutlaka kullanımı zaruri olmaktadır.

Batum'da yaşayan insanların ihtiyaçlarının karşılanması için mutlaka her alanda üretim yapmaları gerekmektedir. Üretim yaptıklarında ise üretim faktörü olarak doğanın kullanılması kaçınılmazdır. Yenileme sınırları içinde kalmak kaydıyla tüm doğanın kullanılması öncelikle yaşayabilmeleri için, sonrası ise refah içinde yaşayabilmeleri için kullanılması gerekir.

Burada dikkat edilecek ikinci önemli nokta ise tüm canlıların yaşam kaynağı olan hava, su ve toprağın yapılarında kendini yenileyebilme sınırları dışında kalacak şekilde değişikliğin yapılmamasıdır.

**ჰაირეთინ გუღბინი (მაღაყმაძე)  
(სტამბული, თურქეთი)**

### **უცხოელი ინვესტორის თვალთ დანახული ბათუმის ბუნებრივი რესურსები**

#### **რეზიუმე**

ადამიანები, იმისათვის, რომ იარსებონ, ყოველთვის იყენებენ ფართო მოხმარების საგნებსა თუ მომსახურებას. ადამიანური მოთხოვნები დასაკმაყოფილებლად, როგორც ნებისმიერი საქონლის, ასევე, მომსახურების წარმოება ხდება საწარმოებში. იმისათვის, რომ შევძლოთ ბიზნესის წარმოება, აუცილებელია საწარმოო ფაქტორების გამოყენება. ამ ფაქტორების გამოყენების გარეშე შეუძლებელია რაიმე საქონლის ან მომსახურების შექმნა. საწარმოო ფაქტორებია: ბუნება, კაპიტალი, შრომა, მწარმოებელი და ტექნოლოგია. ბუნება, როგორც საწარმო ფაქტორი, არის ყველაზე ძირითადი და სათუთი. ძირითადია იმიტომ, რომ ნებისმიერი პროდუქციის წყარო არის ბუნება და სათუთია, რადგანაც იგი არ არის უსასრულო. გაუცნობიერებელმა გამოყენებამ შესაძლოა მისი დასრულება გამოიწვიოს.

ბუნება, მსგავსად ყველა სულიერი არსებისა, ადამიანისათვის სასიცოცხლო პირობაა. როგორც ცნობილია, ჰაერი, წყალი და მიწა ნებისმიერი სულიერისათვის არის მასაზრდოებელი წყარო. რა თქმა უნდა, ჰაერი, წყალი და მიწა უნდა იყოს სუფთა. მათში წარმოქმნილი დაბინძურება შესაძლოა გახდეს ყველა სულიერი არსების დაღუპვის მიზეზი. აქედან გამომდინარე, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხ-

დეს ჰაერის, წყლის და მიწის უარყოფითი ცვლილება, ანუ მათი დაბინძურება.

ბუნების კიდევ ერთი თავისებურება არის, ასევე, თვითგანახლების უნარი. როდესაც ბუნებას ვიყენებთ, როგორც საწარმოო ფაქტორად, მას აუცილებლად უნდა მივცეთ თვითგანახლების საშუალება. არ უნდა მოხდეს მისი ზღვარსგადასული გამოყენება. იმ შემთხვევაში, თუ ეს ზღვარი დაცული არ იქნება, ბუნებრივი რესურსი სწრაფად დაიწყებს გაქრობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, საჭიროა ფართო მოხმარების საგნებისა თუ მომსახურების წარმოება. ნებისმიერი ტიპის წარმოებისათვის, სხვა დანარჩენ საწარმოო ფაქტორებთან ერთად, ბუნების გამოყენებაც გარდაუვალია. წარმოებაში ბუნების ფაქტორის გამოყენებისას აუცილებლად უნდა იქნას დაცული ზღვარი. დაუშვებელია ბუნების ზღვარსგადასული მოხმარება. ასევე, აუცილებელია, ბუნების, როგორც ყველა სულიერის მასაზრდოებელი წყაროს დაცვა. ანუ ჰაერზე, წყალზე და მიწაზე არ უნდა მოხდეს რაიმე უარყოფითი ზეგავლენა.

რაც შეეხება ბათუმს, მცხოვრებთა ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მათი კეთილდღეობა დამოკიდებულია წარმოების სიძლიერეზე. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ბუნების, როგორც საწარმოო ფაქტორად გამოყენება თანდათან გაიზრდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბათუმის ბუნებრივი რესურსების გააზრებულად გამოყენება ნორმალური არსებობისა და მომავლის უზრუნველსაყოფად გარდაუვალია. გააზრებული გამოყენება კი გულისხმობს, რომ ბუნებრივი რესურსები უნდა მოვიხმაროთ საზღვრების დაცვით, ანუ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ უნდა გადავაჭარბოთ მოხმარების ზღვარს. ამ პირობის დაცვა აუცილებელია, რათა ბუნებამ შეინარჩუნოს თვითგანახლების უნარი. საზღვრების დაცვაში იგულისხმება ასევე, რომ ჰაერზე, წყალზე და მიწაზე არ უნდა მოხდეს რაიმე უარყოფითი ზეგავლენა.

დაკვირვების შედეგად, ბათუმში, ძირითადად, წარმოებისათვის ბუნებრივი რესურსების გამოყენებაში არ შეინიშნება ზღვარსგადასული და არც ჰაერზე, წყალზე და მიწაზე არ ხდება უარყოფითი ზეგავლენა და არ აღინიშნება მათში რაიმე უარყოფითი ორგანული ცვლილებები. მაგრამ მომავალში, ბუნებრივია, რომ მოსახლეობის მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად უფრო მეტი წარმოება გახდება საჭირო და, შესაბამისად, აუცილებელი იქნება მეტი ბუნებრივი რესურსის გამოყენება. ამიტომაც აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ მომავალში მომატებული წარმოება არ გადავიდეს ზღვარს.

**ქალაქ ბათუმის სათავადასავლო,  
სკოლბული და ვილობურიზმის ვობანციალი –  
პრობლემატი, პერსპექტივატი**

XXI საუკუნის დასაწყისიდან განვითარებულმა გლობალურმა და რეგიონულმა მოვლენებმა საქართველოს, მის მხარეებს და ქალაქებს მრავალი პრობლემა დაუტოვა გადასაჭრელი, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება. უმუშევრობის შემცირება სიღარიბის დაძლევა, მეურნეობრივი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, თითოეული ადამიანის კეთილდღეობის ზრდა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ასეთ პრიორიტეტულ მიმართულებად, მატერიალური წარმოების ზოგიერთ დარგთან ერთად გვევლინება არამატერიალური წარმოების ისეთი სფერო როგორცაა ტურიზმი. სწორედ ამ დარგის განვითარება უზრუნველყოფს ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონებისა კერძოდ, აჭარისა და მისი ტურისტული ცენტრის – ბათუმის სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, უცხოური ვალუტის შემოდინებას, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, სიღარიბის დაძლევას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას და სხვ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში უდიდესი როლი უნდა შეასრულოს საკურორტო-ტურისტულმა სექტორმა, მით უფრო, რომ ამ სფეროში გამოცდილება ქვეყანას უდაოდ გააჩნია. ქვეყნის ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა გულისხმობს ამ რესურსების ერთობლივ შესწავლას და ბუნებრივ-რეკრეაციული, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული ასპექტების ანალიზს. საქართველოში, მის რეგიონებსა და ქალაქებში, მათ შორის ბათუმში საკურორტო-ტურისტული სფეროს წარმატებული განვითარებისათვის განსაკუთრებული პოტენციალი არსებობს, რომელიც იძლევა საკურორტო ტურისტული რესურსების მრავალმხრივი გამოყენების და განვითარების პერსპექტივებს.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ტურიზმის განვითარების პერსპექტივები, უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს ანალიზი თუ რა მიმართულებით ვხედავთ ამ სფეროს განვითარებასა და რა პოტენციალი გაგვაჩნია ამ პრობლემის გადასაჭრელად. ქვემოთ შევეცდებით განვიხილოთ მთლიანად ჩვენს ქვეყანასა და კონკრეტულად ქალაქ ბა-

თუმცა ტურიზმის რა პოტენციური სახეობები და განვითარების შესაბამისი რესურსები გააჩნია. რაც შეეხება ტურისტული ინდუსტრიის ცალკეულ სახეობებს ამ სფეროს მკვლევარები მას პირობითად ორ ჯგუფად ყოფენ. პირველი ეს არის **სტანდარტული დასვენება, ანუ სტანდარტული ტურიზმი**. იგი მოიცავს დასვენებას ზღვაზე, დასვენებას ბარისა და მთის სოფლებში ინდივიდუალურად, მეგობრების წრეში ან ოჯახთან ერთად. ეს სახეობა დასვენების ყველაზე გავრცელებული ვარიანტია როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტებისათვის, თუმცა მომსახურების პაკეტში შესაძლოა დამატებითი ელემენტების შეტანა ნებისმიერი სხვა სახის ტურიზმისა, რათა უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდეს **[კობალაძე, 2010: 9-10]**.

ტურიზმის ამ სახეს მთლიანად საქართველოს, მისი რეგიონებისა და კერძოდ, ბათუმის საბიუჯეტო შემოსავლებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა გააჩნია, მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. მართალია, სხვა ქვეყნებიდან ტურისტული მიზნით მოსახლეობის ჩამოსვლა საქართველოში დ მათ შორის ბათუმში გაიზრდება, მაგრამ არა ისეთი მაღალი ტემპებით, როგორც ამ უკანასკნელ წლებში დაფიქსირდა. ამას განაპირობებს საქართველოს ტურიზმის დღევანდელი სპეციფიკა, მისი დაბალი კონკურენტუნარიანობა, მაღალი ფასები, დაბალი სერვისული მომსახურება და მუდმივად მზარდი სატრანსპორტო ხარჯები **[მესხია, 2011:26]**. ამიტომ ქალაქის ხელმძღვანელობამ აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან ერთად უნდა შეიმუშაოს კმედითი დონისძიებანი სხვა ტურისტული რესურსების აქტიური გამოყენებისათვის უახლოეს პერიოდში.

ტურიზმის მეორე სახეობა ესაა **ეგზოტიკური ტურიზმი**, რომელიც თავისთავად გულისხმობს ტურისტებისათვის განსაკუთრებულ, მათი ქვეყნისათვის უცხო და არატრადიციულ მომსახურებას. ტურიზმის ეს ჯგუფი საკმაოდ დიდ ქვესახეობათა სპექტრს მოიცავს და მასში შეიძლება განვიხილოთ: ღვინის ტურიზმი, გურმან ტურიზმი, ეთნოტურიზმი, ეკოტურიზმი, კულტურული ტურიზმი, რელიგიური და პოლიგრიმული ტურიზმი, სთამაშო ტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, სამედიცინო ტურიზმი, ბიზნეს და პროფესიული ტურები, შოპინგ ტურები, სათავეგადასავლო ტურიზმი, სპორტული ტურიზმი, ველოტურიზმი და სხვა **[კობალაძე, 2010:10-15]**.

ამჟამად ჩვენი კვლევის ობიექტად შევარჩიეთ ტურისტებისათვის მიმზიდველი და საინტერესო, მაგრამ ტურიზმის თვალსაზრისით აჭარისა და კერძოდ, ბათუმის საკურორტო ტურისტული ზონისათვის ნაკლებ შესწავლილი სათავეგადასავლო ტურიზმის, სპორტული ტურიზმისა და ველოტურიზმის პოტენციალი, მისი გამოყენების შესაძ-

ლებლობები, არსებული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები.

